ბ. ფურცხვანიძე

საბჭოთა სისხლის სამართალი

(განსაკუთრებული ნაწილი)

დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ უმაღლესი და
საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თ ბ ი ლ ი ს ი — 1966

34C5
343(47)
ფ983

წიგნი წარმოადგენს ქართულ ენაზე პირველ ორიგინალურ დამხმარე სახელმძღვანელოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. მასში განხილულია სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის საკითხები, მოცემულია საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს სასამართლო ორგანოებისა და პროკურატურის მუშაკებსაც.

7—10—2

ავტორისაგან

ქართულ ენაზე სახელმძღვანელო საბჭოთა სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში, არც ორიგინალური და არც თარგმნილი, დღემდე არ მოიპოვება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები აღნიშნულ დისციპლინას სწავლობენ ან ლექციების ჩანაწერებით, ანდა კიდევ რუსულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოებით, რომლებიც აგებულია რსფსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ 1958 — 1961 წწ. მანძილზე სისხლის სამართლის დარგში ახალი კანონმდებლობა იქნა მიღებული (როგორც საერთო საკავშირო მასშტაბით, ასევე მოკავშირე რესპუბლიკებში), ნათელი გახდება სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს გამოცემის აუცილებლობა საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

დამხმარე სახელმძღვანელო აგებულია საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსსა და საგამომძიებლო-სასამართლო ორგანოების პრაქტიკის მასალაზე დაფუძნებით, ამასთან მასში ნაჩვენებია ის თავისებურებანი, რომლებიც განასხვავებს საქართველოს სს. კოდექსს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სს კოდექსებისაგან.

დამხმარე სახელმძღვანელოს შედგენისას შეეცადეთ ფართოდ გამოგვეყენებინა საბჭოთა ავტორების გამოკვლევები სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ცალკეულ დარგებში და სათანადო ორგანოების მიერ მოწონებული სახელმძღვანელოები, აგრეთვე რსფსრ სს კოდექსის კომენტარები.

ვინაიდან აღნიშნული სახელმძღვანელო ქართულ ენაზე პირველად გამოდის, ბუნებრივია, იგი არ იქნება თავისუფალი ზოგიერთი ნაკლოვანებისაგან. ავტორი სიამოვნებით მიიღებს და გაითვალისწინებს ყველა სამართლიან შენიშვნას.

შესავალი

1. საბჭოთა სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ცნება და პოლიტიკური მნიშვნელობა

საბჭოთა სისხლის სამართალი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: ა) ზოგადი ნაწილისა და ბ) განსაკუთრებული ნაწილისაგან. ზოგადი ნაწილი მოიცავს სისხლის სამართლის ისეთ ინსტიტუტებს, როგორიცაა დანაშაულის ზოგადი ცნება, დანაშაულის შედგენილობა, თანამონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში, დანაშაულის განვითარების სტადიები, სასჯელის სახეები, მისი შეფარდების წესი და ა. შ.

განსაკუთრებულ ნაწილში ჩამოთვლილია დანაშაულის კონკრეტული სახეები, აღწერილია, რა შინაარსის ქმედობა ჩაითვლება საზოგადოებრივად საშიშად, ე. ი. დანაშაულად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განსაკუთრებული ნაწილი განსაზღვრავს ცალკეული დანაშაულის შედგენილობას (დისპოზიციას), ასევე აწესებს სასჯელის ზომას, რომელიც უნდა შეეფარდოს დანაშაულის ჩამდენს (სანქციას). საბჭოთა სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი ზუსტად ადგენს, რა ქმედობა როგორ უნდა დაისაჯოს.

სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვის ინტერესები მოითხოვს, რომ განსაკუთრებული ნაწილის სწორად გამოყენებით უზრუნველყოფილ იქნას დანაშაულის მართებული კვალიფიკაცია, ჩადენილი ქმედობის კვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სწორედ იმ მუხლით, რომელშიაც აღწერილია ამ ქმედობის დამახასიათებელი ნიშნები.

ამ მოთხოვნის შეუსრულებლობამ, შეცდომამ ქმედობის სწორად დაკვალიფიცირების საქმეში, შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს დამნაშავეობასთან ბრძოლისა და კანონიერების განმტკიცების ამოცანას. შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ დანაშაულის ნამდვილად ჩამდენი პირი დაუსხლტეს მართლმსაჯულებას, უდანაშაულო, არაბრალეული ადამიანი კი დაისაჯოს, ანდა კიდევ შესაძლოა დამნაშავე ქმედობისათვის არა იმ კანონის (კოდექსის შესაბამისი მუხ-

ლის) შეფარდების გამო, რომელიც სწორედ ასეთ ქმედობას ითვალისწინებს, მკაცრად ან, პირიქით, ლმობიერად დაისაჯოს. ამას კი შემდგომ დეზორგანიზაცია შეაქვს დამნაშავეობის სტატისტიკაში, ართულებს დამნაშავეობის გამომწეევი მიზეზების დადგენასა და აღმოფხვრას.

ასეთი შეცდომის დაშვება სოციალისტური მართლმსაჯულების ინტერესების საწინააღმდეგოა. იგი ლახავს მოქალაქეთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, კიდევ მეტი, ძირს უთხრის მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოთა ავტორიტეტს.

იმისათვის, რომ სწორად იქნეს გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი, საჭიროა ცალკეული დანაშაულის შედგენილობის საფუძვლიანი ცოდნა. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „...განმარტებულ იქნეს, რომ დავსჯით ამ კანონის უ ც ო დ ი ნ ა რ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ა ც და შ ე უ ფ ა რ დ ე ბ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ა ც“[1], რომ „საჭიროა კანონის ცოდნა“[2]. ეს მოთხოვნა, პირველ რიგში, აუცილებელია დაიცვას იუსტიციის დარგის მომუშავემ.

დამნაშავისათვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრა მხოლოდ დანაშაულის სწორად კვალიფიკაციის საფუძველზეა შესაძლებელი. ამ საკითხში შეცდომის დაშვება ყოველთვის იწვევს დასჯა-გასწორების პრაქტიკის უხეშ დამახინჯებას.

განაჩენი, რომელშიც მოცემულია ქმედობის უსწორო კვალიფიკაცია, ყოველთვის გაუქმდება ან შეიცვლება ზემდგომი სასამართლო ორგანოს მიერ.

დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია გულისხმობს პირის ქმედობაში (მოქმედებაში ან უმოქმედობაში) დანაშაულის კონკრეტული შედგენილობის დადგენას, ე. ი. კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების დამთხვევას მოცემული ქმედობის გარემოებებთან.

დანაშაულის შედგენილობა კი ნიშნავს იმ იურიდიული ნიშნების ერთობლიობას, რომლებიც ახასიათებს ამა თუ იმ პირის კონკრეტულ ქმედობას როგორც დანაშაულს.

იმისათვის, რომ ქმედობა მიჩნეულ იქნეს გარკვეულ დანაშაულად, უნდა დადგინდეს სხვა ფაქტიურ გარემოებათა შორის ისეთი ფაქტებიც, რომლებიც შეესაბამება სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლში განსაზღვრულ შედგენილობის ნიშნებს (მაგალითად, საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლს,

---

[1] Ленинский сборник, VIII, გვ. 21.

[2] Ленинский сборник, XXV, გვ. 60.

სადაც აღწერილია დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობა).

თეორიასა და პრაქტიკაში ყოველი დანაშაულის შედგენილობისათვის მიღებულია მისი ოთხი ნიშნის, ელემენტის, არსებობა. უკეთუ კონკრეტული ქმედობის განხილვისას თუნდაც ერთი მათგანი არ აღმოჩნდება, ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის შედგენილობაც არ მოიპოვება და, მაშასადამე, ამ ქმედობის ჩამდენი პირის დევნა სისხლის სამართლის წესით არ დაიშვება. ეს ნიშნებია: 1) დანაშაულის ობიექტი (კანონით დაცული ის სიკეთე, რაზეც ხელყოფს მოცემული ქმედობა), 2) დანაშაულის სუბიექტი (შერაცხადი პირი, რომელსაც ქმედობის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა თექვსმეტი ან, კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი სახის დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის, თოთხმეტი წელი); 3) დანაშულის ობიექტური მხარე (საზოგადოებრივად საშიში მოქმედება ან უმოქმედობა და მათი შედეგი, აგრეთვე მიზეზობრივი კავშირი ქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის, ადგილი, დრო, საშუალება და სხვა პირობები დანაშაულის ჩადენისა), და 4) დანაშაულის სუბიექტური მხარე (პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებასთან ან უმოქმედობასთან, აგრეთვე შედეგთან, რომელიც შეიძლება გამოიხატოს განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმაში. სუბიექტური მხარის ნიშნებია ბრალი, დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი).

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში ზოგჯერ მოცემულია ერთი და იმავე დანაშაულის რამდენიმე შედგენილობა, რომელთა შორის განსხვავება ისაა, რომ ერთი შედგენილობის ნიშნები, აგრეთვე თვით დამნაშავის პიროვნება, მოწმობს გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებას იმავე დანაშაულის სხვა შედგენილობასა და მის ჩამდენ პიროვნებასთან შედარებით.

ცნობილია დანაშაულის შედგენილობის სამი სახე:

ა) დანაშაულის შედგენილობის ძირითადი (ანუ მარტივი) სახე. ივი იმით ხასიათდება, რომ მას არ ახლავს არც დამამძიმებელი და არც შემამსუბუქებელი გარემოებები (მაგალითად, საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახი მკვლელობა);

ბ) დანაშაულის შედგენილობის კვალიფიციური სახე, ე. ი. ისეთი შედგენილობა, რომელიც ხასიათდება დამამძიმებელი გარემოებებით (მაგალითად, სსს კოდექსის 104-ე მუხლში აღწერილი განზრახი მკვლელობა, რომელიც დამძიმებულია იმით, რომ ჩადენილია

ანგარებით, ხულიგნური ქვენა გრძნობით, განსაკუთრებული სისასტიკით ან ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალი პირის სიცოცხლისათვის და ა. შ.). ზოგჯერ კანონი ითვალისწინებს კონკრეტული დანაშაულის შედგენილობის განსაკუთრებით კვალიფიცირებულ სახეს. მაგალითად, სს კოდექსის 96 I მუხლი ასეთ მაკვალიფიცირებელ ნიშნად თელის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებას განსაკუთრებით დიდი ოდენობით (გატაცების ხერხის მიუხედავად), რაც სასჯელის უმკაცრესი ზომის შეფარდებას იწვევს;

გ) დანაშაულის შედგენილობა შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას (მაგალითად, სს კოდექსის 106-ე მუხლში აღწერილი მკვლელობა, უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების დროს).

ერთი და იმავე დანაშაულის შედგენილობის აღწერილი სახეები კანონში ზოგჯერ მოცემულია ერთისა და იმავე მუხლის სხვადასხვა ნაწილებში (მაგალითად, ცალკეული სახეები ისეთი დანაშაულის შედგენილობისას, როგორიცაა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება ქურდობით, გაძარცვით, თაღლითობით, მოცემულია სს კოდექსის 91-ე, 92-ე, 93-ე მუხლების სხვადასხვა ნაწილში) ან პუნქტებში (მაგალითად, სამხედრო მოსამსახურის მიერ ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვების სხვადასხვა სახეები მოცემულია სს კოდექსის 264-ე მუხლის ცალკეულ პუნქტებში), ანდა კიდევ სხვადასხვა მუხლებში (მაგალითად, განზრახი მკვლელობის შედგენილობის სახეები მოცემულია არა ერთისა და იმავე მუხლის ნაწილებსა და პუნქტებში, არამედ რამდენიმე სხვადასხვა მუხლში (იხ. სს კოდექსის 104-ე, 105-ე, 106-ე მუხლები).

სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში დასახელებული კონკრეტული ნიშნები ერთობლიობაში გამოხატავს თითოეული დანაშაულის ხასიათს, დამახასიათებელ თვისებებს, რომელთა არსებობაც აქცევს ქმედობას სისხლის სამართლის თვალსაზრისით მართლსაწინააღმდეგოდ და კრძალავს მის ჩადენას სასჯელის შეფარდების მუქარით.

თუ პირის ქმედობაში კანონში აღწერილი დანაშაულის შედგენილობის ნიშნები არ არსებობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედობა დანაშაულად არ ჩაითვლება (როგორც სისხლის სამართლის კანონით გაუთვალისწინებელი) და მის ჩამდენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის მანძილზე

საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათა (დანაშაულთა) წრე ცვალებადობას განიცდიდა. ზოგიერთი ქმედობა გარკვეულ ისტორიულ პირობებში საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს იღებდა, ხოლო ზოგიერთი კი, პირიქით, ასეთ ხასიათს კარგავდა. მაგალითად, სურსათ-სანოვაგის განაწილების წესების, საბარათო სისტემისა და ა. შ. დარღვევა უდავოდ საზოგადოებრივად საშიში იყო 1918—1920 წწ., რადგან ხელყოფდა სამხედრო კომუნიზმის პირობებში შემოღებულ ღონისძიებებს. სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში ასეთმა ქმედობამ, ბუნებრივია, დაკარგა საშიშროება. მას აღარც ჩადიოდა ვინმე. სამაგიეროდ ამ პერიოდში გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროება მიენიჭა ისეთ ქმედობას, როგორიც იყო დარღვევანი საგადასახადო დარგში, ვაჭრების მიერ წინასწარი შეთანხმებით საქონელზე ფასების თვითნებურად აწევა და სხვა, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა სახალხო მეურნეობას, მშრომელთა ინტერესებს, რის გამოც 1922, 1926—1928 წწ. სისხლის სამართლის კოდექსების ძალით სასჯელის მკაცრ ზომებს იწვევდა. შემდეგში სოციალიზმის გამარჯვებასა და კერძო კაპიტალისტური სექტორის ლიკვიდაციასთან ერთად აღწერილი ქმედობაც ისტორიას მიეკუთვნა.

უკანასკნელ დროს საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი მიიღო ნათესების წანახედმა, ბუნებრივ სიმდიდრეთა განადგურება-დაზიანებამ, არაშრომითი, პარაზიტული ცხოვრების შემთხვევებმა და სხვ., რაც გარკვეული პირობების არსებობისას დანაშაულად გამოცხადდა მათ ჩამდენ პირთათვის სასჯელის სხვადასხვა ზომების დაწესებით.

თანამედროვე პერიოდში საბჭოთა ხალხის მიერ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულმა უდიდესმა მიღწევებმა, სოციალისტური კანონიერებისა და საბჭოთა მართლწესრიგის განმტკიცებამ, მოქალაქეთა მართლშეგნების აღმავლობამ შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ შესაძლებელი გახდა შეკვეცილიყო ადრე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სისხლის სამართლის წესით სადევნი ისეთ ქმედობათა რიცხვი, რომლებიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას აღარ წარმოადგენენ, ან კიდევ ზოგიერთი მათგანისათვის შერბილებულიყო სასჯელის ზომები. მაგრამ, ცხადია, საზოგადოებრივად საშიში ხასიათის მქონე ისეთ ქმედობათა წრე, რომელიც ხელყოფს საბჭოთა წყობილების საფუძვლებს, პიროვნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სოციალისტურ მართლწესრიგსა და სხვ., არ შეცვლილა და ახლაც მიჩნეულია მძიმე ხელყოფად.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლების შესაბამისად, მოკავშირე რესპუბლიკების მიერ 1959 — 1961 წწ. მიღებულ სისხლის სამართლის კოდექსებში შენარჩუნებულია (სასჯელის ზომების შესამჩნევი გაზრდით) დანაშაულის ისეთი მომეტებული საშიშროების შემცველი შედგენილობანი, როგორიცაა: განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, ბანდიტიზმი, ყალბი ფულის დამზადება და გასაღება, სავალუტო ფასეულობებით სპეკულაცია, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება, მკვლელობა, სხეულის დაზიანება, გაუპატიურება, მექრთამეობა და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სასჯელის ზომა განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტთა მიმართ და შემოღებულია დასჯადობა ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის, როგორიცაა კომერციული შუამავლობა, კერძო-მეწარმეობითი საქმიანობა, ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ცხოვრების წარმოება, გეგმების შესრულებაში მიწერები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენება ან შენახვა, პურისა და პურეულის სხვა პროდუქტების ყიდვა პირუტყვისა და ფრინველთა გამოსაკვებად და სხვ.

ყოველივე ეს სავსებით გასაგები და გამართლებულია, რადგან „კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებაში არ უნდა იყოს სამართლის დარღვევა და დამნაშავეობა. მაგრამ სანამ არის დამნაშავეობის გამოვლინებანი, უნდა მივიღოთ სასტიკი ზომები იმ პირთა დასასჯელად, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებისათვის საშიში დანაშაულებანი, დაარღვიეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, არ სურთ ეზიარონ პატიოსან შრომითს ცხოვრებას. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულთა თავიდან აცილებას"[1].

მართალია, სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანის აღზრდა უნდა წარმოებდეს ზეგავლენის ორი მეთოდის — დარწმუნებისა და იძულების გამოყენებით, ამასთან კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდის პირობებში უპირატესობა ენიჭება სწორედ დარწმუნების მეთოდს, როგორც მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებთან უფრო შესაბამისს, ხოლო იძულებას შედარებით მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ყოველივე ეს როდი ნიშნავს საბჭოთა სამართლის იძულებითი მხარის

---

[1] სკკპ პროგრამა, თბილისი, 1961, გვ. 118.

დამცირებას, დაკნინებას. მუქთახორების, ბოროტ დამნაშავეთა მიმართ, რომლებიც ხელყოფენ საბჭოთა ადამიანის ცხოვრებას, სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სოციალისტურ და მოქალაქეთა პირად საკუთრებას, გამოყენებულ უნდა იქნეს იძულების უმკაცრესი ზომები. საზოგადოებრივად საშიშ პირებთან ბრძოლა უნდა წარმოებდეს მკვეთრად, იძულების (სასჯელის) ღონისძიებათა კანონის სწორი გამოყენებით.

დამნაშავეობასთან აქტიური, ქმედითი ბრძოლის უზრუნველყოფა მოითხოვს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მართებულად ცოდნასა და მის სწორად გამოყენებას, სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვას მისი ნორმების შეფარდებისას.

2. საბჭოთა სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სისტემა

საბჭოთა სისხლის სამართალი როდი წარმოადგენს ცალკეული კანონების უბრალო, შემთხვევით კრებადობას, რომელთა განლაგების ზუსტ თანმიმდევრობას არა აქვს რაიმე მნიშვნელობა. პირიქით, მოქმედი სისხლის სამართლისათვის დამახასიათებელია კანონების განსაკუთრებული მოფიქრებით განლაგება და გარკვეული სისტემის მტკიცედ დაცვა.

კანონმდებლის მიერ ასეთი სისტემის დაწესება და დაცვა უადვილებს თეორიასა და პრაქტიკას კანონის ნამდვილი შინაარსის გარკვევას, კანონის წინაშე დასახული ამოცანის ნათელყოფას და, ამასადამე, განსაკუთრებული ნაწილის ცალკეული ნორმების სწორ ახსნა-განმარტებას.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსების სისტემატიზაციის საფუძველს წარმოადგენს ხელყოფის ობიექტი. რაც იმას ნიშნავს, რომ კოდექსში თავები და შემდეგ ცალკეული მუხლები განლაგებულია იმისდა მიხედვით, თუ, სახელდობრ, რას ხელყოფენ მასში გათვალისწინებულ დანაშაულთა შედგენილობანი, რა სახის ობიექტის წინააღმდეგ არიან ისინი მიმართული.

საბჭოთა სისხლის სამართალში ერთიმეორისაგან ასხვავებენ სამი სახის ობიექტს. სახელდობრ: 1. საერთო ობიექტს, ე. ი. საერთოს უკლებლივ ყველა დანაშაულისათვის (ეს არის სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა), 2. გვარეობით, ანუ სპეციალურ ობიექტს, ე. ი. ერთიანს, საერთოს დანაშაულებრივ ქმედობათა ცალკეული კატეგორიისათვის (მაგალითად, პიროვნება, სოციალისტური საკუთრება, სამხედრო სამსახურის წესი და ა. შ.) და

3. უშუალო ობიექტს, ე. ი. ისეთს, რომლის მიმართაც უშუალოდ არის მიმართული კონკრეტული დანაშაული (მაგალითად, ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ა. შ.).

საერთო ობიექტის განსაზღვრა საჭიროა დანაშაულის საერთო შედგენილობის სწორი ანალიზისათვის. მას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, თუ, სახელდობრ, როგორი ინტერესების დაცვას მოითხოვს სახელმწიფო.

საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი აგებულია გვარეობითი (სპეციალური) ობიექტის მიხედვით, ამიტომ მის განსაზღვრას თვალსაჩინო მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სისტემის შექმნისათვის, კანონის სწორად გაგებისა და შემდეგ მისი შეუცდომლად გამოყენებისათვის.

მართალია, ერთი შეხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ზოგიერთი თავი (მაგალითად, თანამდებობრივი დანაშაული, სამხედრო დანაშაული) თითქოს აგებული იყოს არა ხელყოფის ობიექტის, არამედ სუბიექტის მიხედვით, რადგან მათში გათვალისწინებული ცალკეული დანაშაულის ჩამდენი შეიძლება იყოს არა ყოველი პირი, არამედ მხოლოდ თანამდებობის პირი ან სამხედრო მოსამსახურე, მაგრამ ასეთი დასკვნა არ იქნებოდა სწორი. დასახელებული დანაშაულებიც ობიექტის მიხედვითაა აგებული, რადგან ისინი ხელყოფენ სწორედ ერთ, გარკვეულ გვარეობით (სპეციალურ) ობიექტს (მაგალითად, თანამდებობრივი დანაშაული სახელმწიფო აპარატის სწორ, ნორმალურ მუშაობას, ხოლო სამხედრო დანაშაული — სამხედრო დისციპლინას, სამხედრო სამსახურის წესს).

კანონმდებელი ამა თუ იმ გვარის დანაშაულს კოდექსში მიუჩენს თავის გარკვეულ ადგილს, განალაგებს თავებს ზუსტი თანმიმდევრობით, ცალკეულ დანაშაულთა საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით. იგი პირველ რიგში ითვალისწინებს ისეთ დანაშაულს, რომელიც მეტ საშიშროებას წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის, შემდეგ — შედარებით ნაკლები საშიშროების შემცველს და ა. შ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, გარდა ამისა, ცალკეულ დანაშაულთა სისტემატიზაციისას, კანონმდებელი ნორმების გადმოცემის თანამიმდევრობის საჭიროებასაც იღებს მხედველობაში. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის გარემოება, რომ საქ. სსრ (და მთელ რიგ სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა) სისხლის სამართლის კოდექსში სამხედრო დანაშაულთა თავი უკანასკნელ ადგილზეა მოქცეული, თუმცა, ცხადია, ასეთი სახის

დანაშაული ვერ ჩაითვლება ნაკლებ საშიშად სხვა დანაშაულთან შედარებით. საერთოდ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სისტემას საფუძვლად უძევს სწორედ ცალკეულ დანაშაულთა მეტ-ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინება, მაგრამ ამასთან ერთად, ანგარიში ეწევა აგრეთვე მთელ რიგ სხვა გარემოებასაც (მაგალითად, დანაშაულის სუბიექტის თავისებურებას და ა. შ.).

სისხლის სამართლის კოდექსის სისტემის დადგენისას კანონმდებელი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა და ინტერესების შეფასებიდან გამომდინარეობს, რომლებსაც არღვევს ან ემუქრება ესა თუ ის დანაშაული. დანაშაულის აღმწერი იურიდიული ნორმა ვერ იქნება ჯეროვნად გაგებული და შემდეგ გამოყენებული იმ კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განცალკევებით, რომლებსაც ნორმა აწესრიგებს იმ პოლიტიკური ამოცანის გაუთვალისწინებლად, რასაც მისი გამოცემისას კანონმდებელი ისახავდა მოწყვეტით იმ გარემო ვითარებისაგან, რომელმაც გამოიწვია ნორმის გამოცემის საჭიროება.

ბურჟუაზიული იურისპრუდენცია ცდილობს შენიღბოს სამართლის, კანონის კლასობრივი ხასიათი. იგი მიმართავს გამოკვლევის ფორმალურ-დოგმატურ მეთოდს, ცალკეული დანაშაულის შედგენილობის შესწავლისას უგულებელყოფს მისი დასჯადობის გამომწვევი ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური მიზეზების ნათელყოფას, ფარავს ბურჟუაზიული სამართლისა და კანონის ნამდვილად კლასობრივ, ექსპლოატატორულ ბუნებას.

აქედან გამომდინარე, ბურჟუაზიული იურისპრუდენციის წარმომადგენლები შეუძლებლად თვლიან საერთოდ სამართლის რაიმე ლოგიკური სისტემის აგებას და მოითხოვენ საერთო ნორმის გარეშე იყოს განხილული ყოველი ცალკეული შემთხვევა წინანდელისა და შემდგომის გაუთვალისწინებლად. ამით ისინი ფაქტიურად მოუწოდებენ ბურჟუაზიულ სასამართლოს თვითნებობისა და აღვირახსნილობისაკენ.

იმპერიალიზმის ეპოქაში სისხლის სამართლის ბურჟუაზიული თეორიები მკვეთრად რეაქციულია. ამ თეორიების იდეოლოგები (როგორც პოზიტივისტები, ასევე „წმინდა“ იდეალისტები — ნეოკანტიანელები, ნეოთომისტები, ეგზისტენციალისტები და ა. შ.) მხოლოდ ერთ მიზანს ისახავენ, სახელდობრ, ყოველი საშუალებით, ყოველი ხერხით დაიცვან და გაამართლონ კაპიტალისტური სინამდვილე, დაასაბუთონ მშრომელთა მასების წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერების აუცილებლობა.

ამიტომ არის, რომ ბრძოლა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ჩვენს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს. „თანამედროვე მსოფლიოში, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — მიმდინარეობს ორი იდეოლოგიის — კომუნისტური იდეოლოგიისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის გააფთრებული ბრძოლა. ეს ბრძოლა კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში ასახავს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ისტორიულ პროცესს"[1].

ბურჟუაზიული ანტიმეცნიერული მეთოდისაგან განსხვავებით, საბჭოთა მეცნიერება ხელმძღვანელობს დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდით, ღრმად, საფუძვლიანად სწავლობს ნორმის როგორც ფორმას, ასევე შინაარსს, სწავლობს მას განვითარებაში, აღლენს მის გამომწვევ მიზეზებს, პოლიტიკურ ამოცანებს, რასაც სახავს საბჭოთა სახელმწიფო ცალკეულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში.

საქართველოს სსრ ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის (1960 წ. რედ.) განსაკუთრებული ნაწილი შემდეგი სისტემით არის აგებული:

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი — სახელმწიფო დანაშაული.
I. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული.
II. სხვა სახელმწიფო დანაშაული.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე — დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე — დანაშაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე — დანაშაული მოქალაქეთა პოლიტიკური და შრომითი უფლებების წინააღმდეგ.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე — დანაშაული მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ.

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე — სამეურნეო დანაშაული.

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე — თანამდებობრივი დანაშაული.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე — დანაშაული მართლმსაჯულების წინააღმდეგ.

თ ა ვ ი მ ე ცხ რ ე — დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ.

თ ა ვ ი მ ე ა თ ე — დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ.

თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე — სამხედრო დანაშაული.

ამრიგად, კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში სულ თერთმეტი თავია.

---

[1] სკკპ პროგრამა, 1961, გვ. 56.

მართალია, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებული ნაწილი ძირითადად ასევეა აგებული, მაგრამ ზოგიერთ მათგანს სხვაობაც ახლავს, რაც შემდეგში გამოიხატება: 1. ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი თორმეტი თავისაგან შედგება. მაგალითად, რსფსრ კოდექსში ცალკე თავად გამოყოფილია „დანაშაული, რომელიც ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათა გადმონაშთს წარმოადგენს" (ეს თავი კოდექსში მოცემულია „სამხედრო დანაშაულის" თავის წინ, რიგით მეთერთმეტედ); სომხეთის სსრ (აგრეთვე უზბეკეთის, მოლდავეთის სსრ) სისხლის სამართლის კოდექსს აქვს ისეთი თავი, რომელიც დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკათა (მათ შორის საქართველოს სსრ) კოდექსებისათვის უცნობია, სახელდობრ, „სატრანსპორტო დანაშაული".

ყველა ის დანაშაული, რომელიც დასახელებული კოდექსების დამატებით თავებშია მოცემული, დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკათა კოდექსებში მეტწილად გათვალისწინებულია სათანადო თავებში.

2. ცალკეული თავების დასათაურება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კოდექსებში ერთნაირი არ არის. ასე, მაგალითად, საქ. სსრ სს კოდექსის მესამე თავს — „დანაშაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ" — აზერბაიჯანის (აგრეთვე ესტონეთის, ლიტვიის სსრ) სს კოდექსში შემოკლებით ეწოდება „დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ"; საქ. სსრ სს კოდექსის მეოთხე თავს — „დანაშაული მოქალაქეთა პოლიტიკური და შრომითი უფლებების წინააღმდეგ" — ბელორუსიის სსრ სს კოდექსში აქვს ასეთი დასათაურება — „დანაშაული მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი, საბინაო და სხვა უფლებათა წინააღმდეგ"; ესტონეთის სსრ სს კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მეორე თავს ეწოდება „დანაშაული სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ", ნაცვლად — „დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ", როგორც ეწოდება საქ. სსრ, რსფსრ და სხვ. სს კოდექსების შესაბამის თავს და ა. შ.

3. თავების განლაგება მოკავშირე რესპუბლიკათა სს კოდექსებში არ არის ერთნაირი. მაგალითად, უზბეკეთისა და მოლდავეთის სსრ სს კოდექსებში თავი პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის შესახებ მოთავსებულია რიგით მეორე ადგილზე (სახელმწიფო დანაშაულის შემდეგ), ხოლო მის შემდეგ — დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ. უზბეკეთის სსრ სს კოდექსში

თავი „დანაშაული პირადი საკუთრების წინააღმდეგ“ უშუალოდ მოსდევს თავს — „სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ დანაშაული“. ყაზახეთის სსრ სს კოდექსში თავი „სამეურნეო დანაშაული“ მოთავსებულია თავის „თანამდებობრივი დანაშაულის“ შემდეგ და არა მის წინ, როგორც სხვა დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკათა სს კოდექსებში და ა. შ.

4. ერთი და იმავე დანაშაულის შედგენილობა ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების სხვადასხვა თავებშია მოქცეული. ასე, მაგალითად, მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევა გათვალისწინებულია საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მეექვსე თავში (სამეურნეო დანაშაული), ხოლო რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსში — მეათე თავში (დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ) და ა. შ.

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელოში ცალკეულ დანაშაულთა შედგენილობა განმარტებულია საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისტემის შესაბამისად.

თავი I

სახელმწიფო დანაშაული

1. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული

§ 1. საბჭოთა კანონმდებლობა განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულთან ბრძოლის შესახებ (მოკლე ისტორიული მიმოხილვა)

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად მსოფლიოში შეიქმნა პირველი სოციალისტური სახელმწიფო. გამარჯვებულმა მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამსხვრია მშრომელთა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ძველი სახელმწიფო აპარატი, გააუქმა ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი სასამართლო სისტემა და რეაქციული კანონები, შეუდგა ახალი სოციალისტური სახელმწიფო აპარატისა და კანონმდებლობის შექმნას. ყოველივე ეს აუცილებლობას წარმოადგენდა, რადგან „პროლეტარული რევოლუცია შეუძლებელია ისე, თუ ძალდატანებით არ დაამსხვრიე ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა და არ შეცვალე იგი ა ხ ა ლ ი მანქანით...“[1]

კლასობრივი მტრები, ყოველი ჯურის ექსპლოატატორები როდი შეურიგდნენ ძალაუფლების დაკარგვას. პირიქით, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე ისინი საერთაშორისო ბურჟუაზიის დახმარებით შეუდგნენ გააფთრებულ ბრძოლას ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ დაკარგული პრივილეგიებისა და უფლებების აღდგენის მიზნით. ისინი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ყოველგვარი მზაკვრული ხერხებით იბრძოდნენ.

ნაშრომში — „პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი“ ვ. ი. ლენინი 1918 წ. წერდა: „კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა მთელ ისტორიულ ეპოქას წარმოადგენს. ვიდრე ეს ეპოქა არ დამთავრებულა, ექსპლოატატორებს აუცილებლად რჩებათ ეს-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 28, გვ. 284.

ტავრაციის იმედი, ხოლო ეს ი მ ე დ ი რესტავრაციის ც დ ე ბ ა დ იქცევა. პირველი სერიოზული დამარცხების შემდეგ დამხობილი ექსპლოატატორები, რომლებიც არ მოელოდნენ თავიანთ დამხობას, რომლებსაც არ სჯეროდათ ეს დამხობა, ფიქრადაც არ მოსდიოდათ იგი, გაათკეცებული ენერგიით, ცოფმორეული გზნებით, ასკეცად გაძლიერებული სიძულვილით ებმებიან ბრძოლაში წართმეული „სამოთხის" დასაბრუნებლად..."[1].

| მართლაც, დამხობილი კლასობრივი მტრის წინააღმდეგობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებშივე დაიწყო. ბურჟუაზია არ ერიდებოდა ბრძოლის არავითარ ხერხსა და საშუალებას. იგი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში აწყობდა შეიარაღებულ აჯანყებებს, შეთქმულებებს, კონტრრევოლუციურ საბოტაჟს, დივერსიულ და ტერორისტულ აქტებს, ჯაშუშობას და სხვა ამდაგვარ უბოროტეს ხელყოფას რევოლუციის მონაპოვარზე.

ყველა ცდა დამხობილი ექსპლოატატორული კლასებისა — შეიარაღებული ბრძოლით თუ სხვა საშუალებით მიეღწიათ თავიანთი მიზნისათვის — ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ ჩაახშო მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების აქტიური მონაწილეობითა და დახმარებით. კონტრრევოლუციური დანაშაულის ცნება, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1958 წ. 25 დეკემბერს მიღებულმა კანონმა სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ შეცვალა ტერმინით „განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული", გვხვდება საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებშივე გამოცემულ საკანონმდებლო აქტებში.

კლასობრივი ბრძოლის გაღრმავების პროცესში ეს ცნება, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იცვლებოდა მტრის წინააღმდეგობის ფორმა, შესაბამისად განიცდიდა გარკვეულ ცვალებადობას.

იმ საკანონმდებლო აქტებს შორის, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს მიერ იყო მიღებული ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად კლასობრივი მტრების ხელყოფისაგან, პირველ რიგში აღსანიშნავია საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის (1917 წ. 26 ოქტომბრის) დადგენილებები კონტრრევოლუციურ გამოსვლებთან ბრძოლის შესახებ, სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, არმიის რევოლუციური კომიტეტების შესახებ.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 28, გვ. 307.

რადგან კლასობრივი ბრძოლა რუსეთში სულ მეტად მწვავდებოდა, გახშირდა დამხობილი ექსპლოატატორული კლასების შეიარაღებული გამოსვლები, აუცილებელი შეიქნა კონტრრევოლუციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციალური ორგანოს შექმნა. ასეთ ორგანოს წარმოადგენდა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1917 წ. 7 (20) დეკემბრის დადგენილებით დაარსებული სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია (ВЧК), რომლის ხელმძღვანელობა დაეკისრა მგზნებარე რევოლუციონერსა და ლენინის ერთგულ თანამებრძოლს ფ. ე. ძერჟინსკის.

ახლად შექმნილ საგანგებო კომისიას დაევალა: ა) მთელ რუსეთში ყოველი სახის კონტრრევოლუციური და საბოტაჟური ცდებისა და მოქმედებათა (ვისგანაც არ უნდა გამოდიოდეს ის) დევნა და ლიკვიდაცია; ბ) ყველა კონტრრევოლუციონერისა და საბოტაჟის გამწევის გადაცემა რევოლუციური ტრიბუნალის სამართალში.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი 1917 წ. 7 (20) დეკემბერს ფ. ე. ძერჟინსკის სწერდა: „ბურჟუაზია, მემამულეები და ყველა მდიდარი კლასი მთელ ძალ-ღონეს იკრებენ, რათა ძირი გამოუთხარონ რევოლუციას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მუშების, მშრომელებისა და ექსპლოატირებული მასების ინტერესები.

ბურჟუაზია უბოროტეს დანაშაულს ჩადის, როცა მოსყიდვით იბირებს საზოგადოების ნაძირალებსა და გახრწნილ ელემენტებს, აკავშირებს მათ დარბევათა მიზნით. ბურჟუაზიის მომხრეები, განსაკუთრებით მაღალი მოსამსახურეებიდან, ბანკების მოხელეებიდან და სხვ., მუშაობის საბოტაჟს ეწევიან, აწყობენ გაფიცვებს, რათა ძირი გამოუთხარონ მთავრობის იმ ღონისძიებებს, რომლებიც სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელებისკენაა მიმართული. საქმე სასურსათო მუშაობის საბოტაჟამდეც კი მიდის, რაც შიმშილით ემუქრება მრავალ მილიონ ადამიანს.

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება კონტრრევოლუციონერებთან და მესაბოტაჟეებთან საბრძოლველად"[1].

საგანგებო კომისიას კონტრრევოლუციურ გამოსვლებთან ბრძოლის გარდა დაევალა თანამდებობრივი დანაშაულის, ბანდიტიზმისა და სპეკულაციის დევნაც. რევოლუციის მტრების წინააღმდეგობის დასაძლევად მას მიენიჭა იმის უფლებაც, რომ დამნაშავეთათვის უშუალოდ შეეფარდებინა სისხლის სამართლის სასჯელის ზომები.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია (ВЧК), პროლეტარული

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 26, გვ. 435.

რევოლუციის მონაპოვრის ეს ერთგული და საიმედო დამცველი, მშრომელთა ფართო მასების მხარდაჭერითა და აქტიური დახმარებით ბრწყინვალედ ასრულებდა თავის დანიშნულებას.

მოხსენებაში საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობაზე, 1921 წ. 23 დეკემბერს. საგანგებო კომისიის შესახებ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „ეს ის დაწესებულებაა, რომელიც შემმუსვრელი იარაღი იყო ჩვენს ხელში უამრავი შეთქმულების, საბჭოთა ხელისუფლებაზე უამრავი ხელყოფის წინააღმდეგ იმ ადამიანების მხრივ, რომლებიც ჩვენზე უსაზღვრად უფრო ძლიერნი იყვნენ... ასეთი დაწესებულების უქონლად მშრომელთა ხელისუფლება ვერ იარსებებს, ვიდრე იარსებებენ ქვეყნად ექსპლოატატორები, რომლებსაც არა აქვთ სურვილი ლანგარით მიართვან მუშებსა და გლეხებს თავიანთი უფლებები მემამულეებისა, თავიანთი უფლებები კაპიტალისტებისა"[1].

როგორც აღნიშნული იყო, დამხობილი ექსპლოატატორული კლასები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ თვეებში ფართოდ იყენებდნენ ბრძოლის ისეთ ფორმას, როგორიც იყო სახელმწიფო და კერძო დაწესებულება-საწარმოთა ძველი მოხელეების მხრივ საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა საბოტაჟი. 1917—1918 წწ. მიღებული დეკრეტების შესაბამისად, საბოტაჟი ნიშნავდა საწარმოების გაფუჭებას, მის შემცირებას, ძირის გამოთხრას, პურის მარაგის გადამალვას, საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტებისა და ბრძანებების შეუსრულებლობას, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმას და ა. შ.

1918 წლის პირველ ნახევარში შინაგანი კონტრრევოლუცია იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარებით აქტიურ შეტევაზე გადადის, ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში აწყობს ანტისაბჭოთა შეთქმულებებს, ტერორისტულ აქტებს რევოლუციის თვალსაჩინო მოღვაწეთა მიმართ. 1918 წლის 30 აგვისტოს ესერმა ქალმა კაპლანმა ქ. მოსკოვში განახორციელა მცდელობა ვ. ი. ლენინის სიცოცხლეზე. იმავე დღეს მოკლეს პეტროგრადის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე მ. ს. ურიცკი და ა. შ.

ამასთან დაკავშირებით სრულიად რუსეთის ცაკის მიერ მიღებულ მიმართვაში ყველა საბჭოს, არმიისა და მოქალაქისადმი (1918 წლის 31 აგვისტო) ნათქვამი იყო, რომ „ბელადებზე მცდელობას მუშათა კლასი უპასუხებს თავისი ძალების კიდევ მეტი შემჭიდრო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 197—198.

ებით, უპასუხებს დაუზოგავი მასობრივი ტერორით ყველა მტრის წინააღმდეგ".

(1918 წლის 5 სექტემბერს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ სრ. რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის — ფ. ე. ძერჟინსკის მოხსენების საფუძველზე მიიღო დადგენილება წითელი ტერორის შემოღების შესახებ. დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ დახვრეტილ იქნება ყველა პირი, ვისაც რაიმე კავშირი აქვს კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებთან, შეთქმულებებთან და აჯანყებებთან.)

წითელი ტერორის შემოღებამ, უცხოეთის ინტერვენციასა და შინაგან კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად მშრომელთა ყველა ძალის მობილიზაციამ საშუალება მისცა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ჩაეხშო ესერების, მენშევიკების, ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და მშრომელთა სხვა მტრების ყველა ცდა შეიარაღებული გზით მიეღწიათ საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის.

ამ პერიოდში საბჭოთა მთავრობამ კონტრრევოლუციურ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით გამოსცა მრავალი სამართლებრივი ნორმა. მათ შორის აღსანიშნავია: სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 5 იანვრის დეკრეტი „სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციის მითვისების ყველა ცდის კონტრრევოლუციურ მოქმედებად ჩათვლის შესახებ", სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 30 ივლისის დადგენილება „საგანგაშო ზარის შესახებ" („О набатном звоне"), სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის 1919 წლის 26 აპრილის დადგენილება „კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად საშუალო და უღარიბესი გლეხობის მოწოდების შესახებ" და სხვ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აგრეთვე სრულიად რუსეთის ცაკის საკასაციო განყოფილების 1918 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება „რევოლუციური ტრიბუნალების ქვემდებარეობის შესახებ" (ამ დადგენილებაში ვრცლად იყო აღწერილი ზოგიერთი კონტრრევოლუციური დანაშაულის, მათ შორის ჯაშუშობისა და საბოტაჟის ნიშნები) და 1919 წ. 20 ნოემბერს დამტკიცებული დებულება რევოლუციური სამხედრო ტრიბუნალის შესახებ. ეს დებულება კონტრრევოლუციურად თელიდა შემდეგი სახის დანაშაულს: 1. შეთქმულებას და აჯანყებას საბჭოთა სოციალისტური წყობილების დამხობის მიზნით; 2. საბჭოთა რესპუბლიკის ღალატს; 3. ჯაშუშობას; 4. აჯანყებას მუშურ-გლეხური მთავრობის ორგანოებისა და მის მიერ დადგენილი ხელისუფლების წინააღმდეგ; 5. წინააღმდეგობას

რესპუბლიკის კანონების ან დადგენილებათა მოთხოვნისა და საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებათა ცხოვრებაში გატარებისათვის; 6. აგიტაციასა და პროპაგანდას, რომელიც მიზნად ისახავს მასების ან ჯარის ნაწილების მიერ ზემომითითებულ დანაშაულებრივ ქმედობათა ჩადენას; 7. საიდუმლო ცნობებისა და დოკუმენტების გახმაურებას; 8. საბჭოთა ხელისუფლებისა, წითელი არმიის ჯარებისა და მოწინააღმდეგის შესახებ ცრუ ცნობებისა და ხმების გავრცელებას; 9. საიდუმლო გეგმების და სხვა საიდუმლო დოკუმენტების გატაცებას ან განადგურებას; 10. რკინიგზის ხაზის, ხიდებისა და სხვა ნაგებობათა, აგრეთვე ტელეგრაფისა და ტელეფონის ხაზების და სახაზინო ქონების საწყობების განზრახ განადგურებას ან დაზიანებას.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში კონტრრევოლუციურ დანაშაულთან ბრძოლა წარმოებდა ცალკეული საკანონმდებლო აქტების, საბჭოთა სახელმწიფოს დეკრეტების საფუძველზე, რომლებიც წარმოადგენდნენ კომუნისტური პარტიის პროპაგანდის საშუალებას და, ამავე დროს, სახელმძღვანელოს პრაქტიკული საქმიანობისათვის. „ჩვენი დეკრეტი, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი რკპ (ბ) VIII ყრილობაზე 1919 წლის 23 მარტს წარმოთქმულ სიტყვაში, — არის მოწოდება, მაგრამ მოწოდება არა წინანდელი სულისკვეთებით: „მუშებო, აღსდექით, დაამხეთ ბურჟუაზიაო“! არა, ეს არის მოწოდება მასებისადმი, მათი მოწოდება პრაქტიკული საქმისაკენ. დ ე კ რ ე ტ ე ბ ი, ე ს ა რ ი ს ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ე ბ ი, რ ო მ ლ ე ბ ი ც მ ო უ წ ო დ ე ბ ე ნ მ ა ს ო ბ რ ი ვ ი პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ს ა ქ მ ი ს ა კ ე ნ... დეკრეტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ასწავლოს პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა ასობით, ათასობით და მილიონობით ადამიანებს, რომლებიც ყურს უგდებენ საბჭოთა ხელისუფლების ხმას“[1].

1922 წ., როდესაც საბჭოთა სახელმწიფოს საშუალება მიეცა გადასულიყო მშვიდობიან აღდგენით მუშაობაზე, მომწიფდა სათანადო პირობები სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარგში ფართო საკოდიფიკაციო საქმიანობისათვის. 1922 წ. მიღებულ იქნა პირველი საბჭოთა (რსფსრ) სისხლის სამართლის კოდექსი, რომელმაც განაზოგადა და დააზუსტა კონტრრევოლუციური დანაშაულის შესახებ ადრე გამოცემული საბჭოთა კანონმდებლობა, გარკვეული სისტემით გაითვალისწინა კონტრრევოლუციური დანაშაულის ყველა ძირითადი შედგენილობა. 1922—23 წწ. აღნიშნული კოდექსის

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 29, გვ. 236—237.

შესაბამისად გამოცემულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსები სხვა საბჭოთა რესპუბლიკებშიც, მათ შორის საქართველოს სსრ-შიც.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში დამხობილი ექსპლოატატორული კლასები, რომლებმაც უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის შეშველობით ვერ შეძლეს თავიანთი ძალაუფლების აღდგენა, შეუდგნენ კლასობრივი ბრძოლის ისეთ შენიღბულ ფორმებს, როგორიც იყო მავნებლობა, საბოტაჟი და სხვა მსგავსი მტრული მოქმედებანი. მაგრამ, ამასთან ერთად, დამხობილი ექსპლოატატორული კლასების ნარჩენები იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარებით აშკარა შეიარაღებულ გამოსვლებსაც კი აწყობდნენ. ამ მხრივ უნდა გავიხსენოთ შეიარაღებული კონტრრევოლუციური აჯანყება კრონშტადტში 1921 წ., საქართველოში — 1924 წ., შეიარაღებული ბანდების მოქმედება უკრაინასა და შუა აზიაში, შორეულ აღმოსავლეთსა და სხვა ადგილებში.

ასეთ პირობებში ახლად მიღებული საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსები წარმოადგენდა მნიშვნელოვან სამართლებრივ საფუძველს კონტრრევოლუციურ დანაშაულთა წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის წარმოებისათვის, ფრიად ქმედით საშუალებას საბჭოთა სახელმწიფოს საიმედოდ დაცვისა და განმტკიცებისათვის.

რსფსრ 1922 წ. კოდექსის 57-ე მუხლში მოცემული იყო კონტრრევოლუციური დანაშაულის ზოგადი ცნების განმარტება. ამ მუხლის რედაქტირებაში უშუალო მონაწილეობა მიიღო ვ. ი. ლენინმა. აღნიშნულ მუხლს მეორე ნაწილი (დაწყებული სიტყვებით „...აგრეთვე მოქმედება მიმართული საერთაშორისო ბურჟუაზიის იმ ნაწილის დასახმარებლად") პირველად არ ჰქონდა და შემდეგში დაეშატა ვ. ი. ლენინის მითითების საფუძველზე.

სრულიად რუსეთის მეათე მოწვევის ცაკის მეორე სესიაზე, 1923 წლის ივლისში, დასახელებული 57-ე მუხლის რედაქცია შეიცვალა იმ მხრივ, რომ ისეთ მოქმედებასთან ერთად, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ, კონტრრევოლუციურად ჩაითვალა აგრეთვე მოქმედება, მიმართული მისი შესუსტებისა და ძირის გამოთხრისაკენ; შემდეგ, კონტრრევოლუციურ დანაშაულად იქნა მიჩნეული მოქმედება, ჩადენილი არა მარტო პირდაპირი განზრახვით, არამედ არაპირდაპირი (ევენტუალური) კონტრრევოლუციური განზრახვითაც. „ასეთი დაზუსტება კონტრრევოლუციური დანაშაულის ზოგადი ცნებისა გაპირობებული იყო კლასობრივი ბრძოლის ფორმების შეცვლით, კერძოდ, ეკო-

ნომიური კონტრრევოლუციის დაწყებით"[1]. სწორედ ამ პერიოდში ანტისაბჭოთა საქმიანობის ძირითადი მეთოდი გახდა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური სიძლიერისა და მისი თავდაცვისუნარიანობის შესასუსტებლად გამიზნული ისეთი კონტრრევოლუციური დანაშაული ეკონომიურ დარგში, როგორიც იყო მავნებლობა.

კონტრრევოლუციური დანაშაულის ცნებისა და ცალკეული სახეების შემდგომი დაზუსტება და განვითარება განხორციელდა სახელმწიფოებრივ დანაშაულთა დებულებაში, რომელიც მიღებულ იქნა მესამე მოწვევის სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიაზე 1927 წლის 25 თებერვალს. ეს დებულება, როგორც საერთო საკავშირო მნიშვნელობის კანონი, უცვლელად იქნა შეტანილი ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსებში.

აღნიშნული დებულების პირველი მუხლის ძალით, კონტრრევოლუციურ მოქმედებად ჩაითვლებოდა ისეთი მოქმედება, რომელიც მიმართული იყო მუშათა და გლეხთა საბჭოების ხელისუფლებისა და ამ საბჭოების მიერ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციის საფუძველზე არჩეულ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა მთავრობის ხელისუფლების დასამხობად, შესასუსტებლად ან ძირის გამოსათხრელად, ან ისეთი მოქმედება, რომელიც მიმართული იყო სსრ კავშირის გარეშე საფრთხისაგან დაცვის საქმისა და პროლეტარული რევოლუციის ძირითად სამეურნეო, პოლიტიკურ და ნაციონალურ მონაპოვართა ძირის გამოსათხრელად ან შესასუსტებლად.

მშრომელთა ინტერესების საერთაშორისო სოლიდარობის თვალსაზრისით, ასეთივე მოქმედება კონტრრევოლუციურ მოქმედებად ითვლებოდა იმ შემთხვევაშიაც, როდესაც იგი მიმართული იყო მშრომელთა ყველა სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუნდაც ეს სახელმწიფო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში არც ყოფილიყო.

1929 წლის 21 ნოემბერს სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის იმ მოქალაქე-თანამდებობის პირთა კანონგარეშე გამოცხადების შესახებ, რომელნიც საზღვარგარეთ მუშათა და გლეხების მტერთა ბანაკში გადავიდნენ და უარს აცხადებენ სსრ კავშირში დაბრუნებაზე". ეს კანონი, სპეციალური სახის მოღალატური ქმედობის შესახებ, ზემოდასახელებულ დებუ-

---

1 Особо опасные государственные преступления, М., 1963, зд. 54.

ლებაში შეტანილი არ ყოფილა და მოქმედებდა დამოუკიდებელი ცალკე კანონის სახით[1].

/ 1934 წლის 8 ივნისს სსრ კავშირის ცაკის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება სამშობლოს ღალატისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ სახის კონტრრევოლუციურ დანაშაულთან წარმატებით ბრძოლაში. ამ კანონით შემდგომ შევსებულ იქნა 1927 წლის სახელმწიფოებრივი დანაშაულის დებულება (იხ. საქ. სსრ 1928 წ. რედ. სისხლის სამართლის კოდექსის 58[1]-ე „ა", 58[1]-ე „ბ", 58[1]-ე „გ" და 58[1]-ე „დ" მუხლები).

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდი ხასიათდებოდა კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით. კულაკები სოფლად მიმართავდნენ ტერორისტულ აქტებს საბჭოთა აპარატისა და სოფლის აქტიურ მომუშავეთა მიმართ, ეწეოდნენ ანტისაბჭოთა აგიტაციას კოლმეურნეობათა დაშლის მიზნით და ა. შ.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ მშრომელთა ფართო მასების მხარდაჭერით მოკლე დროში იქნა ლიკვიდირებული კულაკობა როგორც კლასი და ბრწყინვალედ განხორციელდა პარტიის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის შესახებ.

1936 წ. საბჭოთა კონსტიტუციამ ხაზი გაუსვა სოციალისტური კანონიერების განმტკიცების აუცილებლობას და მოქალაქეთა მიერ საბჭოთა კანონების განუხრელად დაცვის მოვალეობას, ამასთან გაითვალისწინა აგრეთვე ისეთი ცალკეული დებულებები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული კონტრრევოლუციურ დანაშაულთან სასტიკი ბრძოლის წარმოებასთან. ასე, მაგალითად, კონსტიტუციის 133-ე მუხლში ნათქვამია, რომ „სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა. სამშობლოს ღალატი: ფიცის გატეხა, მტრის მხარეზე გადასვლა, სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებისათვის ზიანის მიყენება, ჯაშუშობა — ისჯება კანონის მთელი სიმკაცრით, როგორც ყველაზე მძიმე ბოროტმოქმედება".

იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკამ უზრუნველყო სსრ კავშირში ექსპლოატატორული კლასების საბოლოო განადგურება და სოციალიზმის გამარჯვება, კონტრრევოლუციურ დანაშა-

---

[1] 1929 წლის 21 ნოემბრის დადგენილება (იხ. სსრკ კკ. 1929, № 76, მუხ. 732) ითვალისწინებდა დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის განსაკუთრებულ საპროცესო წესს.

ულს გამოეცალა მისი მასაზრდოებელი საფუძველი (რასაც ადრე წარმოადგენდნენ კულაკები და ექსპლოატატორული კლასების სხვა ნაშთები), მის ცალკეულ სახეებს ჩადიოდა მხოლოდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დაზვერვის ორგანოების აგენტურა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, წამოყენებულ იქნა დებულება კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებისა და გამწვავების შესახებ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა მოპოვებასთან ერთად. ეს დებულება საფუძვლად დაედო სოციალისტური კანონიერების უხეშ დამახინჯებას; ხალხისა და საბჭოთა ქვეყნის ერთგული ადამიანების განადგურებას ცილისმწამებლური ბრალდებით.

ამ პერიოდში გამოიცა ისეთი საგანგებო კანონებიც, რომლებიც ხელს უწყობდნენ თვითნებობასა და აღვირახსნილობას, ასევე შეიქმნა გარესასამართლო ორგანოები, რომლებიც კანონიერების ელემენტარული მოთხოვნის უგულებელყოფით უფარდებდნენ უდანაშაულო ადამიანებს სასჯელის მკაცრ ზომებს.

დიდი სამამულო ომის დროს ქვეყნის მთელი ძალები იქნა მობილიზებული ვერაგი და ძლიერი მტრის გასანადგურებლად, სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის გასამტკიცებლად. ფაშისტების დაზვერვა ყოველმხრივ ცდილობდა შეესუსტებინა ქვეყნის ზურგი, შეშფოთება და არევ-დარევა შეეტანა მოსახლეობაში. მტრის ჯაშუშები და დივერსანტები სამხედრო ნაწილების განლაგების ადგილებსა და შორეულ ზურგშიც კი ცდილობდნენ განეხორციელებინათ დივერსიები, შეეკრიბათ ჯაშუშური ცნობები, გაეწიათ მოსახლეობასა და სამხედრო მოსამსახურეთა შორის ფაშისტური აგიტაცია.

ასეთ ვითარებაში მტრის ყოველი სახის ვერაგობის აღსაკვეთად, სხვადასხვაგვარ კონტრრევოლუციურ გამოვლინებათა წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო გახდა ზოგიერთი დამატებითი კანონის გამოცემა[1]. ამ მხრივ აღსანიშნავია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 22 ივნისის ბრძანებულება „სამხედრო მდგომარეობის შესახებ“ (რომლის ძალით, განხილვა ყველა საქმისა თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და სახელმწიფოებრივი უშიშროების წინააღმდეგ დაეკისრა სამხედრო ტრიბუნალებს), 1941

[1] უნდა აღინიშნოს, რომ ომის პერიოდში კონტრრევოლუციურ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერებას არ გამოუწვევია რაიმე ცვლილების ან დამატების შეტანა სახელმწიფოებრივ დანაშაულთა 1927 წლის დებულებაში. ძირითადად სწორედ ამ დებულების საფუძველზე აწარმოებდნენ საბჭოთა საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები ბრძოლას კონტრრევოლუციურ დანაშაულთან.

წლის 6 ივლისის ბრძანებულება „ომიანობის დროს მოსახლეობაში შეშფოთების გამომწვევი ცრუ ხმების გავრცელებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“, აგრეთვე 1943 წლის 19 აპრილის ბრძანებულება, რომელიც სასჯელის მკაცრ ზომებს აწესებდა საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ უმძიმეს ბოროტმოქმედებაში ბრალეულ გერმანელ-ფაშისტ დამნაშავეთა და მათი დამხმარეებისათვის და სხვ. (ამ ბრძანებულებამ საბჭოთა მოქალაქეებისა და სამხედრო ტყვეების მკვლელობა-წამებისათვის, აგრეთვე სამშობლოს ღალატისა და ჯაშუშობისათვის დააწესა სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით).

სამამულო ომის ისტორიული გამარჯვებით დამთავრებამ, ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარებამ განაპირობა ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის გამოცემა. სახელდობრ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 7 ივლისის ბრძანებულებისა „ამნისტიის შესახებ ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების გამო“ (ამნისტიით სასჯელის მოხდისაგან თავისუფლდებოდნენ სამ წელზე არა უმეტესი ვადით მსჯავრდებულნი, მათ შორის კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის მსჯავრდებულნიც). 1947 წლის 26 მაისის ბრძანებულებისა „სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ“, რომლითაც გაუქმებულ იქნა სიკვდილით დასჯა მშვიდობიან დროს ყველა სახის დანაშაულისათვის (იმის გამო, რომ ომის შემდგომ პერიოდში იმპერიალისტური ქვეყნების რეაქციულმა წრეებმა გააძლიერეს ძირგამომთხრელი საქმიანობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ცალკეულ მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე 1950 წლის 12 იანვარს მიღებული ბრძანებულებით დაშვებულ იქნა სიკვდილით დასჯის შეფარდების შესაძლებლობა სამშობლოს მოღალატეების, ჯაშუშებისა და დივერსანტების მიმართ), 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულებისა „ამნისტიის შესახებ“ (რომელმაც გაათავისუფლა სასჯელის მოხდისაგან ყოველი სახის დანაშაულისათვის ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულნი) და ა. შ.

1953 წ. გაუქმდა ადრე მოქმედი განსაკუთრებული წესი სახელმწიფოებრივი დანაშაულის შესახებ საქმეების გამოკვლევა-განხილვისა და ასეთ დანაშაულში ბრალეული პირების დასჯისა (დაწესდა, რომ ამ დანაშაულთა შესახებ საქმეები განიხილება საერთო წესის მიხედვით მხოლოდ სასამართლოს მიერ). ამასთან დაკავშირებით ლიკვიდირებულ იქნა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრთან არსებული განსაკუთრებული სათათბირო.

სკკპ XX, XXI, XXII და XXIII ყრილობებზე მიღებული გადა-

წყვეტილებები მიმართულია პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში ლენინური ნორმების აღდგენისაკენ, სოციალისტური დემოკრატიზმის შემდგომი განვითარებისა და საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა და კანონიერი ინტერესების განუხრელად დაცვისაკენ.

სკკპ XX ყრილობის შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ითვალისწინებდნენ საბჭოთა სისხლის სამართლისა და საპროცესო სამართლის დემოკრატიული საწყისების გაძლიერებას და საბჭოთა სახელმწიფო აპარატისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის დემოკრატიზაციას.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარებაში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მიერ 1958 წლის 25 დეკემბერს მიღებული კანონი სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. ამ კანონის გამოცემა გაპირობებული იყო იმით, რომ ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა 1927 წლის დებულება სახელმწიფოებრივი დანაშაულის შესახებ, ჩვენს ქვეყანაში ადგილი ჰქონდა ისტორიული მნიშვნელობის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის ცვლილებებს, ლიკვიდირებულ იქნა ექსპლოატატორული კლასები, მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა, საბჭოთა კავშირი შევიდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

ბუნებრივია, ასეთ ვითარებას საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში უნდა გამოეწვია გარკვეული ცვლილებანი საერთოდ კანონმდებლობაში და კერძოდ, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. აღსანიშნავია, რომ 1927 წლის დებულების ცალკეული ნორმები უკვე მოძველებული, თანამედროვე პირობებისათვის შეუსაბამო აღმოჩნდა და მათი გაუქმების საჭიროება აუცილებელი გახდა, ხოლო ზოგიერთი მათგანი კიდევ მოითხოვდა დაზუსტებას, მათში მეტი სიცხადისა და გარკვეულობის შეტანას. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1927 წლის კანონის ბევრი მნიშვნელოვანი დებულება, ცხადია, შენარჩუნებულ იქნა 1958 წ. კანონის მიერ.

1958 წლის 25 დეკემბრის კანონი სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ მთლიანად და უცვლელად შეტანილია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის ახალ კოდექსებში, რომლებიც მიღებულია 1959—61 წლების მანძილზე.

უცხოეთის მტრულ დაზვერვათა ძირგამომთხრელი საქმიანობის

წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის საქმეში დიდი როლი შეასრულა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 13 იანვრის ბრძანებულებამ „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის I მუხლის დამატების შესახებ". ამ ბრძანებულების თანახმად, აღნიშნული კანონის პირველ მუხლს დაემატა შემდეგი დებულება: „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება სსრ კავშირის მოქალაქეს, რომელიც უცხოეთის დაზვერვამ გადაიბირა სსრ კავშირის წინააღმდეგ მტრული საქმიანობის განსახორციელებლად, თუ მან მიღებული დანაშაულებრივი დავალების შესასრულებლად არავითარი მოქმედება არ ჩაიდინა და ნებაყოფლობით განუცხადა ხელისუფლების ორგანოებს უცხოეთის დაზვერვასთან თავისი კავშირის შესახებ".

აღსანიშნავია აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 თებერვლის ბრძანებულება, რომლის ძალით კანონს სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ დაემატა 27-ე მუხლი ზოგიერთი სახის სახელმწიფო დანაშაულის წინასწარ არშეპირებული დაფარვისათვის პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ და 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულება „განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ". ამ ბრძანებულების საფუძველზე დაუშვებელია განსაკუთრებით საშიში დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთა გათავისუფლება პირობით-ვადამდე; ასეთ პირებს სასჯელის დამატებითი ღონისძიების სახით უნდა შეეფარდოთ გადასახლება ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, 1958 წლის კანონმა სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ ტერმინი „კონტრრევოლუციური დანაშაული" შეცვალა ტერმინით „განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული", რადგან ეს უკანასკნელი უფრო შეესაბამება ახლანდელ ვითარებას, ხოლო ტერმინმა „კონტრრევოლუციური დანაშაული" დაკარგა თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

1958 წლის კანონი სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ ორი კარისაგან შედგება: ა) განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული და ბ) სხვა სახელმწიფო დანაშაული. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, განსხვავებით სხვა არაგანსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისაგან, ხასიათდება გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროებით, იმ მძიმე შედეგით, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მას (მნი-

შვნელოვანი ზიანის მიყენება სსრ კავშირის სახელმწიფო დამოუკიდებლობისა, ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და სამხედრო ძლიერებისათვის, საბჭოთა წყობილების ეკონომიური საფუძვლის— სოციალისტური საკუთრებისათვის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის).

§ 2. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ზოგადი ცნება

1958 წ. 25 დეკემბრის კანონში სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ (1927 წლის დებულებისაგან განსხვავებით) განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ზოგადი ცნების განმარტება მოცემული არ არის.

ეს ცნება შეიძლება გაგებულ იქნეს განსახილველი დანაშაულის ცალკეული სახეების ანალიზის მეშვეობით.

დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს: 1. საბჭოთა ხელისუფლება; 2. სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ტერიტორიული ხელშეუხებლობა ან სამხედრო სიძლიერე; 3. ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობა.

მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის გამო, განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, ჩადენილი მშრომელთა სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ისჯება შესაბამისად სისხლის სამართლის კოდექსის იმ სათანადო მუხლისა, რომელიც გათვალისწინებულია განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულთა კარში.

ობიექტური ნიშნების მიხედვით განსახილველი დანაშაული ხასიათდება საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების ან მისთვის ძირის გამოთხრისაკენ მიმართული კონკრეტული აქტიური მოქმედებით ან პასიურობით, უმოქმედობით.

ასეთი ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), როგორც საზოგადოებრივად საშიში, ცხადია, გათვალისწინებული უნდა იყოს მოქმედ კანონში და, მაშასადამე, მიჩნეული დანაშაულად. ამის გარეშე, პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვერ მიეცემა (მოქმედი სისხლის სამართლის მიხედვით, პირი მარტოოდენ პოლიტიკური თუ სხვა სახის რწმენისათვის, შეხედულებისათვის, რაოდენ მიუღებელიც არ უნდა იყოს იგი, ვერ დაისჯება სისხლის სამართლის წესით).

აღნიშნული კატეგორიის ზოგიერთი სახის დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის არ არის საკალდებულო დანაშაულებრივი შედეგის დადგომა, არამედ საკმარისია იმის დადგენა, რომ ქმედობა მიმართული იყო საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრის ან შესუსტებისაკენ (ასეთია, მაგალითად, სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა, მავნებლობა, ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა, ომის

პროპაგანდა და სხვ.); დანარჩენი სახის დანაშაულისთვის კი, დამთავრებულად რომ ვიცნოთ, აუცილებელია განსაზღვრული დანაშაულებრივი შედეგის დადგენა (მაგალითად, ტერორისტული აქტისა, დივერსიისა).

სუბიექტური მხრივ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, ამასთან ანტისაბჭოთა მიზნით. დანაშაულის სუბიექტს აქვს იმის შეგნება, რომ მის ქმედობას შეუძლია საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტება ან ძირის გამოთხრა და სურს კიდეც ამგვარი ქმედობის ჩადენა.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთ მუხლში (სადაც გათვალისწინებულია ტერორისტული აქტი, დივერსია, მავნებლობა და სხვ.) მითითებულია ქმედობის მიზანზე როგორც დანაშაულის სუბიექტური მხარის აუცილებელ ელემენტზე.

სუბიექტური მხრივ ყველა სახის განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, იმის მიუხედავად, კანონის შესაბამისი ნორმა ითვალისწინებს თუ არა მისი ჩადენის მიზანს, ყოველთვის პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. იურიდიულ ლიტერატურაში პროფ. ა. პიონტკოვსკის მიერ გამოთქმული იყო სხვა მოსაზრებაც. მისი აზრით, „ხელყოფა სსრ კავშირის საგარეო უშიშროებაზე შეიძლება ჩადენილ იქნეს არა მარტო პირდაპირი განზრახვით, არამედ არაპირდაპირი კონტრრევოლუციური განზრახვითაც (მაგალითად, მტრისათვის სახელმწიფო საიდუმლოების გადაცემა ფულის აღებით)"[1]. პროფ. ა. პიონტკოვსკის ეს შეხედულება სამართლიანად არის გაკრიტიკებული სხვა ავტორების მიერ. ასე, მაგალითად, ვ. ფ. კურლიანსკი წერს: „...ჯაშუშური საქმიანობა სასყიდლის მიღებით არის ჯაშუშობა ჩადენილი პირდაპირი განზრახვით. ასეთ შემთხვევაში პირი თითქოს უერთებს თავის ნებას იმ პირის დანაშაულებრივ ნებას, რომელმაც მოისყიდა იგი დანაშაულის ჩასადენად. თუმცა მამოძრავებელი მოტივი წამქეზებლისა და ამსრულებლისა სხვადასხვაგვარია ამ შემთხვევაში (პირველისა — საბჭოთა ხელისუფლების სიძულვილი, ხოლო მეორესი — ანგარებითი ქვენა გრძნობა), ორივე ისწრაფვის მიაღწიოს წამქეზებლის მიერ დასახულ მიზანს, ორივეს სურს ზიანი მიაყენოს საბჭოთა საზოგადოებრივ ან სახელმწიფოებრივ წყობილებას და, მაშასადამე, მოქმედებს პირდაპირი განზრახვით". [2]

---

[1] А. А. Пионтковский, В. Д. Меньшагин, Курс советского уголовного права, Особенная часть, т. I, М., 1955, გვ. 132—133.

[2] Особо опасные государственные преступления, М., 1963, გვ. 29.

განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც უშუალოდ ანტისაბჭოთა მისწრაფება, სურვილი (მტრობა, სიძულვილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი), ასევე სხვა ხასიათის მამოძრავებელი გრძნობებიც (ანგარება, ლაჩრობა და ა. შ.). მოტივის შინაარსს, რომლის ზეგავლენითაც იყო ჩადენილი განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, შეიძლება მნიშვნელობა მიეცეს მხოლოდ სასჯელის ზომის განსაზღვრისათვის და არა დანაშაულის შედგენილობისათვის.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტური მხარის შესახებ საკითხის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის მოსაზრებას გამცემლობის მოტივების საკითხზე, რომელიც მან გამოთქვა 1920 წლის 14 თებერვალს დაწერილ „პუბლიცისტის შენიშვნებში". „პირადი აზრით, — წერდა ვ. ი. ლენინი, — განსხვავება სისუსტის გამო გამცემსა და ფანზრახ, შეგნებულ და ანგარებით გამცემს შორის ძალიან დიდია. პოლიტიკური მხრივ ასეთი განსხვავება ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს, რადგან პოლიტიკა — მილიონობით ადამიანების ფაქტიური ბედ-იღბალია, ხოლო ეს ბედ-იღბალი არ იცვლება იმით, სისუსტის გამო გამცემლებმა გასცეს მილიონობით მუშა და ღარიბი გლეხი თუ ანგარებით გამცემლებმა" [1].

სწორად არის სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული, რომ არც იურიდიული კვალიფიკაციის მხრივ განსხვავდება ერთიმეორისაგან გამცემლობა ჩადენილი სისუსტის თუ ანგარების გამო, რადგან განსახილველი კატეგორიის დანაშაულთა იურიდიული და პოლიტიკური კვალიფიკაცია, როგორც წესი, მთლიანად და საკმაებით თანაბარია.

განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი, როგორც სსრ კავშირის მოქალაქე, ასევე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირი. ექსტერიტორიალობის უფლების მქონე უცხოელების პასუხისმგებლობის საკითხი გადაიჭრება დიპლომატიური გზით.

გამონაკლისს ამ საერთო წესიდან შეადგენს სამშობლოს ღალატი, რომლის სუბიექტიც შეიძლება იყოს მხოლოდ საბჭოთა კავშირის მოქალაქე.

სუბიექტი მიღწეული უნდა იყოს 16 წლის ასაკს. პირს 14-დან 16 წლის ასაკამდე, შესაბამისად სს კოდექსის მე-12 მუხლისა, არ შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არც ერთი სახის განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 426.

ვის. ეს აიხსნება იმით, რომ მას არ შესწევს უნარი შეიგნოს თავისი ქმედობის პოლიტიკური აზრი. უკეთუ ასეთი ასაკის პირი გამოიყენა უფროსი ასაკის პირმა ტერორისტული აქტის ან დივერსიის ჩასადენად, მან პასუხი უნდა აგოს პიროვნების წინააღმდეგ ან სოციალისტური საკუთრების განადგურების თუ დაზიანების შესახებ კოდექსის შესაბამისი მუხლით, ხოლო უკანასკნელმა კი, როგორც უშუალო შემსრულებელმა, — ტერორისტული აქტის ან დივერსიისათვის. ასევე გადაწყდება საკითხი სხვა სახის განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის (მაგალითად, ჯაშუშობის, ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდისა და ა. შ.) ჩადენისას, იმ განსხვავებით, რომ 16 წელს მიუღწეველი პირი (უფროსი ასაკის პირის მიერ გამოყენებული ან წაქეზებული) საერთოდ არ მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ჩადენილი ქმედობისათვის მთლიანად პასუხს აგებს მხოლოდ ასაკოვანი პირი.

აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), ჩადენილი პირდაპირი განზრახვით საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების ან მისთვის ძირის გამოთხრის მიზნით.

მოქმედი კანონმდებლობის ძალით, განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულს მიეკუთვნება: სამშობლოს ღალატი (საქ. სსრ სს კოდექსის 65-ე მუხლი), ჯაშუშობა (66-ე მუხლი), ტერორისტული აქტი (67-ე მუხლი), ტერორისტული აქტი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ (68-ე მუხ.), დივერსია (69-ე მუხ.), მავნებლობა (70-ე მუხ.), ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა (71-ე მუხ.), ომის პროპაგანდა (72-ე მუხ.), ორგანიზაციული საქმიანობა, მიმართული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისაკენ, აგრეთვე ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილეობა (73-ე მუხ.) და განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, ჩადენილი მშრომელთა სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ (74-ე მუხ.).

§ 2. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ცალკეული სახეები

ა) სამშობლოს ღალატი

სამშობლოს ღალატი, გათვალისწინებული საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლში, უმძიმესია იმ დანაშაულთა შორის, რომლებიც შეიძლება ჩაიდინოს საბჭოთა კავშირის მოქალაქემ. სსრ კავშირის კონსტიტუციის 133-ე მუხლში ნათქვამია, რომ

„სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა. სამშობლოს ღალატი: ფიცის გატეხა, მტრის მხარეზე გადასვლა, სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებისათვის ზიანის მიყენება, ჯაშუშობა — ისჯება კანონის მთელი სისასტიკით, როგორც ყველაზე მძიმე ბოროტმოქმედება“.

სამშობლოს ღალატის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხელყოფს სსრ კავშირის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ ხელშეუხებლობასა და სამხედრო ძლიერებას, ე. ი. საერთო ჯამში — სსრ კავშირის საგარეო უშიშროებას.

ობიექტური მხრივ დანაშაული მდგომარეობს ისეთი ქმედობის ჩადენაში, რომელიც საზიანოა სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან სამხედრო ძლიერებისათვის, სახელდობრ: მტრის მხარეზე გადასვლაში, ჯაშუშობაში, სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების გაცემაში უცხო სახელმწიფოსათვის, საზღვარგარეთ გაქცევაში ან საზღვარგარეთიდან სსრ კავშირში დაბრუნებაზე უარის თქმაში. უცხო სახელმწიფოსათვის დახმარების გაწევაში სსრ კავშირის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში, აგრეთვე შეთქმულებაში ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით.

განსახილველი დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია ჩამოთვლილ მოქმედებათაგან თუნდაც ერთ-ერთის ჩადენა. სამშობლოს ღალატის შედგენილობისათვის არ არის სავალდებულო ფაქტიური ზიანის მიყენება სსრ კავშირის საგარეო უშიშროებისათვის. საკმარისია იმის დადგენა, რომ ქმედობა მიმართული იყო ასეთი ზიანის მიყენებისაკენ.

სამშობლოს ღალატი, როგორც წესი, შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ აქტიური მოქმედებით, მაგრამ არ არის გამორიცხული მისი ცალკეული სახის ჩადენა უმოქმედობითაც (მაგალითად, საზღვარგარეთიდან სსრ კავშირში დაბრუნებაზე უარის თქმა).

მტრის მხარეზე გადასვლა ნიშნავს საომარი მოქმედების დროს სსრ კავშირის მოქალაქის მიერ სამხედრო მოწინააღმდეგისათვის დახმარების გაწევას საბჭოთა კავშირის საგარეო უშიშროების ინტერესების საზიანოდ. ეს ქმედობა სხვადასხვა საშუალებით შეიძლება განხორციელდეს. სახელდობრ, ფრონტის ხაზზე გადასვლით მტრის მხარეზე, მტრის შეიარაღებულ ძალებში სამსახურით, დაზეერვის სკოლებში სწავლით და ა. შ.

დიდი სამამულო ომის პერიოდში მტრის მხარეზე გადასვლად ითვლებოდა გერმანელი ფაშისტებისათვის დახმარების გაწევა, საბჭოთა ადამიანების მკვლელობასა და წამებაში, მტრისათვის საბ-

ჭოთა პატრიოტების გაცემა, გერმანიის მოქალაქეობის მიღება და სხვ.

სამხედრო მოსამსახურის მიერ მტრის მხარეზე გადასვლად ჩაითვლება მოწინააღმდეგისათვის ომის წარმოების საშუალებათა ჩაბარება ან დატოვება მტრისათვის ხელის შეწყობის მიზნით, ნებაყოფლობით ტყვედ დანებება იმავე მიზნით, ტყვეობაში მყოფი სამხედრო მოსამსახურის ნებაყოფლობითი მონაწილეობა სამუშაოებში, რომელთაც სამხედრო მნიშვნელობა აქვს, ან სხვა ღონისძიებებში, რომელთაც წინასწარი შეცნობით შეუძლია ზიანი მიაყენოს საბჭოთა კავშირს ან მის მოკავშირე სახელმწიფოებს, თუ ეს ჩადენილია მტრისთვის ხელის შეწყობის მიზნით,

ჯაშუშობა, რომელსაც მოიცავს სამშობლოს ღალატის ცნება, განმარტებულია ქვემოთ, სისხლის სამართლის კოდექსის 66-ე მუხლის ანალიზისას.

სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების გაცემა გულისხმობს უცხო სახელმწიფოსათვის (საელჩოს, დაზვერვის ორგანოს ან მისი ცალკეული წარმომადგენლის მეშვეობით) ზეპირი ან წერილობითი სახით სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემას (წერილობითი მასალის, ნახაზების, ფოტოსურათების, მოდელების, ხელსაწყოებისა და სხვ.).

სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების გაცემა, განსხვავებით ჯაშუშობისაგან, იმით ხასიათდება, რომ გაცემული ცნობები დამნაშავეს კი არ შეუგროვებია სხვა პირთა მეშვეობით ან გაუტაცნია, დაწესებულება-ორგანიზაციებიდან თუ სხვა ადგილებიდან, არამედ ცნობილი იყო მისთვის თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის მიხედვით; გარდა ამისა გადაცემული ცნობები შეადგენდა მხოლოდ სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოებას და არა სხვა შინაარსის მქონეს, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჯაშუშობის დროს.

საზღვარგარეთ გაქცევა მდგომარეობს სსრ კავშირის მოქალაქის მიერ ანტისაბჭოთა მიზნით (სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან სამხედრო ძლიერების საზიანოდ) სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადასვლაში უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად. გაქცევა შეიძლება განხორციელდეს გემით, მატარებლით, თვითმფრინავით თუ სხვა საშუალებით არალეგალურად. დანაშაულის შედგენილობა იქნება მაშინაც, როდესაც გაქცევა მოხდა გემის ბაქნიდან ღია ზღვაში თუ უცხო სახელმწიფოს ტერიტორი-

ულ წყლებში, ასევე გაქცევა საზღვარგარეთ დისლოცირებულ საბჭოთა სამხედრო ნაწილიდან.

საზღვარგარეთ უკანონოდ წასვლა (დადგენილი პასპორტის ან სათანადო ხელისუფლების ნებართვის გარეშე) იმ პირისა, რომელსაც ანტისაბჭოთა მიზანი არ ჰქონია (მაგალითად, იმ მიზნით, რომ იცხოვროს ნათესავებთან ერთად, დაათვალიეროს უცხო ქვეყნები და ა. შ.) წარმოადგენს არა სამშობლოს ღალატს, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის 84-ე მუხლში გათვალისწინებულ დანაშაულს.

ისეთი შემთხვევა, როგორიც არის საბჭოთა მოქალაქის ფარულად მიმართვა უცხო ქვეყნის საელჩოსადმი თხოვნით, რათა დახმარება გაეწიოს საზღვარგარეთ გაქცევაში, უკეთუ იგი მოქმედებდა სსრ კავშირის საგარეო უშიშროებისათვის ზიანის მიყენების პირდაპირი განზრახვით, განიხილება დანაშაულის ჩადენის პირობების შექმნად და დაკვალიფიცირდება როგორც სამშობლოს ღალატისათვის მზადება.

საზღვარგარეთიდან სსრ კავშირში დაბრუნებაზე უარის თქმა გამოიხატება კანონიერი საფუძვლით (მაგ., მიელინებით, ტურისტული საგზურით და ა. შ.) საზღვარგარეთ მყოფი სსრ კავშირის მოქალაქის უარის თქმაში საბჭოთა ხელისუფლების სათანადო ორგანოების წინადადებაზე დაბრუნდეს სამშობლოში. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც პირი ნებაყოფლობით ამა თუ იმ სახით (წერილობით, სიტყვიერად) ნათლად და გარკვევით გამოხატავს უარს საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე. ამასთან დანაშაულის შედგენილობისათვის აუცილებელია იმის დადგენა, რომ პირს ამოქმედებდა საბჭოთა კავშირის ინტერესებისათვის ზიანის მიყენების მიზანი.

საზღვარგარეთიდან სსრ კავშირში დაბრუნებაზე უარის თქმა განსხვავდება საზღვარგარეთ გაქცევისაგან იმით, რომ პირველი ხასიათდება პირის წასვლით საზღვარგარეთ კანონიერ საფუძველზე, მაშინ როდესაც, მეორე გულისხმობს პირის წასვლას საზღვარგარეთ, როგორც წესი, უკანონოდ; შემდეგ, უკეთუ საზღვარგარეთიდან დაბრუნებაზე უარის თქმისას განზრახვა სსრ კავშირის საგარეო უშიშროებისათვის ზიანის მიყენებისა შეიძლება წარმოიშვას პირის კანონიერი გზით საზღვარგარეთ წასვლის შემდეგ, საზღვარგარეთ ყოფნისას ასეთი განზრახვა პირს ყოველთვის ექნება საზღვარგარეთ წასვლამდე.

უცხო სახელმწიფოსათვის დახმარების გაწევა სსრ კავშირის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში შეიძლება გამოიხატოს სსრ კავშირის ინტერესების წინააღმდეგ უცხო სახელმწიფოსათვის თუ

მის ცალკეულ წარმომადგენელთათვის მშვიდობიან დროს ისეთი დახმარების გაწევაში, როგორიც არის, მაგალითად, მათი აგენტისათვის თავშესაფრის აღმოჩენა, ძირგამომთხრელი ინფორმაციის მიწოდება, უცხო სახელმწიფოს დაზვერვის სამსახურში სსრ კავშირის მოქალაქეების გადაბირება და ა. შ.

უკეთუ დახმარების გაწევა დაკავშირებულია სხვა სახის განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის (მაგალითად, დივერსიის, მავნებლობის და სხვ.) ჩადენასთან, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით როგორც სამშობლოს ღალატი და სხვა შესაბამისი დანაშაული.

შეთქმულება ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით — ეს ყველაზე მძიმე და საშიში მოღალატური ქმედობა — წარმოადგენს პირთა ჯგუფის (ორი და მეტი პირის) საიდუმლო შეთანხმებას საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ურთიერთმოქმედებისათვის ცენტრში თუ ადგილებზე ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ სამშობლოს ღალატის ყოველი სახე განზრახი დანაშაულია. განზრახვა ანტისაბჭოთა შინაარსისაა. იგი მოიცავს სუბიექტის შეგნებას, რომ ახორციელებს ისეთ მოქმედებას, რომელიც ზიანს აყენებს ან შეუძლია მიაყენოს სსრ კავშირის საგარეო უშიშროებას (სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ ხელშეუხებლობას, სამხედრო ძლიერებას) და სურს როგორც ამ მოქმედების შესრულება, ასევე აღნიშნული შედეგის დადგომა. ამრიგად, სამშობლოს ღალატის ყოველი სახე ხასიათდება მხოლოდ და მხოლოდ პირდაპირი განზრახვით[1].

სამშობლოს ღალატის მოტივი, ღალატის ცალკეული სახეების მიხედვით, შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრობა და სიძულვილი, ანგარება, სულმოკლეობა, ლაჩრობა და სხვ. ამას დანაშაულის შეღგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ის გარემოება, რომ სამშობლოს ღალატი სუბიექტური მხრით მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხასიათდება, დასტურდება შემდეგით:

ა. კ ა ნ ო ნ ში (სს კოდექსის 65-ე მუხლში) პირდაპირ არის მითითებული, რომ მასში ჩამოთვლილი მოქმედებანი სსრ კავშირის საგარეო უშიშროების წინააღმდეგ სამშობლოს ღალატად მაშინ

---

[1] იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვა მოსაზრებაც. იხ. ა ნ ა შ კ ი ნ ის სტატია — „О формах умысла при посягательствах на внешнюю безопасность СССР" („Сов. государство и право", 1964, № 5). აგრეთვე „Научно-практический комментарий Уголовного Кодекса РСФСР", 1963.

ჩაითვლება, თუ საბჭოთა კავშირის მოქალაქემ იგი განზრახ ჩაიდინა, რაც, ცხადია, იმას ნიშნავს, რომ განზრახ ჩადენილი მოქმედება სსრ კავშირის საგარეო უშიშროებისათვის ზიანის მისაყენებლად ყოველთვის ეულისხმობს ასეთი ზიანის დადგომის სურვილს.

ბ. სუბიექტური მხრივ დანაშაულის მიჩნევისათვის სამშობლოს ღალატად პირდაპირი განზრახვის არსებობის აუცილებლობა შესაძლებლობას გვაძლევს განვასხვაოთ იგი მის მსგავსი სხვა ისეთი დანაშაულისაგან, როგორიც არის უკანონო წასვლა საზღვარგარეთ (სს კოდექსის 84-ე მუხ.), ნებაყოფლობით ტყვედ დანებება (სს კოდექსის 282-ე მუხლი) და სხვ.

გ. სამშობლოს ღალატის შედგენილობისათვის პირდაპირი განზრახვის არსებობის მიჩნევა შეესაბამება ამ დანაშაულის აღიარებას ყველაზე მძიმე ბოროტმოქმედებად სსრ კავშირის კონსტიტუციის მიერ.

სამშობლოს ღალატის შედგენილობას ვერ მოგვცემს გაუფრთხილებელი ბრალი, ისეთი შემთხვევა, როდესაც სსრ კავშირის საგარეო უშიშროებას ზიანი აქვს მიყენებული (ან შეიძლება ასეთი შედეგი მოჰყოლოდა) პირის გაუფრთხილებლობით. მაგალითად, ამა თუ იმ პირის გაუფრთხილებლობით უცხო სახელმწიფოს საელჩოსათვის საიდუმლო ცნობის გადაცემა განხილული უნდა იქნეს არა სამშობლოს ღალატად (რადგან ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მხოლოდ დანაშაულებრივ დაუდევრობას), არამედ სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებად (რასაც ითვალისწინებს სს კოდექსის 76-ე მუხლი).

სამშობლოს ღალატის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს მხოლოდ საბჭოთა კავშირის მოქალაქე (იქნება ის სამხედრო მოსამსახურე თუ სხვა პირი).

სასჯელი სამშობლოს ღალატისათვის — თავისუფლების აღკვეთა ათიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორი წლიდან ხუთ წლამდე, ანდა სიკვდილით დასჯა ქონების კონფისკაციით.

სს კოდექსის 65-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება სსრ კავშირის მოქალაქეს, რომელიც უცხოეთის დაზვერვამ გადაიბირა სსრ კავშირის წინააღმდეგ მტრული საქმიანობის განსახორციელებლად, თუ მან მიღებული დანაშაულებრივი დავალების შესასრულებლად არავითარი მოქმედება არ ჩაიდინა და ნებაყოფლობით განუცხადა ხელისუფლების ორგანოებს უცხოეთის დაზვერვასთან თავისი კავშირის შესახებ.

ამრიგად, აღნიშნული დებულების ძალით სსრ კავშირის მოქალაქე, რომელიც უცხოეთის დაზვერვამ გადაიბირა სსრ კავშირის წინააღმდეგ მტრული საქმიანობის განსახორციელებლად, განთავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ შემდეგი ორი პირობის აუცილებლად დაცვით:

1. უკეთუ სსრ კავშირის მოქალაქემ, რომელიც უცხოეთის დაზვერვამ გადაიბირა სსრ კავშირის წინააღმდეგ მტრული საქმიანობის განსახორციელებლად, არავითარი მოქმედება არ ჩაიდინა მიღებული დანაშაულებრივი დავალების შესასრულებლად [1].

2. უკეთუ მან ნებაყოფლობით განუცხადა (წერილობით თუ სიტყვიერად) ხელისუფლების ორგანოებს უცხოეთის დაზვერვასთან თავისი კავშირის შესახებ.

აღნიშნულ პირობათაგან ერთ-ერთის შეუსრულებლობა არ გამორიცხავს სსრ კავშირის მოქალაქის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

სს კოდექსის 65-ე მუხ. მეორე ნაწილით დადგენილი წესი არ შეიძლება გავრცელდეს უცხოელზე ან მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელიც პასუხისგებაშია მიცემული ჯაშუშობისათვის (66 მუხლი).

ბ. ჯაშუშობა

ჯაშუშობას ითვალისწინებს სს კოდექსის 66-ე მუხლი. ჯაშუშობის ცნება აღნიშნულ მუხლში შემდეგნაირად არის განმარტებული: სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემა უცხო სახელმწიფოსათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი აგენტურისათვის, ისევე როგორც ამგვარი ცნობების გატაცება ან შეგროვება მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთვე სხვა ცნობების გადაცემა ან შეგროვება უცხოეთის დაზვერვის დავალებით სსრ კავშირის ინტერესების საზიანოდ მათი გამოყენებისათვის, უკეთუ ჯაშუშობა ჩაიდინა უცხოელმა ან მოქალაქეობის არმქონე პირმა.

ჯაშუშობა ერთ-ერთი განსაკუთრებით საშიში დანაშაულია, რომელსაც ფართოდ იყენებენ იმპერიალისტური სახელმწიფოები სსრ

---

1 იმ შემთხვევაში, თუ პირმა თუნდაც ნაწილობრივ შეასრულა მიღებული დანაშაულებრივი დავალება ან კიდევ უკვე განახორციელა მოსამზადებელ მოქმედებანი მის შესასრულებლად და შემდეგ ნებაყოფლობით განუცხადა ამის შესახებ ხელისუფლების ორგანოებს, მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ მოეხსნება.

კავშირისა და სოციალისტური ბანაკის სხვა სახელმწიფოების მიმართ ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის.

ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის პერიოდში (1919 წ. 31 მაისს) ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა მუშებსა და გლეხებს ჯაშუშების წინააღმდეგ დაუზოგავი ბრძოლისაკენ. „უფრთხილდით ჯაშუშებს! სიკვდილი ჯაშუშებს! — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — ...ყველა შეგნებულმა მუშამ და გლეხმა მკერდით უნდა დაიცვას საბჭოთა ხელისუფლება, უნდა აღსდგნენ ისინი ჯაშუშებთან და თეთრგვარდიელ გამცემლებთან საბრძოლველად“ [1].

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მთელ მანძილზე იმპერიალისტური ბანაკი მშრომელთა ძალაუფლების წინააღმდეგ მუდამ იყენებდა და იყენებს ამჟამად ისეთ მზაკვრულ საშუალებას, როგორიც არის ჯაშუშობა.

საზოგადოებრივი საშიშროება ჯაშუშობისა იმაში მდგომარეობს, რომ მტერი ხელთ იგდებს რა სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების შემცველ ცნობებს, გამოიყენებს მათ საბჭოთა კავშირის საგარეო უშიშროების, მისი სამხედრო ძლიერების შესუსტების მიზნებისათვის.

აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ ჯაშუშობის ობიექტს წარმოადგენს სსრ კავშირის საგარეო უშიშროება, სამხედრო ძლიერება, ხოლო ხელყოფის საგანს — სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობები, აგრეთვე სხვა ცნობები.

იმის მიხედვით, თუ როგორია ხელყოფის საგანი, შეიძლება განვასხვაოთ ორი სახის ჯაშუშობა.

პირველი სახე ჯაშუშობისა მდგომარეობს სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემაში უცხო სახელმწიფოსათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი აგენტურისათვის, ასევე ამგვარი ცნობების გატაცებასა და შეგროვებაში მათთვის გადაცემის მიზნით.

ჩამოთვლა იმ ცნობებისა, რომლებიც შეადგენენ სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოებას, მოცემულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 28 აპრილის დადგენილებაში — „სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების ნუსხის დადგენის შესახებ, რომელთა გახმაურებაც ისჯება კანონით“.

ცნობების გადაცემა ნიშნავს ამა თუ იმ ხერხითა და საშუალებით მათ შეტყობინებას უცხო სახელმწიფოსათვის, უცხოეთის ორ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 471.

განიზაციისათვის ან მათი აგენტებისათვის. გადაცემა შეიძლება განხორციელდეს როგორც წერილობით (ბარათის, ნახაზის, სქემის, გეგმის და ა. შ. სახით), ასევე ზეპირად, სიტყვიერად (ტელეფონით, რადიოთი და ა. შ.) და სხვაგვარი ხერხის გამოყენებით (მაგალითად, მალული საცავების მოწყობით, ცნობების დაშიფვრით და სხვ.).

ცნობების გატაცება ნიშნავს მათ ფარულად თუ საეაკარაოდ ამოღებას მფლობელთა ხელიდან, ხოლო შეგროვება — მათ მოპოვებას, შეგროვებას გამოკითხვით, უშუალოდ მოსმენით, ფოტოსურათების გადაღებით და სხვ. ხერხით. ასევე შეძენას სასყიდლის გაღებით თუ შანტაჟით და ა. შ.

ჯაშუშობად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ორგანიზაციული საქმიანობა ჯაშუშების გადასაბირებლად, ჯაშუშების მომზარაგება ფულით, დოკუმენტებით, შიფრით და სხვა ხელსაწყოებით.

მეორე სახის ჯაშუშობა მდგომარეობს უცხოეთის დაზვერვის დავალებით სხვა ცნობების შეგროვებასა და გადაცემაში სსრ კავშირის ინტერესების საზიანოდ.

„სხვა ცნობები" ამ შემთხვევაში გაგებული უნდა იქნეს ისეთ ცნობებად, რომლებიც თუმცა არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზემოთ მოხსენიებულ დადგენილებაში და, მაშასადამე, არ ითვლება სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოებად ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ უცხოეთის დაზვერვას შეუძლია გამოიყენოს ისინი სსრ კავშირის ინტერესების საზიანოდ. ასეთი ცნობები შეიძლება შეეხებოდეს სსრ კავშირის პოლიტიკის, თავდაცვის, სახალხო მეურნეობის თუ მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგებს (რომლებიც არ ყოფილა ან იყო კიდევაც გამოქვეყნებული), აგრეთვე ცალკეული საბჭოთა ადამიანების სახელის გამტეხ გარემოებებს და სხვ.

ამ სახის ჯაშუშობის საეალდებულო ნიშანი ისაა რომ „სხვა ცნობების" გადაცემა ან შეგროვება წარმოებს უცხოეთის დაზვერვის დავალებით სსრ კავშირის ინტერესების საზიანოდ მათი გამოყენებისათვის. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ უკეთუ პირს არ აქვს იმის შეგნება, რომ მას უცხოეთის დაზვერვა იყენებს და მისი დავალებით მოქმედებს, არც ჯაშუშობის შედგენილობა ეფიქნება.

ჯაშუშობის ს უ ბ ი ე ქ ტ ი, როგორც 66-ე მუხლშია აღნიშნული, შეიძლება იყოს მხოლოდ უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი.

სსრ კავშირის მოქალაქე ჯაშუშობის ჩადენისას პასუხისგებაში მიეცემა საბჭოთა ოალატისათვის სს კოდექსის 65-ე მუხლით.

სუბიექტური მხრივ ჯაშუშობა ხასიათდება ანტისაბჭოთა განზრახვით, რომლის შინაარსსაც შეადგენს სუბიექტის მიერ იმის შეგნება და გათვალისწინება, რომ თავისი მოქმედებით ის ზიანს აყენებს (ან შეიძლება მიაყენოს) სსრ კავშირის საგარეო უშიშროებას და აქვს სურვილი ჩაიდინოს ასეთი მოქმედება. სუბიექტური მხარის სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს სპეციალური მიზანი ასეთი ცნობების გადაცემისა უცხო სახელმწიფოსათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი აგენტებისათვის. ამ მიზნის დადგენის გარეშე ჯაშუშობის შედგენილობა არ იქნება. მაგალითად, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში არსებული დოკუმენტების გატაცება უცხო სახელმწიფოსათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი აგენტებისათვის გადაცემის მიზნის გარეშე, განიხილება მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულად (სს კოდ. 211-ე მუხ.) და არა ჯაშუშობად.

ჯაშუშობის ობიექტივნისათვის დანაშაულის მოტივს მნიშვნელობა არა აქვს. ჯაშუშობა შეიძლება ჩადენილ იქნეს საბჭოთა ხელისუფლების მტრობისა და სიძულვილის, ანგარებისა სოლიდარობის კარიერიზმისა და სხვ. მოტივით [1].

სასჯელი ჯაშუშობისათვის: თავისუფლების აღკვეთა ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ანდა სიკვდილით დასჯა ქონების კონფისკაციით.

8. ტერორისტული აქტი

სს კოდექსის 67-ე მუხლის ძალით, ტერორისტული აქტი არის სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის, ან ხელისუფლების წარმომადგენლის მკვლელობა ანდა სხეულის მძიმე დაზიანება, ჩადენილი მის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით.

ტერორისტულ აქტს, როგორც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მწვავე ფორმას, საბჭოთა ხალხის მტრები და უცხოეთის აგენტურა მუდამ იყენებდნენ სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის მთელ მანძილზე.

ამ მძიმე ბოროტმოქმედების ჩადენის საშიშროება ამჟამადაც არ

---

1 ამერიკელი ჯაშუშის — პაუერსის საქმეზე წარმოებულ სატაცეში სახელმწიფო ბრალმდებელმა, სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა რ. რუდენკომ აღნიშნა, რომ პაუერსის მიერ ჩადენილი დანაშაულის მოტივს წარმოადგენს ანგარებითი ქვენა გრძნობა (იხ. Судебный процесс по уголовному делу американского летчика-шпиона Френсиса Г. Пауэрса, М., 1960, გვ. 156).

არის გამორიცხული, რადგან სანამ არსებობს იმპერიალიზმის ბანაკი, მტერი არ მოერიდება ბრძოლის არავითარ მზაკვრულ ხერხსა და საშუალებას.

ტერორისტული აქტის ობიექტია სსრ კავშირის პოლიტიკური საფუძველი—საბჭოთა ხელისუფლება, აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწე, ანდა ხელისუფლების წარმომადგენელი. დამსაშავეს სურს მიაღწიოს საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრას თუ შესუსტებას სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის, ან ხელისუფლების წარმომადგენლის მკვლელობით ან სხეულის მძიმე დაზიანებით.

სახელმწიფო მოღვაწეებს წარმოადგენენ, პირველ რიგში, საბჭოთა დაწესებულება-საწარმოთა თანამდებობის პირები, რომლებიც აქტიურ საელმწიფო მოღვაწეობას ეწევიან, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საბჭოთა არმიის საბჭოდრო მოსამსახურეები, ხოლო საზოგადო მოღვაწეებად ითვლებიან პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მომუშავენი, მეცნიერების, კულტურის, ტექნიკის წარმომადგენლები; ხელისუფლების წარმომადგენლებს მიეკუთვნებიან, პირველ ყოვლისა, მეზობელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატები, აგრეთვე ის თანამდებობის პირები, რომელთაც, კანონით დადგენილ შემთხვევებში, უფლება აქვთ მიიღონ იძულებითი ზომებმედების ღონისძიებანი არა მარტო მათდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ პირთა მიმართ, არამედ სხვა მოქალაქეების მიმართაც (ასეთებია, მაგალითად, მოსამართლეები, პროკურორები, საგამომკვლევო დარგის მომუშავენი, სახ. უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოების ოპერატიული მომუშავენი და ა. შ.).

სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწედ, ანდა ხელისუფლების წარმომადგენლად მოცემულ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს არა მხოლოდ ის, ვინც ხელმძღვანელობს, არამედ ისიც, ვინც უშუალოდ აქტიურად ატარებს ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად. ამიტომ სახალხო რაზმელის, ამხანაგური სასამართლოს წევრისა და შშრომელთა თვითმოქმედი სხვა ორგანიზაციების რიგითი მომუშავის მკვლელობა ან სხეულის მძიმე დაზიანება, ჩადენილი მათ აქტიურ საქმიანობასთან დაკავშირებით, საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით, განხილული უნდა იქნეს როგორც ტერორისტული აქტი.

ობიექტურ მხრივ ტერორისტული აქტი შეიძლება გამოიხატოს დასახელებულ პირთა მკვლელობაში ან სხეულის მძიმე დაზიანებაში. სხეულის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება განიხილება როგორც მცდელობა ტერორისტული აქტისა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთს ადგილი ჰქონდა მკვლელობის ან სხეულის მძიმე დაზიანების დადგომის მიზნით, მაგრამ დამნაშავისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ასეთი შედეგი ვერ იქნა მიღწეული.

სუბიექტურ მხრივ ტერორისტული აქტი ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ამასთან განზრახვა ანტისაბჭოთა ხასიათისაა, მიმართული საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტებისაკენ. სუბიექტს შეგნებული აქვს ხელყოფის ხასიათი სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის, ანდა ხელისუფლების წარმომადგენლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, მისი შედეგი და ითვალისწინებს იმას, რომ ამ გზით იგი ერთდროულად ხელყოფს საბჭოთა ხელისუფლებას და სურს მისი ძირის გამოთხრა ან შესუსტება.

ამ მიზნის გარეშე მკვლელობა ან სხეულის მძიმე დაზიანება სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწისა, ანდა ხელისუფლების წარმომადგენლისა (მაგალითად, პირადი ურთიერთობის ნიადაგზე, თუნდაც დაზარალებულის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, ანდა კიდევ ანგარებით, ეჭვიანობით და ა. შ.) უნდა დაკვალიფიცირდეს საერთო წესის შესაბამისად, პირველნაბეჭდ წინააღმდეგ დანაშაულთა თავის შესაბამისად მუხლით (104-ე, 105-ე, თუ 110-ე მუხლით).

67-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის, ანდა ხელისუფლების წარმომადგენლის მკვლელობას, ჩადენილს მის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით, ხოლო მეორე ნაწილი — მოხსენიებულ პირთა სხეულის მძიმე დაზიანებას იმავე მიზნით.

სასჯელი ტერორისტული აქტისათვის 67-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ანდა სიკვდილით დასჯა ქონების კონფისკაციით, ხოლო იმავე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.

დ. ტერორისტული აქტი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ

სს კოდექსის 68-ე მუხლი სპეციალურად ითვალისწინებს დანაშაულის ისეთ სახეს, როგორიც არის უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის მკვლელობა ან სხეულის მძიმე დაზიანება ომის პროვოკაციის ან საერთაშორისო გართულების მიზნით [1].

უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლად ამ შემთხვევაში გაგებული უნდა იქნეს არა ყოველი უცხოელი, არამედ უცხო სახელმწიფოს მეთაური, მთავრობის თავმჯდომარე და წევრი, მთავრობის სპეციალური დელეგაციის ხელმძღვანელი და წევრი, დიპლომატიური და სხვა ოფიციალური წარმომადგენელი, რომელთა მიმართ ხელყოფაც შეიძლება საბაბი გახდეს ომის პროვოკაციისა ან სხვა სახის საერთაშორისო გართულებისა (მაგ., დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა, საერთაშორისო ხელშეკრულების გაბათილება და ა. შ.).

ობიექტი ტერორისტული აქტისა უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ არის სსრ კავშირის საგარეო უშიშროება და სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობა და თანამშრომლობა, აგრეთვე უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული მსგავსია ტერორისტული აქტისა საბჭოთა სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის ან ხელისუფლების წარმომადგენლის წინააღმდეგ და გამოიხატება უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის მკვლელობაში ანდა სხეულის მძიმე დაზიანებაში.

სუბიექტური მხრივ ამ დანაშაულის დამახასიათებელია განზრახი ბრალი, რომლის შინაარსიც იმაში გამოიხატება, რომ სუბიექტს აქვს იმის შეგნება, რომ თავისი ქმედობით ზიანს აყენებს მშვიდობის საქმეს და ამით აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებსაც; ამასთან ითვალისწინებს შედეგსაც — ომის პროვოკაციის ან საერთაშორისო გართულების შესაძლებლობას და უშუალოდ სურს ასეთი შედეგის დადგომა, მიზნად ისახავს ომის პროვოკაციას ან საერთაშორისო გართულებას.

აქედან უნდა დავასკვნათ, რომ უცხო სახელმწიფოს წარმომად-

---

[1] ამ მიზნით მემარცხენე ესერებმა 1918 წლის 6 იელისს მოკლეს გერმანიის ელჩი მირბახი, ხოლო 1932 წ. მარტში თეთრგვარდიელმა ტერორმა გახმაურებული მცდელობა მოსკოვში გერმანიის საელჩოს მრჩეველის—ფონ ტვარდოვსკის მკვლელობისა.

გენელზე ხელყოფა, ჩადენილი არა აღნიშნული მიზნით (მაგ.. ანგარებით, ეკვიანობით და ა. შ.) დაკვალიფიცირდება საერთო წესის საფუძველზე, კოდექსის იმ შესაბამისი მუხლით, რომელსაც ითვალისწინებს თავი პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის შესახებ (სსრ კოდ. 104-ე, 110-ე და სხვ. მუხ.).

68-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით, უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის მკვლელობა, ომის პროპაგანდის ან საერთაშორისო გართულების მიზნით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ანდა ისჯება სიკვდილით და ქონების კონფისკაციით, ხოლო აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილის ძალით იმავე მიზნით იმავე პირის სხეულის მძიმე დაზიანება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.

ე. დივერსია

დივერსია, გათვალისწინებული სს კოდექსის 69-ე მუხლში, ნიშნავს დანგრევას ან დაზიანებას აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით ან სხვა გზით საწარმოთა, ნაგებობათა, მიმოსვლის გზათა და საშუალებათა, კავშირგაბმულობის საშუალებათა ან სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებისა, მასობრივ მოწამვლას ან ეპიდემიების და ეპიზოოტიების გავრცელებას საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზნით.

დივერსიას — ამ ერთ-ერთ ყველაზე საშიშ დანაშაულს — საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ხშირად მიმართავდა უცხოეთის დაზვერვა წარსულში, და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ივი შეეცდება ახლაც გამოიყენოს ბრძოლის ეს მუხანათური საშუალება.

დივერსიის ობიექტს წარმოადგენს სსრ კავშირის ეკონომიური საფუძველი, ე. ი. სოციალისტური საკუთრება და მეურნეობის სოციალისტური სისტემა. ასეთი ობიექტისათვის ზიანის მიყენება წარმოებს სხვადასხვაგვარ მატერიალურ ფასეულობათა დანგრევით ან დაზიანებით. ეს მატერიალური ფასეულობაა ხიდები, წყალსადენები, ელექტროსადგურები, საწყობები, ნაგებობები, გვირაბები, ცალკეული მანქანები, აგრეგატები და ა. შ., რომლებიც ჩაითვლება დივერსიის საგნად (და არა ობიექტად, როგორც ფიქრობ-

და ზოგიერთი ავტორი)[1]. დივერსია ხელყოფს აგრეთვე ადამიანთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

ობიექტური მხრივ დივერსია ხასიათდება სოციალისტური ქონების განადგურებით ან დაზიანებით ისეთი განსაკუთრებით საშიში ხერხებითა და საშუალებით, როგორიცაა აფეთქება, ცეცხლის წაკიდება და სხვა (მაგალითად, წყლის მიშვება, მანქანების დამსხვრევა და ა. შ.) რასაც ხშირად თან სდევს ადამიანთა მსხვერპლიც. ამას გარდა, დივერსია შეიძლება გამოიხატოს ადამიანთა მასობრივ მოწამვლაში (არა რომელიმე კონკრეტული ადამიანისა, არამედ საერთოდ ადამიანებისა, პიროვნების განურჩევლად), რაც შეიძლება განხორციელდეს გაზით (მაგ., შახტებში), კერძის, წყლის მოწამვლით და ა. შ., აგრეთვე ეპიდემიისა (ე. ი. ადამიანთა მზვავე გადამდები სენის) და ეპიზოოტიის (ე. ი. საქონლის ამა თუ იმ სახის ჭირის) გავრცელებაში. ამრიგად, დივერსია შეიძლება ჩადენილ იქნეს, როგორც წესი, აქტიური მოქმედებით[2].

დივერსია სუბიექტური მხრივ განზრახი დანაშაულია, ამასთან განზრახვა პირდაპირია. სუბიექტს აქვს სპეციალური მიზანი — საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტება. დივერსიული აქტის მოტივს, როგორც წესი, შეადგენს საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრობა, სიძულვილი, მაგრამ არ არის გამორიცხული მისი ჩადენა სხვა მოტივითაც, მაგალითად, ანგარებით (სასყიდლის მიღებით) და ა. შ.

დივერსია განსხვავდება მასთან გარე ნიშნებით მსგავსი ზოგიერთი სხვა დანაშაულისაგან სუბიექტური მხრით. ასე, მაგალითად, საქ. სსრ სს კოდექსის 87-ე მუხლი ითვალისწინებს მიმოსვლის გზებზე, მათი ნაგებობების, მოძრავი შემადგენლობის ან ტვირთების, კავშირგაბმულობის ან სიგნალიზაციის საშუალებათა განზრახ დაზიანებას ან დაზიანებას. მართალია, ამ შემთხვევაშიც სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახია, მაგრამ დამნაშავე არ ისახავს საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზანს, რაც დივერსიის შედეგნილობისათვის აუცილებელია. ასევე ითქმის სს კოდექსის მე-100 მუხლში მოცემული ისეთი დანაშაულის შესახებ, როგორიცაა სახელმწიფო

---

[1] იხ. А. А. Пионтковский, В. Д. Меньшагин, Курс Советского уголовного права, Особенная часть, т. I, М., 1955, გვ. 186, ასევე: Советское уголовное право, Особенная часть, М., 1957, გვ. 69.

[2] არ არის გამორიცხული დივერსიის ჩადენა უმოქმედობითაც. მაგალითად, რკინიგზის მეისრე არ გადასწევს სათანადო დროს ისარს და ამას შედეგად მოჰყვება მატარებლის დაჯახება მეორე მატარებელთან და დამსხვრევა.

ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება. ამ დანაშაულის შედგენილობისათვის სავალდებულოა განზრახი ბრალის არსებობა, მაგრამ საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზნის გარეშე.

სასჯელი დივერსიისათვის 69-ე მუხლის მიხედვით — თავისუფლების აღკვეთა ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ანდა სიკვდილით დასჯა ქონების კონფისკაციით.

ვ. მავნებლობა

მავნებლობა, გათვალისწინებული სს კოდექსის 70-ე მუხლში, არის მოქმედება ან უმოქმედობა, მიმართული მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ფულის სისტემის, ვაჭრობის ან სახალხო მეურნეობის სხვა დარგების, ასევე სახელმწიფო ორგანოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ძირის გამოთხრისაკენ საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზნით, თუ ეს ქმედობა ჩადენილია სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა გამოყენების გზით, ანდა მათი ნორმალური მუშაობისათვის წინააღმდეგობის გაწევის გზით.

მავნებლობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა მარტო ეკონომიურ დარგში (მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში და ა. შ.), არამედ სოციალისტური მშენებლობის სხვა დარგებშიც (კულტურულ-აღმზრდელობით, ჯანმრთელობის, განათლების, მართლმსაჯულების და სხვ. დარგებში). მავნებლობად განიხილება აგრეთვე პატიოსანი საბჭოთა ადამიანებისათვის პროვოკაციული მიზნით ცილის დაწამება მძიმე სახელმწიფო დანაშაულის ჩადენაში და მათ მიმართ ცრუ ბრალდებით საქმეების შექმნა, რა ხერხსაც ფარულად იყენებდნენ თავიანთ ძირგამომთხრელ მავნებლურ საქმიანობაში ხალხის მტრები: ბერია, აბაკუმოვი და მათი თანამზრახველები.

აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ მავნებლობის ობიექტს წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლები.

ობიექტური მხრივ მავნებლობა გამოიხატება ზემოთ მოხსენიებული ობიექტის ძირის გამოთხრისაკენ მიმართულ მოქმედებაში ან უმოქმედობაში. მავნებლობა შეიძლება ჩადენილ იქნეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა გამოყენების გზით (დაწესებულება-ორგანიზაციებ-

ში ამა თუ იმ თანამდებობაზე გამძვრალი მტრის მიერ) ან მათი ნორმალური მუშაობისათვის წინააღმდეგობის გაწევის გზით. ქმედობა მავნებლობის დროს არა მარტო აქტიურ მოქმედებაში მდგომარეობს, არამედ ზოგჯერ უმოქმედობაშიც, სახელდობრ, გარკვეულ ვალდებულებათა შეუსრულებლობაში საბჭოთა სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენების მიზნით[1].

მავნებლური საქმიანობის ფორმები მრავალი სახისაა. ასე, მაგალითად, მრეწველობაში მავნებლობა შეიძლება გამოიხატოს სამრეწველო მშენებლობისა და წარმოების უსწოროდ დაგეგმვაში (სამრეწველო ობიექტების მშენებლობა ნედლეულის ბაზისაგან დაშორებით, მცირე სიმძლავრის სამრეწველო საწარმოს მშენებლობის დაპროექტება, საწარმოო პროცესის უსწოროდ ორგანიზაცია, ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევა, ცუდი პროდუქციის გამოშვება და სხვ.); სოფლის მეურნეობის დარგში — სასოფლო-სამეურნეო კამპანიების ჩაშლაში, აგროტექნიკის წესების დარღვევაში, პირუტყვის ცუდ მოვლაში და სხვ.; ტრანსპორტზე — მატარებლის მოძრაობის გრაფიკის დარღვევაში, გადაზიდვის გეგმების ჩაშლაში და სხვ.; ვაჭრობის დარგში — მოსახლეობის მომარაგების უსწორო ორგანიზაციაში და სხვ.; მეცნიერების დარგში — საძიებელ სამუშაოთა უსწორო შესრულებაში, აქტუალური მეცნიერული პრობლემების შესწავლის შეფერხებაში და ა. შ.; სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის სხვა დარგებში — მუშაობის ჩაშლის მიზნით კადრების არასწორ შერჩევასა და განაწილებაში. მოქალაქეთა უფლებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევაში იმ მიზნით, რომ გამოწვეულ იქნეს მოსახლეობის უკმაყოფილება საბჭოთა დაწესებულებათა საქმიანობით და ა. შ.

მავნებლობის შედგენილობა დამთავრებულად ითვლება საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზნით გარკვეული მოქმედების (თუ უმოქმედობის) ჩადენის მომენტიდან და არ არის ამისათვის საჭიროა მავნე შედეგის დადგომა.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი მავნებლობისა შეიძლება იყოს, როგორც წესი, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულება-ორგანიზაციის თანამდებობის პირი, რომელიც თავის სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებს მავნებლობისათვის. ზოგჯერ კი არათანამდებობის პირიც

---

1 მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძალით მავნებლობის ცნება მოიცავს ადრე მოქმედი კანონმდებლობით (იხ. საქ. სსრ ძვ. რედ. სს კოდექსის 58[14]-ე მუხ.) ცალკე გათვალისწინებულ კონტრრევოლუციური საბოტაჟის შედგენილობას.

(მაგალითად, საბჭოთა სახელმწიფოს საფინანსო სისტემის ძირის გამოთხრის მიზნით ყალბი ფულის მასობრივად დამზადება და ბრუნვაში გაშვება კერძო პირების მხრივ განიხილება როგორც მავნებლობა).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ მავნებლობა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით და ამასთან სპეციალური მიზნით — საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზნით. ქმედობის მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრობა, ანგარება და სხვა ქვენა გრძნობა.

მავნებლობა ისჯება თანამდებობის აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ანდა გადასახლების გარეშე.

გარკვეული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება მავნებლობისა და დივერსიის განსხვავების დადგენას ერთმანეთისაგან. აღსანიშნავია, რომ ამ ორ დანაშაულს შორის ბევრი რამაა საერთო იმ მხრივ, რომ ერთიცა და მეორეც ხელყოფს სსრ კავშირის ეკონომიურ საფუძველს (თუმცა დივერსიის ობიექტი უფრო ვიწროა), ორივე შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ანტისაბჭოთა მიზნის არსებობისას და ა. შ.

ძირითადად განსხვავება მავნებლობასა და დივერსიას შორის მდგომარეობს ამ დანაშაულთა ობიექტურ მხარეში, მისი განხორციელების საშუალებებში. მავნებლობა ხორციელდება ძირგამომთხრელი საქმიანობის ფარული, შენიღბული ფორმებით, ამასთან მავნებლობის შედეგი უმალვე კი არ გამოვლინდება, არამედ გარკვეული დროის გავლის შემდეგ. დივერსია კი უმალვე იწვევს მძიმე შედეგს (აფეთქებას, დანგრევას ზოგჯერ ადამიანთა დაღუპვით და ა. შ.). დივერსია ყოველთვის ადგილობრივი, ლოკალური ხასიათისაა (კონკრეტული ხიდის აფეთქება, საწყობისათვის ცეცხლის წაკიდება, განსაზღვრული ქონების განადგურება და სხვ.), მავნებლობას კი შეიძლება ჰქონდეს როგორც ლოკალური ხასიათი (მაგ., მავნებლობა კონკრეტულ ქარხანაში, კოლმეურნეობაში), ასევე მოიცავდეს მეურნეობის მთელ დარგს (მაგ., მავნებლობა ვაჭრობის დარგში, ტრანსპორტზე და ა. შ.).

შემდეგ, მავნებლობა დამთავრებულად ითვლება მრეწველობის, ტრანსპორტის და ა. შ. ძირის გამოთხრისაკენ მიმართული ქმედობის განხორციელების მომენტიდან, ხოლო დივერსია — მავნე შედეგის დადგომისას. მავნებლობის სუბიექტად გვევლინება, როგორც წესი, თანამდებობის პირი, ხოლო დივერსიის სუბიექტად — უცხოეთის დაზვერვის აგენტი.

(ზ.) ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა

ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა წარმოადგენს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი საქმიანობის ერთ-ერთ საშიშ ფორმას, რომელსაც საბჭოთა ხალხის მტრები მიმართავდნენ და ამჟამადაც მიმართავენ სსრ კავშირის ძლიერებისა და პრესტიჟისათვის ძირის გამოთხრის მიზნით.

განსახილველი დანაშაული, გათვალისწინებული სს კოდექსის 71-ე მუხლში, გამოიხატება აგიტაციისა და პროპაგანდაში საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის, შესუსტების ან ცალკეული გასაკუთრებულ საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის მიზნით, იმავე მიზნით ცილისმწამებლური მონაცემების გავრცელებაში, რომელიც სახელს უტეხს საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილებას, აგრეთვე, იმავე მიზნით, ასეთივე შინაარსის ლიტერატურის დამზადებაში, გავრცელებაში ან შენახვაში.

ეს დანაშაული ხელყოფს საბჭოთა ხელისუფლებას, საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილებას. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ ამ დანაშაულის ობიექტი არ შეიძლება იყოს საბჭოთა ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენელი. თუნდაც აშკარა უსწორო მსჯელობა ასეთი პირის სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ, მკაცრი გაკრიტიკება მისი პიროვნებისა, უზრდელად მოხსენიება მისი ადამიანური ღირსებისა არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა. ეს დებულება იქიდან გამომდინარეობს, რომ, კანონის (სს კოდექსის 71-ე მუხლის) ძალით, ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტებისაკენ და არა ამა თუ იმ მოღვაწის, ცალკეული პირის ავტორიტეტის შელახვისაკენ. ცალკეული მოღვაწის მიმართ უხამსი მოქმედება დაკავშირებული ლანძღვა-გინებასთან, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასთან შეიძლება დაკვალიფიცირდეს მხოლოდ როგორც ხულიგნობა (228-ე მუხლით).

ამა თუ იმ სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის შესახებ ცილისმწამებლური ცნობების გავრცელება, მისი პიროვნების შეურაცხყოფა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე ერთდროულად ავრცელებს მთლიანად საბჭოთა სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი წესწყობილების სახელის გამტეხ ცილისმწამებლურ მონაცემებს.

ობიექტური მხრივ ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა[1] გამოიხატება ისეთ მოქმედებაში, რომელთა მეშვეობითაც წარმოებს საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტებისაკენ მიმართული ანტისაბჭოთა იდეებისა და შეხედულებათა გავრცელება. კანონის (სს კოდექსის 71-ე მუხლის) მიხედვით ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა შეიძლება გამოიხატებოდეს შემდეგ ფორმებში: ა) აგიტაცია და პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით; ბ) აგიტაცია და პროპაგანდა ცალკეული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის მიზნით; გ) აგიტაცია და პროპაგანდა, გამოხატული ისეთი ცილისმწამებლური მონაჭორის გავრცელებაში, რომელიც სახელს უტეხს საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილებას და დ) აგიტაცია და პროპაგანდა ანტისაბჭოთა შინაარსის ლიტერატურის დამზადების, გავრცელების ან შენახვის გზით, ჩადენილი საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით.

დანაშაულის შედგენილობისათვის საქმარისია აგიტაციისა და პროპაგანდის ერთ-ერთი ჩამოთვლილი სახით ჩადენის ფაქტი, თუმცა ზოგჯერ დანაშაული შესაძლოა რამდენიმე ფორმით იყოს გამოხატული (მაგალითად, პირის მიერ აგიტაციისა და პროპაგანდის წარმოება სიტყვიერად და, ამასთან ერთად, ანტისაბჭოთა შინაარსის ლიტერატურის დამზადება და გავრცელება).

ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა მტრული ელემენტებისა საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით გამოიხატება იმაში, რომ დამნაშავენი სიტყვიერად (საჯარო გამოსვლებში, საუბარში და ა. შ.) ავრცელებენ საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტებისაკენ გამიზნულ იდეებსა და შეხედულებებს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა პირთა რაოდენობას, რომლებიც დაესწრენ დამნაშავის გამოსვლას თუ საუბარს, არამედ იმას, რომ გავრცელებული იდეა ანტისაბჭოთა ხასიათისა იყო და დამნაშავე მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრას ან შესუსტებას.

ამრიგად, თუ იდეა თავისი არსებით, შინაარსით არ არის ანტისაბჭოთა ხასიათის, მაშინ მისი გავრცელება არც განსახილველი დანაშაულის შედგენილობას შეიცავს. მაგალითად, კრიტიკული გა-

---

[1] აგიტაცია ნიშნავს რომელიმე ერთი იდეის გავრცელებას მრავალ ადამიანთა შორის, ხოლო პროპაგანდა—რამდენიმე იდეის გავრცელებას ადამიანთა ეგწრო წრეში (თუნდაც ცალკეულ პირთა შორის).

მოთქმა, უკმაყოფილება სკკპ და საბჭოთა მთავრობის ამა თუ იმ ღონისძიების გამო, მისი თუნდაც არასწორად შეფასება, ვერ განიხილება ანტისაბჭოთა აგიტაციად და პროპაგანდად და ამისათვის პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა სოციალისტური კანონიერების დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული.

აგიტაცია და პროპაგანდა ცალკეული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის მიზნით გამოიხატება მოწოდებაში ერთ-ერთი აღნიშნული სახის დანაშაულის (საშშობლოს ღალატის, ტერორისტული აქტის, დივერსიის და ა. შ.) ჩადენისაკენ საერთო სახით, არაკონკრეტიზებულად ობიექტის, ადგილის, საშუალებათა და სხვ. მიხედვით. აქ მხედველობაშია მისაღები, რომ ადგილი არა აქვს მუქარას, რაიმე გამორჩენის დაპირებას და საერთოდ აქტიური სახით ზეგავლენას. წინააღმდეგ შემთხვევაში აგიტაციისა და პროპაგანდის შედგენილობა კი არ იქნება, არამედ წამქეზებლობა გარკვეული სახის განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისათვის და დაკვალიფიცირდება სს კოდექსის მე-19 მუხლით, ასევე იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას წაქეზებული დანაშაულის ჩადენისათვის.

აგიტაციისა და პროპაგანდის ესეთი ფორმა, როგორიც არის ცილისმწამებლური მონაჭორის გავრცელება, რაც სახელს უტეხს საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილებას, მდგომარეობს იმაში, რომ დამნაშავე ავრცელებს ცილისმწამებლურ მონაჭორს საბჭოთა წესწყობილების შესახებ საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით. ცილისმწამებლურია ესეთი ცნობა, რომელიც თვით დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ცრუა, მოჭორილი და ამასთან საბჭოთა წესწყობილების სახელის გამტეხი. დანაშაულის შედგენილობა გამორიცხულია, თუ პირის მოქმედება გაუგებრობით იყო გამოწვეული ან კეთილსინდისიერად შეცდა იგი საბჭოთა სინამდვილის ამა თუ იმ მხარის გაშუქებისას. რაც გამოწვეული იყო მისი საერთო კულტურის დაბალი დონითა და პოლიტიკური ჩამორჩენილობით (ასეთი პირის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებანი).

აგიტაციისა და პროპაგანდის ერთ-ერთ დანაშაულებრივ ფორმას წარმოადგენს ანტისაბჭოთა ლიტერატურის დამზადება, გავრცელება ან შენახვა. ანტისაბჭოთა ლიტერატურა არის ბეჭდვითი თუ სხვა გზით გამრავლებული ნაწარმოები, რომელიც შეიცავს მოწოდებას საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის თუ შესუსტებისაკენ ან ცალკეული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩა-

დენისაკენ, ანდა კიდევ ცილისმწამებლურ მონაჭორს საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების მისამართით[1].

დამზადება ნიშნავს აღნიშნული შინაარსის ლიტერატურის შედგენას (ავტორობას) ან მის ტექნიკურ დამზადებაში მონაწილეობას რედაქტირების, დაბეჭდვის თუ გადაწერის სახით. გავრცელება — ასეთი ლიტერატურის გაცნობას სხვა (თუნდაც ერთი) პირებისათვის წაკითხვით, გადაცემით, კედელზე გაკვრით და სხვ. საშუალებით. ხოლო შენახვა — ანტისაბჭოთა შინაარსის ლიტერატურის (დოკუმენტებისა და სხვა წერილობითი მასალის) შენახვას მისი შემდეგში გავრცელების მიზნით.

სს კოდექსის 71-ე მუხლის საფუძველზე პირის პასუხისგებაში მიცემისათვის საკმარისია ერთ-ერთი ჩამოთვლილი მოქმედების (ანტისაბჭოთა ლიტერატურის დამზადების, გავრცელების ან შენახვის) ჩადენა.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ჩადენილი, ხასიათდება პირდაპირი განზრახვით და, ამასთან, სპეციალური მიზნით — საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრა ან შესუსტება. ამ დანაშაულის ჩადენისას განზრახვის შინაარსი განისაზღვრება იმით, რომ დამნაშავეს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და ისიც, თუ საითკენ არის მიმართული ეს მოქმედება, ითვალისწინებს მის შედეგს და სურს ამ მოქმედებით საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრა ან შესუსტება.

თუ პირს არა აქვს ასეთი შეგნება, არა აქვს გარკვეული თავისი მოქმედების ანტისაბჭოთა მიმართების ხასიათი, იგი ვერ მიეცემა პასუხისგებაში სს კოდექსის 71-ე მუხლით.

სასჯელი ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისათვის სს კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვსი თვიდან შვიდ წლამდე და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ანდა გადასახლების გარეშე.

71-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულის კვალიფიციურ სახეს. დამამძიმებელ გარემოებებად კანონი თვლის განსახილველი დანაშაულის ჩადენას: ა) განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის წინათ მსჯავრდებულმ პირის მიერ ან ბ) ომიანობის დროს ერთ-ერთი ასეთი პირობის არსებობისას

[1] ასეთი სახის დანაშაულებრივი ქმედობის ნიმუშს წარმოადგენს ა. სინიავსკისა და ი. დანიელის ბრალდების საქმე, განხილული რსფსრ უმაღლესი სასამართლის მიერ 1966 წ. 10 — 14 თებერვალს (იხ. გაზ. „კომუნისტის" 1966 წ. 11 და 15 თებერვლის ნომრები).

დამნაშავე დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.

თ. ომის პროპაგანდა

მიუხედავად იმისა, რომ ომის პროპაგანდის საშიშროება ყველასთვის ნათელია, რეაქციული იმპერიალისტური ძალები დღესაც აღვივებენ ომის ისტერიას, სხვადასხვა საშუალებით ეწევიან საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიული ომის მზადებას. ამ საშუალებათა შორის ერთ-ერთს წარმოადგენს ომის პროპაგანდა, მოსახლეობის იდეოლოგიური მომზადება მილიტარისტული სულისკვეთებით.

ატომური იარაღისა და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობის პირობებში ომის პროპაგანდა წარმოადგენს უმძიმეს დანაშაულს მთელი მსოფლიოს ხალხთა მიმართ.

ჯერ კიდევ 1947 წ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის II სესიაზე, საბჭოთა კავშირის დელეგაციამ შეიტანა წინადადება აკრძალულიყო ყველა ქვეყანაში სასჯელის შეფარდების მუქარით ომის პროპაგანდა, რა ფორმითაც არ უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმპერიალისტური ქვეყნების წინააღმდეგობისა, გენერალურმა ასამბლეამ 1947 წ. 3 ნოემბრის სხდომაზე მიიღო პოლიტიკური კომიტეტის მიერ საბჭოთა დელეგაციის წინადადების საფუძველზე წარდგენილი პროექტი რეზოლუციისა, რომლითაც დაგმობილ იქნა ომის პროპაგანდა.

მიუხედავად ამისა, მთელ რიგ იმპერიალისტურ ქვეყნებში არათუ შეწყდა ომის პროპაგანდა, არამედ კიდევ უფრო გაღვივდა და გაძლიერდა. რეაქციული ძალები შეუდგნენ სხვადასხვა აგრესიული კავშირების, ბლოკების შექმნას, ადამიანთა მასობრივი მოსპობის საშუალებათა გამოყენებით სოციალისტურ ქვეყნებზე თავდასხმის გეგმების შემუშავებას.

ამასთან დაკავშირებით მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესმა, რომელიც შედგა 1950 წ. ნოემბერში (ქ. ვარშავაში), გამოხატა რა მთელი მოწინავე კაცობრიობის ნება-სურვილი, მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნის პარლამენტებს მიეღოთ კანონი მშვიდობის დაცვის შესახებ და დაედგინათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ომის პროპაგანდისათვის.

საბჭოთა კავშირი, როგორც მშვიდობისათვის ბრძოლის ავან-

გარდში მდგომი. უმალვე გამოეხმაურა აღნიშნულ მოწოდებას: 1951 წ. 12 მარტს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი მშვიდობის დაცვის შესახებ. ამ კანონმა მკაცრად დაგმო დანაშაულებრივი ომის პროპაგანდა და დაადგინა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ ომის პროპაგანდა, რა ფორმითაც უნდა წარმოებდეს იგი, ძირს უთხრის მშვიდობის საქმეს, ქმნის ახალი ომის საფრთხეს და ამის გამო უმძიმესი დანაშაულია კაცობრიობის წინააღმდეგ;

2. ომის პროპაგანდაში დამნაშავე პირნი მიცემულ იქნან სამართალში და გასამართლდნენ როგორც უმძიმესი სისხლის სამართლის დამნაშავენი.

ამ კანონს არა მარტო სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ — უდიდესი საერთაშორისო-პოლიტიკური, გამაფრთხილებელი მნიშვნელობაც.

ანალოგიური კანონები მიღებულ იქნა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც (1950 წ. — უნგრეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში; 1951 წ. — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში).

სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მიერ 1958 წ. 25 დეკემბერს მიღებულ კანონში სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ სპეციალურად იქნა გათვალისწინებული ომის პროპაგანდის დასჯადობა.

აღნიშნული კანონის მე-8 მუხლის (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის) ძალით „ომის პროპაგანდა,—რა ფორმითაც უნდა წარმოებდეს იგი, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან რვა წლამდე და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე".

ხელყოფის ობიექტს-ომის პროპაგანდისას წარმოადგენს მშვიდობა, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება ომის პროპაგანდაში ყოველგვარი ფორმით. პროპაგანდა ამ შემთხვევაში გაგებული უნდა იქნეს ფართო აზრით: თუ გავრცელებული იდეა, შეხედულება თავისი შინაარსით მიმართულია ახალი ომის გაჩაღებისაკენ, ხალხთა და სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობის წინააღმდეგ, რა ფორმითაც არ უნდა წარმოებდეს მისი გავრცელება, ობიექტური მხრივ ყოველთვის მოგვცემს ომის პროპაგანდის შედგენილობას.

ამ დანაშაულის თავისებური ხასიათის გამო, დაყოლიება, წაქე-

ჭება ომის გაჩაღებაზე, აგრეთვე უნდა განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი ფორმა ომის პროპაგანდისა[1].

ომის პროპაგანდა შეიძლება წარმოებდეს როგორც პირდაპირ, საჯაროდ, ასევე შენიღბულად, როგორც ერთი რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს მიმართ, ასევე საერთოდ ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიმართ და ა. შ. იგი შეიძლება წარმოებდეს სიტყვიერად. საჯარო გამოსვლებში, ასევე ბეჭდვითი სიტყვის, რადიოს, კინოს, ტელეხედვის საშუალებით. მიუხედავად ასეთი პროპაგანდის მრავალსახეობისა, მისი არსი ~~ყოველთვის მდგომარეობს მიდეტარეტული იდეების გავრცელებაში, რომელთა~~ მიზანია დაყოლიება ახალი ომის მომზადებასა და გაჩაღებაზე.

სუბიექტური მხრივ ომის პროპაგანდა პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. განზრახვის შინაარსს წარმოადგენს დამნაშავის შეგნება, რომ მისი ~~ქმედება~~ ომის გაჩაღებისაკენაა მიმართული და მისი სურვილია ასეთი შედეგის დადგომა.

1. ორგანიზაციული საქმიანობა, მიმართული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისაკენ, აგრეთვე ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილეობა

მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება ანტისაბჭოთა ორგანიზაციის დანაშაულებრივი საქმიანობისა ცალკეულ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან შედარებით იმაში გამოიხატება, რომ რამდენიმე კაცისაგან შემდგარ ანტისაბჭოთა ჯგუფის ასეთ ორგანიზებულ საქმიანობას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიურ საფუძვლებს.

მართალია, ამჟამად საბჭოთა კავშირში, სადაც წარმატებით ხორციელდება კომუნისტური მშენებლობის პროგრამა, არ არსებობს კლასობრივი ბაზა, რაზედაც დაყრდნობით მტერმა შეძლოს საბჭოთა სახელმწიფოს ძირგამომთხრელი საქმიანობის წარმოება. გამორიცხულია ფარული ანტისაბჭოთა ორგანიზაციის შექმნისა და არსებობის შესაძლებლობა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დაზვერვის ორგანოები სოციალისტური სახელმწიფოს მიმართ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად კვლავ ცდილობენ გამოიყენონ იატაკქვეშა ანტისაბჭოთა ორგანიზაციები. ასეთი

---

[1] უსწოროდ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ „ომის პროპაგანდისაგან უნდა განვასხვაოთ წაქეზება ომისათვის" და ა. შ. (იხ. «Советское уголовное право. Особенная часть». М., 1962, გვ. 98).

ორგანიზაციების შემქმნელად და წარმმართველად გვევლინებიან პირველ რიგში აშშ ყველაზე უფრო რეაქციული ძალები.

ამის გამო მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა („საჯუძვლების" მე-9 მუხლი და საქ. სსრ სს კოდექსის 73-ე მუხლი) სპეციალურად ითვალისწინებს ორგანიზაციულ საქმიანობას, მიმართულს განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულის მოსამზადებლად ან ჩასადენად, ისეთი ორგანიზაციის შესაქმნელად, რომელიც მიზნად ისახავს ასეთი დანაშაულის ჩადენას, აგრეთვე ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილეობას.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება ერთ-ერთი შემდეგი ქმედობის ჩადენაში: ა) ორგანიზაციულ საქმიანობაში, რომელიც მიმართულია განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის მოსამზადებლად ან ჩასადენად; ბ) ორგანიზაციულ საქმიანობაში ისეთი ორგანიზაციის შესაქმნელად, რომელიც მიზნად ისახავს განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენას; გ) ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილეობაში.

ანტისაბჭოთა ორგანიზაცია რამდენიმე პირის უბრალო, შემთხვევით დაჯგუფებას კი არ წარმოადგენს, არამედ წინასწარ შეთანხმებულ, მტკიცედ ორგანიზებულ მყარ ჯგუფს, რომლის მონაწილეთა ძალ-ღონე გაერთიანებულია საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი საქმიანობის განსახორციელებლად.

ანტისაბჭოთა ორგანიზაციას შესაძლოა ჰქონდეს თავისი პროგრამა, სადაც მოცემული იქნება ამ ორგანიზაციის მიზნები, ამოცანები, ასევე ჰქონდეს შიფრი, საწევრო წიგნაკები და ა. შ., მაგრამ მეტწილად ანტისაბჭოთა ორგანიზაცია, კონსპირაციის დაცვის მიზნით, როდი ადგენს წერილობით საბუთებს. ამ გარემოებას დანაშაულის კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა. ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილეობა სხვადასხვა ფორმაში გამოიხატება: მასში ამა თუ იმ პირის შესვლა შეიძლება გაფორმდეს წერილობით ან კიდევ გამოიხატოს სიტყვიერი თანხმობით, ფიცის დადებით და ა. შ. ძირითადი და მთავარია ის, რომ ყოველი მონაწილე დაკავშირებულია ანტისაბჭოთა ორგანიზაციასთან ზუსტად გარკვეული ამა თუ იმ ვალდებულებით.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც ანტისაბჭოთა ორგანიზაცია ახალი შექმნილია და ამის გამო ვერ მოასწრო ჩაედინა გამიზნული დანაშაული, მისი მონაწილენი პასუხს აგებენ იმ დანაშაულისათვის, რომლის განხორციელების მიზნით გააერთიანეს მათ თავიანთი ძალ-ღონე, რადგან კანონი (სსრკ 73-ე მუხ.) ანტისაბჭოთა ორგანიზაციის შექმნისა და მასში მონაწილეობის ფაქტს განიხილავს დამ-

თავრებულ დანაშაულად, თუნდაც მის წევრებს ჯერ კიდევ ვერ მიეღწიონ დანაშაულებრივი მიზნისათვის.

ანტისაბჭოთა ორგანიზაციას უნდა განვასხვავოთ წინასწარი შეთანხმებით დანაშაულში თანამონაწილეობისაგან ორგანიზებულობის ნიშნით, რაც გულისხმობს დამნაშავეთა არა მარტო უბრალო შეთანხმებას, არამედ ადრევე ურთიერთშორის მჭიდროდ შეკავშირებას საერთო დანაშაულებრივი მიზნის განსახორციელებლად. უკეთუ მათი ორგანიზებულობა წარმოიშვა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის წინ ან მისი ჩადენის მომენტში, ასეთი თანამონაწილეობა განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩასადენად შექმნილ ანტისაბჭოთა ორგანიზაციად ვერ ჩაითვლება. მოცემულ შემთხვევაში დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება თანამონაწილეობისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის საერთო წესის მიხედვით სს კოდექსის მე-10 მუხლის საფუძველზე.

სუბიექტური მხრივ განსახილველ დანაშაულს ახასიათებს ბრალი პირდაპირი განზრახვის ფორმით. დანაშაულებრივი ორგანიზაციის ყველა მონაწილის მიზანია საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების ძირის გამოთხრა ან შესუსტება.

ანტისაბჭოთა ორგანიზაციის მონაწილეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება სისხლის სამართლის იმ ზოგადი დებულების საფუძველზე, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეიძლება მიეცეს მარტოოდენ ის პირი, რომელიც ბრალეულია კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი პასუხს აგებს არა ყველა დანაშაულისათვის, რომელიც ორგანიზაციამ ჩაიდინა ან ემზადებოდა ჩასადენად, არამედ მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენის თანამონაწილეობაზეც მისცა მან თანხმობა.

ცნობილია, რომ საწინააღმდეგო თვალსაზრისისა იყო ა. ვიშინსკი, რომლის „თეორიაშაც" ამ დარგში გამოიწვია სოციალისტური კანონიერების უხეში დამახინჯება და უდანაშაულო ადამიანების უსაფუძვლოდ დასჯა. ა. ვიშინსკი თვლიდა, რომ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილე პასუხისმგებელია იმ შემთხვევაშიც, როცა მას ამ ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ დანაშაულებრივ მოქმედებასთან რაიმე დამოკიდებულება არ ჰქონია და არც თანხმობა მიუცია მის ჩადენაზე, რომ, ამრიგად, დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ამ ორგანიზაციის სხვა წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის დანარჩენ მონაწილეებსაც, თუნდაც მათთვის არც იყოს ცნობილი რაიმე ამის შესახებ.

ა. ვიშინსკის ასეთი „თეორია" წარმოადგენდა პასუხისმგებლობის შესახებ საბჭოთა სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპის უხეშ და მავნე დამახინჯებას.

სს კოდექსის 73-ე მუხლს თავისი სანქცია არა აქვს. ბრალეულ პირებს ეს მუხლი შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ კოდექსის სხვა მუხლებთან ერთად, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას იმ კონკრეტული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის, რომლის მოსამზადებლად და ჩასადენადაც იყო მიმართული ორგანიზაციული საქმიანობა ან რომლის ჩასადენადაც შეიქმნა ანტისაბჭოთა ორგანიზაცია. ასე, მაგალითად, იმ ანტისაბჭოთა ორგანიზაციის მონაწილენი, რომელთა მიზანიც იყო მავნებლობა, პასუხს აგებენ სს კოდექსის 70-ე და 73-ე მუხლებით; თუ ორგანიზაციის მიზანს შეადგენდა დიეერსია — სს კოდექსის 69-ე და 73-ე მუხლებით და ა. შ. სასჯელის ზომა ასეთ შემთხვევებში განისაზღვრება სს კოდექსის 70-ე, 69-ე ან სხვა შესაბამისი მუხლით.

კ. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, ჩადენილი მშრომელთა სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ

საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლი განმარტავს, რომ, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის გამო, განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ჩადენილია მშრომელთა სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, შესაბამისად ისჯება სს კოდექსის 65-73-ე მუხლებით.

ამრიგად, საბჭოთა სახელმწიფო, ახორციელებს რა ძმურ თანამშრომლობას მშრომელთა ყველა სახელმწიფოსთან, გამომდინარე მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობიდან, განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულად თვლის ქმედობას, მიმართულს მშრომელთა სხვა სახელმწიფოს ძირის გამოთხრის ან შესუსტებისაკენ, თუნდაც ეს სახელმწიფო არ შედიოდეს სსრ კავშირში.

II სხვა სახელმწიფო დანაშაული

§ 1. სხვა სახელმწიფო დანაშაულის ზოგადი ცნება და სისტემა

სხვა სახელმწიფო დანაშაულის ცალკეული სახეები გათვალისწინებულია საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პირველი თავის მეორე კარში.

სხვა სახელმწიფო დანაშაულად ჩაითვლება ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის

კანონით, რომელიც მიმართულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის, თავდაცვისუნარიანობისა და სამეურნეო-ძლიერების წინააღმდეგ, ზიანს აყენებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის საქმეს, ეროვნებათა თანასწორუფლებიანობას, სსრ კავშირის ტრანსპორტს, ფულად და საკრედიტო სისტემას.

აღნიშნულიდან ნათელია, რომ ამ სახის დანაშაული მომეტებულ საშიშროებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა ინტერესებისათვის.

ობიექტური მხრივ სხვა სახელმწიფო დანაშაული მეტწილად აქტიურ მოქმედებაში გამოიხატება, ზოგჯერ — პასიურობაში, უმოქმედობაში. ასე, მაგალითად, ბანდიტიზმი, კონტრაბანდა, ყალბი ფულის დამზადება და სხვ. შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ მოქმედებით, სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება — როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით, ხოლო სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობა — მარტოოდენ უმოქმედობით და ა. შ.

სუბიექტური მხრივ ამ სახის დანაშაული მეტწილად განზრახი ბრალით ხასიათდება. მაგრამ ზოგიერთი მათგანისათვის ბრალი შეიძლება გამოიხატოს როგორც განზრახვაში, ასევე გაუფრთხილებლობაში (მაგ., სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება), ხოლო ზოგიერთისათვის კი — მარტოოდენ გაუფრთხილებლობაში (მაგ., სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა).

სუბიექტი შეიძლება იყოს 16 წლის ასაკს მიღწეული ყოველი შერაცხადი პირი. განსახილველი დანაშაულის ცალკეული სახეების სუბიექტად გვევლინება უფროსი ასაკის პირი (მაგ., ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისაგან თავის არიდებისას ან მობილიზაციით გაწვევისაგან თავის არიდებისას) ან კიდეე 14 წლის ასაკს მიღწეული პირიც (მაგ., მიმოსვლის გზებისა და სატრანსპორტო საშუალებათა დაზიანებისას).

სხვა სახელმწიფო დანაშაული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისაგან, პირველ რიგში, უნდა განვასხვაოთ ობიექტისა და სუბიექტური მხარის მიხედვით. სახელდობრ, განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისაგან განსხვავებით იგი არ ხელყოფს საბჭოთა ხელისუფლებას, სოციალისტური რევოლუციის ძირითად მონაპოვარს პოლიტიკურ, ეროვნულ, ეკონომიურ დარგში. ოუმცა შეუძლია არსებითი ზიანი მიაყენოს საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს. შემდეგ, თუ განსაკუთრებით საშიში სახელმწი-

ფო დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით, სხვა სახელმწიფო დანაშაულის სუბიექტური მხარე ასეთ მიზანს არ შეიცავს (მაგალითად. მიმოსვლის გზების დანგრევა ან დაზიანება ხულიგნური ქვენა გრძნობით დაკვალიფიცირდება სსკ 87-ე მუხლით, ხოლო იგივე ქმედობა, ჩადენილი საბჭოთა ხელისუფლების შესუსტების მიზნით, — 69-ე მუხლით).

იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია სხვა სახელმწიფო დანაშაულის სხვადასხვა სახის სისტემატიზაცია იმ მხრივ, რომ მათ მიაკუთვნებენ ერთ-ერთ შემდეგ ჯგუფს:

ა) სახელმწიფო მმართველობის საფუძვლებზე და სახელმწიფო და საზოგადოებრივ უშიშროებაზე ხელყოფის ზოგადი სახეები: ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევა (სს კოდექსის 75-ე მუხ.); ბანდიტიზმი (78-ე მუხ.); მოქმედებანი, რომელთაც დეზორგანიზაცია შეაქვთ შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობაში (78[1]-ე მუხ.); მასობრივი არეულობა (მე-80 მუხ.).

ბ) ხელყოფა სსრ კავშირის თავდაცვაზე: სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება (76-ე მუხ.); სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა (77-ე მუხ.); ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისაგან თავის არიდება (81-ე მუხ.); მობილიზაციით გაწვევისაგან თავის არიდება (82-ე მუხ.); ომიანობის ღროს ბეგარის შესრულებისაგან ან გადასახადთა გადახდისაგან თავის არიდება (83-ე მუხ.).

გ) ხელყოფა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობასა და საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაზე: კონტრაბანდა (79-ე მუხ.); უკანონო წასვლა საზღვარგარეთ და უკანონო შემოსვლა სსრ კავშირში (84-ე მუხ.); საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა (85-ე მუხ.)

დ) ხელყოფა სსრ კავშირის ფულად და საკრედიტო სისტემაზე: ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება (88-ე მუხ.); სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა (89-ე მუხ.).

ე) ხელყოფა ტრანსპორტზე: მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა (86-ე მუხ.); მიმოსვლის გზებისა და სატრანსპორტო საშუალებათა დაზიანება (87-ე მუხ.);

ვ) დანაშაული. რომელიც არღვევს სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოვლინებასა და ბასუხისგებაში მისაცემად მართლმსაჯულების ორგანოების მიერ წარმოებულ ნორმალურ მუშაობას:

სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობა (90 მ.); სახელმწიფო დანაშაულის დაფარვა (90¹-ე მუხ.).

§ 2. სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებზე ხელყოფის ზოგადი სახეები

ამ ჯგუფის დანაშაულთათვის დამახასიათებელია ის, რომ ისინი საბოლოო ჯამში ხელყოფენ საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის საფუძვლებს, სოციალისტური სახელმწიფოს საქმიანობას კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად.

ა) პასუხისმგებლობა ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევისათვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლში.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სამუდამოდ მოსპო ჩვენს ქვეყანაში ეროვნული და რასობრივი უთანასწორობა, ერთი ერის მიერ მეორის დაჩაგვრა, დაბეჩავება. მან უზრუნველყო ყველა ეროვნების სრული თანასწორუფლებიანობა პოლიტიკურ, სამეურნეო, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. უანგარო ძმობა და მეგობრობა მათ შორის.

ეერაციითარი პროპაგანდა იმპერიალისტური წრეებისა ვერ შეარყევს საბჭოთა ხალხების ამ დიად მონაპოვარს, განმტკიცებულს დაძაბული საერთო შრომითა და ბრძოლებით. საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ იბრძოდა და იბრძვის იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც შეეცდება ხელყოს ლენინური ნაციონალური პოლიტიკა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 123-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „სსრ კავშირის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა და რასისა, სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში ურყევი კანონია.

მოქალაქეთა უფლების რაიმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა ან, პირიქით, პირდაპირი თუ არაპირდაპირი უპირატესობის დაწესება მათი რასობრივი და ეროვნული კუთვნილების მიხედვით, აგრეთვე რასობრივი ან ეროვნული განკერძოებულობის, ან სიძულვილისა და ქედმაღლობის ყოველგვარი ქადაგება — ისჯება კანონით“.

განსახილველი დანაშაულის **ობიექტს** წარმოადგენს ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობა.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება აგიტაციის ან პროპაგანდის გაწევაში, რასობრივი ან ეროვნული მტრობის თუ განხეთქილების ჩამოგდების მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ მოქა-

ლაქეთა უფლებების შეზღუდვაში ან მათთვის უპირატესობის დაწესებაში რასობრივი თუ ეროვნული კუთვნილების მიხედვით.

აგიტაციისა და პროპაგანდის ცნება უკვე განმარტებული იყო ზემოთ სს კოდექსის 71-ე მუხლის ანალიზისას. იქ ნათქვამი მთლიანად ვრცელდება განსახილველ დანაშაულზე. რაც შეეხება უფლებების შეზღუდვას ან უპირატესობათა დაწესებას რასობრივი თუ ეროვნული კუთვნილების მიხედვით, ასეთი რამ შეიძლება გამოიხატოს ისეთ მოქმედებაში, როგორიცაა. მაგალითად, ამა თუ იმ პირისათვის ხელის შეშლა ისწავლოს. მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იმუშაოს თავისი ცოდნისა და სურვილის მიხედვით (უარის თქმა გარკვეულ დარგში სამუშაოდ მიღებაზე ან სამუშაოდან გათავისუფლება) და ა. შ. იმის გამო, რომ იგი მიეკუთვნება ამა თუ იმ რასას ან ეროვნებას. აგრეთვე ამავე საფუძველზე პირისათვის სხვადასხვა სახის უპირატესობის დაწესება პირდაპირ, სააშკარაოდ, ყველასათვის ცხადად ან არაპირდაპირ, შენიღბულად, ფარულად.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი. როგორც სსრ კავშირის მოქალაქე, ასევე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირი, როგორც კერძო, ასევე თანამდებობის პირი.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაულის ის სახე, რომელიც მდგომარეობს აგიტაციის ან პროპაგანდის გაწევაში, შეიძლება ხასიათდებოდეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რადგან თვით კანონში (სს კოდექსის 75-ე მუხლში) მითითებულია დამნაშავის სპეციალურ მიზანზე — რასობრივი ან ეროვნული მტრობის თუ განხეთქილების ჩამოგდება მშრომელებს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ სუბიექტს აქვს შეგნება, რომ მის მოქმედებას შეუძლია რასობრივი ან ეროვნული მტრობის თუ განხეთქილების ჩამოგდება და სურს კიდევაც ასეთი შედეგის დადგომა.

რაც შეეხება მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვას ან უპირატესობის დაწესებას რასობრივი თუ ეროვნული კუთვნილების მიხედვით. იგი სუბიექტური მხრივ შეიძლება ხასიათდებოდეს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი განზრახვით. მაშასადამე. სუბიექტს ამ შემთხვევაში აქვს იმის შეგნება, რომ თავისი მოქმედებით იგი უზღუდავს უფლებებს მოქალაქეს რასობრივი და ეროვნული კუთვნილების მიხედვით ან უწესებს უპირატესობას და სურს ეს, ანდა კიდევ შეგნებულად უშვებს ამას.

უკეთუ რასობრივი ან ეროვნული მტრობისა თუ განხეთქილების ჩამოგდება მიზნად ისახავს საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრას ან შესუსტებას, იგი უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც

ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა (სს კოდექსის 71-ე მუხლით) ანდა კიდევ, სათანადო პირობებში, როგორც მავნებლობა (70-ე მუხლით).

პირადი შეურაცხყოფა ამა თუ იმ პირისა, თუნდაც მისი რასობრივი ან ეროვნული კუთვნილების გამოყენებით, ვერ მოგვცემს განსახილველი დანაშაულის შედგენილობას, რამდენადაც ამ შემთხვევაში არ არსებობს დამნაშავის სურვილი ჩამოაგდოს რასობრივი ან ეროვნული მტრობა თუ განხეთქილება.

სასჯელი ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევისათვის (სს კოდექსის 75-ე მუხლის საფუძველზე) — თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვიდან სამ წლამდე ან გადასახლება ორი წლიდან ხუთ წლამდე.

ბ) პასუხისმგებლობა ბანდიტიზმისათვის გათვალისწინებული სს კოდექსის 78-ე მუხლში.

სხვა სახელმწიფო დანაშაულთა შორის ბანდიტიზმი ერთ-ერთი ყველაზე საშიში დანაშაულია. მას ფართო გავრცელება ჰქონდა საშოქალაქო ომის წლებში, როდესაც ბანდიტური თავდასხმები ეწყობოდა სასურსათო რაზმებსა და საწყობებზე, საბჭოთა დაწესებულებებსა და ცალკეულ მოქალაქეებზე. ამ პერიოდში ბანდიტიზმი ხშირად აშკარა ანტისაბჭოთა ხასიათს იღებდა.

ბანდიტებს, ამ ძველი საზოგადოების გახრწნილ ელემენტებს, იყენებდნენ ხოლმე სხვადასხვა კონტრრევოლუციური ორგანიზაციები და ჯგუფები ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბუნებრივია, საბჭოთა სახელმწიფო მტკიცე, გადამჭრელ ზომებს იღებდა ბანდიტიზმის ლიკვიდაციისათვის, სასტიკად სჯიდა მასში მონაწილე გადაგვარებულ პირებს. აღსანიშნავია, რომ სრულიად რუსეთის ცაკის 1919 წლის 20 ივნისის დეკრეტით იმ ადგილებში, სადაც სამხედრო მდგომარეობა იყო გამოცხადებული, საბჭოთა სახელმწიფოსათვის განსაკუთრებულად საშიშ დანაშაულთა, მათ შორის ბანდიტიზმის, ჩადენაში მხილებულ პირთა მიმართ უშუალო ანგარიშსწორების (დახვრეტის ჩათვლით) უფლება მიენიჭა საგანგებო კომისიის (ჩკ) ორგანოებს, ხოლო რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1920 წლის 19 თებერვლის დეკრეტის საფუძველზე პირებს, მხილებულთ შეიარაღებულ გაძარცვაში, ყაჩაღურ თავდასხმებში, ასამართლებდნენ სამხედრო-რევოლუციური ტრიბუნალები.

ბანდიტიზმის შემთხვევათა ზრდას ადგილი ჰქონდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდში, როდესაც კულაკური ელემენტები ეწინააღმდეგებოდნენ სოფლის სოციალისტურად გარ-

დაქმნის საბჭოთა პოლიტიკის განხორციელებას, აწყობდნენ ბანდიტურ თავდასხმებს საბჭოთა დაწესებულება-ორგანიზაციებზე, საბჭოთა მოწინავე ადამიანებზე, სოფლის აქტივისტებზე. მშრომელთა ფართო მასების დახმარებით, საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული ზომების მეოხებით, ძირფესვიანად იქნენ ისინი განადგურებული. ყველგან განმტკიცდა საბჭოთა მართლწესრიგი.

დღევანდელ პირობებში ბანდიტური თავდასხმები ჩვენს ქვეყანაში იშვიათ, გამონაკლის მოვლენას წარმოადგენს; მისი ცალკეული შემთხვევები გამოიხატება მეტწილად მხოლოდ მოქალაქეებზე. თავდასხმაში ანგარების მოტივით ან ხულიგნური ქვენა გრძნობით.

კანონის (სს კოდექსის 78-ე მუხლის) განმარტებით, ბანდიტიზმი არის შეიარაღებული ბანდების ორგანიზაცია სახელმწიფო, საზოგადოებრივ დაწესებულებებსა თუ საწარმოებზე ან ცალკეულ პირებზე თავდასხმის მიზნით, აგრეთვე მონაწილეობა ასეთ ბანდებში და მათ მიერ მოწყობილ თავდასხმებში.

ბანდიტიზმის ობიექტს წარმოადგენს სსრ კავშირის სახელმწიფო მმართველობის საფუძვლები და საზოგადოებრივი უშიშროება. უშუალო ობიექტად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულება თუ საწარმო, სოციალისტური ან პირადი საკუთრება, აგრეთვე მოქალაქეთა პიროვნება.

ობიექტური მხრივ დანაშაული შეიძლება გამოიხატოს:

ა) შეიარაღებული ბანდის ორგანიზაციაში, ბ) ასეთ ბანდაში მონაწილეობაში ან კიდევ გ) ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმებში მონაწილეობაში. ერთ-ერთი აღნიშნული სახის ქმედობის არსებობა საკმარისია იმისათვის, რომ იგი ჩაითვალოს ბანდიტიზმად.

ბანდა ორგანიზებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ცალკეული პირები დათანხმდნენ მის საქმიანობაში მონაწილეობაზე, თუნდაც ბანდას ჯერ კიდევ არ მოეწყოს არც ერთი თავდასხმა. სწორედ ამ მომენტიდან მიეცემიან ბანდის ორგანიზატორები და მონაწილეები პასუხისგებაში სს კოდექსის 78-ე მუხლით. მაშასადამე, ბანდის ორგანიზაცია (რაც გამოიხატა წევრების მომზადებაში, თავდასხმების გეგმის შედგენაში, იარაღის შეძენაში და ა. შ.) თავისთავად ჩაითვლება ბანდიტიზმის დამთავრებულ შედგენილობად. ბანდიტიზმად ჩაითვლება ასევე მონაწილეობა უკვე ორგანიზებულ ბანდასა და მის მიერ მოწყობილ თავდასხმებში.

ბანდიტური თავდასხმა ყოველთვის გულისხმობს ძალადობას ან ძალადობის გამოყენების მუქარას ვისიმე წინააღმდეგობის დასაძლევად. თავდასხმას სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებასა თუ საწარმოზე (მაგ., შემნახველ სალაროზე, ფოსტაზე,

ნაღაზიაზე და სხვ.) შეიძლება თან ერთვოდეს ქონების გატაცება, დანგრევა თუ დაზიანება, დაწესებულება-საწარმოს მომუშავეთა მიმართ ძალადობა და ა. შ., ხოლო მოქალაქეებზე თავდასხმას — მკვლელობა, სხეულის დაზიანება, გაუპატიურება და ა. შ. ყველა ასეთი მოქმედება დაიფარება ბანდიტიზმის ცნებით და, მაშასადამე, აღარ არის საჭირო სს კოდექსის 78-ე მუხლის გარდა კიდევ სხვა მუხლების გამოყენება (მაგ., მკვლელობისათვის დამატებით 104-ე მუხლის, გაუპატიურებისათვის 117-ე მუხლის და ა. შ. შეფარდება) [1].

აღსანიშნავია, რომ კანონის ძალით ბანდის წევრების პასუხისმგებლობა არ განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა როლი შეასრულეს მათ დანაშაულის ჩადენაში. ბანდის ყველა წევრი პასუხისმგებელია ერთობლივად იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია ბანდის მიერ ანდა გათვალისწინებული იყო მისი ჩადენა ბანდის დანაშაულებრივი გეგმით. მიუხედავად ამისა, საგამომძიებლო-სასამართლო ორგანოებს, ცხადია, მართებს დაადგინოს ბანდის ყოველი წევრის ბრალის ზომა, ზუსტად განსაზღვრას ბანდის ცალკეულ მონაწილეთა დანაშაულებრივი საქმიანობის ხარისხი და ხასიათი. ეს საჭიროა მათ მიმართ სასჯელის ზომის განსაზღვრისათვის. ამას მოითხოვს ბრალისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის საკითხზე საბჭოთა სისხლის სამართლის პრინციპის დაცვის აუცილებლობა.

შეუძლებელია ბანდის წევრს შეერაცხოს ისეთი დანაშაული, რომლის შესრულებაც მის მიზანს არ შეადგენდა, მის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღია და არც რაიმე იცოდა მის შესახებ.

ბანდიტიზმის შედგენილობის ობიექტური მხარის ნათლად წარმოდგენისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს შეიარაღებული ბანდის ცნების გარკვევას, იმის დადგენას, თუ რა ნიშნებით ხასიათდება ეს ცნება.

თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში მტკიცედ არის დადგენილი, რომ შეიარაღებული ბანდის ცნება უნდა აუცილებლად აკმაყოფილებდეს შემდეგ სამ მოთხოვნას: ა) ბანდის არსებობის ცნებისათვის საკმარისია იყოს ჯგუფი, შემდგარი ორი და მეტი პირისაგან. ერთი პირის მიერ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა (თუ იგი ბანდის წევრი არ იყო) ბანდიტიზმად არ ჩაითვ-

---

[1] იხ. სსრკ უმაღლესი სასამართლის პლენუმის 1962 წ. 31 მარტის დადგენილების — „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ" მე-14 პუნქტი (იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1962, № 4).

ლება; ბ) ბანდა ორი და მეტი კაცისაგან შემთხვევით შემდგარ უბრალო ჯგუფს კი არ წარმოადგენს, არამედ ურთიერთშორის მტკიცედ, შეიდროდ შეკავშირებულ ჯგუფს, შექმნილს მთელი რიგი შეიარაღებული თავდასხმის აქტების ჩასადენად. ბანდა ხასიათდება მუდმივი ან თუნდაც, დროებითი საქმიანობით, რაც სპეციალურად გამიზნულია, როგორც წესი, რამდენიმე დანაშაულებრივი ქმედობის განსახორციელებლად [1]; დაბოლოს, გ) ბანდა უნდა შეიარაღებული იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბანდის წევრებს იარაღი უნდა ჰქონდეთ. ამასთან არ არის საკალდებულო ყველა წევრის შეიარაღება. საკმარისია შეიარაღებული იყოს ბანდის თუნდაც ერთი წევრი. შეიარაღება ბანდის ცნების აუცილებელი ნიშანია.

შეიარაღება გულისხმობს როგორც ცეცხლმსროლი, ასევე ცივი იარაღით აღჭურვას. ცეცხლმსროლ იარაღად ჩაითვლება არა მარტო შაშხანა, კარაბინი, რევოლვერი, პისტოლეტი და ა. შ., არამედ თვითნაკეთი (ცუსტარულად დამზადებული) იარაღიც, ხოლო ცივ იარაღად—საგნები, სპეციალურად გამიზნული მხოლოდ სხეულის დაზიანებისათვის (და არა სამეურნეო დანიშნულების მქონე). ასეთ იარაღს წარმოადგენს ხანჯალი, ხმალი, ფინური დანა, ხიშტი, დაშნა და სხვ. როგორც ცეცხლმსროლი, ასევე ცივი იარაღი უნდა იყოს იმ კატეგორიისა, რომელთა ტარება, დამზადება ან გასაღება სათანადო ნებართვის გარეშე აკრძალულია.

შეიარაღებული ბანდის ცნებისათვის აუცილებელია ერთდროულად არსებობდეს სამივე ზემოაღნიშნული ნიშანი.

ბანდიტიზმის **ს უ ბ ი ე ქ ტ ე ბ ი** არიან შეიარაღებული ბანდის ორგანიზატორები (პირები, რომლებმაც ბანდა შექმნეს), შეიარაღებული ბანდის მონაწილენი (პირები, რომელთა შემადგენლობითაც ჩამოყალიბდა ბანდა) და ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმებში მონაწილენი, მიღწეულნი 16 წლის ასაკს. ბანდის ორგანიზატორი ან მონაწილე პირი 14-დან 16 წლამდე ასაკისა პასუხს აგებს მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია სს კოდექსის მე-12 მუხლის მეორე ნაწილით (სახელდობრ, მკვლელობისათვის, ყაჩაღობისათვის და სხვ., უკეთუ ბანდაში მონაწილეობისას მის მიერ ჩადენილია ამ სახის დანაშაული).

---

1 სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წ. 17 ივნისის დადგენილებაში ვ. და კ. ბრაღდების საქმეზე ნათქვამია, რომ „ბანდა წარმოადგენს მყარ შეიარაღებულ ჯგუფს ორი და მეტი პირისაგან შემდგარს, რომლებიც წინასწარ არიან ორგანიზებული სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულება-საწარმოებზე ან ცალკეულ პირებზე თავდასხმების მოსაწყობად" (იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР", 1960, №5, გვ. 15).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ ბანდიტიზმი გულისხმობს პირდაპირ განზრახვას, რომელიც მოიცავს სუბიექტის შეგნებას, რომ იგი აყალიბებს შეიარაღებულ ბანდას ან მონაწილეობს ამ ბანდაში ანდა მის მიერ მოწყობილ თავდასხმებში, და სურვილს — მოაწყოს ასეთი ბანდა ანდა მონაწილეობა მიიღოს მასში და მის მიერ მოწყობილ თავდასხმებში.

დღევანდელ პირობებში ბანდიტიზმისათვის მეტწილად დამახასიათებელია ანგარებითი მოტივი, მაგრამ არ არის გამორიცხული სხვა შინაარსის მოტივიც (მაგალითად, ხულიგნობის, შურისძიებისა და ა. შ.).

არ არის გამორიცხული აგრეთვე შეიარაღებული ბანდის ორგანიზაცია საბჭოთა ხელისუფლების შესუსტების ან ძირის გამოთხრის მიზნით. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ბანდის ორგანიზატორებისა და მონაწილეებისათვის განისაზღვრება განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის შესახებ კოდექსის შესაბამისი მუხლით (იმისდა მიხედვით, თუ რა სახის განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩასადენად არის შექმნილი ბანდა). ამასთან, უკეთუ აღნიშნულ მიზანს ისახავდნენ მარტოოდენ ბანდის ორგანიზატორები, ხოლო ბანდის დანარჩენი მონაწილეებისათვის ეს გარემოება ცნობილი არ იყო, ამ უკანასკნელთა ქმედობა დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 78-ე მუხლით (როგორც ბანდიტიზმი).

ბანდიტიზმი გარეგნული ნიშნებით ემსგავსება ყაჩაღობას (რასაც ითვალისწინებს სს კოდექსის 96-ე და 152-ე მუხლები). განსხვავება მათ შორის დადგენილი უნდა იქნეს შემდეგი ნიშნების მიხედვით: ყაჩაღობა შეიძლება ჩადენილ იქნეს ერთი პირის მიერაც, მაშინ როდესაც ბანდიტიზმის შედგენილობისათვის აუცილებელია ორი და მეტი პირისაგან შემდგარი ბანდის არსებობა. მართალია, ყაჩაღობა შეიძლება განხორციელებულ იქნეს რამდენიმე პირისაგან შემდგარი ჯგუფის მიერაც, მაგრამ ეს ჯგუფი არ წარმოადგენს მტკიცედ შეკავშირებულ მყარ ორგანიზაციას, რაც დამახასიათებელია ბანდიტიზმისათვის. შემდეგ, ყაჩაღობის ბუნება იმაში მდგომარეობს, რომ ყაჩაღთა ჯგუფი შექმნილია ერთი კონკრეტული თავდასხმის მოსაწყობად, მაშინ როდესაც შეიარაღებული ბანდა ორგანიზებულია, როგორც წესი, რამდენიმე თავდასხმის ჩასადენად.

დაბოლოს, უკეთუ ბანდიტიზმისათვის აუცილებელია დამნაშავეთა შეიარაღება. ყაჩაღობა შეიძლება განხორციელდეს ამის გარეშეც.

სასჯელი ბანდიტიზმისათვის — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლება ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ანდა სიკვდილით დასჯა ქონების კონფისკაციით.

ბ) მოქმედება, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობაში, გათვალისწინებულია სსკ კოდექსის 78[1]-ე მუხლში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 18 მაისის ბრძანებულების შესაბამისად საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 31 მაისის ბრძანებულებით საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაეშატა 78[1]-ე მუხლი შემდეგი შინაარსისა: „განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები, აგრეთვე მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები, რომლებიც ტერორით აშინებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმრებს ან აწყობენ თავდასხმებს ადმინისტრაციაზე, აგრეთვე ქმნიან ამ მიზნით დანაშაულებრივ დაჯგუფებებს ან აქტიურად მონაწილეობენ ასეთ დაჯგუფებებში — ისჯებიან თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ან ისჯებიან სიკვდილით.

განსახილველი დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის საფუძვლები, აგრეთვე შრომაგასწორების დაწესებულებათა ნორმალური საქმიანობა, გამიზნული დამნაშავე პირთა ხელახლა აღზრდისათვის.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამოსწორების გზაზე დამდგარი პატიმრების ტერორით დაშინებაში ან ადმინისტრაციაზე თავდასხმების მოწყობაში, აგრეთვე ამ მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფებების შექმნაში ან ასეთ დაჯგუფებებში აქტიურად მონაწილეობაში.

გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმართა ტერორით დაშინებად უნდა მივიჩნიოთ შემთხვევები ძალადობის ან ძალადობის გამოყენების მუქარისა იმ მიზნით, რომ უარი ათქმევინონ მათ შრომისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებასა და რეჟიმის წესების დაცვაზე, ანდა იგივე მოქმედებანი, რომლებიც ჩადენილია შურისძიების ნიადაგზე შრომა-გასწორებით დაწესებულებაში დისციპლინისა და წესრიგის გასამტკიცებლად საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისათვის. ტერორით დაშინებად უნდა იქნეს აგრეთვე მიჩნეული პატიმართა დაცინვა და აბუჩად აგდება მათი დაშინებისა და ხელახლა აღზრდის ხელის შემშლის მიზნით.

ტერორით დაშინებისაგან უნდა განვასხვავოთ სხვა, ობიექტური მხრივ მსგავსი, დანაშაულებრივი გამოვლინებანი (ცემა, სხეულის დაზიანება და ა. შ.), რომლებიც ჩადენილი იყო დაზარალებულთან მსჯავრდებულის ჩხუბის, პირადი ურთიერთობის ნიადაგზე და სხვა მსგავსი ვითარების დროს.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებზე თავდასხმა შეიძლება გამოიხატოს მათ ცემაში, სხეულის დაზიანებაში, მკვლელობაში, თავისუფლების აღკვეთაში და ა. შ. ყველა ასეთ ქმედობას მოიცავს სს კოდექსის 78[1]-ე მუხლი და დამატებით სხვა მუხლის შეფარდება საჭირო არ არის. ადმინისტრაციის წარმომადგენელზე თავდასხმა დაკავშირებული უნდა იყოს მათ სამსახურებრივ მოვალეობასთან. უკეთუ თავდასხმა ჩადენილია დაზარალებულის (ადმინისტრაციის წარმომადგენლის) აშკარა უკანონო მოქმედების გამო, იგი უნდა დაკვალიფიცირდეს არა სს კოდექსის 78[1]-ე მუხლით, არამედ პიროვნებაზე ხელყოფის შესაბამისი მუხლით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებად მიჩნეული უნდა იქნენ: შრომა-გასწორების დაწესებულებების უფროსთა შემადგენლობის პირნი, საბადრაგო დაცვის პირადი შემადგენლობა და მეთვალყურე შემადგენლობა, ნებაყოფლობით დაქირავებული შემადგენლობა, რომელიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ახორციელებს პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას და სამედიცინო მომსახურებას, ადმინისტრაციული და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი, რომელიც ხელმძღვანელობს პატიმართა საწარმოო საქმიანობას.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებს უნდა გაუთანაბრდნენ აგრეთვე ზოგიერთი ისეთი პირები, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ასრულებენ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ მოვალეობას (ასეთებია: პროკურორი, მოსამართლე, სამეთვალყურო კომისიის წევრი, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მომუშავე და სხვ.).

განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტთა და მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთა მიერ დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა იმ მიზნით, რომ თავს დაესხან ადმინისტრაციას და ტერორით დააშინონ გამოსწორების გზაზე დამდგარი პატიმრები, ან ასეთ დაჯგუფებებში აღნიშნულ პირთა აქტიური მონაწილეობა შექმნის სს კოდექსის 78[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შედგენილობას იმ შემთხვევაშიც, როდესაც ჯგუფს ჯერ კიდევ არ ჩაუდენია დასახული დანაშაულებრივი მოქმედებანი. ამასთან, ასეთ შემთხვევაში პასუხისგებაში უნდა მიეცეს მხოლოდ ასეთი დაჯ-

გუფების ორგანიზატორები და აქტიური მონაწილენი და არა დაჯგუფების ისეთი მონაწილე, რომელიც აქტიური არ ყოფილა, რაიმე მოქმედება დაჯგუფების მიზნების განსახორციელებლად არ შეუსრულებია.

უკეთუ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი ან მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირი ზემოაღწერილ ქმედობასთან ერთად გაიქცევა თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან, მას უნდა შეეფარდოს როგორც 78[1]-ე მუხლი, ასევე 203-ე მუხლი (პატიმრობიდან გაქცევა). ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დანაშაულთა ერთობლიობას[1].

ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს სასამართლოს მიერ განსახილველი დანაშაულის ჩადენამდე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობილი პირი და მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირი. მძიმე დანაშაულის სახეები ჩამოთვლილია სს კოდექსის 25-ე მუხლში.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით და, ამასთან, სპეციალური მიზნით — დეზორგანიზაცია იქნეს შეტანილი შრომა-გასწორების დაწესებულებათა პუშაობაში.

დ) მასობრივი არეულობა. მასობრივი არეულობისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლში. ამ დანაშაულის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ჩადენა შეუძლია ადამიანთა დიდი რაოდენობის ჯგუფს (ბრბოს) და ამიტომ იგი მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია.

მასობრივ არეულობას მეტწილად ადგილი ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში, როდესაც კლასობრივი მტრები, იყენებდნენ რა ცალკეულ ადამიანთა კულტურულ ჩამორჩენილობას, მათ ეროვნულ თუ რელიგიურ ცრურწმენას, აწყობდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებს, მისი წარმომადგენლების მკვლელობას და ა. შ., რითაც ცდილობდნენ მოეშალათ მმართველობის საფუძვლები, დეზორგანიზაცია შეეტანათ საბჭოთა ხალხის ნორმალურ ცხოვრებაში.

ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციისა და ხალხის შეგ-

---

[1] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 3 დეკემბრის დადგენილება № 16 „სასამართლო პრაქტიკის შესახებ იმ საქმეებზე, რომლებიც ითვალისწინებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქმედებისათვის, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობაში" (ჟ. „საბჭოთა სამართალი", 1963, № 3, გვ. 76-79).

ნებულობის, კულტურული და მატერიალური დონის ამაღლების შედეგად მასობრივი არეულობის შემთხვევები განსაკუთრებით იშვიათი გახდა და შემდეგში თითქმის სრულიად აღმოიფხვრა. ეს დანაშაული ამჟამად შესაძლოა გამოწვეულ იქნეს მხოლოდ პოლიტიკურად ჩამორჩენილ მოქალაქეთა მხრივ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა ამა თუ იმ მოქმედებაზე უსწორო რეაგირების გამო თუ ცალკეულ პირთა უდისციპლინობის, რელიგიური ფანატიზმის და სხვა ამდაგვარ მიზეზთა გამო.

მასობრივი არეულობის ობიექტია სახელმწიფო მმართველობის საფუძვლები და საზოგადოებრივი უშიშროება.

ობიექტური მხრივ მასობრივი არეულობა შეიძლება გამოიხატოს ბრბოს მიერ დარბევაში, დანგრევაში, ცეცხლის წაკიდებაში და სხვა ამგვარ მოქმედებაში, აგრეთვე ხელისუფლებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევაში.

დარბევა ნიშნავს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულება-საწარმოთა, მაღაზიების, საწყობების, საცხოვრებელი სახლების აკლებას, გაძარცვას, მოქალაქეთა მიმართ ძალადობას და ა. შ., ხოლო ნგრევა — კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო საშუალებათა და სხვა სახის სოციალისტური საკუთრების, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი ქონების განადგურებას და დაზიანებას. „სხვა ამგვარ მოქმედებად", რაც აღნიშნულია კანონში, ჩაითვლება დაწესებულება-ორგანიზაციების ნორმალური მუშაობის ჩაშლა, ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება და ა. შ. ხელისუფლებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა შეიძლება გამოიხატოს ცეცხლმსროლი თუ ცივი იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლებისა ან მათი დამხმარე პირებისათვის მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების დროს წინააღმდეგობაში, გაძალიანებაში (მაგალითად, ბრბოს მიერ მილიციის მომუშავის მიერ ქუჩაში დაკავებული დამნაშავის განთავისუფლება ძალის გამოყენებით).

უკეთუ მასობრივი არეულობისას ჩადენილ იქნა განზრახი მკვლელობა, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით სს კოდექსის მე-80 და 104-ე მუხლებით.

სუბიექტები დანაშაულისა შეიძლება იყვნენ როგორც მასობრივ არეულობათა ორგანიზატორები (ე. ი. პირები, რომელთა ინიციატივითაც წარმოიშვა მასობრივი არეულობა ან რომელთა მითითებითა და ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ დანარჩენი მონაწილეები), ასევე მასობრივ არეულობათა მონაწილეები. იმ პირებს, რომლებიც მასობრივი არეულობის დროს თუმცა იმყოფებოდნენ ბრბოს შემადგენლობაში, მაგრამ რაიმე ზემოაღწერილი მოქმედება

არ ჩაუდენიათ და, მაშასადამე, ფაქტიურად უბრალო მაყურებელნი, მეთვალყურენი იყვნენ, — პასუხისმგებლობა განსახილველი დანაშაულისათვის არ დაეკისრებათ.

მასობრივ არეულობაში მონაწილე პირი 14-დან 16 წ. ასაკამდე პასუხს აგებს მარტოოდენ ისეთი ქმედობისათვის, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა სსკ მე-12 მუხლით დაწესებულია 14 წლის ასაკიდან.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ მასობრივი არეულობა გულისხმობს განზრახ ბრალს, ამასთან განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი. მოტივს შეიძლება შეადგენდეს შურისძიება, ანგარება, ხულიგნური ან სხვა ქვენა გრძნობა.

უკეთუ მასობრივი არეულობის ორგანიზატორებისა და მონაწილეების მიზანს შეადგენდა საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრა ან შესუსტება, მათი ქმედობა დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 69-ე მუხლით (დივერსია).

პასუხისმგებლობა სს კოდექსის მე-80 მუხლით გამორიცხულია, უკეთუ პირმა მასობრივი არეულობის დროს გაუფრთხილებლობით დააზიანა სხვისი ქონება ან მიაყენა ვისმეს სხეულის დაზიანება თუ სხვა ფიზიკური ზიანი.

სასჯელი მასობრივი არეულობისათვის — თავისუფლების აღკვეთა ორიდან თხუთმეტ წლამდე.

§ 3. ხელყოფა სსრ კავშირის თავდაცვაზე

ა. სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება. პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების-გახმაურებისათვის გათვალისწინებულია სს კოდექსის 76-ე მუხლში.

ამ დანაშაულის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობა მისი გახმაურების გამო შეიძლება ცნობილი გახდეს რომელიმე იმპერიალისტური სახელმწიფოს დაზვერვის ორგანოსათვის და გამოყენებული სსრ კავშირის თავდაცვის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

განსახილველი დანაშაულის ო ბ ი ე ქ ტ ს წარმოადგენს სსრ კავშირის საგარეო უშიშროება და თავდაცვის ინტერესები.

ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ ა რ ე განსახილველი დანაშაულისა გამოიხატება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გახმაურებაში, ე. ი. ისეთ ქმედობაში (მოქმედებაში ან უმოქმედობაში), რის შედეგად აღნიშნული შინაარსის ცნობა გაგებულ იქნა ისეთი პირის (პირების) მიერ, ვისაც იგი არ უნდა სცოდნოდა. ცნობა შეიძლება გახმაურდეს სხვადასხვა საშუალებით, სახელდობრ, სიტყვიერ-

რად. წერილობით, საჯაროდ გამოსვლაში, ბეჭდვით ნაწარმოებში გამოქვეყნებით, საბუთის პირის გადასვლებად გადაცემით და ა. შ.

დანაშაულის შედგენილობას მოგვცემს მხოლოდ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გახმაურება. ასეთი ცნობების ჩამოთვლა მოცემულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 28 აპრილის დადგენილებაში. ყოველგვარი გაუგებრობის აღსაკვეთად საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს მართებთ გახმაურებული ცნობის ხასიათის გასარკვევად მიმართონ ხოლმე შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს.

ამ დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობები განდობილი ჰქონდა ან რომლისთვისაც ისინი ცნობილი გახდა სამსახურთან ან სამუშაოსთან დაკავშირებით ამრიგად, დანაშაულის სუბიექტია თანამდებობის პირი, ასევე თუნდაც არა თანამდებობის პირი (მაგალითად, მუშა, ქალალდის გადამბეჭდავი, შიკრიკი და სხვ.), რომელსაც სამუშაოსთან დაკავშირებით ჰქონდა განდობილი აღნიშნული შინაარსის ცნობა.

კერძო პირი, რომლისთვისაც სახელმწიფო საიდუმლოება ცნობილი გახდა არა თავის თანამდებობასა თუ მუშაობასთან დაკავშირებით, მისი გახმაურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიიცემა.

სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობა სამხედრო ხასიათის ცნობების გახმაურებისათვის განისაზღვრება სსკ კოდექსის 277 მუხლის საფუძველზე.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით. მაგალითად, უკეთუ დამნაშავე ახმაურებს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობას იმ მოტივით, რომ გამოჩნდეს სხვების წინაშე „ყოველივეს მცოდნედ", „საქმეში ჩახედულ" პირად — ვეექნება პირდაპირი განზრახვა, ხოლო უკეთუ იგი, მართალია, ითვალისწინებს ასეთი ცნობების გახმაურების შესაძლებლობას, მაგრამ სასხვათაშორისოდ უცქერის მას (მაგალითად, თანამდებობის პირს მაგიდაზე ღიად, სააშკარაოდ აქვს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი საბუთი, რომელსაც ადვილად შეუძლია გაეცნოს მასთან ყველა შემსულელი) — სახეზეა არაპირდაპირი განზრახვა. ასევე გაუფრთხილებელი ბრალისას შესაძლოა არსებობდეს მისი ორივე სახე. მაგ., უკეთუ პირი ქარაფშუტულად იმედოვნებს, რომ მან მიიღო საპირო ზომა საიდუმლოების დასაცავად, მაგრამ სინამდვილეში ეს ზომა არასაკმარისი გამოდგა და საიდუმლოება გახმაურდა (კერძო

პირებმა გაიგონეს კარდახშული ოთახიდან ხმამაღალი საუბარი საიდუმლო ცნობების შესახებ) — ადგილი აქვს გაუფრთხილებელ ბრალს თვითმედოვნების სახით, ხოლო თუ პირი არ ითვალისწინებდა, რომ ახმაურებს საიდუმლო ცნობას, მაგრამ შეეძლო და მოვალეც იყო გაეთვალისწინებინა ეს — საქმე გვაქვს გაუფრთხილებელ ბრალთან დაუდევრობის სახით.

სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება - განზრახ მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 76-ე მუხლით, უკეთუ არ არის სამშობლოს ღალატის ან ჯაშუშობის ნიშნები. ე. ი. ჩადენილია ანტისაბჭოთა მიზნის გარეშე (წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედობას შეეფარდება სს კოდექსის 65-ე ან 66-ე მუხ.). სს კოდექსის 76-ე მუხლში მოცემულია განსახილველი დანაშაულის ორი სახე: მარტივი (I ნაწ.) და კვალიფიციური (II ნაწ.).

სასჯელი დანაშაულის მარტივი სახისათვის — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად თვლის მძიმე შედეგის დადგომას. არსებობს თუ არა მძიმე შედეგი — ფაქტის საკითხია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მას გადაწყვეტს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანო. შეიძლება ითქვას, რომ მძიმე შედეგად ჩაითვლება, მაგალითად, დადგენა იმისა, რომ საიდუმლოება ფაქტიურად ხელთ იქნა უცხოეთის დაზვერვამ ან კიდევ გახმაურდა განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო საიდუმლოება, რამაც გამოიწვია ამა თუ იმ თავდაცვითი სამუშაოს გეგმის არსებითი შეცვლა და ა. შ.

სასჯელი დანაშაულის კვალიფიციური სახისათვის — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

ბ) სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა. პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების, აგრეთვე ისეთი საგნების დაკარგვისათვის, რომელთა შესახებ ცნობები სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენს, გათვალისწინებულია სს კოდექსის 77-ე მუხლში.

ამ დანაშაულის საშიშროება, ისევე როგორც მისი უშუალო ობიექტი, იგივეა, რაც ზემოგანხილული სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებისა.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტის ან საგნის (მაგ., იარაღის, ხელსაწყოს, მაკეტის და ა. შ.) დაკარგვაში, ე. ი. მის გამოსვლაში იმ პირის მფლობელობიდან, რომელსაც იგი მინდობილი ჰქონდა გარ-

კვეული თანამდებობის თუ სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნული სახის დოკუმენტის თუ საგნის დაკარგვა უნდა იყოს შედეგი მათდამი მოპყრობის დადგენილი წესების დარღვევისა. დანაშაულის შედგენილობისათვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ, რა ხერხითა და საშუალებით დაიკარგა დოკუმენტი ან საგანი; არსებითია ის, რომ დოკუმენტი ან საგანი შენახვის დადგენილი წესის დარღვევის შედეგად (გატაცების ან დაკარგვის გამო) სხვა პირებს ჩაუვარდა ან შეიძლებოდა ჩავარდნოდა ხელთ, ამიტომ ასეთი დოკუმენტის თუ საგნის დაუდევრობით განადგურების, მოსპობის (მაგალითად, დაწვის, დახევის) შემთხვევაში ბრალეული პირი შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს სსკ-ის 188-ე მუხლით (და არა 77-ე მუხლით).

დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება დოკუმენტის თუ საგნის დაკარგვის მომენტიდან იმისდა მიუხედავად, დაეუფლა მას სხვა პირი თუ არა.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს ის პირი, რომელსაც დოკუმენტი ან საგანი მინდობილი ჰქონდა სამსახურის (სამუშაოს) შესრულების გამო.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ განსახილველი დანაშაული, განსხვავებით სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებისაგან (რომელსაც ახასიათებს როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი ბრალი), შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ გაუფრთხილებლობით. უკეთუ სუბიექტს სურდა აღნიშნული სახის დოკუმენტი ან საგანი მისი მფლობელობიდან გამოსვლით ხელთ ეგდო სხვა პირებს, დაისმის საკითხი 65-ე მუხლის (სამშობლოს ღალატი) გამოყენების შესახებ.

კანონი (სსკ-ის 77-ე მუხლი) ითვალისწინებს დანაშაულის როგორც მარტივს (I ნაწ.), ასევე კვალიფიცირებულ სახეს (II ნაწ.). მარტივი სახე დანაშაულისა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე. დანაშაული კვალიფიციურად ითვლება მაშინ, თუ მას მოჰყვა მძიმე შედეგები (რაც გაგებული უნდა იყოს ისევე, როგორც მძიმე შედეგი სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებისას). ასეთ შემთხვევაში სასჯელად დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან რვა წლამდე.

(2) ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისაგან თავის არიდება. ეს დანაშაული გათვალისწინებულია სსკ-ის 81-ე მუხლში.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 132-ე მუხლის (ასევე საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ 1939 წლის 1 სექტემბრის კანონის) ძალით, საყოველთაო სამხედრო სამსახური სსრ კავშირის

შეიარაღებული ძალების რიგებში წარმოადგენს სსრ კავშირის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას.

სსრ კავშირის უკლებლივ ყველა მოქალაქე მამაკაცი ვალდებულია დადგენილი ვადით იმსახუროს საბჭოთა არმიისა და ფლოტის რიგებში. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს უფლება აქვს სამხედრო სამსახურში მიიღოს აგრეთვე ქალები, რომელთაც აქვთ სამედიცინო და სპეციალური ტექნიკური მომზადება, გაიწვიოს ისინი სასწავლო შეკრებაზე.

განსახილველი დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ნორმალური შევსება, დაკომპლექტება.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისაგან თავის არიდების მიზნით დაწესებულ ვადაზე საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობაში გასაწვევ უბანში. საპატიო მიზეზად კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ თვლის: ა) გასაწვევი პირის ავადმყოფობას, რაც საექიმო მოწმობის თანახმად აბრკოლებს მის პირად გამოცხადებას; ბ) სტიქიური ხასიათის დაბრკოლებას, რაც დადასტურებული უნდა იყოს სასოფლო საბჭოს ან მილიციის ორგანოს მიერ გასაწვევი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ სსრ კავშირის მოქალაქე, რომელიც გაწვეული უნდა იქნეს საყოველთაო სამხედრო სამსახურის გასავლელად სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება მხოლოდ პირდაპირ განზრახვაში. დამნაშავის მიზანია თავი აარიდოს ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგ გაწვევას. მოტივს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

სს კოდექსის 81-ე მუხლი ითვალისწინებს განსახილველი დანაშაულის ორ სახეს: მარტივსა (I ნაწ.) და კვალიფიცირებულს (II ნაწ.).

სასჯელი მარტივი სახის დანაშაულისათვის — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან სამ წლამდე.

დამამძიმებელ გარემოებად მოხსენიებული მუხლის მეორე ნაწილი თვლის ისეთ შემთხვევას, როდესაც აღნიშნული ქმედობა ჩადენილია საკუთარი სხეულის დაზიანებით ან ავადმყოფობის სიმულაციით, ყალბი დოკუმენტების მეშვეობით ან სხვა სახის მოტყუებით, აგრეთვე ჩადენილი სხვა დამამძიმებელ გარემოებაში.

საკუთარი სხეულის დაზიანების საშუალებანი მრავალგვარია; არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დაზიანება ჩადენილია სპე-

ციალური მიზნით — სამხედრო სამსახურში გასაწვევი პირი აღ-
მოჩნდეს უვარგისი შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის. თუ
სხეული დაზიანებულია არა ამ მიზნით, მაგალითად ადგილი ჰქონ-
და თვითმკვლელობის მცდელობას, პირი ვერ მიეცემა 81-ე მუხლის
მეორე ნაწილით პასუხისგებაში, თუნდაც ასეთმა დაზიანებამ
ობიექტურად გამოიწვიოს პირის განთავისუფლება მორიგი გაწვე-
ვისაგან.

სიმულაცია ნიშნავს პირის ცრუ მტკიცებას, რომ იგი დაავადე-
ბულია ან აქვს რაიმე ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლი, რასაც
სინამდვილეში ადგილი არა აქვს. დამნაშავე შესაძლოა აზვიადებ-
დეს აგრეთვე არსებულ უმნიშვნელო დაავადებას (აგრავაცია).

სამხედრო სამსახურისაგან თავის არიდება ყალბი დოკუმენტე-
ბის მეშვეობით მდგომარეობს იმაში, რომ დამნაშავე ადგენს სამხე-
დრო კომისარიატში ყალბ დოკუმენტს (სულ ერთია, მის მიერ არის
ასეთი შედგენილი თუ სარგებლობს სხვა პირთა მიერ შედგენილით)
და ამის საფუძველზე ცდილობს მორიგი გაწვევისაგან განთავისუფ-
ლებას.

სხვა სახის მოტყუება შეიძლება გამოიხატოს შესაბამისი თანამ-
დებობის პირისათვის წინასწარი შეცნობით ცრუ ცნობების შეტ-
ყობინებაში ან, პირიქით, ისეთი ცნობების დამალვაში, რომელთა
შეტყობინებაც სავალდებულო იყო, აგრეთვე გასაწვევი პირის ნაც-
ვლად სამხედრო კომისარიატში სხვა ისეთი პირის გამოცხადებაში,
რომლის ჯარში გაწვევა ფიზიკური ნაკლოვანების გამო არ დაიშ-
ვება და ა. შ.

სასჯელი სს კოდექსის 81-ე მუხლის II ნაწილის ძალით — თა-
ვისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.

დ. მობილიზაციით გაწვევისაგან თავის არიდება გათვალისწინე-
ბულია სს კოდექსის 82-ე მუხლში.

მობილიზაცია სახელმწიფოს განსაკუთრებული, საგანგებო ღო-
ნისძიებაა, გამიზნული სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მიერ
გარედან თავდასხმის მოგერიების უზრუნველსაყოფად.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად
ახორციელებენ სახელმწიფოთა თანაარსებობისა და მშვიდობის
ლენინურ პოლიტიკას, მაგრამ ამავე დროს ზრუნავენ ქვეყნის თავ-
დაცვის განსამტკიცებლად, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მხრივ
მოსალოდნელი შეიარაღებული თავდასხმის აღსაკვეთად.

საყოველთაო სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის ძალით
მობილიზაციის გამოცხადებისას სამხედრო ნაწილებზე მიწერილი
სამხედროვალდებულნი უნდა გამოცხადდნენ სათანადო ნაწილებში

სამობილიზაციო ფურცელში მითითებულ ვადაზე (სამხედროვალდებული, რომელიც სამხედრო ნაწილზე არ არის მიწერილი, ჯარში გაიწვევა შეიარაღებული ძალების მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე).

მშვიდობიან, აგრეთვე ომის დროს მობილიზაციით გაწვევისაგან თავის არიდება, აგრეთვე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დასაკომპლექტებლად შემდგომი გაწვევისაგან თავის არიდება, ჩადენილი ომიანობის დროს, წარმოადგენს საბჭოთა მოქალაქის მიერ თავისი კონსტიტუციური ვალდებულების სერიოზულ დარღვევას, რომელსაც შეუძლია შეასუსტოს საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა.

ობიექტურიმხრივ ეს დანაშაული გამოიხატება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში მობილიზაციით გაწვევისაგან თავის არიდებაში ან შეიარაღებული ძალების დასაკომპლექტებლად შემდგომი გაწვევისაგან თავის არიდებაში.

თავის არიდება შეიძლება განხორციელდეს ყველა იმ ხერხითა და საშუალებით, რომელიც ჩამოთვლილი იყო ზემოთ სს კოდექსის 81-ე მუხლის განმარტებისას (ე. ი. საკუთარი სხეულის დაზიანებით, ყალბი დოკუმენტის გამოყენებით, სიმულაციით და ა. შ.).

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ თადარიგში მყოფი სამხედროვალდებული (როგორც მამაკაცი, ასევე ქალი), ხოლო სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დასაკომპლექტებლად შემდგომი გაწვევისაგან თავის არიდებისას — პირი, რომელსაც პირველად იწვევენ სამხედრო სამსახურში.

სუბიექტურიმხრივ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მარტოოდენ პირდაპირი განზრახვით.

სს კოდექსის 82-ე მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მხოლოდ ერთი სახის დანაშაულისათვის მშვიდობიან დროს, სახელდობრ, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში მობილიზაციით გაწვევისაგან თავის არიდებას.

ასეთი ქმედობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

მეორე ნაწილი აღნიშნული მუხლისა აწესებს პასუხისმგებლობას ორი სახის დანაშაულისათვის ომიანობის დროს, სახელდობრ: სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში მობილიზაციით გაწვევისაგან თავის არიდებისათვის და შეიარაღებული ძალების დასაკომპლექტებლად შემდგომი გაწვევისაგან თავის არიდებისა-

თეის. სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან ათ წლამდე ან სიკვდილით დასჯა.

ე. სისხლის სამართლის კოდექსის 83-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ომიანობის დროს შრომითი მობილიზაციისაგან, აგრეთვე გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების გამო.

ბუნებრივია, რომ ომიანობის დროს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გასამტკიცებლად. ეს ღონისძიებანი შეიძლება გამოიხატოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის შრომით მობილიზაციაში (მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, თავდაცვით ნაგებობებზე სამუშაოდ) და მასზე სხვა სახის ბეგარის დაკისრებაში, რაც შესრულებული უნდა იქნეს პირადი შრომით ან პირადი საშუალებებით (სახსრებით), ამასთან ასეთი ბეგარა არ არის დაკავშირებული ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობასთან [1].

ცალკეულ მოქალაქეთა მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობას ომიანობის დროს შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს სსრ კავშირის თავდაცვის საქმეს და ამიტომ იგი მიჩნეულია სისხლის სამართლის წესით სადევნ ქმედობად.

განსახილველი დანაშაულის შედგენილობა არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც პირის მიერ დარღვეულია თავისი მოვალეობა, დაკისრებული მასზე სპეციალური კანონით ან ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების განკარგულებით.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება ომიანობის დროს შრომითი მობილიზაციისაგან ან სხვა სახის ბეგარის შესრულებისაგან, აგრეთვე გადასახადის გადახდისაგან თავის არი-

---

1 „ბეგარის" ცნება შემდეგნაირად არის განმარტებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1923 წლის 8 ივლისის განჩინებაში: „ინდივიდუალური პირის მიმართ ბეგარა შეიძლება განიმარტოს, როგორც მოქალაქის ვალდებულება შეასრულოს პირადი შრომით ან პირადი საშუალებებით მოვალეობა, დაკისრებული სახელმწიფოს მიერ უველაზე ან მოქალაქეთა გარკვეულ ჯგუფებზე (შრომითი ბეგარა, სამხედრო ბეგარა და სხვ. მისთ.). ამ თვალსაზრისით, ბეგარა გულისხმობს საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათის ვალდებულებას, რომელიც არ არის დაკავშირებული მოცემული პირის ჩვეულებრივ საწარმოო-საქმიანობასთან და ეკისრება არა მარტო მოცემულ კონკრეტულ პირს, არამედ აგრეთვე უველას ან მოქალაქეთა გარკვეულ ჯგუფებს, რაოდენ არ უნდა განსხვავდებოდნენ ისინი ერთიმეორისაგან საწარმოო საქმიანობის ხასიათით ან სხვა ინდივიდუალური თვისებებით".

დებაში. ქმედობა შეიძლება განხორციელდეს როგორც აქტიური მოქმედებით, ასევე უმოქმედობითაც.

დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია მარტოოდენ ფაქტი ერთ-ერთი აღწერილი სახის მოვალეობის დარღვევისა და, მაშასადამე, მძიმე შედეგის დადგომა სავალდებულო არ არის. უკეთუ ქმედობას რაიმე მძიმე შედეგი მოჰყვა, ბუნებრივია, ეს იმოქმედებს დამნაშავისათვის შესაფარდებელი სასჯელის ზომაზე.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი განსახილველი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი პირი (როგორც სსრ კავშირის მოქალაქე, ასევე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე), რომელსაც ეკისრება ამა თუ იმ სახის ბეგარის შესრულება ან გადასახადის გადახდა. თანამდებობის პირი ამ დანაშაულის სუბიექტად გვევლინება იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ბეგარის შესრულება კანონით ევალება დაწესებულება-ორგანიზაციას ან საწარმოს (მაგალითად, ავტომანქანის ან რადიომიმღების ჩაბარება და ა. შ.). ასეთ პირობებში პასუხისგებაში მიეცემა ის თანამდებობის პირი, რომელიც ვალდებული იყო უზრუნველეყო დაწესებულება-ორგანიზაციის ან საწარმოს მიერ დაკისრებული ბეგარის შესრულება.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული განზრახია.

სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ექვსი თვიდან ერთ წლამდე.

§ 4. ხელყოფა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების ხელუხლებლობასა და საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაზე

ა. კონტრაბანდა (სს კოდექსის 79-ე მუხლი). სსრ კავშირში დაწესებულია საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, ე. ი. სახელმწიფოსა და მისი შესაბამისი ორგანოების განსაკუთრებული უფლება საგარეო ვაჭრობის წარმოებაზე. მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოსა და მის ორგანოებს აქვთ უფლება დადონ და განახორციელონ ყოველი სახის გარიგება საბჭოთა კავშირში ამა თუ იმ საქონლის შემოზიდვის ან უცხოეთში გაზიდვის შესახებ. ეს წესი ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების გეგმური განვითარებისა, ამავე დროს უზრუნველყოფს სპეკულაციის აღკვეთას, იცავს სოციალისტურ მეურნეობას კაპიტალისტური ქვეყნების მხრივ ეკონომიური ექსპანსიისა და სსრ კავშირის ეკონომიკისათვის სხვა საზიანო გავლენისაგან.

დანაშაულის ო ბ ი ე ქ ტ ს წარმოადგენს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და ამასთან ერთად სახელმწიფო საზღვრების ხელუხლებლობა.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება საქონლის ან სხვა ფასეულობის უკანონო (ე. ი. საბაჟო დაწესებულებათა გარეშე ან ამ დაწესებულებათა მხრივ კონტროლისაგან დამალვით) გადატან-გადმოტანაში სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე.

სს კოდექსის 79-ე მუხლის ძალით აღნიშნული ქმედობა მხოლოდ მაშინ არის სისხლის სამართლის წესით სადევნი, როდესაც იგი ჩადენილია შემდეგ ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებაში:

1. სპეციალურ საცავებში საგნების დამალვით. სპეციალური საცავი ნიშნავს მატარებელში, გემზე, თვითმფრინავზე თუ სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებაზე მოწყობილ ფარულ საკუპეაოს თუ სხვაგვარ საცავს, სპეციალურად დანიშნულს კონტრაბანდული საქონლის გადატან-გადმოსატანად (ასეთ საცავად ჩაითვლება აგრეთვე ჩემოდანი, ფეხსაცმელი, ქამარი ან სხვა სახის ხელბარგი, რომელიც სპეციალურად არის მოწყობილი საქონლის ფარული გადიდვისათვის);

2. საბაჟო და სხვაგვარი დოკუმენტების მოტყუებითი გამოყენებით. აქ იგულისხმება საქონლის გადატან-გადმოტანა საბაჟო დაწესებულების დოკუმენტების გაყალბებით (ყალბი დოკუმენტის შედგენით თუ ნამდვილ დოკუმენტში შესწორების, ჩამატების შეტანით ან გადასწორებით და ა. შ.), ერთი სახის საქონლის გადატან-გადმოტანა მეორე სახის საქონლის დოკუმენტით და სხვ.;

3. დიდი ოდენობით. დიდი ოდენობისაა კონტრაბანდული საქონელი თუ არა, ეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გადაწყდება საგამომძიებლო ორგანოსა და სასამართლოს მიერ საქონლის ფასის, რაოდენობისა თუ სხვა მაჩვენებლების გათვალისწინებით;

4. იმ პირთა ჯგუფის მიერ, რომლებიც ორგანიზებული არიან კონტრაბანდის გასაწევად. ჯგუფის ორგანიზებულობა ნიშნავს ორი და მეტი პირის წინასწარ შეთანხმებას საერთო ძალითა და საშუალებით სსრ კავშირის სახელმწიფოს საზღვარზე საქონლის ან სხვა ფასეულობათა უკანონო გადატან-გადმოტანის შესახებ. როგორც წესი, ორგანიზებული ჯგუფის წევრებს შორის განაწილებულია დანაშაულებრივი საქმიანობა (მაგალითად, ერთი შეისყიდის საქონელს, მეორე — გადაიტანს საზღვარზე და ა. შ.). ჯგუფის ყველა წევრი იმისდა მიუხედავად, თუ რა მოქმედება შეასრულა დანაშაულებრივი საერთო მიზნის განსახორციელებლად, დანაშაულის ამსრულებლად ითვლება და პასუხს აგებს სს კოდექსის 79-ე მუხლით;

5. თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ თანამდებობის

პირთან, რომლის სამსახურებრივი საქმიანობაც ამა თუ იმ საზომით დაკავშირებულია საზღვარზე საქონლის გადატან-გადმოტანასთან (ასეთია, მაგალითად, საბაჟო დაწესებულების, დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობის მომუშავე, გემის კაპიტანი ან მატარებლის უფროსი და ა. შ.).

6. ფეთქებად, ნარკოტიკულ, ძლიერად მოქმედ და შხამიან ნივთიერებათა, იარაღისა და სამხედრო საკუთრების კონტრაბანდა.

უკეთუ კონტრაბანდას თან ერთვის სხვა სახის დანაშაულის ჩადენა (მაგალითად, საზღვარზე პირის უკანონოდ გადასვლა, საბაჟო და სასაზღვრო ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა და ა. შ.) პასუხისმგებლობა განისაზღვრება დანაშაულთა ერთობლიობის საფუძველზე.

სს კოდექსის 79-ე მუხლით გაუთვალისწინებელი ყველა სხვა დანარჩენი შემთხვევა საქონლის საზღვარზე უკანონოდ გადატან-გადმოტანისა ადმინისტრაციულ დარღვევად ჩაითვლება და გამოიწვევს პასუხისმგებლობას სსრ კავშირის საბაჟო კოდექსით დადგენილ წესისამებრ (ე. ი. არა სისხლის სამართლის წესით).

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს როგორც კერძო, ასევე თანამდებობის პირი (იქნება სსრ კავშირის მოქალაქე თუ უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ კონტრაბანდა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავის მიზანს შეიძლება შეადგენდეს საქონლის გაყიდვა, გაჩუქება, მოხმარება და ა. შ.

უკეთუ კონტრაბანდის ჩამდენი მიზნად ისახავს საბჭოთა ხელისუფლების ძარის გამოთხრას ან შესუსტებას, ქმედობა დაკვალიფიცირდება შესაბამისი მუხლით განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ (მაგალითად, ანტისაბჭოთა ლიტერატურის კონტრაბანდისას).

უკეთუ სუბიექტი საბაჟო ორგანოების მიერ საზღვარზე გადასატან-გადმოსატანი საქონლის შემოწმების პროცესში ნებაყოფლობით წარუდგენს მათ ისეთ საქონელს თუ ფასეულობას, რომელთა გადანაცვლებაც აკრძალულია, იგი სს კოდექსის 79-ე მუხლით პასუხისმგებლობაში ვერ მიეცემა. რადგან ამ შემთხვევაში გამორიცხულია მისი განზრახვა საქონლის საზღვარზე დამალულად გატანისა.

სასჯელი კონტრაბანდისათვის სს კოდექსის 79-ე მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამი წლიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.

ბ. უკანონო წასვლა საზღვარგარეთ ან უკანონო შემოსვლა სსრ კავშირში (სს კოდექსის 84-ე მუხლი).

სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების ხელუხლებლობის პრინციპიდან გამომდინარე, არავის არა აქვს უფლება საბჭოთა ხელისუფლების მიერ დადგენილი წესის დარღვევით თუ მისი ნებართვის გარეშე წავიდეს საზღვარგარეთ ან შემოვიდეს საბჭოთა კავშირში. ამ წესის დარღვევა სათანადო შემთხვევებში მიჩნეულია საზოგადოებრივად საშიშ ქმედობად და ისჯება სისხლის სამართლის კანონით.

ობიექტი განსახილველი დანაშაულისა არის სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების ხელუხლებლობა.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება საზღვარგარეთ წასვლაში, სსრ კავშირში შემოსვლაში ან საზღვარზე გადასვლაში დადგენილი პასპორტის ან სათანადო ხელისუფალთა ნებართვის გარეშე. ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით: სახელდობრ, რკინიგზით, წყლის, საჰაერო თუ საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენებით, ფეხით საზღვარზე გადასვლით და ა. შ. დანაშაულის შედგენილობისათვის გადამწყვეტია ის, რომ საზღვარგარეთ წასვლა თუ სსრ კავშირში შემოსვლა ან საზღვარზე გადასვლა წარმოებს დადგენილი პასპორტის ან სათანადო ხელისუფლების ორგანოს ნებართვის გარეშე.

უკეთუ საზღვარზე უკანონო გადასვლა განხორციელებულია საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევით, ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით სს კოდექსის 84-ე და 85-ე მუხლებით.

სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც სსრ კავშირის მოქალაქე, ასევე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირი.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება განზრახი ბრალით. სუბიექტს აქვს იმის შეგნება, რომ უკანონოდ გადადის სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე და სურს ან შეგნებულად უშვებს მას. მოტივს ამ ქმედობის ჩადენისას შეიძლება წარმოადგენდეს ახლო ნათესაეებთან თუ მეგობრებთან შეხვედრა, ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერება და ა. შ. უკეთუ სუბიექტის მიზანს შეადგენდა ამა თუ იმ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენა, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს იმ მუხლით, რომელიც ამ დანაშაულს ითვალისწინებს.

გაუფრთხილებელი ბრალი განსახილველი დანაშაულის შედგენილობას ვერ მოგვცემს. ასე, მაგალითად, უკეთუ პირი ნადირობისას გაუფრთხილებლობით დაარღვევს საზღვარს, იგი სისხლის სა-

შართლის პასუხისგებაში ვერ მიეცემა. ასევე არ გამოიწვევს 84-ე მუხლით პასუხისმგებლობას სახელმწიფო საზღვრის დარღვევა უკიდურესი აუცილებლობის პირობებში (მაგალითად, გემის ავარიისას და ა. შ.).

რადგან სსრ კავშირი თავშესაფრის უფლებას ანიჭებს უცხოელ მოქალაქეებს, რომლებიც დევნილი არიან მშრომელთა ინტერესების დაცვისათვის ან მეცნიერული მოღვაწეობისათვის, ანდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის (იხ. სსრ კავშირის კონსტიტუციის 129-ე მუხლი), დანაშაულად არ ჩაითვლება სსრ კავშირში დადგენილი პასპორტის ან სათანადო ნებართვის გარეშე შემოსვლა პირისა აღნიშნული უფლების გამოყენების წესით.

სასჯელი სს კოდექსის 84-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ერთიდან სამ წლამდე.

ბ. საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევისათვის გათვალისწინებულია სს კოდექსის 85-ე მუხლში.

ამ დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს, პირველ რიგში, სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის ხელუხლებლობა, ხოლო შემდეგ — საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებაც, რადგან ეს სხვა თვითმფრინავებს უქმნის საზღვრის დამრღვევ თვითმფრინავთან დაჯახების საშიშროებას (აგრეთვე შეუძლია გამოიწვიოს საერთაშორისო გართულება).

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება სსრ კავშირში შემოფრენასა ან სსრ კავშირიდან გაფრენაში დადგენილი ნებართვის გარეშე, ნებართვაში აღნიშნული მარშრუტების, დაშვების ადგილების, საჰაერო კარების, ფრენის სიმაღლის დაუცველობაში ან საერთაშორისო ფრენის წესების სხვა დარღვევაში (რაც დადგენილია სსრ კავშირის 1961 წ. საჰაერო კოდექსით).

დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება ერთ-ერთი მოხსენიებული მოქმედების ჩადენის მომენტიდან. არ არის საჭიროებულო რაიმე მავნე შედეგის დადგომა.

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი (საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის წევრი) როგორც სსრ კავშირის მოქალაქე, ასევე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე, როგორც საჰაერო ტრანსპორტის მომუშავე, ასევე კერძო პირი (მაგალითად, სპორტსმენი).

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი ბრალით.

უკეთუ საერთაშორისო ფრენის წესები დარღვეულია სამშობ-

ლოს ღალატის ან ჯაშუშობის მიზნით, დამნაშავე პასუხს აგებს სს კოდექსის 65-ე-ან 66-ე მუხლით.

სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან ათ წლამდე ან ჯარიმა ერთი ათას მანეთამდე, საჰაერო ხომალდის კონფისკაციით ან უამისოდ.

§ 5. ხელყოფა ფულად და საკრედიტო სისტემაზე

ა. ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება. პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლში.

დანაშაული ხელყოფს საბჭოთა ფულად და საკრედიტო სისტემას, აგრეთვე საერთაშორისო კონვენციას ყალბი ფულის დამზადებასთან სისხლის სამართლის წესით მკაცრი ბრძოლის შესახებ (ამ კონვენციას შეუერთდა სსრ კავშირი 1929 წელს).

ფულის გამოშვება (ემისია) სახელმწიფოს განსაკუთრებულ უფლებას შეადგენს, მის მონოპოლიას წარმოადგენს. ფულის ნიშნების გაშვება ბრუნვაში გეგმაზომიერად წარმოებს; მხოლოდ სახელმწიფო აწესრიგებს, თუ რა რაოდენობის ფულის ნიშნები უნდა იყოს ბრუნვაში, რადგან სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ ნიშნების ძალას, საფასურს. საბჭოთა ფულადი სისტემა უმნიშვნელოვანესი საშუალებაა სოციალისტური მეურნეობის ცალკეული დარგების გამტკიცებისა და განვითარებისათვის.

ფულის გამოშვების დარგში სახელმწიფოს მონოპოლიის დარღვევა უმძიმესი ბოროტმოქმედებაა; ყალბი ფულის დამზადება თუ გასაღება, ვის მიერაც არ უნდა იყოს იგი დაშვებული, დიდ ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას, აუფასურებს ფულის ნიშნებს.

განსახილველი დანაშაულის ობიექტია სსრ კავშირის ფულადი და საკრედიტო სისტემა.

განსახილველი დანაშაულის ობიექტურ მხარე გამოიხატება ყალბი სახელმწიფო სახაზინო ბილეთების, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ბილეთების, ლითონის მონეტის, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ან უცხოეთის ვალუტის დამზადებაში გასაღების მიზნით, აგრეთვე გასაღებაში.

სახელმწიფო სახაზინო ბილეთი ეწოდება 1,3 და 5 მანეთიან ფულის ნიშანს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ბილეთი — 10, 25, 50 და 100 მანეთიან ფულის ნიშანს, ლითონის მონეტა — 1, 2, 3, 5, 10, 15, 20, 50 კაპიკიან და 1 მანეთიან ლითონის ფულს. უცხო ვალუტა ნიშნავს უკლებლივ ყველა უცხო სახელმწიფოს ფულას

ნიშნებს, ხოლო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები — სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს[1].

ისეთი ყალბი ფულის ნიშნების დამზადება თუ გასაღება, რომელიც არ არის ბრუნვაში არც სსრ კავშირში და არც რომელიმე უცხო სახელმწიფოში (მაგალითად, მეფის დროინდელი ყალბი ოქროს ფულის) განსახილველი დანაშაულის შედგენილობას ვერ მოგვცემს, რადგან ასეთ ქმედობას არ ძალუძს რაიმე საზომით ზიანი მიაყენოს საბჭოთა ფულად და საკრედიტო სისტემას.

ყალბი ფულის, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების თუ უცხოეთის ვალუტის დამზადება ნიშნავს როგორც მათ ახლად, მთლიანად დამზადებას, ასევე ნამდვილი ფულის ნიშნის თუ ფასიანი ქაღალდის (ობლიგაციის) შეცვლას, მათში ციფრების გადასწორებას და ა. შ. ამასთან აღსანიშნავია, რომ სიყალბე უნდა იყოს ოსტატურად შესრულებული, დამზადებული ყალბი ფული (თუ ფასიანი ქაღალდი) მკვეთრად არ უნდა განსხვავდებოდეს ნამდვილისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ბრუნვაში გაშვება შეუძლებელი გახდება, სიყალბე უმალვე ყველასათვის შესამჩნევი იქნება. მაგალითად, თუ ვინმე უბრალო ქაღალდს შეაფერადებს სხვადასხვა საღებავით და შეეცდება გაასაღოს ის როგორც ფულის ნიშანი, დამნაშავე პასუხს აგებს თაღლითობისათვის და არა ყალბი ფულის დამზადებისათვის[2]. ასეთ შემთხვევაში პირი ვარაუდობს არა მის მიერ დამზადებული „ფულის" გაშვებას ბრუნვაში, არამედ ვისიმეს ღაუკვირვებლობას, უყურადღებობას და ამ გზით მის მოტყუებას.

კანონი (სს კოდექსის 88-ე მუხლი) ითვალისწინებს ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების არა მარტო დამზადებას, არამედ მათ გასაღებასაც. გასაღება შეიძლება გამოიხატოს ყალბი ფულის ნიშნით საქონლის შესყიდვაში, სესხად გაცემაში, გირუკენტაში, ვალის გადახდაში, ობლიგაციის გაყიდვაში ან მოგების მიღებაში და ა. შ.

---

[1] ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთი ვერ ჩაითვლება სახელმწიფო ფასიან ქაღალდად, რამდენადაც ასეთი ბილეთის გაყიდვისას სახელმწიფო არ კისრულობს არავითარ საკრედიტო ვალდებულებას და ბილეთი, რომელსაც არ შეხვდა მოგება, კარგავს ყოველგვარ ღირებულებას. ყალბი ლატარიის ბილეთით „მოგების" მიღება განიხილება თაღლითობად (სხვა საწინააღმდეგო აზრია გამოთქმული სახელმძღვანელოში „Советское уголовное право, часть Особенная," М., 1962, გვ. 70).

[2] სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თაღლითობად ჩათვალა ბ. და სხვ. ქმედობა, რაც გამოიხატა ეურნალ „ოგონიოკიდან" ფულის (100 და 50 მან. საფასურის) ნიმუშების ამოკრაში, მათ პირუკუ მხრით დაწებებასა და ასეთი გზით დამზადებული „ფულით" ბაზარზე საქონლის შესყიდვაში (იხ. „Судебная практика Верховного Суда СССР, 1949, № 6, გვ. 12).

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი (16 წლის ასაკიდან).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ განსახილველი დანაშაული ხასიათდება განზრახი ბრალით. ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადებისას დამნაშავე მიზნად ისახავს მათ ბრუნვაში გაშვებას, გასაღებას (ამ მიზნის გარეშე დამზადება არ არის დასჯადი სისხლის სამართლის წესით) და, მაშასადამე, მოქმედებს პირდაპირი განზრახვით, ხოლო გასაღებისას (როდესაც ყალბი ფული ან ფასიანი ქაღალდი დამზადებულია სხვა პირთა მიერ) დამნაშავეს აქვს შეგნება, რომ ასაღებს ყალბ ფულს (ან ფასიან ქაღალდს) და სურს ეს, ან კიდევ შეგნებულად უშვებს, რომ ფული, რომელსაც იგი ასაღებს, ყალბია (ე. ი. განზრახვა ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი). უკეთუ გამსაღებელს ასეთი შეგნება არ ახასიათებს და, მაშასადამე, მოქმედებდა გაუფრთხილებლობით, იგი პასუხისგებაში ვერ მიიცემა.

სასჯელი სს კოდექსის 88-ე მუხლის პირველი ნაწილით (თუ ქმედობა ჩადენილია ერთ ხელობის სახით) — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე. იმავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, აღწერილი ქმედობა, ჩადენილი ხელობის სახით (ე. ი. იმ შემთხვევაში, როდესაც ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება შეადგენს დამნაშავის ძირითად ან არსებითი ხასიათის დამატებითი შემოსავლის წყაროს), ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ანდა ისჯება სიკვდილით ქონების კონფისკაციით.

ბ. სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა. პასუხისმგებლობა სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის, აგრეთვე სავალუტო ფასეულობებით ან ფასიანი ქაღალდებით სპეკულაციისათვის გათვალისწინებულია სს კოდექსის 89-ე მუხლში.

სავალუტო ოპერაციების წარმოება სსრ კავშირში წესრიგდება სპეციალური კანონმდებლობით, კერძოდ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და ცკაკის 1937 წ. 7 იანვრის დადგენილებით „სავალუტო ფასეულობათა გამო გარიგებათა და უცხოეთის ვალუტით გადახდევინებათა შესახებ", აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის წესდებით (დამტკიცებული სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ 1960 წელს 29 ოქტომბერს). აღნიშნული კანონმდებლობის ძალით ყოველგვარი გარიგება ოქროს, ვერცხლის, პლატინისა და პლატინის

ჯგუფის ლითონების (იქნება ფულის ნიშნებით თუ ზოდებად) გამო, აგრეთვე უცხო ქვეყნების საგადასახადო დოკუმენტების (რაც გამოწერილია ვალუტაში) და საფონდო ფასეულობათა გამო უნდა წარმოებდეს მხოლოდ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მეშვეობით. ამ წესის დარღვევა ზიანს აყენებს საბჭოთა ფულად სისტემას და მიიჩნევა ერთ-ერთ მძიმე დანაშაულად.

განსახილველი დანაშაულის ობიექტია საბჭოთა ფულადი და საკრედიტო სისტემა.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება სავალუტო ოპერაციების წარმოების შესახებ დადგენილი წესების დარღვევაში, აგრეთვე სავალუტო ფასეულობებით ან ფასიანი ქაღალდებით სპეკულაციაში. მაგ., ოქროს მონეტების ან სახელმწიფო სესხის ობლიგაციების, უცხო ქვეყნების ვალუტის შესყიდვასა და გაყიდვაში მოგების მიზნით, მათ გადაცვლაში, გადაგზავნაში საზღვარგარეთ (ან საზღვარგარეთიდან სსრ კავშირში) ნებართვის გარეშე და ა. შ.

რადგან კანონით აკრძალულია გარიგებანი სავალუტო ფასეულობათა გამო (შესყიდვა, გადაყიდვა, გადაგზავნა საზღვარგარეთ და ა. შ.), ამ ფასეულობათა მხოლოდ შენახვა მაშინ, როდესაც არ არის დადგენილი, რომ იგი წარმოადგენდა უკანონო გარიგების საგანს, აგრეთვე გაჩუქება, განსახილველი დანაშაულის შედგენილობას ვერ მოგვცემს.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება განზრახი ბრალით. დამნაშავის მიზანს შეიძლება შეადგენდეს მოგების მიღება, მონეტების ან ზოდების გადადუღება და მათგან ნაკეთობათა გამოყვანა, კოლექციის შევსება და ა. შ. სავალუტო ფასეულობებით ან ფასიანი ქაღალდებით სპეკულაციის მიზანს კი ყოველთვის წარმოადგენს გამორჩენა, პარაზიტულად გამდიდრების სურვილი.

დანაშაულის მარტივი სახე სს კოდექსის 89-ე მუხლის I ნაწილის ძალით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე, ქონების კონფისკაციით ან კონფისკაციის გარეშე, სავალუტო ფასეულობებისა და ფასიანი ქაღალდების აუცილებელი კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ანდა გადასახლების გარეშე.

იმავე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია დანაშაულის კვალიფიციური სახე. დამამძიმებელ გარემოებად კანონი თვლის სავალუტო ფასეულობებით ან ფასიანი ქაღალდებით სპეკულაციას ხელობის სახით ან დიდი ოდენობით, აგრეთვე სავალუტო ოპერაციის შესახებ წესების დარღვევას იმ პირის მიერ, რომელიც ადრე

ამ მუხლის (ე. ი. სს კოდექსის 89-ე მუხლის) პირველი ნაწილით იყო მსჯავრდებული.

სპეკულაცია ხელობის სახით ნიშნავს ისეთ სპეკულაციას, რომელიც დამნაშავისათვის წარმოადგენს არსებობის ძირითად საშუალებას ან შემოსავლის მნიშვნელოვანი ხასიათის დამატებით წყაროს.

სპეკულაცია დიდი ოდენობით არის წარმოებული თუ არა, ამას ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებათა გათვალისწინებით გადაწყვეტს შესაბამისი საგამომძიებლო და სასამართლო ორგანო.

ქმედობა იმ პირისა, რომელიც ადრე იყო მსჯავრდებული სს კოდექსის 89-ე მუხლის I ნაწილით, ამავე მუხლის II ნაწილით დაკვალიფიცირდება მაშინ, თუ მას ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული და ამასთან კვლავ დაარღვია სავალუტო ოპერაციების წესები ანდა ეწეოდა სპეკულაციას სავალუტო ფასეულობებით ან ფასიანი ქაღალდებით. თავისთავად იგულისხმება, რომ ასევე დაკვალიფიცირდება აღწერილი დანაშაული, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო 89-ე მუხლის მეორე ნაწილით.

სასჯელი განსახილველი დანაშაულისათვის დამამძიმებელ გარეშოებებში — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ანდა სიკვდილით დასჯა ქონების კონფისკაციით (იხ. 89-ე მუხ. II ნაწ.).

§ 0. ხელოვნება ტრანსპორტზე

ა. მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 86-ე მუხლში.

ნორმალური, შეუფერხებელი მუშაობა ტრანსპორტისა, რომლის მეშვეობითაც წარმოებს მრავალი ადამიანისა და ტვირთის გადაზიდვა და რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულების საქმეში, ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს ამჟამად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის საგანს. ტრანსპორტისადმი ასეთი გამუდმებული ზრუნვით აიხსნება ის გარემოება, რომ სსრ კავშირმა, ისტორიულად მოკლე დროის განმავლობაში, მიაღწია ყოველი სახის ტრანსპორტის იმ ზომამდე განვითარებას, რომ მსოფლიოში ამ მხრივ ყველა კაპი-

ტალისტურ სახელმწიფოს გაუსწრო წინ. ამჟამად ავარიები, ადამიანთა უბედურება და სხვა მძიმე შედეგი ჩვენს ქვეყანაში იშვიათ მოვლენას წარმოადგენს.

ტრანსპორტზე უნდა სუფევდეს სანიმუშო წესრიგი, მისი ყოველი მომუშავე განუხრელად, მთელი სიზუსტით უნდა ასრულებდეს ტრანსპორტის ცალკეული დარგების საქმიანობის უზრუნველსაყოფად მოქმედ წესებსა და ინსტრუქციებს. ამის გარეშე შეუძლებელია ტრანსპორტის ნორმალური ფუნქციონირება; ტრანსპორტის მომუშავის მხრივ თავისი მოვალეობის სულ მცირეოდენ დარღვევას შეუძლია ძალზე მძიმე შედეგის გამოწვევა (ავარია, ადამიანთა დაღუპვა და ა. შ.).

დანაშაულის უშუალო ობიექტს წარმოადგენს რკინიგზის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესები. ამ წესებს მიეკუთვნება: რკინიგზის ტექნიკური ექსპლოატაციის წესები, ინსტრუქცია სიგნალიზაციის შესახებ, სსრ კავშირის რკინიგზებზე მატარებლების მოძრაობის ინსტრუქცია, სსრ კავშირის საზღვაო და სამდინარო გემებზე სამსახურის წესდება, გემის მართვის წესები, სსრ კავშირის საჰაერო კოდექსი, ფრენის წარმოების წესები და სხვ.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება რკინიგზის, წყლის ან საჰაერო ტრანსპორტის მუშაკის მიერ მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის აღნიშნული წესების დარღვევაში, რასაც მოჰყვა ადამიანთა უბედური შემთხვევები, მარცხი, ავარია ან სხვა მძიმე შედეგები (ან იმავე 86-ე მუხლის მეორე ნაწილის ძალით, „თუ ის აშკარად ქმნიდა ამ შედეგების დადგომის საფრთხეს"), აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების, გზების, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა უხარისხო რემონტში, რასაც იგივე შედეგები მოჰყვა (ან აშკარად ქმნიდა ამ შედეგების დადგომის საფრთხეს).

„სხვა მძიმე შედეგები", რაც აღნიშნულია კანონში, ნიშნავს ტვირთის გადაზიდვის გეგმის ჩაშლას, გადასაზიდი ტვირთის დაკარგვას, მატარებლის, გემებისა და თვითმფრინავების მოძრაობის ხანგრძლივ შეწყვეტას და ა. შ.

იმის გასარკვევად, თუ რას ნიშნავს „მარცხი", „ავარია" და სხვა სახის დარღვევანი, ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა მივმართოთ საუწყებო აქტებს, სახელდობრ. საზღვაო ფლოტის მინისტრის 1952 წ. 29 მარტის № 185 ბრძანებას, სსრ კავშირის საჰაერო კოდექსს, მატარებლის მოძრაობის უსაფრთხოების წესებს და სხვა საუწყებო აქტებს.

დანაშაულის შედგენილობისათვის აუცილებელია იმის დადგენა, რომ ტრანსპორტის მომუშავის მიერ მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევასა და კანონით (სსკ 86-ე მუხლით) გათვალისწინებულ მძიმე შედეგს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს არაერთხელ განუმარტავს, რომ აღნიშნული სახის დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობა გამორიცხავს ასეთი შედეგისათვის დამრღვევის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას [1].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგჯერ ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს დამნაშავის მიცემა არა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, არამედ დისციპლინური ღონისძიების გამოყენება. ეს მოხდება მაშინ, როდესაც ჩადენილი ქმედობა თავისი ხასიათით არ არის ბოროტული, ფაქტიურად მას არ მოჰყოლია და არც შეიძლებოდა მოჰყოლოდა მძიმე შედეგი, თვით დამრღვევის პროვნება და შრომითი საქმიანობა დადებითად ხასიათდება და ა. შ. ასეთ შემთხვევაში საქმე გვექნება დისციპლინურ გადაცდომასთან.

სს კოდექსის 86-ე მუხლში გათვალისწინებული ქმედობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც აქტიური მოქმედებით, ასევე უმოქმედობითაც.

დანაშაულებრივ მოქმედებასთან გვექნება საქმე ისეთ შემთხვევაში, როგორიც არის, მაგალითად, მემანქანის მიერ დაუშვებელი სიჩქარის განვითარება, კაპიტნის მიერ გემზე ტვირთის უსწორო განაწილება და ა. შ. ხოლო უმოქმედობასთან — სამუშაოს მწარმოებელი პირის მიერ შესაბამის ადგილებზე გამაფრთხილებელი ნიშნების არდასმა, გემის კაპიტნის მიერ ხანძარსაწინააღმდეგო წესების შეუსრულებლობა და სხვ.

დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს მხოლოდ რკინიგზის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტის მუშაკი; ამასთან არა ყოველი მუშაკი, არამედ მარტოოდენ ისეთი, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია ტრანსპორტის მოძრაობასთან, ექსპლოატაციასთან ან რემონტთან და რომელზეც ამასთან დაკავშირებით ვრცელდება ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა დისციპლინის შესახებ წესდების მოქმედება. აქედან გამომდინარე, განსახილველი დანაშაულის სუბიექტი არ შეიძლება იყოს, მაგალითად, შესაბამისი სატ-

---

[1] იხ. მაგალითად, „Бюллетень Верховного Суда СССР", 1962, № 1, გვ. 22.

რანსპორტო ორგანიზაციის დამლაგებელი, საანგარიშო დარგის მუშაკი, სპეციალური სატრანსპორტო სასწავლებლის მასწავლებელი და სხვ., რომელთა საქმიანობაც უშუალოდ არ არის დაკავშირებული დასახელებული სახის ტრანსპორტის მოძრაობასთან, ექსპლოატაციასა თუ რემონტთან.

ამასთან მხედველობაშია მისაღები, რომ კანონით რკინიგზის ტრანსპორტზე სამუშაოდ, რაც დაკავშირებულია მატარებლის მოძრაობასთან, დაიშვება 18 წელს მიღწეული პირი, ხოლო მოძრავი შემადგენლობის რემონტთან — 16 წ. მიღწეული.

ტრანსპორტის მუშაკთა რიცხვს, რომლებიც შეიძლება იყვნენ ამ დანაშაულის სუბიექტი, მიეკუთვნებიან აგრეთვე არა გზათა მიმოსვლის, საზღვაო და სამდინარო ფლოტის სამინისტროების სისტემის მომუშავენიც, უკეთუ ისინი სხვა ორგანიზაციების კუთვნილ ტრანსპორტზე მუშაობენ და რომელთათვისაც სავალდებულოა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვა (მაგ., თევზის მრეწველობის სამინისტროს ფლოტის მუშაკები)[1]. განსახილველი დანაშაულის სუბიექტი არ შეიძლება იყოს ქალაქის ელექტროტრანსპორტის ან ავტომოტოტრანსპორტის მუშაკი (მაგ., ტრამვაის, მეტროს, ავტობუსის, ავტომანქანის მძღოლი და ა. შ.), რომელსაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება სს კოდექსის 241-ე მუხლის საფუძველზე, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მანქანების ტარების ან ექსპლოატაციის წესების, ფრენის ან ფრენისათვის მზადების წესებისა და ხომალდის მართვის წესების დარღვევისათვის პასუხს აგებენ შესაბამისად 270-ე, 271-ე და 272-ე მუხლებით.

კერძო პირის (ე. ი. არატრანსპორტის მუშაკის) მიერ მიმოსვლის გზებისა და სატრანსპორტო საშუალებათა დაზიანება ან ტრანსპორტზე მოქმედი წესების დარღვევა, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა, დაკვალიფიცირდება კონკრეტული საქმის გარემოებათა მიხედვით სს კოდექსის 87-ე ან 242-ე მუხლით.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ განსახილველი დანაშაული შეიძლება ხასიათდებოდეს როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი ბრალით. ეს წესი ვრცელდება თვით დარღვევის ფაქტის და ამ დარღვევის შედეგის მიმართაც. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვ-

---

[1] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლის პლენუმის 1950 წლის 6-იანვრის დადგენილება (Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1963 гг., Госюриздат, 1964, გვ. 230).

ნელობა ენიჭება სუბიექტის ფსიქიურ დამოკიდებულებას დარღვევის შედეგთან, რამდენადაც პასუხისმგებლობა სს კოდექსის 86-ე მუხლით დადგება მხოლოდ მაშინ, თუ ადგილი აქვს მძიმე შედეგს ან ასეთი შედეგის დადგომის საფრთხეს. უკეთუ პირი განზრახ არღვევს სათანადო წესს, მისი ბრალი შედეგისადმი შეიძლება იყოს გაუფრთხილებელიც და, გამონაკლის შემთხვევაში, განზრახიც (არაპირდაპირი სახით), ხოლო თუ წესი გაუფრთხილებლობით არის დარღვეული — ბრალი მოსალოდნელი მძიმე შედეგისადმი შეიძლება იყოს მხოლოდ გაუფრთხილებელი.

პირი ვერ აგებს პასუხს თავისი მოქმედების ისეთი შედეგისათვის, რისი აცილებაც მას არ შეეძლო სხვა პირთა მიერ შესაბამისი წესების დარღვევის გამო, რაც მისთვის ცნობილი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობილი.

უკეთუ დამნაშავეს ჰქონდა საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზანი, მისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება 69-ე მუხლით (დივერსია), ხოლო თუ მისი მიზანი იყო ადამიანის სიკვდილი — 104-ე მუხლით.

86-ე მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი ითვალისწინებს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის წესების ისეთ დარღვევას, რასაც მოჰყვა ადამიანთა უბედური შემთხვევა, მარცხი, ავარია ან სხვა მძიმე შედეგი. აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების, გზების, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა უხარისხო რემონტი, რასაც იგივე შედეგები მოჰყვა. ამ დროს დამნაშავე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თხუთმეტ წლამდე.

86-ე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია იგივე ქმედობა, თუ მას არ მოჰყოლია ასეთი შედეგები, მაგრამ თუ იგი აშკარად ქმნიდა ამ შედეგების დადგომის საფრთხეს. ასეთი საფრთხე შეიძლება მდგომარეობდეს, მაგალითად, მაშინ, როდესაც სატრანსპორტო საშუალებათა, გზებისა და სხვ. უხარისხო რემონტის ან მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო რეალურად შეიქმნა პირობები მძიმე შედეგების დადგომისათვის, მაგრამ ამა თუ იმ გარემოებათა მიხედვით (მაგალითად, სხვა პირთა მხრივ სიფხიზლის, გამჭრიახობის გამოჩენით) მათი დადგომა თავიდან იქნა აცილებული.

სასჯელი 86-ე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულისათვის — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ერთ წლამდე.

ბ. პასუხისმგებლობა მიმოსვლის გზებისა და სატრანსპორტო საშუალებების დაზიანებისათვის გათვალისწინებულია სს კოდექსის 87-ე მუხლში.

დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს რკინიგზის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტის სწორი, ნორმალური მუშაობა.

ხელყოფის საგანია მიმოსვლის გზები, მათი ნაგებობები (მაგალითად, ისრები, საგზაო ნიშნები), ორთქლმავალი, ვაგონები, გემები, თვითმფრინავის დასაშვები მოედანი, კავშირგაბმულობის ან სიგნალიზაციის საშუალებანი, ე. ი. ისეთი მოწყობილობა, რომლის დანგრევას ან დაზიანებას შეუძლია გამოიწვიოს კანონში (სსკ 87-ე მუხ.) აღნიშნული ერთ-ერთი მძიმე შედეგი.

ობიექტური მხრივ დანაშაული შეიძლება გამოიხატოს ზემოჩამოთვლილი საგნების განზრახ დანგრევაში ან დაზიანებაში, რასაც მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა მატარებლის მარცხი, ხომალდის ავარია ან ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ნორმალური მუშაობის დარღვევა.

დანგრევა ნიშნავს საგნის ისეთ მდგომარეობაში მოქცევას, როცა შეუძლებელია მისი ადრინდელი სახით აღდგენა დამატებითი მასალის გამოყენების გარეშე, ხოლო დაზიანება — საგნის სამეურნეო მნიშვნელობის შემცირებას, დანიშნულებისამებრ მისი უშუალოდ გამოყენების შეუძლებლობას.

როგორც დანგრევა, ასევე დაზიანება შეიძლება განხორციელდეს ცეცხლის წაკიდებით, დამტვრევით და სხვა მრავალი ხერხითა და საშუალებით.

როგორც აღინიშნა, დანგრეული ან დაზიანებული უნდა იყოს მხოლოდ ისეთი საგნები, რომელთაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობასთან, რომელთა დანგრევას თუ დაზიანებას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა მატარებლის მარცხი, ხომალდის ავარია და კანონში გათვალისწინებული სხვა მძიმე შედეგი. აქედან გამომდინარე სს კოდექსის 87-ე მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება ისეთი ქმედობა, როგორიცაა, მაგალითად, სადგურის, საწყობის შენობის, ადმინისტრაციული სადგომის, ქალაქის სატელეფონო-რადიო ქსელის და სხვ. დაზიანება. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა შეიძლება განისაზღვროს სს კოდექსის მე-100 მუხლით (როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება).

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი, როგორც წესი 16 წლის ასაკიდან (მათ შორის ტრანსპორტის მომუშავეც, რომელმაც განსახილველი დანაშაული ჩაიდი-

ნა თავისი სამსახურებრივ მოვალეობასთან კავშირის გარეშე). პირი 14 წლის ასაკიდან მეცხრე პასუხისგებაში იმ შემთხვევაში, თუ მის მოქმედებას შეეძლო გამოეწვია მატარებლის მარცხი (იხ. სს კოდექსის მე-12 მუხლი) [1].

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება განზრახი ბრალით; ამასთან განზრახვა თვით მოქმედების მიმართ შეიძლება იყოს მხოლოდ პირდაპირი, დამდგარი (ან მოსალოდნელი) შედეგის მიმართ კი — როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი და გაუფრთხილებელი. მოტივს შეიძლება შეადგენდეს შურისძიება, ხულიგნური და სხვა ქვენა გრძნობა.

უკეთუ დამნაშავის მიზანს შეადგენდა საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრა ან შესუსტება, ქმედობა დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 69-ე მუხლით (დივერსია).

სს კოდექსის 87-ე მუხლი სასჯელს აწესებს აღწერილი ქმედობისათვის იმისდა მიუხედავად, მოჰყვა მას მძიმე შედეგი თუ შეიძლებოდა მოჰყოლოდა ასეთი. მაგრამ, ცხადია, მძიმე შედეგის (მატარებლის მარცხი, ხომალდის ავარია და სხვ.) ფაქტიური დადგომა ჩაითვლება დამამძიმებელ გარემოებად აღნიშნული მუხლის სანქციის ფარგლებში სასჯელის ზომის განსაზღვრისას.

სასჯელი 87-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან თხუთმეტ წლამდე და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ანდა გადასახლების გარეშე.

§ 7. დანაშაული, რომელიც არღვევს სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოვლინებასა და პასუხისგებაში მისაცემად მართლმსაჯულების ორგანოების მიერ წარმოებულ ნორმალურ მუშაობას

საბჭოთა საზოგადოებისა და ცალკეულ მოქალაქეებისათვის დიდი ზიანის მომტანია ქმედობა, მიმართული მძიმე დანაშაულის დროულად გამოვლინებისა და აღკვეთის, მასში ბრალეულ პირთა პასუხისგებაში მიცემის საქმეში მართლმსაჯულების ორგანოების ნორმალური მუშაობის წინააღმდეგ.

ასეთ ქმედობას მიეკუთვნება სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობა და სახელმწიფო დანაშაულის დაფარვა.

ა. სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობისათვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სს კოდექსის 90-ე მუხლი.

---

[1] 15 წლის ასაკის მ. და ს. შეეფარდა 87-ე მუხ. იმისათვის, რომ მათ რამდენჯერმე დააზიანეს სადგურზე მისასვლელი გზის სიგნალიზაციის საშუალებანი და ნაღდეს დეტალები რადიომიმღების ასაწყობად (იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР", 1962, № 5, გვ. 14—15).

დანაშაულის შესახებ ნამდვილად ცნობილი ფაქტის შეტყობინება ხელისუფლების ორგანოსათვის წარმოადგენს ყოველი საბჭოთა მოქალაქის მორალურ ვალდებულებას, მაგრამ ცალკეულ, საბჭოთა სახელმწიფოსა და ხალხისათვის საშიში დანაშაულის განუცხადებლობის შემთხვევაში კანონი ვერ დაკმაყოფილდება მარტოოდენ მოქალაქეთა შეგნებულობით, მორალური ვალდებულებით და აწესებს მასში მხილებული პირის სისხლის სამართლის წესით დასჯადობას, რადგან, საესებით სამართლიანად, ასეთ ქმედობას მიიჩნევს სოციალურად საშიშად, ე. ი. დანაშაულად.

განსახილველი დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს მართლმსაჯულების ორგანოების სწორი საქმიანობა, მიმართული სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენ პირთა მხილებასა და პასუხისგებაში მიცემისაკენ.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება ხელისუფლების სათანადო-ორგანოებისათვის იმის განუცხადებლობაში, რომ მზადდება ან ჩადენილია კოდექსის 65-70-ე, 73-ე, 78-ე და 88-ე მუხლებით გათვალისწინებული სახელმწიფო დანაშაული (ე. ი. სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა, ტერორისტული აქტი, ტერორისტული აქტი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ. დივერსია, მავნებლობა, ორგანიზაციული საქმიანობა, მიმართული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისაკენ. აგრეთვე ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილეობა, ბანდიტიზმი, ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება). სხვა სახის სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობა სისხლის სამართლის პასუხისგებას არ იწვევს, თუმცა, ცხადია, იმსახურებს მორალურ გაკიცხვას.

განუცხადებლობის ობიექტური მხარე ხასიათდება დანაშაულებრივი პასიურობით, უმოქმედობით.

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყველა შერაცხადი კერძო პირი 16 წლის ასაკიდან, განურჩეველად იმისა, იქნება ის დამნაშავის ახლობელი (ნათესავი, მეგობარი და სხვ.) თუ უცხო.

სუბიექტური მხრივ განუცხადებლობა გულისხმობს განზრახ ბრალს პირდაპირი სახით. კანონში (სსკ 90-ე მუხლი) მითითებულია ისეთ პირზე, „ვინც იცის", რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაული. ამრიგად, განუცხადებლობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეიძლება მიეცეს მხოლოდ ისეთი პირი, რომელმაც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია 90-ე მუხლში ჩამოთვლილი ერთ-ერთი დანაშაული და არ აცნობებს ამის შესახებ ხელისუფლების სათანადო კომპეტენტურ ორგანოს. დანაშაულის

მოტივი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, სახელდობრ, შიში ბორტმოქმედის მიერ შურისძიებისა, მისი სიბრალული და ა. შ. ამას დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

პირი, რომელმაც თუნდაც იცოდა დანაშაულის მზადების ან ჩადენის შესახებ, მაგრამ არ განაცხადა, რადგან ამა თუ იმ საპატიო გარემოების გამო (მაგალითად, მძიმე ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება და სხვ.) მოკლებული იყო შესაძლებლობას დროულად ეცნობებინა ამის შესახებ ხელისუფლების სათანადო ორგანოსათვის, პასუხისგებაში ვერ მიეცემა 90-ე მუხლით.

სათანადო ორგანოდ, სადაც უნდა იყოს შეტანილი განცხადება (წერილობით ან სიტყვიერად) ჩაითვლება მშრომელთა დეპუტატების საბჭო, პროკურატურა, სახ. უშიშროების ორგანო, მილიცია, სასამართლო, აგრეთვე ისეთი თანამდებობის პირი, რომელიც თავის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მდგომარეობით ვალდებულია აღკვეთოს დანაშაული (დაწესებულების ხელმძღვანელი, გასამხედროებული დაცვის უფროსი, სახალხო რაზმელი და ა. შ.).

განუცხადებლობა განსხვავდება დაფარვისაგან (რასაც შემდგომში, 90' მუხლი ითვალისწინებს) ძირითადად ობიექტური მხრივ. განუცხადებლობა გულისხმობს პასიურობას, უმოქმედობას იმ პირისა, რომელიც ვალდებულია იმოქმედოს (ე. ი. განაცხადოს სათანადო ორგანოში), მაშინ როდესაც დაფარვა გამოიხატება მოქმედებაში, აქტიურობაში (დამნაშავის, დანაშაულის კვალის, დანაშაულის ჩადენის–იარაღებისა და საშუალებების ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების დაფარვაში).

განუცხადებლობა 90-ე მუხლის ძალით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ექვსი თვიდან ერთ წლამდე.

ბ. **სახელმწიფო დანაშაულის დაფარვა** გათვალისწინებულია სსკოდექსის 90'-ე მუხლში.

ამ დანაშაულის ობიექტი იგივეა, რაც ზემოგანხილული განუცხადებლობისა.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება ისეთ აქტიურ მოქმედებაში, როგორიცაა დამნაშავის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებათა ან დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების დაფარვა (მაგალითად, დამნაშავისათვის თავშესაფრის აღმოჩენა ხელისუფლებისაგან მისი დაფარვის მიზნით, დანაშაულის იარაღის მოსპობა ან გადამალვა, დამნაშავის მომარაგება ყალბი დოკუმენტებით და ა. შ.).

90'-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ისეთი დაფარ-

ვისათვის, რაც წინასწარ შეპირებული არ ყოფილა, ე. ი. განხორციელდა დანაშაულის ჩადენის შემდეგ. წინასწარ შეპირებული (ე. ი. დანაშაულის ჩადენამდე) დაფარვა ჩაითვლება თანამონაწილეობის ერთ-ერთ სახედ და არა სს კოდექსის 90¹-ე მუხლში გათვალისწინებულ დამოუკიდებელ დანაშაულად, რადგან ასეთი სახის დაფარვა მიზეზობრივ კავშირში იმყოფება ჩადენილ დანაშაულთან, წარმოადგენს ხელის შეწყობას მის განხორციელებაში.

დასახელებული 90¹-ე მუხლის ძალით პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება წინასწარ შეპირების გარეშე მხოლოდ იმ სახელმწიფო დანაშაულის დაფარვისათვის, რაც გათვალისწინებულია სს კოდექსის 65-70-ე, 73-ე. 78-ე, 79-ე, 88-ე და 89-ე მუხლებით (ე. ი. სამშობლოს ღალატის, ჯაშუშობის, ტერორისტული აქტის, ტერორისტული აქტის უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ, დივერსიის, მავნებლობის, ორგანიზაციული საქმიანობის, მიმართული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისაკენ, აგრეთვე ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილეობის, ბანდიტიზმის, კონტრაბანდის, ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადების ან გასაღების, სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის). დანარჩენი სახის სახელმწიფო დანაშაულის დაფარვა დაისჯება საერთო წესის მიხედვით სს კოდექსის 205-ე მუხლის საფუძველზე.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი განსახილველი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი პირი 16 წლის ასაკიდან.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. სუბიექტს აქვს იმის შეგნება, რომ ფარავს დამნაშავეს, დანაშაულის კვალს და ა. შ. და სურს ასეთი შედეგის დადგომა. თუ რა მოტივი ამოქმედებდა დამფარავს, დანაშაულის შედგენილობისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს.

სასჯელი 90¹-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან ხუთ წლამდე და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ანდა გადასახლება ვადით ხუთ წლამდე [1].

---

1 სხვა სახის დანაშაულთა დაფარვისა და განუცხადებლობის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის გვ. 378—385.

თავი II

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ყოველი საზოგადოებრივი ფორმაციის საწარმოო ურთიერთობათა ხასიათი განისაზღვრება იმით, თუ ვინ განაგებს საწარმოო საშუალებებს — მთელი საზოგადოება, თუ ცალკეული პირები, რომლებიც იყენებენ მათ სხვა ადამიანთა ექსპლოატაციისათვის.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილ საბჭოთა საზოგადოებაში საწარმოო ურთიერთობის საფუძველს შეადგენს სოციალისტური საკუთრება საწარმოო იარაღებსა და საშუალებებზე.

ოქტომბრის რევოლუციამ ძირი გამოუთხარა ექსპლოატაციისა და სოციალური უსამართლობის წყობილების ეკონომიურ ბაზას და მოახდინა მრეწველობის, რკინიგზების, ბანკების, მიწის ნაციონალიზაცია. საწარმოო იარაღებსა და საშუალებებზე სოციალისტურმა საკუთრებამ წარმოშვა სოციალისტური საკუთრება წარმოების პროდუქტებზეც, განხორციელდა პრინციპი: „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს — შრომის მიხედვით“.

როგორც აღბეჭდილია სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-4 მუხლში, „სსრ კავშირის ეკონომიურ საფუძველს შეადგენენ მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება, დამკვიდრებულნი მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაციის, საწარმოო იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრების გაუქმებისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობის შედეგად“.

ჯერ კიდევ 1917 წლის 20 ნოემბერს მშრომელებისადმი მიმართვაში ვ. ი. ლენინი წერდა: „თვალის ჩინივით გაუფრთხილდით, მოუარეთ მიწას, პურს, ფაბრიკებს, იარაღებს, პროდუქტებს, ტრანსპორტს—ამიერიდან ყოველივე ეს ს ა ვ ს ე ბ ი თ თქვენი, საერთოსახალხო კუთვნილება იქნება“ [1].

სოციალისტური საკუთრების დაცვა და განმტკიცება ყოველი საბჭოთა მოქალაქის კონსტიტუციური ვალდებულებაა. „სსრ კავში-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 26, გვ. 348.

რის თვითეული მოქალაქე, — ნათქვამია სსრ კავშირის კონსტიტუციის 131-ე მუხლში, — ვალდებულია გაუფრთხილდეს და განამტკიცოს საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელი საფუძველი, როგორც სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების წყარო, როგორც ყველა მშრომელის შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყარო.

ის პირნი, რომელნიც ხელყოფენ საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას, ხალხის მტრები არიან".

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს სოციალისტური საკუთრების დაცვა ყველა ხერხითა და საშუალებით. ამ ამოცანის გადასაჭრელად სახელმწიფო მიმართავს სამეურნეო-ორგანიზაციულ, კულტურულ-აღმზრდელობით, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო-სამართლებრივ ღონისძიებებს. სოციალისტური საკუთრების დაცვის მიზნისათვის სახელმწიფო იყენებს აგრეთვე სისხლის სამართლის კანონმდებლობას, რომლის სათანადო ნორმები სასტიკად სჯის იმ პირთ, ვინც ამა თუ იმ ხერხით ეწევა სოციალისტური საკუთრების გატაცებას, რითაც ძირს უთხრის, ასუსტებს საბჭოთა წყობილების საფუძველს, ხელს უშლის საბჭოთა ხალხს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებაში „სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ" ყველა ფორმა და საშუალება დამნაშავის მიერ სოციალისტურ საკუთრებასთან კანონსაწინააღმდეგო მოპყრობისა, მისი, როგორც თავისი პირადი საკუთრების განკარგვის მიზნით, გაერთიანებული იყო გატაცების ერთიან შედგენილობაში. ამ ბრძანებულების მოქმედების პირობებში გატაცების კვალიფიკაციისათვის არ ეძლეოდა მნიშვნელობა გატაცების ფორმებსა და საშუალებას (ე. ი. გატაცება ქურდობით, მითვისებით, თაღლითობით თუ სხვა გზით იყო ჩადენილი).

ამას გარდა, დასახელებული ბრძანებულება ერთიმეორისაგან ასხვავებდა რა სახელმწიფო ქონებასა და საკოლმეურნეო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადო ქონებას, სხვადასხვა მუხლებში ითვალისწინებდა მათი გატაცების დასჯადობას, ამასთან სახელმწიფო ქონების გატაცება საზოგადო ქონების გატაცებასთან შედარებით უფრო მკაცრად ისჯებოდა.

სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობისათვის უცნობია გატაცების შედგენილობის ასეთი ზოგადი ცნება. სს კოდექსი

ამომწურავად ჩამოთვლის გატაცების ცალკეულ სახეებს და მათ დამოუკიდებელ სამართლებრივ მნიშვნელობას ანიჭებს, ამასთან ერთი საზომით სჯის სოციალისტურ საკუთრებაზე ხელყოფას იმისდა მიუხედავად, სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს იგი თუ საზოგადოებრივს.

მიუხედავად ამისა, სოციალისტური ქონების ყოველი სახის (ქურდობის, გაძარცვის, მითვისების და სხვ.) გატაცებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნების გათვალისწინებით შესაძლებელია განიმარტოს სოციალისტური ქონების გატაცების ზოგადი ცნება და დაეასკვნათ, რომ სოციალისტური ქონების გატაცება არის ანგარების მიზნით სოციალისტური ქონების უკანონო, უსასყიდლო აღება სოციალისტური ფონდებიდან ცალკეულ პირთა, როგორც ვითომდა პირადი საკუთრების განკარგვისათვის.

ამ განმარტებიდან ჩანს, რომ სოციალისტური ქონების გატაცებისათვის ყოველთვის დამახასიათებელია ანგარების მიზანი. უკეთუ დამნაშავე სოციალისტურ ქონებას ამოიღებს სათანადო ფონდებიდან რაიმე სხვა მიზნით (მაგალითად, ქონების განადგურების ან დაზიანების მიზნით), გატაცებას ადგილი არ ექნება. ასევე გატაცებად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი თუმცა უკანონოდ, შესაბამისი განმკარგულებელი თანამდებობის პირის უნებართვოდ, ამოიღებს აღნიშნული ფონდებიდან სოციალისტურ ქონებას, მაგრამ არა უშრომოდ, პარაზიტული გამდიდრების მიზნით, არამედ, მაგალითად, მის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის წასახალისებლად [1].

გატაცება ყოველთვის გულისხმობს პირდაპირ განზრახვას. დამნაშავეს აქვს იმის შეგნება, რომ კანონიერი საფუძვლის გარეშე უსასყიდლოდ აწარმოებს სოციალისტური ქონების ამოღებას თავისი ან სხვა პირთა სასარგებლოდ, ხელმძღვანელობს რა ამასთან ანგარებითი მიზნით; ამიტომ, უკეთუ დამნაშავე თავის სასარგებლოდ მოაქცევს რა სოციალისტურ ქონებას, შეცდომით ფიქრობს, რომ ეს ქონება ცალკეული მოქალაქის კუთვნილებაა, იგი პასუხს აგებს მოქალაქეთა პირადი საკუთრების გატაცების (ქურდობის, ან გაძარცვის თუ ყაჩაღობის ან სხვ.) მცდელობისათვის.

საქ. სსრ ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი სხვადასხვა სახის დანაშაულს სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მეორე თავში ითვალისწინებს.

[1] პირის ასეთი ქმედობა შეიძლება განხილულ იქნეს თვითნებობად და სს კოდექსის 220-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს, ან შესაბამისი პირობების არსებობისას ჩაითვალოს ერთ-ერთი სახის თანამდებობრივ დანაშაულად.

სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული ყველა დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ შეიძლება დაიყოს შემდეგ ოთხ ჯგუფად:

1. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება. ამ ჯგუფს მიეკუთვნება აღნიშნული ქონების გატაცება ქურდობით (სს კოდექსის 91-ე მუხლი), გაძარცვით (92-ე მუხ.), თაღლითობით (93-ე მუხ.), მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით (94-ე მუხ.). სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება (95-ე მუხ.), გატაცება ყაჩაღობით (96-ე მუხ.), განსაკუთრებით დიდი ოდენობით (96¹-ე მუხლი);

2. სახელმწიფოსა ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ანგარების მიზნით გატაცების ნიშნების გარეშე. ამ ჯგუფს მიეკუთვნება: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გამოძალვა (97-ე მუხ.), ქონებრივი სარგებლობის მიღება მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით (98-ე მუხლი), ნაპოვნი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მითვისება (99-ე მუხ.).

3. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება ან დაზიანება. ამ ჯგუფს მიეკუთვნება: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება (მე-100 მუხლი), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება ან დაზიანება გაუფრთხილებლობით (101-ე მუხ.), სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენება ან შენახვა (102¹-ე მუხ.).

4. დანაშაულებრივ-დაუდევარი დამოკიდებულება სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი (102-ე მუხლი).

სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები თავში „დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ" ითვალისწინებენ ყველა ზემოჩამოთვლილ შედგენილობებს. მაგრამ ამასთან ერთად ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სს კოდექსების აღნიშნულ თავში შეტანილია დამატებით სხვა სახის დანაშაულიც. ასე, მაგალითად: უზბეკეთის, ლატვიის, ყაზახეთის, თურქმენეთის სს კოდექსებში ისეთი დანაშაული, როგორიც არის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების შეძენა ან გასაღება მოქცეულია თავში „დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ" (იხ. შესაბამისად 121-ე, 93-ე, 78-ე, მე-100 მუხ.).

ყაზახეთის სს კოდექსი ამავე თავში ითვალისწინებს ტყის

უკანონო გაჩეხვას ან დაზიანებას (83-ე მუხლი), ნათესავების განზრახ დაზიანებას (84-ე მუხ.), მუშა-საქონელთან დანაშაულებრივ დაუდევარ ან სასტიკ მოპყრობას (86-ე მუხ.).

§ 1. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების ცალკეული სახეები

ა. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება ქურდობით. ქურდობა გათვალისწინებულია საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლში, რომელიც განმარტავს მას, როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ფარულად გატაცებას[1]

განსაბილველი დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს სოციალისტური საკუთრება, ე. ი. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრება. ქურდობით შეიძლება გატაცებულ იქნეს ფული, საქონელი, პროდუქტები და სხვა სახის ქონება, რასაც გარკვეული ღირებულება აქვს და რაც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის კუთვნილებას შეადგენს. ეს ისეთი საგნებია, რომელთა დამზადებაზე, მოყვანაზე თუ მოპოვებაზე ადამიანის შრომაა გაწეული. ამიტომ ქურდობის საგნად ვერ ჩაითვლება ტყეში დაჭნაშავის მიერ ძირზე მოჭრილი და ფარულად გატანილი ხე, წყლებში უკანონოდ მოპოვებული თევზი და ა. შ., რამდენადაც ასეთი საგნები არ წარმოადგენენ ადამიანის მიერ გაწეული შრომის პროდუქტს. აღწერილი ქმედება განხილულია სხვა, დამოუკიდებელი სახის დანაშაულად, გათვალისწინებული სამეურნეო დანაშაულთა თავში (იხ. სსკ 178-ე, 175-ე მ. მ.).

ქურდობის საგანს შეიძლება შეადგენდეს აგრეთვე ფასიანი ქაღალდები და სხვა ისეთი დოკუმენტები, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მიღება (ობლიგაციები, აკრედიტივები და სხვა სასაქონლო დოკუმენტები).

სოციალისტური ქონების ქურდობად ჩაითვლება მოქალაქეთა კუთვნილი ისეთი ქონების ფარულად გატაცებაც, რომელიც შესანახად ან სხვა მიზნით მიბარებული აქვს სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, დაწესებულებას ან საწარმოს და რომელ-

---

1 ამრიგად, ახალმა კანონმდებლობამ აღადგინა ქურდობის ცნება, რომელიც შეცვლილი იყო 1947 წ. 4 იანვისის ბრძანებულებით მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ. ეს ბრძანებულება ქურდობას განმარტავდა, როგორც სხვისი ქონების ფარულად ან საშკარაოდ გატაცებას, და მაშასადამე, ქურდობის ცნებაში აერთიანებდა გაძარცვის ცნებასაც (გაძარცვა, როგორც დამოუკიდებელი სახის დანაშაული, აღნიშნული ბრძანებულებისათვის უცნობი იყო).

თა ნოვლა-შენახვის პასუხისმგებლობაც უკანასკნელთ ეკისრებათ. ასე. მაგალითად, ქურდობა მოქალაქეთა კუთვნილი ქონებისა მიბარებული რკინიგზისათვის ან ფოსტისათვის გადასაზიდად, საკომისიო მაღაზიისათვის — გასასყიდად, დაწესებულება-ორგანიზაციისათვის — გარდერობში შესანახად და ა. შ. განიხილება სოციალისტური ქონების ქურდობად. ასეთ შემთხვევებში გატაცება ზიანს აყენებს დაწესებულება-ორგანიზაციების ქონებას, რამდენადაც უკანასკნელნი ვალდებულნი არიან აუნაზღაურონ—მოქალაქეებს გატაცებული ქონების ღირებულება. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ უკეთუ დაწესებულება-ორგანიზაციას კონკრეტულ პირობებში, ამა თუ იმ გარემოების გამო, ასეთი ვალდებულება არ ეკისრება, ქონების გატაცება მიჩნეული უნდა იქნეს დანაშაულად მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ (მაგალითად, რკინიგზის შემნახველი საკნიდან ხელბარგულის მიღება მისი მესაკუთრისათვის მოპარული ქვითრის მეშვეობით).

სოციალისტური საკუთრების ქურდობად ჩაითვლება აგრეთვე დამნაშავის არამართლზომიერ მფლობელობაში გადასვლა ასეთი ქონებისა სხვა პირის არამართლზომიერი მფლობელობიდან, რადგან ასეთ შემთხვევაში ქონება მაინც სოციალისტურ საკუთრებად რჩება (მაგალითად, სოციალისტური ქონების ფარულად გატაცება, რომელიც ადრე სხვა პირის მიერ იყო გატაცებული და უკანასკნელის არამართლზომიერ მფლობელობაში იმყოფებოდა).

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ფარულად გატაცებაში. პირი იტაცებს რა აღნიშნულ ქონებას, ამით უსპობს სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას მის გამგებლობა-განკარგვის შესაძლებლობას და აწესებს მასზე თავის ფაქტიურ მფლობელობას, ქმნის შესაძლებლობას ისარგებლოს, განკარგოს ეს ქონება ისევე, როგორც საკუთარი ქონება.

გატაცებული ქონება უნდა იმყოფებოდეს, როგორც წესი, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მფლობელობაში (ქარხანაში, საწყობში, მაღაზიაში და ა. შ.), მაგრამ, შესაძლოა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება ზოგჯერ ამა თუ იმ მიზნით ცალკეულ პირებთანაც იმყოფებოდეს (მაგალითად, შესანახად, გადასაზიდად და ა. შ.).

ფარულია ისეთი გატაცება, როდესაც ქონების მფლობელი ვერ გრძნობს, ვერ ამჩნევს, რომ წარმოებს გატაცება. უკეთუ მფლობელისათვის ეს შესამჩნევია, მაშინ საქმე გვექნება არა ქურდობასთან, ვრცელ გაძარცვასთან, ე. ი. ქონების აშკარა გატაცებასთან;

ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ ფარულად გატაცების შედგენილობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თვით დამნაშავის სუბიექტურ განწყობას, სახელდობრ მის დარწმუნებულობას, რომ ქონებას იგი იტაცებს დაზარალებულის შეუმჩნეველად, ფარულად, თუნდაც უკანასკნელი ფაქტიურად გრძნობდეს, ამჩნევდეს კიდეეაც გატაცების პროცესს. აქედან გამომდინარე, ქურდობად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი ქონების გატაცების მიზნით შეიჭრება რა საწყობში, ფიქრობს, რომ აწარმოებს ფარულ გატაცებას, სინამდვილეში კი მას თვალყურს ადევნებს საწყობის მომუშავე და კარებიდან გასვლისას დააკავებს ნაქურდალი ნივთებით.

ქურდობა დამთავრებულად ითვლება ქონების სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის (თუ ცალკეული პირის) მფლობელობიდან ამოღებისა და დამნაშავის მფლობელობაში მისი გადასვლის მომენტიდან.

ქურდობის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი 14 წლის ასაკიდან დაწყებული, როგორც კერძო, ასევე თანამდებობის პირი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 მარტის განმარტების თანახმად ქონების გატაცება ქურდობად ჩაითვლება მაშინ, როდესაც იგი ჩადენილია ისეთი პირის მიერ, რომელსაც არ გააჩნია ამ ქონების განკარგვის, შენახვისა და ა. შ. უფლებამოსილება, არამედ შეეძლო მხოლოდ მისი გამოყენება დაკალებული სამუშაოს შესრულებისას (მაგალითად, მუშის მიერ ნედლეულის ან მზა ნაწარმის გატაცება საწარმოდან) ანდა სამსახურის ხასიათის მიხედვით შეეძლო შეღწევა ისეთ ქონებასთან, რომელიც უშუალოდ სხვა პირებს ჰქონდა მიბარებული (მაგალითად. შენობის კომენდანტის მიერ ამ შენობაში არსებული ქონების გატაცებისას) [1].

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ განსახილველი დანაშაული ხასიათდება განზრახი ბრალით. განზრახვის შინაარსი გამოიხატება დამნაშავის შეგნებაში, რომ იგი ფარულად აწარმოებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ამოღებას მისი მფლობელის გამგებლობიდან და სურვილი, განკარგოს ის, როგორც თავისი საკუთარი. სუბიექტის მიზანია მატერიალური გამორჩენის მიღება, პირადი გამდიდრება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ხარჯზე; ეს

---

[1] იხ. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი", 1962, № 4, გვ. 62.

მიზანი, ამრიგად, ანგარებითია. ამ მიზნის დაუდგენლობა, როგორც წესი, გამორიცხავს პასუხისმგებლობას ქურდობისათვის.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ჩადენილია ქურდობა რამდენიმე პირის თანამონაწილეობით, შესაძლოა ზოგიერთ თანამონაწილეს არც ამოქმედებდეს ანგარებითი მიზანი. მაგრამ თუ მათ შეგნებული აქვთ, რომ ისინი ხელს უწყობდნენ დანარჩენ თანამონაწილეთა ანგარებითი მიზნის განხორციელებას, უკლებლივ ყველამ უნდა აგოს პასუხი ქურდობისათვის.

ქურდობად არ ჩაითვლება სოციალისტური ქონების დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით. მაგალითად, ავტომანქანის დაუფლება გასეირნებისათვის და ა. შ. ასეთი ქმედობა შეიძლება დაკვალიფიცირდეს სს კოდექსის 243-ე მუხლით (ავტომოტორანსპორტის საშუალებათა გატაცება).

სს კოდექსის 91-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობას მაკვალიფიცირებელ (დამამძიმებელ) გარემოებათა გარეშე (უკეთუ არ არსებობს 95-ე მუხლით გათვალისწინებული წვრილმანი ქურდობა) და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

ქურდობის კვალიფიციური სახეები მოცემულია იმავე 91-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებში. მეორე ნაწილით ქურდობის მაკვალიფიცირებელ ნიშნებად მიჩნეულია: ა) ქურდობის ჩადენა განმეორებით, ბ) პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან გ) ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით [1].

91-ე მუხლის შენიშვნის ძალით ქურდობა განმეორებითად ჩაითვლება, უკეთუ იგი ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელსაც ადრე ჩადენილი ჰქონდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების ან მოქალაქეთა პირადი საკუთრების გატაცება ქურდობით (სს კოდექსის 91-ე. 150 მ. მ.), გაძარცვით (92-ე, 151-ე მ. მ.), თაღლითობით (93-ე, 153-ე მ. მ.), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით (94-ე მუხ.), ყაჩაღობით (96-ე, 152-ე მ. მ.), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით (96[1]-ე მუხ.), აგრეთვე უკეთუ ადრე ჩადენილი ჰქონდა ბანდიტიზმი (78-ე მუხ.).

---

[1] ასევეა რსფსრ სს კოდექსით (იხ. 89-ე მუხ.). სხვა დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა ქურდობის დამამძიმებელ გარემოებად არ ითვალისწინებს ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებას.

ქურდობა განმეორებითად ჩაითვლება და ღამნაშავეს 91-ე მუხლის მეორე ნაწილი შეეფარდება იმისდა მიუხედავად, უკვე გასამართლებული იყო იგი ერთ-ერთი ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის თუ არა (მაგალითად, ქურდობის შესახებ საქმის გამოკვლევის პროცესში დადგინდება, რომ სუბიექტის მიერ ჩადენილია კიდევ ერთ-ერთი აღნიშნული სახის დანაშაული, რისთვისაც იგი ადრე არ ყოფილა მიცემული სამართალში).

ქურდობა გამნეორებით უნდა განავასხვაოთ ე. წ. „განგრძობითი" ქურდობისაგან, რაც 91-ე მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიცირდება (თუ მას არ ახლავს სხვა დამამძიმებელი გარემოებანი). განგრძობითი ქურდობა წარმოებს ერთი და იმავე წყაროდან ნაწილობრივ, ორჯერ ან მეტჯერაც, ამასთან პირს ახასიათებს ერთი მთლიანი, გაერთიანებული დანაშაულებრივი განზრახვა. ვინმე რ., „მუშაობდა რა საწყობის" გამგედ, გაიტაცა საწყობიდან ჯერ 3,03 კუბ. მ. ფიცარი, ხოლო შემდეგ, იმავე დღეს, იმავე საწყობიდან გაიტაცა კიდევ 3,3 კუბ. მ. ფიცარი. ამ საქმეზე გამოტანილ განჩინებაში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განმარტა, რომ, „რაც შეეხება განმეორებას, უნდა აღინიშნოს, რომ რ. მიერ 6,33 კ. მ. ფიცრის გატაცება და გაყიდვა ერთსა და იმავე დღეს, თუნდაც სხვადასხვა საათში და სხვადასხვა პირებზე, არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც განმეორებითი გატაცება" [1]. სხვა საქმეზე რსფსრ უმაღლესმა სასამართლომ მიუთითა, რომ „გატაცებული ქონების ორჯერად გატანა არ შეიძლება განხილულ იქნეს განმეორებით ქურდობად" [2].

ქურდობა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ნიშნავს ორი და მეტი პირის წინასწარ ე. ი. ქურდობის ჩადენამდე ურთიერთდაკავშირებასა და შეთანხმებას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ფარულად გატაცების თაობაზე. ამასთან შესაძლოა, ჯგუფის მონაწილენი შეთანხმდნენ ქურდობის ჩადენაზე ყველას მიერ ერთობლივად (ე. ი. ყველანი ამსრულებლის როლში გამოდიან) ან თანამონაწილეთა შორის როლების განაწილებაზე. როდესაც ერთი მათგანი ქმნის ქურდობის განხორციელების ხელსაყრელ პირობებს, მეორე — უშუალოდ ახდენს ფარულ გატაცებას. მესამე კიდევ — ფარავს ქურდობით მოპოვებულ ქონებას ან ასაღებს მას და ა. შ. ასეთი ჯგუფის ყველა მონაწილე პასუხს აგებს მთლიანად იმ ქმედობისათვის, რაც ფაქტიურად შესრულდა ჯგუ-

---

1 «Судебная практика Верховного Суда СССР», 1954, № 1, გვ. 15.
2 «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1963, № 4, გვ. 8.

ფის მიერ წინასწარ დასახული გეგმის განსახორციელებლად, ე. ი. როგორც ამსრულებელი 91-ე მუხლის მეორე ნაწილით, მე-19 მუხლის გამოყენების გარეშე. სს კოდექსის მე-19 მუხლი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს გამოყენებული, როდესაც საკითხი დგას პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ჩადენილი დანაშაულის ისეთი წამქეზებლის ან დამხმარის პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც ამ ჯგუფის მონაწილე არ ყოფილა. რაც შეეხება ორგანიზატორს, ე. ი. ჯგუფის შემქმნელს, დანაშაულის მომწყობს, იგი, ცხადია, ყოველთვის ჯგუფის ერთ-ერთ მონაწილედ ჩაითვლება.

ქურდობის ჩადენა ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით გაგებული უნდა იქნეს, როგორც ქურდობა სპეციალურად ამ მიზნისათვის დამზადებული ან მომარჯვებული საგნებითა და საშუალებებით, რომელთა სარგებლობითაც დამნაშავენი იადვილებენ ქურდობის აქტის შესრულებას, გადალახავენ დაბრკოლებას და ა. შ. ასეთ საგნებსა და იარაღს მიეკუთვნება: მორგებული გასაღები, ე. წ. „ფომკა", ძალაყინი, თოკის ან მავთულის კიბე და სხვა სახის იარაღი-კარების შესამტვრევად, კედლის გასანგრევად და საბოლოო ჯამში მატერიალურ ფასეულობასთან შესაღწევად. ამიტომ, ჩვენი აზრით, სატრანსპორტო საშუალების (მაგ., ავტომანქანის) გამოყენება ნაქურდალის გადასაზიდავად არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც გატაცება ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით [1].

სასჯელი ერთ-ერთი ზემოთ განხილულ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქურდობისათვის სს კოდექსის 91-ე მუხლის მეორე ნაწილის ძალით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვს წლამდე.

91-ე მუხლის მესამე ნაწილში მოცემულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობის განსაკუთრებით საშიში სახე. სახელდობრ, ქურდობა ჩადენილი დიდი ოდენობით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ.

განსაზღვრა იმისა, ქურდობა ჩადენილია დიდი ოდენობით თუ არა, დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებათა მიხედვით. საქმის გამომკვლევ და გადამწყვეტ ორგანოებზე, რომლებიც ამ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში მიიღებენ გატაცებული საქონლის როგორც ფულად ღირებულებას, ასევე მოცულობას

---

[1] ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გატაცებული ქონების გადასაზიდავად გამოყენებული ავტომანქანა, მოტოციკლი და სხვ. სატრანსპორტო საშუალება საქ. სსრ უმაღლესი სასჯელის პრეზიდიუმის 1961 წ. 24 ნოემბრის დადგენილების თანახმად განიხილება, როგორც დანაშაულის იარაღი და სასამართლოს განაჩენით კონფისკაცია ეკუთვნის (იხ. „საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები," 1961, № 33, მუხ. 489).

(წონას, რაოდენობას და ა. შ.) [1]. უკეთუ ქურდობა ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ, კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა მიეცემა არა თითოეული დამნაშავის წილს ნაქურდალი ქონებიდან, არამედ საერთოდ გატაცებული ქონების მთლიან ღირებულებას.

თუ ვინ ჩაითვლება განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად, განმარტებულია სს კოდექსის 44-ე მუხლში. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ჩაითვლება მხოლოდ ის პირი, ვინც განსახილველი საქმის გამო დანაშაულის ჩადენამდე კანონით დადგენილი წესით უკვე არის ცნობილი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად [2].

სასჯელი ქურდობისათვის ერთ-ერთი ამ ორი სახის დამამძიმებელი გარემოების არსებობისას 91-ე მუხლის მესამე ნაწილის ეფლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ [3].

ბ. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება გაძარცვით. ეს დანაშაული გათვალისწინებულია სს კოდექსის 92-ე მუხლში.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გაძარცვა ნიშნავს ამ ქონების აშკარა გატაცებას როგორც ძალადობის გამოყენების გარეშე, ასევე ძალადობის გამოყენებით, მაგრამ ისეთი ძალადობის, რაც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ობიექტი განსახილველი დანაშაულისა (აგრეთვე საგანი) ისეთივეა, რაც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისა ქურდობით (განმარტებულია ზემოთ, 91-ე მუხლის განხილვისას). მაგრამ უკეთუ გაძარცვა ჩადენილია ძალადობის გამოყენებით, რაც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, მაშინ პიროვნებაც ობიექტად ჩაითვლება.

ობიექტური მხრივ გაძარცვა გაშოიხატება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების აშკარა გატაცებაში, ე. ი. დანაშაუ-

---

1 სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ დიდი ოდენობით გატაცებად უნდა ჩაითვალოს 2.500 მან. მეტი საფასურის (საცალო ფასით) ქონების გატაცება.

2 იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლის პლენუმის 1963 წლის 3 ივლისის დადგენილება № 8 „განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად პირთა ცნობის სასამართლო პრაქტიკის შესახებ" (იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1963, № 6, გვ. 60-62).

3 91-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს საჭიროა ხელმძღვანელობა 95[1]-ე მუხლის მოთხოვნით (იხ. წინამდებარე სახელმძღვანელოს 124—125 გვ.).

ლის ისეთ პირობებში ჩადენაში, როდესაც გატაცება შესამჩნევია, აშკარაა იმ პირთათვის. ვინც ფლობს, განაგებს ან იცავს ამ ქონებას. სწორედ ეს ნიშანი ასხვავებს ძირითადად გაძარცვას ქურდობისაგან, რაც ნიშნავს ქონების გატაცებას ფარულად, ე. ი. დაზარალებულისათვის შეუმჩნეველად. ამის გარდა, საჭიროა ყოველთვის იმის დადგენა, რომ თვით მძარცველს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების აშკარა ხასიათი.

გაძარცვის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი 14 წლის ასაკიდან.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება განზრახი ბრალით. დამნაშავეს აქვს იმის შეგნება, რომ იტაცებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ქონებას აშკარად და სურვილი, განკარგოს ის, როგორც თავისი საკუთარი. უკეთუ აღნიშნულ ქონებას, რომელიც ცალკეული მოქალაქის ხელთ იმყოფება, სუბიექტი აშკარად გაიტაცებს, თვლის რა ამ ქონებას დასახელებული პირის საკუთრებად, ქმედება უნდა განხილულ იქნეს, როგორც მცდელობა მოქალაქეთა პირადი საკუთრების აშკარა გატაცებაზე და დაკვალიფიცირდეს სს კოდექსის მე-17 და 152-ე მუხლებით.

92-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია განსახილველი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე. ასეთია ერთი პირის მიერ პირველად არადიდი ოდენობით ჩადენილი გაძარცვა დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების გარეშე, ე. ი. დაზარალებულისათვის შესამჩნევ პირობებში, მაგრამ ძალადობის გამოუყენებლად (მაგალითად, დამნაშავემ მოთხოვა რა მაღაზიის გამყიდველს ეჩვენებინა მისთვის რაიმე საქონელი, დასტაცა მისთვის გადაცემულ საქონელს ხელი და გაიქცა მაღაზიიდან გამყიდველის თვალწინ, მაგრამ უკანასკნელის მიმართ რაიმე ძალადობა არ გამოუყენებია).

გაძარცვის ეს სახე აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის ძალით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

92-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს გაძარცვის კვალიფიციურ სახეს. დამამძიმებელ გარემოებად ითვლება: ა) გაძარცვა ძალადობის გამოყენებით, რაც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ბ) ან ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, გ) ან ჩადენილი განმეორებით.

ძალადობა რაც არ არის დაზარალებულის სიცოცხლის და ჯანმრთელობისათვის საშიში, შეიძლება გამოიხატოს ამ უკანასკნელის

გათოკვაში, გარტყმაში, ცემაში და სხვა ამდაგვარ მოქმედებაში, რასაც არ შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი ან ჯანმრთელობის მოშლა, ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარაში. ძალადობად ამ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად.

აღნიშნული სახის ძალადობის გამოყენებისას დამნაშავე მიზნად ისახავს დაძლიოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების აშკარა გატაცებისას იმ პირის წინააღმდეგობა, ვინც ამ ქონებას ფლობს, განაგებს თუ იცავს (აგრეთვე იმ პირისა, ვინც ასრულებს თავის საზოგადოებრივ მოვალეობას სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში). მაშასადამე, ეს ძალადობა წარმოადგენს ქონების დაუფლების საშუალებას.

იმ შემთხვევაში, თუ ქონების გატაცება ქურდობით დაიწყო, მაგრამ ქურდობა შემჩნეულ იქნა დაზარალებულის მიერ, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია დამნაშავეს ქონების გატაცებაში, ხოლო დამნაშავემ კი წინააღმდეგობის დასაძლევად ძალადობა გამოიყენა დაზარალებულის მიმართ, რაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში არ იყო, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც გაძარცვა და არა ქურდობა.

უკეთუ აღნიშნული სახის ძალადობა გამოყენებულ იქნა დამნაშავის მიერ ქურდობის ჩადენის შემდეგ დაკავებისაგან თავის დაღწევის მიზნით, ქმედობა განხილული უნდა იქნეს, როგორც ქურდობა და ერთ-ერთი შესაბამისი დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ ან მმართველობის წესის წინააღმდეგ დანაშაულთა თავიდან.

გაძარცვა, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ნიშნავს ორი და მეტი პირის ურთიერთშეთანხმებას ქონების აშკარა გატაცების შესახებ წინასწარ, ე. ი. დანაშაულის ჩადენამდე. ამ შემთხვევაში საჭიროა იმის დადგენა, შეთანხმება მონაწილეთა შორის შეეხებოდა აშკარა გატაცებას ძალადობის გარეშე თუ ძალადობით და უკანასკნელ შემთხვევაში, რა სახის ძალადობით. ეს საჭიროა იმის გასარკვევად, ადგილი ჰქონდა გაძარცვას თუ აჩაღობას. გაძარცვის ეს სახე აჩაღობისაგან განსხვავდება ძალადობის ხარისხით; აჩაღობისათვის სავალდებულოა ძალადობა საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, მაშინ როდესაც, გაძარცვა გულისხმობს არა ასეთ საშიშ ძალადობას. ისეთ შემთხვევაში, როცა ჯგუფის ზოგიერთი მონაწილის მიერ გამოყენებულ იქნა დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, მაშინ როდესაც, ჯგუფის სხვა მონაწილეებთან ერთად დასახული გეგმით ასეთი სახის ძალადობის გამოყენების შესაძლებ-

ლობა არ იყო გათვალისწინებული, ისინი პასუხს აგებენ ყაჩაღობისათვის (სს კოდექსის 96-ე მუხლით), ხოლო დანარჩენები (რომელთა განზრახვასაც არ შეადგენდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენება) — გაძარცვისათვის (სს კოდექსის 92-ე მუხ. მეორე ნაწილით).

დაბოლოს, თუ მძარცველთა ჯგუფის მონაწილეთა შორის მიღწეული იყო შეთანხმება საერთოდ ძალადობის გამოყენებით ქონების გატაცების შესახებ, მაგრამ ძალადობის ხარისხისა და ხასიათის განუსაზღვრელად (ე. ი. ძალადობა საშიში უნდა ყოფილიყო დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის თუ არა), მაშინ დამნაშავეთა პასუხისმგებლობა დადგება იმისდა მიხედვით, თუ რა სახის ძალადობა იქნა ფაქტიურად გამოყენებული.

გაძარცვა, ჩადენილი განმეორებით, გაგებული უნდა იქნეს ისევე, როგორც განმეორებითი ქურდობა (რაც განმარტებულია ზემოთ, 91-ე მუხლის განხილვისას).

სასჯელი 92-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა შვიდ წლამდე.

სს კოდექსის 92-ე მუხლის მესამე ნაწილში გათვალისწინებულია გაძარცვის განსაკუთრებით საშიში სახეები, სახელდობრ, გაძარცვა ჩადენილი დიდი ოდენობით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ. გაძარცვის ასეთ სახეებზე მთლიანად ვრცელდება ყოველივე ის, რაც ზემოთ იყო ნათქვამი დიდი ოდენობით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილი ქურდობის შესახებ.

სასჯელი 92-ე მუხლის მესამე ნაწილის ძალით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

გ. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება თაღლითობით. ეს დანაშაული გათვალისწინებულია სს კოდექსის 93-ე მუხლში.

თაღლითობა ნიშნავს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ღაუფლებას მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით.

დანაშაულის ობიექტი იგივეა, რაც ზემოგანხილული დანაშაულებისა, ე. ი. სოციალისტური საკუთრება.

აღსანიშნავია, რომ განსხვავებით 153-ე მუხლისაგან (თაღლითობა მოქალაქეთა პირადი საკუთრების დასაუფლებლად), 93-ე მუხლში არ არის მითითება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ქონებასთან ერთად ამ ქონებაზე უფლების ან ქონებრივი გამორჩენის მიღებაზე. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ სოციალისტურ ქონე-

ბახე უფლების მოპოვება მისი ფაქტიურად დაუფლების გარეშე დამახასიათებელია მარტოოდენ ისეთი გატაცებისათვის, რასაც თანამდებობის პირი ჩაიდენს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით (იხ. 94 მუხლი). 93-ე მუხლში მოცემული დანაშაულის სუბიექტი კი, როგორც ქვემოთ არის აღნიშნული, შეიძლება იყოს მარტოოდენ კერძო პირი. უკეთუ ასეთი პირი სოციალისტურ ქონებას დაეუფლება დაზარალებულის (ე. ი. სოციალისტური ორგანიზაციის) წარმომადგენლის დახმარებითა და ხელის შეწყობით, ქმედობა დაკვალიფიცირდება 91-ე ან 94-ე მუხლით.

ობიექტური მხრივ თაღლითობა გამოიხატება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუფლებაში მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით.

დაუფლება ნიშნავს დამნაშავის მიერ აღნიშნული ქონების თავის მფლობელობაში მიღებას და მისი, როგორც თავისი საკუთარის, განკარგვის შესაძლებლობის მოპოვებას. ქურდობისაგან განსხვავებით, ქონების დაუფლება თაღლითობისას წარმოებს ამ ქონების მფლობელის ნება-სურვილით, მაგრამ მისი შეცდომაში შეყვანით მოტყუების ან ნდობის ბოროტად გამოყენების გზით. მოტყუება და ნდობის ბოროტად გამოყენება წარმოადგენს თაღლითობის ჩადენის ხერხს, საშუალებას.

მოტყუება ნიშნავს დაწესებულება-ორგანიზაციისათვის (თუ თანამდებობის პირისათვის) ცრუ, ტყუილი ცნობების მიწოდებას, ან მათთვის ისეთ გარემოებათა შეუტყობინებლობას, დაფარვას, რაც სავალდებულო იყო დამნაშავეს ეცნობებინა. აქედან გამომდინარე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების თაღლითობით გატაცებად ჩაითვლება უკანონოდ პენსიის მიღება, როგორც სოცუზრუნველყოფის ორგანოსათვის წარდგენილი ყალბი საბუთის საფუძველზე, ასევე მისი ხელფასის ოდენობის შესახებ ნამდვილი ვითარების დამალვით (მაშინ როდესაც, ასეთი ხელფასის გამო პირს უნდა დანიშნოდა პენსია უფრო მცირე ოდენობით, ვიდრე დაენიშნა), სალაროს ყალბი ქვითრით საქონლის მიღება და ა. შ.

ნდობის ბოროტად გამოყენება, როგორც თაღლითობის ერთ-ერთი საშუალება, არის ქონების მოპოვება მისი მფლობელის შეცდომაში შეყვანით დამნაშავის ნამდვილი მიზნისა და განზრახვის შესახებ. მაგალითად, ვინმე ნ. ხელშეკრულება დაუდო კოლმეურნეობის გამგეობას გარკვეული სამუშაოს შესრულების შესახებ და ამის საფუძველზე მიიღო კიდეევაც ავანსი. სინამდვილეში ნ. როდა ჰქონდა მიზნად აღნიშნული სამუშაოს შესრულება, მას სურდა ხელშეკრულების დადებით შეცდომაში შეეყვანა დაზარალებული და

მიღებული ავანსი თავის საკუთრებად ექცია. ნ. ქმედება თაღლითობას წარმოადგენს.

ასეთივე საშუალებით ჩადენილი თაღლითობის მაგალითს წარმოადგენს ვ. ბრალდების საქმე. 1959 წლის 22 აპრილს დასახელებულმა ვ. „ლენგორსბიტპროკატის“ № 3 ატელიეში ქირით მიიღო გიტარა, № 4 ატელიეში იმავე დღეს — მეორე გიტარა, 27 აგვისტოს № 4 ატელიეში — ველოსიპედი, № 1 ატელიეში 30 აგვისტოს — მეორე ველოსიპედი, № 2 ატელიეში 11 სექტემბერს — მესამე ველოსიპედი; № 3 ატელიეში 12 სექტემბერს — რადიოლა. აღნიშნული ნივთები ვ. მიღებისთანავე გაყიდა და ლოთობაში გაფლანგა. ვ. მიერ სულ მიღებული იყო ქირით და შემდეგ გაყიდული სამი ველოსიპედი, ორი გიტარა და რადიოლა[1].

რამდენადაც ყალბი საბუთის წარდგენა თაღლითობის ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს, მისი გამოყენებისას ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მარტოოდენ 93-ე მუხლით (თაღლითობა) და დამატებით 214-ე მუხლის გამოყენება ასეთ შემთხვევაში საჭირო არ არის.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 მარტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 93-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს საყოფაცხოვრებო ქირავნობის ხელშეკრულებით მიღებული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუბრუნებლობა, უკეთუ დამნაშავეს განზრახვა ჰქონდა მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით ექცია ქონება თავის საკუთრებად. თაღლითობის ნიშნების არარსებობისას პასუხისმგებლობა ასეთ შემთხვევაში შეიძლება დადგეს მხოლოდ სამოქალაქო წესით (იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1962, № 4).

განსახილველი დანაშაული დამთავრებულად ითვლება ქონების ფაქტიური დაუფლების მომენტიდან. მოტყუებითი მოქმედებანი, გამიზნული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დასაუფლებლად, რასაც შედეგი არ მოჰყოლია (ე. ი. დამნაშავე მასჯერ კიდევ არ დაუფლებია), განიხილება როგორც ამ დანაშაულის მცდელობა.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი თაღლითობისა შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი არათანამდებობის პირი 16 წლის ასაკიდან.

უკეთუ სოციალისტური ქონების მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით დაუფლება განხორციელებულია ამ ქონების მესაკუთრის წარმომადგენლის (თანამდებობის პირის) მიერ, ქმედება დაკვალიფიცირდება 94-ე მუხლით (სახ. ან საზ. ქონების გ-

---

[1] Советское уголовное право. часть Особенная, М., 1962, зз. 104—105

ტაცება-მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით).

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახი ბრალით ხასიათდება. მიზანი ანგარებითია (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუფლება და განკარგვა როგორც საკუთარის). დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით ეუფლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ქონებას, რომლის მიღების უფლებაც მას არა აქვს, ისახავს რა ამასთან უკანონოდ გამდიდრების მიზანს.

93-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია დანაშაულის მარტივი სახე (დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე), რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე[1].

იმავე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებულია თაღლითობის კვალიფიციური სახე. დამამძიმებელ გარემოებად კანონი თვლის მის ჩადენას განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით. ეს დამამძიმებელი გარემოებანი ანალოგიურია ქურდობის ასეთივე გარემოებებისა, რაც ზემოთ იყო განმარტებული. კვალიფიციური სახის თაღლითობა სს კოდექსის 93-ე მუხლის მეორე ნაწილის ძალით ისჯება თავისუფლების აღკვეთით — ვადით ექვს წლამდე.

დასასრულ, მესამე ნაწილი აღნიშნული მუხლისა აწესებს პასუხისმგებლობას თაღლითობის განსაკუთრებით საშიში სახისათვის, სახელდობრ, თაღლითობისათვის, რომელსაც შედეგად მოჰყვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის დიდი ოდენობით ზარალის მიყენება ან რომელიც ჩადენილია განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ.

ცნება, დიდი რაოდენობით ზარალისა და განსაკუთრებით საშიში რეციდივისტისა, გაგებული უნდა იქნეს ისევე, როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების სხვა ხერხებითა და საშუალებებით გატაცებისას (ქურდობით, გაძარცვით და ა. შ.).

სასჯელი კოდექსის 93-ე მუხლის მესამე ნაწილით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

---

[1] 93-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს საჭიროა ხელმძღვანელობა 95[1]-ე მუხლის მოთხოვნით (იხ. წინამდებარე ნაშრომის 124—125 გვ.)

დ. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით. პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია სს კოდექსის 94-ე მუხლში.

ობიექტი განსახილველი დანაშაულისა (აგრეთვე ხელყოფის საგანი) არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება.

ობიექტური მხრივ მითვისება და გაფლანგვა გამოიხატება ანგარებითი მიზნით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების, რომელიც დამნაშავის მართლზომიერ გამგებლობაში იმყოფება, უკანონოდ ამოღებაში სოციალისტური ფონდიდან და მის განკარგვაში, როგორც საკუთარის. კანონი ამ შემთხვევაში გულისხმობს ისეთ ქონებას, რომლის მიმართაც პირი თავისი სამსახურებრივი მოვალეობის, ხელშეკრულებით ურთიერთობის თუ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სპეციალური დავალების გამო ასრულებს განსაზღვრულ უფლებამოსილებას მისი განკარგვის, მართვის, შენახვისა და სხვ. საქმეში (მაგალითად, ქონება, რომელიც იმყოფება საწყობის გამგის, მომარაგების აგენტის, გამყიდველის, მოლარის და სხვათა მფლობელობაში)[1].

აღნიშნული ქონების გატაცება წარმოებს მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით.

მითვისებასა და გაფლანგვას შორის დიდი მსგავსებაა. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ობიექტურ მხარეშია. მითვისების დროს დამნაშავე იტოვებს მინდობილ ქონებას თავის პირად განკარგულებაში იმ მიზნით, რომ ისარგებლოს შემდეგში როგორც თავისი საკუთარით (მაგალითად, გამყიდველმა მაღაზიიდან წაიღო და თავის ბინაში გადამალა ტელევიზორი, მოლარემ სალაროდან ამოიღო გარკვეული თანხა და შეიტანა შემნახველ სალაროში თავის პირად ანგარიშზე და ა. შ.). გაფლანგვის დროს კი დამნაშავე უკვე განკარგავს მინდობილ ქონებას, როგორც თავის საკუთარს: გაყიდის, მოიხმარს, გახარჯავს, გააჩუქებს და ა. შ.

ობიექტური მხარე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისა თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით იმაში მდგომარეობს, რომ თანამდებობის პირი აღნიშნული ქონების გატაცებისათვის ბორო-

[1] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 მარტის დადგენილება „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ" (ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1962, № 4, გვ. 62).

ტად იყენებს ანგარების მიზნით დაწესებულება-საწარმოს თუ ორგანიზაციის კუთვნილი ქონების ოპერატიულ-სამეურნეო განკარგვის უფლებას (მაგალითად, გარიგების დადების, ქონების, როგორც გახარჯულის ჩამოწერის და სხვ. უფლებას). განსხვავებით ქონების მითვისება-გაფლანგვისაგან, ქონება ამ შემთხვევაში არ არის უშუალოდ მინდობილი თანამდებობის პირისათვის, არ იმყოფება მის მართლზომიერ გამგებლობაში და, მაშასადამე, არც ქონების მოვლა-შენახვის უშუალო მატერიალური პასუხისმგებლობა აკისრია მას. მაგალითად, ისეთი შემთხვევა, როგორიცაა პრემიის ან ხელფასზე დანამატის უკანონოდ მიღება თანამდებობის პირის მიერ განხილული უხდა იქნეს, როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, ასევე დაკვალიფიცირდება თანამდებობის პირის მიერ ანგარებითი მიზნით (ე. ი. რაიმე მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით) სხვადასხვა სახის ჯილდოს, გასამრჯელოს, პენსიის უკანონო გაცემა იმ პირებისათვის, რომელთაც ამის მიღების უფლება არა აქვთ; ან ისეთი შემთხვევა, როგორიც არის სამშენებლო კანტორის უფროსის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით კანტორის კუთვნილი სამშენებლო მასალის, აგრეთვე მუშახელის გამოყენება თავისი საკუთარი სახლის მშენებლობისათვის და სხვ.

ამ სახის დანაშაულის შედგენილობას შეიცავს აგრეთვე გატაცება ორი სხვადასხვა დაწესებულების თანამდებობის პირების შეთანხმებით დანაშაულებრივი ოპერაციის ერთად განხორციელების შესახებ. მაგალითად, მიმწოდებელი ორგანიზაციის მომუშავე შეუთანხმდება მიმღები ორგანიზაციის მომუშავეს დოკუმენტებში საქონლის რაოდენობის ან ფასის უსწოროდ ჩვენებისა და ამის შედეგად ზედმეტად მიღებული საქონლის ღირებულების ურთიერთშორის განაწილების შესახებ.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი მითვისებისა და გაფლანგვისა შეიძლება იყოს 16 წელს მიღწეული ყოველი პირი (როგორც თანამდებობის, ასევე არათანამდებობის პირი), რომელიც მართლზომიერად ფლობს (განაგებს) სოციალისტურ ქონებას, ხოლო ქონების გატაცება თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით მარტოოდენ თანამდებობის პირს შეუძლია.

უკეთუ ქონების გატაცება აღნიშნული საშუალებებით (გაფლანგვა, მითვისება) ჩადენილია ისეთი პირის მიერ, რომელსაც არ გააჩნდა უფლებამოსილება გატაცებული ქონების მიმართ, არამედ სარგებლობდა ამ ქონებით დავალებული სამუშაოს შესა-

სრულებლად (მაგალითად, რიგითი მუშა და კოლმეურნე) ან ისეთი პირის მიერ, რომლისთვისაც მისაწვდომი იყო სხვა პირებისათვის უშუალოდ მინდობილი ქონება (მაგალითად, კომენდანტი, დამლაგებელი, სახანძრო დაცვის უფროსი და სხვ.), აგრეთვე ისეთი პირის მიერ, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ქონების დაცვა (მაგალითად, დარაჯი), იმ შემთხვევაში თუ დაცვას თან არ ერთვოდა ქონების დამცველისათვის მარილზომიერ გამგებლობაში გადაცემა მისი რაოდენობისა და ხარისხისათვის პასუხისმგებლობით, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ქურდობა და არა მითვისება-გაფლანგვა[1].

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ განსახილველი დანაშაული განიხილება, ამასთან დამნაშავეს ახასიათებს ანგარებითი მიზანი.

უკეთუ პირი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებით უკანონოდ სარგებლობს დროებით ანგარებითი მიზნის გარეშე (მას არა აქვს მიზნად განკარგოს ქონება როგორც თავისი საკუთარი), მაშინ თანამდებობის პირი პასუხს აგებს თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის (სს კოდექსის 186-ე მუხლით) ან დისციპლინური წესით, ხოლო არათანამდებობის პირი—თვითნებობისათვის (220-ე მუხლით). იმ შემთხვევაში, როცა ასეთ ქმედობას საერთოდ არ მოჰყოლია რაიმე მავნე შედეგი, დანაშაულის შედგენილობაც არ იქნება.

სს კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს განსახილველ დანაშაულს, ჩადენილს დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე და სჯის თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, გარკვეული თანამდებობის (ან ვალების) აკრძალვით ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან უამისოდ.[2]

94-ე მუხლის მეორე ნაწილი აწესებს პასუხისმგებლობას იმავე ქმედობისათვის, რომელიც ჩადენილია განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით.

განმეორებით ჩადენა ამ დანაშაულისა, ასევე პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით გაგებული უნდა იქნეს ისევე, როგორც სხვა სახის გატაცების (მაგ., ქურდობის) ჩადენა განმეორე-

---

[1] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 მარტის ღადგენილება „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ".

[2] 94-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს საჭიროა ხელმძღვანელობა 95[1]-ე მუხლის მოთხოვნით (იხ. წინამდებარე ნაშრომის 124—125 გვ.)

ბით და პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, რაც ზემოთ იყო განმარტებული.

სასჯელი 94-ე მუხლის მეორე ნაწილის ძალით—თავისუფლების აღკვეთა ვადით შვიდ წლამდე გარკვეული თანამდებობის დაკავების აკრძალვით, ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან უამისოდ.

დაბოლოს, 94-ე მუხლის მესამე ნაწილში მოცემულია გატაცება, გათვალისწინებული ამ მუხლის პირველ ან მეორე ნაწილში, ჩადენილი დიდი ოდენობით.

დიდი ოდენობის ცნება უკვე იყო განმარტებული გატაცების სხვა სახეების (ქურდობის და ა. შ.) ანალიზისას. საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს, რომ მითვისება ან გაფლანგვა და გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, რომელიც განხორციელებულია მცირე ოდენობის ფარგლებში, მაგრამ სისტემატურად, ხანგრძლივი დროის მანძილზე, უკეთუ საბოლოო ჯამში გატაცებულია ქონება დიდი ოდენობით და, მაშასადამე, სახელმწიფოსათვის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის მიყენებულია მნიშვნელოვანი ზიანი, უნდა დაკვალიფიცირდეს 94-ე მუხლის მესამე ნაწილით.

სასჯელი სს კოდექსის 94-ე მუხლის მესამე ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულისათვის—თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ და გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

ე. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება. სს კოდექსის 95-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებისათვის, ჩადენილს ქურდობით, მითვისებით, გაფლანგვით, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ან თაღლითობით[1].

ამრიგად, გატაცება თუნდაც მცირე მნიშვნელობისა და ღირებულების ქონებისა, ჩადენილი გაძარცვით და ყაჩაღობით, წვრილმან გატაცებად ვერ იქნება განხილული.

წვრილმანი გატაცება კანონში (სს კოდექსის 95-ე მუხლში) მითითებული საშუალებებით განსხვავდება ამავე საშუალებებით

[1] 95-ე მუხლის შინაარსი გადმოცემულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წ. 28 მაისის ბრძანებულების „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ შესაბამისად.

ქონების გატაცებისაგან, რაც სს კოდექსის 91-ე, 93-ე და 94-ე მუხლებშია გათვალისწინებული მარტოოდენ გატაცებული ქონების უმნიშვნელო ღირებულებით. დანარჩენი ნიშნების მიხედვით მათ შორის განსხვავება არ არსებობს.

წვრილმანი იქნება გატაცება მაშინ, როდესაც გატაცებული ქონების ღირებულება და მისი მოცულობა შედარებით მცირეა, მაშასადამე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია გატაცებული ქონების როგორც ღირებულება, ასევე მოცულობა (წონა, სიდიდე და ა. შ.). ასე, მაგალითად, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით 22 მან. 60 კაპ. ღირებული 10 კგ. წონის ბამბის ძაფის გატაცება კვალიფიცირებულ იქნა წვრილმან გატაცებად; ასევე დაკვალიფიცირდა 27 მანეთის საფასურის ფეხსაცმლის გატაცება ფაბრიკის საწყობიდან.

სხვა შემთხვევაში, ექვსი რულონის სახლის დასახურავი გაფისული მუყაოს (17 მ. 25 კაპ. საფასურის) გატაცება გარაჟიდან ავტომანქანით წინასწარი შეთანხმებით ორი პირის მიერ, რომლებმაც მისი რეალიზაციიდან მიღებული თანხა 10 მან. რაოდენობით გახარჯეს მაგარი სასმელის შეძენაში, არ იქნა განხილული წვრილმან გატაცებად.

სასამართლომ ამ შემთხვევაში, გაითვალისწინა არა მარტო გატაცებული საქონლის ღირებულება, არამედ მისი დიდი მოცულობაც და გასაზიდავად ავტომანქანის გამოყენება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 მარტის დადგენილებაში მითითებულია, რომ წვრილმანი გატაცების ცნობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას საჭირდა მხედველობაში იქნეს მიღებული ქონების არა მარტო ღირებულება,[1] არამედ მისი ოდენობაც ნატურალური სახით (წონა, რაოდენობა გატაცებული საგნებისა და ა. შ.).

იმის დასადგენად, წვრილმან გატაცებასთან გვაქვს საქმე თუ არა, მხედველობაშია მისაღები დამნაშავის განზრახვა. უკეთუ დამნაშავეს განზრახული ჰქონდა მნიშვნელოვანი ოდენობის ქონების გატაცება, მაგრამ მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ეს მან ვერ შეძლო და დაკმაყოფილდა მცირე ღირებულებისა და მოცულობის ქონების გატაცებით, პასუხისმგებლობა დამნაშავისა უნდა განისაზღვროს არა ფაქტიურად გატაცებული ქონების ღირებულებითა და მოცულობით, არამედ, როგორც მცდელობა განზრახუ-

[1] საქ. სსრ სასამართლო ორგანოების პრაქტიკით 93-ე მუხლს იყენებენ ამ შემთხვევაში, როცა გატაცებულის ღირებულება არ აღემატება ორმოცდაათ მანეთს.

ლი ჩანაფიქრი დანაშაულისა, რასაც სხვა, შესაბამისი მუხლი ითვალისწინებს.

3. და 3. შეთანხმდნენ ღამით გაექურდათ სამომხმარებლო კოოპერაციის ფარდული. ამ მიზნის მისაღწევად ისინი მართლაც შეიჭრნენ ფარდულში (კარების ძალაყინით შემტვრევით) და გაიტაცეს 8 მან. საფასურის სხვადასხვა საგნები (პაპიროსი, ლიმონათი და სხვ.). მათ ვერ შეძლეს უფრო დიდი ოდენობის საქონლის გატაცება იმის გამო, რომ ფარდულში სხვა საქონელი არ აღმოჩნდა, და ამრიგად, განზრახვა ვერ მოიყვანეს სისრულეში მათგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო. სასამართლომ ეს ქმედობა არ ჩათვალა წვრილმან ქურდობად და დააკვალიფიცირა იგი სს კოდექსის მე-17 და 91-ე მუხლის II ნაწ.

ამასთან ერთად ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ შესაბამისად სს კოდექსის მე-8 მუხლის მეორე ნაწილისა, მცირე, უმნიშვნელო საფასურის ქონების (მაგალითად, საბჭოთა მეურნეობის ფართობიდან რამდენიმე ცალი სიმინდის ტარეს, ჰამიდორის, თუ სხვა ბოსტნეულის) გატაცება საერთოდ არ ჩაითვლება დანაშაულად, რადგან თავისი მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას.

პირი პასუხისგებაში მიეცემა წვრილმანი გატაცებისათვის სს კოდექსის 95-ე მუხლის პირველი ნაწილით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ წინათ ორჯერ იყო გამოყენებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება წვრილმანი გატაცებისათვის, ან, თუმცა ასეთი ღონისძიება გამოყენებული არ იყო, მაგრამ მან ჩაიდინა წვრილმანი გატაცება არაერთხელ, აგრეთვე ჩადენილია პირის მიერ, რომლის მიმართაც საქმის გარემოებათა მიხედვით ვერ იქნება გამოყენებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება.

საკითხი არაერთხელ წვრილმანი გატაცების შესახებ განმარტებულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 მარტის დადგენილებაში. პლენუმმა განმარტა, რომ უკეთუ წვრილმანი გატაცება ჩადენილია არაერთხელ ერთი და იმავე წყაროდან ან სხვა ისეთ ვითარებაში, რაც მოწმობს დამნაშავის ერთიან განზრახვაზე, ისეთ შემთხვევაში, როდესაც გატაცებულის საერთო ოდენობა აღემატება წვრილმანი გატაცებისათვის დამახასიათებელ ფარგლებს, იგი განხილული უნდა იქნეს როგორც ერთიანი განგრძობითი დანაშაული და დაკვალიფიცირდეს როგორც ქურდობა, მითვისება ან გატაცების სხვა ფორმა მნიშვნელოვანი

ან დიდი ოდენობით (მაგალითად, სს კოდექსის 91-ე მუხლის I ან III ნაწ.).

სასჯელი 95-ე ნუხლის პირველი—ნაწილით—გამასწორებელი სამუშაოები ვადით ექვს თვემდე ან ჯარიმა 50 მანეთამდე.

იმავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმან გატაცებას, ჩადენილს ისეთი პირის მიერ, რომელიც წინათ მსჯავრდებული იყო ასეთივე დანაშაულისათვის, ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების რაიმე სხვა გზით გატაცებისათვის, (მუხ. 91—96[1]), ან წინათ მსჯავრდებული იყო ქურდობისათვის. მოქალაქეთა პირადი ქონების გაძარცვისათვის, ან ამ ქონების თაღლითობით დაუფლებისათვის, ან ყაჩაღური თავდასხმისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით (მუხ. 150—153). ან ბანდიტიზმისათვის (მუხ. 78).

ამრიგად, წვრილმანი გატაცების დასაკვალიფიცირებლად 95-ე მუხლის მეორე ნაწილით საჭიროა, რომ დამნაშავეს ჰქონდეს ნასამართლობა ერთ-ერთი ზემოჩამოთვლილი სახის დანაშაულისათვის (ცხადია, ნასამართლობა არ უნდა იყოს მოხსნილი ან გაქარწყლებული), ამასთან მეორედ ჩადენილი დანაშაული წვრილმან გატაცებაში უნდა გამოიხატოს.

უკეთუ წვრილმანი გატაცება ადრეა ჩადენილი, ხოლო მის შემდეგ—რაიმე სხვა სახის დანაშაული სოციალისტური ან მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ, ეს უკანასკნელი შესაბამისად 91-ე და 150-ე მუხლების შენიშვნისა განმეორებით ჩადენილად არ ჩაითვლება და სასჯელი ასეთი დანაშაულისათვის დაინიშნება დამოუკიდებლად, სათანადო მუხლის საფუძველზე.

სასჯელი სს კოდექსის 95-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით ან ჯარიმა ას მანეთამდე.

სუბიექტი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი ვატაცებისა (რა ფორმითაც არ უნდა მოხდეს მისი ჩადენა) შეიძლება იყოს მხოლოდ 16 წლის ასაკს მიღწეული პირი.

3. **ჯარიმის გამოყენება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულებით „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 95[1]-ე მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 91[1], სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის ჯარიმის გამოყენება.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება ქურდობით (მუხლი 91), თაღლითობით (მუხლი 93), მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი თანამდებობის ბოროტად გამოყენების გზით (მუხლი 94), ჩადენილი პირველად და მცირე ოდენობით, თუ საქმის გარემოებათა მიხედვით და დამნაშავის პიროვნების მხედველობაში მიღებით გამოყენება მის მიმართ სასჯელის ზომისა, რაც გათვალისწინებულია აღნიშნულ მუხლებში, არ არის გამოწვეული აუცილებლობით,—ისჯება ჯარიმით გატაცებული ქონების ღირებულების სამმაგი ოდენობით“.

ზ. ყაჩაღობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების მიზნით. ყაჩაღობა, რომლისთვისაც პასუხისმგებლობას სს კოდექსის 96-ე მუხლი ითვალისწინებს, ყველაზე უფრო საშიში დანაშაულია სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ.

კანონი (სს კოდექსის 96-ე მუხ.) ყაჩაღობას განმარტავს როგორც თავდასხმას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუფლების მიზნით, რომელსაც თან ერთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა.

ყაჩაღობა ერთდროულად ხელყოფს ორ მნიშვნელოვან ობიექტს—სოციალისტურ საკუთრებასა და პიროვნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ობიექტური მხრივ ყაჩაღობა გამოიხატება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუფლების მიზნით თავდასხმაში, რასაც თან ერთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშია ისეთი ძალადობა, რასაც შეუძლია გამოიწვიოს დაზარალებულის სიკვდილი ან სხეულის დაზიანება ჯანმრთელობის მოშლით. დანაშაულის შედგენილობას ობიექტური მხრივ მოგვცემს არა მარტო აღნიშნული სახის ძალადობის ფაქტიურად გამოყენება, არამედ, აგრეთვე ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარაც.

ძალადობის გამოყენების მუქარა შეიძლება დაზარალებულისათვის ნათელი, თვალსაჩინო იყოს (მაგალითად, სიკვდილის მუქარის სიტყვებით წარმოთქმა), ასევე გამოხატული შენიღბულად, არასიტყვიერ ფორმაშიც, უკეთუ იგი ჩათვალა დაზარალებულმა, როგორც რეალური, ნამდვილად განსახორციელებელი.

ძალადობა (და მუქარა) შეიძლება გამოყენებულ იქნეს რო-

გორც სოციალისტური ქონების მფლობელის, გამგებელის თუ დამცველის მიმართ, ასევე ისეთი პირის მიმართაც, რომელიც თავისი საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნების გამო ხელს უშლიდა დამნაშავეს გაეტაცებინა სოციალისტური ქონება.

უკეთუ ქონების გატაცება არაძალადობითი საშუალებით (მაგალითად, ქურდობით) დაიწყო, მაგრამ შემდეგში დამნაშავემ დაზარალებულის წინააღმდეგობის გადასალახავად ისეთ ძალადობას მიმართა, რაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში იყო, ქმედობა დაკვალიფიცირდება, როგორც ყაჩაღობა.

ყაჩაღობა განსხვავდება გაძარცვისაგან ძალადობის ხასიათით. თუ ყაჩაღობისათვის აუცილებელია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა (ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა), გაძარცვისას გამოყენებული ძალადობა არ არის ასეთი საშიშროების შემცველი.

ქურდობისა და გაძარცვისაგან განსხვავებით ყაჩაღობის შედგენილობა დამთავრებულად ითვლება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით თავდასხმის მომენტიდან, თუნდაც დამნაშავემ მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერც მიაღწიოს სოციალისტური ქონების ფაქტიურად დაუფლებას.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი ყაჩაღობისა შეიძლება იყოს ყოველი პირი, მიღწეული 14 წლის ასაკს.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ განსახილველი დანაშაული განზრახია (პირდაპირი განზრახვა). დამნაშავის მიზანს შეადგენს, როგორც ეს კანონშია (სსკ 96-ე მუხ.) აღნიშნული—სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუფლება.

უკეთუ დამნაშავე თავს დაესხა მოქალაქეს ქონების დაუფლების მიზნით, ფიქრობს რა, რომ ქონება დაზარალებული პირის კუთვნილებას შეადგენს, მაგრამ სინამდვილეში ...სოციალისტური საკუთრება აღმოჩნდება, იგი პასუხს აგებს არა ყაჩაღობისათვის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების მიზნით, არამედ სს კოდექსის 152-ე მუხლით, როგორც ყაჩაღობა პირადი ქონების დაუფლების მიზნით.

ძალადობა ყაჩაღობისას ყოველთვის წარმოადგენს ქონების დაუფლების საშუალებას, ამიტომ, თუ ძალადობა სხვა მიზნით იყო გამოყენებული, მაგალითად, იმისათვის, რომ ქონების ფარულად გატაცების შემდეგ დამნაშავეს თავი დაეღწია დაკავებისაგან, რასაც მას უპირებდა ხელისუფლების წარმომადგენელი ან სხვა კერძო პირი, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს არა სს კოდექსის 96-ე მუხლით (ყაჩაღობა), არამედ, დანაშაულთა ერთობლიობით, სა-

ხელდობრ, კოდექსის იმ მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას ქურდობისათვის და ძალადობისათვის ხელისუფლების წარმომადგენლის ან მოქალაქის მიმართ. ასევე, უაჩაღობად არ ჩაითვლება, ისეთი შემთხვევა, როდესაც სოციალისტური ქონების დაუფლების სურვილი დამნაშავეს გაუჩნდება მას შემდეგ, რაც უკვე განახორციელა ძალადობა პირის მიმართ სხვა საბაბით. ღვინის სმის დროს პ. დანის დარტყმით სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა დაზარალებულ მ. ამის შემდეგ, პ. ისარგებლა რა მ-ს უგონო მდგომარეობით, ამოართვა მას ჯიბიდან კოლმეურნეობის კუთვნილი ფული. პ. ქმედობა დაკვალიფიცირდა როგორც სხეულის მძიმე დაზიანება და ქურდობა.

სასჯელი უაჩაღობისათვის დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე სს კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

იმავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს უაჩაღობას დამამძიმებელ გარემოებათა არსებობისას: სახელდობრ, თუ იგი ჩადენილია: 1. პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით; 2. სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებით; 3. განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ; 4. იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი უაჩაღობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით ან ბანდიტიზმი; 5. თუ ეს მოქმედება მიმართული იყო სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დიდი რაოდენობით დაუფლებაზე.[1]

ისეთი დამამძიმებელი გარემოება, როგორიცაა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმება, არაერთხელ იყო ზემოთ განმარტებული.

უაჩაღობა სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებით იმას ნიშნავს, რომ უაჩაღობას თან ერთვის დაზარალებულის სხეულის მძიმე დაზიანება, გათვალისწინებული სს კოდექსის 110-ე მუხლში. სხეულის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება (მოცემული 111-ე და 112-ე მ. მ.) დამამძიმებელ გარემოებად არ ჩაითვლება და უაჩაღობა ასეთი სახის დაზიანების მიყენებით დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 96-ე მუხლის I ნაწილით როგორც მარტივი სახის უაჩა-

---

[1] რსფსრ და თურქმენეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვით უაჩაღობის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია აგრეთვე მისი ჩადენა იარაღის გამოყენებით (იხ. შესაბამისად 91-ე მუხ. II ნაწ. და 92-ე მუხ. II ნაწ.). სხვა რესპუბლიკათა (მათ შორის საქ. სსრ) კოდექსების მიხედვით იარაღის გამოყენების შესაძლებლობა უაჩაღობისას თავისთავად იგულისხმება.

ღობა. უკეთუ ყაჩაღობას მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი, ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით სს კოდექსის 96-ე მუხ. II ნაწ. (ყაჩაღობა დამამძიმებელ გარემოებებში) და 104-ე მუხ. I პუნქტით (განზრახ მკვლელობა ანგარებით).

განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ცნება განმარტებულია სს კოდექსის 44-ე მუხლში. ყაჩაღობა ჩადენილი უნდა იყოს ისეთი პირის მიერ, რომელიც განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტადაა ცნობილი სასამართლოს მიერ ყაჩაღობის შესახებ საქმის განხილვამდე[1], და არა ამ საქმესთან დაკავშირებით.

ისეთი დამამძიმებელი გარემოება, როგორიცაა ყაჩაღობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ყაჩაღობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით ან ბანდიტიზმი, საკმაოდ ნათელია და განმარტებას არ საჭიროებს. უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ აქ ლაპარაკია განმეორებით ყაჩაღობაზე იმის მიუხედავად, იყო პირი გასამართლებული წინათ ჩადენილი ყაჩაღობისა ან ბანდიტიზმისათვის თუ არა.

დაბოლოს, ყაჩაღობა, მიმართული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დიდი რაოდენობით დაუფლებაზე, მდგომარეობს დამნაშავის განზრახვაში, დაუფლებოდა დიდი რაოდენობის ქონებას, ამასთან, დამნაშავისაგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ამ მიზნის მიუღწევლობას ქმედობის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ზემოჩამოთვლილი ერთ-ერთი გარემოების არსებობისას ყაჩაღობა დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 96-ე მუხლის მეორე ნაწილით, ამასთან საჭიროა კანონის შესაბამის პუნქტზე მითითება. შესაძლებელია დამნაშავის ქმედობაში არსებობდეს რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება, მაგალითად, ყაჩაღობა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით და სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებით. ასეთ შემთხვევაში მას უნდა შეეფარდოს აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილის 1 და 2 პუნქტები.

ყაჩაღობის ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშანი ემსგავსება ბანდიტიზმის შესაბამის ნიშნებს. ~~განსხვავება ამ ორ მძიმე დანაშაულს შორის განმარტებულია~~ ბანდიტიზმის შედგენილობის ანალიზისას (იხ. წინამდებარე ნაშრომის გვ. 69).

სასჯელი სს კოდექსის 96-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედ-

---

[1] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 3 ივლისის დადგენილება № 8 („საბჭოთა სამართალი", 1963, № 6, გვ. 60—62).

ვით--თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

თ. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცება. პასუხისმგებლობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისათვის, მიუხედავად გატაცების ხერხისა (91—94-ე და 96-ე მუხლები) გათვალისწინებულია სს კოდექსის 96'-ე მუხლში.

გატაცების დასაკვალიფიცირებლად აღნიშნული მუხლით მნიშვნელობა აქვს არა გატაცების ხერხს, საშუალებას (ე. ი. ქურდობით იქნება ის ჩადენილი, გაძარცვით, თაღლითობით, მითვისებაგაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, თუ უყაჩაღობით), არამედ გატაცებული ქონების დიდ ოდენობას. აღნიშნული კანონის შინაარსიდან უნდა დავასკვნათ, რომ უკეთუ განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქონება გატაცებულია ბანდიტური თავდასხმის გზით, ქმედობას შეეფარდება მხოლოდ 78-ე მუხლი (ბანდიტიზმი), თუ ადგილი აქვს მასზე უფლების მოპოვებას გამოძალვით—97-ე მუხლი.

თუ, სახელდობრ, რა ოდენობა ჩაითვლება განსაკუთრებით დიდად, ამას კანონი არ განსაზღვრავს; ამ საკითხის გადაწყვეტა ეკისრება ვამომკვლევ ორგანოსა და სასამართლოს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებათა მიხედვით (პირველ რიგში გატაცებული ქონების ღირებულების გათვალისწინებით).

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 მარტის დადგენილებაში განმარტებულია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქონება გატაცებული იყო სხვადასხვა ფორმით (საშუალებით) ჩადენილი რამდენიმე გატაცების შედეგად (მაგალითად, ნაწილი—ქურდობით, ნაწილი—თაღლითობით და ა. შ.) დამნაშავის პასუხისმგებლობა დადგება განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქონების გატაცებისათვის, სს კოდექსის 96'-ე მუხლის მიხედვით:

სასჯელი სს კოდექსის 96'-ე მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით ან სიკვდილით დასჯა ქონების კონფისკაციით.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს 16 წ. ასაკს მიღწეული პირი, ხოლო თუ ქონება გატაცებულია ქურდობით, გაძარცვით ან უყაჩაღობით—14 წ. მიღწეული.

§ 3. სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ანგარების მიზნით გატაცების ნიშნების გარეშე

ა. **სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გამოძალვა.** კანონი (სს კოდექსის 97-ე მუხლი) გამოძალვას განმარტავს, როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ან ქონებაზე უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მიღების მოთხოვნას ძალადობის გამოყენების მუქარით იმ პირის მიმართ, რომლის გამგებლობაში ან დაცვის ქვეშ იმყოფება ეს ქონება, ან მის ახლობელთა მიმართ ძალადობის გამოყენების, მასზე ან მის ახლობელთა შესახებ გამაწბილებელი ცნობების გახმაურების, აგრეთვე მათი ქონების საყოველთაოდ საშიში საშუალებით განადგურების მუქარით[1].

აღსანიშნავია, რომ გამოძალვა, თუმცა ზიანს აყენებს სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, გატაცებად არ ჩაითვლება. საქმე ის არის, რომ გამოძალვისას დამნაშავე ქონების სოციალისტური ფონდებიდან ამოღებას აწარმოებს არა უშუალოდ, არამედ მან გადასცემენ მისი მოთხოვნით სხვა ისეთი პირები, რომელთა გამგებლობაში ან დაცვის ქვეშ იმყოფება ქონება. მაშასადამე, გამოძალვა წარმოადგენს სოციალისტური ქონებიდან მატერიალური გამორჩენის მიღების საშუალებას და არა გატაცებას.

გამოძალვის ო ბ ი ე ქ ტ ი ა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრება, ამასთან ერთად ცალკეული პიროვნებაც. საგანი ხელყოფისა ამ შემთხვევაში უფრო ფართოა, ვიდრე გატაცების დროს, რამდენადაც ქონებასთან ერთად ხელყოფის საგანი შეიძლება იყოს ქონებაზე უფლებაც, ქონებრივი სარგებლობის მიღებაც.

ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული გამოიხატება ისეთი მოქმედების განხორციელებაში, რაც მიმართულია იქითკენ, რომ იძულებული გახდეს პირი გადასცეს დამნაშავეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება ან უფლება ამ ქონებაზე (მაგ., უკანონოდ დაენიშნოს პენსია, მიეცეს ჯილდო და ა. შ.). მოთხოვნა ქონების (ან ქონებაზე უფლების) გადაცემის შესახებ შეიძლება მიმართული იყოს როგორც იმ პირის მიმართ, რომლის გამგებლობაში ეს ქონება იმყოფება (მაგალითად, საწყობის გამგის), ასევე იმ პირის მიმართ, რომელიც ამ ქონებას იცავს (მაგალითად, საწყობის დარაჯის). აღნიშნული სახის მოთხოვნა გამოძალვისას ყოველთვის დაკავშირებულია ძალადობის გამოყენების მუქარასთან იმ პირის

---

[1] ამ დანაშაულის შედგენილობა უცნობია უკრაინის, უზბეკეთისა და ყირგიზეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსებისათვის.

მიმართ, რომლის გამგებლობაში ან დაცვის ქვეშ იმყოფება ქონება ან მის ახლობელთა მიმართ[1]. მუქარის შინაარსი შეიძლება გამოიხატოს მოკვლის, სხეულის დაზიანებისა და სხვა ძალადობის მუქარაში.

გამოძალვის საშუალებას წარმოადგენს აგრეთვე დასახელებულ პირთა მიმართ იმის მუქარა, რომ გახმაურებულ იქნება მათ შესახებ გამაწბილებელი ცნობები (ე. წ. შანტაჟი). გამაწბილებელი იქნება ყოველი სახის ცნობა (იმისდა მიუხედავად, შეესაბამება იგი სინამდვილეს თუ—არა), რაც სახელს უტეხს ადამიანის პატივსა და ღირსებას და რომლის გახმაურებაც არ სურს დაზარალებულს.

დაბოლოს, გამოძალვის საშუალებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირის მიმართ, რომლის გამგებლობაში ან დაცვის ქვეშ ქონება იმყოფება, ან მის ახლობელთა მიმართ მუქარა, რომ განადგურებული იქნება მათი ქონება საყოველთაო საშიში ხერხით. ქონების განადგურების საყოველთაო საშიშ ხერხად ჩაითვლება ცეცხლის წაკიდება, აფეთქება, წყლის მიშვება და ა. შ. (აღსანიშნავია, რომ რსფსრ, ბელორუსიის, უკრაინისა და მთელ რიგ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვით ამდაგვარი მუქარა უნდა მდგომარეობდეს საერთოდ ქონების განადგურებაში, იმაზე მიუთითებლად, საყოველთაო საშიში საშუალებით იქნება ეს განხორციელებული თუ—არა).

მუქარა, როგორც გამოძალვის საშუალება, რაშიც არ უნდა გამოიხატოს ის (ე. ი. ძალადობის გამოყენების, გამაწბილებელი ცნობების გახმაურების თუ ქონების განადგურების), ყოველთვის რეალური უნდა იყოს, დაზარალებულის ნამდვილად მაიძულებელ პირობად უნდა გახდეს.

გამოძალვა დამთავრებულად ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ან ქონებაზე უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მიღების შესახებ (ძალადობის გამოყენების მუქარით, გამაწბილებელი ცნობების გახმაურების ან ქონების საყოველთაო საშიში საშუალებით განადგურების მუქარით) მოთხოვნის წარდგენის მომენტიდან. მაშასადამე, ამისათვის არ არის საჭალდებულო ქონების (ქონებაზე უფლების, ქონებრივი სარგებლობის) ფაქტიურად გადასვლა დამნაშავის ხელში.

---

[1] „ახლობელი" ამ შემთხვევაში ნიშნავს არა მარტო ახლო ნათესავს (მშობელს, შვილს, ძმას, დას, აგრეთვე მეუღლეს და ა. შ.), არამედ დაზარალებულთან ახლო ურთიერთობაში მყოფ სხვა ისეთ პირებსაც, რომელთა მიმართ ძალადობის მუქარას შეუძლია აიძულოს პირი გადასცეს დამნაშავეს ქონება ან უფლება ქონებაზე.

უკეთუ მუქარა სისრულეში იქნა მოყვანილი, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, ე. ი. გამოძალვით და აგრეთვე იმ სახის დანაშაულით, რაც განხორციელებულია დამნაშავის მიერ (მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ცილისწამება, ქონების განადგურება).

ძალადობის გამოყენების მუქარას ადგილი აქვს როგორც გამოძალვის, ასევე გაძარცვის და ყაჩაღობის დროსაც. ~~ამ მხრივ~~ განსხვავება გამოძალვასა, ერთი მხრივ, და გაძარცვასა და ყაჩაღობას შორის, მეორე მხრივ, შემდეგში მდგომარეობს. მუქარა ძალადობის გამოყენებისა გაძარცვის და ყაჩაღობის დროს გამიზნულია ქონების გადაცემის შესახებ დამნაშავის მოთხოვნისათვის დაზარალებულის წინააღმდეგობის დასაძლევად; უკეთუ ასეთი მოთხოვნა არ შესრულდა და დაზარალებულმა წინააღმდეგობა დაიპირა, დამნაშავეს მუქარა უმალვე მოყავს სისრულეში იმ მიზნით, რომ მიაღწიოს დაზარალებულის ქონების დაუფლებას. გამოძალვის დროს კ ძალადობის მუქარა, მართალია, ისევე როგორც გაძარცვისა და ყაჩაღობისას, ქონების დაუფლების საშუალებას წარმოადგენს, მაგრამ იგი მიმართულია მომავლისათვის, გამოყენებული იქნება შემდეგში, უკეთუ დამნაშავის მოთხოვნა არ შესრულდება.

გამოძალვის მიზნით ძალადობის გამოყენების მუქარისას დაზარალებულს შეუძლია თავისი ქონებრივი ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ინტერესებისათვის რაიმე ზიანის მიუყენებლად, მიიღოს შესაბამისი ზომები (ხელისუფლების სათანადო ორგანოში განცხადებით და ა. შ.) დამნაშავის წინააღმდეგ, რა საშუალებასაც იგი მოკლებულია, მაგალითად, ყაჩაღობის დროს.

აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ მუქარა ძალადობის გამოყენებისა თავისი ბუნებით უფრო საშიშია გაძარცვისა და ყაჩაღობის დროს, ვიდრე ასეთივე მუქარა გამოძალვის დროს.

განსხვავება ყაჩაღობასა და გამოძალვას შორის იმაშიც მდგომარეობს, რომ თუ ხელყოფის საგანს ყაჩაღობის დროს წარმოადგენს მხოლოდ ქონება (მატერიალური საგანი), გამოძალვისას ხელყოფის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე ქონებაზე უფლება, ქონებრივი სარგებლობა.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი გამოძალვისა შეიძლება იყოს 16 წლის ასაკს მიღწეული კერძო პირი.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ე დანაშაული განზრახია, ამასთან დამნაშავეს ახასიათებს სპეციალური მიზანი—სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ან ქონებაზე უფლების ან ქონებრივი სარგებლობის მიღება.

სასჯელი სს კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით გამოძალვისათვის დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე—თავისუფლების აღკვეთა ვადით ოთხ წლამდე.

იმავე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებულია გამოძალვის კვალიფიციური სახეები. დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია გამოძალვის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან განმეორებით[1].

აღნიშნული სახის დამამძიმებელი გარემოებანი განმარტებულია ზემოთ სხვა სახის ქონებრივ დანაშაულთა ანალიზისას. რაც შეეხება გამოძალვას განმეორებით, ეს ნიშნავს ადრე კვლავ გამოძალვის და არა სხვა ქონებრივი დანაშაულის (მაგალითად, ქურდობის ან გაძარცვის) ჩადენის ფაქტს, იმისდა მიუხედავად, გასამართლებული იყო წინათ დამნაშავე პირველად ჩადენილი გამოძალვისათვის, თუ—არა.

სასჯელი 97-ე მუხლის მეორე ნაწილით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვს წლამდე.

ბ. ქონებრივი სარგებლობის მიღება მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით. ობიექტი ამ დანაშაულისა, რასაც სს კოდექსის 98-ე მუხლი ითვალისწინებს, არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრება, სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის, როგორც ქონების მესაკუთრის, ინტერესები.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება გატაცების ნიშნების გარეშე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების საზიანოდ ქონებრივი სარგებლობის მიღებაში მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით.

მოტყუება და ნდობის ბოროტად გამოყენება გაგებული უნდა იქნეს ისევე, როგორც ქონების თაღლითობით გატაცებისას, მაგრამ, თაღლითობისაგან განსხვავებით, დამნაშავე მას მიმართავს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების არა გასატაცებლად, არამედ ამ ქონების საზიანოდ რაიმე ქონებრივი სარგებლობის მისაღებად. ასეთი სარგებლობა უნდა მიეღო სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომ დამნაშავის მოქმედებას ხელი არ შეეშალა.

ასე, მაგალითად, ავტომანქანის მძღოლი, ბოროტად იყენებს რა მისთვის გამოცხადებულ ნდობას, თავისუფალ დროს დაწესებულება-ორგანიზაციის კუთვნილი მანქანით ეწევა ადამიანებისა და ტვირთის

---

[1] აღსანიშნავია, რომ სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსებისათვის უცნობია გამოძალვის კვალიფიციური სახე, მისი ჩადენა დამამძიმებელ გარემოებათა არსებობისას.

გადაზიდვას, ხოლო აღებულ გასამრჯელოს ითვისებს[1], ან კიდევ, კინოს გამგე ჰყიდის საფინანსო ორგანოების რეგისტრაციაში გაუტარებელ ბილეთებს და მით ღებულობს მატერიალურ სარგებლობას.

ასეთივე დანაშაულად ჩაითვლება სახლის მყიდველისა და გამყიდველის მოქმედება, რაც იმაში გამოიხატა, რომ ნაცვლად ფაქტიურად დადებული გარიგების თანხიდან გარკვეული გადასახადის ხაზინაში შეტანისა, ნასყიდობის ხელშეკრულებაში მათ უჩვენეს სახლის შემცირებული ღირებულება, და ასევე შემცირებული ოდენობის გადასახადის შეტანით მიიღეს ქონებრივი გამორჩენა, ხოლო სახელმწიფოს მოტყუებით მიაყენეს ზიანი. შემდეგ, მატარებლის გამცილებლის მიერ უბილეთოდ მგზავრისაგან ფულის მიღება და მითვისება და სხვ.

მაშასადამე, განსახილველი დანაშაული განსხვავდება ქონების გატაცებისაგან იმით, რომ დამნაშავე არ აწარმოებს ქონების ამოღებას სოციალისტური ფონდებიდან, არამედ მდიდრდება სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ქონებრივი ზიანის მიყენებით მათი ქონებრივი ფონდის შეუმცირებლად[2].

ს უ ბ ი ე ქ ტ ი განსახილველი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი 16 წლის ასაკიდან. უკეთუ მოტყუება ან ნდობის ბოროტად გამოყენება დაკავშირებულია პირის მიერ თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან, მან პასუხი უნდა აგოს სს კოდექსის 186-ე მუხლით (ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დ ა ნ ა შ ა უ ლ ი განზრახია. მიზანი— ქონებრივი სარგებლობის მიღება. ამ მიზნის მიღწევა მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით შეუძლებელია პირდაპირი განზრახვის არსებობის გარეშე.

სასჯელი სს კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილით დანაშაუ-

---

[1] ასეთი ქმედობის უმნიშვნელო, არაბოროტული ხასიათის, შემთხვევაში დამნაშავეს, შესაბამისად საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წ. 25 ნოემბრის მრძანებულებისა „ნასვამ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისათვის და მოძრაობის უსაშიშროების და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების სხვა დარღვევისათვის ავტო-მოტოტრანსპორტის მძღოლთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ", ჩამოერთმევა მილიციის ორგანოების მიერ ტრანსპორტის მართვის უფლება ექვს თვემდე ვადით.

[2] იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 13 ივლისის № 8 დადგენილება „გატაცების ნიშნების გარეშე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების საზიანოდ მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით ქონებრივი სარგებლობის მიღების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ".

ლისათვის დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე—თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე. ან გამასწორებელი სამუშაოები ერთ წლამდე.

იგივე ქმედობა დამამძიმებელ გარემოებებში, სახელდობრ, თუ მან დიდი ზიანი გამოიწვია ან ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან განმეორებით,[1] იმავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.[2]

გ. ნაპოვნი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მითვისება. პირი, რომელიც იპოვნის სხვის ნივთს ან ფულს ვალდებულია (სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით) აცნობოს ამის შესახებ მის დამკარგველს და დაუბრუნოს ამ უკანასკნელს იგი, ანდა ჩააბაროს მილიციას ან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს. მპოვნელს უფლება აქვს მიიღოს ნივთის დამკარგველისაგან ნივთის შენახვასთან და ჩაბარებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. სახელმწიფოს კუთვნილი ქონების (ისევე როგორც მოქალაქეთა პირადი საკუთრების) პოვნის შემთხვევაში მპოვნელისათვის სხვა სახის გასამრჯელოს მიცემა კანონით არ არის გათვალისწინებული. ფამონაკლისია დაშვებული მხოლოდ განძის აღმოჩენის შემთხვევაში. განძი ნიშნავს მიწაში ჩაფლულ ან სხვაგვარად დამალულ ფულს (ოქროსა და ვერცხლის ფულს, საბჭოთა და უცხოეთის ვალუტას) ან ძვირფას საგნებს (ძვირფასი ქვები, მარგალიტი, ძვირფასი ლითონის ზოდი ნაკეთობად და ნამტვრევად), რომელთა მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია ან კანონის ძალით დაკარგა მათზე უფლება. განძი გადადის სახელმწიფო საკუთრებაში და მისმა აღმომჩენმა პირმა იგი უნდა ჩააბაროს საფინანსო ორგანოებს. ასეთი განძის აღმომჩენ და საფინანსო ორგანოებისათვის ჩამბარებელ პირს მიეცემა გასამრჯელო ჩაბარებულ ფასეულობათა ღირებულების 25% ოდენობით. გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთ ფასეულობათა აღმოჩენის მიზნით გათხრა და ძებნა შედიოდა ამ პირის სამსახურებრივ მოვალეობაში (იხ. საქ. სსრ 1964 წ. რედ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 139-ე, 141-ე და 143-ე მუხლები).

სს კოდექსის 99-ე მუხლში დაწესებულია პასუხისმგებლობა წი-

---

[1] განმეორება ნიშნავს წინათ ასეთივე დანაშაულის ჩადენის ფაქტის არსებობას იმისდა მიუხედავად, გასამართლებული იყო ამისათვის დამნაშავე თუ—არა.

[2] დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებს მეტი წილი მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობისა არ ითვალისწინებს. მხოლოდ აზერბაიჯანის სს კოდექსის 90-ე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია ანალოგიური ქმედობა ჩადენილი განმეორებით ან რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და სომხეთის სსრ სს კოდექსის 93-ე მუხლის მეორე ნაწილში—უკეთუ ქმედობამ დიდი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

ნასწარი შეცნობით მხოლოდ სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის კუთვნილი ნაპოვნი ძვირფასი ქონების[1] ან დამნაშავის ხელში შემთხვევით მოხვედრილი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის კუთვნილი განძის, აგრეთვე ისტორიული მნიშვნელობის ქონების მითვისებისათვის.

ობიექტი განსახილველი დანაშაულისა არის სოციალისტური საკუთრება.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის კუთვნილი ნაპოვნი ქონების ან დამნაშავის ხელში შემთხვევით მოხვედრილი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის კუთვნილი განძის, აგრეთვე ისტორიული მნიშვნელობის ქონების მითვისებაში. მითვისება ნიშნავს ანგარებითი მიზნით ქონების დაუფლებას და განკარგვას როგორც საკუთარის, ხოლო ნაპოვნი იქნება ქონება, ამა თუ იმ გარემოებათა გამო, შემთხვევით გამოსული სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მფლობელობიდან მისი სურვილის გარეშე (მაგალითად, გადაზიდვის დროს მანქანიდან გადავარდნილი საქონლით სავსე ყუთი). მფლობელობიდან გამოსულად ვერ ჩაითვლება ქონება, დატოვებული განსაზღვრულ ადგილზე თუნდაც დაცვის გარეშე (მაგალითად, ქონება გზისპირას დატოვებული იმის გამო, რომ დაზიანდა მისი გადასაზიდი მანქანა ან ოთხთვალა) ან საწარმოო-დაწესებულების შემორაგულ ტერიტორიაზე, აგრეთვე დამნაშავის ეზოში შემთხვევით შესული საზოგადოებრივი პირუტყვი. ასეთი ქონება ვერ ჩაითვლება „ნაპოვნად", ხოლო მისი დაუფლება განხილული უნდა იყოს როგორც ქურდობა.

დამნაშავის ხელში შემთხვევით მოხვედრილად ჩაითვლება ქონება დამნაშავის მფლობელობაში გადასული სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლის-მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად. მაგ., დამნაშავისათვის ხელფასის ან შემნახველი სალაროდან ანაბრის მიღებისას შეცდომით ზედმეტად გაცემული თანხის მითვისება. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ უკეთუ დამნაშავემ იცოდა, რომ მას აძლევენ კუთვნილზე მეტ თანხას, მაგრამ გაჩუმდა და არაფერი თქვა ამის შესახებ, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ქონების გატაცება თაღლითობით, რამდენადაც

[1] ძვირფასად ჩაითვლება ნივთი, რომელსაც მნიშვნელოვანი მატერიალური ღირებულება აქვს. ამიტომ ამ დანაშაულის საგნად არ შეიძლება ჩაითვალოს რამდენიმე ცალი აგური, გადმოცვენილი ავტომანქანიდან გადაზიდვის დროს და სხვა ამგვარი მცირე ღირებულების ქონება.

მოტყუების ცნება გულისხმობს აგრეთვე ისეთი ცნობის დაფარვას, რომლის განცხადებაც სავალდებულო იყო.

სახელმწიფოს კუთვნილი განძის (ისტორიული მნიშვნელობის ქონების) მითვისების ნიმუშს წარმოადგენს საქმე მოქ. ე.-ს ბრალდების შესახებ. 1958 წლის 3 ოქტომბერს სოფ. ჩიბათში (ლანჩხუთის რაიონი) ბავშვების მიერ ე-ს ეზოში თამაშობის დროს ნაპოვნი იქნა მიწაში ჩაფლული ქილა ავსილი VI—VII სს. ბიზანტიური ოქროს მონეტებით. ისტორიული მნიშვნელობის აღნიშნული განძი მოქ. ე-მ მითვისა, მისი ნაწილი მიჰყიდა ერთ-ერთ კერძო მოქალაქეს, რომელმაც ოქროს მონეტები გადაადნო ზოდებად.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი პირი 16 წლის ასაკიდან.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ განსახილველი დანაშაული განზრახია, ხოლო დამნაშავის მიზანია ანგარება. კანონში (სს კოდექსის 99-ე მუხლში) პირდაპირ არის მითითებული აღნიშნული ქონების თუ განძის მითვისებაზე „წინასწარი შეცნობით", რაც იმას ნიშნავს, რომ დამნაშავისათვის ნამდვილად ცნობილია ვის ეკუთვნის ქონება—სახელმწიფოს თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას. თუ პირი ფიქრობდა, რომ მითვისებული ქონება ვისიმე პირად საკუთრებას შეადგენს, განსახილველი დანაშაულის შედგენილობა არ იქნება (და საერთოდ პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, რამდენადაც მოქალაქეთა კუთვნილი ნაპოვნი ქონების მითვისებისათვის დასჯადობას მოქმედი კანონმდებლობა არ აწესებს).

99-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დამახასიათებელია, რომ ანგარების მიზანი წარმოიშობა მხოლოდ ქონების დაუფლების შემდეგ და არა მანამდე (უკანასკნელ შემთხვევაში ქმედობა განიხილება სოციალისტური ქონების გატაცებად თაღლითობით).

სასჯელი სს კოდექსის 99-ე მუხლის ძალით—თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით ან ჯარიმა ას მანეთამდე.

§ 8. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება ან დაზიანება

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრებისათვის ზიანის მიყენება შეიძლება არა მარტო საკუთრების უშუალო გატაცებით ან მისი გამოყენებით პირადი გამორჩენისათვის, არამედ აგრეთვე ქონების განადგურებითა და დაზიანებით.

ამიტომ არის, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლო-

ბა საზოგადოებრივ საშიშად, ე. ი. დანაშაულად თვლის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურებას ან დაზიანებას როგორც განზრახ, ასევე გარკვეულ პირობებში გაუფრთხილებლობითაც.

ა. სს კოდექსის მე-100 მუხლი ითვალისწინებს **სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურებას ან დაზიანებას განზრახ, ხოლო 101-ე მუხლი—გაუფრთხილებლობით.**

ამ დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკუთრება (ადამიანთა მსხვერპლის დროს, აგრეთვე მოქალაქეთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა), ხოლო ხელყოფის საგანს—ყოველი სახის ქონება (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის კუთვნილი), მათ შორის ტყის მასივებიც, უკეთუ იგი განადგურებულია ან დაზიანებული ცეცხლის წაკიდებით, ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან დაუდევარი მოპყრობის შედეგად. გატაცებისაგან განსხვავებით განსახილველი დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს ისეთი ქონებაც, რომლის გატაცება ქურდობით, გაძარცვით და ა. შ. შეუძლებელია (მაგ., შენობა და ა. შ.).

ობიექტური მხარე დანაშაულისა გამოიხატება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურებაში ან დაზიანებაში. განადგურება ნიშნავს ქონებისადმი ისეთ მოპყრობას, რომლის შედეგადაც იგი კარგავს თავის სამეურნეო ღირებულებას და თავისი პირვანდელი სახით ვერ იქნება აღდგენილი (მაგალითად, დაინგრა, დაიწვა, დაიმსხვრა და ა. შ.), ხოლო დაზიანება—ისეთ მოპყრობას, რომლის შედეგადაც ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ ვერ აკმაყოფილებს თავის დანიშნულებას, მაგრამ მისი აღდგენა შესაძლებელია გარკვეული შრომის გაწევისა და სახსრების გახარჯვის შედეგად.

დანაშაული, როგორც წესი, ხასიათდება აქტიური მოქმედებით. მაგრამ არ არის გამორიცხული უმოქმედობაც (მაგ., დამნაშავე განზრახ არ მიიღებს შესაბამის ზომებს მისთვის შესანახად ჩაბარებული ქონების მოვლისათვის, რის შედეგადაც ქონება განადგურდება ან დაზიანდება).

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი პირი 16 წელს მიღწეული, ხოლო ქონების განზრახი განადგურებისა დამამძიმებელ გარემოებებში (რასაც სს კოდექსის მე-100 მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს) — 14 წლის ასაკიდან.

სუბიექტური მხრივ ქონების განადგურება ან დაზიანება შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ (სს კოდექსის მე-100 მუხ.), ასევე გაუფრთხილებლობით (101-ე მუხ.).

უკეთუ დამნაშავე ანტისაბჭოთა მიზნით მოქმედებს, ქმედობა დაკვალიფიცირდება 69-ე მუხლით (დივერსია).

სს კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის ძალით სასჯელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურებისა ან დაზიანებისათვის—თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე.

იმავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურებას ან დაზიანებას დამამძიმებელ გარემოებებში. სახელდობრ თუ ქმედობა ჩადენილია ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, ან თუ მას ადამიანთა მსხვერპლი ან მნიშვნელოვანი ზარალი მოჰყვა, აგრეთვე ტყის მასივების განზრახ განადგურება ან მნიშვნელოვანი დაზიანება ცეცხლის წაკიდებით.

ცეცხლის წაკიდებასთან ერთად კანონში მითითებული „სხვა საყოველთაოდ საშიშ საშუალებად" ჩაითვლება აფეთქება, წყლით წალეკვა და სხვა ისეთი საშუალებანი, რაც იწვევს დიდი ძალის ხვრევას.

ადამიანთა მსხვერპლი ნიშნავს თუნდაც ერთი ადამიანის დაღუპვას ან მისი სხეულის მძიმე თუ ნაკლებად მძიმე დაზიანებას ქონების განადგურების ან დაზიანების შედეგად[1], ხოლო მნიშვნელოვანი ზარალი—ასეთივე ქმედობის შედეგად დიდი სამეურნეო მნიშვნელობის მქონე ძვირფასი ქონების წყობიდან გამოყვანას.

დასასრულ, დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებად ადამიანის შრომით შექმნილი ქონების გარდა, მიჩნეულია აგრეთვე ბუნების ისეთი სიმდიდრის განზრახ განადგურება ან მნიშვნელოვანი დაზიანება ცეცხლის წაკიდებით, როგორიცაა ტყის მასივები. განადგურება ტყის მასივებისა ნიშნავს განსაზღვრული ტყის დიდი ნაკვეთის გადაწვას და ამით ამ ხაკვეთის თავის დანიშნულებისამებრ გამოყენების შეუძლებლობას, ხოლო მნიშვნელოვანი დაზიანება—ასეთივე ნაკვეთის იმგვარ მდგომარეობაში ჩაყენებას ცეცხლის წაკიდებით, რომ მან მნიშვნელოვნად დაკარგა თავისი დანიშნულების ხარისხი.

სასჯელი სს კოდექსის მე-100 მუხლის მეორე ნაწილით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან რვა წლამდე.

სს კოდექსის 101-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფო ან საზო-

---

[1] ასეთი შედეგის მიმართ დამნაშავის ბრალი გაუფრთხილებელი უნდა იყოს; უკეთუ იგი დამნაშავის მიზანს წარმოადგენდა და სოციალისტური ქონების განადგურება ან დაზიანება ამ მიზნის მიღწევის საშუალებად გამოიყენა, მაშინ ქმედობა დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება (ე. ი. მე-100 მუხლით და საქმის გარემოებათა მიხედვით 104-ე, 110-ე ან 111-ე მ. მ.).

გადოებრივი ქონების განადგურება ან დაზიანება გაუფრთხილებლობით მხოლოდ მაშინ არის სისხლის სამართლის წესით დასჯადი, თუ იგი ჩადენილია ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, ან თუ მას მოჰყვა ადამიანთა უბედური შემთხვევა ან სხვა მძიმე შედეგები, აგრეთვე ტყის მასივის განადგურება ან საგრძნობი დაზიანება ცეცხლთან ან მომატებული საფრთხის წყაროსთან დაუდევარი მოპყრობის შედეგად.

სხვა პირობებში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება თუ დაზიანება გაუფრთხილებლობით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ იწვევს (მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სამოქალაქო წესით).

კანონში (101-ე მუხ.) მითითებული „სხვა მძიმე შედეგებად" ჩაითვლება, მაგალითად, საწარმოს მუშაობის ხანგრძლივად შეფერხება, მრავალ ადამიანთა უბინაოდ დატოვება და ა. შ.

ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობა შეიძლება გამოიხატოს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაუცველობაში, მაგალითად, ტყეში გაჩაღებული კოცონის უმეთვალყუროდ დატოვებაში და ა. შ. „მომატებული საფრთხის წყაროდ" განიხილება, მაგალითად, სხვადასხვა ძრავები, მანქანები, ასაფეთქებელი ნივთიერებანი, ელექტროსადენი, რომელთანაც დაუდევარ მოპყრობას შეიძლება მოჰყვეს ხანძარი ტყეში, ტყის მასივების განადგურება ან საგრძნობი დაზიანება.

სასჯელი 101-ე მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე.

ბ. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენება ან შენახვა გათვალისწინებულია სს კოდექსის 102[1]-ე მუხლში.

განსახილველი დანაშაულის საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიმართ უყაირათობის გამოჩენას, მისდამი უსულგულო დამოკიდებულებას შეიძლება მოჰყვეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის შეფერხება და საბოლოო ჯამში სოციალისტური საკუთრებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება.

დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება. მისი საგანია საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო ან კოოპერაციული ორგანიზაციების (მაგალითად, ინსტიტუტის სასწავლო მეურნეობის, საწარმოს დამხმარე მეურნეობის და ა. შ.) კუთვნილი ტრაქტორები, ავტომანქანები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანები ამ დანაშაულის

საგანს არ წარმოადგენს. მათზე სს კოდექსის 102[1]-ე მუხლის მოქმედება არ გავრცელდება.

ობიექტურიმხრივ დანაშაული გამოიხატება ზემოჩამოთვლილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების დანაშაულებრივ-დაუდევარ გამოყენებაში, ან შენახვაში, რასაც მოჰყვა მათი გაფუჭება ან დამტვრევა, აგრეთვე ამ მანქანების კომპლექტის დაშლაში.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენება მდგომარეობს მანქანების ექსპლოატაციისა და მოძრაობის წესების უხეშ დარღვევაში, ხოლო დანაშაულებრივ-დაუდევარი შენახვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა გამოიხატება შესაბამისი წესებით გათვალისწინებული ზომების მიუღებლობაში მანქანებისა და ცალკეული მექანიზმების სათანადო მზადყოფნისათვის (ზამთარში ტექნიკის დატოვება ღია ცის ქვეშ და ა. შ.), ე. ი. მათ მოუვლელობაში.

აღნიშნული მოქმედება მხოლოდ მაშინ გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, უკეთუ მას შედეგად მოჰყვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გაფუჭება, დამტვრევა, ან ამ მანქანების კომპლექტის დაშლა.

მანქანის კომპლექტის დაშლა ნიშნავს მანქანისათვის სამეურნეო საჭიროების გარეშე ცალკეული ნაწილების, დეტალების მოხსნას მათი სხვა მანქანაზე გამოსაყენებლად ან სხვაგვარი დანიშნულებისათვის მოსახმარად. თუ ნაწილები ან დეტალები მოხსნილია ანგარებითი მოტივით (მაგ., გასაყიდად), დამნაშავე პასუხს აგებს სოციალისტური ქონების გატაცებისათვის.

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი პირი 16 წლის ასაკიდან, რომელიც პასუხისმგებელია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებისა და შენახვისათვის (როგორც თანამდებობის პირი, ასევე სასოფლო-სამეურნეო საწარმოს რიგითი მომუშაე, მაგალითად, ტრაქტორისტი, შოფერი, მექანიზატორი და სხვ.).

სუბიექტურიმხრივ განსახილველი დანაშაული შეიძლება ჩასიათდებოდეს როგორც განზრახი (არაპირდაპირი სახით), ასევე გაუფრთხილებელი ბრალით.

ცნება—მანქანებისადმი დანაშაულებრივ-დაუდევარი დამოკიდებულება ამ შემთხვევაში მოიცავს როგორც იმ პირის ქმედობას, რომელმაც დაუდევრობით მიატოვა მანქანა მინდვრად და მისი არსებობა მხოლოდ შემდეგი წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმოებისას გაიხსენა (გაუფრთხილებელი ბრალი), ასევე იმ პირის ქმედობას, რომელმაც განკარგულება გასცა მანქანის კომპლექტის დაშლაზე (განზრახი ბრალი).

სს კოდექსის 102¹-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით დანაშაული დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით.

ამავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულის კვალიფიციურ სახეს. დამამძიმებელ გარემოებად ითვლება იგივე ქმედობა, ჩადენილი არაერთგზის ან თუ მას მოჰყვა დიდი ზარალი.

არაერთგზის ქმედობის ჩადენა ნიშნავს დამნაშავე პირის მიერ სასოფლო-სამეურნეო მანქანების დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენების ან შენახვის, აგრეთვე ამ მანქანების კომპლექტის დაშლის ორ და მეტ შემთხვევას (კანონში გათვალისწინებული შედეგის დადგომით), ხოლო საკითხი იმის შესახებ, ქმედობამ დიდი ზარალი გამოიწვია თუ არა, გადაწყდება ყოველ კონკრეტულ საქმეზე საგამომძიებლო ორგანოსა და სასამართლოს მიერ, მწყობრიდან გამოსული მანქანის ღირებულებისა და მისი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის გათვალისწინებით.

სასჯელი 102¹-ე მუხლის მეორე ნაწილით—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე.

§ 4. დანაშაულებრივ-დაუდევარი დამოკიდებულება სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი

სოციალისტური საკუთრების ჯეროვნად დაცვის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მიზეზების წინასწარ აცილებას, რაც ზოგჯერ განაპირობებს ამ ქონების გატაცებას თუ გაფუჭებას. ამ მიზეზთა შორის პრაქტიკაში არცთუ იშვიათია აღნიშნული ქონების დაცვისა ან გადაზიდვის დროს დანაშაულებრივ-დაუდევარი დამოკიდებულება დაკისრებული მოვალეობისადმი.

სს კოდექსის 102-ე მუხლი საზოგადოებრივ საშიშ ქმედობად თვლის იმ არათანამდებობის პირის დანაშაულებრივ-დაუდევარ დამოკიდებულებას თავისი მოვალეობისადმი, რომელსაც მინდობილი აქვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაცვა ან გადაზიდვა, თუ მას მოჰყვა ამ ქონების დიდი ოდენობით დატაცება, დაზიანება, გაფუჭება ან დაღუპვა.

განსახილველი დანაშაულის ობიექტია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება.

ობიექტური მხრივ დანაშაული მდგომარეობს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაცვისადმი დაუდეევარ დამოკიდებულებაში, რასაც მოჰყვა ამ ქონების დიდი ოდენობით დატაცება,

დაზიანება, გაფუჭება ან დაღუპვა. მინდობილი მოვალეობისადმი დაუდევარი, არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება კონკრეტულად შეიძლება გამოიხატოს დასაცავ ობიექტზე პირის გამოუცხადებლობაში ან მის ვადაზე ადრე მიტოვებაში, დაცვის დროს ძილში, უყურადღებობის გამოჩენასა და სხვა საქმიანობით გართობაში და ა. შ.

102-ე მუხლით პასუხისგებაში მისაცემად აუცილებელია იმის დადგენა, რომ ქონების დაცვისადმი დაუდევარ დამოკიდებულებას შედეგად მოჰყვა ამ ქონების დიდი ოდენობით გატაცება, დაზიანება, გაფუჭება ან დაღუპვა, და რომ არსებობს მიზეზობრივი კავშირი ასეთ შედეგსა და დამნაშავის ქმედობას შორის (მაგალითად, იმის გამო, რომ დარაჯმა დატოვა რა ღამით დაცვის გარეშე მაღაზია და წავიდა შინ, ბოროტმოქმედებმა გაქურდეს იგი და გაიტაცეს დიდი ოდენობის ქონება).

ს უ ბ ი ე ქ ტ ი განსახილველი დანაშაულისა შეიძლება იყოს 16 წლის ასაკს მიღწეული ყოველი პირი, რომელსაც მინდობილი აქვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაცვა ან გადაზიდვა შრომითი ხელშეკრულებით (მაგალითად, საწყობის ან მაღაზიის დარაჯი, ქარხნის მცველი და ა. შ.), არტელის წევრობის გამო (საკოლმეურნეო ქონების დარაჯი, მწყემსი, ქონების გადამზიდავი და ა. შ.) ან დაწესებულება-ორგანიზაციასა და ცალკეულ პირს შორის სხვა სამართლებრივი ურთიერთობის საფუძვლის გამო; ამასთან მნიშვნელობა არა აქვს, პირი აღნიშნულ მოვალეობას ასრულებდა მუდმივად თუ დროებით, სასყიდლით თუ უსასყიდლოდ. როგორც თვით კანონშია (სს კოდექსის 102-ე მუხლში) აღნიშნული, პასუხისმგებლობა ამ კანონის საფუძველზე არ შეიძლება დაეკისროს თანამდებობის პირს; ეს უკანასკნელი ანალოგიური დაუდევრობისათვის პასუხს აგებს შესაბამისი მუხლით თანამდებობრივ დანაშაულთა თავიდან.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება გაუფრთხილებლობით (როგორც დანაშაულებრივი დაუდევრობის, ასევე თვითიმედოვნების სახით), აგრეთვე არაპირდაპირი განზრახვით დამდგარი შედეგისადმი (ე. ი. ქონების დიდი ოდენობით გატაცების, დაზიანების, გაფუჭების ან დაღუპვისადმი).

უკეთუ დამნაშავემ შეგნებულად არ მიიღო ქონების დასაცავი ზომები იმ მიზნით, რომ სხვა პირებს გაეტაცათ ეს ქონება, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც დახმარება გატაცებაში, ხოლო უკეთუ ასეთი ქმედობა მან ჩაიდინა გამტაცებლებთან წინასწარი შეთანხმებით—როგორც პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ქონების გატაცებაში უშუალო მონაწილეობა.

სასჯელი სს კოდექსის 102-ე მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით.

§ 6. დანაშაული სხვა სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ

სს კოდექსის 103-ე მუხლში (ისევე, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში) ჰპოვა თავისი გამოხატულება მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის პრინციპმა, რაც აღიარებულია ამავე კოდექსის 74-ე მუხლში[1].

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში აღნიშნულმა 103-ე მუხლმა პირველად ჩამოაყალიბა დებულება, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული სხვა სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრების შიმართ ჩადენილი დანაშაული ისჯება სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის თავის სათანადო მუხლებით, შესაბამისად. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაული სხვა სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ დაკვალიფიცირდება იმავე მუხლებით, როგორც დანაშაული სსრკ სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ და სასჯელი დამნაშავეს შეეფარდება ამავე მუხლების სანქციის მიხედვით (ამასთან ბრალდების ფორმულაში მითითებული უნდა იქნეს აგრეთვე 103-ე მუხლზე).

---

[1] ანალოგიურ ნორმას არ ითვალისწინებს მხოლოდ უზბეკეთის, ყაზახეთის, ლატვიის, სომხეთისა და ესტონეთის სს კოდექსები.

თავი III

დანაშაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ

§ 1. პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის ზოგადი ცნება და სახეები

სსრ კავშირში ადამიანი, მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების ხელუხლებლობა, მთელი საზოგადოების გამუდმებული ყურადღების საგანია.

მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და კაპიტალიზმის სხვა კაცთმოძულე ველური წესები, ყველა პირობა არის შექმნილი კომუნიზმის მშენებელი ადამიანის კულტურულ და მატერიალურ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის, და ეს სავსებით გასაგებია, რადგან საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების წარმმართველ პრინციპს შეადგენს დებულება, რომ ყველა ფასეულობიდან, რომლებიც სოციალისტურმა წყობილებამ შექმნა, ყველაზე ძვირფასია კომუნიზმის აქტიური მშენებელი ადამიანი.

ადამიანის პიროვნება, მისი ხელუხლებლობა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი შინაარსით არის დაცული, ამავე დროს პიროვნების ინტერესების სადარაჯოზე მტკიცედ დგას აგრეთვე საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსში სხვადასხვა სახის დანაშაულს პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ სპეციალური—მესამე თავი აქვს დათმობილი. ამ დარგის ცალკეული დანაშაულები აღნიშნულ თავში განლაგებულია ხელყოფის უშუალო ობიექტის მიხედვით. შესაბამისად ამისა, ყველა დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, რასაც სს კოდექსი ითვალისწინებს, შეიძლება დავყოთ ექვს ჯგუფად, სახელდობრ:

1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ: ამ ჯგუფში მოექცევა მკვლელობის ცალკეული სახეები (104-ე—108-ე მუხლები) და თვითმკვლელობამდე მიყვანა (109-ე მუხლი).

2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ: სხეულის დაზიანება: (110-ე — 115-ე მუხლები), ცემა და წამება (116-ე მუხლი), ვენერიული სენის შეყრა (122-ე მუხლი).

3. დანაშაული სქესობრივ დარგში (117-ე—121-ე მუხლები).

4. დანაშაული, რომელიც საფრთხეში აგდებს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას: აბორტის უკანონოდ გაკეთება (123-ე მუხლი), ალიმენტის გადახდისაგან ბოროტად თავის არიდება (124-ე მუხლი), სამეურვეო უფლებების ბოროტად გამოყენება (125-ე მუხლი). ბოროტად თავის არიდება მშობლების ან მეუღლისათვის დახმარების გაწევისაგან (126-ე მუხლი), საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება (128-ე მუხლი), განსაცდელში მიტოვება (129-ე მუხლი), დახმარების აღმოუჩენლობა (130-ე მუხლი), ავადმყოფისათვის დახმარების აღმოუჩენლობა მედიცინის მუშაკის მიერ (131-ე მუხლი), განსაცდელში მყოფ პირთათვის დახმარების აღმოუჩენლობა გემის კაპიტნის მიერ (132-ე მუხლი).

5. დანაშაული პირადი თავისუფლების წინააღმდეგ: თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა (133-ე მუხლი), ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით (134-ე მუხლი), ბავშვის მოტაცება ან შეცვლა (127-ე მუხლი), იძულება (135-ე მუხლი) და მუქარა (136-ე მუხლი).

6. დანაშაული ადამიანის ღირსებისა და პატივის წინააღმდეგ: ცილისწამება (137-ე მუხლი) და შეურაცხყოფა (138-ე მუხლი).

სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებში სხვადასხვა დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ ძირითადად ასეთივე სისტემითაა მოცემული, მაგრამ მათ ახასიათებს ცალკეული თავისებურებანიც. ასე, მაგალითად, რსფსრ კოდექსი ისეთ დანაშაულს, როგორიცაა ქალის მოტაცება, ითვალისწინებს მეთერთმეტე თავში „ადგილობრივი ზნე-ჩვეულების გადმონაშთი დანაშაული" (233-ე მუხლი), ხოლო მუქარას—თავში „საზოგადოებრივი უშიშროებისა, საზოგადოებრივი წესრიგის და ხალხის ჯანმრთელობის წინააღმდეგ" (207-ე მუხლი) და ა. შ. უკრაინის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და ესტონეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსები ცალკე გამოყოფენ და შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილად მიიჩნევენ ისეთ დანაშაულს, როგორიცაა დედის მიერ ახლადშობილი ბავშვის განზრახი მკვლელობა (იხ. შესაბამისად აღნიშნული კოდექსების 96-ე, 83-ე, 96-ე, 106-ე, 92-ე, მე-100, 97-ე, 106-ე, 110-ე და 102-ე მუხლები). უკრაინის და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებს ქალის მოტაცებას და ა. შ.

ზოგიერთი უფრო არსებითი მნიშვნელობის სხვაობა განსახილ-

ველ დანაშაულთა გამო მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებში განხილული იქნება ქვემოთ, ცალკეული შედგენილობების ანალიზისას.

§ 2. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

ა. მკვლელობა. პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ყველა დანაშაულს შორის სიცოცხლის მოსპობა, ანუ მკვლელობა უმძიმესს წარმოადგენს. მართალია, საბჭოთა კავშირში, კომუნისტურ მშენებლობაში ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებათა შედეგად, თანდათანობით მკვეთრად მცირდება მკვლელობის შემთხვევები, მაგრამ ცალკეული ანტისაზოგადოებრივი ელემენტები ამ დანაშაულს მაინც ჩადიან, ეს გარემოება მოითხოვს შეუნელებელი ბრძოლის წარმოებას ყოველი სახის მკვლელობის წინააღმდეგ, ისეთი გარემო-ვითარების შექმნას, რომ ეს დანაშაული მხოლოდ წარსულ დროს მიეკუთვნოს.

მკვლელობა არის მეორე ადამიანისათვის მართლსაწინააღმდეგოდ სიცოცხლის მოსპობა განზრახ ან გაუფრთხილებლობით.

ამ განმარტების საფუძველზე მკვლელობა წარმოადგენს ადამიანისათვის მხოლოდ მართლსაწინააღმდეგოდ სიცოცხლის მოსპობას და ამიტომ მკვლელობად არ ჩაითვლება ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა აუცილებელი მოგერიების პირობებში ან განსაკუთრებით ბოროტი დამნაშავის მიმართ უმაღლესი სასჯელის—დახვრეტის შეფარდების შესახებ სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანისას, ასეთ და სხვა მართლზომიერ ვითარებაში სიცოცხლის მოსპობა (მაგალითად, მტრისათვის ომის დროს) მკვლელობა არ არის სისხლის სამართლის თვალსაზრისით.

რაც შეეხება ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობას მისივე სურვილითა და მოთხოვნით, ასეთი ქმედება, რა მოტივითაც უნდა იყოს იგი ჩადენილი, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებად ვერ ჩაითვლება და ყოველთვის განიხილება როგორც განზრახი მკვლელობა.

მკვლელობის ცნების განმარტებაში ხაზი უნდა გაესვას სიცოცხლის მოსპობას მეორე ადამიანისათვის, რადგან ხელყოფა თავის საკუთარ სიცოცხლეზე (თვითმკვლელობა) მკვლელობად ვერ ჩაითვლება, თუმცა ასეთი საქციელი კომუნისტური მორალის თვალსაზრისით დიდად დასაგმობი და გასაკიცხია (თვითმკვლელობამდე მიყვანა კანონით დადგენილ პირობებში განიხილება დამოუკიდებელი სახის დანაშაულად).

მკვლელობის ობიექტია ადამიანის სიცოცხლე, მისი სი-

ცოცხლისუნარიანობის მიუხედავად. მკვლელობის შედეგნილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, სიცოცხლე წაერთმევა ჯანმრთელს თუ სნეულს, ხანდაზმულობით მიხრწნილ ადამიანს თუ ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდას ან ახალშობილს.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ზღვარის დადგენა, ერთი მხრივ, აბორტსა და, მეორე მხრივ, ახალშობილი ბავშვის მკვლელობას შორის. აბორტად ჩაითვლება ორსული ქალის ნაყოფის მოსპობა მშობიარობის დაწყებამდე, ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, თუ ორსულობის რომელ პერიოდში მოხდება ნაყოფის მოსპობა (ჩასახვის პირველ თვეებში თუ ორსულობის უკანასკნელ თვეებში); ხოლო უკეთუ ადგილი აქვს ბავშვისათვის სიცოცხლის მოსპობას მშობიარობის პროცესში, თუნდაც ბავშვს ჯერ კიდევ არ დაეწყოს დედის სხეულის გარეშე დამოუკიდებელი ცხოვრება, საქმე გვექნება მკვლელობასთან და არა აბორტთან.

ობიექტური მხრივ მკვლელობა გამოიხატება მეორე ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობაში. იმისათვის, რომ მკვლელობა დამთავრებულად ჩაითვალოს, აუცილებელია სიცოცხლის მოსპობის ფაქტი (მკვლელობა მიეკუთვნება ე. წ. მატერიალურ დანაშაულთა კატეგორიას). უკეთუ დამნაშავის მოქმედება მიმართული იყო მეორე ადამიანის სიცოცხლის მოსპობისაკენ, მაგრამ სასურველი შედეგი მან არ გამოიწვია, ადგილი ექნება მკვლელობის მომზადებას ან მცდელობას.

მკვლელობის ჩადენა შეიძლება როგორც მოქმედებით (ცეცხლსროლელი იარაღიდან გასროლით, დანის ჩაცემით, შხამის მიცემით, მოხრჩობით და ა. შ.), ასევე უმოქმედობითაც, უკეთუ პირი თავისი სამსახურებრივი ან პროფესიული (მაგ., ექიმი), ოჯახური თუ სხვა პირადი ურთიერთობიდან გამომდინარე (მშობელი, შვილი, მეუღლე, მეურვე და სხვ.) მოვალეობის საფუძველზე ვალდებული იყო ემოქმედნა. რათა არ დამდგარიყო სასიკვდილო შედეგი. მაგალითად, დედის მიერ ჩვილის მკვლელობა საკვების მიუცემლობით, ექიმის მიერ ავადმყოფის მოკვლა მკურნალობის გაუწევლობით და ა. შ. მკვლელობას შეიძლება ადგილი ექნეს ფსიქიური ზემოქმედებითაც (მაგ., როდესაც დამნაშავისათვის ცნობილი იყო დაზარალებულის გული დაავადება და ამასთან ამოქმედებდა მისთვის სიცოცხლის მოსპობის მიზანი).

სუბიექტი მკვლელობისა (იმისდა მიუხედავად, განზრახ არის იგი ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით) შეიძლება იყოს ყველა შერაცხადი პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე შეესრულდა 14 წელი.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით.

განზრახი მკვლელობისას დამნაშავეს აქვს იმის შეგნება, რომ მის მოქმედებას მოჰყვება მეორე პირის სიკვდილი და სწორედ ეს სურს მას (პირდაპირი განზრახვა) ანდა მას აქვს რა იმის შეგნება, რომ მის მოქმედებას შესაძლოა მოჰყვეს ადამიანის სიკვდილი, თუმცა ამის სურვილი მას არა აქვს, შეგნებულად უშვებს ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას (არაპირდაპირი, ევენტუალური განზრახვა).

ასევე, მკვლელობას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუფრთხილებელი ბრალის ორივე სახით — დაუდევრობითა და თვითიმედოვნებით. დაუდევრობისას ბრალეულ პირს არა აქვს იმის შეგნება, რომ მის მოქმედებას შესაძლოა მოჰყვეს მეორე ადამიანის სიკვდილი, თუმცა საქმის გარემოებათა გამო მას შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა ასეთი შედეგის შესაძლებლობა. თვითიმედოვნების დროს კი ბრალეულ პირს თუმცა აქვს იმის შეგნება, რომ მის მოქმედებას შესაძლოა მეორე ადამიანის სიკვდილი მოჰყვეს, მაგრამ იგი ქარაფშუტულად ეარაუდობს მოცემულ შემთხვევაში ასეთი შედეგის თავიდან აცილებას.

ცხადია, ბრალისა და პასუხისმგებლობის დამამძიმებელია განზრახ ჩადენილი მკვლელობა, როგორც სოციალურად გაცილებით, უფრო საშიში, ვიდრე მკვლელობა გაუფრთხილებლობით. ამიტომ სიცოცხლის მოსპობის სუბიექტური მხარის ზუსტად დადგენას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლის პლენუმის 1960 წლის 4 ივნისის დადგენილებაში № 4 „განზრახი მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ" აღნიშნულია, რომ „განზრახ მკვლელობის საქმეთა განხილვისას საჭიროა გულდასმით გამოაშკარავდეს მკვლელობის მოტივები, მიზანი და ხერხები, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ მონაცემთა დასადგენად, რომლებიც ახდენენ გავლენას დანაშაულის კვალიფიკაციაზე და სასჯელის ზომაზე" [1].

აღნიშნულ დადგენილებაში ნათქვამია აგრეთვე, რომ „განზრახი მკვლელობის საქმეების განხილვისას ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს ისიც, რომ რიგ შემთხვევებში სასამართლოები არასწორად აკვალიფიცირებენ სამართალში მიცემულთა ქმედობას როგორც განზრახ მკვლელობას, სიკვდილის მიყენების განზრახვის უქონლობის ან დაუმტკიცებლობის ვითარებაში...

---

[1] ჟ. „საბჭოთა სამართალი", 1960, № 5, გვ. 35.

დამნაშავის განზრახვის შინაარსის არასწორად გაგება რიგ შემთხვევებში იძლევა ისეთ შედეგს, როდესაც სასამართლოები ვეღარ საზღვრავენ განზრახ მკვლელობასა და სხეულისათვის ისეთი მძიმე დაზიანების მიყენებას, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი. სასამართლოები არ უწევენ ანგარიშს, რომ პირველ შემთხვევაში საჭიროა დადგენა პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვისა სიკვდილის მიყენებაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში — განზრახვისა სხეულის დაზიანების მიყენებაზე. დაზარალებულის სიკვდილისადმი დამოკიდებულება კი ღებულობს დანაშაულის სახეს გაუფრთხილებლობით"...[1]

ამრიგად, უკეთუ დამნაშავეს ჰქონდა დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობის განზრახვა (სულ ერთია, განზრახვა პირდაპირი იყო თუ არაპირდაპირი) და ასეთი შედეგი კიდევაც დადგა სხეულის მძიმე დაზიანების მიზეზით, ქმედობა განხილული უნდა იქნეს როგორც განზრახი მკვლელობა; იმ შემთხვევაში კი, თუ დამნაშავის განზრახვას შეადგენდა დაზარალებულისათვის მხოლოდ სხეულის დაზიანება, ხოლო დამდგარი შედეგის — დაზარალებულის სიკვდილის მიმართ ბრალი გაუფრთხილებელი იყო, ქმედობა დაკვალიფიცირდება როგორც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც შედეგად დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა (სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილი).

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკეთუ დამნაშავის მიერ დაზიანებულია დაზარალებულის სხეულის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ორგანო, მიყენებულია მისი სიცოცხლისათვის აშკარად საშიში დაზიანება (მაგალითად, ტვინის შერყევა, ღრმა ჭრილობა მკერდის ან მუცლის არეში), მაგრამ დაზარალებულის სიკვდილი არ დადგა დამნაშავის სურვილისაგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო (ორგანიზმის კარგი დაცვითი უნარიანობის, დროული საექიმო დახმარების აღმოჩენისა და სხვა ამდაგვარ გარემოებათა გამო), ქმედობა განიხილება, როგორც განზრახი მკვლელობის მცდელობა (და არა სხეულის მძიმე დაზიანება).

საქართველოს სსრ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი (ისევე, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსები) აწესებს პასუხისმგებლობას როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებელი მკვლელობისათვის. ამასთან კოდექსი ითვალისწინებს განზრახ მკვლელობის სამ სახეს: ა) განზრახ მკვლელობა ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში (104-ე მუხ.), ბ) განზრახ

[1] ჟ. „საბჭოთა სამართალი", 1960, № 5, გვ. 30.

მკვლელობა ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებებში (106-ე და 107-ე მუხლები) და გ) განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე (105-ე მუხლი).

ბ. განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში. განზრახ მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებებად სს კოდექსის 104-ე მუხლის ძალით ითვლება განზრახ მკვლელობის ჩადენა: 1. ანგარებით; 2. ხულიგნური ქმენა გრძნობით; 3. დაზარალებულის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; 4. ორი ან რამდენიმე პირისა; 5. წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა; 6. ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით ან ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისათვის; 7. სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით და აგრეთვე დაკავშირებული გაუპატიურებასთან; 8. ჩადენილი სისხლის აღების ნიადაგზე; 9. ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან იმ პირის მიერ, ვისაც ადრე ჰქონდა ჩადენილი განზრახ მკვლელობა (106-ე და 107-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობის გარდა) [1].

განზრახ მკვლელობის ეს დამამძიმებელი გარემოებები ამომწურავია და დაუშვებელია მათი განვრცობითი განმარტება.[2] (ე.ი. არ დაიშვება სს კოდექსის 104-ე მუხლის გამოყენება ისეთი შემთხვევისას, როდესაც მკვლელობა ჩადენილია აქ გაუთვალისწინებელი სხვა მოტივით, სხვა პირობებში).

განვიხილოთ ჩამოთვლილი გარემოებები ცალ-ცალკე.

1. მკვლელობა ა ნ გ ა რ ე ბ ი თ (104-ე მუხლის I პუნქტი) ჩადენილი იქნება მაშინ, როდესაც ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპო-

---

[1] ზუსტად ასეევა გაგებული განზრახ მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებები რსფსრ და ყაზახეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსებში (იხ. შესაბამისად 102-ე და 88-ე მუხლები). იგივე დამამძიმებელი გარემოებებია გათვალისწინებული უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, სომხეთის და ესტონეთის სსრ სს კოდექსებში, მაგრამ გამოკლებით „ჩადენილი სისხლის აღების ნიადაგზე" (იხ. შესაბამისად 93-ე, მე-100, 94-ე, 105-ე, 88-ე, 99-ე, 99-ე და 101-ე მუხლები). საქ. სსრ სს კოდექსში დასახელებული დამამძიმებელი გარემოებებია მოცემული უზბეკეთის, თურქმენეთის, აირგიზეთის სსრ სს კოდექსებში, მაგრამ ნაცვლად „ჩადენილი სისხლის აღების ნიადაგზე" ნახმარია ტერმინი „ქალისადმი წარსულის გადმონაშთი დამოკიდებულების ნიადაგზე" (იხ. შესაბამისად მე-80, 106-ე, 94-ე მუხლები), ხოლო ტაჯიკეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსში—ტერმინი „წარსული ძველი ყოფაცხოვრების გადმონაშთის ნიადაგზე" (იხ. 104-ე მუხლი).

[2] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წ. 4 ივნისის ოქმგენილება № 4 (ტ. „საბჭოთა სამართალი", 1960, № 5, გვ. 35).

ბის მოტივს წარმოადგენს დამნაშავის მისწრაფება მიიღოს ამ გზით რაიმე მატერიალური გამორჩენა (მაგალითად, ფული, ქონება, ქონებრივი ხასიათის უფლება, ბინა და ა. შ.), აგრეთვე ვალის ან ალიმენტის გადახდისაგან განთავისუფლების მიზნით, ჩადენილი სასყიდლის აღებით და სხვ.

შოთა მ. თავისი დის ვერა მ. წაქეზებით, ღამით ოთახში, სადაც ეძინა ვერას ქმარს — დაზარალებულს ს., თავში რკინის სახელოსნო იარაღის რამდენიმეჯერ დარტყმით მოკლა იგი. მკვლელობის მოტივს წარმოადგენდა შემდეგში სახლისა და სხვა ქონების დამნაშავეთა საკუთრებაში გადასვლა.

აღწერილი სახის მკვლელობა ჩადენილია ანგარებით.

ანგარების მოტივით მკვლელობის დასაკვალიფიცირებლად აუცილებელია მატერიალური გამორჩენის სურვილის დადგენა, ამასთან დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს დამნაშავემ მკვლელობის აქტის განხორციელებით მიაღწია თუ არა ფაქტიურად იმ შედეგს, რისთვისაც მან დანაშაული ჩაიდინა, ე. ი. მიიღო თუ არა მან გამიზნული მატერიალური გამორჩენა.

უკეთუ მკვლელობა არა ანგარებით, არამედ სხვა მოტივით არის ჩადენილი, და დაზარალებულის სიკვდილის შემდეგ დამნაშავეს მოუვიდა აზრი—ესარგებლა ამ შემთხვევით და გაეტაცებინა მისი ქონება, ანგარებით მკვლელობას ადგილი არ ექნება, რადგან ანგარების მოტივს კი არ გამოუწვევია მკვლელობა, არამედ დამნაშავეს იგი აღეძრა მკვლელობის სხვა მოტივით ჩადენის შემდეგ. ასეთი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით—როგორც მკვლელობა (დადგენილი მოტივის შესაბამისად) და ქონებრივი დანაშაული (ქურდობა). იმ შემთხვევაში, თუ ანგარებითი მკვლელობა თან დაერთო ყაჩაღურ თავდასხმას, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით (ყაჩაღობა და 104-ე მუხლის I პუნქტი).

2. ხულიგნური ქვენა—გრძნობით განზრახ მკვლელობა (104-ე მუხლის მე-2 პუნქტი) იქნება მაშინ, როდესაც იგი ჩადენილია, როგორც წესი, დაზარალებულთან არა პირადი ურთიერთდამოკიდებულების ან კანონით გათვალისწინებული სხვა მოტივის საფუძველზე, არამედ დამნაშავის მხრივ მარტოოდენ განსაკუთრებული უხამსობისა და შლეგობის საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობის გამოჩენის შედეგად, როდესაც დამნაშავისათვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ იქნება მისი მსხვერპლი—დაზარალებული თუ სხვა პირი.

გასათვალისწინებელია, რომ მკვლელობა ხულიგნური ქვენ-

გრძნობით იმით ხასიათდება, რომ დამნაშავეს არ გააჩნია რაიმე საბაბი ან გარკვეული მიზანი მკვლელობისა, რომ იგი ჩადენილია უსაფუძვლოდ, ხშირად — დაზარალებულის მხრივ საშართლიანი შენიშვნის გაკეთების გამო.

ასეთი მკვლელობა, როგორც მეტწილად შედეგი ცალკეულ ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთებისა, ყოველთვის წარმოადგენს საზოგადოებრივ დიდ საშიშროებას და ამიტომ არის, რომ სასამართლო მის ჩამდენს, სავსებით სამართლიანად, სასჯელის მკაცრ ზომას უფარდებს ხოლმე.

ეი ნიმუში ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილი განზრახ მკვლელობისა. ქ. თბილისის ერთ-ერთ განაპირა უბანში გვიან ღამით სახლში მიმავალ მოქ. ე. წინ გადაეღობა ორი ნასვამი ახალგაზრდა (რომელნიც არავითარ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას არ ეწეოდნენ) და მოთხოვეს მას ასანთი. როდესაც მოქ. ე. განუცხადა მათ, რომ თამბაქოს არ ვეწევი და არც ასანთი მაქვსო, დასახელებულმა პირებმა დაუწყეს მას ცემა და შემდეგ ერთმა მათგანმა ჩასცა დანა, რის შედეგადაც მოქ. ე. გარდაიცვალა.

უკეთუ მკვლელობას ხულიგნური ქვენა გრძნობით თან სდევდა უშუალოდ ხულიგნობის ჩადენა (მაგ., აურზაურის ატეხა საზოგადოებრივ ადგილას ან საზოგადოებრივი წესრიგის სხვაგვარი დარღვევა), ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს 104-ე მუხლის მე-2 პუნქტით, ასევე 228-ე მუხლის მეორე ნაწილით (ვინაიდან საკუთრივ ხულიგნობის აქტს არ მოიცავს 104-ე მუხლის მე-2 პუნქტის დისპოზიცია).

3. დ ა ზ ა რ ა ლ ებ უ ლ ი ს ს ა მ ს ა ხ ურ ებ რ ივ ი ან ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი მ ო ვ ა ლ ე ო ბ ი ს შ ე ს რ უ ლ ებ ა ს თ ან დ ა კ ა ვ შ ი რ ებ ი თ ჩადენილ მკვლელობას (104-ე მუხლის მე-3 პუნქტი) მაშინ ექნება ადგილი, როდესაც მკვლელობის მოტივს წარმოადგენს შურისძიება დაზარალებულის მიერ თავისი სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების გამო ან სურვილი საშუალება მოუსპოს მას განახორციელოს გარკვეული კანონიერი აქტი. ასე, მაგალითად, უკეთუ პირი მოკლავს თანამდებობის პირს იმიტომ, რომ უკანასკნელმა, ასრულებდა რა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, აღკვეთა ბრალეული პირის დანაშაულებრივი საქმიანობა (დააპატიმრა იგი ან სასჯელი შეუფარდა) თუ სხვა უმართებულო საქციელი (გამოსახლა ფეოდალურად დაკავებული ბინიდან), ან იმიტომ, რომ სამუშაოდან დაითხოვა შრომის დისციპლინის უხეშად დარღვევისათვის და ა. შ. — ქმედობა დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 104-ე მუხლის მესამე პუნქტით. ასევე დაკვალიფიცირ-

დება მკვლელობა ჩადენილი იმ მოტივით, რომ დაზარალებული წარსულში გამოვიდა დამნაშავის მამხილებელ მოწმედ, რითაც თავისი საზოგადოებრივი მოვალეობა შეასრულა.

ანზორ ლ. მამა, ლაგოდეხის რაიონის სოფ. ორჯონიკიძის კოლმეურნე, ნესტორი სულით დაავადდა და სამკურნალოდ თბილისში წამოიყვანეს. მის დაავადებაში ოჯახის წევრები ადანაშაულებდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს აფრასიონ ლ. იმის გამო, რომ უკანასკნელი დაბეჯითებით მოითხოვდა ნესტორისაგან კოლმეურნეობაში მუშაობას. შურისძიების ნიადაგზე დასახელებულმა ანზორ ლ. გამოიხმო ეზოში კოლმეურნეობის გამგეობის კანტორიდან აფრასიონ ლ. და მუცლის არეში დანის დარტყმით მოკლა იგი.

ასეთი სახის მკვლელობა დაკვალიფიცირდება 104-ე მუხლის მესამე პუნქტით.

განსხვავება ტერორისტულ აქტსა (67-ე, 68-ე მუხლები) და 104-ე მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებულ მკვლელობას შორის ძირითადად მდგომარეობს დანაშაულის სუბიექტურ მხარეში, სუბიექტის მიზანდასახულობაში. ტერორისტული აქტის შედგენილობა იქნება მაშინ, როდესაც მკვლელობა ჩადენილია არა პირადი ხასიათის მოტივებით, არამედ საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით, ანდა კიდევ ომის პროვოკაციის ან საერთაშორისო გართულების მიზნით. ეს განსხვავება დადგენილ უნდა იქნეს ყოველთვის განზრახ მკვლელობის სუბიექტური მხარის ზედმიწევნითი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად.

საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა სხვა, დამოუკიდებელ დანაშაულს წარმოადგენს და გათვალისწინებულია თავში „დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ“ (209[1]-ე მუხლი).

4. სს კოდექსის 104-ე მუხლის მეოთხე პუნქტი განზრახ მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად თვლის ორი ან რამდენიმე პირის მკვლელობას. კანონის ასეთი მოთხოვნის მიხედვით საბრალო ფაქტი იმისა, რომ დამნაშავემ მოკლა ორი ან რამდენიმე პირი, ამასთან ერთდროულად ან დროის მოკლე შუალედში და ისეთ ვითარებაში, რომელიც რამდენიმე პირის მკვლელობას ერთიმეორეს აკავშირებს. იმ შემთხვევაში, უკეთუ დამნაშავეს განზრახვა ჰქონდა მოეკლა ორი ან რამდენიმე პირი, მაგრამ სინამდვილეში მოკლა მხოლოდ ერთი, მეორის (ან დანარჩენების) სიცოცხლის მიმართ კი მცდელობას ჰქონდა ადგილი (ე. ი. დამნაშავისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო სასურველი შედეგი — სიკვდილი არ დადგა), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დამთავრებული

დანაშაული სს კოდექსის 104-ე მუხლის მეოთხე პუნქტით, რადგან ამ საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავის განზრახვას, მიმართულს ორი ან მეტი პირის სიცოცხლის მოსასპობად [1].

გიორგი კ. ცოლად შეირთო ნათელა დ., მაგრამ ქორწინება რეგისტრაციაში არ გაუტარებია. ნათელა და მისი დედა დუშა დ. წინადადებას აძლევდნენ გიორგი კ. დაეკანონებინა ქორწინება, მაგრამ უკანასკნელი არ თანხმდებოდა. ამ ნიადაგზე წარმოშობილი უსიამოვნების შედეგად კ. დატოვა ოჯახი სოფ. ცოდნაში და წავიდა სოფ. ხირსაში. რამდენიმე დღის შემდეგ უკან დაბრუნებულმა კ. მოსთხოვა ნათელას მასთან ერთად ხირსაში გადასვლა, მაგრამ ნათელამ და მისმა დედამ უარით უპასუხეს და კვლავ ქორწინების რეგისტრირება მოითხოვეს. ამით გაჯავრებულმა კ. გულში ხანჯალი ჩასცა ჯერ ნათელას და შემდეგ მის დედას, რის შედეგადაც ორივე ადგილზევე გარდაიცვალა.

აღნიშნული და სხვა ამდაგვარი მკვლელობა სს კოდექსის 104-ე მუხლის მეოთხე პუნქტით დაკვალიფიცირდება.

იმ შემთხვევაში, როდესაც ორი ან რამდენიმე პირის განზრახ მკვლელობა ჩადენილია სხვადასხვა დროს და, მაშასადამე, ბრალეული პირის დანაშაულებრივი განზრახვის ერთიანობას არ მოიცავს, ქმედება დაკვალიფიცირდება 104-ე მუხლის მეცხრე პუნქტით (უკეთუ არც ერთი ეს მკვლელობათაგანი არ შეესაბამება 106-ე და 107-ე მუხლების ნიშნებს).

5. 104-ე მუხლის მეხუთე პუნქტი განზრახ მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად თვლის წინასწარ შეცნობით ორსული ქალის მკვლელობას.

ორსული ქალის მკვლელობის აღნიშნული პუნქტით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია იმის დადგენა, რომ დამნაშავისათვის ნამდვილად ცნობილი იყო დაზარალებულის ორსულობა, რაზეც მიუთითებს კანონში მოხსენიებული სიტყვები „წინასწარ შეცნობით“ [2]. ამის გარეშე მარტოოდენ ფაქტი მოკლული ქალის ორსულობისა დამამძიმებელ გარემოებად ვერ ჩაითვლება.

6. მკვლელობა ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით ან ისეთი სამუალებით, რომელიც

---

[1] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლის პლენუმის 1963 წ. 3 ივლისის დადგენილება (ტ. „საბჭოთა სამართალი“, 1963, № 6).

[2] ასევე დაკვალიფიცირდება ქალის მკვლელობა მაშინაც, თუ დამნაშავე შეცდომით ფიქრობდა, რომ იგი ორსული იყო, მაგრამ სინამდვილეში ასეთი არ აღმოჩნდა (რადგან გადამწყვეტია დამნაშავის განზრახვა მოეკლა ორსული ქალი).

საშიშროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისათვის (104-ე მუხლის მე-6 პუნქტი) იქნება მაშინ, როდესაც მკვლელობა ისეთი ხერხითა და საშუალებით არის ჩადენილი, რაც იწვევს დაზარალებულის განსაკუთრებულ ტანჯვას, უხანგრძლივებს მას ტკივილებსა და მწუხარებას და ამავე დროს მეტყველებს მკვლელის გაზრდილ სოციალურ საშიშროებაზე, მის უმსგავსო სიბოროტეზე, სურვილზე გაუძლიეროს მსხვერპლს ტანჯვა.

ასეთი სახის მკვლელობად ჩაითვლება საშინლად მოქმედი შხამით მოწამვლა, სიცოცხლის მოსპობის წინ ან მკვლელობის ჩადენის პროცესში დაზარალებულისათვის დიდი რაოდენობით ჭრილობების მიყენება, სხეულის ნაწილების მოკვეთა, წამება, მკვლელობა ცეცხლის წაკიდებით და ა. შ.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მარტოოდენ ფაქტი დაზარალებულის მოკვლისა რამდენიმე ჭრილობის მიყენებით (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თითოეული მათგანი თავისთავად სასიკვდილოა) ყოველთვის როდი იძლევა საფუძველს ქმედობის დაკვალიფიცირებისათვის სს კოდექსის 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით. ასეთი ფაქტის გარდა აუცილებელია იმის დადგენა, რომ დამნაშავეს ჰქონდა შეგნებული, რომ დაზარალებულის მიმართ განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდა, მკვლელობის აქტს განსაკუთრებით სატანჯი საშუალებით ახორციელებდა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 3 ივლისის № 9 დადგენილებაში („ზოგიერთი საკითხის შესახებ, რომელიც წამოიჭრა სასამართლო პრაქტიკაში განზრახი მკვლელობის საქმეებზე") ნათქვამია: „განსაკუთრებული სისასტიკის ნიშანს კანონი უკავშირებს არა მარტო მკვლელობის საშუალებას, არამედ სხვა გარემოებებსაც, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ დამნაშავე მოქმედებდა განზრახვით, რომელიც მიზნად ისახავდა დანაშაულის ჩადენას განსაკუთრებული სისასტიკით", და შემდეგ. „განსაკუთრებული სისასტიკე შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე იმით, რომ დამნაშავემ შეგნებულად მიაყენოს განსაკუთრებული ტანჯვა დაზარალებულისა ახლობელ პირთ. რომლებიც დანაშაულის ადგილზე იმყოფებიან, მასხარად აიგდოს გვამი და ა. შ." [1]

განზრახ მკვლელობად ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალი პირის სიცოცხლისათვის, ჩაითვლება მკვლელობა, როდესაც დამნაშავემ, განიზრახა რა გარკვეული პირის მოკვლა, გამოიყენა მოკვლის ისეთი საშუალება, რომელიც დამნაშავის შეგნებით საშიში იყო არა მარტო ერთი ადამიანის სიცოცხლისა-

[1] იხ. ე. „საბჭოთა სამართალი", 1963, № 6, გვ. 62—65.

თვის. ასეთია, მაგალითად. მკვლელობა სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით, საცხოვრებელი სახლის აფეთქებით, დანგრევით, მისთვის ცეცხლის წაკიდებით, ადამიანთა ჯგუფში ცეცხლმსროლი იარაღიდან გასროლით, სასუსრსათო პროდუქტების მოწამვლით (რითაც შეიძლება ისარგებლოს მრავალმა ადამიანმა) და ყველა ისეთი სხვა საშუალებით, რომელიც საფრთხეში აგდებს რამდენიმე პირის სიცოცხლეს.

იმისათვის, რომ ამ სახის მკვლელობა 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით დაკვალიფიცირდეს. არ არის სავალდებულო ფაქტი რამდენიმე ადამიანის სიკვდილისა. საკმარისია იმის დადგენა, რომ აღნიშნული ქმედობის ჩადენისას მრავალი პირის სიცოცხლე საფრთხეში იმყოფებოდა.

უკეთუ განზრახ მკვლელობას ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალი პირის სიცოცხლისათვის, თან სდევდა სხვა პირთა სხეულის დაზიანება, ქმედობა არ საჭიროებს დამატებით კვალიფიკაციას, მას მთლიანად მოიცავს 104-ე მუხლის მე-6 პუნქტი[1].

მრავალი პირის მკვლელობა ან თუნდაც ერთი პირისა, მაგრამ ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალი პირის სიცოცხლისათვის (მასობრივი მოწამვლის ან ეპიდემიების გავრცელება), ჩადენილი საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზნით, დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 69-ე მუხლით (დივერსია).

7. სს კოდექსის 104-ე მუხლის მე-7 პუნქტი განზრახ მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად თვლის მკვლელობას სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით დაადგენილ ან დაკავშირებულ გაუპატიურებასთან.

მკვლელობად სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით ჩაითვლება ისეთი პირის მკვლელობა, რომლისთვისაც ცნობილია დამნაშავის მიერ ადრე ჩადენილი დანაშაული (მაგ., დაზარალებული, მოწმე და ა. შ.) და ბოროტმოქმედი ფიქრობს ამ გზით თავიდან აიცილოს ამ დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირის მხილების საშიშროება. აი ნიმუში ასეთი მკვლელობისა: ქ. და მ. მუშაობდნენ ერთად დაწესებულებაში, სადაც ქ. ეწეოდა სახელმწიფო ქონების დატაცებას. გაიგო რა ეს მ. გააფრთხილა ქ. შეეწყვიტა ბოროტმოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში მას გაამჟღავნებდა. იმ მოტივით, რომ ჩა-

[1] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წ. 15 იანვრის დადგენილება ვ. პოლეზინის საქმეზე („Бюллетень Верховного Суда СССР" 1965, № 5, გვ. 13—14).

დენილი დანაშაულის კვალი მოსპობილიყო, ქ. ციკი იარაღით მოკლა მ. დაწესებულების სამუშაო ოთახში.

მკვლელობად სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით. ჩაითვლება, მაგალითად, გატაცებინ გასაადვილებლად, მკვლელობა დარაჯისა. რომელიც იცავდა სახელმწიფო ან საზოგადო ქონებას. ნივთების მფლობელისა, რომელსაც ეძინა და ა. შ. ამასთან ის დანაშაული, რომლის გასაადვილებლადაც იყო ჩადენილი მკვლელობა. დამოუკიდებლად დაკვალიფიცირდება (მაგალითად, განზრახი მკვლელობა ყაჩაღობის გასაადვილებლად ან დასაფარავად დაკვალიფიცირდება 104-ე მუხლის მე-7 პუნქტით და 96-ე ან 152-ე მუხლებით).

გაუპატიურებასთან დაკავშირებული მკვლელობა ნიშნავს მკვლელობის ჩადენას გაუპატიურების მომენტში დაზარალებულის წინააღმდეგობის დასაძლეველად[1] ან უშუალოდ გაუპატიურების უმალვე, რათა დაფარულიყო ძალადობა, ან შური ეძია წინააღმდეგობის გაწევისათვის, ან შეესრულებინა სქესობრივი აქტი მოკლულის გვამთან (ე. წ. ნეკროფილია) და ა. შ. მკვლელს ასეთ პირობებში შეეფარდება მარტოოდენ 104-ე მუხლის მე-7 პუნქტი (სხვა მუხლის, მაგალითად, 117-ე მუხლის გამოუყენებლად).[2]

ასევე დაკვალიფიცირდება მკვლელობა ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფური გაუპატიურების ერთი მონაწილის მიერ. ამ შემთხვევაში გაუპატიურების ყველა მონაწილე პასუხს აგებს გაუპატიურებასთან დაკავშირებული მკვლელობისათვის.

8. მკვლელობა ჩადენილი სისხლის აღების ნიადაგზე (104-ე მუხლის მე-8 პუნქტი) – გულისხმობს მკვლელობას მარტოოდენ საგვარეულო ყოფაცხოვრების ისეთი გადმონაშთის მოტივით. როგორიც არის სისხლის აღება; ამრიგად, ასეთ მკვლელობად ვერ იქნება განხილული სხვა საფუძვლის გამო (მაგალითად, შურისძიების თუ შუღლის, არა სისხლის აღების ნიადაგზე) ჩადენილი მკვლელობა.

მართალია, განხილული სახის მკვლელობა ამჟამად იშვიათი მოვლენაა, მაგრამ მისი მიჩნევა განზრახ მკვლელობის დამამძიმე-

---

[1] არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ც., ღამით შეიპრა რა სოფ. ლაშებალთას (ზნაურის რაიონი) მცხოვრების პ. სახლში, შეეცადა ფიზიკური ზემოქმედების საშუალებით მასთან სქესობრივი კავშირის დაპერას. პ. მიერ წინააღმდეგობის გაწევის გამო ც. თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო და ამით გაბოროტებულმა ყელში ხელების წაპერით მოაღრჩო პ.

[2] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლის პლენუმის 1963 წ. 3 თებერვლის დადგენილება (პ. 8).

ბელ გარემოებად აიხსნება კანონმდებლის მისწრაფებით გაამახვილოს ყურადღება წარსულში საქართველოს მეტწილად მთიან ადგილებში (ხევსურეთი, სვანეთი და სხვა) გავრცელებულ ასეთი სახის მკვლელობასთან (რომელიც მოსპობასა და გადაშენებას უქადდა მთელ გვარეულობებს) მკაცრი ბრძოლის წარმოების საჭიროებაზე.

9. დაბოლოს, 104-ე მუხლის მეცხრე პუნქტის თანახმად, განზრახი მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება მკვლელობა ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან იმპირის მიერ, ვისაც ადრე ჰქონდა ჩადენილი განზრახი მკვლელობა (106-ე და 107-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობის გარდა).

კანონის აღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილი ყოველი სახის განზრახი მკვლელობა, ჩვენი აზრით, უნდა დაკვალიფიცირდეს 104-ე მუხლის მე-9 პუნქტით. ეს აიხსნება ასეთი პირის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროებით (უფრო ნათლად და გარკვევით ეს დადგენილია რსფსრ, აზერბაიჯანის, ტაჯიკეთის, ესტონეთის სს კოდექსებში; იხ. შესაბამისად 102-ე მუხლის 3. ლ., 88-ე მუხლის 3. ლ., 104-ე მუხლის 3. ლ., 101-ე მუხლის მეცხრე პუნქტი)[1]. ამასთან პირს შეეფარდება საქ. სსრ სსკ 104-ე მუხლის მეცხრე პუნქტი იმ შემთხვევაში, თუ იგი განზრახი მკვლელობის ჩადენამდე კანონით დადგენილი წესით ცნობილია განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად.

რაც შეეხება იმ პირს, რომელსაც ადრე ჰქონდა ჩადენილი განზრახი მკვლელობა, მის მიერ განმეორებით ჩადენილი განზრახი მკვლელობა 104-ე მუხლის მე-9 პუნქტით დაკვალიფიცირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას წინათაც ჰქონდა განზრახი მკვლელობა ჩადენილი, გარდა 106-ე და 107-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობისა (ე. ი. მკვლელობისა, ჩადენილი უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს).

შაშასადამე, იგულისხმება, რომ დამნაშავეს ადრე ჰქონდა ჩადენილი მკვლელობა, გათვალისწინებული სს კოდექსის 104-ე ან 105-ე მუხლით. აგრეთვე 258-ე მუხლის „გ" პუნქტით, 67-ე, 68-ე (ტერ. აქტი), 69-ე (დიეერსია დაკავშირებული მკვლელობასთან), 78-ე (ბანდიტიზმი, რასაც თან სდევდა მკვლელობა), 78[1]-ე (დაკავშირებუ-

[1] აღსანიშნავია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვა საწინააღმდეგო მოსაზრებაც. ასე, მაგალითად, რსფსრ 1960 წ. სს კოდექსის კომენტარებში ნათქვამია: „მკვლელობისათვის ძლიერი სულიერი აღელვების მდგო-

ლი მკვლელობასთან), 209[1]-ე (საზოგად. წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა) მუხლებით.

დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს პირი გასამართლებული იყო ადრე ჩადენილი მკვლელობისათვის თუ—არა. სავალდებულოა მხოლოდ ის, რომ მას მკვლელობა ჩადენილი ჰქონდა სხვადასხვა დროს[1]. იმ შემთხვევაში, თუ პირველად ჩადენილი მკვლელობისათვის პირი გასამართლებული არ ყოფილა, ადრე ჩადენილი მკვლელობა დამოუკიდებლივ უნდა დაკვალიფიცირდეს საქმის კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით, რადგან სსკ 104-ე მუხლის მე-9 პუნქტს მხედველობაში აქვს მხოლოდ უკანასკნელად ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაცია[2].

განზრახ მკვლელობა ზემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას სს კოდექსის 104-ე მუხლის ძალით დაისჯება თავისუფლების აღკვეთით რვიდან თხუთმეტ წლამდე, გასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ ან ისჯება სიკვდილით.

კანონი, როგორც აღნიშნულიდან ჩანს, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის უშვებს, მაგრამ არ მოითხოვს სიკვდილით დასჯის სავალდებულო შეფარდებას. ამიტომ სასამართლო დიდი დაკვირვებით უნდა მიუდგეს სასჯელის ამ განსაკუთრებული ღონისძიების შეფარდებას, მეტადრე იმ პირთა მიმართ, რომლებმაც დიდი ხანი არაა, რაც მიაღწიეს 18 წლის ასაკს. სიკვდილით დასჯის საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა წყდებოდეს ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და სა-

---

ბარეობაში, აგრეთვე აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს, განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი პასუხს აგებს საერთო საფუძველზე (106-ე და 107-ე მუხლები), რადგან ასეთ შემთხვევებში ქმედობის საშიშროების ხასიათსა და ხარისხს განსაზღვრავს არა დამნაშავის პიროვნების განსაკუთრებული თვისებანი, არამედ — განსაკუთრებული გარემოებანი, რომლებშიც მან ჩადინა მკვლელობა: უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვება, გამოწვეული თვით დაზარალებულის მიერ, ან აუცილებელი მოგერიება (იხ. Научно-практический комментарий Уголовного кодекса РСФСР, М., 1963, გვ. 255).

[1] თუ, ცხადია, ადრე ჩადენილი მკვლელობა არ არის გაქარწყლებული ხანდაბრუნებულობით ან ნასამართლობის შემთხვევაში არ არის იგი მოხსნილი ამნისტიისა ან პატიების წესით.

[2] აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი სხვაგვარად არის გადაწყვეტილი 1962 წ. გამოცემულ სახელმძღვანელოში „Советское уголовное право. Часть Особенная", იხ. გვ. 132.

ზოგადოებრივი საშიშროების მნიშვნელობის, დამნაშავის პიროვნების და საქმის როგორც დამამძიმებელ, ისე შემამსუბუქებელ გარემოებათა გათვალისწინებით.

რადგან სიკვდილით დასჯა წარმოადგენს სასჯელის განსაკუთრებულ ღონისძიებას და შეიძლება შეეფარდოს იმ პირს, ვინც ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, იგი, როგორც წესი, არ უნდა შეეფარდოს პირს განზრახ მკვლელობის მცდელობის შემთხვევაში. სიკვდილით დასჯა ასეთ შემთხვევაში შეიძლება დამნაშავეს შეეფარდოს მხოლოდ როგორც გამონაკლისი, როდესაც საქმის მასალით დადგენილია გარემოებანი დანაშაულისა და დამნაშავის უაღრესად გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროების დამახასიათებელი[1].

უკეთუ განზრახ მკვლელობა ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში, რომლებიც აღნიშნულია სს კოდექსის 104-ე მუხლის ორ ან მეტ პუნქტში, ასეთი მკვლელობის კვალიფიკაციის დროს, — როგორც ეს აღნიშნულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წ. 3 იელისის № 9 დადგენილებაში,[2] — მითითებულ უნდა იქნას ყველა ეს პუნქტი. სასჯელი კი ასეთ შემთხვევებში არ უნდა დაინიშნოს ცალ-ცალკე ყოველი პუნქტის მიხედვით, მაგრამ სასჯელის განსაზღვრის დროს სჭიროა გათვალისწინებულ იქნას რამდენიმე დამამძიმებელი გარემოების არსებობა.

ბ. განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე. პასუხისმგებლობა განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე გათვალისწინებულია სს კოდექსის 105-ე მუხლში.

ასეთი სახის მკვლელობა განსხვავდება განზრახ მკვლელობის სხვა სახეებისაგან იმით, *რომ-იგი* არ არის ჩადენილი არც იმ დამამძიმებელ გარემოებათა არსებობისას, რაც საკანონმდებლოა 104-ე მუხლში მოცემულ განზრახ მკვლელობისათვის, და არც იმ შემამსუბუქებელ გარემოებათა პირობებში, რაც უნდა ახასიათებდეს 106-ე და 107-ე მუხლებში გათვალისწინებულ განზრახ მკვლელობას.

სს კოდექსის 105-ე მუხლი შეეფარდება ისეთ მკვლელობას, რომელიც ჩადენილია ურთიერთწალაპარაკების ან ჩხუბის დროს

[1] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 4 ივნისის დადგენილება № 4 „განზრახ მკვლელობის ხაქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ" (ვ. „საბჭოთა სასამართლო", 1960, № 5, გვ. 36).

[2] იხ. ვ. „საბჭოთა სამართალი", 1963, № 6, გვ. 63.

(თუ ადგილი აქვს მკვლელობას ხულიგნური ქმედება გრძნობით), მძიმედ დაავადებული დაზარალებულის მოთხოვნის საფუძველზე, მისთვის ტანჯვის შესაწყვეტად, ეპვიანობის ნიადაგზე, შურისძიების მოტივით (გარდა 104-ე მუხლის მე-3 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულისა) [1].

პრაქტიკაში ზოგჯერ სს კოდექსის 105-ე მუხლით აკვალიფიცირებენ განზრახ მკვლელობას მარტოოდენ იმის გამო, რომ საქმის მასალით ვერ იქნა დადგენილი მკვლელობის ნამდვილი გარემოებანი, მოტივი და სხვ. ასეთი პრაქტიკა, ცხადია, არ არის სწორი. ყოველ სისხლის სამართლის საქმეზე, განსაკუთრებით კი საქმეზე მკვლელობის შესახებ, აუცილებელია საქმის ყველა გარემოების ნათელყოფა, კერძოდ, დანაშაულის მიზნის, მოტივის ზუსტად დადგენა, რაც საფუძველი გახდება მკვლელობის სწორი კვალიფიკაციისა.

სასჯელი სს კოდექსის 105-ე მუხლში გათვალისწინებული განზრახ მკვლელობისათვის — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე, გასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ.

დ. განზრახ მკვლელობა შემამსუბუქებელ პირობებში. სს კოდექსის 106-ე და 107-ე მუხლები ითვალისწინებენ განზრახ მკვლელობას შემამსუბუქებელ გარემოებებში.

1. სს კოდექსის 106-ე მუხლში მოცემულია **განზრახ მკვლელობა, ჩადენილი უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების დროს,** რომელიც გამოწვეულია დამნაშავის ან მისი ახლობლების მიმართ დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით.

განზრახ მკვლელობის ამ მუხლით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია **ერთდროულად** არსებობდეს შემდეგი სამი პირობა: ა) დამნაშავე მკვლელობის ჩადენისას უნდა იმყოფებოდეს ძლიერი სულიერი აღელვების (ე. წ. ფიზიოლოგიური აფექტის) მდგომარეობაში, როდესაც მას ერთგვარად შეზღუდული, შესუსტებული ჰქონდა უნარი კონტროლი გაეწია და ეხელმძღვანელა საკუ-

---

[1] უკრაინის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, ტაჯიკეთის, ლატვიის, ლიტვის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, ესტონეთის სს კოდექსები ითვალისწინებენ მკვლელობის ნაკლებად საშიშ სახეს — დედის მიერ ახალშობილი ბავშვის (ჩვილის) მკვლელობას. სხვა დანარჩენი რესპუბლიკების სს კოდექსები არ გამოყოფენ ასეთ მკვლელობას დანაშაულის დამოუკიდებელ შედგენილობად და განიხილავენ მას მკვლელობად საერთო საფუძველზე.

თარი მოქმედებისათვის [1]; ბ) აღელვება აღძრული უნდა იყოს უეცრად, ერთბაშად და მას უმალვე ან უმნიშვნელო დროის გასვლის შემდეგ უნდა მოჰყვეს მკვლელობა (თუ აღელვების გამომწვევ უკანონო ძალადობის ან შეურაცხყოფის მომენტიდან გასულია მნიშვნელოვანი დრო, მკვლელობა 106-ე მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება), და ბოლოს, გ) მკვლელის ძლიერი სულიერი აღელვება გამოწვეული უნდა იყოს დაზარალებულის მიერ მისი ან ახლობლების მიმართ უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით. ძალადობა შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური (გარტყმა, ცემა და ა. შ.), ასევე ფსიქიკური (მუქარა). საკითხს იმის შესახებ, მძიმეა შეურაცხყოფა თუ არა, გადაწყვეტს სასამართლო ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსახილველი საქმის გარემოებათა საფუძველზე.

ამრიგად, თუ მკვლელობა ჩადენილია ისეთი ძლიერი სულიერი აღელვების შედეგად, რაც გამოწვეული იყო არა დაზარალებულის, არამედ სხვა პირის მიერ ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით, იგი 106-ე მუხლით გათვალისწინებულ შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობად ვერ ჩაითვლება.

მოქმედი სს-ის კოდექსისათვის დამახასიათებელია ის სიახლე, რომ უკანონო ძალადობის თუ მძიმე შეურაცხყოფის მიყენებას დაზარალებულის მიერ უშვებს არა მარტო დამნაშავის (ე. ი. მკვლელის) მიმართ, როგორც ეს იყო დადგენილი ადრე მოქმედი კოდექსით, არამედ დამნაშავის ახლობლების მიმართაც. კანონის ასეთი კონსტრუქცია უფრო მართებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ძლიერი სულიერი აღელვება სავსებით დასაშვებია გამოწვეული იყოს არა მხოლოდ თვით დამნაშავის (მკვლელის) მიმართ უკანონო ძალადობით თუ მძიმე შეურაცხყოფით, არამედ ასეთი მოპყრობით მისი ახლობლების (დედის, მამის, მეუღლის, შვილის და ა. შ.) მიმართაც.

სასჯელი 106-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე.

ძლიერი სულიერი აღელვების პირობებში ჩადენილი მკვლელობისათვის საკმაოდ შემსუბუქებული სასჯელის დადგენის საფუძველი ისაა, რომ ეს დანაშაული ფაქტიურად წარმოადგენს საპასუხო მოქმედებას დაზარალებულის კანონსაწინააღმდეგო ქცევაზე.

უკეთუ მკვლელობა ჩადენილია ისეთი ძალადობის გამო დაზა-

---

[1] უკეთუ პირს არ შეეძლო საერთოდ ანგარიში გაეწია თავისი თავისათვის საკუთარ მოქმედებაში ან ეხელმძღვანელა ამ მოქმედებისათვის, იგი შეურაცხდა, ამყოფება პათოლოგიურ-ფაქტის მდგომარეობაში და სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვერ მიეცემა.

რალებულის მხრივ, რომელიც თავისი ხასიათით აუცილებელი მოგერიების უფლებას ქმნიდა, იგი განიხილება აუცილებელი მოგერიების შესახებ წესების შესაბამისად.

2. შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მეორე სახე მოცემულია სსკ კოდექსის 107-ე მუხლში. ასეთს წარმოადგენს მკვლელობა, ჩადენილი ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი მ ო გ ე რ ი ე ბ ი ს ფ ა რ გ ლ ე ბ ი ს გ ა დ ა ც ი ლ ე ბ ი ს დ რ ო ს.

იმის გასარკვევად თუ, ერთი მხრივ, რა მოქმედება ჩაითვლება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილად და, მაშასადამე, მართლზომიერად, ხოლო, მეორე მხრივ, — აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებულად და ამიტომ დასჯადად. ჩვენ უნდა მივმართოთ სსკ კოდექსის ზოგად ნაწილს, რომლის მე-15 მუხლი შემდეგნაირად აშუქებს ამ საკითხს: „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც, თუმცა, შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ე. ი. საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების, საზოგადოებრივი ინტერესების, მომგერიებლის ან სხვა პირის პიროვნებისა თუ უფლებების დაცვისას საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან, ხელმყოფისათვის ზიანის მიყენების გზით, თუ ამასთან გადაცილებული არ იყო აუცილებელ მოგერიების ფარგალი.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად ჩაითვლება დაცვის აშკარა შეუსაბამობა ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან".

ამას გარდა, კოდექსის 107-ე მუხლის პრაქტიკაში გამოყენებისას სავალდებულოა ხელმძღვანელობა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1956 წ. 23 ოქტომბრის დადგენილებით „სასამართლო პრაქტიკის ნაკლოვანებების შესახებ საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებულია აუცილებელი მოგერიების შესახებ კანონმდებლობის გამოყენებასთან" [1]. ამ დადგენილებაში ახლებურად ირის დასმული და გადაჭრილი მთელი რიგი საკითხები აუცილებელი მოგერიების შესახებ და ამიტომ სასამართლო პრაქტიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა.

აღნიშნულ დადგენილებაში სხვათა შორის ნათქვამია: „...საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, კანონი უფლებას ანიჭებს მოქალაქეებს აქტიურად დაიცვან

---

1 იხ. «Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1963», 1964, გვ. 178—185.

თავი ხულიგნებისაგან, მძარცველების, ბანდიტებისა და სხვა დამნაშავეებისაგან ისეთი მოქმედების შესრულებით, რაც სხვა პირობებში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს, მაგრამ თავდასხმის აცილებისას მართლზომიერია... ცალკეული სასამართლოები, არასწორად ესმით რა კანონი, ფიქრობენ, რომ იმ პირს, ვისაც თავს დაესხნენ, არა აქვს უფლება აქტიურად დაიცვას თავი, უკეთუ მას შესაძლებლობა აქვს გაქცევით უშველოს თავს (პლენუმი ასეთ თვალსაზრისს თვლის საბჭოთა მორალისა და სოციალისტური მართლშეგნების პრინციპებისათვის უცხოდ. ბ. ფ.)... კანონის თანახმად, თავდასხმისაგან დასაცავად შესრულებული მოქმედება მომგერიებლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოიწვევს მხოლოდ აუცილებელ მოგერიების საზღვრის გადაცილების შემთხვევაში, ე. ი. როდესაც საქმით დადგენილი იქნება, რომ მომგერიებელმა დაცვას მიმართა ისეთი საშუალებითა და მეთოდებით, რომელთა გამოყენება აშკარად არ გამომდინარეობდა არც თავდასხმის ხასიათიდან, არც რეალური გარემო ვითარებიდან და აუცილებლობის გარეშე მიაყენა თავდამსხმელს მძიმე ზიანი... აუცილებელი მოგერიების ფარგლის გადაცილების ნიშნების არსებობის თუ არარსებობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოები მექანიკურად არ უნდა გამოდიოდნენ, როგორც მოგერიებისა და თავდასხმის საშუალებათა თანაზომიერების, აგრეთვე მოგერიებისა და თავდასხმის ინტენსიობის თანაზომიერების მოთხოვნიდან, არამედ უნდა გაითვალისწინონ როგორც იმ საშიშროების ოდენობა და ხასიათი, რაც მომგერიებელს ემუქრებოდა, ასევე თავდასხმის მოსაგერიებლად მომგერიებლის ძალა და შესაძლებლობა..." [1].

მართალია, მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით სუბიექტური მხრივ მეტწილად განზრახი (როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი) ბრალით ხასიათდება, მაგრამ არ არის გამორიცხული მისი გაუფრთხილებლობით ჩადენა. ამ

[1] სოღნაღის რაიონის სახ. სასამართლომ დამნაშავედ ცნო დ. მოქ. ა. მკვლელობაში აუცილებელი მოგერიების ფარგლის გადაცილებით. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ეს საქმე წარმოებით შეწყვიტა შემდეგი საფუძვლის გამო: მოქ. ა. სასადილოში საჯაროდ უხვში გამოთქმებით მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა დ.-ს. უკანასკნელის წინადადებაზე — შეეწყვიტა უხვშობა — დაზარალებულმა მას სახეში გაარტყა, ხოლო შემდეგ ყელში ეცა და ახრჩობდა. დ.-ს ცდა—დასხლტომოდა ხელიდან მოძალადეს — უნაყოფო გამოდგა, რადგან, იგი მასზე გაცილებით მძლავრი იყო. მაშინ დ-მ ამოიღო ჯიბიდან ჯაყვა და ჩასცა ა.-ს მუცელში, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. ამრიგად, დ.-ზე თავდასხმა და მისთვის სიცოცხლის მოსპობის მუქარა რეალური იყო, ხოლო თვით იგი თავდასხმისაგან განთავისუფლების საშუალებას მოკლებული, მხოლოდ ფაქტ

დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენისას პირს არა აქვს შეგნებული, რომ თავდამსხმელს აყენებდა მძიმე ზიანს, აშკარად შეუსაბამოს ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან, ვერ ითვალისწინებდა თავისი მოქმედების შედეგის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს, მაგრამ შეეძლო და ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა, მაგალითად, დაარტყა რა დანა ხელმყოფს, მომგერიებელი ფიქრობდა მისთვის მხოლოდ სხეულის მსუბუქი დაზიანების მიყენებას, მაგრამ დარტყმის მიმართულების უსწოროდ წარმართვის შედეგად მოკლა ის. ასეთ შემთხვევაში დანაშაული სუბიექტური მხრივ ხასიათდება გაუფრთხილებელი ბრალით, მისი დაუდევრობის სახით უკეთუ მომგერიებელი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების შედეგად ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან აშკარად შეუსაბამო მძიმე ზიანის მიყენების შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მის თავიდან აცილებას, საქმე გვექნება აგრეთვე გაუფრთხილებელ ბრალთან, მაგრამ თვითიმედოვნების სახით.

მკვლელობა, ჩადენილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს 107-ე მუხლით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

ე. **გაუფრთხილებლობით მკვლელობა.** მკვლელობა, ჩადენილი გაუფრთხილებლობით, გათვალისწინებულია სს კოდექსის 108-ე მუხლში.

გაუფრთხილებლობას მკვლელობის შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მისი ორივე სახით: ა) დაუდევრობით, ე. ი. როდესაც პირი არ ითვალისწინებდა თავისი მოქმედების მძიმე შედეგს (დაზარალებულის სიკვდილის შესაძლებლობას), მაგრამ საქმის გარემოებათა მიხედვით მას შეეძლო და ვალდებული იყო წინდახედულობა გამოეჩინა და ასეთი შედეგის შესაძლებლობა გაეთვალისწინებინა (მაგალითად, პირს მიწაზე ხელიდან დაუვარდა დამუხტული რევოლვერი და ამის შედეგად გასროლილი ტყვიით მოკლა გამვლელი მოქალაქე) და ბ) თვითიმედოვნებით, ე. ი. როდესაც პირი, თუმცა ითვალისწინებდა თავისი მოქმედების მძიმე შედეგს (ვინმეს სიკვდილს), მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა, რომ

იცავდა, მაშასადამე, დ.-ს არ გადაუცილებია აუცილებელი მოგერიების ფარგლისათვის და მის მოქმედებაში დანაშაულის ნიშნები არ მოიპოვება (იხ. ჟ. „Социалистическая законность", 1958, № 8, გვ. 93). ანალოგიური საკითხის შესახებ მართებული დადგენილება აქვს გამოტანილი აგრეთვე საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს ო.-ს ბრალდების საქმეზე (ჟ. „საბჭოთა სამართალი", 1964, № 5, გვ. 93-94).

მოცემულ შემთხვევაში ამა თუ იმ გარემოებათა გამო ასეთ შედეგს თავიდან აიცდენდა (მაგალითად, ეჭიმმა, სურდა რა გამოეცადა ახალი წამალი თუ მკურნალობის მეთოდი, შოკლა ავადმყოფი და სხვ.).

ამრიგად, პირველ შემთხვევაში მოქმედებასა და გარკვეულ მძიმე შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი პირს არა აქვს შეგნებული, ხოლო მეორე შემთხვევაში პირს თუმცა აქვს ასეთის შეგნება, მაგრამ ვარაუდობს, რომ გარკვეული ფაქტორების თანხმარებით ასეთი შესაძლებელი კავშირი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ განხორციელდება.

მართალია, თვითმოქმედოვნების სახით ჩადენილი გაუფრთხილებელი მკვლელობა მეტ საშიშროებას წარმოადგენს დაუდევრობის სახით ჩადენილ მკვლელობასთან შედარებით, მაგრამ კანონი სასჯელის ზომის მხრივ არ ასხვავებს მათ ერთმანეთისაგან[1].

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გამორიცხულია, უკეთუ პირი არ ითვალისწინებდა დაზარალებულის სიკვდილის შესაძლებლობას თავისი მოქმედების შედეგად და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა ამგვარი შედეგი. ასეთი შემთხვევა განხილულ უნდა იქნეს უბედურ შემთხვევად, არაბრალეულად.

საკითხი იმის შესახებ — კონკრეტულ შემთხვევაში გაუფრთხილებლობით მკვლელობას აქვს ადგილი თუ არაბრალეულ უბედურ შემთხვევას — გადაწყდება საქმის ერთობლივად აღებული ყველა გარემოების ღრმა შესწავლისა და შეფასების საფუძველზე, ამასთან, მხედველობაშია მისაღები როგორც იმ პირის სუბიექტური თვისებანი, რომლის მოქმედებამაც გამოიწვია დაზარალებულის

---

[1] ამით განსხვავდება ახალი კოდექსის 108-ე მუხლი ადრე მოქმედი კოდექსის 148-ე მუხლისაგან, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი ნაწილი ითვალისწინებდა გაუფრთხილებლობით მკვლელობას დაუდევრობის სახით, ხოლო მეორე — მის მაკვალიფიცირებელ სახეს, სახელდობრ, ჩადენილს თვითმოქმედოვნებით („უკეთუ გაუფრთხილებელი მკვლელობა შედეგი იყო გამაფრთხილებელი წესების შეგნებულად შეუსრულებლობისა").

ვფიქრობთ, სრულიად მართებულია ლიტვის, მოლდავეთის, ყირგიზეთის და ტაჯიკეთის სსრ სს კოდექსების შესაბამისი ნორმები, რომელთა ძალით გაუფრთხილებლობით მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია გაუფრთხილებლობით მკვლელობა, უკეთუ იგი შედეგი იყო გამაფრთხილებელი წესების შეგნებულად შეუსრულებლობისა, ან ორი და მეტი პირის მკვლელობა (იხ. შესაბამისად 109-ე, 93-ე, 99-ე, 109-ე მუხლები). ბელორუსიის და თურქმენეთის სსრ სს კოდექსებიდ დამამძიმებელ გარემოებად აღიარებულია ორი ან მეტი პირის გაუფრთხილებლობით მკვლელობა (იხ. შესაბამისად 104-ე და 111-ე მუხლები).

სიკვდილი, ასევე ყველა ობიექტური გარემოება, რომელთა არსებობისას დადგა სიკვდილი; გასათვალისწინებელია აგრეთვე ასეთი პირის პროფესიის წესები: რამდენად არის იგი დაუფლებული სპეციალურ ცოდნას, მისი განვითარებისა და შეგნებულობის დონე და ა. შ.

ზოგიერთი განზრახ მოქმედების შედეგად გაუფრთხილებლობით დამდგარი სიკვდილის შემთხვევებს სს კოდექსი მთელ რიგ სხვა მუხლებშიც ითვალისწინებს; ასე, მაგალითად, 110-ე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, თუ მან სიკვდილი გამოიწვია, 241-ე მუხლის მესამე ნაწილში — ტრანსპორტის მუშაკის მიერ მოძრაობის უშიშროების ან ექსპლოატაციის წესების დარღვევა, რასაც სიკვდილი მოჰყვა და სხვ.

გაუფრთხილებლობით მკვლელობა სს კოდექსის 108-ე მუხლის ძალით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

ვ. თვითმკვლელობამდე მიყვანა. თვითმკვლელობამდე მიყვანა, რასაც სს კოდექსის 109-ე მუხლი ითვალისწინებს, ახლო დგას, ემიჯნება დანაშაულს სიცოცხლის წინააღმდეგ, რამდენადაც დამნაშავის ქმედობას საბოლოო ჯამში მოჰყვება დაზარალებულის სიკვდილი.

დანაშაულის ობიექტია იმ პირის სიცოცხლე, რომელიც სასტიკი მოპყრობით ან მისი პირადი ღირსების სისტემატურად დამცირებით მიყვანილ იქნა თვითმკვლელობამდე ანდა თვითმკვლელობის ცდამდე. ხოლო სუბიექტი — მარტოოდენ 16 წ. ასაკს მიღწეული ის პირი, რომელზედაც დაზარალებული დამოკიდებული იყო მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად.

მატერიალური დამოკიდებულება არსებობს მაშინ, როდესაც პირი იმყოფება მეორე პირის მთლიან ან ნაწილობრივ ქმაყოფაზე. სამსახურებრივი დამოკიდებულება ნიშნავს უფროს-უმცროსობას, თანამდებობრივ დაქვემდებარებას სამუშაო ადგილის მიხედვით, ხოლო „სხვაგვარი დამოკიდებულება" გულისხმობს მოწაფის დაქვემდებარებას მასწავლებლისადმი, ავადმყოფისა — ექიმისადმი და ა. შ. ასეთი დამოკიდებულების დაუდგენლობა იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული სპეციალური სუბიექტი და, მაშასადამე, არც დანაშაულის შედგენილობა [1].

---

[1] აღსანიშნავია, რომ უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, სომხეთის, თურქმენეთის და ესტონეთის სსრ სს კოდექსების მიხედვით, განსახილველი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება დამდგარი შედეგის მიმართ გაუფრთხილებელი ბრალით ან არაპირდაპირი განზრახი ბრალით. იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტს სურდა დაზარალებულის სიკვდილი. და ამ მიზნის მიღწევისათვის მისდამი სასტიკი მოპყრობა ან მისი პირადი ღირსების სისტემატურად დამცირება საშუალებად გამოიყენა და კიდევაც მიიღო სასურველი შედეგი, ქმედობა განხილულ უნდა იქნეს როგორც განზრახი მკვლელობა (და არა თვითმკვლელობამდე მიყვანა) და კონკრეტული საქმის გარემოებათა მიხედვით დაკვალიფიცირდეს სს კოდექსის 104-ე ან 105-ე მუხლით.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება დაზარალებულისადმი სასტიკ მოპყრობაში ან მისი პირადი ღირსების სისტემატურად დამცირებაში.

სასტიკი მოპყრობა ნიშნავს ცემას, დევნას, საკვების ხანგრძლივად მიუცემლობას და ა. შ., პირადი ღირსების სისტემატურად დამცირება — მძიმე სახის შეურაცხყოფას, ცილისწამებას, პატივისა და ღირსების ტლანქად შელახვას.

დანაშაულის შედგენილობისათვის აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა აღწერილი სახის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს (ე. ი. თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანას) შორის.

იმ შემთხვევაში, თუ თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის ცდა ჩადენილ იქნა თუნდაც პირადი ურთიერთობის ნიადაგზე დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის, მაგრამ ეს არ იყო შედეგი დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობისა ან მისი პირადი ღირსების სისტემატურად დამცირების, ამასთან დაზარალებული ბრალდებულისაგან მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული არ იყო — დანაშაულის შედგენილობა არ იქნება. სს კოდექსის 109-ე მუხლით პირის პასუხისგებაში მიცემისათვის აუცილებელია ორივე დასახელებული პირობის ერთად არსებობა. თუნდაც ერთი მათგანის დაუდგენლობა გამორიცხავდეს დანაშაულის შედგენილობას.

ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლომ დამნაშავედ ცნო ბ. მოქ. ლ. თვითმკვლელობამდე მიყვანისათვის იმის გამო, რომ დაზარალებულთან ინტიმური, კავშირის გაწყვეტის შემდეგ უკანას-

---

ოყოს ოგრეთვე ისეთი პირი, რომლისგანაც დაზარალებული არ იყო მატერიალურად თუ სხვაგვარად დამოკიდებული (იხ. შესაბამისად 99-ე, 105-ე, 87-ე, მე-100, 94-ე, 104-ე, მე-100, 104-ე, 112-ე, 106-ე მუხლები).

კნელმა თავი ჩამოიხრჩო თოკით. საქ. სსრ უმაღლესმა სასამართ-ლოს პრეზიდიუმმა ეს საქმე წარმოებით შეწყვიტა ბ. ქმედობაში დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო და თავის დადგენილებაში აღნიშნა: „თვითმკვლელობამდე მიყვანას ადგილი აქვს მაშინ, რო-დესაც დაზარალებულის მიმართ გამოყენებულია სიმკაცრე ან სხვა რამ ბოროტი ზემოქმედება ისეთი პირის მიერ, ვისგანაც იგი მატე-რიალურად ან სხვა რამ სახით დამოკიდებულია. ლ. მატერიალუ-რად დამოკიდებული არ იყო ბ.-საგან. ამ უკანასკნელს რაიმე სიმ-კაცრე, უხეშობა ან ბოროტი ზეგავლენა დაზარალებულის მიმარ-ი არ გამოუყენებია...“ [1].

ზოგჯერ ადვილად აღმგზნებადი, ფსიქოპატიური ან სუსტი ნების-ყოფის ადამიანი თვითმკვლელობას მიმართავს ოჯახური ურთიერ-თობის ნიადაგზე, მაგალითად, ქალი მოიკლავს თავს იმიტომ, რომ იეჭვიანა ქმრის სხვა ქალთან დამოკიდებულება ან იმის გამო, რომ ქმარმა, რომელიც სხვა რაიონში მუშაობდა, დაიგვიანა შინ დაბრუ-ნება, ანდა კიდევ დაშორდა მას და სხვა ამდაგვარი მიზეზის გამო. ასეთ შემთხვევაში ქმარი ვერ მიეცემა პასუხისგებაში სს კოდექსის 109-ე მუხლით, რადგან არ არსებობს ამ მუხლის მოთხოვნა — და-ზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობა ან მისი პირადი ღირსების სისტემატური დამცირება. თვითმკვლელობამდე მიყვანა 109-ე მუხლით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე.

§ 8. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ა. სხეულის დაზიანება. სხეულის დაზიანების ზოგადი ცნება. სხეულის დაზიანებად ჩაითვლება ადამიანის სხეულის, სისტემების, ორგანოების და ქსოვილების ანატომიური მთლიანობის ან ფიზიო-ლოგიური ფუნქციის კანონსაწინააღმდეგო დარღვევა განზრახ ან გაუფრთხილებლობით.

სხეულის დაზიანება ყოველთვის გულისხმობს მეორე ადამია-ნის ჯანმრთელობაზე ხელყოფას; ამიტომ ამ დანაშაულის ო ბ ი-ე ქ ტ ს წარმოადგენს მხოლოდ მეორე ადამიანის ჯანმრთელობა. უკეთუ პირმა თავისი საკუთარი სხეული დაიზიანა, ქმედობა, რო-გორც წესი, დანაშაულად არ ჩაითვლება. გამონაკლისს შეადგენს საკუთარი სხეულის დაზიანება საზოგადოებრივად საშიში მიზნის მისაღწევად. ასე, მაგალითად, თუ პირმა საკუთარი სხეული დაიზი-ანა ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისაგან თავის არიდების მიზნით, ქმედობა დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 81-ე

[1] იხ. „საბჭოთა სამართალი“, 1958, № 2, გვ. 77-78.

მუხლის მეორე ნაწილით, ხოლო სამხედრო მოსამსახურის მიერ თავისთვის რაიმე ზიანის მიყენება (ასოთდაზიანება) სამხედრო სამსახურის შოვალეობის შესრულებისათვის თავის არიდების მიზნით — 267-ე მუხლით.

ობიექტური მხრივ სხეულის დაზიანება გულისხმობს ადამიანის ჯანმრთელობისათვის რაიმე ზიანის მიყენებას, ამა თუ იმ სახის ცელილების გამოწვევას მისი ორგანიზმის ანატომიურ მთლიანობაში ან ფიზიოლოგიურ ფუნქციაში.

სხეულის დაზიანების გამომწვევი საშუალებანი მრავალგვარია. იგი შეიძლება შედეგი იყოს მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური, ინფექციური და სხვ. ფაქტორების ზეგავლენისა, ზოგჯერ აგრეთვე გამოწვეული ფსიქიკური ინსულტებით (მაგ., ადამიანზე ფსიქიკური ზეგავლენის მოხდენა მუქარით, დაშინებით, რამაც მისი ნერვული სისტემის მოშლა გამოიწვია).

დანაშაულის შედგენილობისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა საშუალებით, რა იარაღით არის სხეული დაზიანებული; ამ გარემოებას შეიძლება მიეცეს მნიშვნელობა დამნაშავე პირის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის დადგენისა და ამის საფუძველზე მისთვის სასჯელის ზომის შერჩევისათვის.

დანაშაული შეიძლება გამოიხატოს როგორც აქტიურ მოქმედებაში, ასევე უმოქმედობაშიც, როდესაც პირი ვალდებული იყო სამსახურებრივი მდგომარეობით ან სხვა საფუძვლით ემოქმედნა დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანების აღსაკვეთად (მაგალითად, ექიმი არ უწევს ავადმყოფს ჯეროვან მკურნალობას).

დამნაშავემ შესაძლოა სხვა პირის სხეული დააზიანოს როგორც პირადად (რაიმე იარაღით, ქვის დარტყმით და სხვ.), ასევე ცხოველის, ბავშვის ან ფსიქიკურად დაავადებული ადამიანის გამოყენებით. ამ მიზნის მისაღწევად ზოგჯერ ისეთი ხერხითაც სარგებლობენ, როგორიც არის დაზარალებულის იძულება, რომ მან თვით შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება და ამის გამო მის ჯანმრთელობას ზიანი მიაყენოს.

დანაშაულის შედგენილობისათვის აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის არსებობა სუბიექტის მოქმედებასა (ან უმოქმედობას) და დამდგარ შედეგს (სხეულის დაზიანება) შორის; ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხეულის დაზიანება შეიძლება, ერთი მხრივ, პირდაპირი, უშუალო შედეგი იყოს დამნაშავის მოქმედებისა (მაგალითად, მახვილი იარაღით დაზარალებულისათვის თითის, ყურის ან სხვა ორგანოს მოკვეთა), ხოლო, მეორე მხრივ, — ასეთი მოქმედების შუალობითი ზეგავლენისა (მაგალითად, შიყენებული და-

ზიანების გართულების შედეგად დაზარალებულის დამბლადაცემა ან მისთვის ხელის ან ფეხის მოკვეთა). ცხადია, ორივე შემთხვევაში არსებობს მიზეზობრივი კავშირი მოქმედებასა და შედეგს შორის და, მაშასადამე, დანაშაულის შედგენილობაც. ს უ ბ ი ე ქ ტ ი სხეულის განზრახ დაზიანებისა, რამაც ჯანმრთელობის შერყევა გამოიწვია (110-ე, 111-ე, 112-ე მუხლის პირველი ნაწ., 113-ე და 114-ე მუხლები), შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი 14 წლის ასაკიდან, ხოლო სხეულის დაზიანების დანარჩენ შემთხვევებში — 16 წლის ასაკიდან.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ე სხეულის დაზიანება შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ (პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვით), ასევე გაუფრთხილებლობით (დაუდევრობის და თვითიმედოვნების სახით).

სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის ან ხელისუფლების წარმომადგენლის სხეულის მძიმე დაზიანება მის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით, დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 67-ე მუხლის მეორე ნაწილით, ხოლო უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის სხეულის მძიმე დაზიანება ომის პროვოკაციის ან საერთაშორისო გართულების მიზნით — 68-ე მუხლის მეორე ნაწილით. შემდეგ, სხეულის მსუბუქი დაზიანება, ცემა ან სხვა ძალადობა თანამდებობის პირის ან საზოგადოებრივი მუშაკის მიმართ მის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის აღსრულებასთან დაკავშირებით, დაკვალიფიცირდება 209-ე მუხლის მეორე ნაწილით. ხოლო ძალადობა, კერძოდ სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მსუბუქი დაზიანება მილიციის მუშაკისა ან სახალხო რაზმელისა — 207¹-ე მუხლის მეორე ნაწილით.

სხეულის დაზიანება ჩადენილი ხულიგნური ქვენა გრძნობით, როგორც წესი, ჩაითვლება ხულიგნობად და დამატებით სს კოდექსის სხვა მუხლის შეფარდება საჭირო არ არის. გამონაკლისს შეადგენს ხულიგნური ქვენა გრძნობით სხეულის მძიმე დაზიანება. ასეთი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით როგორც სხეულის მძიმე დაზიანება (110-ე მუხლი) და ხულიგნობა (228-ე მუხლი).

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ასხვავებს სხეულის დაზიანებას როგორც ბრალის ფორმების მიხედვით (ე. ი. განზრახ არის იგი ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით), ასევე დაზიანების სიმძიმითაც, ხარისხით, იმით, თუ რა ვნება და ზიანი მიიღო ადამიანმა

მისი სხეულის დაზიანების შედეგად. აქედან გამომდინარე კოდექსი ითვალისწინებს:

1. სხეულის დაზიანებას განზრახ (სსკ 110-ე, 111-ე, 112-ე მუხლები) და გაუფრთხილებლობით (115-ე მუხლი); ამას გარდა სხეულის დაზიანება ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (113-ე მუხლი) და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს (114-ე მუხლი).

2. დაზიანების სიმძიმის მიხედვით: სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას (110-ე მუხლი), სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას (111-ე მუხლი) და სხეულის განზრახ მსუბუქ დაზიანებას (112-ე მუხლი)

3. კოდექსი გამოყოფს აგრეთვე ჯანმრთელობისათვის ზიანის მიმყენებელ ისეთ ქმედობებს, როგორიც არის: ცემა და წამება (116-ე მუხლი) და ეენერიული სენის შეყრა (122-ე მუხლი).

სხეულის დაზიანების სიმძიმის დასადგენად, ე. ი. იმის გამოსარკვევად—დაზიანება მძიმე, ნაკლებად მძიმე თუ მსუბუქ კატეგორიას მიეკუთვნება — სავალდებულოა ხელმძღვანელობა წესებით სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისათვის, რომელიც დამტკიცებულია 1965 წლის 20 აპრილს საქ. სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მიერ და შეთანხმებულია საქ. სსრ პროკურატურასთან, უმაღლეს სასამართლოსთან და საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიასთან.

ბ. **სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება.** სს კოდექსის 110-ე მუხლი სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებად თვლის ისეთ დაზიანებას, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ან რომელსაც მოჰყვა მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ან სულიერი ავადმყოფობა, ან ორსულობის შეწყვეტა, ან ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა, დაკავშირებული შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან სულ ცოტა ერთი მესამედით, აგრეთვე სახის წარუშლელი დამახინჯება.

სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება ხასიათდება მძიმე, საშიში სიმპტომებით, რაც იმას მოწმობს, რომ დაზიანება სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან ორგანოებს შეეხება და არსებობს სიკვდილის უშუალო საშიშროება. ბევ შემთხვევაში ასეთი დაზიანება სიკვდილს იწვევს, ზოგჯერ კი საშიში სიმპტომები ნელდება (დროული დახმარების აღმოჩენის, ორგანიზმის კარგი დაცვითუნარიანობის და სხვ. გამო), დაზარალებულის საერთო მდგომარეობა უმჯობესდება და შესაძლოა არც მოჰყვეს რაიმე ურყევი მოშლილობა ადამიანის ჯანმრთელობისა. მიუხედავად ამისა, დაზიანება მძიმედ ჩაითვლე-

ბა იმ საშიშროების გამო, რასაც იგი წარმოადგენდა სიცოცხლისათვის მისი მიყენების მომენტში. ასეთ დაზიანებად ჩაითვლება, მაგალითად: ქალას სარქველის ძვლებისა და ქალას ფუძის მოტეხილობა; დაზიანებანი, შემავალი — ქალას, გულმკერდის, მუცლის ღრუებში და აგრეთვე ხერხემლის არხში; აორტის, საძილე არტერიის, ლავიწქვეშა, მხრის, ბარძაყის, შუბლის და სხვა მსგავსი მსხვილი არტერიების და აგრეთვე მათი შესაბამისი ვენების ჭრილობები; შინაგანი ორგანოებისა და სისტემების დახურული დაზიანებანი (ფილტვის, ღვიძლის, თირკმლის, საშვილოსნოს გაგლეჯა, ტვინის დაჟეჟილობა, ტვინში სისხლჩაქცევა და ა. შ.); მენჯის ძვლების მოტეხილობა, ხერხემლის მოტეხილობა, ნეკნების მრავლობითი (4 და მეტი) მოტეხილობა ან ნეკნის მოტეხილობა პლევრის ღრუში სისხლჩაქცევით და ა. შ.

სხეულის მძიმე დაზიანებად ჩაითვლება აგრეთვე მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს, ან მისი ფუნქციის დაკარგვა. მხედველობის დაკარგვა ნიშნავს ახლო საგნების დანახვის თუ გარჩევის უნარის სამუდამო დაკარგვას; ამასთან მნიშვნელობა არა აქვს თვალი ამოვარდნილია თავის ბუდიდან თუ არა, აგრეთვე—მხედველობა დაკარგულია ორივე თვალში თუ ერთ თვალში (რადგან ერთ თვალში მხედველობის დაკარგვა იწვევს შრომის უნარის სულ მცირე ერთი მესამედით დაკარგვას). სმენის დაკარგვის ქვეშ იგულისხმება ისეთი განუკურნებელი მდგომარეობა, როდესაც დაზარალებულს არ შეუძლია გაიგონოს ძლიერ ახლო მანძილიდან (ყურის ნიჟარიდან 3—5 სმ დაშორებით) ხმამაღალი ლაპარაკი. სმენის დაკარგვა ერთ ყურში მიეკუთვნება სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებას. სხვა ორგანოებად ჩაითვლება ფეხი, ხელი, ენა, სასქესო ორგანოები და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ სხეულის მძიმე დაზიანებად ჩაითვლება ამ ორგანოების არა მარტო დაკარგვა, არამედ მათი ფუნქციის მოშლაც, მაგალითად, ფეხი ან ხელი არ არის ადამიანის სხეულს მოწყვეტილი, მაგრამ მოქმედების უნარი დაკარგული აქვს; შემდეგ, დაზარალებულს განუკურნებლად აქვს წართმეული შეტყველების უნარი (ე. ი. მსმენელისათვის გასაგები გარკვეული ბგერებით აზრების გამოთქმის უნარი), სქესობრივი აქტის წარმოების, განაყოფიერების, ჩასახვისა და მშობიარობის უნარი და ა. შ.

სულიერი ავადმყოფობა გაგებულ უნდა იქნეს როგორც დაზარალებულის ფსიქიკური შერყევა, გამოწვეული სხეულის დაზიანების შედეგად ან მასთან დაკავშირებით. ამასთან არა აქვს მნიშვნელობა ასეთი ავადმყოფობა მუდმივი ხასიათისაა თუ დროებითი.

ორსულობის შეწყვეტა სხეულის მძიმე დაზიანებად ჩაითვლება, თუ იგი იყო შედეგი შიუენებული დაზიანებისა (ამასთან არ ყოფილა დაკავშირებული დაზარალებულის ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებთან) და დამნაშავისათვის ცნობილი იყო დაზარალებულის ყოფნა ორსულობის მდგომარეობაში.

კანონით (სსკ 110-ე მუხლი) სხეულის მძიმე დაზიანებად ჩაითვლება აგრეთვე ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა, დაკავშირებული შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან სულ ცოტა ერთი მესამედით. სისხლის სამართალში ძირითადი მნიშვნელობა აქვს საერთო შრომისუნარიანობას. შეხედულება, რომ შრომის უნარის დაკარგვად მიჩნეულ იქნეს დაზარალებულის მიერ მხოლოდ თავისი მუდმივი პროფესიის მიხედვით მუშაობის უნარის დაკარგვა[1], უმართებულოა. სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისას მნიშვნელობა უნდა მიეცეს დაზარალებულის არა მარტო პროფესიული შრომის უნარის, არამედ საერთო შრომისუნარიანობის დაკარგვას[2]. წინააღმდეგ შემთხვევაში დაზიანების სიმძიმე დამოკიდებული იქნებოდა არა დამნაშავის მოქმედების ხასიათზე, არამედ დაზარალებულის პროფესიაზე. პროფესიული შრომის უნარის დაკარგვას შეიძლება მნიშვნელობა მიეცეს სამოქალაქო სარჩელის ოდენობისათვის და არა სასჯელის ზომის განსაზღვრისათვის. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, უკეთუ დამნაშავეს განზრახვა ჰქონდა მოესპო მეორე პირისათვის იშვიათი საზოგადოებრივად განსაკუთრებული მნიშვნელობის პროფესიული შრომის უნარი (მაგ., თითების მოკვეთა მარჯვენა ხელზე ქირურგისათვის ან პიანინოზე დამკვრელისათვის), შესაძლებელია სხეულის დაზიანება ჩაითვალოს მძიმედ და დაკვალიფიცირდეს 110-ე მუხლით.

სს კოდექსის 110-ე მუხლში ხაზგასმულია შრომის უნარის მყარ დაკარგვაზე. მაშასადამე, სხეულის მძიმე დაზიანებად მიჩნევისათვის საჭირო არსებობდეს შრომის უნარის სწორედ მყარი დაკარგვა სულ ცოტა ერთი მესამედით. მყარად ჩაითვლება შრომის უნარის დაკარგვა მუდმივად, როდესაც შეუძლებელია მისი აღდგენა ანდა კიდევ თუნდაც არამუდმივად, მაგრამ ხანგრძლივად, საკმაოდ მტკიცედ, მალე აღუდგენლად.

ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა, რაც არ იქნება დაკავშირე-

---

[1] პროფ. ა. ა. პიონტკოვსკის მოსაზრება (იხ. А. А. Пионтковский, В. Д. Меньшагин, Курс советского уголовного права, Особенная часть, 1955, გვ. 578).

[2] ყოველგვარი გაუგებრობის აცილების მიზნით მართებულად უნდა ჩაითვალოს მითითება უზბეკეთის, ლიტვისა და ყირგიზეთის სსრ სს კოდექსებში „საერთო შრომის უნარის" დაკარგვაზე (იხ. შესაბამისად 88-ე, 111-ე და 101-ე მუხლები).

ბული შრომის უნარის ასეთ მყარ დაკარგვასთან, განსახილველი დანაშაულის შედგენილობას ვერ მოგვცემს.

დაბოლოს, სხეულის მძიმე დაზიანებად ჩაითვლება სახის წარუშლელი დამახინჯება. ასეთია დამახინჯება ისეთი საშუალებებით, როგორიც არის თეზაფის ან სხვა ძლიერად მოქმედი სიმჟავის შესხმა, დამდუღვრა, დანით ღრმა ჭრილობის მიყენება და ა. შ., სახის სიმეტრიის, მიმიკის დარღვევა, მისთვის შესაზარი იერის მიცემა. დანაშაულის შედგენილობისათვის აუცილებელია მხოლოდ სახის (და არა სხეულის სხვა ორგანოს) დამახინჯება. წარუშლელია ისეთი დამახინჯება, რომელიც სახეზე სიმახინჯეს დატოვებს მუდმივად, ე. ი. მკურნალობის ჩვეულებრივი წესით (პლასტიკური და კოსმეტიკური ოპერაციული ჩარევის გარეშე) სახისათვის ნორმალური იერის მიცემა შეუძლებელია.

იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რამდენად არის სახე დამახინჯებული, ეკისრება საქმის განმხილავ სასამართლოს და არა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას. უკანასკნელს ევალება მხოლოდ დაადგინოს — წაიშლება, გასწორდება თუ არა დაზარალებულისათვის სახის არეში მიყენებული დაზიანება.

სასჯელი სს კოდექსის 110-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან რვა წლამდე.

იმავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების დამამძიმებელ გარემოებებს. კანონი ასეთად თვლის, თუ დაზიანებამ სიკვდილი გამოიწვია ან ჩადენილია მტანჯავი საშუალებით ან წამებით.

დაზარალებულის სიკვდილი, როგორც შედეგი მისი სხეულის მძიმე დაზიანებისა, 110-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შედგენილობას მოგვცემს მხოლოდ მაშინ, უკეთუ დადგენილია, რომ სუბიექტის ბრალი ამ შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობაში გამოიხატა.

სხეულის დაზიანების ეს სახე არ უნდა იქნეს გაიგივებული გაუფრთხილებლობით მკვლელობასთან, რასაც სს კოდექსის 108-ე მუხლი ითვალისწინებს.

მართალია, როგორც ერთს, ისე მეორე შემთხვევაში დამნაშავის ქმედობა იწვევს დაზარალებულის სიკვდილს გაუფრთხილებლობით, მაგრამ გაუფრთხილებელი მოქმედება, რამაც სიკვდილი გამოიწვია, სს კოდექსის 110-ე მუხლის მეორე ნაწილით დაკვალიფიცირდება მხოლოდ მაშინ, თუ იგი შედეგი იყო სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც პირს არ ჰქონდა სხეულის

მძიმე დაზიანების მიყენების განზრახვა, მაგრამ მისმა ქმედობამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი, საქმე კვალიფიცირებულია 108-ე მუხლით გათვალისწინებულ გაუფრთხილებლობით მკვლელობასთან.

110-ე მუხლის მეორე ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაზარალებულის სიკვდილი, რაც მიზეზობრივ კავშირშია მისი სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებასთან, არ იქნა თავიდან აცილებული საექიმო დახმარების შედეგად, თუმცა მისი აცილება შესაძლებელი იყო[1].

უკეთუ დამნაშავეს ჰქონდა დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობის განზრახვა (პირდაპირი თუ არაპირდაპირი) და ასეთი შედეგი კიდევაც დადგა სხეულის მძიმე დაზიანების მიზეზით, მისი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც განზრახ მკვლელობა.

სს კოდექსის 110-ე მუხლის მეორე ნაწილის შეფარდებისათვის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი მტანჯავი საშუალებით ან წამებით.

მტანჯავია საშუალება, რომელიც დაზარალებულს მძიმე ფიზიკურ ან მორალურ ტკივილებს მიაყენებს ისეთი ხერხით, როგორიც არის, მაგალითად, მისთვის საკვების, წყლის ხანგრძლივად მიუცემლობა. მისი უპაროდ, სარდაფში ცივ ადგილას დატოვება და ა. შ., ხოლო წამებად გაგებული უნდა იქნეს მოქმედება გამიზნული დაზარალებულისათვის განსაკუთრებული ტკივილებისა და მწუხარების მისაყენებლად (სისტემატური ჩქმეტა, გარეზგვა, მრავლობითი დაზიანების მიყენება ბლაგვი, მჩხვლეტავ-ბასრი საგნებით, თერმიული ფაქტორებით და სხვ.).

მტანჯავი საშუალების გამოყენებას ან წამებას, ცხადია, უნდა მოჰყვეს სხეულის მძიმე დაზიანება; სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას ევალება ყოველ ცალკე შემთხვევაში დაადგინოს არა მარტო სხეულის დაზიანების ხარისხი, არამედ დაზიანების მიყენების საშუალებაც.

სასჯელი სს კოდექსის 110-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ათ წლამდე.

აღნიშნული მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას, ჩადენილს განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ. სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე.

ბ. სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება. სხეულის გან-

---

[1] იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР", 1961, №2, გვ. 93—94.

ზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება გათვალისწინებულია სს კოდექსის 111-ე მუხლში.

ამ სახის დაზიანება მიყენების მომენტშიც სიცოცხლისათვის საშიში არ არის, მას არც სხეულის მძიმე დაზიანებისათვის (110-ე მუხლში მოცემული) დამახასიათებელი შედეგი სდევს თან. მაგრამ იგი იწვევს რომელიმე ორგანოს ფუნქციის ხანგრძლივად დარღვევას ან ჯანმრთელობის სხვაგვარ ხანგრძლივ მოშლას, რომელიც დაკავშირებულია შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან ერთ მესამედზე ნაკლებად.

ხანგრძლივად ჩაითვლება რომელიმე ორგანოს ფუნქციის დარღვევა ან ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა შრომის უნარის დაკარგვით არა ნაკლებ 12 დღის განმავლობაში[1]. სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებას მიეკუთვნება, კერძოდ, სმენის მყარი დაკარგვა ერთ ყურში, მეტყველების გაძნელება, ხმის მნიშვნელოვანი შესუსტება, სხეულის ნაწილების რბილი ქსოვილების ღრმა ჭრილობები კუნთების დაზიანებით, რომელსაც დასჭირდა ქირურგიული დამუშავება, მკერდის ძვლის მოტეხილობა, 1—3 ნეკნის მოტეხილობა ცალ მხარეს პლევრისა და შინაგანი ორგანოების დაზიანების გარეშე და ა. შ.

დაზიანება, რამაც გამოიწვია შრომის უნარის მყარი დაკარგვა ერთ მესამედზე ნაკლებად (მხოლოდ არა ნაკლებ 10%-ისა) ყოველ ცალკე შემთხვევაში განისაზღვრება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მეშვეობით.

მართალია, განსახილველი დანაშაულის შედგენილობისათვის სუბიექტური მხრივ საჭიროა დამნაშავეს დაუდგინდეს განზრახვა (პირდაპირი ან არაპირდაპირი) დაზარალებულისათვის სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენებისა, მაგრამ შესაძლებელია ისეთი პირობებიც, როცა, აყენებს რა დაზარალებულს სხეულის დაზიანებას, პირს ზუსტად არა აქვს განსაზღვრული მას სწორედ ასეთი სახის დაზიანება მიაყენოს, არამედ სურდა მისთვის საერთოდ სხეულის დაზიანება სიმძიმის გაუთვალისწინებლად, ხოლო სინამდვილეში მიყენებული დაზიანება ნაკლებად მძიმე აღმოჩნდა. ასეთ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მისი შედეგის მიხედვით, ე. ი. სს კოდექსის 111-ე მუხლით.

სასჯელი სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის სს კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე.

---

[1] სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისათვის რსფსრ მოქმედი წესების მიხედვით—ოთხ კვირაზე მეტი დროის განმავლობაში, ხოლო ყაზახეთში მოქმედი წესების თანახმად — სამიდან თორმეტ კვირამდე.

იმავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულის კვალიფიციურ სახეს: დამამძიმებელ გარემოებად კანონი თვლის აღნიშნული ქმედობის ჩადენას ტანჯვით ან წამებით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 5 წლამდე.

დ. სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება. სხეულის განზრახ მსუბუქ დაზიანებად, რასაც სს კოდექსის 112-ე მუხლი ითვალისწინებს, ჩაითვლება სხეულის ისეთი დაზიანება, რომელმაც გამოიწვია ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა შრომის უნარის დაუკარგავად ან შრომის უნარის ამკარად უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა (112-ე მუხლის პირველი ნაწილი), აგრეთვე დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად (112-ე მუხლის მეორე ნაწილი).

ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლად ჩაითვლება დაზიანების შედეგად რომელიმე ორგანოს ფუნქციის დარღვევა ან დაავადება შრომის უნარის დაუკარგავად ან უმნიშვნელო, არამყარი დაკარგვით; ეს ისეთი დაზიანებაა, რომელიც საჭიროებს მოკლევადიან მკურნალობას (არაუმეტეს 12 დღისა) და მას მოსყვა სრული გაჯანსაღება. მსუბუქ დაზიანებას შეიძლება მოჰყვეს შრომის უნარის უმნიშვნელო და არამყარი დაკარგვაც, ე. ი. შრომის უნარის დაკარგვა 10%-ზე ნაკლები, რაც შემდეგში მთლიანად იქნება აღდგენილი.

სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად (112-ე მუხლის მეორე ნაწილი) ნიშნავს დაზარალებულისათვის სხეულის ზედაპირის უმნიშვნელო დაზიანებას ნაკაწრების, ნაჭდევების, სისხლნაჟღენთების, კანის მცირე ზომის ჭრილობების მიყენებით, რასაც საერთოდ ჯანმრთელობის მოშლა არ გამოუწვევია (და საექიმო დახმარების აღმოჩენას არ საჭიროებდა).

სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება გვექნება არა მარტო მაშინ, როდესაც სუბიექტის განზრახვა მიმართული იყო დაზარალებულისათვის სწორედ ამ სახის, ე. ი. მსუბუქი დაზიანების მიყენებისაკენ, არამედ მაშინაც, როდესაც განზრახვის შინაარსი იყო საერთოდ დაზიანების მიყენება, მისი სიმძიმის ხარისხის განუსაზღვრელად. ხოლო ფაქტიურად მიყენებულ იქნა სხეულის მსუბუქი ხასიათის დაზიანება. იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტს განზრახული ჰქონდა დაზარალებულისათვის უფრო მძიმე დაზიანება მიეყენებინა, მაგრამ სინამდვილეში მან მსუბუქი დაზიანება მიიღო, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენების მცდელობა.

საქ. სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლის ძალით საქმე სხეულის მსუბუქი დაზიანების შესახებ მიეკუთვ-

ნება ე. წ. კერძო ბრალდების საქმეთა კატეგორიას და შეიძლება აღიძრას მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, რომელსაც ამ შემთხვევაში ეკუთვნის უფლება მხარი დაუჭიროს ბრალდებას და უნდა შეწყდეს, თუ იგი ბრალდებულს შეურიგდა.

სასჯელი სს კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით ან საზოგადოებრივი გაკიცხვა, ხოლო იმავე მუხლის მეორე ნაწილით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვა, ანდა საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შეფარდება.

ე. სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება შემამსუბუქებელ გარემოებებში. სს კოდექსის 113-ე და 114-ე მუხლებში გათვალისწინებულია სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებებში, სახელდობრ: 1. უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც გამოწვეულია დაზარალებულის კანონსაწინააღმდეგო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით დამნაშავის ან მისი ახლობლების მიმართ (113-ე მუხლი) და 2. აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების დროს (114-ე მუხლი).

კანონი (სს კოდექსის 113-ე და 114-ე მუხლები) სასჯელის შედარებით რბილ ზომებს აწესებს აღნიშნულ პირობებში ჩადენილი სხეულის მხოლოდ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის. ამიტომ, უკეთუ ასეთივე პირობებში დაზარალებულისათვის მიყენებულია სხეულის მსუბუქი დაზიანება, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს საერთო წესის მიხედვით, ე. ი. სს კოდექსის 112-ე მუხლით (მხოლოდ სასჯელის განსაზღვრისას ეს შემამსუბუქებელი პირობები გათვალისწინებული უნდა იქნეს თანახმად სს კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებისა).

ყოველივე ის, რაც ნათქვამი იყო ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობის და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს მკვლელობის შესახებ სს კოდექსის 106-ე და 107-ე მუხლებში გათვალისწინებულ დანაშაულთა შედგენილობის ანალიზისას, მთლიანად და სავსებით გავრცელდება ამ შემთხვევაზეც, ცხადია, იმ განსხვავებით, რომ 106-ე და 107-ე მუხლებში მოცემულია მკვლელობა, ხოლო 113-ე და 114-ე მუხლებში — სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება.

სასჯელი სს კოდექსის 113-ე მუხლის ძალით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით

ერთ წლამდე. ხოლო 114-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით.

ვ. სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით. სს კოდექსის 115-ე მუხლი ითვალისწინებს სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას გაუფრთხილებლობით (იმისდა მიუხედავად, დაზიანება თვითიმედოვნებით თუ დაუდეგრობით იქნება გამოწვეული)

სუბიექტი ამ დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ 16 წელს მიღწეული პირი.

რადგან აღნიშნული კანონით დასჯადია სხეულის მხოლოდ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, უნდა დავასკვნათ, რომ სხეულის მსუბუქი დაზიანება გაუფრთხილებლობით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს. ამისათვის საკმარისი იქნება საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენება[1].

სს კოდექსის 115-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია სხეულის მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ხოლო მეორე ნაწილში — სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, რაც ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან საზოგადოებრივი პატიცხვით.

ზ. ცემა და წამება. ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულს ფიზიკური ტკივილი მიაყენა, გათვალისწინებულია სს კოდექსის 116-ე მუხლის პირველ ნაწილში, ხოლო სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რომელსაც წამების ხასიათი აქვს — იმავე მუხლის მეორე ნაწილში.

ცემა ნიშნავს ადამიანის სხეულისადმი რაიმე საგნის მკვეთრად, მძაფრად არაერთგზის შეხებას, რაც მას ფიზიკურ ტკივილს მიაყენებს, ხოლო გარტყმა — ასეთივე შეხებას ერთხელ. ამრიგად, ცემა წარმოადგენს მრავალჯერ გარტყმას. არ შეიძლება არ აღინიშნოს საქ. სსრ სს კოდექსის 116-ე მუხლის ხარვეზი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი ცემასთან ერთად არ იხსენიებს გარტყმასაც, როგორც ეს იყო ადრე მოქმედი საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (158-ე მუხლი) და არის ამჟამად უკრაინის, აზერბაიჯანის, ტაჯიკეთის, სომხე-

---

[1] მარტოოდენ ლატვიის სსრ სს კოდექსი ითვალისწინებს გაუფრთხილებლობით სხეულის მსუბუქი დაზიანების დასჯადობას სისხლის სამართლის წესით (იხ. 110-ე მუხლის მეორე ნაწილი).

თის, თურქმენეთის, ესტონეთის, მოლდავეთისა და ლატვიის მოქმედ კოდექსებში[1].

განსხვავებით სხეულის მსუბუქი დაზიანებისაგან (სსკ 112-ე მუხლი), ცემა ან სხვაგვარი ძალადობა გულისხმობს, როგორც წესი, დაზარალებულისათვის მარტლოდენ ფიზიკური ტკივილის მიყენებას სხეულის ქსოვილის მთლიანობის დარღვევისა და ორგანოების ნორმალური ფუნქციონირების მოშლის გარეშე.

როგორც აღნიშნული იყო, სისტემატური ცემა ან სხვა ძალადობა, რომელსაც წამების ხასიათი აქვს, გათვალისწინებულია სს კოდექსის 116-ე მუხლის მეორე ნაწილში. წამება ამ შემთხვევაში გაგებულ უნდა იქნეს ისეთ მოქმედებად, რაც ნავარაუდევია დაზარალებულისათვის ტკივილის მისაყენებლად მრავალგზის ან ხანგრძლივად (ასეთია, მაგალითად, გარუზგვა, ჩქმეტა, თერმიული ფაქტორების ზემოქმედება და ა. შ.).

სხვაგვარი ძალადობა: რაც კანონშია (სსკ 116-ე მუხლი) აღნიშნული, შეიძლება გამოიხატოს ადამიანის სხეულზე ზემოქმედების სხვა ისეთ სახეებში, რაც ტანჯვასა და ფიზიკურ ტკივილს მიაყენებს დაზარალებულს (მაგალითად, ხიცინი, ლიტინი, თმით მიწაზე გათრევა და სხვ.).

სს კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის აუცილებელია დაზარალებულისათვის ფიზიკური ტკივილის მიყენება. ამიტომ, უკეთუ სუბიექტის ამა თუ იმ მოქმედებით პირს ფსიქიკური ტანჯვა, განცდა შეიპყრობს (მაგ., სახეში შეფურთხებით, წვერის ან ულვაშის მოჭრით და ა. შ.), დამნაშავეს შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს სს კოდექსის 138-ე მუხლით (შეურაცხყოფა) და არა განსახილველი მუხლით (116-ე მუხლი).

სს კოდექსის 116-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის შედგენილობისათვის სუბიექტური მხრივ აუცილებელია განზრახი ბრალის არსებობა[2].

ზოგჯერ ცემა და სხვა ძალადობა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ხულიგანობა. ეს მოხდება მაშინ, თუ ქმედება ჩადენილია არა პირადი ურთიერთდამოკიდებულების მოტივით და ამასთან უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და საზოგადოების აშკარა

[1] იხ. შესაბამისად 107-ე, 99-ე, 116-ე, 110-ე, 118-ე, 113-ე, 101-ე და 111-ე მუხლები.

[2] ამ მხრივაც საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლს ხარვეზი ახლავს, რადგან მასში არ არის ნათქვამი ამ დანაშაულის ჩადენაზე მხოლოდ განზრახ. ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კოდექსების შესაბამის მუხლებში პირდაპირ არის აღნიშნული განზრახი ბრალის აუცილებლობა.

უპატივცემულობას გამოხატავს. არ არის გამორიცხული ისიც, რომ აღნიშნულ ქმედობას, ჩადენილს საზოგადოების თავმოყრის ადგილას (თეატრში, კინოში და ა. შ.), საფუძვლად ჰქონდეს პირადი ხასიათის მოტივი. ასეთ შემთხვევაში საქმე გვექნება ცემისა და ხულიგნობის იდეალურ ერთობლიობასთან.

ასჯელი სს კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით — გამაწყრებელი საუშაოები ვადით ერთ წლამდე ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შეფარდება, ხოლო მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე.

თ. ვენერიული სენის შეყრა. ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ საშიშ დანაშაულს წარმოადგენს ვენერიული სენის შეყრა. ამ დანაშაულის საშიშროება არა მარტო ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებაში მდგომარეობს, არამედ იმ მძიმე შედეგშიც, რაც შეიძლება გამოიწვიოს ვენერიული სენის შეყრამ (მაგალითად, უნაყოფობა). ვენერიული სენის, ამ კაპიტალიზმის მიერ მემკვიდრეობით დატოვებული სოციალური ბოროტების, წინააღმდეგ ბრძოლას პირველ რიგში აწარმოებენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები.

ვენერიული სენის შეყრის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დამხმარე როლს ასრულებს სისხლის სამართლის კანონმდებლობაც.

სს კოდექსის 122-ე მუხლი ითვალისწინებს ვენერიული სენის შეყრას ან ვენერიული სენის მკურნალობისაგან ბოროტად თავის არიდებას.

აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის ძალით დასჯადია სხვა პირისათვის ვენერიული სენის შეყრა იმ პირის მიერ, რომელმაც იცოდა, რომ მას ეს სენი სჭირდა. კანონის მოტანილი ტექსტიდან უნდა დავასკვნათ, რომ დანაშაულის შედგენილობისათვის აუცილებელია სუბიექტის მიერ იმის ცოდნა, რომ თვითონ დაავადებულია ვენერიული სენით და, მაშასადამე, შეიძლება მისგან შეეყაროს სენი სხვა პირს. ამრიგად, სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული შეიძლება გამოიხატოს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებელ ბრალში. უკეთუ ადგილი აქვს განზრახ ბრალს, იგი მხოლოდ არაპირდაპირი (ევენტუალური) სახის უნდა იყოს (პირმა იცის რა, რომ დაავადებულია ვენერიული სენით, — სქესობრივ კავშირს იჩენს ვინმესთან და ა. შ., რომლის შედეგიც, ე. ი. მეორე პირისათვის ამ სენის შეყრა მისთვის ნათელია, და შეგნებულად უშვებს მის დადგომას). ამ შემთხვევაში, თუ სუბიექტს პირდაპირი განზრახვა ჰქონდა, ე. ი. სურდა სხვა პირისათვის ვენერიული სენის შეყრა და კიდევაც მიაღწია ასეთ შედეგს, მისი დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს სისხ-

ლის სამართლის კოდექსის 110-ე ან 111-ე მუხლით (როგორც სხეულის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება).

ასევე, როდესაც გაუფრთხილებელ ბრალზე ვმსჯელობთ, მოცემულ შემთხვევაში გაუფრთხილებლობა შეიძლება გამოიხატოს არა დაუდევრობის, არამედ მხოლოდ თვითიმედოვნების სახით. ასეთ დასკვნას გვიკარნახებს თვით კანონი (სსკ 122-ე მუხლის პირველი ნაწილი), რომლის მიხედვით, დანაშაულის შედგენილობისათვის საკმარისია სუბიექტის მიერ იმის ცოდნა, რომ მას ეს სენი სჭირს.

ვენერიული სენის შეყრა შეიძლება როგორც სქესობრივი კავშირით, ასევე სხვადასხვა სახის არასქესობრივი დამოკიდებულებით (მაგალითად, საერთო ჭურჭლის, პირსახოცის ხმარებით, კოცნით, პაპიროსის ნამწვის მოწევით და ა. შ.). დანაშაულის შედგენილობისათვის არა აქვს მნიშვნელობა ვენერიული სენის სახეს (ათაშანგი იქნება, სუსუნატი თუ სხვა სახის ვენერიული დაავადება). მას შეუძლია მხოლოდ გავლენა მოახდინოს დამნაშავისათვის შესაფარდებელი სასჯელის ზომაზე.

სს კოდექსის 122-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით სხვა პირისათვის ვენერიული სენის შეყრა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

იმავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ვენერიული სენის მკურნალობისაგან ბოროტად თავის არიდებას[1].

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ 1927 წლიდან არის შემოღებული ვენერიული სენით დაავადებულ (გადამდებ პერიოდში მყოფ) პირთა იძულებითი წესით მკურნალობა. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ასეთი პირების იძულებითი წესით შემოწმებისა და მკურნალობის უფლება აქვს. პირი, რომელიც ბოროტად არიდებს თავს ასეთ მკურნალობას, სოციალურად საშიშია და მარტოოდენ ამისათვის შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში სს კოდექსის 122-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე.

23 წლის მოქ. თ. დაავადდა ათაშანგით და სამკურნალოდ მოათავსეს სპეციალურ საავადმყოფოში, საიდანაც ის მკურნალობის კურსის დასრულებამდე გაიპარა. რადგან თ. იმყოფებოდა სხვა პირისათვის სენის შეყრის საშიშ მდგომარეობაში, საავადმყოფოს მუშაკებმა ყველა ზომა მიიღეს მის უკან დასაბრუნებლად, მაგრამ ამაოდ, თ. ბოროტულად არიდებდა თავს მკურნალობას. ქ. თბილი-

---

[1] ასევეა მოლდავეთის სსრ სს კოდექსის 107-ე მუხლი.

სის 1 მაისის სახ. რაიონის სახალხო სასამართლომ დამნაშავედ ცნო თ. სს კოდექსის 122-ე მუხლის მეორე ნაწილით და სათანადო სასჯელი შეუფარდა მას.

სასჯელი სს კოდექსის 122-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე.

§ 4. დანაშაული სქესობრივ დარგში

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა დანაშაული სქესობრივ დარგში შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: ა. დანაშაული სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ (სს კოდექსის 117-ე და 118-ე მუხლები); ბ. დანაშაული არასრულწლოვანთა ნორმალური განვითარებისა და სქესობრივი ხელუხლებლობის წინააღმდეგ (119-ე და 120-ე მუხლები) და გ. დანაშაული, მიმართული სქესობრივი ურთიერთობის დარგში დადგენილი ნორმალური წყობის წინააღმდეგ (121-ე მუხლი).

ა. **დანაშაული სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ** ერთ-ერთ ყველაზე საშიშ დანაშაულს ამ ჯგუფიდან წარმოადგენს **გ ა უ პ ა ტ ი უ რ ე ბ ა.** გათვალისწინებული სს კოდექსის 117-ე მუხლში.

გაუპატიურება ნიშნავს სქესობრივი კავშირის დაჭერას ფიზიკური ძალადობით, შექარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით.

ობიექტი გაუპატიურებისა არის ქალის სქესობრივი თავისუფლება და სქესობრივი ხელუხლებლობა.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება სქესობრივ კავშირში ფიზიკური ძალადობით, შექარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, ფიზიკური ძალადობა მდგომარეობს ქალთან სქესობრივი კავშირის დაჭერაში მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ამასთან. დაზარალებულის წინააღმდეგობის ფიზიკურად გადალახვით. ფიზიკურ ზემოქმედებას, როგორც წესი, თან სდევს ცემა, გაძოკვა, სხეულის დაზიანება და სხვა ძალმომრეობითი მოქმედება. წინააღმდეგობა დაზარალებულისა სქესობრივი კავშირის დაჭერის დროს უნდა იყოს ნამდვილი, რეალური და არა მოჩვენებითი

შექარა (ფსიქიკური ძალადობა). შეიძლება მდგომარეობდეს მოკვლით, სხეულის დაზიანებით, ცემით და ა. შ. დამუქრებაში, სულერთია გამოხატული იქნება იგი სიტყვიერად თუ მოქმედებით (მაგალითად, დამუქრება რევოლვერის ჩვენებით).

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლის პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილების („გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ")[1] საფუძველზე მუქარა დაზარალებულის წინააღმდეგობის დასაძლევად ნიშნავს უკანასკნელის დაშინებას ისეთი მოქმედებით ან გამოთქმით, რომლებიც გამოხატავენ დამნაშავის განზრახვას ფიზიკური ძალადობის **დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ** განხორციელების შეაბებ დაზარალებულის ან მისი ახლობლების (მაგალითად, შვილების) მიმართ. აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ უკეთუ მუქარა ძალადობის გამოყენების შესახებ მომავალს მიეკუთვნება (მაგალითად, რომ გახმაურებული იქნება დაზარალებულის გამაწბილებელი ცნობები), იგი ვერ ჩაითვლება გაუპატიურების დროს ქალის წინააღმდეგობის დაძლევის საშუალებად.

დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენება იმას ნიშნავს, რომ იგი ავადმყოფობის თუ უგონო მდგომარეობაში ყოფნის გამო მოკლებულია საშუალებას წინააღმდეგობა გაუწიოს მოძალადეს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლის პლენუმის მოხსენიებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უმწეო მდგომარეობის გამოყენებით გაუპატიურებად ჩაითვლება ისეთი შემთხვევაც, როდესაც დაზარალებულს თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო (ფიზიკური ნაკლი, მცირეწლოვანობა, სულიერი მოშლილობა და სხვა ავადმყოფური ან უგონო მდგომარეობა) არ შეეძლო გაეგო მის მიმართ მოქმედების ხასიათი და მნიშვნელობა ან გაეწია წინააღმდეგობა დამნაშავისათვის, ხოლო უკანასკნელს შეგნებული ჰქონდა, რომ სქესობრივი კავშირის დაჭერისას დაზარალებული იმყოფებოდა უმწეო მდგომარეობაში. პლენუმის დადგენილებაში განმარტებულია აგრეთვე, რომ უმწეო მდგომარეობაში ყოფნად ჩაითვლება ქალის არაფიზიკური მდგომარეობის ისეთი ხარისხი, როდესაც მას წართმეული ჰქონდა უნარი გარემო ვითარების შეცნობისა, დამნაშავის მოქმედების მნიშვნელობის გაგებისა ან მისთვის წინააღმდეგობის გაწევისა. ამასთან არა აქვს მნიშვნელობა დამნაშავემ ისარგებლა ქალის უმწეო მდგომარეობაში ყოფნით თუ თვით ჩააყენა იგი ასეთ მდგომარეობაში (მაგალითად, სასმელის, ნარკოტიკული ნივთიერების მიცემით თუ სხვა საშუალებით).

სხვა. კანონით გაუთვალისწინებელი ხერხის გამოყენებით სქესობრივი კავშირის დაჭერა (მაგ., დაპირებით, რომ ქალს მომავალში

---

[1] იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР", 1964, № 8.

შეირთავა) განსაბილველი დანაშაულის შედგენილობას ვერ მოგვცემს.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ყოველ კონკრეტულ ხელმეზე აუცილებელია ამის დადგენა.

პრაქტიკაში ზოგჯერ ადგილი აქვს პირადი ურთიერთობის ნიადაგზე განაწყენებული ქალის მიერ (შურისძიებით შერთვაზე უარის თქმის გამო ან სხვა ამგვარი მოტივით), აგრეთვე ავადმყოფური წარმოსახვის მიზეზით უდანაშაულო ადამიანისათვის ცრუდ, ყალბად ბრალის დადებას. ამის გამო ყოველ საქმეზე გაუპატიურების შესახებ საჭიროა განსაკუთრებული გულდასმითა და სიზუსტით იქნეს დადგენილი ნამდვილი გარემოებანი, გათვალისწინებული დაზარალებულისა და დამნაშავის ურთიერთდამოკიდებულება, საფუძვლიანად შესწავლილი მათი პიროვნება. უნდა განვასხვავოთ ერთიმეორისაგან გაუპატიურების მცდელობა და ქალის შეურაცხყოფელი ისეთი ხელყოფა, რომელიც შეიცავს ხულიგნობის, სხეულის დაზიანების, შეურაცხყოფის შედგენილობის ნიშნებს.

შეცდომას აქვს ადგილი ზოგჯერ გაუპატიურების მცდელობის შესახებ საქმეების განხილვისას. არის შემთხვევა, როდესაც ცალკეული სასამართლო გაუპატიურების ჩადენაზე ნებაყოფლობით უარის თქმას განიხილავს როგორც შემამსუბუქებელ და არა პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად. „გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლის პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ გაუპატიურების ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება განხილულ უნდა იქნეს არა ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად, არამედ ამ დანაშაულის ჩადენის ცდისათვის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად. ასეთ შემთხვევაში პირი ვერ მიეცემა პასუხისგებაში გაუპატიურების მცდელობისათვის და მან შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ მის მიერ ფაქტიურად შესრულებული მოქმედებისათვის, უკეთუ ასეთი შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს. ამასთან სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ ნებაყოფლობითად და, მაშასადამე, პასუხისმგებლობის გამომრიცხავად ვერ ჩაითვლება ისეთი უარის თქმა, რომელიც გამოწვეულია დანაშაულებრივი მოქმედების განგრძობის შეუძლებლობით იმ მიზეზების გამო, რაც დამნაშავის ნების გარეშე წარმოიშვა.

სუბიექტი გაუპატიურებისა შეიძლება იყოს მხოლოდ მამაკაცი მიღწეული 14 წლის ასაკს. ქალი, საქმეზე გაუპატიურების შესახებ, შეიძლება მხოლოდ თანამონაწილის როლს ასრულებდეს (ორ

განიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე) და პასუხისგებაში მიეცეს ამისათვის.

სასჯელი გაუპატიურებისათვის სს კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

იმავე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებში მოცემულია გაუპატიურების კვალიფიციური სახეები.

მეორე ნაწილი — გაუპატიურების დამამძიმებელ გარემოებად თვლის მის ჩადენას იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ აქვს ჩადენილი ასეთივე დანაშაული, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს გაუპატიურების განმეორებით ჩადენას, ამასთან არა აქვს მნიშვნელობა პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გასამართლებული იყო თუ არა, იყო იგი ამსრულებელი თუ სხვა სახის თანამონაწილე (ცხადია, არ უნდა იყოს დაფარული ხანდაზმულობით ან მოხსნილი ნასამართლობა).

სასჯელი 117-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

დაბოლოს სს კოდექსის 117-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს გაუპატიურების განსაკუთრებით საშიშ სახეს, სახელდობრ ჩადენილს პირთა ჯგუფის მიერ ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, — ან რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურებას.

პირთა ჯგუფისა და განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ცნებები არაერთხელ არის განმარტებული ზემოთ. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ჯგუფურ გაუპატიურებად ჩაითვლება არა მარტო სქესობრივი კავშირის დაჭერა ჯგუფის ყველა მონაწილის მიერ, არამედ ისეთი შემთხვევაც, როცა ცალკეული პირები დახმარებას უწევდნენ დანარჩენებს ასეთი კავშირის დაჭერაში დაზარალებულს წინააღმდეგობის დაძლევით (გათოკვით, ცემით, ძალის გამოყენებით, დამუქრებით და ა. შ.). ყველა ასეთი მოქმედება განიხილება დანაშაულის უშუალოდ შესრულებად (და არა დახმარებად).

უკეთუ ჯგუფური გაუპატიურება ჩადენილია შეიარაღებული ბანდის მიერ, ქმედობა დაკვალიფიცირდება მარტოოდენ სს კოდექსის 78-ე მუხლით (იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია საწინააღმდეგო აზრიც. იხ. **Комментарий УК РСФСР, 1963, გვ. 279**).

განსაკუთრებით მძიმე შედეგად (რაც გაუპატიურებას მოჰყვა), სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლის პლენუმის 1964 წ. 25 მარტის დადგენილების საფუძველზე, ჩაითვლება დაზარალებულის სიკვდილი, სულით დაავადება, სხეულის მძიმე დაზიანება, თვითმკვლე-

ლობა (რაც, ცხადია, მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს გაუპატიურებასთან), ამასთან დამატებითი კვალიფიკაცია პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის სხვა მუხლებით საჭირო არ არის[1].

დაზარალებულის განზრახ მკვლელობა, ჩადენილი გაუპატიურების ან მისი მცდელობის დროს, დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 104-ე მუხლის მეშვიდე პუნქტით.

არასრულწლოვანი ნიშნავს 18 წლის ასაკს მიუღწეველ ქალს. დაზარალებულის არასრულწლოვანება ცნობილი უნდა იყოს დამნაშავისათვის. უკეთუ ძალადობის გამოყენებისას სქესობრივი კავშირის დაჭერის მიზნით დამნაშავე კეთილსინდისიერად შეცდა დაზარალებულის ფაქტიური ასაკის საკითხზე (მას სრულწლოვნად თვლიდა), ქმედება 117-ე მუხლის მესამე ნაწილით ვერ დაკვალიფიცირდება.

სასჯელი სს კოდექსის 117-ე მუხლის III ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, ან გადასახლების გარეშე, ან სიკვდილით დასჯა.

საქმე 117-ე მუხლის 1 ნაწ. გათვალისწინებული დანაშაულის შესახებ მიეკუთვნება ე. წ. კერძო-საჯარო ბრალდების კატეგორიას. აღძვრის მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, მაგრამ ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო მისი შეწყვეტა არ შეიძლება. საქმე იმავე მუხლის II და III ნაწ. გათვალისწინებული დანაშაულის შესახებ კი საჯარო ბრალდებისაა და აღიძვრის დაზარალებულის საჩივრის გარეშეც.

სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მეორე სახის დანაშაულს წარმოადგენს სს კოდექსის 118-ე მუხლით გათვალისწინებული ქალის ძ ა ლ ო ბ ა სქ ე ს ო ბ რ ი ვ ი კ ა ვ შ ი რ ი ს დ ა ჭ ე რ ი ს ა თ ვ ი ს.

ამ დანაშაულის ო ბ ი ე ქ ტ ი ა ქალის სქესობრივი ხელუხლებლობა.

ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული გამოიხატება ქალის იძულებაში სქესობრივი კავშირის დაჭერისათვის[2] დამუქრებით (მაგა-

---

[1] უკეთუ გაუპატიურებას თან სდევდა დაზარალებულის სხეულის მსუბუქი ან საკმაოდ მძიმე დაზიანება, დამნაშავე ასევე პასუხს აგებს მარტოოდენ 117-ე მუხლის I ნაწილით, რადგან დაზარალებულისათვის ასეთი დაზიანების მიყენებას მოიცავს აღნიშნული მუხლის I ნაწილის დისპოზიცია.

[2] სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სს კოდექსების მიხედვით, სქესობრივი აქტის სხვა ფორმებში დაკმაყოფილებისათვისაც, ხოლო აზერბაიჯანის, ლატვიის და ესტონეთის სს კოდექსებისათვის საერთოდ უცნობია ამ სახის დანაშაულის შედგენილობა.

ლითად, დაშინებით, რომ იგი დათხოვნილი იქნება სამსახურიდან, გაძევებული — ბინიდან და ა. შ.). მხოლოდ წინადადება სქესობრივი კავშირის დაქერის შესახებ (აღნიშნული სახის იძულების გამოყენების გარეშე) ანდა კიდეე ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი, მაგალითად, უფროსსა და ხელქვეით ქალს შორის, დანაშაულს შედგენილობას ვერ მოგვცემს.

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს მარტოოდენ ის პირი, ვისგანაც დაზარალებული იმყოფება მატერიალურ, სამსახურებრივ ან სხვაგვარ დამოკიდებულებაში.

მატერიალურად დამოკიდებულია ქალი იმ პირისაგან, რომლის სრულ ან ნაწილობრივ კმაყოფაზეც იგი იმყოფება. სამსახურებრივი დამოკიდებულება ნიშნავს ქალის დაქვემდებარებას უფროსისადმი სამსახურის, სამუშაოს ადგილის მიხედვით (დამლაგებლისა სამნეო ნაწილის უფროსისადმი. გამყიდველისა მაღაზიის გამგისადმი და ა. შ.), ხოლო სხვაგვარი დამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, მასწავლებლისა და მისი მოწაფის ურთიერთობაში და ა. შ.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს აქვს იმის შეგნება, რომ დაზარალებული მისგან არის დამოკიდებული მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად და სურს ასეთი დამოკიდებულება გამოიყენოს მასთან სქესობრივი კავშირის დაქერისათვის.

განსახილველი დანაშაული განსხვავდება გაუპატიურებისაგან იმით, რომ იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ ისეთი ხერხით, როგორიც არის ქალის დამოკიდებული მდგომარეობის გამოყენება, მაშინ როდესაც გაუპატიურებისათვის დამახასიათებელია ფიზიკური ძალადობა, მუქარა ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენება.

სს კოდექსის 118-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება სქესობრივი კავშირის დაქერის მიზნით დამოკიდებული ქალის მიმართ დასახელებული ხერხებით იძულების განხორციელებისას, სქესობრივი კავშირის ფაქტის დადგენა საჭიროებულო არ არის.

სასჯელი 118-ე მუხლის ძალით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე.

ბ. დანაშაული არაბრალწლოვანთა ნორმალური განვითარებისა და სქესობრივი ხელუხლებლობის წინააღმდეგ. სქესობრივი კავშირი პირთან, რომელსაც 16 წელი არ შეს-

რ უ ლ ე ბ ი ა. გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ-ის კოდექსის 119-ე მუხლში[1].

ეს დანაშაული გამოიხატება 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან ნებაყოფლობით (ე. ი. მისი თანხმობით) სქესობრივი კავშირის დაჭერაში. უკეთუ ასეთ პირთან სქესობრივი კავშირის დაჭერისათვის გამოყენებული იყო ფიზიკური ძალადობა, შეუძარა ან მისი უმწეო მდგომარეობაში ყოფნა, ქმედობა განხილული იქნება როგორც გაუპატიურება და დაკვალიფიცირდება სსკ-ის 117-ე მუხლის მესამე ნაწილით.

გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ სქესობრივი კავშირი ბოგონასთან 12 წლის ასაკამდე (თუნდაც მისი თანხმობით) განხილული უნდა იქნეს გაუპატიურებად, რადგან ასეთ შემთხვევაში ბავშვს არ ესმის სქესობრივი აქტის მნიშვნელობა და მის თანხმობას არავითარი იურიდიული ძალა არა აქვს. ივი ფაქტიურად უმწეო მდგომარეობაში იმყოფება[2].

ს უ ბ ი ე ქ ტ ი განსახილველი დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ სრულწლოვანი (როგორც მამაკაცი, ასევე ქალი).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავისათვის, როგორც ეს კანონშია (სსკ 119-ე მუხლი) აღნიშნული, ცნობილი უნდა იყოს, რომ პირი, რომელთანაც ეს სქესობრივ კავშირს იქერს, 16 წლის ასაკს მიღწეული არ არის. თუ სუბიექტისათვის ეს წინასწარ ცნობილი არ იყო, პასუხისმგებლობა 119-ე მუხლით გამორიცხულია.

სსკ კოდექსის 119-მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ნებაყოფლობით სქესობრივ კავშირს (ე. ი. ნორმალურ სქესობრივ აქტს) იმ პირთან, რომელსაც 16 წელი არ შესრულებია. სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე.

---

[1] ასევე აზერბაიჯანის, მოლდავეთის, ლატვიის, აირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის და ესტონეთის სსრ სს კოდექსებით (იხ. შესაბამისად 102-ე, 103-ე, 122-ე, 110-ე, 123-ე, 124-ე და 116-ე მუხლები).

რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის და ლიტვის სსრ სსკ აწესებენ პასუხისმგებლობას იმ პირთან სქესობრივი კავშირისათვის, რომელსაც სქესობრივი სიმწიფისათვის არ მიუღწევია (იხ. შესაბამისად 119-ე, 120-ე, 117-ე, 95-ე, და 120-ე მუხლები), ხოლო აზერბაიჯანის სსრ სსკ — იმ პირთან, რომელსაც არ მიუღწევია საქორწინო ასაკისათვის (იხ. 111-ე მუხლი). დაბოლოს, სომხეთის სსრ სსკ აწესებს პასუხისმგებლობას როგორც 16 წლის ასაკს მიუღწეველ, ასევე სქესობრივ სიმწიფეს მიუღწეველ პირთან სქესობრივი კავშირისათვის (იხ. 114-ე მუხლი).

[2] იხ. Советское уголовное право, часть Особенная, М., 1964, გვ. 167; აგრეთვე Советское уголовное право, часть Особенная, М., 1965, გვ. 194.

იმავე მუხლის მეორე ნაწილში კი მოცემულია სქესობრივი კავშირი ასეთ პირთან, ჩადენილი სქესობრივი ეინის გარყვნილ ფორმებში დაკმაყოფილებით. სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვს წლამდე.

სიქ. სსრ სს კოდექსის 120-ე მუხლი ითვალისწინებს გარყვნილ ქმედობას იმ პირის მიმართ, რომელსაც თექვსმეტი წელი არ შესრულებია[1].

დანაშაული გამოიხატება გარყვნილ ქმედობაში, რაც შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს. სახელდობრ, ბავშვის სასქესო ორგანოს შებება, მისი დასწრებით უსირცხვო საქციელი, ჩადენა (მაგალითად, სხვა პირთან სქესობრივი კავშირის დაპირა) და ა. შ. აგრეთვე პორნოგრაფიული სურათების ჩვენება, დაუშვებელი შინაარსის საუბრის ჩატარება (ე. წ. ინტელექტუალური გარყვნა), რაც ბავშვში უდროოდ არაჯანსაღ სქესობრივ ინსტინქტებს იწვევს და სხვა.

უკეთუ 16 წელს მიუღწეველ პირთან ნორმალური სქესობრივი აქტია ჩადენილი, ქმედობა დაკვალიფიცირდება არა 120-ე მუხლით, არამედ 119-ე მუხლით.

დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს 16 წლის ასაკს მიღწეული პირი (ორივე სქესისა). უკეთუ გარყვნილი ქმედობა ჩადენილია არასრულწლოვანთა შორის, მართებული იქნება მათ მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიების გამოყენება.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული განზრახვა. პირს აქვს იმის შეგნება, რომ იგი რყვნის 16 წელს მიუღწეველ პირს და სურს ან შეგნებულად უშვებს ასეთ შედეგს. აქედან გამომდინარე დანაშაულის შედგენილობას ვერ მოგვცემს ისეთი შემთხვევა, როდესაც 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირი თუმც იყო დამსწრე ვისიმე უსირცხვო საქციელისა, მაგრამ უკანასკნელი ამახ ვერ გრძნობდა, მან არ იცოდა, თუ ასეთი პირი მოწმე, მეთვალყურე იყო მისი უსირცხვო საქციელისა.

სასჯელი სს კოდექსის 120-ე მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე[2].

---

[1] რსფსრ და ზოგიერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ მიხედვით გარყვნილი ქმედობა არასრულწლოვანის მიმართ (იხ. რსფსრ სსკ 120-ე მუხლი, ბელორუსიის სსკ 118-ე მუხლი და ა. შ.), ხოლო უზბეკეთის და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკის სსკ მიხედვით — მცირეწლოვანის მიმართ (იხ. უზბეკეთის სსკ 103-ე მუხლი).

[2] აღსანიშნავია, რომ სრულიად მართებულად ასეთი უმსგავსო დანაშაულისათვის ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სს კოდექსებით დაწესებული

ბ) დანაშაული მიმართული სქესობრივი ურთიერთობის დარგში დადგენილი ნორმალური წყობის წინააღმდეგ ისეთი სახის დანაშაულად, რაც ხელყოფს სქესობრივი ურთიერთობის დარგში დადგენილ ნორმალურ წყობას, სქესობრივ ზნეობას, ჩაითვლება **მ ა მ ა ფ მ ა ვ ლ ობ ა**, გათვალისწინებული სს კოდექსის 121-ე მუხლში.

მამათმავლობა ნიშნავს სქესობრივ კავშირს მამაკაცისას მამაკაცთან (პედერასტია). ასეთი ბუნების საწინააღმდეგო აქტისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება ამ აქტის ორივე მონაწილე სრულწლოვან პირს. უკეთუ ერთი მათგანი არასრულწლოვანია, იგი პასუხისგებაში არ მიეცემა.

დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. სასჯელი სს კოდექსის 121-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე ან გადასახლება ამავე ვადით.

იმავე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია დანაშაულის კვალიფიციური სახე. დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვლება მამათმავლობის ჩადენა არასრულწლოვნის მიმართ ან ფიზიკური ძალადობის, ან მუქარის, ან დაზარალებულის უმწეო ან დამოკიდებული მდგომარეობის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში პასუხისგებაში მიეცემა და სასჯელი შეეფარდება მხოლოდ იმ სრულწლოვან პირს, რომელმაც მამათმავლობა ჩაიდინა არასრულწლოვნის მიმართ, ან გამოიყენა ამ მიზნისათვის დაზარალებულის მიმართ ფიზიკური ძალადობა ან მუქარა, ან მისი უმწეო თუ დამოკიდებულ მდგომარეობაში ყოფნა.

სასჯელი სს კოდექსის 121-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა რვა წლამდე.

სქესობრივი სიმახინჯისა და გახრწნილობის სხვა სახეებისათვის პასუხისმგებლობას მოქმედი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ აწესებს.

§ 5. დანაშაული, რომელიც საფრთხეში აგდებს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას

ა. **აბორტის უკანონოდ გაკეთება.** საბჭოთა ხელისუფლებამ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დაწყებიდანვე მოულოდნელ ძირდამპალ ბურჟუაზიულ ოჯახს და ქალი საბელმწიფოებრი-

---

სასჯელის უფრო მკაცრი ზომები (აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, უზბეკეთის სს კოდექსებით — თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე, სომხეთისა და ესტონეთის სს კოდექსებით — თავისუფლების აღკვეთა 4 წლამდე, რსფსრ, ბელორუსიის, ლატვიისა და სხვ. სს კოდექსებით — თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე; მხოლოდ უკრაინის სს კოდექსი აწესებს თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ან გასახლებას 3 წლამდე).

ვი, ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში გაათანაბრა მამაკაცთან. საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა ქალს უფლება შრომისა, განათლებისა, საკუთარი ოჯახის თავისი სურვილისამებრ მოწყობისა, უზრუნველყო მისი სრული დამოუკიდებლობა და თანასწორუფლებიანობა.

სსრ კავშირის უმაგალითო აყვავებამ, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის, პოლიტიკური და კულტურული დონის მკვეთრად გაზრდამ მოსპო წარსულის მძიმე მემკვიდრეობა და ზრუნვა ადამიანზე, მის ოჯახზე, დედებისა და ბავშვების კეთილ მდგომარეობაზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გამუდმებული ზრუნვის საგანი გახდა.

ასეთი ზრუნვის გამოვლინებას წარმოადგენს სახელმწიფო დახმარების გადიდება მშობიარეთათვის და მრავალშვილიანი დედებისათვის: ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების ვადის გაზრდა, წაშშობიარო სახლების, საბავშვო ბაგებისა და საბავშვო სახლების ქსელის მნიშვნელოვანი გაფართოება, „გმირი დედის" სამატიო წოდების, „სახელოვანი დედის" ორდენისა და „დედობის მედლის" დაწესება და სხვ.

საბჭოთა კავშირში აღნიშნულ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელების, ახლად დაბადებულთა და მათი დედების მიმართ უდიდესი მზრუნველობის შედეგად მკვეთრად შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა, ხოლო მოსახლეობის ყოველწლიურმა ზრდამ დიდად გადააჭარბა წარსულის ყველა დროის ზრდას.

ასეთმა პირობებმა განაპირობეს სისხლის სამართლის სასჯელის მუქარით აბორტის წინააღმდეგ ბრძოლის ადრე მოქმედი წესის (შემოღებული სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1936 წ. 27 ივნისის დადგენილებით), როგორც დღევანდელი ვითარებისათვის შეუსაბამოს, გაუქმება.

ამჟამად ყველა ქალს უფლება აქვს გაიკეთოს აბორტი (ე. ი. ხელოვნურად შეწყვიტოს ორსულობა) თავისი სურვილისამებრ, მაგრამ — მარტოოდენ სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებაში. ამ წესის დარღვევა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევს იმ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, რომლებმაც გააკეთეს აკრძალული აბორტი.

აბორტი ლათინური სიტყვაა (abortus) და ნიშნავს ორსულობის შეწყვეტას, მუცლის მოშლას, მუცლის მოწყვეტას, ხოლო დანაშაულებრივი (კრიმინალური) აბორტი — ორსულობის განზრახ მართლსაწინააღმდეგოდ შეწყვეტას, ადამიანის ნაყოფის მოსპობას.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულად და, მაშასადამე, დასჯადად მიიჩნევს მართლსაწინააღმდეგო (ტრომინალურ) აბორტს, რადგან, თუ აბორტი (თუნდაც სამედიცინო წესების დაცვით) საერთოდ საფრთხეს წარმოადგენს ორსული ქალის ჯანმრთელობისათვის, მისი გაკეთება საავადმყოფოს ან სამშობიარო სახლის გარეშე, ან იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს უმაღლესი სამედიცინო განათლება, ყოველთვის ემუქრება ქალის როგორც ჯანმრთელობას, ასევე სიცოცხლეს.

აბორტის უკანონოდ გაკეთებას ითვალისწინებს სს კოდექსის 123-ე მუხლი.

დანაშაულის ობიექტია ორსული ქალის ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტაში ექიმის მიერ საავადმყოფოს ან სამშობიარო სახლის გარეშე ან ანტისანიტარულ პირობებში (123-ე მუხლის პირველი ნაწილი) ან იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს უმაღლესი სამედიცინო განათლება (123-ე მუხლის მეორე ნაწილი).

აბორტი შეიძლება გაკეთებულ იქნეს სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით. ასე, მაგალითად, აბორტის ოპერაციისათვის მეტწილად იყენებენ სპეციალურ ხელსაწყო-იარაღს (მექანიკურ საშუალებებს); აბორტის გამოსაწვევად ხმარობენ ავრეთვე ქიმიურ ნივთიერებებს, რაც შეყავთ ორსული ქალის ორგანიზმში (დალევით, შეშხაპუნებით) და ა. შ.

დანაშაულის შედგენილობისათვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ სახელდობრ, რა ხერხი და საშუალება იყო ნახმარი აბორტის გასაკეთებლად.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ექიმი, თუ ის აბორტს გააკეთებს საავადმყოფოს თუ სამშობიარო სახლის გარეშე ან ანტისანიტარულ პირობებში (სს კოდექსის 123-ე მუხლის I ნაწ.), ასევე ყველა პირობაში პირი, რომელსაც უმაღლესი სამედიცინო განათლება არა აქვს (123-ე მუხლის II ნაწ.).

მოქმედი წესის თანახმად, შესაბამის პირობებში მართლზომიერი აბორტის გაკეთების უფლება აქვს მხოლოდ ექიმს (უმაღლესი სამედიცინო განათლებით) და სხვას არავის. აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ექთანს, ბებიაქალს, ბეითალს თუ სტომატოლოგს ასეთი უფლება არ გააჩნია.

აბორტის უკანონო გაკეთება სუბიექტური მხრივ ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს აქვს იმის შეგნება,

რომ ქალი ორსულ მდგომარეობაშია და სურს შეუწყვიტოს მას ორსულობა მართლსაწინააღმდეგო პირობებში.

უკეთუ ორსულ ქალს მუცელი მოსწყდა პირის გაუფრთხილებელი მოქმედებით, დამნაშავე პასუხს აგებს სხეულის დაზიანებისათვის გაუფრთხილებლობით (სსკ 115-ე მუხლი), ხოლო უკეთუ იგი შედეგი იყო სხეულის განზრახ დაზიანებისა — სხეულის მძიმე დაზიანებისათვის (სსკ 110-ე მუხლით).

ექიმი აბორტის უკანონო გაკეთებისათვის, სახელდობრ, საავადმყოფოს ან სამშობიარო სახლის გარეშე (მაგალითად, თავის ბინაში, ორსული ქალის სახლში და ა. შ.) ან ანტისანიტარულ პირობებში (ე. ი. სამედიცინო-სანიტარული წესების დარღვევით), სს კოდექსის 123-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, საექიმო საქმიანობის აკრძალვით ვადით სამ წლამდე ან ასეთი აკრძალვის გარეშე.

აბორტის გაკეთება ისეთი პირის მიერ, რომელსაც არა აქვს უმაღლესი სამედიცინო განათლება, სოციალურად გაზრდილ საშიშროებას წარმოადგენს და ამიტომ უფრო მკაცრადაც ისჯება. ასეთი პირი 123-ე მუხლის მეორე ნაწილით დაისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

სს კოდექსის 123-ე მუხლის მესამე ნაწილში მოცემულია განსაზღვული დანაშაულის კვალიფიციური სახე. დამამძიმებელ გარემოებად კანონი თვლის ამავე მუხლის პირველ და მეორე ნაწილში გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო აბორტის (ე. ი. გაკეთებული იქნება ის ექიმის თუ უმაღლესი სამედიცინო განათლების არმქონე პირის მიერ) გაკეთებას ხელობის სახით ან, რომელმაც გამოიწვია სიკვდილი ან სხვაგვარი მძიმე შედეგი.

ხელობის სახით აბორტის გაკეთება ნიშნავს კანონსაწინააღმდეგო აბორტის ოპერაციის ჩატარებას სისტემატურად, როდესაც ასეთი საქმიანობა წარმოადგენს დამნაშავისათვის ძირითად ან ნაწილობრივ საარსებო წყაროს[1].

სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგი (ასეთად ჩაითვლება, მაგალითად, სხეულის მძიმე დაზიანება, განაყოფიერების უნარის დაკარგვა და ა. შ.) უნდა იყოს მიზეზობრივ კავშირში გაკეთებულ აბორტთან, გამოწვეული უშუალოდ მის მიერ.

---

[1] უმჯობესია სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სს კოდექსების შესაბამისი ნორმების რედაქცია, რომლის მიხედვით ტერმინის „ხელობის სახით" ნაცვლად გამოყენებულია ტერმინი „განმეორებით", „ორაერთგზის" (იხ. რსფსრ სსკ 116-ე მუხლი, ბელორუსიის სსკ 114-ე მუხლი, უზბეკეთის სსკ 102-ე მუხლი და ა. შ).

უკეთუ დამნაშავე ითვალისწინებდა უკანონო აბორტის შედეგად დაზარალებულის სიკვდილს და შეგნებულად უშვებდა მის დადგომას, ქმედება განიხილება როგორც მკვლელობა არაპირდაპირი განზრახვით და დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 104-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 123-ე მუხლის მესამე ნაწილით, ხოლო, თუ იგი ითვალისწინებდა რა საერთოდ მართლსაწინააღმდეგო აბორტის შედეგად დაზარალებულის სიკვდილს, მაგრამ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მიღებული ზომების გამო ვარაუდობდა ასეთი შედეგის თავიდან აცილებას (გაუფრთხილებლობა თვითიმედოვნების სახით) ანდა კიდეე არ ითვალისწინებდა ქალის სიკვდილის შესაძლებლობას, მაგრამ შეეძლო და მოვალე იყო გაეთვალისწინებინა (გაუფრთხილებლობა დაუდევრობის სახით), ქმედება დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 123-ე მუხლის მესამე ნაწილით (დამატებით სხვა მუხლის გამოყენება საჭირო არ არის).

სასჯელი სს კოდექსის 123-ე მუხლის მესამე ნაწილის ძალით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან რვა წლამდე, ხოლო სამედიცინო დარგის მომუშავეს დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდება აგრეთვე საექიმო საქმიანობის აკრძალვა ვადით ხუთ წლამდე[1].

ბ. ალიმენტის გადახდის ან შვილების რჩენისაგან ბოროტად თავის არიდება. სს კოდექსის 124-ე მუხლი ითვალისწინებს მშობლების მიერ ბოროტად თავის არიდებას შვილების რჩენისათვის სასამართლოს მიერ დადგენილი სახსრების გადახდისაგან, აგრეთვე მშობლების მიერ თავის არიდებას მათ კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი ან შრომის უუნარო ბავშვების რჩენისაგან.

განსახილველი დანაშაულის შედგენილობას მოგვცემს, ერთი მხრივ, ალიმენტის (შვილების სარჩოს) გადახდისაგან თავის არიდება ბოროტად, რაც ნიშნავს ალიმენტის გადაუხდელობას ისეთი პირის მიერ, რომელსაც ამის შესაძლებლობა ჰქონდა და სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით მოვალეც იყო (ბოროტი თავის ამრიდებელნი ხშირად იცვლიან საცხოვრებელ ადგილს, სამუშაოს და ა. შ.), მეორე მხრივ, მშობლების მიერ თავის არიდება მათ კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი ან, თუნდაც სრულწლოვანი, მაგრამ შრომის უუნარო შვილების რჩენისაგან. შრომის უუნაროდ ჩაითვლება რო-

---

[1] უკრაინის, უზბეკეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის და სომხეთის სსრ სს კოდექსები სპეციალურად ითვალისწინებენ ისეთი ქმედობის დასჯადობას, როგორიც არის ქალის იძულება აბორტის გაკეთებისათვის (იხ. შესაბამისად 110-ე, 103-ე, 109-ე, 116-ე, 109-ე, 114-ე, 119-ე, 120-ე, 121-ე მუხლები). დანარჩენი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის ასეთი შედგენილობის დანაშაული უცნობია.

გორც მთლიანად ინვალიდი, ასევე ავადმყოფობის გამო დროებით შრომის უუნარო;

დანაშაულის სუბიექტია მშობელი, აგრეთვე სხვა პირი, რომელსაც სასამართლოს მიერ დაკისრებული აქვს ბავშვების რჩენის მოვალეობა. მშობლიურ უფლების ჩამორთმევა არ ათავისუფლებს მშობელს ბავშვების რჩენის მოვალეობისაგან.

ამ დანაშაულის სუბიექტად ვერ ჩაითვლება პირი, რომელიც თავს არიდებს მშობლების ან მეუღლისათვის დახმარების გაწევას[1].

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება განზრახ ბრალით, რაც დასტურდება თვით კანონის (სსკ 124-ე მუხლის) მოთხოვნიდან („ბოროტად თავის არიდება").

სასჯელი სს კოდექსის 124-ე მუხლის მიხედვით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით.

გ. ბოროტად თავის არიდება მშობლების ან მეუღლისათვის დახმარების გაწევისაგან. სს კოდექსის 126-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ დანაშაულსაც, როგორიც არის ბოროტად თავის არიდება იმ მატერიალური დახმარების გაწევისაგან, რომელიც სასამართლომ შრომისუუნარო მშობლებს ან მეუღლეს დაუნიშნა[2].

ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს შვილი (როგორც ღვიძლი შვილი, ასევე გერი, შვილად აყვანილი) ან მეუღლე. სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვს თვემდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე, ანდა საზოგადოებრივი გაკიცხვა.

დ. სამეურვეო უფლებების ბოროტად გამოყენება. მეურვეობის, მზრუნველობის ან პატრონატის გამოყენება ანგარების მიზნით სამეურვეო პირის ინტერესების საზიანოდ, ან სამეურვეო ბავშვების დატოვება მეთვალყურეობისა და აუცილებელი მატერიალური დახმარების გარეშე გათვალისწინებულია სს კოდექსის 125-ე მუხლში.

ეს დანაშაული შეიძლება გამოიხატოს სამეურვეო პირის კუთვნილი ბინის, საცხოვრებელი სახლის დაკავებაში, მისი ქონების პირადი სარგებლობისათვის გამოყენებაში და სხვა ამდაგვარ მოქმედებებ-

---

[1] ასეთი ქმედობა გათვალისწინებულია სს კოდექსის 126-ე მუხლში.

[2] ასევე უზბეკეთის, ყაზახეთის, მოლდავეთის, ყირგიზეთის და სომხეთის სსრ სს კოდექსის მიხედვით (იხ. შესაბამისად 106-ე, 114-ე, 111-ე, 121-ე, 125-ე მუხლები). დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა აწესებს პასუხისმგებლობას მხოლოდ შრომისუუნარო მშობლების (და არა მეუღლის) მატერიალური დახმარების გაწევისაგან თავის არიდების შემთხვევაში.

ში, აგრეთვე სამეურვეო ბავშვების მეთვალყურეობისა და აუცილებელი მატერიალური დახმარების გარეშე დატოვებაში, ავადმყოფის მკურნალობისა და მოვლის გარეშე დატოვებაში და ა. შ.

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს მეურვე, მზრუნველი. სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახი ბრალით ხასიათდება, რამდენადაც კანონში მითითებულია მის ჩადენაზე ანგარების მიზნით.

სასჯელი სს კოდექსის 125-ე მუხლის საფუძველზე — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ანდა ჯარიმა ორას მანეთამდე.

ე. საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება. შეგნებულად ჩაყენება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში პირისა, რომელსაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად, გათვალისწინებულია სს კოდექსის 128-ე მუხლში.

ობიექტური მხრივ ეს დანაშაული გამოიხატება ისეთი პირის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებაში, რომელსაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად. ასეთ პირად ჩაითვლება მცირეწლოვანი, ღრმა მოხუცი, ავადმყოფი, მძინარე ან ძალზე მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი და ა. შ. მაგალითად, ჩვილი ბავშვის მიგდება (თუნდაც საბავშვო ბაგის ან საბავშვო სახლის ტერიტორიაზე), ტყეში მარტოდ დატოვება და სხვ. ამგვარი ქმედობა ობიექტური მხრივ მოგვცემს განსახილველი დანაშაულის შედგენილობას.

დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია ფაქტი დასახელებული პირის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისა, იმისდა მიუხედავად, თუ რა შედეგი მოჰყვა მას (შედეგს შეიძლება მნიშვნელობა მიეცეს სასჯელის ზომის განსაზღვრისათვის).

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახია, რამდენადაც თვით კანონში (სსკ 128-ე მუხლი) მითითებულია მის ჩადენაზე შეგნებულად.

იმ შემთხვევაში, თუ აღწერილი ქმედობა ჩადენილია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობის მიზნით და კიდევაც იქნა ასეთი მიზანი მიღწეული, იგი დაკვალიფიცირდება როგორც მკვლელობა, ხოლო თუ ამ მიზნით ჩადენილ ქმედობას დამნაშავისათვის სასურველი შედეგი არ მოჰყვა — როგორც მკვლელობის მცდელობა.

სასჯელი სს კოდექსის 128-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე.

3. განსაცდელში მიტოვება. სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთი სახის დანაშაულს, როგორიცაა შეგნებულად მიტოვება დახმარების აღმოუჩენლად პირისა, რომელიც იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და რომელსაც შესაძლებლობა არა ჰქონდა მიეღო ზომები თავის დასაცავად, თუ მიმტოვებელს ევალებოდა ამ პირზე ზრუნვა და შესაძლებლობა ჰქონდა დახმარება აღმოეჩინა მისთვის.

წინა მუხლში (128-ე მუხლი) მოცემული დანაშაულისაგან განსხვავებით განსახილველი დანაშაული მდგომარეობს მასში, რომ პირს თვითონ კი არ ჩაუყენებია დაზარალებული სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, არამედ სხვა პირობების გამო ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირი მან მიატოვა დახმარების აღმოუჩენლად (მიტოვ პირველთან შედარებით ეს დანაშაული სოციალურად ნაკლები საშიშროების შემცველია).

დანაშაულის შედგენილობისათვის სავალდებულოა იმის დადგენა, რომ პირი ნამდვილად იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და არ ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო ზომები თავის დასაცავად (ავადმყოფობის, მცირეწლოვნობის და ა. შ. მიზეზთა გამო) და, რომ მიმტოვებელს (ე. ი. დამნაშავეს) ევალებოდა ასეთ პირზე ზრუნვა და შესაძლებლობა ჰქონდა დახმარება აღმოეჩინა მისთვის.

ობიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება უმოქმედობით, დახმარების აღმოუჩენლობით.

დახმარების აღმოჩენის მოვალეობა გამომდინარეობს საქორწინო და საოჯახო კანონის საფუძველზე პირადი ურთიერთობიდან (ცოლ-ქმრული, ახლო ნათესაური და სხვა ამგვარი ურთიერთობა; მშობლები ვალდებული არიან იზრუნონ არასრულწლოვან შვილებზე და ა. შ.), სამსახურებრივი მდგომარეობიდან (მაგალითად, საბავშვო ბაღის მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს მისთვის მინდობილ ბავშვებზე და ა. შ.), აგრეთვე ე. წ. კონკლუდენტური ფაქტებიდან (მაგალითად, ავტომანქანის მძღოლი, რომელმაც ზიანი მიაყენა მოქალაქეს, თუნდაც ბრალის გარეშე, ვერ დატოვებს მას განსაცდელში) და ხელშეკრულებითი ურთიერთობიდან (გამდელი, მთებში გამცილებელი და სხვ.).

კანონის მოთხოვნით დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთ-ერთი ზემოდასახელებული პირი.

თუ ასეთ პირს ფაქტიური შესაძლებლობა არ ჰქონდა დახმარე-

ბის აღმოჩენისა, მაშინ არც განსახილველი დანაშაულის შედგენილობა იქნება.

იმისათვის, რომ დანაშაული დამთავრებულად ჩაითვალოს, საკმარისია ფაქტი განსაცდელში მიტოვებისა დადგა აქვს მნიშვნელობა: მოჰყვა მას მძიმე შედეგი თუ—არა (მძიმე შედეგის დადგომას მნიშვნელობა აქვს სასჯელის ზომის განსაზღვრის საკითხში).

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება განზრახი ბრალით, რამდენადაც თვით კანონშია ნათქვამი „შეგნებულად მიტოვება". დამნაშავეს შეგნებული აქვს დაზარალებულის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ყოფნა და ისიც, რომ მას შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად და უშვებს მის ასეთ მდგომარეობაში დატოვებას.

სასჯელი სს კოდექსის 129-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე, ანდა საზოგადოებრივი გაკიცხვა.

ზ. დახმარების აღმოუჩენლობა. სს კოდექსის 130-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების აღმოუჩენლობისათვის, თუ ამ დახმარების აღმოჩენა დამნაშავეს შეეძლო თავისი თავისთვის ან სხვა პირისთვის სერიოზული საშიშროების გარეშე. აგრეთვე სათანადო დაწესებულების ან პირისთვის დახმარების საჭიროების შეუტყობინებლობისათვის.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა აღნიშნულ ვითარებაში პირისთვის დახმარების აღმოჩენას მიიჩნევს ყოველი ადამიანის არა მხოლოდ მორალურ, არამედ აგრეთვე სამართლებრივ მოვალეობად.

აღნიშნული მოვალეობა წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ პირი ნამდვილად იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და დამნაშავეს შეეძლო მისთვის დახმარების აღმოჩენა თავისთვის ან სხვა პირისთვის სერიოზული საშიშროების გარეშე (მაგალითად, უკეთუ ადამიანი წყალმა გაიტაცა და იღრჩობა, ყოველი პირის მოვალეობაა მიაწოდოს მას საშველი საშუალება, თუ მიღებული აქვს საწამლავი — მისცეს შხამის საწინააღმდეგო და ა. შ., ცხადია, როდესაც ამის შესაძლებლობა არსებობს). ისეთი ვითარების არსებობისას, თუ პირი ვერ შეძლებს უშუალოდ გაუწიოს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფს დახმარება, მან ის მაინც უნდა გა-

აკეთოს, რომ უმალვე შეატყობინოს სათანადო დაწესებულებას ან პირს (მაგ., სასწრაფო საექიმო დახმარების პუნქტს, მილიციის ორგანოს და ა. შ.) დახმარების საჭიროების შესახებ.

განსახილველი დანაშაული, როგორც წესი, ხასიათდება უმოქმედობით. დამნაშავე არ აკეთებს მას, რაც კანონით ევალება.

სასჯელი სს კოდექსის 130-ე მუხლით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ექვს თვემდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვა.

თ. ავადმყოფისათვის დახმარების აღმოუჩენლობა მედიცინის მუშაკის მიერ. ეს დანაშაული, გათვალისწინებული სს კოდექსის 131-ე მუხლში, ხასიათდება უმოქმედობით. მისი სუბიექტია მედიცინის მუშაკი, რომელიც კანონის თუ სპეციალური წესების ძალით ვალდებულია აღმოუჩინოს ავადმყოფს ყოველთვის (და არა მარტო სამუშაო საათებში) გადაუდებელი საექიმო დახმარება (ექიმი, ექთანი, ბებიაქალი, სასწრაფო დახმარების მორიგე და ა. შ.)[1]. სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში მომუშავე მედიცინის მუშაკი პასუხს აგებს 131-ე მუხლით მხოლოდ მაშინ, თუ დახმარების აღმოუჩენლობას ადგილი ჰქონდა არა მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში (დახმარების აღმოუჩენლობა სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებისას) მედიცინის მუშაკი პასუხს აგებს თანამდებობრივი დანაშაულისათვის (186-ე ან 188-ე მუხლით).

მედიცინის მუშაკი სს კოდექსის 131-ე მუხლით პასუხისგებაში ვერ მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფს დახმარება არ გაეწია საპატიო მიზეზის გამო. არსებობდა თუ არა საპატიო მიზეზი — ეს ფაქტის საკითხია, რომელსაც გადაწყვეტს სასამართლო კონკრეტული საქმის ერთობლივ გარემოებათა გათვალისწინებით. ისეთი შემთხვევა, როგორიც არის, მაგალითად, თვით ექიმის ავადმყოფობა ან მისი წასვლა უფრო მძიმე ავადმყოფისათვის დახმარების გასაწევად და ა. შ., ყოველთვის ჩაითვლება საპატიო მიზეზად.

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახია.

სასჯელი სს კოდექსის 131-ე მუხლის პირველი ნაწილით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვა.

იმავე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია დანაშაულის კვალიფიციური სახე. დამამძიმებელ გარემოებად ითვლება დახმარების აღ-

---

[1] სხვა, არაგადაუდებელ შემთხვევაში დახმარების აღმოუჩენლობა გამოიწვევს დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენებას.

მოუჩენლობის გამო ავადმყოფისათვის მძიმე შედეგის დადგომა[1]. მძიმე შედეგად ჩაითვლება სიკვდილი, დაავადების გართულება და სხვ. დამნაშავის დამოკიდებულება ასეთი შედეგისადმი გამოიხატება, როგორც წესი, გაუფრთხილებელ ბრალში (თვითიმედოვნების ან დაუდევრობის სახით).

სსჯელი სს კოდექსის 131-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე, პროფესიული საქმიანობის შემდგომი აკრძალვით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

ი. განხაცდელში მყოფ პირთათვის დახმარების აღმოუჩენლობა გემის კაპიტნის მიერ. სს კოდექსის 132-ე მუხლის ძალით, გემის კაპიტნის მიერ დახმარების აღმოუჩენლობა იმ პირთათვის, რომლებიც ზღვაში ან სხვა წყალსავალ გზაზე იღუპებოდნენ, თუ ამ დახმარების აღმოჩენა შესაძლებელი იყო, გემის ეკიპაჟისა და მგზავრებისათვის სერიოზული საფრთხის გარეშე, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

ასეთი მუხლი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილია შესაბამისად 1929 წ. მიღებული საერთაშორისო კონვენციისა „ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის შესახებ“ (სსრ კავშირისათვის ეს კონვენცია ძალაში შევიდა 1931 წ. 1 ივლისიდან).

დანაშაული გამოიხატება უმოქმედობაში. მისი სუბიექტია მხოლოდ გემის კაპიტანი, ე. ი. პირი, რომელსაც აკისრია გემის (სულ ერთია, იქნება სამგზავრო, სავაჭრო, თევზსაჭერი თუ სხვა სახის) მართვა და პასუხისმგებელია ნაოსნობის უსაფრთხოებისათვის.

§ 8. დანაშაული პირადი თავისუფლების წინააღმდეგ

ა. უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა. ეს დანაშაული გათვალისწინებულია სს კოდექსის 133-ე მუხლში. განსახილველი დანაშაულის ობიექტია ადამიანის პირადი თავისუფლება, მისი უფლება წავიდეს იქ, სადაც სურს, აირჩიოს სურვილისამებრ თავისი სამყოფელი ადგილი.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება დაზარალებულისათვის მიმოსვლისა და ადგილსამყოფელის შერჩევის საშუალების წართმევაში უკანონოდ და ძალდატანებით, დაზარალებუ-

[1] რსფსრ, ბელორუსიისა და ზოგიერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვით, აგრეთვე ასეთი შედეგის წინასწარი შეენობით დადგომის შესაძლებლობაც (იხ. შესაბამისად 128-ე, 126-ე და სხვ. მუხლები).

ლის სურვილის საწინააღმდეგოდ. ძალადობა ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური.

უკეთუ თავისუფლების აღკვეთა კანონიერი, მართლზომიერი იყო (მაგალითად, განხორციელებული ბოროტმოქმედის დასაკავებლად. პირის მიერ თვითმკვლელობის აქტის ჩადენის აღსაკვეთად, ეპიდემიის გავრცელების გამო კარანტინში მოსათავსებლად და სხვ.) ან ჩადენილი თვით დაზარალებულის თანხმობით, იგი დანაშაულად არ ჩაითვლება.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ კერძო პირი[1].

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს ანგარება, ეჭვიანობა, შურისძიება თუ სხვა პირადი დაინტერესება და ა. შ. მოტივის შინაარსს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

სასჯელი სს კოდექსის 133-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით.

133-ე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია დანაშაულის კვალიფიცირი სახე, სახელდობრ, თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ჩადენილია დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში საშუალებით ან რომელსაც თან ახლავს დაზარალებულისათვის ფიზიკური ტანჯვის მიყენება.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშია, მაგალითად, თავისუფლებაააღკვეთილის ნესტიან, ბნელ სარდაფში მოთავსება, მისთვის პირში ჩვრის ჩაჩრა (რის გამოც ის შეიძლება დაიხრჩოს) და ა. შ., ხოლო დაზარალებულს ფიზიკურ ტანჯვას მიაყენებს ხანგრძლივად მისთვის საკვების, წყლის მიუცემლობა და სხვ.

დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის არ არის საკმარისი, რომ დასახელებული საშუალებით თავისუფლების აღკვეთას რაიმე მძიმე შედეგი მოჰყვეს. საკმარისია ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობა. თუ აღნიშნულმა ქმედობამ მძიმე შედეგი გამოიწვია (მაგ., სიკვდილი ან სხეულის დაზიანება), იგი დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, სს კოდექსის 133-ე მუხლით და პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულთა თავის შესაბამისი მუხლით.

სასჯელი სს კოდექსის 133-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე.

---

[1] უკანონო დაპატიმრება ან დაკავება, ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ, დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 194-ე მუხლით.

ბ. ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით. ამ დანაშაულის ობიექტს (გათვალისწინებულს სს კოდექსის 134-ე მუხლში) წარმოადგენს ქალის თავისუფლება თავის სურვილისამებრ გადაწყვიტოს საკითხი, თუ ვისთან დაქორწინდეს.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება ქალის ფიზიკურად გატაცებაში (მანქანით, ცხენით, ფეხით თუ სხვა საშუალებით) მისი ჩვეულებრივი სამყოფელი ადგილიდან.

გატაცება შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე ქალის ძალდატანებით დაკავებაში იმ ადგილზე, სადაც იგი მივიდა თავისი ნებით (მაგალითად, სტუმრად) ან სადაც მიყვანილ იქნა დამნაშავის მიერ მოტყუებით.

მოტაცება ყოველთვის გულისხმობს ძალადობას (როგორც ფიზიკურს, მაგალითად, ცემას, გათოკვას და ა. შ., ასევე მუქარას). არ არის გამორიცხული დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებაც.

უკეთუ ძალადობა მხოლოდ მოჩვენებითია და ასეთივეა ქალის წინააღმდეგობაც (ზოგჯერ ადგილი აქვს მოტაცების ინსცენირებას ქალის აბლო ნათესავების დასარწმუნებლად, რომ თითქოს იგი წაიყვანეს ძალადობით, მაშინ როდესაც „მოტაცება" განხორციელდა ქალის სრული ნებაყოფლობით), დანაშაულის შედგენილობა, ცხადია, არ იქნება,

იმ შემთხვევაში, როდესაც ქალის მოტაცებას ქორწინების მიზნით თან სდევდა სხვა უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენაც (სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, გაუპატიურება და ა. შ.), პასუხისმგებლობა განისაზღვრება დანაშაულთა ერთობლიობით.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს აქვს იმის შეგნება, რომ იტაცებს ქალს მასთან ქორწინების მიზნით, უკანასკნელის ნება-სურვილის წინააღმდეგ, და სურს ეს.

უკეთუ ქალის გატაცება განხორციელდა არა ქორწინების მიზნით, არამედ მასთან ძალით სქესობრივი კავშირის დასაჭერად, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც გაუპატიურების მცდელობა ან მომზადება.

სასჯელი სს კოდექსის 134-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე.

გ. ბავშვის მოტაცება ან შეცვლა. სხვისი ბავშვის მოტაცებას ან ბავშვის შეცვლას, რომელიც ჩადენილია ანგარებით ან სხვა ქვენა

გრძნობით, ითვალისწინებს სს კოდექსის 127-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ეს დანაშაული ხელყოფს როგორც ბავშვის თავისუფლებას, მის ნორმალურ აღზრდა-განვითარებას, ასევე მშობლების უფლებას თავიანთ ბავშვებზე. საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის ძალით მშობლებს უფლება აქვთ მოთხოვონ თავიანთი შვილის მათთვის გადაცემა ყველა პირს, ვისთანაც იგი უკანონოდ იმყოფება.

გატაცება-ან-შეცვლა შეიძლება მხოლოდ სხვისი ბავშვისა. ერთ-ერთი მშობლის მიერ თავისი შვილის მოტაცება, რომელიც ცალკე მცხოვრებ მეორე მშობელთან იმყოფება, განსახილველ დანაშაულად ვერ ჩაითვლება (ასეთი ქმედება სათანადო პირობებში მოგვცემს სს კოდექსის 220-ე მუხლში გათვალისწინებული თვითნებობის შედგენილობას).

ბავშვად ითვლება პირი 14 წლის ასაკამდე. უფროსი ასაკის პირის გატაცება გამოიწვევს პასუხისმგებლობას სს კოდექსის 133-ე მუხლით (უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა).

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება სხვისი ბავშვის მოტაცებაში (იქნება ეს საჯაროდ თუ ფარულად, ძალადობით თუ მუქარით-ან მოტყუებით) ან ბავშვის შეცვლაში. დანაშაულად ითვლება, აგრეთვე, ბავშვის მოტაცება სკოლიდან, საბავშვო სახლიდან და ა. შ. ბავშვის თანხმობა აღნიშნული მოქმედების ჩადენისას პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს. ბავშვის შეცვლა შესაძლებელია მარტოოდენ ჩვილის მიმართ, რომლის ინდივიდუალური თავისებურებანი ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი.

სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი 16 წლის ასაკიდან, რომელსაც არ გააჩნია ბავშვზე მშობლის უფლება, მათ შორის სათანადო დაწესებულებათა (საშობიაროს სახლის, საავადმყოფოს, ბავშვთა ბაგის და სხვ.) მუშაკებიც.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს აქვს იმის შეგნება, რომ ბავშვი მას არ ეკუთვნის და სურს მისი მოტაცება ან შეცვლა. მოტივს წარმოადგენს ანგარება (გამორჩენის მოლება, მაგალითად, გამოსყიდვის მოთხოვნის გზით) ან სხვა ქვენა გრძნობა (მაგ., ავადმყოფი ბავშვის შეცვლა ჯანსაღით, გოგოსი — ბიჭით ან პირიქით, შურისძიება და ა. შ.).

გაუფრთხილებელი ბრალი ამ დანაშაულის შედგენილობას ვერ მოგვცემს (127-ე მუხლი არ შეიძლება მიეყენოს, მაგალითად, საშობიაროს სახლში ექიმის დაუდევრობით ჩვილის შეცვლას. ასეთი ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს სს კოდექსის 188-ე მუხლით, როგორც სამსახურებრივი დაუდევრობა).

სასჯელი სს კოდექსის 127-ე მუხლის პირველი ნაწილით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე.

127-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს იგივე ქმედობას, ჩადენილს ანგარების ან სხვა ქვენა გრძნობის გარეშე (მაგალითად, იმ მიზნით რომ ბავშვი იხსნას ცუდი მოპყრობისაგან ან რომ უშვილობის გამო თვით სურს ჰყავდეს და აღზარდოს ბავშვი და ა. შ.) და სჯის თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით[1].

დ. იძულება. სს კოდექსის 135-ე მუხლი ითვალისწინებს ძალადატანებით ან დასასჯელი მუქარით სხვა პირის იძულებას, რომ შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება[2].

ეს დანაშაული ხელყოფს ადამიანის თავისუფლებას, მის ნებას იცხოვროს და იმოქმედოს თავისი საკუთარი სურვილისამებრ.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება დაზარალებულის მიმართ როგორც ფიზიკური ძალადობის გამოყენებაში, ასევე დასასჯელ მუქარაში იმ მიზნით, რომ აიძულოს იგი შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება.

დასასჯელი მუქარა ნიშნავს მოკვლით ან სხეულის მძიმე დაზიანებით, ან საყოველთაოდ საშიში საშუალებით ქონების დაზიანებით დამუქრებას (იხ. ქვემოთ, სს კოდექსის 136-ე მუხლი).

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახია.

სასჯელი სს კოდექსის 135-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით ან ჯარიმა ას მანეთამდე.

ე. მუქარა. მოკვლის ან სხეულის მძიმე დაზიანების ან საყოველთაოდ საშიში საშუალებით ქონების დაზიანების მუქარა პირის ან მისი ახლობლების მიმართ, როდესაც საკმაოდ საფუძვლიანია მუქა-

---

[1] საქ. სსრ 127-ე მუხლის მეორე ნაწ. გათვალისწინებული დანაშაულის შედგენილობა მოცემულია აგრეთვე რსფსრ, მოლდავეთის, ტაჯიკეთის და თურქმენეთის სსრ სს კოდექსებში (იხ. შესაბამისად 125-ე, 113-ე, 129-ე, 135-ე მუხლები). ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადია მხოლოდ სხეისი ბავშვის გატაცება ან ბავშვის შეცვლა ჩადენილი ანგარებით ან სხვა ქვენა გრძნობით, და ამრიგად, იგივე ქმედობა, ჩადენილი ამ ნიშნების გარეშე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ იწვევს (იხ. უკრაინის სსკ 124-ე მუხლი, ბელორუსიის — 123-ე მუხლი, უზბეკეთის — 107-ე მუხლი, აზერბაიჯანის — 126-ე მუხლი, სომხეთის — 127-ე მუხლი და ა. შ.).

[2] ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვის უცნობია ამ სახის დანაშაული.

რის განხორციელების საფრთხე, გათვალისწინებულია სს კოდექსის 136-ე მუხლში.

ამ სახის დანაშაული ადრე მოქმედ კოდექსში არ იყო მოცემული. ახალი კოდექსის მიხედვით მუქარის დასჯადად აღიარებას დიდი აღმზრდელობითი და გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს[1].

განსახილველი დანაშაულის ო ბ ი ე ქ ტ ს წარმოადგენს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის უსაფრთხოება, მყუდრობა. მუქარა ფსიქიკურ ტრავმას აყენებს დაზარალებულს, იწვევს შიშს მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების ხელუხლებლობის მოსალოდნელი დარღვევის გამო[2].

ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მხრივ დანაშაული გამოიხატება მეორე პირის (ან მისი ახლობლების) მიმართ მოკვლის ან სხეულის მძიმე დაზიანების, ან საყოველთაოდ საშიში საშუალებით (მაგ., ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით და ა. შ.) ქონების დაზიანების მუქარაში, რაც შეიძლება გამომეღავნებულ იქნეს სიტყვიერად, წერილობით და სხვ. საშუალებით. ამასთან მუქარა უნდა იყოს რეალური, სერიოზული და ქმნიდეს საკმაო საფუძველს იმის ვარაუდისათვის, რომ იგი შეიძლება მართლაც განხორციელდეს[3].

მუქარა ასეთ შემთხვევაში, როგორც დამოუკიდებელი სახის დანაშაული, ფაქტიურად წარმოადგენს მხოლოდ განზრახვის გამოძღავნებას. ამით განსხვავდება ის დანაშაულისათვის მზადებისა და მცდელობისაგან, რაც მდგომარეობს გარკვეული დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ მოქმედებათა შესრულებაში. ამიტომ მუქარა დამთავრებულად ითვლება მისი გამოვლინების მომენტიდან.

უკეთუ სუბიექტის მიერ შესრულებულია რაიმე მოქმედება, გაგებული როგორც დანაშაულისათვის მზადება ან მცდელობა, და ამასთან დადგენილია, რომ მის მიზანს წარმოადგენდა მკვლელობა,

---

[1] მუქარა თანამდებობის პირის ან საზოგადოებრივი მუშაკის მიმართ მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია სს კოდექსის 209-ე მუხლში.

[2] დანაშაულის ობიექტად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგიც. ამიტომ არის, რომ რსფსრ, ბელორუსიის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის, სსრ სს კოდექსები ამ დანაშაულს ითვალისწინებენ თავში „დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ" (იხ. შესაბამისად 207-ე, 202-ე, 227-ე, 219-ე, 205-ე, 216-ე, 221-ე, 223-ე, 237-ე მუხლები).

[3] ლიტვის და ყირგიზეთის სსრ სს კოდექსებით პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით დაწესებულია მხოლოდ მოკვლის და სხეულის მძიმე დაზიანების მუქარისათვის (იხ. შესაბამისად 227-ე და 216-ე მუხლები).

სხეულის დაზიანება თუ საყოველთაოდ საშიში საშუალებით ქონების დაზიანება, დამნაშავე პასუხს აგებს შესაბამისად სსკ მე-17 და 104-ე, 105-ე, 110-ე ან 157-ე მუხლის მეორე ნაწილით.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი პირი 16 წლის ასაკს მიღწეული.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ მუქარა ხასიათდება პირდაპირი განსახვით. სუბიექტის მიზანს შეადგენს დაზარალებულის დაშინება, მისი წონასწორობიდან გამოყვანა პირადი ურთიერთობის ნიადაგზე, ხოლო მოტივი მუქარისა შეიძლება იყოს შურისძიება, ეჭვიანობა, სიძულვილი და ა. შ., ამას დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

მუქარა, გათვალისწინებული სსკ 136-ე მუხლში, განსხვავდება მუქარისაგან, რომელსაც პირი მიმართავს მთელი რიგი სხვა დანაშაულის (მაგ., ყაჩაღობის, გამოძალვის და სხვ.) ჩადენისას მით, რომ უკანასკნელ შემთხვევაში მუქარა უშუალოდ თან სდევს სხვა დანაშაულის სისრულეში მოყვანას, შეადგენს ამ დანაშაულის შედგენილობის ობიექტური მხარის ელემენტს და, როგორც წესი, დაკავშირებულია ქონების დაუფლების მიზნის მიღწევასთან. 136-ე მუხლში მოცემული მუქარისათვის კი ასეთი ნიშნები დამახასიათებელი არ არის.

სასჯელი სს კოდექსის 136-ე მუხლით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმა ას მანეთამდე, ან საზოგადოებრივი გაკიცხვა.

§ 7. დანაშაული ადამიანის პატივისა და ღირსების წინააღმდეგ

საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე ყოველი ღონისძიებით უწყობდნენ ხელს საბჭოთა ადამიანებში მაღალ მორალურ თვისებათა განვითარებას, ნერგავდნენ საბჭოთა ადამიანში საკუთარი ღირსების შეგნებას, სხვა ადამიანთა ღირსებისადმი პატივისცემით, სათუთად მოპყრობის გრძნობას.

საბჭოთა კანონები, კომუნისტური მორალი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები მოითხოვენ კომუნიზმის მშენებელი საზოგადოების წევრების პირადი ღირსებისა და პატივის დაცვას.

პიროვნების ღირსების დაცვას საშიშ ხელყოფათაგან ემსახურება აგრეთვე საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ღირსებისა და პატივის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ორ სახეს: ცილისწამებას და შეურაცხყოფას.

ორივე სახის ეს დანაშაული გამოიხატება ერთი პირის მიერ მეორე პირის ღირსების განზრახ დამცირებაში. ამასთან ადამიანის ღირსება გაგებულ უნდა იქნეს, ერთი მხრივ, როგორც ადამიანის შეფასება სხვა პირების მიერ იმ ურთიერთობათა სფეროში, რომელშიც წარიმართება მთელი მისი ცხოვრება და საქმიანობა, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ადამიანის პირადი გრძნობა, მის მიერ თავისი საკუთარი ღირსების შეგნება. უკეთუ ხელყოფა მიმართულია გარემო საზოგადოებაში (თანამოქალაქეთა თვალში) ადამიანის ღირსების დამცირებისაკენ, მისი სახელის გატეხისაკენ — იგი ჩაითვლება ცილისწამებად, ხოლო ხელყოფა, მიმართული ადამიანის მიერ თავისი პირადი ღირსების შეგნებისადმი უდიერად მოპყრობისაკენ, აბუჩად აგდებისაკენ, ადამიანის მისწრაფებისაკენ — არ იქნეს იგნორირებული მისი პატივი, ჩაითვლება შეურაცხყოფად. სხვაგვარად რომ ითქვას, უკეთუ სუბიექტი მეორე პირის შესახებ გამოთქვამს თავის საკუთარ მოსაზრებას სოციალისტურ საზოგადოებაში დაუშვებელ, უწესო, უზრდელ ფორმაში, საქმე გვექნება შეურაცხყოფასთან; იმ შემთხვევაში კი, თუ სუბიექტი შეთხზავს და გაავრცელებს სხვა პირთა შორის ადამიანის სახელის გამტეხ კონკრეტულ გარემოებებს, ქმედობა განიხილება როგორც ცილისწამება.

ა. ცილისწამება. სს კოდექსის 137-ე მუხლის ძალით, ცილისწამება არის შეგნებულად მონაჭორის გავრცელება, რომელიც სახელს უტეხს სხვა პირს.

დანაშაულის შედგენილობისათვის აუცილებელია, რომ ცნობა იყოს ცრუ, მონაჭორი, ამასთან სახელის გამტეხი სხვა პირისათვის და რომ იგი გავრცელდეს. უკეთუ ცნობა, თუნდაც ადამიანის სახელის გამტეხი, სინამდვილეს შეესაბამება, მისი გავრცელება დასჯადი არ არის, რადგან სიმართლის თქმა, ამა თუ იმ პირის მიერ ჩადენილ უმართებულო ქცევის გახმაურება სავსებით დასაშვები და მართლზომიერია სოციალისტური საზოგადოების პირობებში[1]. ასევე, დანაშაულად არ ჩაითვლება ისეთი მონაჭორის გავრცელება, რომელიც არ არის სხვა პირის სახელის გამტეხი.

---

[1] მთელი რიგი ბურჟუაზიული ქვეყნების (პირველ რიგში საფრანგეთის) კანონმდებლობით დასჯადად არის აღიარებული სხვა პირის სახელის გამტეხი ყოველგვარი ცნობის, მათ შორის სინამდვილის შემცველის, გავრცელება, თუ იგი შეეხება მის კერძო ცხოვრებას (ე. წ. დიფამაცია). სიმართლის თქმის დასჯადობა, ცხადია, შეუსაბამოა სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის, სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპისათვის.

გავრცელება ნიშნავს მონაჭორის შეტყობინებას თუნდაც ერთი პიროსათვის (გარდა დაზარალებულისა)[1].

ცილისწამებად ჩაითვლება ისეთი მონაჭორის გავრცელება, თითქოს პირის მიერ ჩადენილი იყოს რაიმე საზოგადოებრივად საშიში ქმედება (დანაშაული), ასევე სხვა ისეთი ქცევა, რომელიც შეუთავსებელია ღირსეული ადამიანის მორალურ სახესთან, უზნეოა საბჭოთა საზოგადოებაში გაბატონებული თვალსაზრისით. ამ დანაშაულის შედგენილობისათვის საჭიროა, რომ გავრცელებული მონაჭორი შეეხებოდეს ისეთ გარემოებას, რასაც თითქოს ადგილი ჰქონდა წარსულში ან აქვს ამჟამად დაზარალებულის პირად თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ცილისწამებად ვერ ჩაითვლება ისეთი სახელის გამტეხი მონაჭორის გავრცელება, რომელიც მიეკუთვნება ამა თუ იმ პირის ცხოვრებასა და საქმიანობას მომავალში (მაგალითად, მტკიცება იმისა, რომ მოქ. ა., დაიკავებს რა დაწესებულებაში გარკვეულ თანამდებობას, აუცილებლად დაიტაცებს სოციალისტურ ქონებას), რადგან ასეთ შემთხვევაში ფაქტიურად ადგილი აქვს მკითხაობას მომავალ მოვლენათა შესახებ. შეურაცხმყოფელ ფორმებში იმის განცხადება, რომ რომელიმე პირი მომავალში ულირს, ამორალურ ქცევას ჩაიდენს, შეადგენს შეურაცხყოფის და არა ცილისწამების შედგენილობას.

სუბიექტური მხრივ ცილისწამება ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს აქვს იმის შეგნება, რომ ავრცელებს მის მიერვე მონაჭორს და სურს ეს, ისახავს რა მიზნად დაზარალებულის სახელის გატეხას. უკეთუ პირმა გაავრცელა სხვა წყაროდან მიღებული ცნობა, თვლიდა რა მას ნამდვილად, მაგრამ ფაქტიურად ცრუ აღმოჩნდა, ცილისწამების შედგენილობა არ იქნება.

ცილისწამება მიეკუთვნება ე. წ. ფორმალურ დანაშაულთა კატეგორიას. იგი დამთავრებულად ითვლება მონაჭორის გავრცელების მომენტიდან და მნიშვნელობა არა აქვს, მოჰყვა მას რაიმე მავნე შედეგი თუ—არა (მაგალითად, დაზარალებულის, სახელის გატეხა).

ცილისწამება განსხვავდება ცრუ დასმენისაგან მით, რომ იგი ჯერ ერთი, არ გულისხმობს ყოველთვის ცრუ ბრალდებას დანაშაულის ჩადენაში და, მეორეც, არა აქვს ადგილი მონაჭორის ისეთი ორგანოსათვის შეტყობინებას, რომელიც აღჭურვილია სისხლის

---

[1] დაზარალებულისათვის პირადად ცილისმწამებლური ცნობის მიწოდება შეადგენს შეურაცხყოფას და არა ცილისწამებას, რადგან ასეთ შემთხვევაში არ არსებობს კანონით დადგენილი გავრცელების ნიშანი.

სამართლის დევნის უფლებით (ასეთი ნიშნებით ხასიათდება მხოლოდ ცრუ დასმენა, იხ. სსკ 196-ე მუხლი).

ცილისწამების მარტივი სახე სს კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ას მანეთამდე, ან გამოიწვევს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებით შეფარდებას.

სს კოდექსის 137-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ცილისწამების კვალიფიციურ სახეს, სახელდობრ, ცილისწამებას ნაბეჭდ ან სხვაგვარი ხერხით გავრცელებულ ნაწარმოებებში და აგრეთვე იმ პირის მიერ, რომელიც ადრე იყო მსჯავრდებული ცილისწამებისათვის.

ნაბეჭდი ან სხვაგვარი ხერხით გავრცელებულად ჩაითვლება ნაწარმოები დაბეჭდილი სტამბაში, ჰექტოგრაფზე, საწერ მანქანაზე, გამრავლებული ხელით, მოთავსებული კედლის გაზეთში და ა. შ.

ცილისწამებისათვის ადრე მსჯავრდება ნიშნავს სუბიექტის ნასამართლობას სწორედ ამ დანაშაულისათვის (უკეთუ, ცხადია, ნასამართლობა არ არის მოხსნილი ხანდაზმულობით ან ამნისტიით), რის შემდეგაც მან კვლავ ჩაიდინა ასეთივე დანაშაული (ე. ი. ცილისწამება).

სასჯელი სსკ 137-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე.

იმავე მუხლის მესამე ნაწილში მოცემულია ცილისწამების განსაკუთრებით საშიში სახე — ცილისწამება, რომელსაც თან ერთვის განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო ან სხვა მძიმე დანაშაულში ბრალდება. დანაშაულის ეს სახე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

საქმე სს კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (ცილისწამების მარტივი სახე) შესახებ მიეკუთვნება ე. წ. კერძო ბრალდების კატეგორიის საქმეებს და სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლის ძალით შეიძლება აღიძრას მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით და შეწყდება, თუ იგი ბრალდებულს შეურიგდა.

3. შეურაცხყოფა. შეურაცხყოფა, გათვალისწინებული სს კოდექსის 138-ე მუხლში, არის პიროვნების პატივისა და ღირსების განზრახ დამცირება, გამოხატული უწესო ფორმით.

შეურაცხყოფის შედგენილობისათვის სავალდებულოა, რომ სუბიექტის ქმედობა გამოხატავდეს ადამიანის პიროვნების დამამ-

ცირებელ, აბუჩად ამგდებ შეფასებას სოციალისტურ საზოგადოებაში დაუშვებელი უწესო ფორმით. წესიერად, ზრდილობისა და თავაზიანობის დაცვით პიროვნების ცხოვრებისა და საქმიანობის კრიტიკული შეფასება არათუ დასაჯადია, არამედ სრულიად მისაღები და სასარგებლოც.

ცილისწამებისაგან განსხვავებით შეურაცხყოფის დროს დამნაშავე ამჟღავნებს არა კონკრეტულ ფაქტებს დაზარალებულის შესახებ, არამედ უკანასკნელის პირად თვისებებს, ყოფაქცევას და ა. შ. აძლევს თავისებურ შეფასებას სოციალისტურ საზოგადოებაში დაუშვებელ უწესო ფორმაში.

შეურაცხყოფა მიმართული უნდა იყოს ზუსტად განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ და ამასთან ჩადენილი, როგორც წესი, დაზარალებულის თანდასწრებით. დაუსწრებელი შეურაცხყოფა დასჯადია მხოლოდ მაშინ, თუ დამნაშავე დარწმუნებული იყო, რომ მის მიერ გამოთქმული უარყოფითი შეფასება შემდეგში დაზარალებულს ეცნობებოდა და კიდეევაც სურდა ეს.

განსახილველი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით: სიტყვიერად, წერილობით, მოქმედებით და ა. შ.

მოქმედებით შეურაცხყოფა ნიშნავს ადამიანის სხეულის ხელუხლებლობის დარღვევას მისი ღირსებისა და პატივის დამცირების მიზნით; მაგალითად, ყურის აწევა, სახეში მიფურთხება, ულვაშის ან თმის ძოკვრა და ა. შ. შეადგენს მოქმედებით შეურაცხყოფას.

შეურაცხყოფა მოქმედებით განსხვავდება გარტყმის ან ცემისაგან ქმედობის მიზნის მიხედვით. გარტყმის ან ცემისას დამნაშავე მიზნად ისახავს დაზარალებულისათვის ფიზიკური ტკივილის მიყენებას, ხოლო მოქმედებით შეურაცხყოფის დროს — მისი პატივისა და ღირსების დამცირებას.

ზოგჯერ შეურაცხყოფა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ხულიგნობა. ეს მოხდება მაშინ, თუ დამნაშავის მოტივს საფუძვლად ჰქონდა არა დაზარალებულთან პირადი ურთიერთდამოკიდებულება, არა პირადი ხასიათის ინტერესი, არამედ დადგენილია, რომ ქმედობა გამოხატავდა საზოგადოების აშკარა უპატივცემულობას, უნეშად არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენლის ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლის შეურაცხყოფა დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 208-ე მუხლით, ხოლო საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის შეურაცხყოფა — 208¹-ე მუხლით.

სუბიექტური მხრივ შეურაცხყოფა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ამასთან სუბიექტის სპეციალური მიზნით — დაამციროს პიროვნების ღირსება და პატივი. ადამიანისადმი გაუფრთხილებლობით უწესო მოპყრობა დანაშაულად ვერ ჩაითვლება.

სს კოდექსის 138-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, შეურაცხყოფა დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ექვს თვემდე ან ჯარიმით ორმოცდაათ მანეთამდე, ან საზოგადოებრივი გაკიცხვით, ანდა გამოიწვევს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შეფარდებას.

იმავე 138-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე შეურაცხყოფა, მიყენებული ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, აგრეთვე ისეთი პირის მიერ, რომელიც წინათ გასამართლებული იყო შეურაცხყოფისათვის[1], ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე.

საქ. სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლის ძალით საქმე სს კოდექსის 138-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შესახებ (შეურაცხყოფა) მიეკუთვნება კერძო ბრალდების საქმეთა კატეგორიას, რაც იმას ნიშნავს, რომ აღიძვრის მხოლოდ დაზარალებულის მიერ და შეიძლება მოისპოს მისი ბრალდებულთან შერიგების გამო.

---

[1] უნდა ეიგულისხმოთ, რომ დამნაშავეს 138-ე მუხლის მეორე ნაწილი შეეფარდება მაშინაც, თუ იგი წინათ გასამართლებული იყო ცილისწამებისათვის (ვინაიდან ეს უკანასკნელიც ადამიანის ღირსების წინააღმდეგ არის მიმართული და ამავე დროს უფრო მძიმე სახისაა შეურაცხყოფასთან შედარებით).

თავი IV

დანაშაული მოქალაქეთა პოლიტიკური და შრომითი უფლებების წინააღმდეგ

სსრ კავშირის მოქალაქეების ძირითადი პოლიტიკური და სოციალური უფლებანი აღბეჭდილია სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-10 თავში. ამ უფლებათა სრული მოცულობით და განუხრელად განხორციელება უზრუნველყოფილია მთელი სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობით, სკკპ და საბჭოთა მთავრობის ეკონომიური, პოლიტიკური და იურიდიული ხასიათის ღონისძიებებით.

ამ უფლებათა ყოველგვარი ხელყოფისაგან დაცვის ერთ-ერთ იურიდიულ გარანტიას წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, კერძოდ, საქ. სსრ (და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების) სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები, გათვალისწინებული მეოთხე თავში „დანაშაული მოქალაქეთა პოლიტიკური და შრომითი უფლებების წინააღმდეგ“. ამ სახის დანაშაულთა ჩამოყალიბება კოდექსის სპეციალურ თავში (ადრე მოქმედი კოდექსი ასეთ თავს არ შეიცავდა) გამოწვეულია სოციალისტური დემოკრატიზმის ყოველმხრივი განვითარებით, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების კიდევ უფრო მტკიცედ, საიმედოდ დაცვის აუცილებლობით.

ყველა დანაშაული, რასაც სს კოდექსის დასახელებული თავი ითვალისწინებს, შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

1. დანაშაული მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების წინააღმდეგ: სსრ კავშირის მოქალაქის მიერ საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა (სსკ 139-ე მუხლი), საარჩევნო დოკუმენტების გაყალბება ან ხმების არასწორი დათვლა (140-ე მუხლი), პროფესიული კავშირების კანონიერი საქმიანობისათვის დაბრკოლების შექმნა (142-ე მუხლი).

2. დანაშაული მოქალაქეთა შრომითი უფლებების წინააღმდეგ: შრომის კანონმდებლობის დარღვევა (144-ე მუხლი), ორსულ ქალს ან ძუძუს მაწოვებელი დედის სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმა ან სამუშაოდან მისი დათხოვნა (145-ე მუხლი), შრომის დაცვის წესების დარღვევა (146-ე მუხლი).

3. დანაშაული მოქალაქეთა სხვა ძირითადი უფლებების წინააღმდეგ: მოქალაქეთა ბინის ხელშეუხებლობის დარღვევა (141-ე მუხლი), მიმოწერის საიდუმლოების დარღვევა (143-ე მუხლი), საავტორო და საგამომგონებლო უფლებების დარღვევა (147-ე მუხლი), სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონთა დარღვევა (148-ე მუხლი) და რელიგიური წესების შესრულებისათვის ხელის შეშლა (149-ე მუხლი)[1].

§ 1. დანაშაული მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების წინააღმდეგ

ა. სსრ კავშირის მოქალაქის მიერ საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა, გათვალისწინებული საქ. სსრ სს კოდექსის 139-ე მუხლში.

საბჭოთა საარჩევნო სისტემა ყველაზე დემოკრატიულია მსოფლიოში. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების ძალით, სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა (გარდა შშლილებისა), უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მშრომელთა დეპუტატების ყველა საბჭოს, აგრეთვე სახალხო სასამართლოების არჩევნებში საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭის ყრით. სკკპ პროგრამა მოითხოვს საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიული პრინციპების შემდგომ განვითარებას. „პარტიას საჭიროდ მიაჩნია, — ნათქვამია პროგრამაში, — გააუმჯობესოს სახალხო წარმომადგენლობის ფორმები და განავითაროს საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიული პრინციპები“[2].

მოქალაქეთა მიერ საარჩევნო უფლების განხორციელება გარანტირებულია საბჭოთა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხვადასხვა ღონისძიებათა მთელი სისტემით. ამავე მიზანს ემსახურება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმებიც, კერძოდ საქ. სსრ სს კოდექსის 139-ე მუხლი.

---

[1] აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსები (თავში „დანაშაული მოქალაქეთა პოლიტიკური და შრომითი უფლებების წინააღმდეგ“) ადგილობრივი სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე, ითვალისწინებენ დანაშაულის ისეთ შედგენილობებს, რაც უცნობია საქ. სსრ სს კოდექსისათვის. ასე, მაგალითად, რსფსრ, უზბეკეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის სსკ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებენ ქალების თანასწორუფლებიანობის დარღვევისათვის (იხ. შესაბამისად 134-ე, 134-ე, 120-ე, 131-ე, 142-ე, 144-ე მუხლები); შემდეგ, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის სსკ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების განხორციელების ხელის შეშლისათვის და სხვ.

[2] სკკპ პროგრამა, 1961, გვ. 113.

სსრ კავშირის მოქალაქის მიერ საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა კონკრეტულად შეიძლება გამოიხატოს ძალადობაში, მოტყუებაში, მუქარაში ან მოსყიდვაში.

ძალადობა შეიძლება განხორციელდეს მოქალაქის მიმართ ყოველი სახის ფიზიკურ ზემოქმედებაში—იმისათვის, რომ მან ვერ გამოიყენოს თავისუფლად, სურვილისამებრ საარჩევნო უფლება, სახელდობრ, ცემაში, სხეულის მსუბუქ დაზიანებაში და ა. შ. უკეთუ ადგილი აქვს სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას, ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით — სსკ 139-ე მუხლით და იმ მუხლით, რომელიც აღნიშნული სახის დაზიანებას ითვალისწინებს (რამდენადაც სხეულის ასეთი დაზიანება უფრო მკაცრ სასჯელს იწვევს 139-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან შედარებით).

მოტყუება მოქალაქის მიერ საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის მიზნით ნიშნავს მოქალაქისათვის არჩევნების დროის, ადგილის, ასარჩევი კანდიდატის პიროვნების შესახებ არასწორი ცნობების მიწოდებას, აგრეთვე მისი ნდობის ბოროტად გამოყენებას (მაგ., ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველს ავადმყოფობის თუ ფიზიკური ნაკლის გამო არ ძალუძს პირადად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი) და სხვ.

მუქარა გამოიხატება ამავე მიზნით მოქალაქეზე ფსიქიკურ ზემოქმედებაში. იგი შეიძლება მდგომარეობდეს სიკვდილის, სხეულის დაზიანების, ქონების განადგურების ან გამაწბილებელი ცნობების გახმაურების მუქარაში, რაც იმდენად რეალური, ქმედითი უნდა იყოს, რომ აიძულოს დაზარალებული, თავი შეიკავოს თავისი საარჩევნო უფლების განხორციელებისაგან.

დაბოლოს, მოსყიდვა შეიძლება გამოიხატოს ამომრჩევლისათვის ფულის თუ სხვა სახის ფასეულობის გადაცემაში (ან ასეთი გადაცემის დაპირებაში) იმ მიზნით, რომ აიძულოს იგი უარყოს თავისი საარჩევნო უფლების განხორციელება.

განსახილველი დანაშაული დამთავრებულად ითვლება ერთ-ერთი ზემოხსენებული მოქმედების ჩადენის მომენტიდან და, მაშასადამე, დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს მოქალაქეს ნამდვილად შეეშალა ხელი თავის საარჩევნო უფლების განხორციელებაში თუ — არა.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყველა შერაცხადი პირი 16 წლის ასაკიდან, როგორც კერძო, ასევე თანამდებობის პირი (მაგ., ვინც უშუალოდ ახორციელებს არჩევნების ჩატარებას).

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახია, ამასთან დამნაშავეს

ახასიათებს სპეციალური მიზანი — სსრ კავშირის მოქალაქის მიერ საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა.

სასჯელი სს კოდექსის 139-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე, ან თანამდებობიდან დათხოვნა.

ბ. საარჩევნო დოკუმენტების გაყალბება ან ხმების არასწორი დათვლა. საქ. სსრ სს კოდექსის 140-ე მუხლი ითვალისწინებს მოქალაქეთა საარჩევნო უფლების წინააღმდეგ მიმართულ ისეთ დანაშაულს, როგორიც არის საარჩევნო დოკუმენტების გაყალბება ან ხმების შეგნებულად არასწორი დათვლა, აგრეთვე ხმის მიცემის საიდუმლოების დარღვევა ჩადენილი საარჩევნო კომისიის წევრის ან სხვა თანამდებობის პირის მიერ.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება საარჩევნო დოკუმენტში (ამომრჩეველთა სიები, ხმის მიცემის ბიულეტენი, ოქმები კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ, მოწმობა დეპუტატის ან მოსამართლის არჩევის შესახებ და ა. შ.) წინასწარი შეცნობით ცრუ ცნობების შეტანაში, მის გადასწორებაში, ყალბად შედგენაში და ა. შ., აგრეთვე შეგნებულად ამა თუ იმ კანდიდატისათვის მიცემული ხმების არასწორად დათვლაში (როგორც საარჩევნო უბანში, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიაში ხმების საბოლოო დაჯამებისას) და ხმის მიცემის საიდუმლოების დარღვევაში (ხმის მიცემის საიდუმლოება ნიშნავს საარჩევნო დოკუმენტების მიღების, სპეციალურ ოთახში კანდიდატების სიის გასინჯვის შემდეგ, ბიულეტენის ყუთში ფარულად ჩაშვების მოქმედი წესის დაცვას).

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ საარჩევნო კომისიის წევრი ან სხვა ისეთი თანამდებობის პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს არჩევნების ორგანიზაციასა და ჩატარებაში. ასეთებია, კერძოდ, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების წევრები, საამხედრო ნაწილების მეთაურები, რომელთაც აკისრიათ პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა სიების შედგენისათვის. აღნიშნული 140-ე მუხლით პასუხს ვერ აგებენ ცალკეული პირები, მოწვეულნი შესაბამისი აღმასკომების მიერ ტექნიკური სამუშაოს (მაგალითად, ამომრჩეველთა სიების გადასაწერად თუ დასაბეჭდად) შესასრულებლად.

სუბიექტური მხრივ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ. ხმების არასწორი დათვლა შეცდომით თუ დაუდევრობით შეიძლება დაკვალიფიცირდეს 188-ე მუხლით (საქ. ახურებრივი დაუდევრობა) ან დაისაჯოს დისციპლინური წესით.

სასჯელი სს კოდექსის 140-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით.

ბ. პროფესიული კავშირების საქმიანობისათვის დაბრკოლების შექმნა. ძალზე ფართო და პასუხსაგები ამოცანები აქვთ დაკისრებული სსრ კავშირში პროფესიულ კავშირებს. ისინი უშუალოდ წყვეტენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მთელ ციგ საკითხებს, იცავენ მუშა-მოსამსახურეების შრომით და საყოფაცხოვრებო ინტერესებს, უზრუნველყოფენ შრომის კანონმდებლობის ყველა მოთხოვნის დაცვას საწარმოებსა და დაწესებულებებში, დებენ მათ ადმინისტრაციასთან კოლექტიურ ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის შესახებ, მონაწილეობენ სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში და ა. შ. კიდევ უფრო იზრდება პროფესიული კავშირების (ისევე, როგორც ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის) როლი კომუნიზმის გაშლილ მშენებლობის პერიოდში. სკკპ პროგრამაში ნათქვამია, რომ „განსაკუთრებით იზრდება პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ს როგორც მმართველობის სკოლის, მეურნეობის გაძღოლის სკოლის, კომუნიზმის სკოლის მნიშვნელობა"[1].

ის, ვინც აფერხებს, აბრკოლებს პროფესიული კავშირების კანონიერ საქმიანობას, მით ხელყოფს სსრ კავშირის მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებებს. ასეთი ქმედება საზოგადოებრივად საშიშია და იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საქ. სსრ სს კოდექსის 142-ე მუხლის საფუძველზე.

დანაშაული ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ გამოიხატება პროფესიული კავშირების და მათი ცალკეული ორგანოების (ადგილობრივი, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების, შრომითი დავების განმხილავი კომისიების და ა. შ.) კანონიერი საქმიანობისათვის ამა თუ იმ სახით დაბრკოლების შექმნაში. მაგალითად, დასახელებული ორგანოების გადაწყვეტილებათა უკანონო გაუქმებაში, მათ ლონისძიებათა წინააღმდეგ პროფკავშირის წევრების ამხედრებაში, პროფკავშირის წევრთა კრებების აკრძალვაში და ა. შ.

პროფკავშირების უფლებამოსილება დადგენილი და გარანტირებულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებით, სსრ კავშირის პროფესიული კავშირების წესდებით, დებულებით შრომითი დავების განხილვის წესის შესახებ და სხვა ნორმატიული აქტებით.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს, როგორც წესი, სახელმწიფო და

---

[1] სკკპ პროგრამა, 1961, გვ. 118.

საზოგადოებრივი დაწესებულება-საწარმოს თანამდებობის პირი, ზოგჯერ კი სხვა პირიც (მაგალითად, რელიგიური სექტის ხელმძღვანელი და სხვ.).

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება განზრახი ბრალით. სასჯელი სს კოდექსის 142-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე, ან თანამდებობიდან დათხოვნა.

§ 2. დანაშაული მოქალაქეთა შრომითი უფლებების წინააღმდეგ

„სსრ კავშირის მოქალაქეებს, — აღნიშნულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 118-ე მუხლში, — აქვთ შრომის უფლება, ესე იგი გარანტირებული სამუშაოს მიღების უფლება მათი შრომის ანაზღაურებით მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.

შრომის უფლება უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციით, საბჭოთა საზოგადოების საწარმოო ძალთა განუხრელი ზრდით, სამეურნეო კრიზისების შესაძლებლობის აღკვეთით და უმუშევრობის ლიკვიდაციით“.

მოქალაქეთა შრომითი უფლებების ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენს, აგრეთვე, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნორმები, რომლებიც აწესებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას შრომის კანონმდებლობის დარღვევის (საქ. სსრ სს კოდექსის 144-ე მუხლი), ორსული ქალის ან ძუძუს მაწოვებელი ქალის სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმის ან მისი სამუშაოდან დათხოვნისა (145-ე მუხლი) და შრომის დაცვის წესების დარღვევისათვის (146-ე მუხლი).

ა. შრომის კანონმდებლობის დარღვევა. სს კოდექსის 144-ე მუხლის შესაბამისად, შრომის კანონმდებლობის დარღვევად (რაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს) მიჩნეულია მშრომელთა უკანონოდ დათხოვნა სამუშაოდან პირადი დაინტერესებით, სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან შრომის კანონმდებლობის სხვა არსებითი დარღვევა, განზრახ ჩადენილი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულების, ორგანიზაციის ან საწარმოს თანამდებობის პირის მიერ.

მშრომელის სამუშაოდან დათხოვნა უკანონოდ ჩაითვლება ყოველთვის, როდესაც დარღვეულია შრომის კანონთა კოდექსის შესაბამი ნორმები მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნის წესის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წ. 25 აპრილის გრძანებულება „საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშა-მო-

სამსახურეთა თვითნებურად წასვლისა და საპატიო მიზეზის გარეშე გაცდენისათვის სასამართლო პასუხისმგებლობის გაუქმების შესახებ" და სხვა ნორმატიული აქტები ამ საკითხის თაობაზე. პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების უფლებათა შესახებ დებულების მე-10 მუხლის ძალით (ეს დებულება დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 15 ივლისის ბრძანებულებით) მუშა და მოსამსახურე არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს საწარმოდან, დაწესებულება-ორგანიზაციიდან ადმინისტრაციის ინიციატივით ფაბრიკა-ქარხნის ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის გარეშე.

სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა იმას ნიშნავს, რომ დამნაშავეს ბორტად არ სურს დაემორჩილოს შრომის დარგში მოქმედი კანონმდებლობის ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა უფლებას შრომაზე, კერძოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წ. 31 იანვრის ბრძანებულებით დამტკიცებულ დებულებას შრომის დავის განხილვის წესის შესახებ. ამ დებულების ძალით მუშაკს უფლება აქვს, უკეთუ არ ეთანხმება მის სამუშაოდან დათხოვნას (შეთანხმებულს ფაბრიკა-ქარხნის ადგილობრივ კომიტეტთან), სასამართლოს მიმართოს და მოითხოვოს გადაწყვეტილების გამოტანა სამუშაოზე მისი აღდგენის შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილებას მუშაკის სამუშაოზე აღდგენის თაობაზე კანონის ძალა აქვს და სავალდებულოა შესასრულებლად უკლებლივ ყველასთვის.

შრომის კანონმდებლობის სხვა არსებით დარღვევად (რაზეც მითითებულია სს კოდექსის 144-ე მუხლში) ჩაითვლება, მაგალითად, შტატების შემცირების მოტივით სამუშაოდან დათხოვნილი მუშაკის ნაცვლად სხვა პირის მიღება იმავე თანამდებობაზე ან მისი არგამოყენება იმავე საწარმოში ან დაწესებულებაში სხვა სამუშაოზე, როდესაც ამის შესაძლებლობა არსებობდა, დადგენილი სამუშაო დღის გახანგრძლივება და ა. შ.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულების ორგანიზაციის ან საწარმოს თანამდებობის პირი.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება განზრახი ბრალით. მოტივი შეიძლება სხვადასხვა შინაარსის იყოს; ამას დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მშრომელის უკანონოდ დათხოვნა ჩადენილი უნდა იყოს, როგორც სს კოდექსის 144-ე მუხლშია ხაზგასმული, პირადი დაინტერესებით. ასეთი დაინტერესება შეიძლება მდგომარეობდეს, მაგალითად, შუ-

რის ძიებაში გაკოტოვების გამო, პირადი უთანხმოების ნიადაგზე მშრომელთან ანგარიშსწორებაში, მის ნაცვლად დამნაშავისათვის სასურველი პირის სამუშაოზე მიღებაში და ა. შ.

სასჯელი სს კოდექსის 144-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან თანამდებობიდან დათხოვნა.

ბ. ორსული ქალის ან ძუძუს მაწოვებელი დედის სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმა ან მისი სამუშაოდან დათხოვნა. საქ. სსრ სს კოდექსის 145-ე მუხლი ითვალისწინებს შრომის კანონმდებლობის დარღვევის ისეთ სპეციალურ სახეს, როგორიც არის უარის თქმა ქალის სამუშაოდ მიღებაზე ან მისი სამუშაოდან დათხოვნა იმ მოტივით, რომ იგი ორსულადაა, ან ძუძუს მაწოვებელი დედაა.

საბჭოთა კავშირში მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები უზრუნველყოფენ ორსული ქალებისა და ძუძუს მაწოვებელი დედების შრომისა და ყოფა-ცხოვრების სამაგალითო პირობებს, ანიჭებენ მათ სხვადასხვა სახის შეღავათებსა და უპირატესობებს გარკვეული დროის მანძილზე. მაგალითად, ქალს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევა 112 კალენდარული დღის შვებულება, ხოლო ამ ვადის შემდეგ ქალის სურვილისამებრ მას უნდა მიეცეს დამატებითი შვებულება ვადით სამ თვემდე ხელფასის შეუნარჩუნებლად. შემდეგ, უკეთუ დედა ბავშვისათვის ძუძუს წოვების გამო გადაყვანილ იქნა სხვა უფრო მსუბუქ სამუშაოზე, მას შეუნარჩუნდება ძველი ხელფასი და ა. შ.

სკკპ პროგრამა, განსაზღვრავს რა პარტიის ამოცანებს ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობებისა და ქალის მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში, აწესებს, რომ „ქალებს უნდა მიეცეთ შედარებით უფრო მსუბუქი და ამავე დროს საკმაო ხელფასიანი სამუშაოები. გაიზრდება ორსულობის გამო შვებულების ხანგრძლივობა"[1].

ასეთ პირობებში უარის თქმა ქალის სამუშაოდ მიღებაზე ან მისი სამუშაოდან დათხოვნა იმ მოტივით, რომ იგი ორსულადაა ან ძუძუს მაწოვებელი დედაა, შრომის კანონმდებლობის მძიმე, ბოროტულ დარღვევად უნდა ჩაითვალოს[2].

ს უ ბ ი ე ქ ტ ი განსახილველი დანაშაულისა შეიძლება იყოს მხო-

---

[1] სკკპ პროგრამა, 1961, გვ. 107.

[2] ისეთი შემთხვევა, როგორიც არის ხელფასის შემცირება ქალისათვის იმ მოტივით, რომ იგი ორსულადაა ან ძუძუს მაწოვებელია, განიხილება შრომის კანონმდებლობის განზრახ არსებით დარღვევად და დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 144-ე მუხლით.

ლოდ თანამდებობის პირი, რომელიც აღჭურვილია მუშა-მოსამსახურეთა მიღებისა და დათხოვნის უფლებით.

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახია. დამნაშავის მოტივია სურვილი — არ გამოიყენოს საშუშაოზე ორსული ქალი ან ბავშვს მაწოვებელი დედა (რაც ზოგჯერ შენიღბულად ხორციელდება, მაგალითად, შტატის შემცირების ან სხვა მიზეზის გამოყენებით).

სასჯელი სს კოდექსის 145-ე მუხლით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან თანამდებობიდან დათხოვნა.

ბ. შრომის დაცვის წესების დარღვევა. უფლება შრომაზე თავისთავად გულისხმობს შრომის უსაფრთხოებას, მისი პირობების ყოველმხრივ გაუმჯობესებას. სკკპ პროგრამაში შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესების საკითხზე ნათქვამია: „შრომის პირობების ყოველი ღონისძიებით გაჯანსაღება და შემსუბუქება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. ყველა საწარმოში დაინერგება უსაშიშროების ტექნიკის თანამედროვე საშუალებანი და უზრუნველყოფილ იქნება სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, რომლებიც აღმოფხვრიან საწარმოო ტრავმატიზმსა და პროფესიულ დაავადებებს. თანდათანობით მოისპობა ღამის ცვლები საწარმოებში, გარდა იმ საწარმოებისა, სადაც დღედაღამ მუშაობა გაპირობებულია ტექნოლოგიური პროცესით ან მოსახლეობის მომსახურების საჭიროებით“ [1].

მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებით, საუწყებო ხასიათის დადგენილებებით შემოღებულია დაწესებულება-საწარმოთა ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მკაცრი პასუხისმგებლობა შრომის დაცვის წესების ზუსტად და განუხრელად დაცვისათვის.

ამავე მიზანს ისახავს სს კოდექსის 146-ე მუხლიც, რომელიც ითვალისწინებს უშიშროების ტექნიკის, სამრეწველო სანიტარიის ან შრომის დაცვის სხვა წესების დარღვევას თანამდებობის პირის მიერ, თუ ეს დარღვევა საფრთხეს უქმნიდა მუშებისა და მოსამსახურეების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ან თუ მას შედეგად მოჰყვა სხეულის დაზიანება ან ადამიანის სიკვდილი.

დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს მუშებისა და მოსამსახურეების შრომის უშიშროების პირობები და ამასთან ერთად მათი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, შრომის უნარიანობა.

სსკ 146-ე მუხლის მოქმედება ვრცელდება უკლებლივ ყველა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საწარმოსა და დაწესებულებაზე

---

[1] სკკპ პროგრამა, 1961, გვ. 106.

(სამრეწველო, საამშენებლო, სატრანსპორტო და ა. შ.), კოლმეურნეობების ჩათვლით, სადაც, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წ. 18 აპრილის დადგენილების („საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რეორგანიზაციის შესახებ") თანახმად, სავალდებულოა უშიშროების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის წესების დაცვა (იმ წესებისა, რომლებიც ადრე მოქმედებდნენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე).

აღნიშნული მუხლი ვერ გავრცელდება შრომის დაცვის წესების დარღვევისას მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ე. წ. კერძო დაქირავების ხელშეკრულებით მუშაობენ (შინა მოსამსახურენი, ავტომძღოლები და ა. შ.). მათ მიმართ შრომის დაცვის წესების დარღვევა დამდგარი შედეგის მიხედვით შეიძლება დაკვალიფიცირდეს პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაულის ერთ-ერთი შესაბამისი მუხლით.

განსახილველი დანაშაულის შედგენილობისათვის ობიექტური მხრივ არსებითია დადგენილ იქნას ის, რომ ნამდვილად დარღვეულია უშიშროების ტექნიკის, სამრეწველო სანიტარიის ან შრომის დაცვის სხვა წესები, მუშები და მოსამსახურეები ჩაყენებული არიან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ პირობებში, აგრეთვე ისიც, რომ ასეთ დარღვევას შედეგად მოჰყვა სხეულის დაზიანება ან ადამიანის სიკვდილი.

თვით კანონში (სსკ 146-ე მუხლი) არ არის განსაზღვრული დანაშაულის ობიექტური მხარის კონკრეტული ნიშნები (მისი დისპოზიცია ბლანკეტურია), მითითებულია მხოლოდ ზოგადად შრომის დაცვის წესების დარღვევაზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კანონის საფუძველზე პირის პასუხისგებაში მისაცემად საჭიროა ყოველ ცალკე შემთხვევაში იმის დადგენა, თუ სახელდობრ, შრომის უშიშროების კონკრეტულად რომელი დადგენილების, წესის თუ ინსტრუქციის მოთხოვნა არის დარღვეული. ასეთი წესები, პირველ რიგში, გათვალისწინებულია შრომის კანონთა კოდექსში; გარდა ამისა, უშიშროების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის წესებს, რომელთაც ძალა აქვთ სახალხო მეურნეობის ყველა ან რამდენიმე დარგისათვის, გამოსცემენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭო, ზოგჯერ კი შესაბამისი სამინისტროები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დასტურით. ასეთივე წესებს სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგებისათვის გამოსცემს პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტი დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით. შემდეგ, დაწესებულე-

ბა-საწარმოთა ადმინისტრაციის ვალდებულება შრომის დაცვის წესების უზრუნველყოფის შესახებ მოცემულია სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივი საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა შინაგანი შრომითი განაწესის ტიპიურ წესებში და ა. შ.

დანაშაული შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ასევე უმოქმედობაში, პასიურობაში, ამასთან, ცხადია, სავალდებულოა დადგენა მიზეზობრივი კავშირისა შრომის დაცვის წესების დარღვევასა და დამდგარ მძიმე შედეგს შორის.

სს კოდექსის 146-ე მუხლის ძალით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს შრომის დაცვის წესების დარღვევა როგორც მძიმე შედეგის დადგომის შემთხვევაში, ასევე ასეთი შედეგის დადგომის ოფალური შესაძლებლობის შემთხვევაში (მაგრამ მხოლოდ ისეთი დარღვევისა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მუშებისა და მოსამსახურეების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას).

აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულია ქმედება, უკიდეგანო იგი საფრთხეს უქმნიდა მუშებისა და მოსამსახურეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მეორე ნაწილში — იგივე ქმედება, თუ მას შედეგად მოჰყვა სხეულის დაზიანება, და, ბოლოს, მესამე ნაწილში — იგივე ქმედება, თუ მას შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი[1].

146-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სხეულის დაზიანება (როგორც შედეგი შრომის დაცვის წესების დარღვევისა), ნიშნავს სხეულის როგორც მძიმე, ასევე ნაკლებად მძიმე და მსუბუქ დაზიანებას. დანაშაულის შედგენილობა გვექნება როგორც ერთი პირის, ასევე რამდენიმე პირის სხეულის დაზიანების ან სიკვდილის შემთხვევაში (სიკვდილის დადგომისას ქმედება, როგორც აღნიშნული იყო, დაკვალიფიცირდება 146-ე მუხლის მესამე ნაწილით).

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი, ამასთან ისეთი, რომელიც პასუხისმგებელია მუშებისა და მოსამსახურეების შრომის პირობების უშიშროების დაცვისათვის. თუ, სახელდობრ, ვის ევალება ასეთი პასუხისმგებლობა, დადგენილია შესაბამის დებულებებში შრომის დაცვის, უშიშროე-

---

[1] რსფსრ (და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის) სსკ ძალით დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია შრომის დაცვის წესების დარღვევა, რასაც შედეგად მოჰყვა სხეულის დაზიანება ან შრომის უნარის დაკარგვა (იხ. 140-ე მუხლის II ნაწ.), და თუ მას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი ან რამდენიმე პირისათვის სხეულის მძიმე დაზიანება (იხ. 140-ე მუხლის III ნაწ.).

ბის ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის დაცვის ორგანიზაციის შესახებ.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ განსახილველი დანაშაული შრომის დაცვის წესების დარღვევის ფაქტისადმი შეიძლება ხასიათდებოდეს როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი ბრალით, ხოლო ქმედობის მძიმე შედეგისადმი (სხეულის დაზიანების, ადამიანის სიკვდილის) ან ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობისადმი — მარტოოდენ გაუფრთხილებელი ბრალით (თვითიმედოვნების ან დაუდევრობის სახით).

სსკ 146-ე მუხლი, როგორც აღნიშნული იყო, სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის ძალით, უშიშროების ტექნიკის სამრეწველო სანიტარიის ან შრომის დაცვის სხვა წესების დარღვევა თანამდებობის პირის მიერ, თუ ეს დარღვევა საფრთხეს უქმნიდა მუშებისა და მოსამსახურეების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე, ან თანამდებობიდან დათხოვნით; მეორე ნაწილის თანახმად, იგივე ქმედობა, თუ მას შედეგად მოჰყვა სხეულის დაზიანება — თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, და ბოლოს, მესამე ნაწილის ძალით, იგივე ქმედობა, თუ მას შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

სს კოდექსის 146-ე მუხლი გამოყენებული უნდა იქნეს შრომის დაცვის წესების დარღვევისას (მრეწველობის, საამშენებლო თუ ტრანსპორტის შესაბამის დარგში), რასაც შეეძლო გამოეწვია ან გამოიწვია მძიმე შედეგი საწარმოს მომუშავეთათვის, უკეთუ დარღვევა დაშვებულია ამ წესების დაცვისათვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ და იგი არ იყო დაკავშირებული საამშენებლო ან სამთო სამუშაოთა წარმოებასთან თუ მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის სპეციალური წესების დარღვევასთან (პასუხისმგებლობა ასეთი ქმედობისათვის გათვალისწინებულია სს კოდექსის სხვა შესაბამის მუხლში).

§ 8. დანაშაული მოქალაქეთა სხვა ძირითადი უფლებების წინააღმდეგ

ა. **მოქალაქეთა ბინის ხელშეუხებლობის დარღვევა.** სსრ კავშირის კონსტიტუციის 128-ე მუხლის ძალით მოქალაქეთა ბინის ხელშეუხებლობა დაცულია კანონით. მოქალაქეთა ამ კონსტიტუციური უფლების უზრუნველსაყოფად სს კოდექსის 141-ე მუხლი სისხლის

სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი უკანონო ჩხრეკის ან სხვაგვარი მოქმედებისათვის, რომელიც არღვევს მოქალაქეთა ბინის ხელშეუხებლობას.

მოქალაქის სურვილისა და ნებართვის გარეშე არავის აქვს უფლება შეიჭრას მის საცხოვრებელ ბინაში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს სათანადო წესების დაცვით ბინის ჩხრეკას მარტოოდენ საგამომძიებლო ორგანოს შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძველი იმის ვარაუდისათვის, რომ ბინაში არის დანაშაულის იარაღები, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნები და ა. შ. (იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე, 168-ე, 170-ე და სხვ. მუხლები). ამ წესის დარღვევით ბინის გაჩხრეკა უკანონოა და, მაშასადამე, დანაშაული.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წესების დარღვევით, ე. ი. კანონიერი საბაბისა და საფუძვლის გარეშე, მოქალაქის ბინის ჩხრეკაში, აგრეთვე სასამართლოს სათანადო გადაწყვეტილების გარეშე ბინიდან მოქალაქის გამოსახლებაში. მოქალაქეთა ბინის ხელშეუხებლობის სხვაგვარ დარღვევად ჩაითვლება, მაგალითად, კანონიერი საფუძვლის გარეშე ბინის დროებითი გამოყენება მისი მფლობელის არყოფნის პერიოდში და ა. შ.

სუბიექტი ამ დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი (მაგ., გამოკვლევის ორგანოს მომუშავე, სახლის მმართველი, კომენდანტი და ა. შ.)[1].

რსფსრ, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთის და მთელი რიგი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სს კოდექსების მიხედვით, განსახილველი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც თანამდებობის პირი, ასევე კერძო პირიც (იხ. შესაბამისად სსკ 136-ე, 132-ე, 132-ე, 135-ე მუხლები), ხოლო უზბეკეთის სსრ სს კოდექსის 139-ე მუხლის საფუძველზე — მარტოოდენ კერძო (არათანამდებობის) პირი.

სუბიექტური მხრივ სს კოდექსის 141-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაული ხასიათდება მხოლოდ განზრახი ბრალით.

სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით ან თანამდებობიდან დათხოვნა.

---

[1] ასევეა უკრაინის სსრ სს კოდექსის მიხედვით (იხ. 130-ე მუხლი).

ბ. მიმოწერის საიდუმლოების დარღვევა. სსრ კავშირის კონსტიტუციის 128-ე მუხლის ძალით მოქალაქეთა მიწერ-მოწერის საიდუმლოება დაცულია კანონით.

მიმოწერის საიდუმლოება იმას ნიშნავს, რომ არავის არა აქვს უფლება გაეცნოს სხვა პირის საფოსტო. სატელეგრაფო თუ სხვაგვარ კორესპოდენციას. ამ საერთო წესიდან გამონაკლისს შეადგენს საქ. სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც პროკურორის სანქციით ან სასამართლოს განჩინებით (აგრეთვე მოსამართლის დადგენილებით), კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოკვლევა-განხილვასთან დაკავშირებით, ნებადართულია მოქალაქის კორესპოდენციაზე ყადაღის დადება და მისი ჩამორთმევა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში.

პასუხისმგებლობა მოქალაქეთა მიმოწერის საიდუმლოების დარღვევისათვის დადგენილია სს კოდექსის 143-ე მუხლში.

ობიექტური მხრივ ეს დანაშაული შეიძლება გამოიხატოს მოქალაქის მიმოწერასთან (მთლიანად ან ნაწილობრივ) ამა თუ იმ ხერხით გაცხობაში მისი ნებართვის გარეშე, ასევე მიმოწერის შინაარსის გახმაურებაში და ა. შ.

სუბიექტური მხრივ დანაშაული მხოლოდ განზრახია.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც თანამდებობის პირი, მაგალითად, გამომძიებელი, ტელეგრაფისტი (სსკ 143-ე მუხლის I ნაწ.), ასევე კერძო პირი (იმავე მუხლის II ნაწ.).

სასჯელი თანამდებობის პირს მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მოქალაქეთა მიმოწერის საიდუმლოების დარღვევისათვის (143-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე) — თავისუფლების აღკვეთა ექვს თვემდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ხოლო იგივე ქმედობისათვის, ჩადენილი კერძო პირის მიერ, — გამასწორებელი სამუშაოები ვადით სამ თვემდე ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვა (143-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე).

გ. საავტორო და საგამომგონებლო უფლებების დარღვევა. მოქალაქეთა საავტორო და საგამომგონებლო უფლებას იცავს საბჭოთა სამართლის სხვადასხვა დარგი სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივი წესით. სისხლის სამართლის კანონმდებლობა (სს კოდექსის 147-ე მუხლი) უზრუნველყოფს ავტორის მხოლოდ პირადი არაქონებრივი უფლების დაცვას საშიშ ხელყოფათაგან. საავტორო და საგამომგონებლო უფლების დარღვევის სხვა შემთხვევები (მაგალითად, ავტორის უნებართვოდ მისი ნაწარ-

მრებიდან მოგების მიღება, მოტყუებისა და სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სხვა ნიშნების გარეშე) წესრიგდება სამოქალაქო წესით.

სს კოდექსის 147-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს სხვისი მეცნიერული, ლიტერატურული, მუსიკალური ან მხატვრული ნაწარმოების გამოშვებას საკუთარი სახელით ან მათი ავტორობის სხვაგვარ მითვისებას, ასეთი ნაწარმოების უკანონოდ განმეორებას ან გავრცელებას, აგრეთვე — თანაავტორობისათვის იძულებას. ხოლო იმავე მუხლის მეორე ნაწილი — სხვისი გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების ავტორობის მითვისებას ან მათი ავტორის იძულებას თანაავტორობაზე, აგრეთვე, გამომგონებლის უნებართვოდ გამოგონების გამოქვეყნებას მასზე განცხადების გაკეთებამდე.

სხვისი მეცნიერული, ლიტერატურული, მუსიკალური ან მხატვრული ნაწარმოების საკუთარი სახელით გამოშვება ნიშნავს ამა თუ იმ ხერხით აღნიშნული ნაწარმოების გამრავლებას, გამოცემას, რაც ხელმისაწვდომი იქნება განუსაზღვრელ პირთათვის. გამოშვება გულისხმობს აგრეთვე დრამატული ნაწარმოების საჯაროდ წარმოდგენას, მუსიკალური ნაწარმოების საჯაროდ შესრულებას, სახვითი ხელოვნების ნაწარმოების, ფოტოსურათების საჯაროდ გამოფენას, არქიტექტურის ნაწარმოებით დასახული გეგმის განხორციელებას.

ავტორობის სხვაგვარ მითვისებად ჩაითვლება ნაწარმოების გამოცემა სხვა თანაავტორთა (როდესაც ნაწარმოები შექმნილია რამდენიმე პირის მიერ) დასახელების გარეშე; შემდეგ, თანაავტორობისათვის იძულება, რაც ნიშნავს მუქარის თუ სხვა სახის ძალადობის გამოყენებით პირის იძულებას (მუქარით, შანტაჟით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) დასახელებულ იქნეს იგი თანაავტორთა შორის მაშინ, როდესაც მას რაიმე შემოქმედებითი მონაწილეობა ნაწარმოების შექმნაში არ მიუღია. ასევე, სხვისი ნაწარმოების გამოყენება (მთლიანად ან ნაწილობრივ) თავის შრომებში ავტორზე მიუთითებლად (პლაგიატი — ლიტერატურული ქურდობა), რაც წარმოადგენს საავტორო უფლების დარღვევის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საშიშ სახეს[1].

ნაწარმოების უკანონოდ განმეორება ან გავრცელება ხელყოფს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას, რაც მხოლოდ მისი ავტორის კუთვნილებას შეადგენს და მდგომარეობს ნაწარმოების

[1] სხვისი ნაწარმოების გამოყენებად (მითვისებად) არ ჩაითვლება სარგებლობა ამ ნაწარმოებით მისგან არსებითად განსხვავებული ახალი ნაწარმოების შესაქმნელად.

გამოცემაში ავტორის სახელის აღნიშვნით, მაგრამ მისი ნებართვის გარეშე (ე. წ. კონტრაფაქცია)[1].

ავტორის უფლების დარღვევად არ ჩაითვლება მისი ნაწარმოების სხვა ენაზე გადათარგმნა და გამოცემა (მაგრამ მისთვის შეტყობინების პირობით), კომპოზიტორის მიერ თავისი მუსიკალური ნაწარმოებისათვის სხვა პირის ლიტერატურული ნაწარმოებიდან ტექსტის გამოყენება და ა. შ.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი განსახილველი დანაშაულისა შეიძლება იყოს 16 წ. მიღწეული ყოველი შერაცხადი როგორც კერძო, ასევე თანამდებობის პირი.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მხრივ საავტორო-უფლების დარღვევა ხასიათდება განზრახი ბრალით, ამასთან ავტორობის მითვისება და თანაავტორობისათვის იძულება შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, სხვისი ნაწარმოების უკანონოდ განმეორება ან გავრცელება კი — როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი განზრახვით.

სასჯელი სს კოდექსის 147-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან ჯარიმა ხუთას მანეთამდე.

იმავე მუხლის მეორე ნაწილში მოცემული დანაშაული ხელყოფს მოქალაქეთა საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ უფლებას. ეს უფლება რეგლამენტირებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1959 წ. 24 აპრილის დადგენილებით დამტკიცებული დებულებით აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებით (1961 წ.) და საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით.

გამოგონებად ითვლება არსებითი სიახლით განსხვავებული გადაწყვეტა ტექნიკური ამოცანისა სახალხო მეურნეობის, კულტურის, ჯანმრთელობის ან ქვეყნის თავდაცვის დარგში, რაც დადებითი ეფექტის მომცემია. გამომგონებელს უფლება აქვს მოითხოვოს ან მხოლოდ თავისი ავტორობის აღიარება, ან ავტორობის აღიარება და გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლების მინიჭება. პირველ შემთხვევაში ავტორს ეძლევა საავტორო მოწმობა, ხოლო მეორე შემთხვევაში — პატენტი.

რაციონალიზატორულ წინადადებად ითვლება წინადადება მოქ-

---

[1] ავტორის უფლებანი ფართოდ არის რეგლამენტირებული საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში (იხ. 488—528-ე მუხლები).

შედი ტექნიკის (მანქანების, იარაღების, აპარატების, ხელსაწყოების, აგრეგატების და ა. შ.) სრულყოფის შესახებ, გამოსაშვები პროდუქციის, წარმოების ტექნოლოგიის, კონტროლის საშუალებათა, დაკვირვებათა და გამოკვლევათა, უშიშროების ტექნიკისა და შრომის დაცვის გაუმჯობესების შესახებ ან წინადადება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, უფრო ეფექტურად იქნეს გამოყენებული ენერგია, მოწყობილობა, მასალები. მოწმობას რაციონალიზატორულ წინადადებაზე გასცემს ის საწარმო ან ორგანიზაცია, რომელმაც პირველად მიიღო დასანერგად ეს წინადადება.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება სხვისი გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების ავტორობის მითვისებაში ან მათი ავტორის იძულებაში თანაავტორობაზე, აგრეთვე გამომგონებლის უნებართვოდ გამოგონების გამოქვეყნებაში მასზე განცხადების გაკეთებამდე.

სხვისი გამოგონების მითვისებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როგორც წესი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გამოგონებათა და აღმოჩენათა საქმეების კომიტეტში ავტორის მიერ საავტორო მოწმობის (პატენტის) გაცემის შესახებ განცხადების შეტანამდე, ხოლო რაციონალიზატორულ წინადადებაზე ავტორობის მითვისებას — შესაბამისი მოწმობის მიღების შემდეგაც. ეს მით აიხსნება, რომ მოწმობას რაციონალიზატორული წინადადების ავტორობაზე გასცემს არა ერთი რომელიმე გარკვეული დაწესებულება (რაც წარმოებს გამოგონების შემთხვევაში), არამედ ის საწარმო თუ ორგანიზაცია, სადაც პირველად იქნა დანერგილი ეს წინადადება. შესაძლოა მოხდეს ისე, რომ ერთ საწარმოში დანერგილი რაციონალიზატორული წინადადება მიითვისოს პირმა და თავისი სახელით გადასცეს გამოსაყენებლად სხვა საწარმოს.

გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების ავტორის იძულება თანაავტორობაზე არაფრით განსხვავდება მეცნიერული, ლიტერატურული, მუსიკალური ან მხატვრული ნაწარმოების ავტორის იძულებისაგან თანაავტორობაზე (რაც ზემოთ იყო განმარტებული).

გამომგონებლის უნებართვოდ გამოგონების გამოქვეყნება მასზე განაცხადის გაკეთებამდე[1] ხელყოფს ავტორის უფლებას — გადაწყვიტოს, თუ რამდენად დასრულებულია მისი გამოგონება და მზად-

[1] ავტორს განცხადება გამოგონებაზე შეაქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გამოგონებათა და აღმოჩენათა საქმეების კომიტეტში, სადაც წარმოებს გამოგონების ექსპერტიზის შემოწმება.

ყოფნა სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში გამოსაყენებლად. განცხადების გაკეთებამდე გამომგონებლის უნებართვოდ გამოგონების გამოქვეყნება ეწინააღმდეგება არა მარტო ავტორის უფლებას, არამედ სახელმწიფო ინტერესებსაც, რამდენადაც მას შეუძლია ხიანი მიაყენოს გამოგონებაზე სახელმწიფოს პრიორიტეტის დამკვიდრების საქმეს.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი სს კოდექსის 147-ე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი 16 წლის ასაკიდან, ხოლო სუბიექტური მხრივ იგი ხასიათდება მხოლოდ განზრახი ბრალით.

სასჯელი 147-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან ჯარიმა ხუთას მანეთამდე[1].

დ. სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონთა დარღვევა. სსრ კავშირის კონსტიტუციის 124-ე მუხლის ძალით მოქალაქეთათვის სინდისის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით ეკლესია სსრ კავშირში გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, ხოლო სკოლა—ეკლესიისაგან. რელიგიური კულტების შესრულების თავისუფლება და ანტირელიგიური პროპაგანდის თავისუფლება აღიარებულია ყველა მოქალაქისათვის.

პირველ საკანონმდებლო აქტს ამ დარგში წარმოადგენს ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი დეკრეტი „სახელმწიფოსაგან ეკლესიის და სკოლის ეკლესიისაგან გამოყოფის შესახებ" (1918 წ. 23 იანვრის თარიღით), რომლის ძირითადი დებულებანიც აღბეჭდილია სსრ კავშირის კონსტიტუციის აღნიშნულ მუხლსა და სხვა ნორმატულ აქტებში.

ყოველ მოქალაქეს საბჭოთა კავშირში სრული უფლება აქვს ირწმუნოს ესა თუ ის რელიგიური კულტი, ისარგებლოს ხელისუფლების საფანდო ორგანოების ნებართვის საფუძველზე მოქმედი ღვთისმსახურების სადგომებით ან პირადად — არ ირწმუნოს იგი და აწარმოოს ანტირელიგიური პროპაგანდა.

სს კოდექსის 148-ე და 149-ე მუხლები ითვალისწინებს ორი სახის დანაშაულს, რაც ხელყოფს მოქალაქეთა სინდისის თავისუფლებას.

---

[1] სსს კოდ. 115-ე მუხლის ძალით საქმე სსკ 147-ე მუხ. მოცემული დანაშაულის შესახებ მიეკუთვნება ერძო-საჯარო ბრალდების საქმეთა კატეგორიას, ე. ი. აღიძვრის მხოლოდ დაზარალებულის სარჩელით, მაგრამ ბრალდებულად დაზარალებულის შერიგების გამო მისი შეწყვეტა არ შეიძლება.

148-ე მუხლი აწესებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონთა დარღვევისათვის ზოგადად, იმის აღნიშვნავად, თუ სახელდობრ რაში გამოიხატება ეს დარღვევა[1].

ზემოხსენებული საკანონმდებლო აქტების მოთხოვნის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ განსახილველი დანაშაული ობიექტური მხრივ შეიძლება გამოიხატოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სასწავლებლებსა და სკოლებში რელიგიური მოძღვრების სწავლებაში, რელიგიური ორგანიზაციების სასარგებლოდ გამოსაღების აკრეფაში ძალდატანებით, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულება-საწარმოში რელიგიური წესის შესრულებაში და ა. შ.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს როგორც კულტის მსახური, ასევე სხვა პირიც (მეტწილად მორწმუნე). ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული განზრახია.

სასჯელი სს კოდექსის 148-ე მუხლით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმა ასი მანეთამდე.

სისხლის სამართლის კოდექსის 149-ე მუხლი ითვალისწინებს რ ე ლ ი გ ი ო ს ე ბ ი ს შ ე ს რ უ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ხ ე ლ ი ს შ ე შ ლ ა ს, თუ ისინი არ არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს და მათ თან არ ახლავს მოქალაქეთა უფლებების ხელყოფა.

ეს დანაშაული ობიექტური მხრივ გამოიხატება ამა თუ იმ ხერხითა და საშუალებით ისეთი რელიგიური წესების (მაგ., ეკლესიაში წირვა-ლოცვის და ა. შ.) ხელის შეშლაში, რომლებიც არ არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს ან თან არ ახლავს მოქალაქეთა უფლებების შელახვა. უკანასკნელ შემთხვევაში ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან შეწყვიტონ აღნიშნული წესების შესრულება და აღადგინონ სათანადო წესრიგი (მაგ., ზოვიერთი კანონით აკრძალული სექტის წევრების მიერ მავნე, შესაზარი წესების შესრულება).

ამ დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს როგორც კერძო, ასევე თანამდებობის პირი, ხოლო ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება მხოლოდ განზრახი ბრალით.

სასჯელი სს კოდექსის 149-ე მუხლით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ექვს თვემდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვა.

---

[1] ამ დარგის დანაშაულის კონკრეტული სახეობის ჩამოთვლა მოცემული იყო საქ. სსრ ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე—130-ე მუხლებში.

თავი V

დანაშაული მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ

პირადი საკუთრების წყაროს სსრ კავშირში შეადგენს მოქალაქეთა შრომა; მისი დანიშნულებაა საბჭოთა ადამიანების მზარდი პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-10 მუხლის ძალით მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება მათს შრომით შემოსავალსა და დანაზოგზე, საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე საოჯახო მეურნეობაზე, საოჯახო მეურნეობისა და ყოფაცხოვრების საგნებზე, პირადი მოხმარებისა და კეთილმოწყობის საგნებზე, ისე როგორც მოქალაქეთა პირადი საკუთრების მემკვიდრეობის უფლება, დაცულია კანონით.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, ისახავენ რა მიზნად საბჭოთა ადამიანების კულტურული დონისა და მატერიალური კეთილმდგომარეობის კიდევ მეტი აღმავლობის მიღწევას, ერთდროულად მტკიცე ზომებს იღებენ შრომით მოპოვებული მათი პირადი საკუთრების საიმედოდ დასაცავად ყოველგვარი ხელყოფისაგან. საბჭოთა მოქალაქეების პირად შრომით საკუთრებას იცავს სამართლის სხვადასხვა დარგები. პირად საკუთრებაზე ხელყოფის უფრო საშიში სახეები დანაშაულად არის მიჩნეული და იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ამ დარგის ყველა დანაშაული, გათვალისწინებული მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით, შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება დანაშაული, მიმართული სხვისი ქონების დანაშაულებრივი დაუფლებისაკენ (ასეთია ქურდობა, გაძარცვა, ყაჩაღობა, თაღლითობა, გამოძალვა, მითვისება, მევახშეობა); მეორე ჯგუფს — დანაშაული, რომელიც მდგომარეობს სხვისი ქონების განზრახ ან გაუფრთხილებლობით განადგურებასა და დაზიანებაში, და, ბოლოს მესამე ჯგუფს — დანაშაული ისეთ დაწესებულებათა და გაერთიანებათა საკუთრების წინააღმდეგ, რომლებიც

სოციალისტურ ორგანიზაციებს არ წარმოადგენენ (სისხლის სამართლის კანონმდებლობა ასეთ დაწესებულება-ორგანიზაციათა საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულს ათანაბრებს მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთან).

§ 1. დანაშაული, მიმართული მოქალაქეთა პირადი ქონების დანაშაულებრივი დაუფლებისაკენ

ა. ქურდობა სსკ-ის 150-ე მუხლში გათვალისწინებული ქურდობა ნიშნავს მოქალაქეთა პირადი ქონების ფარულად გატაცებას.

ქურდობის ობიექტს წარმოადგენს მოქალაქეთა პირადი საკუთრება; საგანი ქურდობისა კი შეიძლება იყოს მხოლოდ მატერიალური ნივთები და ფასიანი ქაღალდები (ფული, ტანსაცმელი, საოჯახო ნივთები, პირადი ავტომანქანა და სხვა სატრანსპორტო საშუალებანი, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, შინაური ფრინველი, სასურსათო პროდუქტები და ყოველი სხვა სახის მოძრავი ქონება, რასაც კი მატერიალური ღირებულება აქვს, აგრეთვე ქონების მისაღები დოკუმენტები — ობლიგაციები, ლატარიის ბილეთები, შენახული სალაროს წიგნაკი — წარმომდგენზე), რომლებიც მოქალაქეებთან იმყოფება საკუთრების უფლების ან სხვაგვარი მართლზომიერი საფუძვლის გამო (ფლობს, სარგებლობს, იცავს და ა. შ.).

არაქონებრივი ხასიათის დოკუმენტები (მაგ. პასპორტი, სამხედრო ბილეთი, განათლების დიპლომი და ა. შ.) არ შეიძლება იყოს ქურდობის საგანი; მათი გატაცება განიხილება მმართველობის წესის ხელყოფად (იხ. 212 მ.).

ობიექტური მხრივ ქურდობა გამოიხატება მოქალაქეთა პირადი ქონების ფარულად გატაცებაში, ე. ი. ქონების მესაკუთრის, მფლობელის თუ მცველისაგან მათი ნების გარეშე ქონების ჩამორთმევაში, ამოღებაში და დამნაშავის მიერ მის დაუფლებაში[1].

ფარული გატაცება იმას ნიშნავს, რომ ქონების სხვისი მფლობელობიდან ამოღებისა და დაუფლებისას დამნაშავე დარწმუნებულია, რომ იგი ამას აკეთებს დაზარალებულის შეუმჩნევლად, უკანასკნელი ვერ გრძნობს ასეთი ქმედობის განხორციელებას (ქურდობას

[1] მოკავშირე რესპუბლიკების ახალი სისხლის სამართლის კოდექსების მიღებამდე (1959-61 წწ.) მოქმედი ბრძანებულების „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წ. 4 ივნისის ბრძანებულება) ძალით ქურდობა ნიშნავდა ქონების როგორც ფარულად, ასევე აშკარა გატაცებას (რაც ქურდობის ცნების იურიდიული გაგებით არ იყო სწორი).

წარმოადგენს. მაგალითად, ბინიდან ქონების გატაცება, როდესაც მასში არავინ იმყოფება, მატარებელში მძინარე მგზავრის კუთვნილი ხელბარგულის გატაცება და ა. შ.). არის ბოლმე შემთხვევა, როდესაც დაზარალებული თუმცა ამჩნევს, გრძნობს, რომ დამნაშავე იტაცებს მის ქონებას (მაგალითად, ტრამვაის ვაგონში მყოფი მოქალაქე გრძნობს, რომ მის ჯიბეში ხელს ყოფს დამნაშავე და კიდევაც ეუფლება საფულეს), მაგრამ ამა თუ იმ მოსაზრებით (იმ შიშის გავლენით, რომ ქურდმა შეიძლება მის მიმართ ძალადობა იხმაროს და სხვ.) არ ავლენს ასეთ შეგრძნობას, ისე იქცევა თავს, თითქოს ვერ ამჩნევს, რომ მის ქონებას იტაცებენ. ასეთი შემთხვევაც ჩაითვლება ქურდობად (ქონების ფარულად გატაცებად), რადგან გადამწყვეტია თვით დამნაშავის შეგნება, მისი დარწმუნება, რომ ქონებას ივი ფარულად, ე. ი. დაზარალებულის შეუმჩნევლად იტაცებს. ასევე ქურდობად განიხილება ქონების გატაცება ისეთი დაზარალებულის თვალწინ, რომელსაც მცირეწლოვნობის თუ ავადმყოფური მდგომარეობის გამო (პატარა ბავშვი, სულით ავადმყოფი, აგრეთვე ძალზე მთვრალ მდგომარეობაში მყოფი) არ შესწევს უნარი გაერკვეს, თუ რა ხდება მის გარშემო, შეიგნოს, რომ სრულდება ქურდობის ფაქტი.

ქურდობის შედგენილობა არ იქნება ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლის ქონების გატაცებისას, რამდენადაც ერთად ცხოვრების დროს ოჯახში შეძენილი ქონება ითვლება ორივე მეუღლის საერთო საკუთრებად, აგრეთვე ნაპოვნის მითვისება ისეთ პირობებში, როდესაც ქონება გამოსულია დაზარალებულის მფლობელობიდან მისი ნების საწინააღმდეგოდ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო (დაეკარგა მგზავრობის დროს, დარჩა გულმავიწყობით სხვა ადგილას და ა. შ.) და ამასთან ერთად მპოვნელმა არ იცოდა მფლობელის ვინაობა და, მაშასადამე, არ ჰქონდა შესაძლებლობა ქონება მისთვის დაებრუნებინა[1]. ასევე ქურდობად არ ჩაითვლება საკუთარი ქონების გატაცება სხვა პირის მფლობელობიდან, რადგან ხელყოფის საგანი უნდა იყოს მხოლოდ სხვისი და არა საკუთარი ქონება.

---

[1] ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ცალკე სახის დანაშაულად თვლიდა ნაპოვნის მითვისებას (იხ. საქ. სსრ 1948 წ. რედ. სისხლის სამ. კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილი).

ამჟამად მოქმედი კოდექსი მას სისხლის სამართლის წესით სადევნ დანაშაულად არ თვლის, სჯის მხოლოდ ნაპოვნი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მითვისებას (იხ. 99-ე მუხლი). მხოლოდ უზბეკეთის, ყაზახეთის, მოლდავეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის და თურქმენეთის სსრ სს კოდექსები ითვალისწინებენ ნაპოვნი ფასეულობანი ქონების, აგრეთვე ირაო საქონლის მითვისების დასჯადობას (იხ. შესაბამისად 131-ე, 138-ე, 153-ე, 150-ე, 159-ე, 161-ე მუხლები).

ქურდობა დამთავრებულად ითვლება დამნაშავის მიერ სხვისი პირადი ქონების რეალურად დაუფლების მომენტიდან, ე. ი. იმ მომენტიდან, როდესაც მას შესაძლებლობა აქვს გატაცებული ქონების საკუთარი სურვილისამებრ განკარგვისა (თუნდაც ასეთი განკარგვა მას ვერც მოესწრო). უკეთუ ასეთი პირობა არ არის დამდგარი, ქმედობა ჩაითვლება ქურდობის მცდელობად.

სუბიექტი ქურდობისა შეიძლება იყოს პირი მიღწეული 14 წლის ასაკს.

გასათვალისწინებელია, რომ ზოგჯერ არასრულწლოვანი (14—16 წლის ასაკის) ცელქობით, ანცობით ჩაიდენს ხოლმე მცირე მნიშვნელობის ღირებულების ქონების ქურდობას (ხილისა, ბოსტნეულისა — ბაღჩიდან და ა. შ.) ან კიდევ ფარულად გაიტაცებს მასთან ერთად მცხოვრებნი შშობლების ან სხვა ახლობელთა კუთვნილ ქონებას. მაგრამ უკანასკნელნი არ მოითხოვენ დამნაშავის სისხლის სამართლის წესით დევნას.

აგრეთვე მისაღებია მხედველობაში, რომ არასრულწლოვანთა ცალკეული მოქმედება, რომელიც ერთი შეხედვით ქურდობისა და გაძარცვის მსგავსია, თავისი სუბიექტური მხარის ნიშნებით არ შეიცავს ამ დანაშაულთა შედგენილობას (მაგალითად, ველოსიპედის გატაცება გასეირნების მიზნით, მტრედების გადაბირება და ა. შ.). ასეთ შემთხვევებში არასრულწლოვანის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ქურდობისათვის დაუშვებელია[1].

ქურდობა სუბიექტური მხრივ ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ამასთან ანგარებითი მიზნით. ასეთი მიზნის დაუდგენლობა გამორიცხავს ქურდობის შედგენილობას.

დამნაშავის განზრახვა მიმართული უნდა იყოს მოქალაქის კუთვნილი პირადი ქონების დაუფლებასა და შემდეგ განკარგვაზე როგორც საკუთარის. უკეთუ დამნაშავემ ფარულად გაიტაცა სოციალისტური (სახელმწიფო ან საზოგადო) ქონება, შეცდომით ფიქრობდა რა, რომ იგი იტაცებდა პირად ქონებას, მან პასუხი უნდა აგოს პირადი საკუთრების ფარულად გატაცებისათვის (ასეთი ქონების გატაცების მცდელობისათვის). ასევე მოქალაქის პირადი ქონების გატაცებად ჩაითვლება ქურდობა სახელმწიფო დაწესებულებიდან მოქალაქის ქონებისა, რომელიც არ ყოფილა მიბარებული დაწესებულებისათვის (მაგალითად, პალტოს გატაცება არა გარდერობიდან, რომელსაც იცავს სპეციალური პირი, არამედ დაწესებულების ერთ-

[1] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლის პლენუმის 1963 წ. 3 იულისას დადგენილება „სასამართლო პრაქტიკის შესახებ არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეებზე".

ერთი სამუშაო ოთახიდან), რადგან ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა გატაცებული ქონების ანაზღაურებისათვის დაწესებულებას არ ეკისრება. თუკი ქონების გატაცებისას დამნაშავეს არ ჰქონდა ზუსტი წარმოდგენა იმისა, თუ ვის ქონებას ხელყოფდა (სოციალისტურ თუ მოქალაქეთა პირად საკუთრებას), მან პასუხი უნდა აგოს ან სოციალისტური ქონების გატაცებისათვის, ან მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცებისათვის იმისდა მიხედვით, თუ ფაქტიურად ვისი კუთვნილი ქონებაა გატაცებული, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში დამნაშავე თანაბრად უშვებს, რომ ეს ქონება ან სოციალისტურია, ანდა პირადი.

სს კოდექსის 150-ე მუხლი ითვალისწინებს ქურდობის სამ სახეს: მარტივს (I ნაწ.), კვალიფიციურს (II ნაწ.) და განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში (III ნაწ.).

ქურდობის მარტივი სახე 150-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

იმავე მუხლის მეორე ნაწილი ქურდობის დამამძიმებელ გარემოებად თვლის ქურდობას, რამაც გამოიწვია დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება, აგრეთვე ქურდობა ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან განმეორებით, ან ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით.

თუ რას ნიშნავს მნიშვნელოვანი ზიანი (ცხადია, მატერიალური და არა მორალური თუ სხვა ხასიათისა), კანონში განმარტებული არ არის. სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმის განხილვისას საკითხი — მნიშვნელოვანია თუ არა დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი — გადაწყდება უკანასკნელის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, აგრეთვე მხედველობაში მიიღება ის გარემოება, თუ რაოდენ საჭიროებას შეადგენდა მისთვის გატაცებული ქონება და ა. შ. მაგალითად, ბინიდან მთელი ქონების ან მისი დიდი ნაწილის თუ განსაკუთრებით ძვირფასი ნივთის ან არსებობისათვის აუცილებელი მთელი თვის ხელფასის ქურდობა, ცხადია, დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიმყენებელია. ამასთან საჭიროა დადგენა, რომ დამნაშავეს ჰქონდა შეგნება იმისა, რომ დაზარალებულს აყენებდა მნიშვნელოვან ზიანს[1].

[1] წინააღმდეგ შემთხვევაში ქურდობის ეს დამამძიმებელი ნიშანი დამნაშავეს ვერ შეერაცხება. მაგალითად, უკეთუ ქურდმა ამოიცალა პირს ჯიბიდან საფულე თვიური ხელფასით, რითაც უკანასკნელი, მართალია მძიმე პირობებში ჩაყენა, მაგრამ ქურდი არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა თავისი ქმედობის ეს დამამძიმებელი ნიშანი, ქურდობა ვერ ჩაითვლება კვალიფიციურად დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ნიშნით.

ქურდობა ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ნიშნავს ორი და მეტი პირის წინასწარ, ე. ი. ქურდობის ჩადენამდე შეთანხმებას ერთად, საერთო ძალღონით მოქალაქეთა პირადი ქონების ფარულად გატაცების შესახებ (მაგალითად, შეთანხმება ქურდობის შესასრულებლად როლების განაწილების, გატაცებული ქონების გადამალვის ან გაყოფის შესახებ და ა. შ.). უკეთუ ასეთი შეთანხმება რამდენიმე პირს შორის მიღწეულ იქნა დანაშაულის ფაქტიურად განხორციელების მომენტში, წინასწარი შეთანხმება არ იქნება. ასეთ შემთხვევაში დამნაშავენი პასუხს აგებენ, როგორც თანაამსრულებელნი, წინასწარი შეთანხმების გარეშე, მარტივი სახის ქურდობისათვის (სსკ 150-ე მუხლის პირველი ნაწილით).

ქურდობა განმეორებით ნიშნავს (150-ე მუხლის შენიშვნის თანახმად) მის ჩადენას იმ პირის მიერ, რომელსაც ადრე ჩადენილი ჰქონდა რომელიმე დანაშაული, გათვალისწინებული სს. კოდექსის 150-ე (ქურდობა), 151-ე (გაძარცვა), 153-ე (თაღლითობა) ან 78-ე (ბანდიტიზმი), 91-ე—94-ე (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება ქურდობით, გაძარცვით, თაღლითობით, მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით), 96-ე (ყაჩაღობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების მიზნით), 96[1]-ე (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცება) და 152-ე (ყაჩაღობა) მუხლებში.

ქურდობის განმეორებით ჩასათვლელად არა აქვს მნიშვნელობა დამნაშავე წინათ გასამართლებული იყო თუ არა რომელიმე ერთ-ერთი ზემოჩამოთვლილი დანაშაულისათვის. საკმარისია იმის დადგენა, რომ ადრე მას ჩაუდენია ასეთი დანაშაული და შემდეგ კვლავ ქურდობა ჩაიდინა (ცხადია, განმეორებად აღარ ჩაითვლება ფაქტი ადრე დანაშაულის ჩადენისა, უკეთუ იგი გაქარწყლებულია ხანდაზმულობით ან მოხსნილია ნასამართლობა. ასეთი პირის მიერ განხორციელებული ქურდობა ითვლება პირველად ჩადენილად).

ქურდობა განმეორებით უნდა განვასხვაოთ ე. წ. განგრძნობითი დანაშაულისაგან. განგრძობითი დანაშაულის დროს დამნაშავეს მხოლოდ ერთხელ დაეგმადება ქურდობის ჩადენის განზრახვა, რაც სხვადასხვა მიზეზით განხორციელდა რამდენიმე მოქმედებით. ასე, მაგალითად, განგრძობითია ქურდობა, როდესაც დამნაშავემ ფარულად გატაცებული ქონება ვერ შეძლო ფიზიკური უძლურობის გამო მთლიანად ერთგზის გაეტანა, არამედ განახორციელა ნაწილ-ნაწილ. ასეთი ქმედება ერთჯერადი ქურდობაა და დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ქურდობა განმეორებით კი იმას ნიშნავს, რომ დამნაშავეს განზრახვა ქურდობის ჩადენისა განმეორებით დაებადა, სახელდობრ, მას შემდეგ, რაც ადრე უკვე ჰქონდა ჩადენილი ქურდობა ან სხვა დანაშაული აღნიშნული სს კოდექსის 150-ე მუხლის შენიშვნაში. მაგალითისათვის, დამნაშავემ ჯიბიდან ამოაცალა სალაროსთან რიგში მდგომ მოქალაქეს ფული, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ ფარულად გაიტაცა სხვა მოქალაქის კუთვნილი ხელბარგი. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ქურდობას განმეორებით (რაც გათვალისწინებულია სს კოდექსის 150-ე მუხლის მეორე ნაწილში).

უკეთუ პირს ჩადენილი აქვს რამდენიმე ერთგვაროვანი დანაშაული (და არც ერთი მათგანისათვის იგი გასამართლებული არ ყოფილა), ქმედობა განიხილება როგორც დანაშაულთა ერთობლიობაც და განმეორებითი დანაშაულიც. მაგალითად, თუ პირს ასამართლებენ სახელმწიფო ქონების ქურდობისათვის, პირადი საკუთრების ქურდობისა და აგრეთვე გაძარცვისათვის, მას მსჯავრი უნდა დაედოს სს კოდექსის 90-ე მუხლის I ნაწ. (პირველად ჩადენილი ქურდობა), 150-ე მუხლის II ნაწილით (ქურდობა განმეორებით) და 151-ე მუხლის II ნაწილით (გაძარცვა განმეორებით).

დაბოლოს, ქურდობა ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით არის ქურდობა, რომლის ჩადენის გასაადვილებლად დამნაშავემ გამოიყენა სადგომთა საკეტების, კარების და ა. შ. გახსნის ან შემტვრევისათვის სპეციალურად დანიშნული იარაღები. ასეთია: ძალაყინი, გამღები, ე. წ. „ფომკა" და ა. შ[1].

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია ისეთი მოსაზრება, რომ ტექნიკურ საშუალებად უნდა ჩაითვალოს ტრანსპორტიც (ავტომანქანა, მოტოციკლი), რამდენადაც იგი უადვილებს დამნაშავეს ნაქურდალი ნივთების გაზიდვას[2]. ეს მოსაზრება, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი. საქმე ის არის, რომ ტრანსპორტი ქურდობის აქტის ჩადენის ტექნიკურ საშუალებად კი არ გამოიყენება. არამედ უკვე ნაქურდალი ქონების გადასაზიდად და, მაშასადამე, თვით ქურდობის გასაადვილებლად მას რაიმე არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია.

სასჯელი კვალიფიციური ქურდობისათვის სს კოდექსის 150-ე

---

[1] აღსანიშნავია, რომ დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების (რსფსრ და ტაჯიკეთის სსრ გამოკლებით) სისხლის სამართლის კოდექსები ქურდობის დამძიმებელ გარემოებათა შორის არ ითვალისწინებენ მის ჩადენას ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით.

[2] იხ. Советское уголовное право, часть Особенная, М., 1965, გვ. 231—232.

ჭუბლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე.

იმავე მუხლის მესამე ნაწილის ძალით, ქურდობა, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ[1], ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ათ წლამდე.

ბ) გაძარცვა. გაძარცვა, გათვალისწინებული სს კოდექსის 151-ე მუხლში, არის მოქალაქეთა პირადი ქონების აშკარა გატაცება ძალადობის გარეშე (I ნაწ.) ან ძალადობით, რომელიც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის (II ნაწ.).

გაძარცვის ობიექტია მოქალაქეთა პირადი საკუთრება, ხოლო ძალადობის გამოყენებისას ამასთან ერთად — ადამიანის პიროვნებაც.

ობიექტური მხრივ გაძარცვა გამოიხატება მოქალაქეთა პირადი ქონების აშკარა გატაცებაში, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც ძალადობის გარეშე, ასევე ძალადობითაც, რომელიც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით[2].

აშკარა იქნება გატაცება მოქალაქეთა პირადი ქონებისა ყოველთვის, როდესაც იგი ხორციელდება სხვა პირთა თანდასწრებით, იმისდა მიუხედავად, ეს პირნი ქონების მესაკუთრენი ან ფლობელნი არიან თუ — არა. აშკარა გატაცება ძალადობის გამოუყენებლად (მაგალითად, რაიმე ნივთის აღება მაგიდიდან და გატაცება სხვა პირთა დასწრებით) განსხვავდება ქურდობისაგან მით, რომ უკანასკნელი გულისხმობს ქონების ფარულად გატაცებას, ე. ი. მფლობელის მიერ იმის შეუცნობლად, რომ წარმოებს მისი ქონების გატაცება, მაშინ როდესაც გაძარცვისათვის დამახასიათებელია აშკარობა, ე. ი. სხვა პირთათვის იმის შეცნობა, რომ იტაცებენ ქონებას. გაძარცვის საკალდებულო ნიშანია აგრეთვე თვით დამნაშავის შეგნება თავისი ქმედობის სააშკარაო ხასიათისა. გაძარცვა ქურდობასთან შედარებით უფრო მძიმე დანაშაულია, რადგან ავლენს დამნაშავის მეტ სიბოროტესა და საშიშროებას.

---

[1] განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ცნება განმარტებულია სს კოდექსის 44-ე მუხლში.

[2] რსფსრ სს კოდექსი, ითვალისწინებს რა გაძარცვას ძალადობის გამოყენებით, არაფერს ამბობს ძალადობის გამოყენების მუქარაზე (იხ. რსფსრ სსკ 145-ე მუხლი), რადგან ამ კოდექსის აზრით, ძალადობა გულისხმობს როგორც ფიზიკური ძალის, ასევე მუქარის გამოყენებასაც. ყოველგვარი გაუგებრობის ასაცილებლად, ვფიქრობთ, უფრო მართებულია იმ მოკავშირე რესპუბლიკათა სს კოდექსის სათანადო მუხლების დისპოზიცია, რომელიც ძალადობასთან ერთად ითვალისწინებს მისი გამოყენების მუქარასაც.

ზოგჯერ ფარულად დაწყებული გატაცება (ე. ი. ქურდობა) შეიძლება გადაიზარდოს გაძარცვაში. ეს მოხდება მაშინ, უკეთუ დაზარალებული ან სხვა პირი შეამჩნევს დამნაშავის მოქმედებას, მაგრამ უკანასკნელი, მიუხედავად ამისა, განაგრძობს გატაცებას.

გაძარცვა ძალადობით (ან ძალადობის გამოყენების მუქარით) ნიშნავს დაზარალებულის მიმართ ისეთი ძალადობის გამოყენებას, რაც არ არის საშიში დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის (მაგ., ცემა, გათოკვა, სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად და ა. შ.). ამით განსხვავდება გაძარცვა უაჩალობისაგან, რომლისთვისაც დამახასიათებელია ასეთი საშიში ძალადობის გამოყენება.

ძალადობა საშიში იყო დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის თუ არა, ფაქტის საკითხია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მას გადაწყვეტს სასამართლო საქმის ობიექტურ გარემოებათა მიხედვით (კერძოდ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით).

გაძარცვის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი 14 წლის ასაკიდან.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ამასთან ანგარებითი მიზნით.

სს კოდექსის 151-ე მუხლში მოცემულია გაძარცვის სამი სახე: მარტივი (I ნაწ.), კვალიფიციური (II ნაწ.) და ჩადენილი განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში (III ნაწ.).

გაძარცვის მარტივი სახე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

გაძარცვა კვალიფიციურია და შეეფარდება მას აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილი, თუ იგი დაკავშირებულია ძალადობასთან, რომელიც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარასთან, აგრეთვე გაძარცვა, რომელმაც დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ან რომელიც ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან განმეორებით (გაძარცვის ყველა ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი, გარდა ძალადობისა, დამახასიათებელია ქურდობის კვალიფიციური სახისთვისაც და განმარტებულია ზემოთ სს კოდექსის 150-ე მუხლის ანალიზისას).

სასჯელი სს კოდექსის 151-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვს წლამდე.

დაბოლოს, სს კოდექსის 151-ე მუხლის მესამე ნაწილში გათვა-

ლისწინებულია გაძარცვა, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ (იმისდა მიუხედავად, გაძარცვა განხორციელდა ძალადობით თუ ამის გარეშე) და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

ბ) **უაჩაღობა.** მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის ერთ-ერთი უძველესია უაჩაღობა, რომელიც ერთდროულად ხელყოფს ორ **ობიექტს:** მოქალაქეთა პირად საკუთრებას და მათ პიროვნებას, ჯანმრთელობას.

პასუხისმგებლობას უაჩაღობისათვის ითვალისწინებს სს კოდექსის 152-ე მუხლი, რომლის ძალით უაჩაღობა არის თავდასხმა მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით, რომელსაც თან ერთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა.

ამრიგად, **ობიექტური** მხრივ უაჩაღობა გამოიხატება მოქალაქეზე თავდასხმაში მისი პირადი ქონების დაუფლების მიზნით, რასაც თან სდევს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა.

ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკური და ფსიქიკური. უკანასკნელი ნიშნავს ფიზიკური ძალადობის გამოყენების მუქარას, რაც გამოხატული იქნება, როგორც საამქარად, ცხად, ასევე შენიღბულ ფორმაში (მაგალითად, დამნაშავე, დაესხა რა თავს მოქალაქეს, წინადადებას აძლევს გაიხადოს და გადასცეს მას პალტო, ამასთან ამოიღებს ჯიბიდან რევოლვერს ან დანას და დაიჭერს ხან ერთ, ხან მეორე ხელში ისე, რომ მუქარას სიტყვიერი ფორმით არ გამოხატავს).

დანაშაულის შედგენილობისათვის არა აქვს მნიშვნელობა ძალადობა (ან მუქარა) გამოყენებულია ქონების მესაკუთრის, მფლობელის თუ ისეთი პირის მიმართ, რომელიც იცავდა ქონებას ან ცდილობდა ხელი შეეშალა მისი გატაცებისათვის.

ძალადობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს თავდასხმასთან ერთდროულად, ასევე შემდეგშიც, დაზარალებულისაგან ქონების ჩამორთმევისა და დაუფლების პროცესში. ამიტომ უაჩაღობად ჩაითვლება ქმედობა დაწყებული თუნდაც ქურდობით ან გაძარცვით, მაგრამ ქონების ჩამორთმევის თუ დაუფლების დროს დამნაშავე მიმართავს დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარას.

უკეთუ ძალადობა არ ყოფილა გამოყენებული ქონების დაუფლების მიზნით, მაგალითად, ქურდობის ჩადენის შემდეგ დამნაშავემ მიმართა ძალადობას მხოლოდ იმისათვის, რომ არ ყოფილიყო დაკავებული, უაჩაღობის შედგენილობა არ იქნება. ასეთ შემთხვე-

ვაში ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, სახელდობრ, როგორც ქურდობა და ერთ-ერთი შესაბამისი დანაშაული პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ.

ძალადობა უნდა განვასხვაოთ დამნაშავის მიერ ქონების დაუფლების მიზნით ცბიერობის, მოტყუების გამოყენებისაგან, რამაც ხელი შეუშალა დაზარალებულს წინააღმდეგობა გაეწია მისი ქონების გატაცებისათვის. ასე, მაგალითად, უკეთუ პირი, გაიტყუებს რა დაზარალებულს ერთ ოთახში და ჩაკეტავს მას, ხოლო მეორე ოთახიდან გაიტაცებს ქონებას, ქმედობა ჩაითვლება არა ყაჩაღობად, არამედ საქმის გარემოებათა მიხედვით ქურდობად ან გაძარცვად.

ყაჩაღობა დამთავრებულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან, იმის მიუხედავად, დამნაშავემ შეძლო თუ არა დაუფლებოდა ქონებას.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი ყაჩაღობისა შეიძლება იყოს ყოველი პირი, მიღწეული 14 წლის ასაკს.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით და სხვისი ქონების დაუფლების მიზნით. აშიტომ ყაჩაღობის შედგენილობა არ იქნება, უკეთუ ქონების დაუფლების მიზანი პიროვნებაზე ხელყოფის შემდეგ წარმოიშვა, რადგან ასეთი ხელყოფა არ წარმოადგენს ქონების დაუფლების საშუალებას.

სს კოდექსის 152-ე მუხლი ითვალისწინებს ყაჩაღობის ორ სახეს — მარტივსა (I ნაწ.) და კვალიფიციურს (II ნაწ.).

მარტივი სახისაა ყაჩაღობა, როდესაც განხორციელებულია თავდასხმა მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით ისეთი ძალადობით (ან მუქარით), რაც საშიშია დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ძალადობა ამ შემთხვევაში გულისხმობს სხეულის მსუბუქ ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას, აგრეთვე სიკვდილის ან სხეულის მძიმე დაზიანების მიყენების შესაძლებლობას (და არა ასეთი შედეგის დადგომას).

ყაჩაღობის მარტივი სახე სს კოდექსის 152-ე მუხლის პირველი ნაწილით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

იმავე მუხლის მეორე ნაწილი ყაჩაღობის დამამძიმებელ გარემოებად თვლის ყაჩაღობას: ა) პირთა ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებით; ბ) სხეულის მძიმე დაზიანებით; გ) განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ; დ) იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ აქვს ჩადენილი ყაჩაღობა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცების მიზნით ან ბანდიტიზმი.

ჯგუფი (ორი და მეტი პირისაგან შემდგარი) წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული სწორედ ყაჩაღური თავდასხმის ჩასადენად.

სხეულის ძლიერ დაზიანებით ჩადენილი ყაჩაღობა ნიშნავს დაზარალებულისათვის ისეთი დაზიანების მიყენებას, რასაც ითვალისწინებს სს კოდექსის 110-ე მუხლი. ყაჩაღობის ობიექტური მხარე არ მოიცავს ისეთი შედეგის დადგომას, როგორიც არის დაზარალებულის სიკვდილი. ამიტომ, უკეთუ ყაჩაღობას თან ერთვოდა დაზარალებულის სიკვდილი, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, როგორც განზრახი მკვლელობა ანგარებით (სსკ 104-ე მუხლის პუნქტი „1") და ყაჩაღობა დამამძიმებელ გარემოებაში (სსკ 152-ე მუხლის მეორე ნაწილი).

მკვლელობა ანგარებით (რაც კვალიფიცირდება მხოლოდ 104-ე მუხლის პუნქტი „1"-ით) უნდა განვასხვაოთ მკვლელობისაგან ყაჩაღობის დროს (რაც დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიცირდება) შემდეგი ნიშნების მიხედვით: ყაჩაღობა ყოველთვის გულისხმობს თავდასხმას, რასაც მკვლელობის დროს შეიძლება არც ჰქონდეს ადგილი (მაგალითად, მოწამეს); ანგარებითი მკვლელობის დროს დაზარალებულის სიკვდილი უშუალო უსწრებს წინ მისი ქონების დაუფლებას, მაშინ როდესაც ყაჩაღობის დროს დაზარალებულის მოკვლას ყოველთვის თავდასხმის პროცესში აქვს ადგილი; შემდეგ, ყაჩაღობის დროს (დაზარალებულის მკლელობასთან ერთად) ქონება ბრალეულ პირთან გადადის თავდასხმის განხორციელებასთან ერთდროულად, ხოლო ანგარებითი მკვლელობისას—გარკვეული დროის გასვლის შემდეგ; დაბოლოს, თუ ყაჩაღობის ჩადენისას დამნაშავის მიზანს შეადგენს მხოლოდ დაზარალებულის ქონების (მატერიალური საგნების, ნივთების) დაუფლება, ანგარებით ჩადენილი მკვლელობის დროს დამნაშავე შეიძლება მიზნად ისახავდეს ქონებაზე უფლების ან სხვა მატერიალური გამოყენების მოპოვებას (მაგალითად, ალიმენტის გადახდისაგან თავის დაღწევას, ბინის მიღებას და ა. შ.).

განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ცნება უკვე იყო განმარტებული ზემოთ.

ყაჩაღობის დამამძიმებელ გარემოებად კანონი თვლის აგრეთვე მის ჩადენას ისეთი პირის მიერ, რომელსაც წინათ აქვს ჩადენილი ყაჩაღობა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით ან ბანდიტიზმი. ამ ნიშნით კვალიფიციური ყაჩაღობის ცნობისათვის არა აქვს მნიშვნელობა პირი წინათ ერთ-ერთი აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის გასამართლებული იყო თუ არა. საკმარისია დადგენა იმ ფაქტისა, რომ დამნაშავეს

ჩადენილი აქვს ადრე ასეთი სახის დანაშაული და შემდეგ კვლავ უაჩაღობა ჩაიდინა[1].

სასჯელი კვალიფიციური უაჩაღობისათვის სს კოდექსის 152-ე მუხლის მეორე ნაწილის ძალით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უვადოდ, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

უაჩაღობის კვალიფიციური სახეები სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სს კოდექსების მიხედვით ისეთივეა, როგორც საქ. სსრ სს კოდექსით. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ რსფსრ სს კოდექსი დამამძიმებელ გარემოებად თვლის აგრეთვე უაჩაღობას, ჩადენილს იარაღის ან იარაღის სახით გამოსაყენებელი საგნების მეშვეობით (იხ. 146-ე მუხლის მეორე ნაწილის პუნქტი „ბ").

ბ. თაღლითობა. თაღლითობა, რასაც სს კოდექსის 153-ე მუხლი ითვალისწინებს, არის მოქალაქეთა პირადი ქონების ან ქონებაზე უფლების, ან ქონებრივი გამორჩენის მიღება მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით.

თაღლითობის **ობიექტია** პირადი საკუთრება, ხოლო ხელყოფის საგანი — როგორც მატერიალური ნივთები და ფასიანი ქაღალდები, ასევე ქონებრივი უფლება და გამორჩენა. ამრიგად, თაღლითობისას ხელყოფის საგანი უფრო ფართოა, ვიდრე ქურდობისას.

ობიექტური მხრივ თაღლითობა გამოიხატება მოქალაქეთა პირადი ქონების ან ქონებაზე უფლების, ან ქონებრივი გამორჩენის მილებაში მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით.

მოტყუება ამ შემთხვევაში ნიშნავს დაზარალებულისათვის ისეთი უსწორო ცნობების შეტყობინებას, რომელთა გავლენითაც იგი გადასცემს დამნაშავეს თავის ქონებას (ან ქონებრივი ხასიათის უფლებას). მაგალითად, უკეთუ პირი ყიდის სპილენძის ბეჭედს (მოოქრულს) როგორც ოქროს ბეჭედს (ოქროს ფასში), იგი ჩადის თაღლითობას (მოტყუების აქტიური ფორმა). ასევე თაღლითობად ჩაითვლება ისეთ გარემოებათა დამალვა, რაც დამნაშავეს უნდა ეცნობებინა დაზარალებულისათვის. მაგ., უკეთუ პირი ყიდის დაავადებულ რქოსან საქონელს, ის ვალდებულია აცნობოს დაზარალებულს საქონლის დაავადების ფაქტი, თუნდაც იგი არც შეეკითხოს მას ამის შესახებ (მოტყუების პასიური ფორმა).

მოტყუება შეიძლება შეეხებოდეს საგნის არა მარტო ფიზიკურ

---

[1] რსფსრ სს კოდექსი (146-ე მ.) უაჩაღობის დამამძიმებელ ერთ-ერთ გარემოებად თვლის აგრეთვე უაჩაღობას იარაღის გამოყენებით. სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სს კოდექსების მიხედვით უაჩაღობის ცნება თავისთავად გულისხმობს იარაღის გამოყენების შესაძლებლობას.

თვისებებს (ხარისხს, რაოდენობას და სხვ.), არამედ მის იურიდიულ დახასიათებასაც. მაგ., ისეთი შემთხვევა, როგორიც არის პირის მიერ სხვისი კუთვნილი ქონების (რომელსაც თავის საკუთრებად აცხადებს) გაყიდვა, ჩაითვლება თაღლითობად.

მოტყუება შეიძლება სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით გამოიხატოს, სახელდობრ, სიტყვიერად, წერილობით და სხვა სახის მოქმედებით (მაგ., ბინის გასაჩხრეკი ყალბი ორდერის წარდგენით იმისათვის, რომ წაღებულ იქნეს ქონება და ა. შ.). თაღლითობად ჩაითვლება აგრეთვე ვინმესთვის გაყიდული საქონლის საფასურად ფულის ნიშნიანი სურათის თუ გამოხატულების[1] მიცემა ფულის სახით (მაგ., ჟურნალში დაბეჭდილი ფულის ნიმუშის მოტყუებით გასაღება, როგორც ნამდვილი ფულისა). თაღლითობისას მოტყუების დანიშნულებაა დაზარალებულის შეცდომაში შეყვანით მის მიერ დამნაშავისათვის ქონების ან ქონებრივი უფლების და გამორჩენის გადაცემა ნებაყოფლობით; ამიტომ, უკეთუ დაზარალებულის მოტყუებასთან ერთად გამოყენებული იყო მის მიმართ ძალადობაც, რის შედეგადაც ქონება დამნაშავის ხელთ გადავიდა, ქმედობა ჩაითვლება გაძარცვად ან ყაჩაღობად იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათის იყო ზემოქმედება, და არა თაღლითობად.

ნდობის ბოროტად გამოყენება თაღლითობისას ნიშნავს მარწმუნებლის მიერ გამოცხადებული ნდობის მისივე საწინააღმდეგოდ გამოყენებას, რაც შეიძლება გამოიხატოს მოქალაქეებისაგან ფულის მიღებაში რაიმე სამუშაოს შესასრულებლად, მაშინ როდესაც დამნაშავეს ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე არც უფიქრია, მისი მიზანი იყო მხოლოდ მოქალაქეთა ქონების მიღება; შემდეგ, სპეციალური რწმუნებულების, მაგალითად, ქონების განკარგვის ან ფულადი სახსრების ხარჯვის შესახებ გაცემული მინდობილობის ბოროტად გამოყენებაში ქონებრივი გამორჩენის მიზნით და ა. შ.

ნდობის ბოროტად გამოყენების გზით ჩადენილ თაღლითობად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როდესაც ვალის გადახდისას დამნაშავე რაიმე მიზეზით არ დაუბრუნებს დაზარალებულს ხელწერილს, ხოლო გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კვლავ მოითხოვს მისგან ვალის დაფარვას იმავე ხელწერილის საფუძველზე.

უკეთუ დამნაშავე სხვის ქონებას მიიღებს ბავშვების ან შეურაცხად თუ ფიზიკური ნაკლის მქონე (მაგ., ორივე თვალით დაბრმავე-

---

[1] და არა ყალბი ფულის, რომლის გასაღებაც იწვევს პასუხისმგებლობას საქ. სსკ 88-ე მუხლის საფუძველზე.

ბული) პირის მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით, ქმედობა ჩაითვლება არა თაღლითობად, არამედ ქურდობად, რადგან ასეთ შემთხვევაში დამნაშავისათვის ქონების გადაცემა წარმოებს დაზარალებულის ნების თავისუფლად გამოშეღავნების გარეშე, მას არა აქვს უნარი სწორი წარმოდგენა იქონიოს მასთან დადებული გარიგების ავკარგიანობაზე.

თაღლითობა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება ქონების ან ქონებაზე უფლების თუ ქონებრივი გამორჩენის მიღების მომენტიდან, და არა დაზარალებულის მოტყუების ან ნდობის ბოროტად გამოყენების მომენტიდან.

დანაშაულის სუბიექტია ყოველი შერაცხადი ~~ცერძო~~ პირი 16 წლის ასაკიდან. თანამდებობის პირი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი თაღლითური მოქმედებისათვის მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ პასუხს აგებს სს კოდექსის 186-ე მუხლით (თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება), ხოლო სავაჭრო დარგის მომუშავე მყიდველთა მოტყუებისათვის — 169-ე მუხლით.

სუბიექტური მხრივ თაღლითობა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ამასთან ანგარებითი მიზნით.

თაღლითობის მარტივი სახე სს კოდექსის 153-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

იმავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს კვალიფიციური სახის თაღლითობას. დამამძიმებელ გარემოებად ითვლება თაღლითობის ჩადენა წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ ან განმეორებით ან—თუ მან დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. დანაშაულის ეს დამამძიმებელი გარემოებანი ანალოგიურია ქურდობის ასეთივე დამამძიმებელი გარემოებებისა და ყოველივე, რაც ითქვა ქურდობის შედგენილობის ანალიზისას მათ შესახებ, მთლიანად გავრცელდება განსახილველ შემთხვევაზეც.

სასჯელი სს კოდექსის 153-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე

დაბოლოს, სსკ 153-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს თაღლითობას, ჩადენილს განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ და სჯის თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე[1].

[1] ძირითადად ასევეა გაგებული თაღლითობის ცნება და მისი კვალიფიციური სახეები სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სს კოდექსებში (ერთგვარი მეტნაკლებობაა მხოლოდ სასჯელის ზომებში). გამონაკლისს შეადგენს ლატვიის სსრ სს კოდექსი, რომელიც თაღლითობის დამამძიმებელ გარემოებათა შორის არ ასახელებს თაღლითობას, თუ მან დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა (იხ. 142-ე მუხლი).

ე. **გამოძალვა.** გამოძალვა, გათვალისწინებული სს კოდექსის 154-ე მუხლში, არის მოქალაქეთა პირადი ქონების ან ქონებაზე უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მიცემის მოთხოვნა, რომელსაც თან ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლობლების მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ქონების საყოველთაოდ საშიში საშუალებით განადგურების ან მათი სახელის გამტეხი ცნობების გახმაურების მუქარა.

ეს დანაშაული ხელყოფს ორ ობიექტს — მოქალაქეთა პირად საკუთრებას, ქონებრივი ხასიათის უფლებასა და გამორჩენას და აგრეთვე თვით პიროვნებას, მის თავისუფლებას.

ობიექტური მხრივ — გამოძალვა გამოიხატება დამნაშავის მოთხოვნაში დაზარალებულისადმი გადასცეს მას ქონება ან ქონებაზე უფლება ან ქონებრივი სარგებლობა; ასეთ მოთხოვნას თან ერთვის მუქარა დაზარალებულის ან მისი ახლობლების მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ქონების საყოველთაოდ საშიში საშუალებით განადგურების, ან მათი სახელის გამტეხი ცნობების გახმაურებისა[1].

მოთხოვნა ქონების გადაცემის შესახებ შეიძლება მდგომარეობდეს მოქალაქეთა პირადი ქონების როგორც საკუთრებად ან მფლობელობად, ასევე დროებით სარგებლობად გადაცემის მოთხოვნაში. მოთხოვნა ქონებაზე უფლების გადაცემის შესახებ შეიძლება გამოიხატოს დაზარალებულის იძულებაში შეადგინოს იურიდიული მნიშვნელობის დოკუმენტი, რომლის გამოყენებითაც დამნაშავე შეძლებს ქონების მიღებას (მაგალითად, მოთხოვნა იმისა, რომ დაზარალებულმა გააფორმოს ხელშეკრულება სახლის დამნაშავისათვის ჩუქების თაობაზე და სხვ.), ხოლო მოთხოვნა ქონებრივი სარგებლობის მიღებისა — დაზარალებულის იძულებაში განახორციელოს ისეთი მოქმედება, რაც დამნაშავეს მიანიჭებს ქონებრივი ხასიათის სარგებლობას. მაგალითად, მოთხოვნა, რომ დაზარალებულმა მოსპოს დამნაშავის მიერ გაცემული სესხის ხელწერილი და სხვა.

ძალადობის გამოყენების მუქარა ნიშნავს დაზარალებულის ან მისი ახლობლების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების (მოკვლის, სხეულის დაზიანების და ა. შ.) დამუქრებას. დაზარალებულის ახლობლებად ჩაითვლებიან არა მხოლოდ მისი ოჯახის წევრები, მშობ-

---

[1] საბჭოთა სსრ სს კოდექსის 147-ე მუხლი გამოძალვის ერთ-ერთ საშუალებად თვლის აგრეთვე დაზარალებულის დამოკიდებული მდგომარეობის გამოყენებას.

ლები, დები, ძმები, და ა. შ., არამედ ყოველი სხვა პირიც, რომელთანაც დაზარალებული ახლო ურთიერთობაში იმყოფება[1].

მუქარა საყოველთაოდ საშიში საშუალებით ქონების განადგურების შესახებ ნიშნავს დამუქრებას ქონების განადგურებაზე ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით, წყლის მიშვებით და სხვა საყოველთაოდ საშიში ხერხით. მუქარა არა ასეთი საშუალებითა და ხერხით ქონების განადგურებისა გამოძალვის შედგენილობას ვერ მოგვცემს.[2]

მოთხოვნას ქონების თუ ქონებრივი ხასიათის უფლების გადაცემაზე მუქარით, რომ გახმაურებული იქნება დაზარალებულის ან მისი ახლობლების სახელის გამტეხი ცნობები, ეწოდება შანტაჟი (ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს გამოძალვას დაშინებითა და მუქარით). იმ საკითხის გარკვევაში — სახელის გამტეხია თუ არა ცნობა — არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თვით დაზარალებულის შეხედულებას, თუ რამდენად სახელის გამტეხია მისთვის ესა თუ ის ცნობა (მაგრამ, ცხადია, გათვალისწინებული უნდა იქნეს ობიექტური კრიტერიუმიც, სახელდობრ, სოციალისტური მორალის თვალსაზრისი იმის შესახებ, ცნობა მისაჩნევია ადამიანის სახელის გამტეხად თუ არა)[3]. ამასთან დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს ცნობა, რომლის გახმაურების მუქარასაც მიმართავს დამნაშავე, შეეფერება სინამდვილეს თუ შეთხზულია, მონაჭორი (არსებითია ის, რომ ასეთი ცნობის გახმაურება დაზარალებულს არ სურს და მისი გახმაურების მუქარას შეუძლია აიძულოს ის შეასრულოს დამნაშავის მოთხოვნა).

უკეთუ მუქარა შესრულდა და დამნაშავემ მართლაც გაახმაურა

---

[1] ლატვიის სს კოდექსი ითვალისწინებს მუქარის გამოყენებას მარტოოდენ უშუალოდ დაზარალებულის მიმართ და არა მისი ახლობლების მიმართაც, და აქრიგად, მუქარის ხასიათს ეს კოდექსი ერთგვარად ზღუდავს სხვა კოდექსებთან შედარებით (იხ. 143-ე მუხლი). ესტონეთის სსრ სს კოდექსში კი მოხსენიებულია საერთოდ პიროვნება, მუქარა პიროვნების მიმართ, და არა დაზარალებული და მისი ახლობლები (იხ. 142-ე მუხლი).

[2] ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობით გამოძალვად ითვლება მუქარა ქონების განადგურებაზე საერთოდ, და არა მხოლოდ საყოველთაოდ საშიში საშუალებით, როგორც ითვალისწინებს სკ. სს კოდექსი (იხ. რსფსრ სსკ 148-ე მუხლი, უკრაინის სსრ სსკ 144-ე მუხლი და სხვ.).

[3] აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკათა სს კოდექსებში ლაპარაკია არა სახელის გამტეხ ცნობაზე, არამედ ისეთ ცნობაზე, რომლის გადუმლოდ შენახვა სურს დაზარალებულს (იხ. ბელორუსიის სსრ სსკ 145-ე მუხლი, ლატვიის სსრ სსკ 143-ე მუხლი, ყირგიზეთის სსრ სსკ 147-ე მუხლი).

სახელის გამტეხი ცნობა, რომელიც სინამდვილეს შეესაბამებოდა, იგი პასუხს აგებს მარტოოდენ გამოძალვისათვის, ხოლო თუ ცნობა მონაპოვარი იყო — დანაშაულთა ერთობლიობით, გამოძალვისათვის და ცილისწამებისათვისაც.

გამოძალვა დამთავრებულად ითვლება ქონების ან ქონებაზე უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მიცემის მოთხოვნის მომენტიდან, იმისდა მიუხედავად, დამნაშავემ მიაღწია მიზანს თუ — არა (მარტოოდენ ესტონეთის სსრ სს კოდექსის 142-ე მუხლის ძალით დანაშაული დამთავრებულად ითვლება ქონების ან ქონებრივი სარგებლობის მიღების მომენტიდან).

იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავემ მართლაც განახორციელა ერთ-ერთი ზემოაღნიშნული სახის მუქარა, იგი პასუხს აგებს როგორც გამოძალვისათვის, ასევე პიროვნების ან პირადი საკუთრების წინააღმდეგ იმ დანაშაულისათვის, რაც მან ჩაიდინა.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი 16 წლის ასაკიდან.

უკეთუ თანამდებობის პირი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მოითხოვს მოქალაქისაგან ქონებრივი ხასიათის გამორჩენას, შეიძლება დაისვას საკითხი ქრთამის გამოძალვის შესახებ (189-ე მუხლის II ნაწ.).

გამოძალვა ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ ხასიათდება პირდაპირი განზრახვით და ამასთან ანგარებითი მიზნით.

სს კოდექსის 154-ე მუხლი ითვალისწინებს გამოძალვის მარტივსა და კვალიფიციურ სახეებს.[1]

მარტივი სახე გამოძალვისა აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის ძალით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

154-ე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია იგივე ქმედობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ ან განმეორებით.

დანაშაულის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებით არაერთხელ ყოფილა განმარტებული ზემოთ ქურდობის და სხვ. დანაშაულთა ანალიზისას. რაც შეეხება გამოძალვის ჩადენას განმეორებით, ეს იმას ნიშნავს, რომ წინათ დამნაშავეს ჩადენილი უნდა ჰქონდეს, სახელდობრ, გამოძალვა (და არა სხვა სახის ქონებრივი დანაშაული, რაც დაშვებულია, მაგალითად, ქურდობის

---

[1] ყველა სხვა დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსები ითვალისწინებენ გამოძალვის მხოლოდ ერთ სახეს (კვალიფიციური სახეები მათთვის უცნობია).

განმეორებით ცნობისათვის), ამასთან არა აქვს მნიშვნელობა წინათ ჩადენილი გამოძალვისათვის იგი გასამართლებულია თუ—არა (მაგრამ, ცხადია, არ უნდა იყოს გასული ხანდაზმულობის ვადა).

სასჯელი კვალიფიციური სახის გამოძალვისათვის სს კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე.

აღსანიშნავია, რომ გამოძალვა ერთგვარად ემსგავსება ყაჩაღობას და გაძარცვას. ეს მსგავსება მდგომარეობს, კერძოდ, მასში, რომ ქონებრივი ხასიათის მოთხოვნას ორივე შემთხვევაში თან ერთვის მუქარა ძალადობის გამოყენებისა. განსხვავება ამ დანაშაულთა შორის შემდეგი ნიშნებით უნდა განვსაზღვროთ. გამოძალვის დროს დამნაშავის მუქარა დაზარალებულის ან მისი ახლობლების მიმართ ძალადობის გამოყენების შესახებ მიეკუთვნება მომავალ დროს, დამნაშავე მოიყვანს მას სისრულეში მაშინ, თუ დაზარალებულმა მომავალში არ შეასრულა მისი მოთხოვნა, ხოლო ყაჩაღობისა და გაძარცვის დროს დამნაშავე ძალადობით ემუქრება დაზარალებულს უმალვე, მას დაუყოვნებლივ მოიყვანს სისრულეში, თუ მისი მოთხოვნა ქონების გადაცემის შესახებ არ შესრულდა.[1] ყაჩაღობისა და გაძარცვისათვის დამახასიათებელია ქონების დამნაშავის ხელთ გადასვლა მოქალაქეზე თავდასხმისთანავე, მასთან ერთდროულად; გამოძალვისას კი ქონება დაზარალებულმა უნდა გადასცეს დამნაშავეს შემდეგში, დამუქრების მომენტიდან გარკვეულ დროის გასვლის შემდეგ.

3. **მითვისება.** პასუხისმგებლობა მოქალაქეთა პირადი ქონების მითვისებისათვის გათვალისწინებულია სს კოდექსის 155-ე მუხლში.

აღნიშნული კანონი მითვისებას განმარტავს როგორც მოქალაქეთა პირადი ქონების დაკავებას მისაკუთრების მიზნით იმ პირის მიერ, რომელსაც ეს ქონება მინდობილი ჰქონდა ან ამ ქონების გაფლანგვას, თუ ამან დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

ამ დანაშაულის ობიექტი იგივეა, რაც ქურდობისა, ე. ი. მოქალაქეთა პირადი ქონება.

ობიექტური მხრივ—მითვისება გამოიხატება მოქალაქეთა პირადი ქონების დაკავებაში მისაკუთრების მიზნით იმ პირის მიერ, რომელსაც ეს ქონება მინდობილი ჰქონდა ან ამ ქონების გაფლანგვაში.

[1] ეს გარემოება ნათლად არის განმარტებული უზბეკეთისა და ლიტვის სს კოდექსებში, სადაც ხაზგასმულია, რომ მუქარა ძალადობის გამოყენებისა უნდა ეკუთვნოდეს მომავალს (იხ. შესაბამისად, 128-ე და 150-ე მუხლები).

დაკავება ნიშნავს ქონების არდაბრუნებას კუთვნილებისამებრ -ს მიზნით, რომ დამნაშავემ იგი მიისაკუთროს, მაგალითად, რაიმე მიზნით მიბარებულ პალტოს დამნაშავე არ უბრუნებს დაზარალებულს და სურს მოიხმაროს თვითონ; ხოლო გაფლანგვა — მიბარებული ქონების გახარჯვას, გასხვისებას და ა. შ. მაგალითად, შესანახად მიბარებულ პალტოს დამნაშავე გაყიდის და ფულს გახარჯავს ან გაიჩუქებს და ა. შ.

განსახილველი დანაშაულის დამახასიათებელია ის, რომ მისი ჩადენისას სხვა პირის ქონება იმყოფება დამნაშავის მართლზომიერ ფლობაში, მიბარებული აქვს მას ქონება დაზარალებულის ნება-სურვილით (მაგალითად, შესანახად, სხვისთვის გადასაცემად და ა. შ.). ამით განსხვავდება მითვისება ქურდობისაგან. თუ ქურდობისას ადგილი აქვს სხვისი ქონების უკანონოდ, ფარულად გატაცებას, მითვისებისას სხვისი ქონება იმყოფება დამნაშავის კანონიერ მფლობელობაში, იგი მას გადაცემული ჰქონდა თვით ქონების მესაკუთრის მიერ გარკვეული მიზნით.

მითვისებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც ინდივიდუალურად განსაზღვრული ქონების (მაგალითად, ცნობილი მხატვრის სურათის და სხვ.), ასევე გვარეობითი ნიშნების მიხედვით განსაზღვრული ქონებისა (ფულის, შაქრის და ა. შ.). თუ მითვისებულია ინდივიდუალურად განსაზღვრული ქონება, დანაშაული დამთავრებულად ითვლება მესაკუთრების მიზნით მისი დაკავების ან გაფლანგვის მომენტიდან, ხოლო თუ მითვისებულია გვარეობითი ნიშნების მიხედვით განსაზღვრული ქონება — მისი მესაკუთრისათვის დაბრუნების ვადის გასვლის მომენტიდან.

აღსანიშნავია, რომ მოქალაქეთა პირადი ქონების მითვისება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ მაშინ, თუ ასეთმა ქმედობამ დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. დანარჩენ შემთხვევაში მიმთვისებლის პასუხისმგებლობა სამოქალაქო სამართლის წესით გადაწყდება.

დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი კერძო პირი 16 წლის ასაკიდან.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება განზრახი ბრალით და ანგარებითი მიზნით. ასეთი მიზნის დაუდგენლობა გამორიცხავს დანაშაულის შედგენილობას. ასე, მაგალითად, გარკვეული მიზნით მიბარებული სხვისი ქონების (მაგ., საკერავი ან საბეჭდი მანქანის, ტელევიზორის და სხვ.) დროებით მოხმარება, სარგებლობა მითვისების მიზნის გარეშე, დანაშაულად არ ჩაითვლება.

სასჯელი სს კოდექსის 155-ე მუხლით — გამასწორებელი სამუ-

შაოები ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმა ას მანეთამდე, ან საზოგადოებრივი გაკიცხვა.

რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის და ესტონეთის სსრ სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობისათვის უცნობია საერთოდ ამ სახის დანაშაული და, მაშასადამე, მოქალაქეთა პირადი გარკვეული მიზნით მიბარებული ქონების მითვისების საკითხი დასახელებულ რესპუბლიკებში გადაწყდება ყოველთვის სამოქალაქო წესით.

ლატვიის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის სს კოდექსების მიხედვით, სისხლის სამართლის წესით დასჯადია სხვისი ქონების მითვისება საერთოდ, იმის მიუხედავად, მნიშვნელოვანია თუ არა დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი (იხ. შესაბამისად 144-ე, 158-ე, 130-ე, 137-ე, 148-ე მუხლები).

დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების სს კოდექსების შესაბამისი ნორმები საქ. სს კოდექსის 155-ე მუხლის ანალოგიურია (იხ. ლიტვის სსრ სს კოდექსის 152-ე მუხლი, მოლდავეთის—150-ე მუხლი, ყირგიზეთის — 149-ე მუხლი, თურქმენეთის — 160-ე მუხლი).

ზ. მევახშეობა. მევახშეობა,— გათვალისწინებული სს კოდექსის 156-ე მუხლში, არის ყოველგვარი სესხისათვის ისეთი პროცენტის გადახდევინება, რაც სპეციალური დადგენილებით დაწესებულ ზღვრულ ნორმას აღემატება, ჩადენილი ხელობის სახით.

ამ სახის დანაშაული, დამახასიათებელი ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდისათვის, ამჟამად ძალზე იშვიათად გვხვდება სასამართლო პრაქტიკაში[1].

მევახშეობა ობიექტური მხრივ გამოიხატება გაცემულ სესხში, რა სახისაც არ უნდა იყოს (ფულადი, პროდუქტებით და ა. შ.), ისეთი პროცენტის გადახდევინებაში, რაც აღემატება სპეციალური დადგენილებით ზღვრულ ნორმას.

პროცენტის ნორმები სესხისათვის განისაზღვრება სამოქალაქო კანონმდებლობით. საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის ადრე მოქმედი კოდექსის 212-ე მუხლის დანართის ძალით როგორც ფულადი, ისე ქონებრივი სასესხო ხელშეკრულების პროცენტის უკიდურეს ნორმად დაწესებული იყო წლიური 24% (იხ. კან. კრ., 1928 წ., № 3, მუხ. 22).

ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის ძალით, პროცენტების გადახდევინება დაიშვება მხოლოდ სსრ კავშირის კანონმდე-

---

[1] სხვა დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა, გარდა ყაზახეთის სსრ სს კოდექსისა (იხ. 140-ე მუხლი), მევახშეობას სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედობად არ თვლის.

ბლობით დადგენილ შემთხვევებში და, მაშასადამე, პროცენტების ნორმების განსაზღვრაც სსრ კავშირის კომპეტენციას შეადგენს.

აღნიშნული ქმედობა მხოლოდ მაშინ ითვლება დანაშაულად და იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, როდესაც ჩადენილია ხელობის სახით, ე. ი. ეს საქმიანობა წარმოადგენს დამნაშავისათვის საარსებო წყაროს ან მთავარ და ძირითად შემოსავალს. ერთეული შემთხვევები კანონით დაწესებულ ზღვრულ ნორმაზე ზედმეტი პროცენტების გადახდევინებისა განსახილველი დანაშაულის შედგენლობას ვერ მოგვცემს.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი მევახშეობისა შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი კერძო პირი 16 წლის ასაკიდან. თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა აღნიშნული ქმედობისათვის განისაზღვრება სს კოდექსის 186-ე მუხლით (თანამდებობის პირად გამოყენება).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით.

სასჯელი მევახშეობისათვის სს კოდექსის 156-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გასახლება ვადით სამ წლამდე.

§ 2. დანაშაული, რომელიც ეხება მოქალაქეთა პირადი ქონების განადგურებასა და დაზიანებაში

ა. მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება. სს კოდექსის 157-ე მუხლი ითვალისწინებს მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურებას ან დაზიანებას, რამაც დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

განსახილველი დანაშაულის ო ბ ი ე ქ ტ ი ა. მოქალაქეთა პირადი ქონება, ხოლო საგანი ხელყოფისა შეიძლება იყოს როგორც სხვა პირის კუთვნილი ნივთები თუ სხვა სახის ქონება, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში თვით დამნაშავის კუთვნილიც. საკუთარი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება მაშინ ჩაითვლება დასაჯადად, როდესაც ეს ქონება თავისი სოციალურ-სამეურნეო მნიშვნელობის გამო დიდ ღირებულებას წარმოადგენს მთელი საზოგადოებისათვის (მაგალითად, საცხოვრებელი სახლი, უნიკალური მხატვრული ნაწარმოები, ძვირფასი ბიბლიოთეკა და ა. შ.). საკითხის ამგვარი გადაწყვეტა საკანონმდებლო შეესაბამება სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც გამორიცხავს პირადი ინტერესების დაპირისპირებას მთელი საზოგადოების ინტერესებთან, ეფუძნება თვით კანონის (სსკ 157-ე მუხლის) არსს. სახელდობრ, იმ გარემოებას, რომ კანონში ლაპარაკია არა სხვა პირის ქონების განზრახ განადგურებასა

თუ დაზიანებაზე, არამედ საერთოდ მოქალაქეთა პირადი ქონებისა.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება მოქალაქეთა პირადი ქონების მართლსაწინააღმდეგო განადგურებასა ან დაზიანებაში. განადგურება ნიშნავს ქონების ფიზიკურად მოსპობას, ხოლო დაზიანება—ქონებისათვის გარკვეული მატერიალური ზიანის მიყენებას.

სუბიექტი—დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი 16 წლის ასაკიდან, ხოლო თუ ამ დანაშაულს მოჰყვა მძიმე შედეგები (რასაც ითვალისწინებს სსკ 157-ე მუხლის მეორე ნაწ.) — 14 წლის ასაკიდან.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება განზრახ ბრალით (როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ფორმით). მოტივი დამნაშავისა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს (მაგალითად, შურისძიება, სადაზღვევო თანხის მიღების სურვილი და ა. შ.).

აღნიშნული ქმედობის ხულიგნური ბუნება გრძნობით ჩადენისას იგი დაკვალიფიცირდება მხოლოდ 228-ე მუხლით (ხულიგნობა), ხოლო იმ მძიმე შედეგის დადგომისას, რაც 157-ე მუხლის მეორე ნაწილშია გათვალისწინებული — დანაშაულთა ერთობლიობით (157-ე მუხლის მეორე ნაწილით და 228-ე მუხლით). რამდენადაც ასეთ შემთხვევაში დანაშაული ხელყოფს ორ ობიექტს: პირად ქონებას და საზოგადოებრივ წესრიგს.

უკეთუ ქონების განადგურება ან დაზიანება წარმოადგენდა მხოლოდ საშუალებას სხვისი ქონების უკანონოდ დაუფლებისათვის, ქმედობა დაკვალიფიცირდება მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცების შესახებ შესაბამისი მუხლით (მაგ., ისეთი ქმედობა, რაც გამოიხატა დამნაშავის მიერ მეზობლის კუთვნილი ცხვრის დაზიანებაში და შემდეგ დაკვლასა და დამარილებაში, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ ჩაითვალა ქურდობად, და არა ქონების განადგურებად თუ დაზიანებად).

მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება მხოლოდ მაშინ გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სსკ 157-ე მუხლის საფუძველზე, თუ მან დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. სხვა შემთხვევაში საკითხი გადაწყდება სამოქალაქო წესით.

სს კოდექსის 157-ე მუხლი ითვალისწინებს განსახილველი დანაშაულის ორ სახეს: მარტივსა და კვალიფიციურს. მარტივი სახე დანაშაულისა აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილით ისჯება გამასწო-

რებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვით.

157-ე მუხლის მეორე ნაწილით დანაშაული კვალიფიციურად ითვლება, თუ იგი ჩადენილია ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, ან თუ მას მოჰყვა ადამიანის უბედური შემთხვევა, ან სხვა მძიმე შედეგი, აგრეთვე ვენახის, ციტრუსოვანთა, დაფნის, ხილ-კენკროვან და სხვა ნარგაევის დიდი ოდენობით განადგურება ან დაზიანება[1].

სხვა საყოველთაოდ საშიშ საშუალებად (ცეცხლის წაკიდების გარდა) ჩაითვლება, მაგალითად, ქონების განადგურება კედლის დანგრევით, აფეთქებით, წყლის მიშვებით და ა. შ.

ადამიანთა უბედური შემთხვევა ნიშნავს როგორც ადამიანთა (თუნდაც ერთი ადამიანის) სიკვდილს, ასევე სხეულის დაზიანებას, ხოლო სხვა მძიმე შედეგი — დაზარალებულისა და მისი ოჯახის თავშესაფრის თუ საარსებო წყაროს გარეშე დატოვებას, ზიანის მიყენებას მრავალი ადამიანისათვის და ა. შ.

ჩამოთვლილი მძიმე შედეგის დადგომისას დამნაშავის ქმედობა სს კოდექსის 157-ე მუხლის მეორე ნაწილით დაკვალიფიცირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ბრალი ასეთი შედეგისადმი გამოიხატებოდა გაუფრთხილებლობის ფორმაში. განზრახი ბრალის დადგენისას (მძიმე შედეგისადმი) ქმედობა დაკვალიფიცირდება სხვა შესაბამისი მუხლით განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ან პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავიდან.

განსახილველი დანაშაულის კვალიფიციური სახე სს კოდექსის 157-ე მუხლის მეორე ნაწილით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან რვა წლამდე.

ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობას ამ დანაშაულის შედგენილობის აღწერაში ახლავს თავისებურებანი, ასე, მაგალითად, უზბეკეთის და ყირგიზეთის სსრ სსკ ძალით დასჯადია ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება საერთოდ, იმისდა მიუხედავად, მან დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა თუ—არა. უკანასკნელი შემთხვევა განიხილება დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად (იხ. შესაბამისად 133-ე, 151-ე მუხლები). შემდეგ, ესტონეთის სსრ სს კოდექსი დასჯადად თვლის მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურებას ან დაზიანებას,

---

[1] 157-ე მუხლის მეორე ნაწილი მოცემულია საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წ. 18 თებერვლის ბრძანებულების „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ" რედაქციით (იხ. გაზ. „კომუნისტი", 1966 წ. 25/II).

ჩადენილს მხოლოდ საყოველთაოდ საშიში საშუალებით, ხოლო კვალიფიციურ სახედ — იმავე ქმედობას, თუ მან დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა (იხ. 144-ე მუხლი).

ბ. მოქალაქეთა პირადი ქონების განადგურება ან დაზიანება გაუფრთხილებლობით. სს კოდექსის 158-ე მუხლი ითვალისწინებს მოქალაქეთა პირადი ქონების განადგურებას ან დაზიანებას, ჩადენილს ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობის შედეგად, რომელმაც მოჰყვა ადამიანთა უბედური შემთხვევები ან სხვა მძიმე შედეგები.

აღსანიშნავია, რომ ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა პირადი ქონების განადგურებას ან დაზიანებას გაუფრთხილებლობით არ ითვალისწინებდა. ასეთი ქმედობის დასჯადობის შემოღება ახალი სს კანონმდებლობით აიხსნება პიროვნებისა და მისი ქონების ყოველგვარი ხელყოფისაგან დაცვაზე მზარდი ზრუნვით კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

სს კოდექსის 158-ე მუხლი გაუფრთხილებლობით მოქალაქეთა პირადი ქონების განადგურებას ან დაზიანებას სისხლის სამართლის წესით სადევნ ქმედობად მხოლოდ მაშინ, თუ იგი ჩადენილია ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობის შედეგად და ამასთან ერთად მას მოჰყვა ადამიანთა უბედური შემთხვევები ან სხვა მძიმე შედეგები. სხვა პირობებში მოქალაქეთა პირადი ქონების განადგურება ან დაზიანება გაუფრთხილებლობით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს.

განსახილველი დანაშაული ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ე ხასიათდება გაუფრთხილებელი ბრალით (იქნება დანაშაულებრივი თვითმედოვნების თუ დანაშაულებრივი დაუდევრობის სახით).

სასჯელი სს კოდექსის 158-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის, უზბეკეთის, ყირგიზეთისა და ლატვიის სსრ სს კოდექსები განსახილველ დანაშაულს არ ითვალისწინებენ, ხოლო ზოგიერთი სხვა რესპუბლიკის (სომხეთის, ტაჯიკეთის) სს კოდექსების ძალით პასუხისმგებლობა ასეთი ქმედობისათვის დადგება ქონების განადგურების ან დაზიანების ხერხის (საშუალების) მიუხედავად, უკეთუ მას მოჰყვება ადამიანთა უბედური შემთხვევები ან სხვა მძიმე შედეგები.

სს კოდექსის 159-ე მუხლი განმარტავს, რომ დანაშაული ისეთ დაწესებულებათა და გაერთიანებათა საკუთრების წინააღმდეგ, რომლებიც სოციალისტურ ორგანიზაციებს არ წარმოადგენენ, ჩადენილი იმ ქონების მიმართ, რომელიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზეა, ისჯება ამ თავის (ე. ი. დანაშაული მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ) მუხლების შესაბამისად.

ეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, ქურდობა აღნიშნულ დაწესებულება-გაერთიანებათა ქონებისა დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 150-ე მუხლით, გაძარცვა — 151-ე მუხლით და ა. შ. 159-ე მუხლზე მითითებით (რომელსაც თავისი საკუთარი სანქცია არ გააჩნია).

სოციალისტურ ორგანიზაციებს არ წარმოადგენენ ეკლესიები, მონასტრები, მეჩეთები, სინაგოგები და სხვა რელიგიური გაერთიანებანი, კაპიტალისტური სახელმწიფოების ტურისტული, სპორტული და სხვა სპის ორგანიზაციები. სსკ 159-ე მუხლს მხედველობაში აქვს აგრეთვე ნივთები, შემოზიდული საქ. სსრ ტერიტორიაზე კაპიტალისტური სახელმწიფოების შესაბამის გაერთიანებათა მიერ მოწყობილი გამოფენისათვის, საერთაშორისო ბაზრობისათვის და ა. შ.

როდესაც საკითხი დგას რელიგიურ გაერთიანებათა ქონების შესახებ, მხედველობაშია მისაღები, რომ შენობები და საგნები, გადაცემული მათთვის ხელშეკრულების საფუძველზე ან ახლად შეძენილი მათ მიერ და დანიშნული სპეციალურად ღვთისმსახურების ჭიზნებისათვის, ითვლება ნაციონალიზირებულად, ე. ი. სახელმწიფოს კუთვნილებად. ამიტომ ეკლესიიდან ან მონასტრიდან, მაგალითად, ძვირფასი ან ისტორიული მნიშვნელობის ხატის გატაცება განიხილება დანაშაულად სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ.

სოციალისტურ საკუთრებად არ ჩაითვლება მორწმუნეთა ფულადი შეწირულება, გადაცემული რელიგიური გაერთიანებების აღმასრულებელ ორგანოთა წევრების ან მორწმუნეთა ჯგუფების რწმუნებულთა მფლობელობაში.

სს კოდექსის 159-ე მუხლის ანალოგიურ ნორმას ითვალისწინებს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობაც. გამონაკლისია ამ მხრივ უზბეკეთის, ყაზახეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, სომხეთისა და ესტონეთის სსრ, რომელთა სისხლის სამართლის კოდექსები რაიმე მითითებას ზემოდასახელებულ დაწესებულება-გაერთიანებათა კუთვნილი ქონების წინააღმდეგ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის წესის შესახებ არ ითვალისწინებენ.

თავი VI

სამეურნეო დანაშაული

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული ამოცანის წარმატებით გადაჭრა მოითხოვს სსრ კავშირის ეკონომიური საფუძვლის — მეურნეობის სოციალისტური სისტემის ყოველმხრივ დაცვასა და განმტკიცებას.

საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, მთელმა საბჭოთა ხალხმა უნდა უზრუნველყონ უამრავი საწარმო და სავაჭრო, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციათა საიმედოდ დაცვა, სოციალისტური მეურნეობის სწორი ფუნქციონირება, მისი განვითარება და განუხრელი აღმავლობა.

სკკპ და საბჭოთა მთავრობა სოციალისტური მეურნეობის დარგში კანონიერების დამრღვევთა მიმართ ატარებენ ზეგავლენის ღონისძიებათა მთელ სისტემას, რომელთა შორის მთავარია კულტურულ-აღმზრდელობითი, მორალური და საზოგადოებრივი ხასიათის ღონისძიებანი. ამასთან ერთად სოციალისტური მეურნეობის წინააღმდეგ მიმართულ უფრო საშიშ ხელყოფათა აღმოსაფხვრელად ჯერ კიდევ საჭიროა სისხლის სამართლის კანონებზე დაყრდნობით მტკიცე ბრძოლის წარმოება.

სს კოდექსის მეექვსე თავი სპეციალურად ითვალისწინებს ასეთ საშიშ ქმედობათა მთელ რიგ სახეებს.

სოციალისტური მეურნეობის, ოქტომბრის რევოლუციის ამ ეკონომიური მონაპოვრის, წინააღმდეგ მიმართული ცალკეული დანაშაული გათვალისწინებულია აგრეთვე სს კოდექსის პირველ თავში (სახელმწიფო დანაშაული), მაგრამ ამ სახის დანაშაული (დივერსია, ჯაშუსობა და სხვ.) გამიზნულია საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტებისა და ძირის გამოთხრისაკენ, მაშინ როდესაც სს კოდექსის მეექვსე თავში მოცემულია ისეთი სახის დანაშაულები, რომლებიც მართალია, ზიანს აყენებენ მეურნეობის ცალკეულ დარგებს, მაგრამ ჩადენილია აღნიშნული მიზნის გარეშე.

სსკ მეექვსე თავში მოქცეული დანაშაული ხელყოფს სოციალისტურ მეურნეობას მთლიანად ან მის ცალკეულ დარგებს. ამისდა მიხედვით სს კოდექსში გათვალისწინებული ყველა სამეურნეო დანაშაული შეიძლება დაიყოს შვიდ ჯგუფად:

1. საერთო სახის სამეურნეო დანაშაული: ფალსიფიკაცია (162-ე მუხლი), პროდუქციის მიწოდების გეგმებისა და დავალებების სისტემატური შეუსრულებლობა (სსკ 163-ე მუხლი), წამატება და სხვა დამახინჯება გეგმის შესრულების ანგარიშგებაში (163'-ე მუხლი), კერძო მეწარმეობითი საქმიანობა (164-ე მუხლი), კომერციული შუამავლობა (167-ე მუხლი);

2. დანაშაული მრეწველობის დარგში: ცუდი ხარისხის, არასტანდარტული ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვება (160-ე მუხლი), სასაქონლო ნიშნით უკანონოდ სარგებლობა (166-ე მუხლი);

3. დანაშაული სოფლის მეურნეობის დარგში: ნათესების განზრახ დაზიანება (179-ე მუხლი), მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევა (180-ე მუხლი), წყლით სარგებლობის წესების დარღვევა (181-ე მუხლი), საველტერინარო წესების დარღვევა (183-ე მუხლი). მცენარეთა დაავადებასთან და მავნებლებთან ბრძოლის წესების დარღვევა (184-ე მუხლი);

4. დანაშაული საბჭოთა ვაჭრობის დარგში; ცუდი ხარისხის საქონლის გასაყიდად გამოშვება (161-ე მუხლი), სპეკულაცია (165-ე მუხლი), მყიდველის მოტყუება (169-ე მუხლი);

5. დანაშაული ფინანსების დარგში: ყალბი სამგზავრო დოკუმენტების დამზადება (170-ე მუხლი), ყალბი საფოსტო მარკებისა და სხვა საფოსტო დოკუმენტების გაკეთება, გამოყენება და გასაღება (171-ე მუხლი);

6. დანაშაული რეწვის წარმოებისა და ბუნების სიმდიდრით სარგებლობის დარგში: აკრძალული რეწვის წარმოება (172-ე მუხლი), არყის გამოხდა (173-ე მუხლი), მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა უკანონოდ (174-ე მუხლი), თევზისა და სხვა მოპოვებითი სარეწების უკანონო წარმოება (175-ე მუხლი), თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა (176-ე მუხლი), უკანონო ნადირობა (177-ე მუხლი), ტყის უკანონო გაჩეხვა ან დაზიანება (178-ე მუხლი), სახელმწიფოსათვის ოქროს ჩაბარების წესების დარღვევა (182-ე მუხლი).

7. სხვა სახის სამეურნეო დანაშაული: ბინების ან ოთახების უკანონო დათმობა (168-ე მუხლი), პურისა და პურეულის სხვა პრო-

დუქტების ყიდვა პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად (173[1]-ე მუხლი).

აღსანიშნავია, რომ თავი „სამეურნეო დანაშაული" ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსებში როდია აგებული ერთგვარად. ამ მხრივ მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. ასე, მაგალითად, ისეთი სახის სამეურნეო დანაშაული, როგორიც არის ბინებისა და ოთახების უკანონო დათმობა, წყლით სარგებლობის წესების დარღვევა, მგზავრების უკანონოდ გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა, ფალსიფიკაცია უცნობია რსფსრ და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსებისათვის. მეორე მხრივ, ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკის სს კოდექსების სამეურნეო დანაშაულთა თავში შეტანილია ისეთი შედგენილობანი, რომლებსაც საქ. სსრ სს კოდექსი არ ითვალისწინებს, სახელდობრ: დანაშაულებრივი უყაირათობა (ყაზახეთის სსრ სსკ), ცუდი ხარისხის მშენებლობა (სომხეთის, ყაზახეთის, ლიტვის, მოლდავეთის, თურქმენეთის სსრ სსკ), პირადი კუთვნილების სახლების მშენებლობისას სართულების, ოთახების რაოდენობისა და საცხოვრებელი ფართობის ნორმების დარღვევა (აზერბაიჯანის სსრ სსკ) და ა. შ.

§ 1. საერთო სახის სამეურნეო დანაშაული

ა. ფალსიფიკაცია. სს კოდექსის 162-ე მუხლში გათვალისწინებულია ანგარების მიზნით ფ ა ლ ს ი ფ ი კ ა ც ი ა გასაღებისათვის ან საზოგადოებრივი ხმარებისათვის განკუთვნილი საგნებისა, აგრეთვე ფალსიფიცირებული საგნების გასაღება[1].

ფალსიფიკაცია გამოიხატება გასაღებისათვის ან საზოგადოებრივი ხმარებისათვის განკუთვნილი საგნების სახის ან თვისებების შეცვლაში იმგვარად, რომ მათ დატოვონ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს უკეთესი ხარისხისა და ღირებულების არიან. საგნის სახის შეცვლას აღწევენ მისთვის სხვაგვარი ფერის თუ ფორმის მიცემით, ხოლო თვისების შეცვლას — საგნის დამზადების დროს უხარისხო, სხვა სახის მასალის გამოყენებით (მაგალითად, კარაქის დამზადებისას მას დაუმატებენ ქონს ან სხვა ნივთიერებას). შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როდესაც იცვლება უკვე დამზადებული საგნის თვისება, ასე, მაგალითად, რძეში წყლის დამატებით შეიცვლება მისი შემადგენლობა. საგნის თვისების ასეთი შეცვლა იწვევს მისი ხარისხის გაუარესებას, თუმცა საგნის შეხედულება უცვლელი რჩება.

---

[1] ფალსიფიკაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გასაღების საგნების გაყალბებას, მათი შემადგენლობის შეცვლას გაუარესებისაკენ.

ფალსიფიცირება შეიძლება არა მარტო პროდუქტებისა და სასმელის, რაც ადამიანის საკვებად თუ სასმელად არის დანიშნული, არამედ გასაღებისათვის ან საზოგადოებრივი ხმარებისათვის განკუთვნილი ყოველგვარი საგნებისა.

დანაშაულად ითვლება როგორც აღნიშნული საგნების ფალსიფიკაცია, ასევე ფალსიფიცირებული საგნების გასაღება (თუნდაც სხვა პირის მიერ ფალსიფიცირებული საგნებისა).

დანაშაული დამთავრებულად ითვლება საგნების ფალსიფიკაციის ან ასეთი საგნების გასაღების მომენტიდან იმისდა მიუხედავად, თუ რა შედეგი მოჰყვა ასეთ ქმედობას. უკეთუ მან მძიმე შედეგი გამოიწვია (სიკვდილი, სხეულის დაზიანება და ა. შ.), დამნაშავის პასუხისმგებლობა განისაზღვრება დანაშაულთა ერთობლიობის წესით (როგორც 162-ე მუხლით, ასევე შესაბამისი მუხლით პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულთა თავიდან).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ ფალსიფიკაცია ხასიათდება განზრახი ბრალით, ამასთან ანგარების მიზნით.

სასჯელი სს კოდექსის 162-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე-ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე, ანდა ჯარიმა ხუთას მანეთამდე, ფალსიფიცირებული საგნების კონფისკაციით.

ბ. პროდუქციის მიწოდებიხ გეგმებისა და დავალებებიხ სისტემატური შეუსრულებლობა. საერთო სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულება მოითხოვს ისეთი პირობების შექმნას, რომ ყოველი ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონი და მოკავშირე რესპუბლიკა ზუსტად, უნაკლოდ ასრულებდეს როგორც პროდუქციის დამზადების გეგმებს შინა მოხმარებისათვის, ასევე პროდუქციის მიწოდების გეგმებსა და დავალებებს სხვა რაიონებისა, რესპუბლიკებისა და საერთო საკავშირო საჭიროებისათვის.

ამ მტკიცე, განუხრელი წესის შეუსრულებლობა განსაზღვრულ პირობებში დანაშაულად ითვლება და ითვალისწინებს მას სს კოდექსის 163-ე მუხლი.

აღწერილი ქმედობა მხოლოდ მაშინ გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, თუ იგი ჩადენილია სისტემატურად.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი განსახილველი დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ სამეურნეო, სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელი ან სხვა თანამდებობის პირი, პასუხისმგებელი პროდუქციის მიწოდების გეგმებისა და დავალებების შესრულებისათვის.

დანაშაული ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ შეიძლება ხასიათდებოდეს როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი ბრალით.

სასჯელი სს კოდექსის 163-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან თანამდებობიდან დათხოვნა.

გ. წამატება და სხვა დამახინჯება გეგმის შესრულების ანგარიშგებაში. სს კოდექსის 163[1]-ე მუხლის ძალით, წამატება სახელმწიფო ანგარიშგებაში და გეგმების შესრულების შესახებ, სხვა განზრახ დამახინჯებული საანგარიშგებო მონაცემების წარდგენა, როგორც სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედება, რაც ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ იგი, ამახინჯებს რა გარკვეულ დარგში ან რაიონში სახალხო მეურნეობის მდგომარეობისა და განვითარების ნამდვილ სურათს, აფერხებს ქვეყნის საერთო გეგმიურობისა და სახალხო მეურნეობის მართებული ხელმძღვანელობის საქმეს, და ამიტომ სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედებად არის კანონის მიერ მიჩნეული.

II. დანაშაულის ობიექტია სოციალისტური მეურნეობის ინტერესები.

განსახილველი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში (მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და ა. შ.). დამახინჯებული საანგარიშგებო მონაცემების წარდგენა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში (მაგალითად, ჯანმრთელობის, განათლების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სხვა დარგებში) ამ დანაშაულის შედგენილობას ვერ მოგვცემს. შესაბამისი პირობების არსებობისას ასეთი ქმედობა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სამსახურებრივი სიყალბე (191-ე მუხლი).

დანაშაული ობიექტური მხრივ შეიძლება გამოიხატოს წამატების შეტანაში სახელმწიფო ანგარიშგებასა და გეგმების შესრულების შესახებ სხვა ცნობებში, ცალკეული მაჩვენებლების დამახინჯებაში, გეგმის შესრულების საშუალებათა შესახებ უსწორო ცნობის შეტყობინებაში და ა. შ.

უკეთუ წამატება ანგარიშგებაში და გეგმების შესრულების შესახებ მონაცემების სხვა დამახინჯებანი დაკავშირებულია სამსახურებრივი მდგომარეობის კიდევ სხვაგვარ ბოროტად გამოყენებასა ან სოციალისტური ქონების გატაცებასთან, ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, სახელდობრ, სს კოდექსის 163[1]-ე და 186-ე მუხლებით ან 163[1]-ე და სოციალისტური ქონების გატაცების შესაბამისი მუხლებით.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშგებისა და ცნობების შედგენისა და წარდგენისათვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირი (საწარმოს ხელმძღვანელი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბუღალტერი, საამქროს უფროსი, ფერმის გამგე და ა. შ.).

დანაშაული ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ე ბ რ ი ვ, როგორც თვით კანონშია აღნიშნული, ხასიათდება განზრახი ბრალით. დამნაშავისათვის ცნობილია, რომ გეგმის შესრულების მონაცემები დამახინჯებულია და, მიუხედავად ამისა, შეაქვს ისინი შესაბამის დოკუმენტებში, რომელთაც შემდეგ აგზავნის სათანადო ორგანიზაციებში. დანაშაულის მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს კარიერიზმი, სურვილი თავისი უქნარობის დამალვისა და სხვა პირადი ხასიათის მოსაზრებანი.

დ. კერძო მეწარმეობითი საქმიანობა. სს კოდექსის 164-ე მუხლი აწესებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას კერძო მეწარმეობითი საქმიანობისათვის სახელმწიფო, კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმის გამოყენებით.

ეს დანაშაულიც შეიძლება ჩადენილ იქნეს სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში, სახელდობრ, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში და ა. შ. მისი საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ნიღბავს რა კერძო მეწარმეობით საქმიანობას სახელმწიფო, კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმით, დამნაშავე ანგარებითი მიზნით სარგებლობს ამ ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი უფლებებითა და უპირატესობით; მაგალითად, იღებს ფონდირებულ პროდუქციას, სატრანსპორტო საშუალებებს, თავისუფლდება გადასახადის გადახდისაგან და ა. შ. და მით ზიანს აყენებს საზოგადოების ინტერესებს, რადგან საერთო საქმეში თავისი წვლილის შეუტანლად საზოგადოებიდან იღებს გაცილებით იმაზე მეტს, ვიდრე ეკუთვნის.

დანაშაულის ო ბ ი ე ქ ტ ი ა სოციალისტური სახალხო მეურნეობის ინტერესები.

ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული შეიძლება გამოიხატოს როგორც კერძო მეწარმეობითი საწარმოს, ორგანიზაციისა და ა. შ. შექმნაში მისთვის სახელმწიფო ან კოოპერაციული თუ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმის მიცემით (რომელსაც შეიძლება ქქონდეს თავისი ბეჭედი, ანგარიში ბანკში, რეგისტრირებული იყოს შესაბამის ორგანოში) და, მაშასადამე, გამოიყურებოდეს გარეგნულად როგორც სავსებით კანონიერი საწარმო თუ ორგანიზაცია, ასევე უკვე არსებულ ნამდვილად სოციალისტური ორგანიზაციის შე-

მადგენლობაში ცალკეული საამქროს ან სახელოსნოს მოწყობაში კერძო მეწარმეობითი საქმიანობისათვის (მაგალითად, ფაბრიკაში ფარული საამქროს მოწყობა, სადაც ამზადებენ სპეციალურად დაქირავებული მუშების მეშვეობით ალკოჰოლიანებ პროდუქციას და ასაღებენ მას სავაჭრო წერტილების გამყიდველთა მეშვეობით).

უკეთუ ამ დანაშაულს თან სდევს სპეკულაცია და სოციალისტური ქონების გატაცება (მაგალითად, პროდუქცია მზადდება სახელმწიფოს კუთვნილი გატაცებული ნედლეულიდან), ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობის წესით (სს კოდექსის 164-ე მუხლით და იმ მუხლით, რომელიც სპეკულაციას ან სოციალისტური ქონების გატაცებას ითვალისწინებს).

მართალია, კერძო მეწარმეობითი საქმიანობა მეტწილად რაიმე საქონლის გამოშვებასა და გასაღებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ არ არის გამორიცხული მისი ჩადენა სხვა სახითაც. მაგალითად. პრაქტიკაში ცნობილია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმით ისეთი გასართობის მოწყობა, როგორიც არის კარუსელი.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი განსახილველი დანაშაულისა შეიძლება იყოს როგორც თანამდებობის პირი, ასევე ყველა სხვა პირი, რომელიც ჩაბმულია კერძო მეწარმეობით საქმიანობაში, შეგნებულად მონაწილეობდა მასში კერძო მეწარმეობითი მოგების მიღების მიზნით.

დაქირავებულ რიგით მომუშავეს ასეთი ორგანიზაციისა, რომლისთვისაც უცნობი იყო მისი საქმიანობის ნამდვილი ხასიათი და არც მონაწილეობდა კერძო მეწარმეობითი გამორჩენის მიღებაში, პასუხისმგებლობა 164-ე მუხლით ვერ დაეკისრება.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით: დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ სახელმწიფო ან კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმის გამოყენებით ეწევა კერძო მეწარმეობით საქმიანობას და სურს ეს დანაშაულის მოტივი ანგარებითია, მისწრაფება — მიიღოს კერძო მეწარმეობითი მოგება.

უკეთუ თანამდებობის პირი განზრახ შეუწყობს ხელს კერძო მეწარმეობითი საქმიანობის წარმოშობას ან განვითარებას, იგი პასუხს აგებს როგორც სს კოდექსის 164-ე მუხლით, ასევე თანამდებობის ბოროტად გამოყენებით (186-ე მუხლით), ხოლო თუ ასეთი საქმიანობა შესაძლებელი გახდა თანამდებობის პირის სამსახურებრივი დაუდევრობით — 164-ე და 188-ე მუხლებით.

ასევე, უკეთუ პირი კერძო მეწარმეობით საქმიანობასთან ერ-

თად სპეკულაციასაც ეწევა, მისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება 164-ე და 165-ე მუხლებით.

სასჯელი სს კოდექსის 164-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე ქონების კონფისკაციით ან გადასახლება ვადით ხუთ წლამდე ქონების კონფისკაციით.

ე. კომერციული შუამავლობა. პასუხისმგებლობა კომერციული შუამავლობისათვის გათვალისწინებულია სს კოდექსის 167-ე მუხლში.

კომერციული შუამავლობა ნიშნავს კერძო პირის მიერ მოქალაქეთათვის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სამრეწველო საქონლის, პროდუქტების ან სხვა საგნების შეძენას, აგრეთვე მოქალაქეთა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კუთვნილი საქონლის, პროდუქტების ან სხვა საგნების რეალიზაციის მოვალეობის აღებას, რომელიც ჩადენილია ხელობის სახით ან რომელსაც მნიშვნელოვანი გამდიდრება მოჰყვა[1].

ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება ის არის, რომ კერძო პირი იყენებს რა კომერციულ შუამავლობას არაშრომითი შემოსავლის მისაღებად, გაურბის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევა მუქთახორულ, პარაზიტულ ცხოვრებას.

კომერციული შუამავლობის ფორმები მრავალგვარია. იგი შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, ამა თუ იმ თანამდებობის პირის „ნაცნობობის" გამოყენებით დეფიციტური ან ფონდირებული საქონლის შეძენაში მოქალაქისა ან რომელიმე ორგანიზაციისათვის, მოქალაქეთა შორის ბინების გაცვლის, მათთვის აგარაკების შეძენა-გაყიდვის შუამავლობაში და ა. შ., აგრეთვე მოქალაქეთა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კუთვნილი საქონლის, პროდუქტების ან სხვა საგნების რეალიზაციაში (ადგილობრივ თუ სხვა რაიონებში გაზიდვით). კომერციული შუამავლობა შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქალაქეთა შორის, ასევე დაწესებულებათ-ორგანიზაციათა და მოქალაქეებს შორის და მხოლოდ დაწესებულებათ-ორგანიზაციათა შორის.

პირის კომერციული შუამავლობისათვის პასუხისგებაში მისაცემად აუცილებელია შემდეგი ერთ-ერთი პირობის აუცილებლად არსებობა: ა) კომერციულ შუამავლობას პირი უნდა ეწეოდეს ხელობის სახით, ე. ი. შემოსავალი ასეთი საქმიანობიდან უნდა წარმოად-

[1] 167-ე მუხლის შინაარსი გადმოცემულია საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წ. 18 თებერვლის გრძანებულების „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ" რედაქციით (იხ. გაზ. „კომუნისტი", 1966 წ. 25/II).

გენდეს ერთადერთს ან მთავარსა და რეგულარულს ან ბ) მას მნიშვნელოვანი გამდიდრება უნდა მოჰყვეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მართალია, დამნაშავე მხილებულია კომერციული შუამავლობის თუნდაც ერთხელ ჩადენაში, მაგრამ მით მან მნიშვნელოვანი მატერიალური გამორჩენა მოიპოვა (მაგალითად, დამნაშავემ საცხოვრებელი სახლისათვის დეფიციტური საამშენებლო მასალის შეძენაში შუამავლობისათვის მიიღო რამდენიმე ასეული მანეთი).

უსასყიდლო შუამავლობა სხვადასხვა სახის გარიგებაში სისხლის სამართლის წესით დასჯადი არ არის.

უკეთუ შუამავლობა გაწეულია ისეთი საგნების შეძენაში, რომლის გასაღება და ყიდვა აკრძალულია კანონით (მაგალითად, იარაღის, ფეთქებადი ნივთიერებისა და სხვ.), დამნაშავის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს როგორც სს კოდექსის 167-ე მუხლის, ასევე 238-ე (ან სხვა შესაბამისი) მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის.

კომერციული შუამავლობა განსხვავდება კერძო მეწარმეობითი საქმიანობისაგან (სსკ 164-ე მუხლი) მით, რომ იგი ხორციელდება სახელმწიფო, კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმის გამოყენების გარეშე, რაც სავალდებულოა კერძო მეწარმეობითი საქმიანობისათვის. გარდა ამისა, უკანასკნელი, როგორც წესი, დაკავშირებულია მატერიალურ ფასეულობათა წარმოებასთან, ხოლო პირველი — მარტოოდენ სამსახურის გაწევასთან (შუამავლობასთან).

ს უ ბ ი ე ქ ტ ი კომერციული შუამავლობისა, როგორც თვით კანონშია (სსკ 167-ე მუხლი) ნათქვამი, შეიძლება იყოს მხოლოდ კერძო პირი. თუ კომერციულ შუამავლობას ეწევა თანამდებობის პირი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და ამისათვის იღებს გასამრჯელოს, მან პასუხი უნდა აგოს თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და ქრთამის აღებისათვის.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ. დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს ამოქმედებს მატერიალური გამორჩენის მიღების მოტივი.

სასჯელი სს კოდექსის 167-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე ქონების კონფისკაციით.

§ 2. დანაშაული ეკონომიკის დარგში

ა. ცუდი ხარისხის, არასტანდარტული ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვება. სსრ კავშირში სამრეწველო საწარმოების განუხრელი მოვალეობაა ზუსტად შეასრულონ პროდუქციის დამზა-

ლებისა და გამოშვების სახელმწიფო გეგმები როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვით.

მართალია, საწარმოები, როგორც წესი, ჯეროვნად ასრულებენ უგეგმებს და სახელმწიფოსა და მოსახლეობას აწვდიან სხვადასხვა სახის მაღალხარისხოვან პროდუქციას სათანადო რაოდენობით, მაგრამ ჯერ კიდევ მოიპოვებიან ცალკეული საწარმოები, რომლებიც ზოგიერთ ხელმძღვანელთა მხრივ თავიანთი მოვალეობის უგულებელყოფის შედეგად, პასუხისმგებლობის გრძნობის დაქვეითებისა თუ საწარმოს ინტერესების ყალბად გაგების გამო, უშვებენ უვარგის, ცუდი ხარისხის პროდუქციას.

ასეთი ქმედობა დიდ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას (ჩანაგდება ცუდი ხარისხის პროდუქციის დამზადებისათვის გამოყენებული მასალა, ფერხდება სახალხო მეურნეობის იმ დარგების მუშაობა, სადაც უნდა გაგზავნილიყო პროდუქცია, ფუჭად იხარჯება საწარმოს მუშების შრომა და ა. შ.) და მოქალაქეთა ინტერესებს, უკეთუ საკაპრო ქსელის მეშვეობით ცუდი ხარისხის პროდუქციამ მიაღწია ბოლომომხმარებლამდე.

ამიტომ არის, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ბედამ მტკიცე, მკაცრ ღონისძიებებს იღებდნენ და იღებენ ამჟამად ისეთი ქმედობის აღმოსაფხვრელად, როგორიც არის ხალხის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემაფერხებელი — ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვება.

ამ ღონისძიებათა შორის გარკვეულ დამბმარე როლს ასრულებს სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

სს კოდექსის 160-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ცუდი ხარისხის, არასტანდარტული ან არაკომპლექტური პროდუქციის არაერთგზისი ან დიდი რაოდენობით გამოშვებისათვის სამრეწველო საწარმოდან.

„სამრეწველო საწარმო“ ნიშნავს როგორც სახელმწიფო, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციის კუთვნილ ყოველ საწარმოს, რომელიც უშვებს ახალ პროდუქციას, დამზადებულს ნედლეულისაგან თუ ნახევარფაბრიკატებისაგან, იმისდა მიუხედავად, მძიმე, მსუბუქი თუ თაუდაცვის მნიშვნელობის მრეწველობისაა იგი, აგრეთვე მომპოვებელი მრეწველობის საწარმოს (მაგ., მაღარო) და სარემონტო-სამრეწველო საწარმოს (მაგალითად, ავტო ან ვაგონსარემონტო ქარხანა). სს კოდექსის 160-ე მუხლის მიხედვით ასეთ საწარმოდ არ ჩაითვლება სასოფლო-სამეურნეო საწარმო (საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა), სავაჭროები (საწყობი, მაღაზია, ბაზა), საზოგადოებრივი კვების საწარმოები, საამშენებლო-სამონტაჟო საწარმო, აგ-

რეთვე ინდივიდუალური შეკვეთით მომუშავე ატელიე და სარემონტო სახელოსნო (საათების, ფეხსაცმლისა და სხვ. შემკეთებელი).

„პროდუქცია“ ნიშნავს სამრეწველო საწარმოს მიერ ნედლეულის თუ ნახევარფაბრიკატებისაგან დამზადებულ ყოველგვარ მზა მატერიალურ საგანს, აგრეთვე ბუნების წიალიდან მოპოვებულ მთამადნეულს (ნახშირი, ნავთი და ა. შ.), გამიზნულს გამოსაყენებლად მათი დანიშნულებისამებრ.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება სამრეწველო საწარმოდან ცუდი ხარისხის, არასტანდარტული ან არაკომპლექტური პროდუქციის არაერთგზისი ან დიდი ოდენობით გამოშვებაში.

ცუდი ხარისხის არის პროდუქცია მაშინ, როდესაც იგი ვერ პასუხობს თავის დანიშნულებას იმ ნაკლის გამო, რაც შედეგი იყო მისი დამზადების დროს უვარგისი ნედლეულის გამოყენებისა (მაგალითად, დამპალი ტყავისაგან დამზადებული ფეხსაცმელი) ანდა თვით დამზადების ცუდი პროცესისა (მაგალითად, პალტოსათვის სხვადასხვა სიგრძის სახელურების მიკერება), ე. ი. ისეთი პროდუქცია, რომლის გამოყენებაც საერთოდ შეუძლებელია და უნდა განადგურდეს ან გადაეცეს სხვა დანიშნულებისამებრ, აგრეთვე ისეთი, რომლის გამოყენებაც თავისი პირდაპირი დანიშნულებისამებრ შესაძლებელია მხოლოდ მის გადასაკეთებლად დამატებით მნიშვნელოვანი შრომის გაწევის შედეგად.

ცუდი ხარისხის პროდუქცია არ ნიშნავს არასათანადო ხარისხის პროდუქციას. მაგალითად, უკეთუ ფაბრიკამ გამოუშვა ფეხსაცმელი პირველი ხარისხის სახით, მაგრამ სინამდვილეში იგი აღმოჩნდა მეორე ან მესამე ხარისხისა და შესაძლებელია მისი გაყიდვა ამ სახით, პროდუქცია ვერ ჩაითვლება ცუდი ხარისხის მქონედ[1].

არასტანდარტულია პროდუქცია მაშინ, როდესაც შეუძლებელია ან გართულებულია მისი გამოყენება სამეურნეო დანიშნულებისამებრ როგორც შეუსაბამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტანდარტების კომიტეტის მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ სტანდარტთან (სტანდარტი ითვალისწინებს პროდუქციის დასამზადებელ მასალას, მზა ნაწარმის ზომას, ფიზიკურსა და ქიმიურ თვისებებს და სხვა სავალდებულო პირობებს); უკეთუ ამა თუ იმ პროდუქციაზე არ არსებობს აღნიშნული წესით დამტკიცებული სტანდარტი, მაშინ პროდუქცია უნდა პასუხობდეს იმ ტექნიკურ პი-

---

[1] ასეთი ქმედობისათვის დამნაშავე თანამდებობის პირმა შეიძლება პასუხი აგოს შესაბამისი მუხლით თანამდებობრივ დანაშაულთა თავიდან (სს კოდექსის 196-ე ან 188-ე მუხლი) ან დისციპლინური წესით.

რობებს, რომლებიც მოცემულია სათანადო მინისტრის მიერ დამტკიცებულ საუწყებო აქტში, ანდა კიდევ, ხელშეკრულების დამდებ მხარეთა მიერ დადგენილ ნიმუშს.

არაკომპლექტურია პროდუქცია გამოშვებული ერთი ან რამდენიმე ისეთი ნაწილის გარეშე, ურომლისოდაც შეუძლებელია მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება ან რომელსაც არ ახლავს დადგენილი და პასპორტში დასახელებული კომპლექტი სათადარიგო ნაწილებისა, ავრეთვე ინსტრუქცია ან ტექნიკური აღწერილობა, რაც შეაფერხებს ნაწარმის ნორმალურ ტექნიკურ ექსპლოატაციას, ხოლო დაზიანების შემთხვევაში — მის შეკეთებას.

როგორც კანონშია (სსკ 160-ე მუხლი) აღნიშნული, დანაშაულის შედგენილობისათვის საჭიროა, რომ ცუდი ხარისხის, არასტანდარტული ან არაკომპლექტური პროდუქცია გამოშვებული იყოს სამრეწველო საწარმოდან. ისმება საკითხი: როდის ჩაითვლება ასეთი პროდუქცია საწარმოდან გამოშვებულად?

პროდუქციის გამოშვებად გაგებულ უნდა იქნეს როგორც პროდუქციის შემკვეთ-მომხმარებლისათვის ჩაბარება, ასევე ისეთი შემთხვევაც, როდესაც პროდუქციამ განელო ტექნიკური კონტროლის განყოფილება და საბოლოოდ გაფორმდა გადასაცემად. საბოლოოდ გაფორმება გადასაცემად კი იმას ნიშნავს, რომ უკვე სათანადოდ გაფორმებულია დოკუმენტები (ზედებული, ფაქტურა, მოწმობა ხარისხის შესახებ), რომელთა მიხედვით პროდუქცია შემკვეთს უნდა ჩაბარდეს.

ისეთი შემთხვევა, როგორიც არის ცუდი ხარისხის პროდუქციის გადაცემა საწარმოს ერთი საამქროდან მეორეში შემდგომ გადასამუშაებლად, სსკ 160-ე მუხლში გათვალისწინებულ დანაშაულს ვერ მოგვცემს.

160-ე მუხლის საფუძველზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს ცუდი ხარისხის, დადგენილ სტანდარტებთან ან ტექნიკურ პირობებთან შეუსაბამო ან არაკომპლექტური პროდუქციის მხოლოდ არაერთგზისი ან დიდი რაოდენობით გამოშვება.

არაერთგზისი გამოშვება ნიშნავს ცუდი ხარისხის, არასტანდარტული ან არაკომპლექტური პროდუქციის სამრეწველო საწარმოებიდან ორჯერ ან მეტჯერ გამოშვებას (თუ გამოსაშვებად შესაბამისი დოკუმენტების იურიდიულად გაფორმებას), ხოლო დიდი რაოდენობის საკითხს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გადაწყვეტს საგამომძიებლო ორგანო და შემდეგ საბოლოოდ სასამართლო, რომელიც გათვალისწინებს როგორც პროდუქციის რაოდენობრივ მაჩვენე-

ბელს, ასევე მის დასამზადებლად გამოყენებულ ძვირფას ნედლეულს და სხვ.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს სს კოდექსის 160-ე მუხლით ზუსტად განსაზღვრული პირი, სახელდობრ. მარტოოდენ საწარმოს დირექტორი, მთავარი ინჟინერი ან ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი, აგრეთვე სხვა მუშაკები, რომლებიც აღნიშნულ თანამდებობის პირთა მოვალეობას ასრულებენ (მაგალითად, მთავარი ინჟინრის მოადგილე, უკეთუ იგი ასრულებდა მთავარი ინჟინრის მოვალეობას უკანასკნელის შეებულებაში ყოფნის გამო, ანდა კიდევ ზოგიერთ წვრილ საწარმოში ტექნიკური კონტროლიორი (ან წუნმდებელი), რომელიც ასრულებს ფაქტიურად ტექნიკური კონტროლის განყოფილების გამგის ფუნქციებს და ა. შ.).

ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში დამნაშავე სხვა სახის თანამდებობის პირები შეიძლება პასუხისგებაში მიეცენ მხოლოდ თანამდებობრივი დანაშაულისათვის.

წუნდებული პროდუქციის დამზადებაში ბრალეული მუშები მიეცემიან პასუხისგებაში მხოლოდ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ ან გაუფრთხილებლობით განადგურებისა და დაზიანებისათვის (სსკ მე-100 ან 101-ე მუხლი), უკეთუ მათი ქმედება შეიცავს ასეთი დანაშაულის ნიშნებს.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ სს კოდექსის 160-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით.

უკეთუ აღწერილი დანაშაული ჩადენილია სოციალისტური ქონების გატაცების მიზნით (მაგალითად, პროდუქციის ხარისხის გაუარესების ხარჯზე მასალის ეკონომია და ზედმეტობის მიღწევა, რათა შემდგომ იგი გატაცებულ იქნეს) ან კიდევ და უკვე განხორციელებული გატაცების დასაფარავად, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობის წესით (როგორც ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვება და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება ან მზადება გატაცებისა).

იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული ჩადენილია სახალხო მეურნეობის ძირის გამოსათხრელად, საბჭოთა ხელისუფლების შესუსტების მიზნით, დამნაშავე პასუხს აგებს მავნებლობისათვის (სს კოდექსის 70-ე მუხლით).

სასჯელი სს კოდექსის 160-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან თანამდებობიდან დათხოვნა.

ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის ნორმებს ახლავს ერთგვარი თავისებურება.

ასე, მაგალითად, უზბეკეთის, ყაზახეთისა და სომხეთის სსრ სს კოდექსების მიხედვით (იხ. შესაბამისად 172-ე, 152-ე, 151-ე მუხლები) განსახილველი დანაშაული დასჯადია სისხლის სამართლის წესით ყველა შემთხვევაში და არა ცუდი ხარისხის პროდუქციის მხოლოდ „არაერთგზის ან დიდი ოდენობით" გამოშვებისას (როგორც ეს დადგენილია საქ. სსრ, რსფსრ და სხვა დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით). შემდეგ, ლატვიის სსრ სს კოდექსის 147-ე მუხლის ძალით დასჯადია მხოლოდ აღნიშნული სახის პროდუქციის განზრახ გამოშვება და ისიც მარტოოდენ საწარმოს დირექტორის, მთავარი ინჟინრის და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის მიერ, ე. ი. მიუთითებლად იმ მუშაკებზეც, რომლებიც აღნიშნულ თანამდებობის პირთა მოვალეობას ასრულებენ. დაბოლოს, ყირგიზეთის სსრ სს კოდექსის 152-ე მუხლი დანაშაულის შედგენილობისათვის არ თვლის სავალდებულოდ ცუდი ხარისხის პროდუქციის არაერთგზისი ან დიდი რაოდენობით გამოშვებას, არამედ საერთოდ ლაპარაკობს ასეთი პროდუქციის გამოშვებაზე და ისიც მხოლოდ განზრახ.

ბ. სასაქონლო ნიშნით უკანონოდ სარგებლობა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წ. 15 მაისის დადგენილების („სასაქონლო ნიშნების შესახებ") თანახმად ყოველი საწარმო ვალდებულია მის მიერ გამოშვებულ ნაწარმს დაუსვას სასაქონლო ნიშანი.

სასაქონლო ნიშანი არის მოცემული საწარმოს განმასხვავებელი, ორიგინალურად გაფორმებული ნიშანი, რომელშიც მოცემულია რაიმე გრაფიკული გამოხატულება, სახელწოდება, ასოების ან სიტყვების თავისებური შეხამება, შეწყობა და ა. შ.

ყოველი სახის ნაწარმზე, პროდუქციაზე სასაქონლო ნიშნის დასმის წესი მიზნად ისახავს სამრეწველო საწარმოს პასუხისმგებლობის გაზრდას მის მიერ გამოშვებული საქონლის ხარისხისათვის, ამასთან ერთად შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს აირჩიოს იმ საწარმოს პროდუქცია, რომელმაც ამ მხრივ კარგი სახელი მოიხვეჭა.

სხვისი სასაქონლო ნიშნით უკანონოდ სარგებლობა დანაშაულია და ითვალისწინებს მას სს კოდექსის 166-ე მუხლი.

ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავე, იყენებს რა კარგი საქონლის გამომშვები საწარმოს სასაქონლო ნიშანს, ცდილობს დაბალი ხარისხის პროდუქცია გაასაღოს მაღალი ხარისხის საქონლის ფასად, შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი და მიაყენოს მას გარკვეული მატერიალური ზიანი.

განსახილველი დანაშაულის ობიექტია სოციალისტური მრეწველობისა და მომხმარებლის ინტერესები.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება სხვა საწარმოს კუთვნილი სასაქონლო ნიშნის უკანონოდ სარგებლობაში.

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს საწარმოს თუ სავაჭრო ორგანიზაციის ისეთი თანამდებობის პირი, რომლის მითითებითაც უკანონოდ იქნა გამოყენებული სხვისი სასაქონლო ნიშანი, ასევე კერძო პირიც (მაგალითად, შინამრეწველი, ხელოსანი).

განსახილველი დანაშაული სუბიექტური მხრივ ხასიათდება განზრახი ბრალით. დამნაშავეს აქვს ეს ეს შეგნება, რომ უკანონოდ სარგებლობს სხვა საწარმოს კუთვნილი სასაქონლო ნიშნით და სურვილი — ასე მოიქცეს.

სასჯელი სს კოდექსის 166-ე მუხლით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ექვს თვემდე ან ჯარიმა სამას მანეთამდე.

აღსანიშნავია, რომ ამ დანაშაულის შედგენილობა უცნობია საერთოდ უკრაინის, უზბეკეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, ლატვიის, ყირგიზეთის, სომხეთისა და ესტონეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის.

§ 3. დანაშაული სოფლის მეურნეობის დარგში

ა. ნათესების განზრახ დაზიანება. ნათესების განზრახ დაზიანება, გათვალისწინებული სს კოდექსის 179-ე მუხლში, ხელყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოების დარგში სოფლის მეურნეობის სწორ ფუნქციონირებას, ზიანს აყენებს სოციალისტურ საკუთრებას. საგანი ხელყოფისა არის კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ან სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი მეურნეობის კუთვნილი ნათესები, ხეხილისა და კენკროვანი ნარგავები (ე. ი. ისეთი პროდუქცია, რომელიც ჯერ კიდევ მოყვანის, მოწევის პროცესშია), აგრეთვე სხვა ნარგავები (მაგალითად, სამკურნალო, არომატული და სხვა მცენარეები). მოქალაქეთა პირადი ნათესების დაზიანება, სათანადო პირობების არსებობისას, პასუხისმგებლობას გამოიწვევს სს კოდექსის 157-ე მუხლის საფუძველზე.

აღნიშნული ნათესები და ნარგავები შეიძლება დაზიანებულ იქნეს სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით, სახელდობრ, ნათესში საქონლის მიშვებით, ფრინველის გადარეკვით, ტრანსპორტის (ავტომანქანის და სხვ.) გავლით, გაკაფვით და ა. შ.

პირი სს კოდექსის 179-ე მუხლის საფუძველზე პასუხისგებაში ჰიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიყენებული ზიანი მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვან ზიანად უნდა ჩაითვალოს ნათესის ან ნარგა-

ვის დიდი ფართობის დაზიანება, ან თუნდაც მცირე ფართობისა, მაგრამ ძვირფასი კულტურისა, ანდა ისეთისა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საცდელ ნაკეთზე სამუშაოს ჩასატარებლად და ა. შ.

საკითხი იმის შესახებ, მიყენებული ზიანი მნიშვნელოვანია თუ — არა, პირველ რიგში გადაწყდება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს მიერ გამოყოფილი სპეციალური კომისიის მიერ (მშრომელთა დეპუტატების სასოფლო ან სადაბო, საქალაქო საბჭოს წარმომადგენლის, აგრონომის, კოლმეურნეობის ან სხვა დაზარალებული ორგანიზაციის წარმომადგენლის შემადგენლობით და ზიანის მიყენებელი პირის თანდასწრებით), ხოლო საბოლოოდ — საქმის განმხილავი სასამართლოს მიერ.

უკეთუ მიყენებული ~~ზიანი მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა~~, დამნაშავე პირის პასუხისმგებლობა გადაწყდება სამოქალაქო ან ადმინისტრაციული წესით[1].

ს უ ბ ი ე ქ ტ ი სს კოდექსის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისა შეიძლება იყოს საქონლისა და ფრინველის მესაკუთრე ან პირი, რომელსაც ევალებოდა მათზე ზედამხედველობა (მაგალითად, მწყემსი), რომელმაც გაატარა ნათესსა და ნარგავებზე ავტომანქანა, ტრაქტორი, ურემი და სხვ. და საერთოდ პირი, რომელმაც ამა თუ იმ ხერხით დააზიანა ნათესი და ნარგავი, მიღწეული 16 წლის ასაკს. უკეთუ ნათესის ან ნარგავის დაზიანებაში ბრალეულია თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა მათი დაცვა, მან პასუხი უნდა აგოს თანამდებობრივი დანაშაულისათვის შესაბამისი მუხლის საფუძველზე.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ; უკეთუ ნათესი ან ნარგავი დაზიანებულია პირის გაუფრთხილებელი მოქმედებით, იგი სათანადო პირობების არსებობისას შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს სს კოდექსის 101-ე მუხლით.

სასჯელი 179-ე მუხლის საფუძველზე — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმა ას მანეთამდე.

აღსანიშნავია, რომ განსახილველი დანაშაულის შედგენილობას საერთოდ არ ითვალისწინებს მარტოოდენ უზბეკეთის სსრ სს კოდექსი, ხოლო ესტონეთის სსრ კოდექსი განასხვავებს ერთიმეორისგან დამნაშავის სუბიექტურ დამოკიდებულებას მოქმედებისად-

---

[1] შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წ. 14 ივნისის „ბრძანებულებისა „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნათესების წინააღმდეგ ბრძოლისათვის პასუხისმგებლობის შესახებ".

მი და მისი შედეგისადმი. ამ კოდექსის 156-ე მუხლის ძალით ნათესების, აგრეთვე სხვადასხვაგვარი ნარგავების განზრახ დაზიანება სახელმწიფოსათვის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის განზრახ ან გაუფრთხილებლობით დიდი მატერიალური ზიანის მიყენების შემთხვევაში ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს თვემდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე.

ბ. მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევა. ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებშივე მიღებულ იქნა დეკრეტი (1917 წ. 26 ოქტომბერს) მიწის შესახებ, რომელმაც გააუქმა მიწაზე კერძო საკუთრება.

სსრ კავშირის კონსტიტუციაში აღბეჭდილია, რომ მიწა, მისი წიაღი, წყლები, ტყეები მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას, ესე იგი საყოველთაო სახალხო კუთვნილებას შეადგენს (მე-6 მუხლი). სახელმწიფო, გადასცემს რა მიწას კოლმეურნეობებს უფასო და უვადო სარგებლობაში, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს მიწით სხვა მოსარგებლეებს, ახორციელებს გეგმურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს მიწის სწორად გამოყენებაზე თავის დანიშნულებისამებრ.

მიწის ნაციონალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, დაუშვებელია ყოველი სახის გარიგება მიწაზე, მისი ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, გაჩუქება და ა. შ.

მიწის ნაციონალიზაციის შესახებ კანონის დარღვევა, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი ჩადენილი, იდევნება სისხლის სამართლის წესით.

სს კოდექსის 180-ე მუხლი ითვალისწინებს მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევას.

ობიექტური მხრივ ეს დანაშაული გამოიხატება მიწის ნაციონალიზაციის შესახებ კანონების პირდაპირ ან ფარულ დარღვევაში, სახელდობრ, მიწის ყიდვა-გაყიდვაში, დაგირავებაში, ჩუქებაში, იჯარაში, მიწის ნაკვეთის თვითნებურ მიტაცებაში ან გაცვლაში და სხვ.

მიწის ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ერთი პირის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მეორე პირისათვის გადაცემას სასყიდლით, იჯარა კი მიწის ნაკვეთის გადაცემას დროებითი სარგებლობისათვის გარკვეული საზღაურის მიღებით. ჩუქებისა და დაგირავების ცნებები ნათელია და დამატებით განმარტებას არ მოითხოვენ.

მიწის ნაკვეთის თვითნებური მიტაცება მდგომარეობს სხვა პირის კანონიერ სარგებლობაში გადაცემული (ან თუნდაც ჯერ კიდევ ირავისთვის გადაცემული) მიწის ნაკვეთის დაკავებაში დადგენილი

წესის დარღვევით. თუ რა მიზნით იქნა მიტაცებული მიწის ნაკვეთი (დასამუშავებლად, საბოსტნედ თუ მასზე რაიმე შენობის ასაგებად), ამას დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მიწის ნაკვეთის თვითნებური მიტაცების კერძო შემთხვევას წარმოადგენს პირის კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის წამატება სხვა პირის სარგებლობის მიწის ფართობისა.

მიწის ფართობის თვითნებური გაცვლა ნიშნავს სათანადო ნებართვის გარეშე ერთი მიწის ნაკვეთის გადაცვლას მეორე ნაკვეთზე ან სხვა სახის ქონებაზე.

აღსანიშნავია, რომ სს კოდექსის 180-ე მუხლში მოქმედებათა ჩამოთვლა, რაც არღვევს მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ამომწურავი არ არის. კოდექსის ამ მუხლით დაკვალიფიცირდება ყველა სხვა დანარჩენი მოქმედებაც, რაც ამა თუ იმ სახით, პირდაპირ თუ ფარულად დაარღვევს კანონს მიწის ნაციონალიზაციის შესახებ.

უკეთუ პირი, თვითნებურად მიიტაცებს რა მიწის ნაკვეთს, დაბეშავების შემდეგ კიდევაც აიღებს მოსავალს, მისი ქმედობა დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 180-ე მუხლით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი თვითნებურად აიღებს მოსავალს, კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის მიერ მოყვანილს, ქმედობა ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებად.

განსახილველი დანაშაული დამთავრებულია იმ მომენტიდან, როდესაც დადებულ იქნა მხარეთა შორის უკანონო გარიგება და ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს მიწის ნაკვეთი ფაქტიურად გადავიდა მიწის ერთი მოსარგებლიდან მეორეზე თუ—არა.

სს კოდექსის 180-ე მუხლით პასუხისგებაში მიეცემა უკანონო გარიგების ორივე მხარე. უკეთუ დამნაშავე თანამდებობის პირია (კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და ა. შ.) და მან უკანონოდ გაასხვისა მიწის ფართობი, იგი პასუხს აგებს შესაბამისი მუხლით თანამდებობრივი დანაშაულის შესახებ თავიდან.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება განზრახი ბრალით.

სასჯელი სს კოდექსის 180-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმა ხუთას მანეთამდე, მიწის ნაკვეთის, მასში მოლებული ფულადი ან სხვა ქონებრივი საზღაურის ჩამორთმევით და ამ ნაკვეთზე აგებულ ნაგებობათა კონფისკაციით ან აღებით[1].

---

[1] 180-ე მუხლის სანქცია მოცემულია საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წ. 18 თებერვლის ბრძანებულების „საქართველოს სსრ სისხლის სა-

საქ. სსრ სს კოდექსის 180-ე მუხლის ანალოგიური ნორმები გათვალისწინებულია სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებშიც. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს სომხეთის სსრ სს კოდექსი, რომლისთვისაც უცნობია ამ სახის დანაშაული. რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიისა და ტაჯიკეთის სსრ კოდექსებში მსგავსი დანაშაული გათვალისწინებულია თავში „დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ" (იხ. შესაბამისად 199-ე მუხლის I ნაწ., 199-ე მუხლის I ნაწ., 195-ე მუხლის I ნაწ., 214-ე მუხლის I ნაწ.).

ბ. წყლით სარგებლობის წესების დარღვევა. სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს გარკვეულ ადგილებში მიწის ფართობის ხელოვნურად მორწყვას, რისთვისაც წარმოებს სარწყავი არხების გაყვანა, საირიგაციო-მელიორაციულ ნაგებობათა ფართო ქსელის მშენებლობა. ამ დარგში იმ დიდ ღონისძიებათა შედეგად, რაც უკვე განხორციელებულია, მილიონობით ჰექტარი მიწა აყვავებულ ბაღებად და ყანებად გადაიქცა. სარწყავი წყლით სარგებლობისათვის სათანადო ორგანოების მიერ დადგენილია წესები, რომელთა დარღვევაც ვარკვეულ შემთხვევებში იდევნება სისხლის სამართლის წესით.

სს კოდექსის 181-ე მუხლის ძალით წყლის თვითნებური მიტაცება ან ჰიდრო-ტექნიკურ სამუშაოთა თვითნებური წარმოება საერთო სარგებლობის ქსელზე სარწყავი მიწათმოქმედების რაიონში, თუ ამ მოქმედებებმა მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, — ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე.

აღნიშნული ქმედობის შედეგად უმნიშვნელო ზიანის გამოწვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა განისაზღვრება ადმინისტრაციული ან სამოქალაქო-სამართლებრივი წესით.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული განზრახი ბრალით ხასიათდება. საქ. სსრ სს კოდექსის 181-ე მუხლის ანალოგიურ ნორმებს (ცალკეულ თავისებურებათა გათვალისწინებით) შეიცავს ზოგიერთი ისეთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსები, სადაც, გეოგრაფიული პირობების თავისებურებათა გამო, ფართოდ არის გამოყენებული მიწების ხელოვნურად მორწყვის წესი, სახელდობრ: უზბეკეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის სსრ სს კოდექსები (იხ. შესაბამისად 186-ე, 158-ე, 163-ე, 174-ე, 182-ე, 170-ე, 189-ე მუხლები).

ბართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ" შესაბამ-ად (იხ. გაზ. „კომუნისტი", 1966 წ. 25/II).

დ. საველტერინარო წესების დარღვევა. მეცხოველეობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია საქონლის საიმედო დაცვა სხვადასხვაგვარი დაავადებისაგან, რის წინააღმდეგაც ბრძოლა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმეა.

სსრ კავშირში მოქმედებს საველტერინარო წესები, რომელთა მიზანია საქონლის დაავადების წინასწარ აცილება და დროულად აღმოფხვრა.

ამავე მიზნის მიღწევაში მნიშვნელოვან დამხმარე როლს ასრულებს სისხლის სამართლის კანონმდებლობა. სს კოდექსის 183-ე მუხლი ითვალისწინებს საველტერინარო წესების დარღვევას, რასაც მოჰყვა ეპიზოოტიის გავრცელება ან სხვა მძიმე შედეგი.

ამ მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია და ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა მივმართოთ ვეტერინარულ წესებს. დავადგინოთ, თუ ამ წესების რა მოთხოვნაა დარღვეული. ვეტერინარული წესები, რომელთა დარღვევის დროსაც შეიძლება სს კოდექსის 183-ე მუხლის გამოყენება, გათვალისწინებულია სსრ კავშირის საველტერინარო წესდებაში (დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წ. 3 ნოემბრის დადგენილებით), პირუტყვის გადამდებ დაავადებასთან ბრძოლის შესახებ 1935 წ. 20 თებერვლის საერთაშორისო კონვენციაში (რატიფიცირებულია სსრ კავშირის ცაკის 1937 წ. 16 მაისის დადგენილებით), ვეტერინარიის დარგში თანამშრომლობის შესახებ სსრ კავშირისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის დადებულ შეთანხმებაში (რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 25 ივნისს), აგრეთვე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის შესაბამის ბრძანებებსა და ინსტრუქციებში.

ეპიზოოტია არის რაიმე გადამდები სენით პირუტყვის ფრინველის დიდი რაოდენობით ერთდროული დაავადება, ხოლო სხვა მძიმე შედეგი — პირუტყვის ან ფრინველის მასიურად გაწყდომა, ადამიანთა დაავადება პირუტყვის სენის შეყრით და ა. შ.

ცხადია, ასეთი შედეგი მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დამნაშავე პირის ქმედობასთან, ე. ი. საველტერინარო წესების დარღვევასთან.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მაშინ, როდესაც საველტერინარო წესების დარღვევას მოჰყვება ეპიზოოტიის გავრცელება ან სხვა მძიმე შედეგი.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი. კერძოდ, როგორც ცალკეული მოქალაქე, ასევე მეცხოველეობის მეურნეობის (კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და

ა. შ.) მომუშავე, სავეტერინარო-სანიტარული ზედამხედველობის თანამდებობის პირი, რომელთა მოვალეობასაც შეადგენს პირუტყვის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სავეტერინარო წესების ზუსტად დაცვის უზრუნველყოფა.

კერძო მოქალაქე განსახილველი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მაშინ, თუ, მაგალითად, მის კუთვნილ პირუტყვს იგი შეუშვებს კოლმეურნეობის ჯოგში, იცის რა, რომ პირუტყვი დაავადებულია გადამდები სენით, და ამის შედეგად ჯოგში გავრცელდება სენი.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით (შედეგის მიმართ მხოლოდ გაუფრთხილებელი).

დამნაშავის ქმედობაში განზრახვის დადგენისას მძიმე შედეგის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების შესუსტების ან ძირის გამოთხრის მიზნით, მისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება სს. კოდექსის 69-ე მუხლით (დივერსია).

სასჯელი სს კოდექსის 183-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ამავე ვადით.

საქ. სსრ სს კოდექსის 183-ე მუხლის ანალოგიური ნორმები გათვალისწინებულია სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სს კოდექსებშიც. გამონაკლისს შეადგენს აზერბაიჯანის სსრ სს კოდექსი, რომელიც საერთოდ არ იცნობს ასეთ შედგენილობას. უაზახეთის სსრ სს კოდექსის ძალით სავეტერინარო წესების დარღვევა ისჯება ეპიზოოტიის არა მარტო გავრცელებისას, არამედ მაშინაც, თუ ასეთი შედეგი, დამნაშავის წინასწარი შეცნობით, შეიძლებოდა დამდგარიყო (იხ. 160-ე მუხლი). ესტონეთის სსრ სს კოდექსში დანაშაულის ეს შედგენილობა გაერთიანებულია ეპიდემიასთან ბრძოლის შესახებ წესების დარღვევასთან და გათვალისწინებულია თავში „დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ" (იხ. 211-ე მუხლი); ამასთან კოდექსში ხაზგასმულია ამ დანაშაულის როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით ჩადენა. ლატვიის სსრ სს კოდექსის 156-ე მუხლის ძალით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს სავეტერინარო წესების მხოლოდ განზრახ დარღვევა.

ე. მცენარეთა დაავადებასთან და მავნებლებთან ბრძოლის წესების დარღვევა. სათანადო სახელმწიფო ორგანოების (სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემადგენლობაში მყოფი მცენარეთა დაცვისა და კარანტინის სახელმწიფო ინსპექცია, მცენარეთა დაცვის განყოფილება და ა. შ.) მიერ დადგენილია წესები აგროტექნიკურ, ქი-

ბიერ, ბიოლოგიურ ღონისძიებათა ჩატარების შესახებ მცენარეთა დაავადების თავიდან აცილებისა და აღკვეთის, მავნებლების მოსპობის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით არის აგრეთვე 1929 წ. 16 აპრილს მიღებული საერთაშორისო კონვენცია მცენარეთა დაცვის შესახებ (რასაც სსრ კავშირი შეუერთდა 1935 წ. 26 სექტემბერს) და მცენარეთა დაცვისა და კარანტინის დარგში თანამშრომლობის შესახებ სსრ კავშირის მიერ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან დადებული შეთანხმება, რატიფიცირებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 25 ივნისს.

მცენარეთა დაავადებასთან და მავნებლებთან ბრძოლის წესების დაცვის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად სისხლის სამართლის კანონმდებლობაც.

სს კოდექსის 184-ე მუხლი ითვალისწინებს მცენარეთა დაავადებასთან და მავნებლებთან ბრძოლის დადგენილი წესების დარღვევას, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა.

კოდექსის ამ მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა მივმართოთ ზემოდასახელებულ წესებს. ამ წესების დარღვევა სს კოდექსის 184-ე მუხლის მიხედვით მხოლოდ მაშინ გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა. ასეთ მძიმე შედეგად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, მოსავლის დაღუპვა დიდი რაოდენობით, სათესლე ფონდის დაავადება, დიდ ფართობზე ხეხილის აჩრის აუცილებლობა და ა. შ.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს როგორც ცალკეული მოქალაქე, ასევე შესაბამისი ორგანიზაციისა და მეურნეობის თანამდებობის პირი, რომელსაც ევალება მცენარეთა დაავადებასთან და მავნებლებთან ბრძოლის დადგენილი წესების დაცვა.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით (მაგრამ შედეგის მიმართ მხოლოდ გაუფრთხილებლობით). უკეთუ ქმედობა მიმართული იყო სოფლის მეურნეობის თუ საერთოდ სახელმწიფო ორგანოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძირის გამოთხრისაკენ საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზნით, დამნაშავეს შეეფარდება სსკ 70-ე მუხლი.

სასჯელი სს კოდექსის 184-ე მუხლით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან თანამდებობიდან დათხოვნა.

სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა შორის მხოლოდ აზერბაიჯანის და ესტონეთის სსრ სს კოდექსებისათვისაა უცნობი ამ სახის დანაშაული. ლატვიის სსრ სს კოდექსის 157-ე მუხლის მიხედვით განხი-

ლული ქმედობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს მაშინ, თუ იგი განზრახ არის ჩადენილი.

§ 4. დანაშაული ვაჭრობის დარგში

ა. ცუდი ხარისხის საქონლის გასაყიდად გამოშვება. სს კოდექსის 161-ე მუხლი ითვალისწინებს ცუდი ხარისხის, არასტანდარტული ან არაკომპლექტური საქონლის არაერთგზისი ან დიდი ოდენობით შეგნებულად გამოშვებას სავაჭრო საწარმოში გასაყიდად მაღაზიის, ბაზის, საწყობის ან სექციის გამგის მიერ, აგრეთვე საქონელმცოდნის ან წუნმდებლის მიერ.

ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ცუდი ხარისხის საქონლის სავაჭრო საწარმოში გასაყიდად გამოშვებით მომხმარებელი შეიძენს ისეთ საქონელს, რომელიც უვარგისია თავისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და ამას კი მოჰყვება ზიანი (მეტწილად მატერიალური) მომხმარებლისათვის; გარდა ამისა, სახელი უტყდება მშრომელთა თვალში საბჭოთა ვაჭრობას, რომლის დანიშნულებაცაა მომხმარებელს მიაწოდოს მხოლოდ კარგი ხარისხის, სტანდარტთან შეხამებული საქონელი კომპლექტური სახით.

ამრიგად, განსახილველი დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს დადგენილი წესი საქონლის გასაყიდად გამოშვებისა და მასთან ერთად მომხმარებლის ინტერესები.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება ცუდი ხარისხის, არასტანდარტული ან არაკომპლექტური საქონლის გასაყიდად გამოშვებაში სავაჭრო საწარმოში.

გასაყიდად გაშვება ნიშნავს სავაჭრო საწარმოს შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ განკარგულების გაცემას, რომ გაყიდულ იქნეს უვარგისი საქონელი მომხმარებელზე, ამასთან მნიშვნელობა არა აქვს საქონელი ასეთი სახით იქნა შესაბამის საწარმოდან (მეურნეობიდან) მიღებული მაღაზიაში, საწყობში და ა. შ., თუ უვარგისი შეიქნა მიღების შემდეგ (შენახვის წესების დარღვევის თუ სხვა მიზეზის გამო) და აგრეთვე იმას — ფაქტიურად გაყიდულ იქნა საქონელი თუ—არა.

ცუდი ხარისხის, არასტანდარტული ან არაკომპლექტურია საქონელი, რომელიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისი პირვანდელი მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად[1].

---

[1] უფრო ვრცლად ეს საკითხი გაშუქებულია წინამდებარე ნაშრომის 270-ე და 271-ე გვერდებზე.

დანაშაულის შედგენილობა მხოლოდ მაშინ არის, თუ აღნიშნული სახის საქონელი გამოშვებული იყო გასაყიდად არაერთგზის ან დიდი ოდენობით. არაერთგზისი გამოშვება ნიშნავს სათანადო თანამდებობის პირის შიერ ორჯერ და შეტჯერ განკარგულების გაცემას (ნებართვას) ცუდი ხარისხის საქონლის მომზმარებელზე გაყიდეის შესახებ, ხოლო დიდი ოდენობით — მნიშვნელოვანი რაოდენობის (თუნდაც ერთჯერად) საქონლის გასაყიდად გაშვებაზე განკარგულების გაცემას. დიდი ოდენობით იყო საქონელი გაშვებული თუ— არა, ფაქტის საკითხია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მას გადაწყვეტს გამოკელევის ორგანო, ხოლო საბოლოოდ — სასამართლო.

ცუდი ხარისხის საქონლის გასაყიდად ერთჯერადი, ამასთან არადიდი ოდენობით გაშვებისათვის პასუხისმგებლობა შეიძლება განისაზღვროს დისციპლინური წესით.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა, როგორც ეს აღნიშნულია სს კოდექსის 161-ე მუხლში, შეიძლება იყოს მხოლოდ მაღაზიის, ბაზის, საწყობის ან სექციის გამგე, საქონელმცოდნე ან წუნმდებელი, ე. ი. ისეთი თანამდებობის პირი, რომელიც პასუხისმგებელია საქონლის ხარისხის დადგენისათვის.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული განხრახია. დამნაშაეემ იცის ან შეგნებულად უშვებს, რომ საქონელი ცუდი ხარისხისაა, არასტანდარტული ან არაკომპლექტურია და, მიუხედავად ამისა, გაუშვებს მას გასაყიდად. დანაშაულის მოტივი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს (მაგ., სურვილი სავაჭრო გეგმის შესრულებისა და ა. შ.), ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

სასჯელი სს კოდექსის 161-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმა ორას მანეთამდე, ან თანამდებობიდან დათხოვნა.

სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სს კანონმდებლობაც ითვალისწინებს ანალოგიურ ნორმას. გამონაკლისია აზერბაიჯანისა და ლატვიის სსრ სს კოდექსები. მათთვის უცნობია ასეთი დანაშაული. უკრაინის და უზბეკეთის სსრ სს კოდექსების მიხედვით დასჯადია ცუდი ხარისხის საქონლის არა გასაყიდად გაშვება, არამედ გაყიდვა სავაჭრო საწარმოში (იხ. შესაბამისად 156-ე, 167-ე მუხლები).

ბ. სპეკულაცია. სპეკულაცია, გათვალისწინებული სს კოდექსის 165-ე მუხლში, არის საქონლის ან სხვა საგნების შესყიდვა და გადაყიდვა გამორჩენის მიზნით, აგრეთვე სასაქონლო დოკუმენტების იმავე მიზნით გადაყიდვა.

სპეკულაცია ხელყოფს სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთი-

ერთობას ვაჭრობის დარგში. მისი საზოგადოებრივი საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ სპეკულანტები, შეისყიდიან რა საჭირო საწარმოში დიდი ოდენობით დეფიციტურ საქონელს, არღვევენ მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდების დადგენილ წესს და მით აფერხებენ საჭირო ორგანიზაციების გეგმურ საქმიანობას; მეორე მხრივ, მოქალაქეებისათვის საქონლის გაზრდილ ფასებში მიყიდვით უშრომლად მდიდრდებიან მოქალაქეთა ხარჯზე, აყენებენ რა მათ მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს.

საბჭოთა სახელმწიფო და მთელი საზოგადოებრიობა გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებენ სპეკულაციის წინააღმდეგ. წარმატებითი ბრძოლა სპეკულაციასთან ერთდროულად უზრუნველყოფს ცალკეული პარაზიტული ელემენტების მუქთახორული საქმიანობის აღმოფხვრას, საბჭოთა ვაჭრობის საქმიანობის ნორმალურად წარმართვას, სამომხმარებლო საგნების სწორად განაწილებას მოსახლეობას შორის.

სპეკულაციის ობიექტია საბჭოთა ვაჭრობის ნორმალური მუშაობა და მომხმარებლის ინტერესები.

სპეკულაციის საგანია საქონელი ან სხვა საგნები, აგრეთვე სასაქონლო დოკუმენტები. საქონელი ნიშნავს ისეთ საგნებს, რომელთა დამზადებაზეც გაწეულია ადამიანის შრომა, გამიზნულია მოქალაქეთა რაიმე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და წარმოებს მათი გაყიდვა, მაგალითად, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ავეჯი, შაქარი, კარაქი, წიგნი და სხვა სამრეწველო და სასურსათო საქონელი. საქონელი ნიშნავს აგრეთვე არა მარტო ცალკეული მოქალაქის პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამიზნულ შრომის პროდუქტს, არამედ ისეთსაც, როგორიც არის, მაგალითად, საამშენებლო მასალა ან არამასობრივი მოხმარებისათვის დანიშნული ანტიკვარული ნივთები, ხელოვნების უნიკალური ნაწარმოები და ა. შ. სპეკულაციის საგანი შეიძლება იყოს სამოქალაქო ბრუნვიდან ამორიცხული საქონელიც (მაგ., იარაღი) და ისეთი, რომლის გასაღებაც თავისთავად დანაშაულს წარმოადგენს (მაგ., შხამიანი ან ნარკოტიკული ნივთიერება, პორნოგრაფიული საგნები). ასეთი საგნებით სპეკულაციისას პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს დანაშაულთა ერთობლიობით — სპეკულაციით და შესაბამისი დანაშაულით; ასე, მაგალითად, იარაღის შესყიდვა და გადაყიდვა დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 165-ე და 238-ე მუხლებით, შხამიანი ან ნარკოტიკული ნივთიერებისა — 165-ე და 252-ე მუხლებით და ა. შ. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნა საკალუტო ფასეულობით ან ფასიანი ქაღალ-

დებით სპეკულაციას, ქმედობა დაკვალიფიცირდება მარტოოდენ 89-ე მუხლით.

სხვა საგნები და სასაქონლო დოკუმენტები, რაზეც მითითებულია კანონში (სსკ 165-ე მუხლი), წარმოადგენენ მატერიალური სამყაროს ისეთ საგნებს, რომელთა დამზადებაზე არ არის გაწეული ადამიანის შრომა (მაგ., ველური მცენარეები, წურბელა) ან კიდევ ისეთს, რომელთაც უშუალოდ არ ძალუძთ ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ ანიჭებენ გარკვეულ უფლებას, მაგალითად, უფლებას მიიღოს საქონელი, უფლებას დაესწროს თეატრში სპექტაკლს, სტადიონზე ფეხბურთის თამაშს და ა. შ. ასეთია: მაღაზიიდან გაცემული ქვითარი, ტალონი, რაც უფლებას იძლევა მიიღო საქონელი, რკინიგზის ან თვითმფრინავის სამგზავრო ბილეთი, თეატრის, კინოს, სტადიონის და სხვ. ბილეთი.

სპეკულაცია ობიექტური მხრივ გამოიხატება საქონლის ან სხვა საგნების, აგრეთვე სასაქონლო დოკუმენტების შესყიდვასა და გადაყიდვაში გამორჩენის მიზნით.

შესყიდვა ნიშნავს საქონლის ან სხვა საგნებისა და სასაქონლო დოკუმენტების როგორც მრავალგზის, ასევე ერთგზის ყიდვას მათი შემდეგში გადაყიდვის მიზნით. შესყიდვის ცნებას უთანაბრდება ერთი სახის საქონლის მეორეზე გადაცვლა მისი გადაყიდვის მიზნით. დანაშაულის შედგენილობისათვის არა აქვს მნიშვნელობა საქონელი ან სხვა საგნები შესყიდული იქნება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში თუ კერძო პირებისაგან. შესყიდვად არ ჩაითვლება (და, მაშასადამე, არც სპეკულაცია გვექნება) საქონლის სხვა წესითა და საშუალებით შეძენა, მაგალითად, ჩუქებით, გატაცებით, დამზადებით და სხვ. უკეთუ დამნაშავე აწარმოებს წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შესყიდვას სპეკულაციის მიზნით, მან პასუხი უნდა აგოს დანაშაულთა ერთობლიობის წესით—სსკ 165-ე მუხლით (სპეკულაცია) და 229-ე მუხლით (დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი სისტემატურად აწარმოებდა გატაცებული საქონლის შესყიდვას ერთი და იმავე პირებისაგან ან წინასწარ დაპირდა მათ, რომ შეიძენდა საქონელს, რომელსაც გაიტაცებდნენ, ქმედობა დაკვალიფიცირდება როგორც სპეკულაცია და გატაცებაში თანამონაწილეობა.

სპეკულაციად ჩაითვლება ისეთი საქონლის შესყიდვაც შემდეგში გასაყიდად, რომელიც უმნიშვნელოდ გადაამუშავა ან შეაკეთა დამნაშავემ (მაგალითად, სხვა ფერი მისცა კაბებს ან პერანგებს, შეაკეთა საბეჭდი მანქანა, ავტომანქანა და ა. შ.).

სპეკულაციად არ ჩაითვლება მხოლოდ შესყიდული ნედლეულიდან ხარისხობრივად სულ სხვაგვარი ნაკეთობის დამზადება (მაგ., მატლის ყიდვა და მისგან პალტოს შეკერვა) და შემდეგ მისი გაყიდვა; ასეთი ქმედობა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სს კოდექსის სხვა შესაბამისი მუხლით მხოლოდ მაშინ, თუ იგი სპეციალურად ითვალისწინებს მის დასჯადობას (იხ. 172-ე მუხლი).

გადაყიდვა ნიშნავს ამ მიზნით შესყიდული საქონლის მრავალგზის ან ერთგზის გაყიდვას გაზრდილ ფასებში. უკეთუ საქონელი სხვა მიზნით იყო შეძენილი (თავისი ან ოჯახის წევრების მოსახმარად, გასაჩუქებლად და სხვ.) და შემდეგ შემთხვევით გაყიდული თუნდაც იმ ფასზე მეტად, რაც მან შესყიდვისას გადაიხადა, აგრეთვე კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მიერ თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთიდან მოწეული პროდუქტების გაყიდვა სავაჭრო წესების დარღვევის გარეშე, სპეკულაციად არ ჩაითვლება.

სპეკულაცია დამთავრებული დანაშაულია მაშინ, როდესაც ადგილი ჰქონდა საქონლის თუ სხვა საგნების როგორც შესყიდვას, ასევე გაყიდვას. იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია საქონლის შესყიდვა, მაგრამ მისი გადაყიდვა დამნაშავისაგან დამოუკიდებელ ამა თუ იმ მიზეზით არ მომხდარა, ქმედობა განხილული იქნება როგორც სპეკულაციის მცდელობა და დაკვალიფიცირდება სს კოდექსის მე-17 და 165-ე მუხლებით, უკეთუ დადასტურდება, რომ საქონელი შესყიდულია შემდეგში გადასაყიდად მოგების მიზნით.

სპეკულაციის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს როგორც კერძო, ასევე თანამდებობის პირი.

თანამდებობის პირი სპეკულაციის სუბიექტია მაშინ, როდესაც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით შეისყიდის საქონელს და შემდეგ თვითონვე გაყიდის გამორჩენის მიზნით. ასეთ შემთხვევაში მან პასუხი უნდა აგოს დანაშაულთა ერთობლიობის წესით — სს კოდექსის 165-ე მუხლით (სპეკულაცია) და 186-ე მუხლით (სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება). უკეთუ თანამდებობის პირი, ბოროტად სარგებლობს რა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით, მიჰყიდის საქონელს წინასწარი შეცნობით სპეკულანტებს გადასაყიდად გამორჩენის მიზნით ან გაუწევს მათ სხვა სახის დახმარებას (მაგალითად, გასცემს სპეკულაციის ჩადენის გასაადვილებლად დოკუმენტებს და სხვ.), იგი პასუხს აგებს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის (186-ე მუხლი), ასევე სპეკულაციაში თანამონაწილეობისათვის (მე-19, 165-ე მუხლები).

სუბიექტური მხრივ სპეკულაცია ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს აქვს შეგნება იმისა, რომ ყიდულობს საქონელს ან სხვა საგნებს თუ სასაქონლო დოკუმენტებს შემდეგში გასაყიდად და სურს ეს იმ მიზნით, რომ მიიღოს გამორჩენა, ისარგებლოს არაშრომითი შემოსავლით.

ამრიგად, სპეკულაციისათვის აუცილებელია სპეციალური მიზნის—გამორჩენის მიღების არსებობა. ეს მიზანი უნდა წარმოიშვას საქონლის შესყიდვის მომენტში ან მანამდე. უკეთუ ასეთი მიზანი არ არის დადგენილი, არც სპეკულაციის შედგენილობა იქნება (ამიტომ არის, რომ პირადი სარგებლობის მიზნით შეძენილი საქონლის გაყიდვის ერთეული შემთხვევები, თუნდაც მისი ნამდვილი საფასურის ზედმეტ ფასში, სპეკულაციად არ ჩაითვლება).

განსაზღვრული დანაშაულის შედგენილობისათვის არსებითია აღნიშნული მიზნის (გამორჩენის მიღების) დადგენა და არა ფაქტი გამორჩენის მიღებისა. ამიტომ სპეკულაცია არის მაშინაც, როდესაც გამორჩენის მიზნით შესყიდული საქონლის გადაყიდვის შედეგად დამნაშავემ გამორჩენა ვერ მიიღო, რადგან ამა თუ იმ მიზეზით იძულებული გახდა გაეყიდა ის იმავე ფასში, რაც შესყიდვისას გადაიხადა, ან თუნდაც უფრო დაბალ ფასში.

სასჯელი მარტივი სახის სპეკულაციისათვის სს კოდექსის 165-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმა ას მანეთამდე.

165-ე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებულია სპეკულაციის კვალიფიციური სახე. დამამძიმებელ გარემოებად ითვლება სპეკულაციის ჩადენა ხელობის სახით ან დიდი ოდენობით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ.

სპეკულაცია ხელობის სახით არის ჩადენილი მაშინ, როდესაც ამ სახის დანაშაულებრივი საქმიანობა შეადგენს დამნაშავისათვის ძირითადს, მთავარს ან თუნდაც დამატებითს, მაგრამ მუდმივი შემოსავლის მომტანს.

სპეკულაცია დიდი ოდენობით ნიშნავს მნიშვნელოვანი რაოდენობის ან დიდი ფასის მქონე საქონლის თუ სხვა საგნების (მაგალითად, ავტომანქანების, სახლების და ა. შ.) შესყიდვას და გადაყიდვას, აგრეთვე ისეთი სპეკულაციური ოპერაციების განხორციელებას, რომლითაც დამნაშავემ ძალზე დიდი გამორჩენა მიიღო.

ცნება განსაკუთრებით საშიში რეციდივისტისა უკვე იყო განმარტებული. ასეთი პირის მიერ სპეკულაციის ჩადენა ყველა შემთხვევაში დამამძიმებელ გარემოებადაა მიჩნეული.

სასჯელი 165-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან შვიდ წლამდე ქონების კონფისკაციით. 165-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას წვრილმანი სპეკულაციისათვის.

წვრილმანია სპეკულაცია მაშინ, როდესაც დამნაშავე აწარმოებს უმნიშვნელო ოდენობის, ამასთან არც თუ ისე დეფიციტური საქონლის ან სასაქონლო დოკუმენტების შესყიდვასა და გადაყიდვას გამორჩენის მიზნით (მაგ., ერთი-ორი წყვილი წინდის, ფეხსაცმლის ან პერანგის, კინოს თუ თეატრის რამდენიმე ბილეთის და ა. შ.).

წვრილმან სპეკულაციად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი დაკავებულ იქნა თუმცა ერთი წყვილი წინდის გადაყიდვის დროს, მაგრამ ბინის გაჩხრეკისას მას აღმოაჩნდა გადასაყიდად მომზადებული ასეთივე ან სხვა სახის საქონელი დიდი რაოდენობით. პასუხისმგებლობა ამგვარი ქმედობისათვის უნდა განისაზღვროს კონკრეტული საქმის გარემოებათა მიხედვით სს კოდექსის 165-ე მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას წვრილმანი სპეკულაცია მხოლოდ მაშინ იწვევს, თუ იგი ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც დამნაშავის მიმართ ასეთივე მოქმედებისათვის გამოყენებული იყო საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება.

მაშასადამე, პირველად ჩადენილი წვრილმანი სპეკულაციისათვის პირი პასუხისგებაში 165-ე მუხლის მესამე ნაწილით ვერ მიეცემა (საქმეს ასეთი სახის ქმედობის შესახებ განიხილავს ამხანაგური სასამართლო შესაბამისად საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წ. 28 იანვრის ბრძანებულებისა).

ისმება კითხვა: როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს წვრილმანი სპეკულაცია, თუ იგი ჩადენილია არა ასეთივე მოქმედებისათვის საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შემდეგ, არამედ მარტივი სახის სპეკულაციისათვის (165-ე მუხლის I ნაწ.) მსჯავრდების შემდეგ. ცხადია, ასეთი პირის მიერ ჩადენილი წვრილმანი სპეკულაცია 165-ე მუხლის მესამე ნაწილით უნდა დაკვალიფიცირდეს, რადგან ფაქტი მის მიერ წინათ ჩადენილი სპეკულაციისა მეტი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია, ვიდრე კანონში (165-ე მუხლის III ნაწ.) მითითებული ნიშანი (ადრე კვლავ წვრილმანი სპეკულაციისათვის საზოგადოებრივი ზემოქმედების გამოყენების ფაქტი). წვრილმანი სპეკულაციისათვის პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს იმისდა მიუხედავად, წინათ მის მიმართ

გამოყენებული იყო საზოგადოებრივი, ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლებრივი ზემოქმედება[1].

უკეთუ დამნაშავე წვრილმან სპეკულაციას აწარმოებდა ხელობის სახით და საბოლოო ჯამში ასეთი საქმიანობიდან დიდ შემოსავალს იღებდა, მან პასუხი უნდა აგოს 165-ე მუხლის მეორე ნაწილით.

სასჯელი წვრილმანი სპეკულაციისათვის სს კოდექსის 165-ე მუხლის მესამე ნაწილით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმა ას მანეთამდე.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების ნორმებს სპეკულაციის შესახებ მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს. ასე, მაგალითად, რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ლიტვის, მოლდავეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის სსრ სს კოდექსების შესაბამისი ნორმები სპეკულაციის დამამძიმებელ მესამე გარემოებას (სპეკულაცია ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ) არ ითვალისწინებენ და კმაყოფილდებიან ორი ზემოთ განხილული გარემოებით (იხ. შესაბამისად 154-ე, 154-ე, 151-ე, 175-ე, 164-ე, 161-ე, 156-ე, 167-ე, 156-ე მუხლები).

აზერბაიჯანის სსრ სს კოდექსის 153-ე მუხლის II ნაწ. სპეკულაციის დამამძიმებელ მესამე გარემოებად (ნაცვლად ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ) ასახელებს „სპეკულაციის ჩადენას იმ პირის მიერ, რომელიც წინათ მსჯავრდებულია სპეკულაციისათვის“.

ყაზახეთის სსრ სს კოდექსისათვის საერთოდ უცნობია სპეკულაცია ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში (იხ. 168-ე მუხლი).

სომხეთის სსრ სს კოდექსი ითვალისწინებს სპეკულაციის სპეციალურ სახეს, სახელდობრ, „პირადი საკუთრების სახლების ან სახლის ნაწილის შესყიდვას და გადაყიდვას გამორჩენის მიზნით“ (იხ. 156-ე მუხლის III ნაწ.). ასევეა ყაზახეთის სს კოდექსში (169-ე მუხლი).

ბ. მყიდველის მოტყუება. საბჭოთა ვაჭრობის მომუშავეთა მოვალეობაა მოამარაგონ ყოველი მყიდველი ისეთი საქონლით, რომელიც რაოდენობრივად, ხარისხობრივად და ფასით შეესაბამება საათანადო ორგანოს (სახელმწიფო ან კოოპერაციული) მიერ დადგენილს.

[1] პრაქტიკაში გაუგებრობის ასაცილებლად უმჯობესია რსფსრ და ზოგიერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სს კოდექსების კონსტრუქცია წვრილმანი სპეკულაციის შესახებ, რომლის მიხედვით დასჯადია წვრილმანი სპეკულაცია იმ პირის მიერ, რომელსაც ადრე ჰქონდა ჩადენილი სპეკულაცია (მაშასადამე, არ არის მითითება ასეთი პირის მიმართ წინათ გამოყენებული იყო საზოგადოებრივი ზემოქმედების თუ სხვა სახის ღონისძიება).

სავაჭრო დარგის მომუშავე, რომელიც ატყუებს მომხმარებელს, მყიდველს, ხელყოფს, ერთი მხრივ, საბჭოთა ვაჭრობის წესს საქონლის გაშვებისა და ანგარიშსწორების დარგში, ხოლო, მეორე მხრივ, მატერიალურ ზიანს აყენებს მყიდველებს.

საბჭოთა ვაჭრობის წესის ასეთი უხეში დარღვევა დანაშაულად არის მიჩნეული და იდევნება სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

სს კოდექსის 169-ე მუხლში გათვალისწინებულია მაღაზიაში და სხვა სავაჭრო საწარმოში ან საზოგადოებრივი კვების საწარმოში მყიდველთა მოტყუება ზომაში, წონაში, დადგენილ საცალო ფასზე მეტის გადახდევინება, აგრეთვე მათი მოტყუება ანგარიშში ან სხვაგვარად.

დანაშაულის შედგენილობისათვის აუცილებელია, რომ მყიდველის მოტყუებას ადგილი ჰქონდეს მხოლოდ საცალო ვაჭრობის საწარმოებში, სახელდობრ, მაღაზიაში და სხვა სავაჭრო საწარმოში ან საზოგადოებრივი კვების საწარმოში (მაგ., ფარდულში, რესტორანში, სასადილოში, ბუფეტში და ა. შ.), მყიდველის მოტყუება ისეთ საწარმოში, რომელიც სავაჭროს არ წარმოადგენს (მაგალითად, კინოს, თეატრის, რკინიგზის და ა. შ. სალაროები); კონკრეტული საქმის გარემოებათა მიხედვით უნდა დაკვალიფიცირდეს სს კოდექსის 153-ე მუხლით (თაღლითობა) ან 186-ე მუხლით (სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება)[1].

სს კოდექსის 169-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გულისხმობს მხოლოდ ცალკეული მოქალაქეების მოტყუებას, ამიტომ, უკეთუ იგი მიმართულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ (მაგ., საავადმყოფოს, საბავშვო ბაგის, სასადილოს და სხვ. მოტყუება მათთვის პროდუქტების გაცემისას), საქმე გვექნება სოციალისტური ქონების დატაცებასთან თაღლითობის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ან სხვა გზით და ქმედობა დაკვალიფიცირდება შესაბამისი მუხლით კოდექსის იმ თავიდან, რომელშიც გათვალისწინებულია „დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ“.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული შეიძლება

---

[1] უკეთუ მოტყუებას ადგილი ჰქონდა კოლმეურნეების ან მუშებისათვის პროდუქტების ან ფართო მოხმარების საგნების გაცემისას უშუალოდ საწყობიდან, ბაზიდან, საკუჭნაოდან და ა. შ. დამნაშავემ (საწყობის თუ ბაზის გამგემ, მეკუჭნაოემ) აგრეთვე პასუხი უნდა აგოს 169-ე მუხლით (მყიდველის მოტყუება) შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წ. 17 ივნისის დადგენილებისა ბ. ბრალდების საქმეზე (იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1960, № 5, გვ. 11).

გამოიხატოს მყიდველის მოტყუებაში — ზომაში, წონაში, დადგენილ საცალო ფასზე მეტის გადახდევინებაში, ანგარიშში ან სხვაგვარად.

მოტყუება ზომაში არის მყიდველისათვის საქონლის მიცემა იმ ზომაზე ნაკლებ, რაც უნდა მიეღო. ასეთია, მაგალითად, გამყიდველის მოქმედება, როდესაც იგი სამი მეტრი მატერიის ნაცვლად მოქალაქეს მისცემს მას ნაკლები ზომით, ხოლო მოტყუება წონაში — მყიდველისათვის საქონლის მიცემა დაკლებული წონით, რისთვისაც დამნაშავე გამოიყენებს ხოლმე ბრუნდ სასწორს ან მიმართავს ისეთ ხერხს, როგორიც არის შემსუბუქებული წონის საწონი (გირა), სასწორის თვალზე რაიმე საგნის დადება, საქონლის აწონისას სასწორის თვალისათვის ხელის დაკვრა და ა. შ.

საცალო ფასზე მეტის გადახდევინება ნიშნავს მყიდველისათვის საქონლის მიცემას იმაზე მეტ ფასში, რაც დადგენილია ზემდგომი ორგანოს მიერ ამ სახის საქონლისათვის (და აღნიშნულია პრეისკურანტში), ანგარიშში მოტყუება კი — მყიდველისათვის იმ თანხაზე მეტის გადახდევინებას, რაც შეადგენს საქონლის ნამდვილ ღირებულებას, საცალო საქონლის გაყიდვისას რიცხვით ნაკლები რაოდენობის საქონლის გაცემას, ანგარიშში ჯამის მომატებას, გასაცემი ხურდა ფულის დაკლებას და ა. შ.

სხვაგვარად მოტყუება შეიძლება გამოიხატოს დაბალი ხარისხის საქონლის მაღალი ხარისხის ფასად გაყიდვაში და სხვ. მსგავს მოქმედებაში. დანაშაულის შედგენილობისათვის საკმარისია ერთ-ერთი აღნიშნული მოქმედების შესრულება.

უკეთუ მყიდველთა მოტყუება დამნაშავის მიერ ჩადენილია სოციალისტური საკუთრების გატაცების გამო შექმნილი დანაკლისის დასაფარავად, მან პასუხი უნდა აგოს დანაშაულთა ერთობლიობით — სოციალისტური ქონების გატაცებისა და მყიდველის მოტყუებისათვის, ხოლო თუ დამნაშავემ მყიდველთა მოტყუებით დააგროვა სავაჭრო საწარმოში გარკვეული რაოდენობის საქონელი იმ მიზნით, რომ შემდეგში იგი მიეთვისებია, მისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება მარტოოდენ სს კოდექსის 169-ე მუხლით (რამდენადაც ასეთ შეშფოთებაში ზიანი მიყენებულია არა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, არამედ ცალკეული მოქალაქეებისათვის).

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ საცალო ვაჭრობის საწარმოს მომუშავე, სახელდობრ, მაღაზიის გამგე, განყოფილების ან სექციის გამგე, გამყიდველი, სასადილოს გამგე, მებუფეტე, ოფიციანტი, მზარეული და ა. შ., ე. ი. სავაჭრო საწარმოს ან საზოგადოებრივი კვების საწარმოს ყოველი ისეთი მომუშავე;

რომელიც უშუალოდ უწევს მყიდველებს მომსახურებას. აღნიშნული საწარმოს ადმინისტრაციულ-სამეურნეო შემადგენლობის სხვა პირები შეიძლება იყვნენ ამ დანაშაულის სუბიექტი მაშინ, თუ მყიდველთა მოტყუებას ადგილი აქვს მათი უშუალო მითითებისა და განკარგულების საფუძველზე.

კერძო პირი მყიდველის უშუალოდ მოტყუებისათვის, მაგალითად, კოლმეურნე თავისი საკუთარი პროდუქციის ბაზარზე გაყიდვისას, პასუხს აგებს სს კოდექსის 153-ე მუხლით (თაღლითობა) და არა 169-ე მუხლით.

არასავაჭრო დარგის მომუშავე, რომელიც მომსახურებას უწევდა მყიდველებს სავაჭრო ან საზოგადოებრივი კვების საწარმოს ადმინისტრაციის თანხმობით ან ასეთი საწარმოს მომუშავის თხოვნით (მაგალითად, სავაჭრო ფარდულის გამგემ ვაჭრობის წარმოება მიანდო თავის ნათესავს ან მეგობარს), მომხმარებელთა მოტყუებისას შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში თაღლითობისათვის, რასაც 153-ე მუხლი ითვალისწინებს.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავე, როგორც წესი, მიზნად ისახავს მატერიალური გამორჩენის მიღებას, თუმცა არ არის გამორიცხული დანაშაულის ჩადენა ამ მიზნის გარეშეც (მაგალითად, დამნაშავე, სურს რა დაფაროს მაღაზიის დანაკლისი, შექმნილი მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ატყუებს მყიდველებს).

მყიდველთა მოტყუება გაუფრთხილებლობით (რასაც შეიძლება ადგილი ექნეს იმის გამო, რომ გამყიდველმა არ შეამოწმა სასწორი, რომელიც ბრუნდი აღმოჩნდა, ან უყურადღებობა გამოიჩინა პრეისკურანტში აღნიშნულ ფასებში ჯეროვნად გარკვევისას და ა. შ.) 169-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს ვერ შეადგენს. ასეთი შემთხვევა სხვა შესაბამისი პირობების არსებობისას შეიძლება დაკვალიფიცირდეს 188-ე მუხლით (სამსახურებრივი დაუდევრობა) ანდა კიდევ გამოიწვიოს დისციპლინური თუ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შეფარდება.

169-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ითვლება მომხმარებლის მოსატყუებელი ერთ-ერთი მოქმედების შესრულების მომენტიდან; დანაშაულის შედგენილობისათვის არ არის სავალდებულო მყიდველისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების ფაქტის დადგენა.

სასჯელი დანაშაულის მარტივი სახისათვის სს კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან სა-

ვაჭრო თუ საზოგადოებრივი კვების საწარმოებში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა.

აღსანიშნავია, რომ თუმცა 169-ე მუხლის პირველი ნაწილის შეფარდებისათვის საკმარისია მყიდველის მოტყუების ერთეული შემთხვევა (ე. ი. არ არის სავალდებულო ასეთი ქმედობის სისტემატურად ჩადენა), მაგრამ ამ დანაშაულის აშკარა უმნიშვნელო სახისა და პირველად ჩადენისას ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი მასში ბრალეული პირის სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემა. ასეთ შემთხვევაში უფრო მართებული იქნება მის მიმართ დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენება.

სს კოდექსის 169-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულის კვალიფიციურ სახეს. დამამძიმებელ გარემოებად ითვლება ქმედობის ჩადენა დიდი ოდენობით ან იმ პირთა მიერ, რომლებიც ადრე მსჯავრდებული იყვნენ ასეთივე დანაშაულისათვის.

დიდ ოდენობად ჩაითვლება მყიდველთათვის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის მიყენება, ამის შედეგად დამნაშავის მიერ დიდი ოდენობის საქონლის ან ფულადი თანხების დაგროვება და ა. შ. ამასთან ერთად მხედველობაში მისაღებია ფაქტი მრავალი მყიდველის მოტყუებისა, ქმედობის სისტემატურობა და სხვ.

პირი, რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო სასამართლოს მიერ ასეთივე დანაშაულისათვის, არის ის, ვინც ადრე მსჯავრდებული იყო თუნდაც ერთხელ სს კოდექსის 169-ე მუხლის I ან II ნაწილით. ეკეთუ, ცხადია, არ არის გასული ხანდაზმულობის ვადა ან მსჯავრდებულს მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა.

სასჯელი 169-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან შვიდ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან ეამისოდ, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით.

ესტონეთის სსრ სს კოდექსისათვის უცნობია ამ დანაშაულის კვალიფიციური სახე, ამასთან აღნიშნული კოდექსის ძალით მყიდველთა მოტყუება მხოლოდ მაშინ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, თუ იგი ჩადენილია „არაერთგზის ან დიდი ოდენობით“ (იხ. 151-ე მუხლი).

ერთგვარი თავისებურება ახლავს აგრეთვე ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სს კანონმდებლობას; ასე, მაგალითად, უკრაინის სსრ სს კოდექსი დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებად თვლის მის ჩადენას სისტემატურად ან დიდი ოდენობით (იხ. 155-ე

მუხლი); უზბეკეთის სს კოდექსი—არაერთგზის ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან დიდი ოდენობით (177-ე მუხლი) და ა. შ.

§ 5. დანაშაული ფინანსების დარგში

დანაშაული ფინანსების დარგში გამოიხატება ყალბი სამგზავრო დოკუმენტების დამზადებაში, ყალბი საფოსტო მარკებისა და სხვა საფოსტო დოკუმენტების გაკეთებასა, გამოყენებასა და გასაღებაში.

ორივე ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ფოსტითა და ტრანსპორტით უფასო სარგებლობა ამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალს და, მაშასადამე, გარკვეულ ზიანს აყენებს საბჭოთა სახელმწიფოს საფინანსო ინტერესებს, ამავე დროს იწვევს სახელმწიფოს ხარჯზე დამნაშავე პირების უკანონო გამდიდრებას.

ა. **ყალბი სამგზავრო დოკუმენტების დამზადება.** სს კოდექსის 170-ე მუხლში გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სამგზავრო ან ტვირთზიდვის ყალბი ბილეთების ან სხვა ყალბი დოკუმენტების დამზადებისა ან გასაღებისათვის ხელობის სახით.

სამგზავრო ბილეთი ნიშნავს როგორც ერთგზის მგზავრობის ბილეთს, ასევე სახელობითი აბონემენტის (სეზონური, წლიური და ა. შ.) ბილეთსა და პლაკატს, ხოლო ტვირთზიდვის ბილეთი (ან დოკუმენტი) — სატრანსპორტო ზედნადებს, ბარგის ქვითარს, გზის უწყისს და სხვ. დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა სახის ტრანსპორტს (რკინიგზის, საჰაერო, საავტომობილო, წყლის თუ ქალაქის ელექტროტრანსპორტს) მიეკუთვნება ყალბი ბილეთი და დოკუმენტი.

აღნიშნული ყალბი ბილეთების ან სხვა დოკუმენტების დამზადება გულისხმობს როგორც მათს მთლიანად, ახლად დამზადებას, ასევე ნამდვილი ბილეთისა და დოკუმენტის (მათ შორის უკვე გამოყენებულის) ფორმისა და შინაარსის შეცვლას. გასაღება ნიშნავს ყალბი ბილეთებისა და დოკუმენტების სხვა პირისათვის სასყიდლით გადაცემას, იმის მიუხედავად, გამსაღებელის მიერ არის ისინი დამზადებული თუ სხვა პირის მიერ.

აღწერილი ქმედობა მხოლოდ მაშინ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას 170-ე მუხლით, თუ იგი ჩადენილია ხელობის სახით (ე. ი. წარმოადგენს დამნაშავის ძირითად ან დამატებით საარსებო წყაროს)[1]. ერთეული შემთხვევა ასეთი ქმედობისა განიხილება

[1] უკრაინის, მოლდავეთის, ყირგიზეთის, ესტონეთის სსრ სს კოდექსებში არ არის მითითება დანაშაულის ჩადენაზე ხელობის სახით (იხ. შესაბამისად 153-ე, 175-ე, 162-ე, 159-ე მუხლები), ხოლო ბელორუსიის სს კოდექსს მიხედვით,

როგორც თაღლითობა (სსკ 153-ე მუხლი). უკეთუ ტვირთზიდვის ყალბი დოკუმენტი დამზადებულია სოციალისტური ქონების უკანონოდ მიღებისა და პირადი სარგებლობისათვის მოსახმარებლად, ქმედობა დაკვალიფიცირდება როგორც სოციალისტური საკუთრების გატაცებისათვის (თაღლითობით თუ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით) მზადება.

დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი კერძო პირი (16 წლის ასაკიდან). უკეთუ ამ დანაშაულს თანამდებობის პირი ჩაიდენს, მან პასუხი უნდა აგოს სამსახურებრივი სიყალბისათვის (191-ე მუხლით).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული განზრახია. მიზანი — ანგარება. სასჯელი სს კოდექსის 170-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე ან ჯარიმა ხუთას მანეთამდე.

ბ. ყალბი საფოსტო მარკებისა და სხვა საფოსტო დოკუმენტების გაკეთება, გამოყენება და გასაღება. ეს დანაშაული გათვალისწინებულია სს კოდექსის 171-ე მუხლში, რომელიც ოთხი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილის თანახმად, ყალბი საფოსტო მარკების, მათ შორის ხმარებიდან ამოღებული საერთაშორისო საპასუხო კუპონების და საფოსტო პირადობის მოწმობების გაკეთება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

საერთაშორისო საპასუხო კუპონი (რომელსაც ამზადებს მსოფლიო საფოსტო კავშირის საერთაშორისო ბიურო და გასაყიდად უშვებს ამ კავშირში შემავალი ყველა ქვეყანა) წარმოადგენს ბარათების საზღვარგარეთ გასაგზავნი ხარჯების ანაზღაურების ერთ-ერთ საშუალებას. ასეთი კუპონების შეცვლა სსრ კავშირის საფოსტო მარკებით სავალდებულოა.

მეორე ნაწილი 171-ე მუხლისა ითვალისწინებს ყალბი, მათ შორის ხმარებიდან ამოღებული ან ნახმარი მარკების, აგრეთვე ფრანკირებული მანქანების ან სტამბის საბეჭდი მანქანების ყალბი ან ნახმარი ანაბეჭდების, ყალბი საერთაშორისო საპასუხო კუპონების, ყალბი საფოსტო პირადობის მოწმობების გამოყენებას ან ხმარებაში გაშვებას.

ყალბი მარკების და ა. შ. გამოყენება ნიშნავს მათ სარგებლობას

დანაშაულის ხელობის სახით ჩადენა მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვლება (157-ე მუხლი).

უზბეკეთის სს კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინებს განსახილველი დანაშაულის შედგენილობას.

კორესპონდენციის გასაგზავნი ხარჯების დასაფარავად, ყალბი კუპონების გადაცვლას ნამდვილ საფოსტო მარკებზე და სხვ., ხოლო ხმარებაში გაშვება — მათ გაყიდვას, სხვა პირთათვის გადაცემას და ა. შ.

დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა რაოდენობის ყალბი საფოსტო მარკები და სხვა აღნიშნული საგნები იქნა გამოყენებული ან ხმარებაში გაშვებული, აგრეთვე იმას, ასეთი ქმედობა ერთგზის არის ჩადენილი თუ სისტემატურად ან ხელობის სახით.

სასჯელი 171-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე.

171-ე მუხლის მესამე ნაწილში მოცემულია ბოროტი განზრახვით სწორი საფოსტო პირადობის ჭოწმობის გამოყენება, რაც სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

დაბოლოს, აღნიშნული მუხლის მეოთხე ნაწილი ითვალისწინებს საფოსტო სამსახურში ხმარებული ისეთი ვინიეტკებისა და მარკების დამზადებასა და ხმარებაში გაშვებას, რომლებიც იმგვარად არიან ყალბად გაკეთებული ან იმიტირებული, რომ შეიძლება მათი არევა მსოფლიო საფოსტო კავშირში შემავალი ერთ-ერთი ქვეყნის ადმინისტრაციის მიერ გამოშვებულ ვინიეტკებსა და მარკებში.

სასჯელი 171-ე მუხლის მეოთხე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე.

§ 6. დანაშაული რეჟიმის დარღვევასა და ბუნების სიმდიდრით სარგებლობის დარგში

საბჭოთა სახელმწიფოში შრომისუნარიან ყველა მოქალაქეს შეუძლია საზოგადოებრივად სასარგებლო სხვადასხვაგვარი შრომის წარმოება. სოციალისტურ საზოგადოებაში შრომა წარმოადგენს ღირსების საქმეს, ყოველი შრომის უნარის მქონე ადამიანის საპატიო მოვალეობას. ამასთან ერთად შრომითი საქმიანობის ცალკეული სახეები აკრძალულია, იდევნება კიდეც სისხლის სამართლის წესით, რადგან ზიანის მომტანია საზოგადოებისათვის. ასეთი საქმიანობის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი პირი ნედლეულის სახით იყენებს მეურნეობის ძვირფას პროდუქტებს, რომელთა ზუსტ აღრიცხვაშიც დაინტერესებულია სახელმწიფო (ხორბალი, სელი, ტყავეული, ქიმიკატები და სხვ.); გარდა ამისა, მათ მიერ დამზადებული საქონელი, როგორც წესი, მდარე ხარისხისაა იმასთან შედარებით, რასაც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საწარმოები უშვებენ; დაბოლოს, იგი იწვევს კერძო-მესაკუთრულ ჩვევებს, ისეთი გა-

მორჩენის მიღებას, რაც დიდად აღემატება ხარისხობრივად და რაოდენობრივად გაწეულ შრომას.

ბუნების სიმდიდრეს, რაც უხვად მოეპოვება სსრ კავშირს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, მშრომელთა მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ამიტომ არის, რომ საბჭოთა სახელმწიფო და მთელი საზოგადოებრიობა განუხრელად ზრუნავენ ბუნების სიმდიდრის გამრავლებისა და აღმავლობისათვის. ასეთი ზრუნვის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს საქ. სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში მიღებული კანონები „ბუნების დაცვის შესახებ"[1].

ბუნების სიმდიდრისადმი მტაცებლური მოპყრობა, მისი დაცვისა და აღმავლობის უგულებელყოფა დიდ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობასა და მთელ ჩვენს ქვეყანას. აქედან გამომდინარე მოქმედი კანონმდებლობა ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლებრივ სასჯელს ითვალისწინებს იმ პირთათვის, რომლებიც ბრალეული იქნებიან ბუნების სიმდიდრის განადგურება-დაზიანებაში თუ არამართლზომიერად გამოყენებაში.

ა. **აკრძალული რეწვის წარმოება.** სს კოდექსის 172-ე მუხლი ითვალისწინებს გასაღების მიზნით ისეთი ნაკეთობების, მასალებისა და პროდუქტების დამზადებას, გადამუშავებას ან შენახვას, აგრეთვე გასაღებას, რომელთა მიმართ არსებობს სპეციალური აკრძალვა, თუ ასეთი მოქმედება გამორჩენის მიზნით სისტემატურად ხდება.

აკრძალულია ისეთი რეწვა, რომლის წარმოების უფლებაც, მთავრობის სათანადო ორგანოების სპეციალურ დადგენილებათა შესაბამისად, არა აქვთ ინდივიდუალურად მოშუშავე შინამრეწველსა და ხელოსანს. ასეთ დადგენილებას წარმოადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1949 წ. 30 ივნისს დამტკიცებული „არაკოოპერირებული შინამრეწველებისა და ხელოსნების რეგისტრაციის წესები" და 1958 წ. 22 აპრილის დადგენილება „არაკოოპერირებული შინამრეწველებისა და ხელოსნების რეგისტრაციის წესების ნაწილობრივი ცვლილების შესახებ".

ამ აქტებით აკრძალულია კერძო პირების მიერ ისეთი რეწვის წარმოება, როგორიც არის, მაგალითად, ხორბლის, კანაფის, სელის, ნართის, თამბაქოს, წეკოს გადამუშავება, ქიმიურ ნაკეთობათა (სიმკაეეთა, ლაქ-საღებავების, ლილის და სხვ.) დამზადება, ხელოსნის მასალიდან მზა ტანსაცმლის, საცვლების, ფეხსაცმლის შეკერვა ბაზარზე გასაყიდად და ა. შ.

---

[1] კანონი „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ" მიღებულია 1958 წ. 28 ნოემბერს.

ისეთი რეწვის წარმოება, რომელიც აღნიშნული „წესების“ მიხედვით არ არის აკრძალული, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს[1].

განსახილველი დანაშაულის შედგენილობისათვის სავალდებულოა, რომ აკრძალული რეწვა ხდებოდეს გამორჩენის მიზნით სისტემატურად. ეს იმას ნიშნავს, რომ დამნაშავე მიზნად ისახავს თავისი ნაკეთობის გაყიდვას და გამორჩენის მოლებას, ამასთან ეს საქმიანობა განახორციელა მან არა ერთგზის, არამედ მრავალგზის, სისტემატურად. აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ, უკეთუ ხელოსანი აკრძალულ რეწვას აწარმოებდა პირადი (ოჯახის) მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ან თუნდაც გამორჩენის მიზნით, მაგრამ არა სისტემატურად, განსახილველი დანაშაულის შედგენილობა არ იქნება[1].

ერთეული შემთხვევა აკრძალული რეწვის წარმოებისა გამორჩენის მიზნით იდევნება ადმინისტრაციული წესით (პირს სათანადო ღონისძიება შეეფარდება მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო აღმასკომის ადმინისტრაციული კომისიის მიერ). უკეთუ ამის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ხელოსანი კვლავ გაიმეორებს ანალოგიურ დარღვევას, იგი შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს სსკ 172-ე მუხლის საფუძველზე.

აკრძალული რეწვის წარმოება უნდა განვასხვაოთ სპეკულაციისაგან შემდეგი ნიშნით. პირველი ხასიათდება ნაყოფიერი შრომის გაწევით ნედლეულის თუ მასალის გადასამუშავებლად, რის შედეგადაც მზადდება ხარისხობრივად ახალი პროდუქცია, ხოლო მეორე (სპეკულაცია) არის მაშინ, როდესაც ადგილი აქვს საქონლის თუ სხვა საგნების შესყიდვას და გადაყიდვას გამორჩენის მიზნით მათი გადამუშავებისა და ნაყოფიერი შრომის გაწევის გარეშე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წ. 3 სექტემბრის № 7 დადგენილების შესაბამისად შესაძლებელია პირი მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში როგორც აკრძალული რეწვის წარმოებისათვის, ასევე სპეკულაციისათვის მარტოოდენ რეალური ერთობლიობისას, ე. ი. ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირი აკრძალული რეწვის წარმოების გარდა ეწეოდა საქონლის შესყიდვასა და გადაყიდვას გამორჩენის მიზნით[2].

---

[1] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წ. 3 სექტემბრის დადგენილება „სასამართლო პრაქტიკის შესახებ აკრძალული რეწვის წარმოების საქმეებზე“ („Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1963,“ М., 1964, გვ. 300—301).

[2] იხ. „Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1963“, М., 1964, გვ. 301.

უკეთუ პირი აკრძალულ რეწვას აწარმოებდა სახელმწიფო ან კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმის გამოყენებით, ქმედობა დაკვალიფიცირდება სსკ 172-ე და 164-ე მუხლებით.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი განსახილველი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი კერძო პირი 16 წლის ასაკიდან.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მხრივ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით.

სს კოდექსის 172-ე მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის თანახმად აკრძალული რეწვის წარმოება დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე (დანაშაულის მარტივი სახე) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ორას მანეთამდე, აკრძალული რეწვის საგნების კონფისკაციით.

172-ე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია დანაშაულის კვალიფიციური სახე. დამამძიმებელ გარემოებად ითვლება მისი ჩადენა დიდი ოდენობით ან დაქირავებული შრომის გამოყენებით.

საკითხი იმის შესახებ, დანაშაული ჩადენილია დიდი ოდენობით თუ არა, საბოლოოდ გადაწყდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ, ამასთან იგი მხედველობაში მიიღებს დამზადებული ნაკეთობებისა და პროდუქტების რაოდენობას, მიღებული გამორჩენის თანხას, რეწვის წარმოების ხანგრძლივობას და სხვა გარემოებებს.

დაქირავებული შრომის გამოყენება ნიშნავს ისეთ შემთხვევას, როდესაც დამნაშავე უხეშად არღვევს რა სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-9 მუხლს, მიმართავს სხვისი შრომის ექსპლოატაციას, სასყიდლის გადახდით სარგებლობს სხვა პირთა შრომით ამა თუ იმ ნაკეთობის ან პროდუქციის დამზადების პროცესში. დაქირავებული შრომის გამოყენება, ცხადია, მეტ საშუალებას აძლევს დამნაშავეს დიდი გამორჩენის მისაღებად[1].

სასჯელი სს კოდექსის 172-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ოთხ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსებს ანალოგიური მუხლის დისპოზიციის აღნაგობაში თავისებურება ახასიათებს. ასე, მაგალითად, რსფსრ, უკრაინის სს კოდექ-

---

[1] ოჯახის წევრების დახმარება ვერ ჩაითვლება დაქირავებული შრომის გამოყენებად.

სების ძალით დანაშაულის ორ მაკვალიფიცირებელ გარემოებათა გარდა, რაც საქ. სსრ სს კოდექსის 172-ე მუხლის II ნაწილით არის გათვალისწინებული, მიჩნეულია მესამეც, სახელდობრ, დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც მსჯავრდებულია წინათ აკრძალული რეწვის წარმოებისათვის (იხ. შესაბამისად 162-ე, 148-ე მუხლები), სომხეთის სსრ სს კოდექსი მესამე დამამძიმებელ გარემოებად თვლის დანაშაულის ჩადენას „განმეორებით (იხ. 162-ე მუხლი), ხოლო ესტონეთის სსრ სს კოდექსი — „იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს ნასამართლობა აკრძალული რეწვის წარმოებისათვის, ან პირის მიერ, რომელსაც ასეთივე მოქმედებისათვის შეფარდებული ჰქონდა საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება ან ადმინისტრაციული სასჯელი“ (იხ. 148-ე მუხლი). ყირგიზეთის სსრ სს კოდექსის 165-ე მუხლის II ნაწ. დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებად თვლის მხოლოდ მის ჩადენას „განმეორებით ან ისეთი პირის მიერ, რომელიც წინათ გასამართლებული იყო ასეთივე დანაშაულისათვის“. უზბეკეთის, ყაზახეთის, ლიტვის სსრ სს კოდექსებისათვის საერთოდ უცნობია ამ დანაშაულის კვალიფიციური სახეები და ამრიგად, მათი სათანადო მუხლები ერთი ნაწილისაგან შედგება (იხ. შესაბამისად 179-ე, 164-ე და 162-ე მუხლები).

ბ. არყის გამოხდა. არყის გამოხდა, რასაც სს კოდექსის 173-ე მუხლი ითვალისწინებს, საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს იმ მხრივ, რომ მისი წარმოებისას ხშირ შემთხვევაში იყენებენ კვების ისეთ ძვირფას პროდუქტებს, როგორიც არის ხორბლეული, ჭარხალი, კარტოფილი, შაქარი და ა. შ., რაც ზოგჯერ იწვევს ამ პროდუქტების დატაცებას კოლმეურნეობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან; გარდა ამისა არყის გამოხდა იწვევს მის ზომაზე მეტად მოხმარებას და ეს კი ხშირად არის მიზეზი სამუშაოს გაცდენისა, სამსახურებრივი მოვალეობის დაუდევრად შესრულებისა და, რაც მთავარია, სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენისა; დაბოლოს, ასეთი ქმედობა წარმოადგენს უკანონო შემოსავლის მიღების წყაროს.

ამიტომ არის, რომ არყისა და სხვა სპირტოვანი სასმელების გამოხდა სახელმწიფოს მონოპოლიას შეადგენს.

სს კოდექსის 173-ე მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ითვალისწინებს გასაღების მიზნით არყის გამოხდას ხორბლეულ-მარცვლეულისაგან ან საკვები პროდუქტებისაგან, აგრეთვე ასეთი არყის გასაღებას. ამ სახის დანაშაულის შედგენილობისათვის საკალდებულოა არყის გამოხდა ხორბლეულ-მარცვლეულისაგან ან სხვა საკვები პროდუქტებისაგან (მაგ., შაქრისაგან, ჭარხლისაგან და

სხვ.) გასაღების მიზნით, აგრეთვე ასეთი არყის გასაღება. გასაღების მიზანი ნიშნავს გამოხდილი არყის რეალიზაციის მიზანს გაყიდვის, გაცვლის, ვალის დაფარვის და ყველა ისეთი საშუალებით, რაც დაკავშირებულია გამსაღებლის მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილებასთან.

უკეთუ არაყს ასაღებს ისეთი პირი, რომელსაც თვით კი არ გამოუხდია იგი, არამედ შეისყიდის მას გადასაყიდად გამორჩენის მიზნით, ქმედობა სპეკულაციად ჩაითვლება და დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 165-ე მუხლით.

სასჯელი სს კოდექსის 173-ე მუხლის I ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე არყისა და მისი გამოსახდელი ხელსაწყოების კონფისკაციით.

173-ე მუხლის მეორე ნაწილი აწესებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არყის გამოხდისათვის ამავე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული პროდუქტებისაგან გასაღების მიზნის გარეშე. ეს ასეთი შემთხვევაა, როდესაც არაყს პირი გამოხდის თავისი საკუთარი მოხმარებისათვის ან კიდევ მეგობარ-ნაცნობებისა და ახლობელთა თხოვნით, უკეთუ არაყი არ ყოფილა გაყიდული, გაცვლილი სხვა საქონელზე და საერთოდ გასაღებული ამა თუ იმ საშუალებით. ასეთი ქმედობისათვის პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა მხოლოდ მაშინ, თუ იგი ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც ასეთივე დარღვევისათვის დადებული იყო ადმინისტრაციული სასჯელი ან გამოყენებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება, ე. ი. თუ ერთი წლის განმავლობაში აღნიშნული ღონისძიების შეფარდების შემდეგ პირი მეორეჯერ იქნება მხილებული ასეთივე სახის ქმედობაში.

სასჯელი 173-ე მუხლის მეორე ნაწილით—გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე არყისა და მისი გამოსახდელი ხელსაწყოების კონფისკაციით.

დაბოლოს, 173-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს არყის გამოხდას ღვინის დაყენების პირველადი ნარჩენებისაგან (ჭაჭისაგან), ხილისაგან და ველური მცენარეების ნაყოფებისაგან გასაღების მიზნით, აგრეთვე ასეთი არყის გასაღებას. ამრიგად, აღნიშნული ნარჩენებისა, ხილისა და ნაყოფებისაგან არყის გამოხდა არა გასაღების მიზნით, არამედ პირადი მოხმარებისათვის საქ. სსრ სს კოდექსით დასჯად ქმედობად არ ჩაითვლება[1].

---

[1] ანალოგიურ ნორმას ითვალისწინებს აგრეთვე სომხეთის სსრ სს კოდექსი (იხ. 159-ე მუხლი). ყველა სხვა დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების სს კანონმდებლობით დასჯადია სისხლის სამართლის წესით არყის გამოხდა ყოველთვის,

სასჯელი 173-ე მუხლის მესამე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე არაუსა და მისი გამოსახდელი ხელსაწყოების კონფისკაციით.

გ. უკანონოდ მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა. მოქალაქეთა მატერიალური კეთილმდგომარეობის აღმავლობასთან ერთად სისტემატურად იზრდება მათ მიერ შრომითი დანაზოგით პირადი მოხმარებისათვის ავტომანქანების შეძენის შემთხვევები. ზოგჯერ ცალკეული არაკეთილსინდისიერი პირები კუთვნილ ავტომანქანებს იყენებენ გამორჩენის მიზნით მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვისათვის, რის შედეგადაც მდიდრდებიან ფაქტიურად არაშრომითი შემოსავლის ხარჯზე.

ასეთი ქმედობა დანაშაულად არის მიჩნეული და იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. სს კოდექსის 174-ე მუხლი ითვალისწინებს მგზავრების გადაყვანას და ტვირთის გადაზიდვას მოქალაქეთა კუთვნილი ავტომანქანებით, ჩადენილი ანგარებით[1].

დანაშაულის შედგენილობისათვის აუცილებელია იმის დადგენა, რომ სუბიექტი მოქმედებდა ანგარებით, ე. ი. მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით (ღებულობდა ფულს ან სხვა სახის „გასამრჯელოს").

აღნიშნული ქმედობისათვის პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც დამნაშავეს ასეთივე მოქმედებისათვის ადმინისტრაციული სასჯელი დაედო.

დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს ავტომანქანის მფლობელი, აგრეთვე სხვა პირი, რომელსაც მანქანა გადაცემული ჰქონდა დროებითი მოხმარებისათვის.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული განზრახია, მოტივი — ანგარება.

სასჯელი სს კოდექსის 174-ე მუხლის პირველი ნაწილით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმა ორასს მანეთამდე ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევით სამ წლამდე ვადით.

თუნდაც ერი გასაღების მიზნით, არამედ პირადი მოთხოვნილებისათვის რა სახის პროდუქტებიდანაც არ უნდა იყოს იგი დამზადებული (იხ. მაგალითად, რსფსრ სს კოდექსის 158-ე მუხლი, უკრაინის — 149-ე მუხლი, ბელორუსიის — 155-ე მუხლი, აზერბაიჯანის — 155-ე და ა. შ.).

[1] ამ მუხლის შინაარსი გადმოცემულია საქ. სსრ უმაღლესი სობჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად (იხ. გაზ. „კომუნისტი", 1964 წ. 2/XII).

მეორე ნაწილი 174-ე მუხლისა იმავე ქმედობას, ჩადენილს განმეორებით, სჯის თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ავტომანქანის კონფისკაციით ან უამისოდ ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევით სამიდან ხუთ წლამდე ვადით[1].

დ. თევზისა და სხვა მოპოვებითი ხარეწების უკანონო წარმოება. დანაშაული, გათვალისწინებული სს კოდექსის 175-ე მუხლში იწვევს წყლებსა და მდინარეებში თევზის მარაგის გაანადგურებას, რაც დიდ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას. ამას გარდა თევზისა და სხვა მოპოვებითი რეწვის უკანონო წარმოებისას დამნაშავე მიზნად ისახავს უკანონო შემოსავლის მიღებას, რაც ხელს უწყობს კერძო მეწარმოებითი ჩვევების აღმოცენება-განვითარებას.

აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის ძალით სისხლის სამართლის წესით დასჯადია თევზის ან სხვაგვარი მოპოვებითი წყალსარეწი საქმიანობის წარმოება ტერიტორიალურ წყლებში, მდინარეებში, ტბებში, ტბორებსა და წყალსაცავებში აკრძალულ დროს, ნებადაურთველ ადგილებში და ნებადაურთველი დასაჭერი იარაღით, საშუალებით ან ხერხით, თუ იგი ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში დღიდან ასეთი მოქმედებისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადებისა (მაშასადამე, აღნიშნული ქმედობა ჩადენილი პირველად ყოველთვის იწვევს მარტოოდენ ადმინისტრაციული სასჯელის დადებას).

თევზისა და სხვა მოპოვებითი წყალსარეწი საქმიანობის წარმოება წესრიგდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1958 წ. 15 სექტემბერს დამტკიცებული დებულებით სსრ კავშირის წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვისა და თევზაობის მოწესრიგების შესახებ[2], აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დამტკიცებული წესებით თევზჭერის საკითხზე.

კანონის ძალით, როგორც აღნიშნული იყო, აკრძალულია და დასჯადი თევზისა და სხვა მოპოვებითი ხარეწების მხოლოდ უკანონო წარმოება, სახელდობრ, აკრძალულ დროს, ნებადაურთველ ადგილებში და ნებადაურთველი იარაღით, საშუალებით და ხერხით.

ზემოხსენებულ დებულებათა საფუძველზე, ზოგიერთ წყალსატევში საერთოდ ყოველთვის აკრძალულია თევზის ჭერა, სხვა მდი-

[1] ანალოგიურ შედგენილობას ითვალისწინებს აგრეთვე უზბეკეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთის, მოლდავეთის, ყირგიზეთის, ყაზახეთის, სომხეთის სს კოდექსები (იხ. შესაბამისად 180-ე, 157-ე, 182-ე, 181-ე, 221-ე, 220-ე, 178-ე მუხლები), ხოლო სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სს კანონმდებლობის ძალით. იგი განიხილება „აკრძალული რეწვის წარმოებად".

[2] რომელშიც შეტანილია ცვლილებები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წ. 10 დეკემბრის დადგენილებით.

ნარეებსა და წყალსაცავებში კი—წლის გარკვეული დროის მანძილზე (მაგალითად, მაისიდან ოქტომბრამდე) და ა. შ. თევზის ჭერის ნებადაურთველ ადგილებად, იმავე დებულებათა მიხედვით, ითვლება ახლო მანძილი (500 მეტრით დაახლოებული) ბეტონის კაშხალთან, ხის ჯებირთან, რაბებთან, რკინიგზის ხიდთან და სხვ.; ხოლო ნებადაურთველ იარაღებს, საშუალებასა და ხერხს წარმოადგენს ცეცხლსასროლი იარაღი, ბარჯი (ბარჯით თევზის დახოცვა), არა იმ ზომის ბადე, რაც აღწერილია თევზაობის მოწესრიგების დებულებით და სხვ.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს 16 წლის ასაკს მიღწეული ყოველი პირი.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული, როგორც წესი, ხასიათდება განზრახი ბრალით. ამასთან არ არის გამორიცხული ზოგჯერ მისი ჩადენა გაუფრთხილებლობითაც. მაგალითად, პირმა, აწარმოებს რა თევზის ჭერას ნებადაურთველ ადგილას, არ იცოდა, რომ ამ ადგილას თევზაობა აკრძალული იყო, თუმცა შეეძლო და მოვალეც იყო სცოდნოდა ესი

დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს თევზი დაჭერილი იყო პირადი მოხმარებისათვის თუ — გასაყიდად.

სასჯელი სს კოდექსის 175-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით ან ჯარიმა ას მანეთამდე, მთელი მოპოვებულის და საჭერი იარაღის კონფისკაციით./

აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია ამ დანაშაულის კვალიფიციური სახე. დამამძიმებელ გარემოებებად ითვლება იგივე ქმედობა ჩადენილი თევზის ჭერის სარეწი იარაღის, ფეთქებადი ან მომწამვლელი ნივთიერების გამოყენებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით[1]. ბუნებრივია, ასეთი წესით თევზის ჭერა მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია, რადგან იწვევს ყოველი სახის თევზის მარაგის მტაცებლურ განადგურებას, მისი გამრავლების მკვეთრად შეფერხებას და საბოლოო ჯამში დიდ ზიანს აყენებს სახალხო მეურხეობას. სასჯელი ასეთი სახის დანაშაულისათვის — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე, მთელი მოპოვებულისა და საჭერი იარაღის კონფისკაციით.

ე. თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა. ხშირად თევზმეურნეობას დიდ ზიანს აყენებს წყალსატევებში სამრეწველო, კომუნალური ან სხვა საწარმოს გაუწმენდავი წყლის მიშვება, ან თევზი-

---

[1] 175-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი გადმოცემულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1966 წ. 18 თებერვლის ბრძანებულებას შესაბამისად (იხ. გაზ. „კომუნისტი", 1966 წ. 25/II).

სათვის სხვა მავნე ნარჩენების ჩაყრა, ან ასაფეთქებელი სამუშაოების წარმოება, ან ხე-ტყის დაცურება იმ წესების დარღვევით, რომლებიც დადგენილია თევზის მარაგის დაცვის მიზნით.

ასეთი ქმედობა ანაგვიანებს წყლებს, იწვევს თევზის მოწამვლას თუ გაწყდომას და ამიტომ მიჩნეულია დანაშაულად. მას ითვალისწინებს სსრ კოდექსის 176-ე მუხლი. წყალსატევებში ასაფეთქებელი სამუშაოების წარმოებისა და ხე-ტყის დაცურების წესი განსაზღვრულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1958 წ. 15 სექტემბერს დამტკიცებული დებულებით თევზის მარაგის დაცვისა და თევზობის მოწესრიგების შესახებ. ამ დებულების მოთხოვნის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას სსრ კოდექსის 176-ე მუხლით.

აღწერილი ქმედობა დასჯადია იმისდა მიუხედავად, მოჰყვა მას რაიმე მძიმე შედეგი თევზმეურნეობისათვის თუ—არა.

ამ დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი ა ის თანამდებობის პირი, რომლის მიერაც (ან რომლის განკარგულებითაც) წყალსატევებში მიშვებულ იქნა საწარმოს გაუწმენდელი წყალი ან ჩაყრილი თევზისათვის მავნე სხვა ნარჩენები, ჩატარდა ასაფეთქებელი სამუშაოები ან დაცურდა ხე-ტყე თევზის მარაგის დაცვის მიზნით დადგენილი წესების დარღვევით.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით.

სასჯელი 176-ე მუხლით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმა სამას მანეთამდე.

3. უკანონო ნადირობა. უკანონო ნადირობა, გათვალისწინებული სს კოდექსის 177-ე მუხლში, ყოველთვის იწვევს ნადირისა და ფრინველების მტაცებლურ მოსპობას და მით ბუნების სიმდიდრეთა ზრდა-აღმავლობის შეფერხებას.

სსრ კავშირში ნადირობის წესები განსაზღვრულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წ. 11 მაისის დადგენილებით „სამონადირეო მეურნეობის წარმოების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოების მიერ გამოცემული დადგენილებებითა და დებულებებით. ამ საერთო წესების საფუძველზე ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ადგენენ ნადირობის ვადებსა და საშუალებებს, მიუთითებენ იმ ნადირსა და ფრინველებზე, რომლებზე ნადირობაც საერთოდ აკრძალულია და ა. შ.

სს კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით, დასჯადია ნადირობა, თუ არ არის ამის სათანადო ნებართვა, ან ნადირობა აკრძალულ ადგილებში, აკრძალული იარაღითა და საშუალებებით, თუ

ეს ჩადენილია ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შემდეგ (აღნიშნული ქმედობა ჩადენილი პირველად გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას შშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების გადაწყვეტილების საფუძველზე)[1].

ნადირობის უფლება ცეცხლმსროლი იარაღით აქვს სსრ კავშირის 18 წელს მიღწეულ ყოველ მოქალაქეს, რომელიც მონადირეთა კავშირის წევრია, ჩაბარებული აქვს გამოცდა მონადირეობის მინიმუმში, გადახდილი—სახელმწიფო ბაჟი. და ყოველივე ამის დასადასტურებლად აქვს სათანადო მოწმობა (ბილეთი).

კანონის მოთხოვნა ნადირობის უკანონოდ ჩათვლის შესახებ, თუ არ არის სათანადო ნებართვა, ნიშნავს ნადირობას ზემოაღნიშნული მოწმობის (ბილეთის) გარეშე, აგრეთვე წლის ისეთ პერიოდში, როდესაც ნადირობა საერთოდ აკრძალულია; ნადირობა აკრძალულ ადგილებში იქნება მაშინ, როდესაც პირი (თუნდაც სათანადო მოწმობის მქონე) ნადირობს სპეციალური ნებართვის გარეშე ისეთ ადგილებში (მაგალითად, ნაკრძალში), სადაც ნადირობა დაუშვებელია, ხოლო ნადირობა აკრძალული იარაღითა და საშუალებებით ნიშნავს ნადირობას საწამლავ ნივთიერებათა მობნევით ან ისეთი იარაღითა და ხერხით, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ნადირისა და ფრინველის მასიურად გაწყვეტა.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს 16 წელს მიღწეული ყოველი პირი[2]. ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული, როგორც წესი, განზრახია, მაგრამ არ არის გამორიცხული მისი ჩადენა გაუფრთხილებლობითაც (მაგალითად, პირი კლავს ისეთ ცხოველს, რომელზე ნადირობაც აკრძალულია და მისთვის უცნობი იყო ასეთი აკრძალვა, მაგრამ მოვალე იყო და შეეძლო კიდევაც ეს სცოდნოდა).

სასჯელი სს კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით — გამასწორებელი სამუშაოები ერთ წლამდე ვადით ან ჯარიმა 200 მანეთამდე მთელი ნანადირევისა და სახადირო იარაღის კონფისკაციით.

იმავე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია დანაშაულის კვალიფიციური სახე, სახელდობრ, ნადირობა იმ ნადირსა და ფრინველზე,

---

[1] საქ. სსრ სსკ 177-ე მუხლის I ნაწ. შინაარსი გადმოცემულია საქ. სსრ უმაღლესი სობჭოს პრეზიდიუმის 1964 წ. 11 მარტის ბრძანებულების შესაბამისად (იხ. უწყებები, № 8, 1964, მუხლი 151).

[2] თანამდებობის პირი უკანონო ნადირობისათვის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობის წესით (სს კოდექსის 177-ე და 186-ე მუხლები)

რომლებზეც ნადირობა მთლიანად არის აკრძალული ან უკანონო ნადირობა, რომელმაც დიდი ზიანი გამოიწვია.

შესაბამისი ორგანოები სპეციალური დადგენილებით კრძალავენ ნადირობას საერთოდ და მთლიანად ზოგიერთ ნადირსა და ფრინველზე (მაგალითად, შველზე, ირემზე, ხოხობზე და ა. შ.). ამ წესის დარღვევით ნადირობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სს კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. უკანონო ნადირობა, რომელმაც დიდი ზიანი გამოიწვია, ნიშნავს დიდი რაოდენობის ცხოველისა და ფრინველის დახოცვას ან განსაკუთრებით ძვირფასი ჯიშის ნადირის მოკვლას და ა. შ.

სასჯელი სს კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით ან ჯარიმა სამას მანეთამდე, მთელი ნანადირევისა და სანადირო იარაღის კონფისკაციით.

ზ. ტყის უკანონო გაჩეხვა ან დაზიანება. ტყის უკანონო გაჩეხვა ან დაზიანება ხელყოფს სათანადო ორგანოების გეგმურ მუშაობას, მიმართულს ტყეების გაშენებისა და აღდგენისაკენ, აგრეთვე ტყეების მიერ თავიანთი სპეციალური დანიშნულების შესრულებას. იგი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ბუნების სიმდიდრეს—მწვანე ზონებს, ხშირად იწვევს ტყის მტაცებლურ განადგურებას.

ამიტომ არის, რომ ტყის უკანონო გაჩეხვა ან დაზიანება დანაშაულად ითვლება და მას ითვალისწინებს სს კოდექსის 178-ე მუხლი, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია ხეების უკანონო მოჭრა ან დაზიანება სახელმწიფო ან საკოლმეურნეო ტყეებში.

უკანონოა ხეების მოჭრა ყოველთვის, თუ ამის თაობაზე არ არის გაცემული სათანადო ნებართვა (ბილეთი, ორდერი) შესაბამისი სატყეო მეურნეობის ან ზოგჯერ მეტყევის მიერ. ნებართვა ამა თუ იმ ტყეში ხეების მოჭრაზე შეიძლება გაეცეს როგორც დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, ასევე ცალკე მოქალაქეებსაც. უკანონოა აგრეთვე ხეების მოჭრა—თუნდაც ნებართვით, მაგრამ არა იმ ადგილას, არა იმ ჯიშისა და რაოდენობის, რაც ნებართვაშია მითითებული.

განსახილველი დანაშაული გულისხმობს ტყეში (სულერთია, ტყე საბჭოთა მეურნეობის ან სახელმწიფო ორგანიზაციის გამგებლობაშია თუ გადაცემული აქვს კოლმეურნეობას უვადო სარგებლობაში) ძირეული ხეების მოჭრას ან დაზიანებას, ამასთან მნიშვნელობა არა აქვს ხეები ნედლია, ცოცხალი თუ გამხმარი.

უკეთუ ტყიდან გატანილია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან კერძო პირის მიერ მოჭრილი და გასაზიდად მზად-

მყოფი ხეები, ქმედობა დაკვალიფიცირდება როგორც გატაცება სოციალისტური ან მოქალაქეთა პირადი საკუთრებისა.

დანაშაულად ითვლება ხეების უკანონო გაჩეხვაც და დაზიანებაც. გაჩეხვა ნიშნავს ხეების მოჭრას, მათი ფესვებისაგან ჩამოშორებას, ხოლო დაზიანება—ხეებისათვის ტოტების ჩამოჭრას, ხეების დაკეჭნას, დაკეპვას და სხვა ისეთ მოქმედებას, რასაც შეუძლია ხეების ხმობა გამოიწვიოს.

დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს როგორც კერძო, ასევე თანამდებობის პირიც. უკეთუ უკანასკნელი განსახილველ დანაშაულს ჩაიდენს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, იგი პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობის წესით (178-ე და 186-ე მუხლები). იმ შემთხვევაში, როდესაც ტყის მეურნეობის მომუშავე ანგარებითი მიზნით, განსაზღვრული საფასურის გადახდევინების შემდეგ ნებას დართავს პირს ხეების უკანონო მოჭრაზე (ბილეთის, ორდერის გაცემის გარეშე), მან პასუხი უნდა აგოს თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და ქრთამის აღებისათვის (სს კოდექსის 186-ე და 189-ე მუხლები).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული განზრახია.

ტყის დაცვის წესების უმნიშვნელო, წვრილმანი დარღვევები იწვევს ადმინისტრაციული სასჯელის ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენებას.

სასჯელი სს კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმა ას მანეთამდე.

იმავე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებში მოცემულია დანაშაულის კვალიფიციური სახეები. მეორე ნაწილის ძალით ხეების უკანონო მოჭრა ან დაზიანება მინდორსაცავ, ნიადაგსაცავ, ნაპირსაცავ ტყეებში, სახელმწიფო ნაკრძალებში, საკურორტო ტყეებში, ტყეპარკებში, ქალაქებისა და საწარმოთა ირგვლივ მწვანე ზონების ტყეებში, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სხვა ტყეებში, გარდა ტყის დაცვის წესების წვრილმანი დარღვევებისა, რომელიც იწვევს ადმინისტრაციული სასჯელის ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენებას, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ორას მანეთამდე უკანონოდ მოპოვებულის კონფისკაციით. 178-ე მუხლის მესამე ნაწილი ტყის უკანონო გაჩეხვას, რომელიც ჩადენილია ხელობის სახით ან რომელმაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია, სჯის თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე

ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე უკანონოდ მოპოვებულის კონფისკაციით[1].

თ. სახელმწიფოსათვის ოქროს ჩაბარების წესების დარღვევა. სახელმწიფოსათვის ოქროს ჩაბარების წესების დარღვევა გათვალისწინებულია სს კოდექსის 182-ე მუხლში.

ამ მუხლის ძალით დანაშაულად ითვლება ცალკეულ მოქალაქეთა მიერ მიწის წიაღიდან მათ მიერ ამოღებული ოქროს ან სხვა ძვირფასი ლითონის ან ძვირფასი ქვების სახელმწიფოსათვის ჩაბარების წესების დარღვევა.

დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ცალკეული მოქალაქე მიწის წიაღიდან ამოღებულ ოქროს ან სხვა ძვირფას ლითონს ან ძვირფას ქვებს, რომლებიც საერთოსახალხო კუთვნილებაა, არ აბარებს დანიშნულებისამებრ, არამედ წარმართავს თავის პირად მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და მით უკანონოდ მდიდრდება.

სს კოდექსის 182-ე მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია. ყოველ ცალკე შემთხვევაში საჭიროა გათვალისწინება იმ წესებისა, რომლებიც აგვარებენ საკითხს მიწის წიაღის დამუშავებისა და იქიდან ამოღებული ოქროს ან სხვა ძვირფასი ლითონის და ძვირფასი ქვების სახელმწიფოსათვის ჩაბარების შესახებ. ასეთია, კერძოდ, სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ 1927 წ. 9 ნოემბერს დამტკიცებული სამთო დებულება და 1929 წლის 8 მაისის დადგენილება „ოქროსა და პლატინის მრეწველობის და ოქროსა და პლატინის შენახვისა და ბრუნვაში გაშვების შესახებ“[2].

ძვირფას ლითონად ოქროს გარდა ჩაითვლება ვერცხლი, პლატინა და პლატინის ჯგუფის სხვა ლითონები, ხოლო ძვირფას ქვებად — ალმასი, ბრილიანტი, ლალი, თოპაზი და ა. შ.

---

[1] საქ. სსრ სს კოდექსის 178-ე მუხლის ანალოგიური ნორმებია გათვალისწინებული სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სს კოდექსებშიც, მაგრამ მნიშვნელოვანი თავისებურებებით. ასე, მაგალითად, ბელორუსიისა და ესტონეთის სს კოდექსები პასუხისმგებლობას აწესებენ იმისდა მიუხედავად, თუ რა სახის, რა კატეგორიის ტყის მიმართ არის დანაშაული ჩადენილი (იხ. შესაბამისად 165-ე, 155-ე მუხლები). აზერბაიჯანისა და ყირგიზეთის სსრ სს კოდექსების მიხედვით, ქმედება დასჯადია სისხლის სამართლის წესით მხოლოდ მაშინ, თუ ჩადენილია ხელობის სახით ან დიდი ოდენობით. უზბეკეთის სსრ სსკ დანაშაულს ითვალისწინებს თავში „დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ“ (83-ე მუხლი), ხოლო უზბეკეთის სსრ სს კოდექსში საერთოდ არ არის მოცემული ეს დანაშაული.

[2] ცვლილებებით, რომლებიც შეტანილია ამ დადგენილებაში სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1934 წლის 27 მაისის დადგენილების საფუძველზე.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება თვით დამნაშავის მიერ მიწის წიაღიდან ამოღებული ოქროს ან სხვა ძვირფასი ლითონის და ძვირფასი ქვების სახელმწიფოსათვის ჩაუბარებლობაში, აგრეთვე მათი ჩაბარების ვადების დარღვევაში და სხვ. უკეთუ პირმა იპოვა და მითვისა აღნიშნული ძვირფასი ნივთები, ამოღებული მიწის წიაღიდან სხვების მიერ, მან პასუხი უნდა აგოს სს კოდექსის არა 182-ე მუხლით, არამედ 99-ე მუხლით (ნაპოვნი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მითვისება), ხოლო კანონიერი გზით მოპოვებულისა და სოციალისტურ ფონდში ჩაბარებულის პირადი სარგებლობისათვის გადატანა ანგარების მიზნით განიხილება სოციალისტური ქონების გატაცებად (მაგ., ოქროს საძიებელი ლაბორატორიიდან ოქროს ზოდის ქურდობა).

როგორც კანონშია ნათქვამი, დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ცალკეული მოქალაქე, სახელდობრ, ისეთი პირი, რომელიც ოფიციალურად საქმიანობს მიწის წიაღიდან ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ამოღებაზე (ე. წ. „ოქროს მძებნელი"), აგრეთვე სხვა მოქალაქეც, უკეთუ იგი აწარმოებს მიწის წიაღიდან მათ ამოღებას.

თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით სახელმწიფოსათვის ძვირფასი ლითონის ან ძვირფასი ქვების ჩაბარების წესის დარღვევა დაკვალიფიცირდება 186-ე მუხლით (სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) ან შესაბამის შემთხვევაში 94-ე მუხლით (სახელმწიფო ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით).

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახია, ამასთან განზრახვა პირდაპირია.

სასჯელი სს კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით — ჯარიმა ერთი ათას მანეთამდე ამოღებულ ფასეულობათა კონფისკაციით.

182-ე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია იგივე ქმედობა, რამაც სახელმწიფოს დიდი ზიანი მიაყენა. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც დამნაშავემ გადამალა და სახელმწიფოს არ ჩააბარა მნიშვნელოვანი ფასეულობის ძვირფასი ლითონი ან ძვირფასი ქვები, მაგალითად, ოქრო დიდი რაოდენობით, განსაკუთრებული ზომის ან სხვა თვისების გამო დიდი ღირებულების მქონე ძვირფასი ქვა და ა. შ.

სასჯელი სს კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე ქონების კონფისკაციით[1].

§ 7. სხვა სახის სამეურნეო დანაშაული

ა. ბინების ან ოთახების უკანონო დათმობა. ბინების ან ოთახების უკანონო დათმობა საზღაურის მიღებით იმ სახლებში, რომლებიც ეკუთვნის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საწარმოებს ან დაწესებულებებს, დანაშაულად ითვლება და გათვალისწინებულია სს კოდექსის 168-ე მუხლში.

დადგენილი წესის საფუძველზე აღნიშნულ სახლებში ბინებისა და ოთახების გაცემა წარმოებს რიგის დაცვით, იმისდა მიხედვით, თუ ვინ უფრო მეტად საჭიროებს საბინაო პირობების გაუმჯობესებას. ამ წესის დარღვევა და ბინების თუ ოთახების უკანონო დათმობა საზღაურის მიღებით (ფულის გადახდით ან სხვა სახის მატერიალური გამორჩენის მიღებით) საზოგადოებრივად საშიშია და იწვევს ხისლის სამართლის პასუხისმგებლობას.

კანონის (სსკ 168-ე მუხლის) ძალით ასეთი ქმედობა დასჯადია მხოლოდ მაშინ, თუ ბინების (ან ოთახების) უკანონო დათმობას საზღაურის მიღებით ადგილი აქვს იმ სახლებში, რომლებიც ეკუთვნის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საწარმოებს ან დაწესებულებებს. ამრიგად, ბინის (ან ოთახის) უკანონო დათმობა არასაზღაურის მიღებით (მაგ., ახლო ნათესავისათვის დათმობა) თუნდაც აღნიშნულ სახლებში, დანაშაულის შედგენილობას არ მოგვცემს, ასევე დანაშაულად არ ჩაითვლება ბინების დათმობა საზღაურის გადახდით მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლებში.

დანაშაულის **ს უ ბ ი ე ქ ტ ი ა** მოქალაქე, რომელმაც თავისი ბინა ადგილობრივი საბჭოს თუ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულება-საწარმოს სახლში უკანონოდ დაუთმო სხვა პირს საზღაურის მიღებით.

---

[1] საქ. სსრ სს კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არ არის მოცემული უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, ლატვიის, მოლდავეთის, ლიტვის, თურქმენეთის, ესტონეთის სსრ სს კოდექსებში.

ლიტვის სსრ სს კოდექსში თავში „დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ" გათვალისწინებულია ზოგადი ხასიათის ნორმა შემდეგი შინაარსისა: „ბუნების დაცვის შესახებ კანონების დარღვევა, ჩადენილი ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ ან რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია" (245-ე მუხლი).

უკეთუ თანამდებობის პირი უკანონოდ გასცემს ბინას (ოთახს) საზღაურის აღებით, იგი პასუხს აგებს თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და ქრთამის აღებისათვის (186-ე, 189-ე მუხლები).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული განზრახია.

სასჯელი სს კოდექსის 168-ე მუხლით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმა სამას მანეთამდე[1].

ბ. პურისა და პურეულის სხვა პროდუქტების ყიდვა პირუტყვისა და ფრინველების გამოსაკვებად. სს კოდექსის 173[1]-ე მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღაზიებში გამომცხვარი პურის, ფქვილის, ბურღულისა და პურეულის სხვა პროდუქტების ყიდვას პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად.

ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ პური, ფქვილი, ბურღული, პურეულის სხვა პროდუქტები, ნაცვლად პირდაპირი დანიშნულებისამებრ მოხმარებისა, პირუტყვისა და ფრინველის საკვებად გამოიყენება, რითაც ფერხდება მოსახლეობის პურით ნორმალური მომარაგება; გარდა ამისა, პირუტყვის მფლობელნი, გაურბიან რა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, სარგებლობენ იაფი სახელმწიფო პურეულის პროდუქტებით პირუტყვის საკვებად და უკანონოდ მდიდრდებიან მშრომელთა ხარჯზე.

განსახილველი დანაშაულის ო ბ ი ე ქ ტ ი ა სოციალისტური მეურნეობისა და მომხმარებლების ინტერესები.

დანაშაულის შედგენილობისათვის საკალდებულოა პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად პურისა და სხვა პროდუქტების შესყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღაზიებში. მათი შესყიდვა ცალკეული მოქალაქეებისაგან ან გადაცვლა სხვა საგნებზე სისხლის სამართლის წესით დასჯადი არ არის.

დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს ყოველი პირი 16 წლის ასაკიდან, რომელიც პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად ყიდულობს პურს, ფქვილს, ბურღულსა და პურეულის სხვა

---

[1] ანალოგიური ნორმებია გათვალისწინებული აზერბაიჯანის, საქართველოს, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის, ესტონეთის სსრ სს კოდექსებში (იხ. შესაბამისად 169-ე, 166-ე, 157-ე, 168-ე, 163-ე, 170-ე, 154-ე მუხლები).

უკრაინისა და მოლდავეთის სს კოდექსების მიხედვით ამ სახის დანაშაულს გარდა დასჯადია აგრეთვე ბინის ქირის გადახდევინება კანონით დადგენილ რაოდენობაზე ზევით სისტემატურად, არაშრომითი გამდიდრების მიზნით (იხ. უკრაინის სსკ 152-ე მუხლი, მოლდავეთის სსკ 162-ე მუხლი).

დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების სს კანონმდებლობისათვის უცნობია საერთოდ საქ. სსრ სს კოდექსის 168-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შედგენილობა.

პროდუქტებს სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღაზიებში. უკეთუ დამნაშავე ყიდულობს აღნიშნულ პროდუქტებს და შემდეგ გადაყიდის გამორჩენის მიღების მიზნით სხვა პირებზე პირუტყვის ან ფრინველის გამოსაკვებად, იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა დანაშაულთა ერთობლიობით სს კოდექსის 173[1]-ე და 165-ე (სპეკულაცია) მუხლებით.

სავაჭრო ორგანიზაციის გამყიდველი პურისა და პურეულის სხვა პროდუქტების შესყიდვაში (პირუტყვისა და ფრინველების გამოსაკვებად) კერძო პირისათვის განზრახ დახმარების გაწევისათვის პასუხს აგებს თანამონაწილეობის პრინციპით სს კოდექსის მე-19 და 173[1]-ე მუხლებით.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული გახზრახია, მოტივი — ანგარება.

სს კოდექსის 173[1]-ე მუხლის შეფარდება დამნაშავისადმი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში აღწერილი ქმედობა ჩადენილია ამგვარივე ქმედობისათვის ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების შემდეგ[1].

სასჯელი სს კოდექსის 173[1]-ე მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ამავე ვადით.

---

[1] ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის (მაგ., რსფსრ) სისხლის სამართლის კოდექსების ძალით, აღწერილი ქმედობა სისხლის სამართლის წესით დასჯადია მხოლოდ მაშინ, თუ დამნაშავე დაჯარიმებული იყო ადრე ასეთივე ქმედობისათვის ადმინისტრაციული წესით ან ჩადენილია ქმედობა სისტემატურად ან ჯგუფი ოდენობით (იხ. რსფსრ სსკ 154[1]-ე მუხლი).

თავი VII

თანამდებობრივი დანაშაული

§ 1. თანამდებობრივი დანაშაულის ცნება და სახეები

საბჭოთა სახელმწიფო აპარატი, ემსახურება რა ხალხს, უდიდეს როლს ასრულებს კომუნისტური საზოგადოების აგების ისტორიული მნიშვნელობის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის საქმეში. სახელმწიფო აპარატის მართლზომიერ, უნაკლო საქმიანობაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მთელი რესურსების სწორად გამოყენება, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხების მართებულად და დროზე გადაჭრა. „საბჭოთა აპარატი,—ნათქვამია სკკპ პროგრამაში,—უნდა იყოს მარტივი, კვალიფიციური, იაფი და ოპერატიული და არ უნდა იჩენდეს არავითარ ბიუროკრატიზმს, ფორმალიზმსა და საქმის გაჭიანურებას... სოციალისტური სახელმწიფოს აპარატი ემსახურება ხალხს და ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე. მუშაკის არაკეთილსინდისიერება, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ბიუროკრატიზმი გადაჭრით უნდა აღიკვეთოს და სასტიკად დაისაჯოს“....[1].

საბჭოთა სახელმწიფო აპარატის თანამდებობის პირებს მოეთხოვებათ ისეთი საქმიანობა, რაც აქტიურად შეუწყობს ხელს სახელმწიფოს განმტკიცებას, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეთა მოთხოვნისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა დაწესებულიყო „...საბჭოთა თანამდებობაზე მყოფი ყოველი პირის უაღრესად ზუსტი პასუხისმგებლობა გარკვეული, ნათლად და მკვეთრად შემოფარგლული, დაევალებისა და პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისათვის“[2].

სახელმწიფო აპარატის მომუშავეთა დიდი უმრავლესობა კეთილსინდისიერად ასრულებს ამ მოთხოვნებს, მაგრამ ცალკეული

---

[1] სკკპ პროგრამა, 1961, გვ. 116.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 433.

მომუშავეები აშკარად უგულებელყოფენ მათ, ფორმალურად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, იჩენენ უყაირათობას, ბიუროკრატიზმს, მოქალაქეებისადმი უსულგულო დამოკიდებულებას, ჩადიან სხვა სახის ბოროტმოქმედებას. ასეთი თანამდებობის პირები არღვევენ სახელმწიფო აპარატის სწორ, კომუნისტური მშენებლობის მოთხოვნის შესატყვის მუშაობას, დიდ ზიანს აყენებენ სახელმწიფოსა და მშრომელთა ინტერესებს.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ითვალისწინებს რა მთელ რიგ თანამდებობრივ დანაშაულთა დასჯადობას, აქტიურად ეწყობს ხელს სახელმწიფო აპარატის განმტკიცებას, ამ აპარატის უკლებლივ ყველა მომუშავის მიერ სოციალისტური კანონიერებისა და სახელმწიფო დისციპლინის განუხრელად დაცვას.

საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსში, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების (უკრაინისა და უზბეკეთის სსრ გამოკლებით) კოდექსებში, არ არის მოცემული თანამდებობრივი დანაშაულის ზოგადი ცნება. ასეთი ცნება შეიძლება განსაზღვრულ იქნეს ამ დარგის ცალკეულ დანაშაულთა (რაც გათვალისწინებულია სსსრ სს კოდექსის 185—191-ე მუხლებში) შინაარსის საფუძველზე.

თანამდებობრივი დანაშაული არის სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით თანამდებობის პირის ისეთი მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა, რაც არსებითი ხასიათის ზიანს აყენებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის სწორ მუშაობას ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს[1].

თანამდებობრივი დანაშაულის ობიექტია სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის (დაწესებულება-ორგანიზაციების, საწარმოების) სწორი, კომუნისტური მშენებლობის ინტერესებთან შესაბამებული მუშაობა, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა უფლება-ინტერესები. ობიექტური მხრივ ამ სახის დანაშაული ხასიათდება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, რაც არსებით ზიანს აყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან ცალკე-

---

[1] უკრაინის სსრ სს კოდექსის 164-ე მუხლი შემდეგნაირად განმარტავს თანამდებობრივი დანაშაულის ცნებას: „თანამდებობრივ დანაშაულად ჩაითვლება თანამდებობის პირის მიერ მისი სამსახურებრივი მდგომარეობით გაპირობებულ მოვალეობათა დარღვევა, რაც არსებითი ხასიათის ზიანს აყენებს სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან ცალკეულ მოქალაქეთა კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებს“ (იხ. აგრეთვე უზბეკეთის სსრ სს კოდექსის 148-ე მ.).

ულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ზოგიერთი თანამდებობრივი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ მოქმედებით (მაგ., ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ქრთამის აღება და სხვ.), ხოლო ზოგიერთი კიდევ — როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობითაც (მაგ., ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, დაუდევრობა). უკეთუ ქმედობა ჩადენილია არა სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, იგი თანამდებობრივ დანაშაულად არ ჩაითვლება, თუნდაც მას მძიმე შედეგი მოჰყვეს. მაგალითად, უკეთუ დაწესებულების ხელმძღვანელი სამუშაოს დამთავრების შემდეგ აიძულებს ავტომანქანის მძღოლს გადასცეს მას საქე და დაარღვევს ტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების წესებს, რასაც მოჰყვება ადამიანთა უბედური შემთხვევა, იგი პასუხს აგებს არა თანამდებობრივი დანაშაულის მუხლით, არამედ — 241-ე მუხლით (ტრანსპორტის მოძრაობის უშიშროებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევა).

ს უ ბ ი ე ქ ტ ი თანამდებობრივი დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი[1]. თანამდებობის პირის ცნება განმარტებულია სს კოდექსის 185-ე მუხლში. ამ მუხლის ძალით თანამდებობის პირებად ითვლებიან ის პირები, რომლებიც მუდმივად ან დროებით, სასყიდლით ან უსასყიდლოდ, დანიშვნით ან არჩევით და აგრეთვე ცალკეული დავალებების ძალით სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში, საწარმოში ან ორგანიზაციაში ასრულებენ მოვალეობებს, დაკავშირებულს სახელმწიფო ხელისუფლების აქტების ან განმკარგულებელი, ორგანიზაციულ-სამეურნეო, ადმინისტრაციული ან სხვა ამგვარი ფუნქციების განხორციელებასთან.

ამ განმარტებიდან ჩანს, რომ თანამდებობის პირად ითვლება პირველ რიგში ხელისუფლების წარმომადგენელი, ე. ი. ისეთი პირი, რომელსაც უფლება აქვს შესასრულებლად სავალდებულო მითითება მისცეს არა მარტო მასზე უშუალოდ დაქვემდებარებულ მომუშავეებს, არამედ სხვა მოქალაქეებსაც, რომლებიც მის-ადმინისტრაციულ დამორჩილებაში არ იმყოფებიან. ასეთია მშრომელთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე და წევრი, მთავრობის წევრი, მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლოს აღმასრულებელი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, საზოგადოებრივი წეს-

---

[1] გამონაკლისს შეადგენს თანამდებობრივ დანაშაულთა თაეში მოქცეული ნეკრთამეობაში შუამავლობა (189[1]-ე მ.) და ქრთამის მიცემა (190-ე მ.), რომელთა სუბიექტი შეიძლება იყოს არათანამდებობის პირიც.

რიგის დაცვის სამინისტროს, მილიციის ოპერატიულ-სამწყობრო შემადგენლობის პირი და სხვ.

შემდეგ, თანამდებობის პირად და, მაშასადამე, თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტად ითვლება პირი, რომელიც ასრულებს განმკარგულებელ, ორგანიზაციულ-სამეურნეო, ადმინისტრაციულ ან სხვა ამგვარ ფუნქციებს. ასეთ ფუნქციებს წარმოადგენს დაწესებულება-საწარმოს ან ორგანიზაციის ამოცანების შესრულების ორგანიზაცია, კადრების შერჩევა და განაწილება, სოციალისტური საკუთრების მართვა-გამგეობა, საწარმოო პროცესის ხელმძღვანელობა, საგაჭრო საწარმოებიდან საქონლის რეალიზაცია და ა. შ. ამასთან არა აქვს მნიშვნელობა თანამდებობის პირი აღნიშნულ ფუნქციებს ასრულებს შედმიეად თუ დროებით (მაგალითად, ერთჯერადი სამუშაოს შესასრულებლად მოწვეული), სასყიდლით თუ უსასყიდლოდ (მაგალითად, ფაბ-ქარხკომის თავმჯდომარე), დანიშვნით (ქარხნის დირექტორი) თუ არჩევით (კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე). სს კოდექსის 185-ე მუხლის მოთხოვნის საფუძველზე თანამდებობის პირად ითვლება ისიც, ვინც დაწესებულება-საწარმოში ან ორგანიზაციაში მოხსენიებულ ფუნქციებს ასრულებს ცალკეული დავალებების სახით. ეს ისეთი პირია, რომელსაც, თუმცა არა აქვს დაკავებული რაიმე საშტატო თანამდებობა, მაგრამ ცალკეული სპეციალური დავალებით (ბრძანებით, შრომითი ხელშეკრულებით, მინდობილობით და ა. შ), ასრულებს გარკვეულ ორგანიზაციულ-სამეურნეო თუ სხვა ამგვარი ხასიათის დავალებას. მაგალითად, რიგითი კოლმეურნე, რომელსაც კოლმეურნეობის გამგეობამ დაავალა ბაზარზე პროდუქტების რეალიზაცია და ამ დავალების შესრულებასთან დაკავშირებით მატერიალურ ფასეულობათა განკარგვა, თანამდებობის პირად ჩაითვლება. ასევე თანამდებობის პირად განიხილება სახალხო რაზმელი და ამხანაგური სასამართლოს წევრი მათ მოვალეობათა შესრულების დროს კანონიერების დარღვევის (მაგალითად, ქრთამის აღების) შემთხვევაში.

აღნიშნულიდან უნდა დავასკვნათ, რომ თანამდებობის პირებად არ ჩაითვლებიან დაწესებულებაში, საწარმოში ან ორგანიზაციაში მომუშავე ისეთი პირები, რომელთა მოვალეობასაც არ შეადგენს განმკარგულებელი, ორგანიზაციულ-სამეურნეო, ადმინისტრაციული ან სხვა ამგვარი ფუნქციების შესრულება და მხოლოდ ტექნიკური ხასიათის საქმიანობას ეწევიან. ასეთებია: მუშა, რიგითი კოლმეურნე, კომბაინერი, ტრაქტორისტი, მანქანის მძღოლი, დარაჯი, ელექტრომონტიორი, შიკრიკი, დამლაგებელი, ქაღალდების მანქანაზე გადამწერი (მემანქანე), მატარებლის გამცილებელი, მწყემსი და ა. შ. აგ-

რეთვე ადვოკატი, ექიმი, რომლებსაც არა აქვთ დაკავებული ადმინისტრაციული თანამდებობა.

თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც შესაბამისი თანამდებობა უჭირავს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში, საწარმოში ან ორგანიზაციაში. საზოგადოებრივ ორგანიზაციას წარმოადგენს მოქალაქეთა ისეთი ნებაყოფლობითი გაერთიანება, კოლექტივი, რომლის დანიშნულებაც არის სოციალისტური სახელმწიფოსა და ხალხისადმი სამსახური. აქედან გამომდინარე ეკლესია და სხვა რელიგიური ორგანიზაცია — საზოგადოებრივ ორგანიზაციად, ხოლო მათი წარმომადგენელი თანამდებობის პირად ვერ განიხილება.

თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენისას თანამდებობის პირების თანამონაწილეებად შეიძლება იყვნენ არათანამდებობის პირებიც (მათ შორის ეკლესიისა და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებიც).

სუბიექტური მხრივ თანამდებობრივი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით. ამასთან თანამდებობრივ დანაშაულთა დიდი ნაწილი (სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხელისუფლების გადამეტება, ქრთამის აღება, სამსახურებრივი სიყალბე) ხასიათდება მხოლოდ განზრახი ბრალით. ზოგიერთი თანამდებობრივი დანაშაულის შედგენილობისათვის (მაგალითად, 186-ე მუხლის II ნაწ., 187-ე მუხლის II ნაწ., 191-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის) საჭიროა ანგარებითი ან სხვა პირადი მოტივის დადგენა.

თანამდებობრივი დანაშაული უნდა განვასხვაოთ დისციპლინური გადაცდომისაგან, მათ შორის განსხვავების დადგენისას მხედველობაშია მისაღები მოქმედების (თუ უმოქმედობის) ხასიათი, მისი შედეგი, თვით ბრალეულის პიროვნება და სხვა გარემოებანი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ ჩადენილი ქმედობისა და დამდგარი შედეგის სიმძიმის ხასიათი. უკეთუ, მაგალითად, თანამდებობის ბოროტად გამოყენებას ან დაუდევრობას არსებითი ხასიათის ზიანი არ მიუყენებია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისათვის და, მაშასადამე, დიდი საშიშროების შემცველი არ არის, ანდა კიდევ სამსახურებრივი სიყალბე ჩადენილია არა ანგარებით ან სხვა პირადი მიზნით, ქმედობა თანამდებობრივ დანაშაულად არ ჩაითვლება და გამოიწვევს მხოლოდ დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შეფარდებას.

საქ. სსრ სს კოდექსის მეშვიდე თავში გათვალისწინებულია შემ-

დეგი სახის თანამდებობრივი დანაშაული: ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (186-ე მუხლი), ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (187-ე მუხლი), დაუდევრობა (188-ე მუხლი), ქრთამის აღება (189-ე მუხლი), მექრთამეობაში შუამავლობა (189[1]-ე მუხლი), ქრთამის მიცემა (190-ე მუხლი), სამსახურებრივი სიყალბე (191-ე მუხლი)[1].

§ 2. ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

სს კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილი ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას განმარტავს როგორც თანამდებობის პირის მიერ მოქმედების განზრახ ჩადენას ან არჩადენას სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

განსახილველი დანაშაულის შედგენილობისათვის აუცილებელია, რომ სუბიექტის მოქმედება დაკავშირებული იყოს მის თანამდებობრივ მდგომარეობასთან, მაგრამ ჩადენილი სამსახურებრივ მოთხოვნათა, სამსახურებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ და, რომ მან არსებითი ხასიათის ზიანი უნდა მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ქმედობა, რასაც ეს ნიშნები არ ახლავს, დანაშაულად არ ჩაითვლება, იგი განიხილება როგორც დისციპლინური გადაცდომა.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება გულისხმობს თანამდებობის პირის მიერ იმ უფლებათა და შესაძლებლო-

---

[1] ჩამოთვლილ შედგენილობათა გარდა, ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სს კოდექსი თანამდებობრივ დანაშაულთა თავში ითვალისწინებს სხვა სახის შედგენილობებსაც. ასე, მაგალითად, უკრაინის სსრ სს კოდექსი—ქრთამის ბროკერაჟის (171-ე მუხლი) უბრალეთის სსკ—წამატებას და სხვა დამახინჯებას გეგმის შესრულების ანგარიშგებაში (149[1]-ე მუხლი), ყაზახეთის სსკ — ხელისუფლების დისკრედიტირებას (149-ე მუხლი), აზერბაიჯანის სსკ—წამატებას და სხვა დამახინჯებას გეგმის შესრულების ანგარიშგებაში და თანამდებობის პირების მიერ ისეთი ცნობების გახმაურებას, რაც არ უნდა გახმაურებულიყო (172[1]-ე და 173-ე მუხლები), სომხეთის სსკ—ბიუროკრატიზმსა და გაჯანჯღლებას გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვაში, აგრეთვე ისეთი ცნობების გახმაურებას, რაც არ უნდა გახმაურებულიყო (188-ე და 189-ე მუხლები) და ა. შ.

ბათა სამსახურებრივი ინტერესის საწინააღმდეგოდ გამოყენებას, რომლებითაც იგი აღჭურვილია სწორედ დაკავებულ თანამდებობასთან დაკავშირებით. ეს ისეთი უფლებებია, რომლითაც თანამდებობის პირი ვერ ისარგებლებდა ამ თანამდებობის დაჭერის გარეშე, ე. ი. შეადგენს მის კომპეტენციას, მაგრამ იყენებს სამსახურებრივი მოვალეობის საწინააღმდეგოდ. მაგალითად, ფინინსპექტორი ამცირებს დასაბეგრი ქონების ღირებულებას და მით ხელს უწყობს თავის ახლობელს თუ ნაცნობს თავი დააღწიოს გადასახადის გადახდას დადგენილი რაოდენობით. გამომძიებელი პირადი ხასიათის მოსაზრებით ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან ნამდვილად დამნაშავე პირს და ა. შ.

თუ, სახელდობრ, რა ზიანი ჩაითვლება არსებითად, ეს ფაქტის საკითხია და ყოველ ცალკე შემთხვევაში იგი გადაწყდება დარღვეული ინტერესის მნიშვნელობის, მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინების საფუძველზე.

განსახილველი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს თანამდებობის პირის როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობითაც, ე. ი. სამსახურით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობით. ასე, მაგალითად, პროკურორი არ აღძრავს სისხლის სამართლის დევნას ნამდვილად დამნაშავე მისი მეგობრის წინააღმდეგ, მთავარი ბუღალტერი, მიიღებს რა აღმასრულებელ ფურცელს ერთ-ერთი თანამშრომლისაგან ყოველთვიურად შვილების სარჩოდ ალიმენტის გადახდევინების შესახებ, პირადი დაინტერესებით არ გასცემს განკარგულებას მისი ხელფასიდან განსაზღვრული თანხის დაკავებისა და დანიშნულებისამებრ გადაგზავნის შესახებ და ა. შ. ასეთ შემთხვევაში სუბიექტი დანაშაულს იდენს უმოქმედობით.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება მრავალი სახითა და ფორმით გვეელინება. იგი შეიძლება გამოიხატოს საფინანსო დისციპლინის დარღვევაში, მასალისა და პროდუქტების განიავებაში, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევაში, საქონლის უკანონოდ ნისიად გაცემაში და ა. შ.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული, როგორც თვით კანონშია (186-ე მუხლი) ნათქვამი, ხასიათდება განზრახი ბრალით. დამნაშავეს აქვს შეგნება, რომ ხელისუფლებას ან სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებს სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ამით არსებით ზიანს აყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონი-

ერ ინტერესებს და კიდევაც სურს ამგვარად მოქცევა ან სასხვათა-შორისოდ ეპყრობა თავის ასეთ მოქმედებას.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია ისეთი მოსაზრებაც, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ბრალის შერეულ ფორმას, სახელდობრ, თვით მოქმედების (ან უმოქმედობის) მიმართ ბრალი შეიძლება იყოს მხოლოდ განზრახი, ხოლო შედეგის (არსებითი ზიანის) მიმართ—როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი.[1]

თანამდებობის პირის მიერ თავისი უფროსის ისეთი განკარგულების შესრულება, რომელიც დანაშაულებრივი მიზნით იყო გაცემული, არ შეიცავს დანაშაულის შედგენილობას, უკეთუ თანამდებობის პირმა არ იცოდა და საქმის გარემოებათა მიხედვით არც შეეძლო სცოდნოდა განკარგულების გამცემის დანაშაულებრივი მიზანი. იმ შემთხვევაში კი, თუ თანამდებობის პირმა წინასწარი შეცნობით შეასრულა დანაშაულებრივი განკარგულება უფროსისა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უფროსთან ერთად დაეკისრება დასახელებულ თანამდებობის პირსაც.[2]

მოტივი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა შეიძლება იყოს ანგარება ან სხვა ისეთი პირადი დაინტერესება, როგორიც ავის შური, კარიერიზმი და სხვა ამორალური მოსაზრება, ასევე ყალბად გაგებული და უსწოროდ განხორციელებული ინტერესები დაწესებულება-ორგანიზაციისა. მაგალითად, თანამდებობის პირი საწარმოო გეგმის შესრულების მიზნით ეწევა ფულადი სახსრების უკანონო ხარჯვას, არღვევს ტექნოლოგიურ პროცესს და ა. შ. ასეთ შემთხვევებში პირადი ხასიათის მოსაზრება ფაქტიურად ინიღბება დაწესებულება-ორგანიზაციის ინტერესით, რადგან სუბიექტი გეგმის შესრულებას უკანონო ხერხით და საშუალებით იყენებს თავის გამოსაჩენად, ჯილდოს მისაღებად თუ გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან თავის დასაღწევად.

სს კოდექსის 186-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მარტივი სახე და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან თანამდებობიდან დათხოვნით.

იმავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულის კვალიფიციურ სახეს. დამამძიმებელ გარემოებებად ითვლება ქმე-

---

[1] იხ. Советское уголовное право, часть Особенная, М., 1965, გვ. 300.
[2] იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР", 1959, № 3, გვ. 42.

დობა, ჩადენილი სისტემატურად ან ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, ან რასაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი.

სისტემატურობა ნიშნავს განსახილველი ქმედობის (თუნდაც სხვადასხვაგვარი შინაარსისა და ფორმის) მრავალგზის ჩადენას, ანგარება—მატერიალური გამორჩენის მიღების სურვილს; მაგალითად, მატარებლის ვაგონ-რესტორანის გამგე სადგურებზე იძენს პროდუქტებს, ამზადებს კერძებს და ყიდის პირადი გამორჩენის მიზნით. ასეთივე მოტივია დამნაშავის ისეთ მოქმედებაში, როგორიც არის საქვეანგარიშო თანხის დროებით უკანონოდ გამოყენება პირადი საჭიროებისათვის და ა. შ. სხვა პირად მოტივად ჩაითვლება შურისძიება, პატივმოყვარეობა, თავისი უქნარობის მიჩქმალვა და სხვ. საკითხი იმის შესახებ, ქმედობას მოჰყვა თუ არა განსაკუთრებით მძიმე შედეგი, საბოლოოდ გადაწყდება სასამართლოს მიერ საქმის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინების საფუძველზე.

სასჯელი სს კოდექსის 186-ე მუხლის მეორე ნაწილით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე.[1]

დასასრულ უნდა აღინიშნოს ერთი თავისებურება, რაც ახლავს განსახილველი დანაშაულის შედგენილობას. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ 186-ე მუხლში მოცემული დანაშაული (ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) არსებითად წარმოადგენს ყოველი განზრახი თანამდებობრივი დანაშაულის (იმისდა მიუხედავად, თანამდებობრივ დანაშაულთა თავშია გათვალისწინებული თუ კოდექსის სხვა თავებში, მაგალითად, სამეურნეო დანაშაულთა, მართლმსაჯულების საწინააღმდეგო თუ სხვა დანაშაულთა თავში) გვარეობით ცნებას. ამიტომ გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების (186-ე მუხლი) გამიჯვნას კოდექსის სხვა თავებსა და მუხლებში მოცემულ თანამდებობრივი ხასიათის დანაშაულთაგან.

იმ შემთხვევაში, როდესაც თანამდებობის პირის მიერ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადე-

---

[1] ანალოგიურ ნორმას ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სს კოდექსში თავისებურება ახლავს. ასე, მაგალითად, რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის და სხვ. სს კოდექსების მიხედვით, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება მხოლოდ მაშინ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, თუ იგი ჩადენილია ანგარებით ან სხვა პირადი დაინტერესებით (იხ. შესაბამისად 170-ე, 165-ე, 166-ე, 149-ე მუხლები), მაშინ როდესაც საქ. სსრ სსკ ასეთი მოტივების არსებობას დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებებად მიიჩნევს.

ნილი ქმედობა სპეციალურად გათვალისწინებულია სს კოდექსის სხვა შესაბამის მუხლში, დამნაშავეს უნდა შეეფარდოს სწორედ ეს მუხლი და არა 186-ე მუხლი. ასე, მაგალითად, უკეთუ თანამდებობის პირის მიერ დარღვეულია მოქალაქეთა მიმოწერის საიდუმლოება, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს 143-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო პროკურორის, გამომძიებლის ან იმ პირის მიერ, რომელიც მოკვლევას აწარმოებს, უდანაშაულო პირის შეგნებულად მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში—192-ე მუხლით და ა. შ. თუმცა დასახელებული ქმედობანი ფაქტიურად წარმოადგენენ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მიერ არაერთხელ არის განმარტებული, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს 186-ე მუხლით, უკეთუ იგი თავისი შინაარსით შეესაბამება სს კოდექსის სხვა მუხლით გათვალისწინებული თანამდებობრივი დანაშაულის ნიშნებს.[1]

§ 3. ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება

სს კოდექსის 187-ე მუხლი ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას განმარტავს როგორც თანამდებობის პირის მიერ ისეთი მოქმედების განზრახ ჩადენას, რომელიც აშკარად სცილდება მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა და რწმუნებათა ფარგლებს, თუ მან არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს.

ამ დანაშაულის შედგენილობისათვის (განსხვავებით სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა, რაც სსკ 186-ე მუხლშია მოცემული) დამახასიათებელია ის, რომ თანამდებობის პირი ასრულებს ისეთ მოქმედებას, რომლის შესრულების უფლებაც ეკუთვნის მხოლოდ მასზე ზემდგომ თანამდებობის პირს (მაგალითად, დაწესებულების სამნეო განყოფილების უფროსი განკარგავს ამ დაწესებულების კრედიტებს მაშინ, როდესაც ამის უფლება აქვს მარტოოდენ დაწესებულების უფროსს) ან სხვა უწყების თანამდებობის პირს (დაწესებულების ხელმძღვანელი გასცემს განკარგუ-

---

[1] იხ. მაგალითად, „Бюллетень Верховного Суда СССР", 1959, № 3, გვ. 42.

ლებას მათ საუწყებო სახლში მცხოვრები პირის გამოსახლების შესახებ, რისი უფლებაც მხოლოდ სასამართლოს ან ზოგიერთ შემთხვევაში პროკურორს აქვს), ანდა კიდევ კოლეგიალურ ორგანოს (კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახარჯავს კოლმეურნეობის კუთვნილ დიდ თანხას გამგეობისა და კოლწევრთა საერთო კრების ნებართვის გარეშე).

შემდეგ, განსახილველი დანაშაული შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე თანამდებობის პირის ისეთი მოქმედების განხორციელებაში, რისი უფლებაც მას ჰქონდა მხოლოდ გარკვეულ გარემოებათა არსებობისას, მაგრამ ეს გარემოებანი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ დამდგარა (მაგალითად, სასამართლოს აღმასრულებელს იძულებით მოჰყავს სისრულეში კანონიერ ძალაში არშესული სასამართლოს გადაწყვეტილება) ან რის შესრულების უფლებაც კანონის ძალით არც ერთ თანამდებობის პირს არა აქვს (მაგალითად, საბავშვო სახლის გამგე აღსაზრდელი ბავშვების მიმართ გამოიყენებს დასჯის ისეთ დაუშვებელ ღონისძიებას, როგორიც არის უსადილოდ დატოვება, ცემა და ა. შ.).

ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეტებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, თუ იგი აშკარად სცილდება თანამდებობის პირისათვის კანონით მინიჭებულ უფლებათა და რწმუნებათა ფარგლებს, და ამასთან, თუ მან არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოების ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს. აღნიშნული ქმედობის შედეგად არაარსებითი ზიანის მიყენების შემთხვევა განიხილება დისციპლინურ გადაცდომად.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეტება დაკავშირებული უნდა იყოს თანამდებობის პირის სამსახურებრივი მდგომარეობის შესრულებასთან; ასეთი კავშირის გარეშე ჩადენილი ქმედობა თანამდებობრივ დანაშაულად საერთოდ არ წაითვლება. ასე, მაგალითად, უკეთუ რაიონის პროკურატურის გამომძიებელი თვითნებურად დაიკავებს სახლში განთავისუფლებულ საბინაო ფართობს, იგი პასუხს აგებს არა ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის, არამედ როგორც კერძო პირი თვითნებობისათვის (სსკ 220-ე მუხლი).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ განსახილველი დანაშაული, როგორც თვით კანონშია (სსკ 187-ე მუხლი) აღნიშნული, განზრახ ბრალით ხასიათდება. დამნაშავეს აქვს იმის შეგნება, რომ მისი მოქმედება აშკარად სცილდება მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა და რწმუნებათა ფარგლებს და სურს კიდევაც გარკვეული მძიმე

შედეგის დადგომა (პირდაპირი განზრახვა) ან სასხვათაშორისოდ ეპყრობა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას (არაპირდაპირი განზრახვა).[1]

სს კოდექსის 187-ე მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის ძალით ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან თანამდებობიდან დათხოვნით.

მეორე ნაწილი ითვალისწინებს იგივე ქმედობას, ჩადენილს სისტემატურად ან ანგარებით, ან სხვა პირადი მოტივით, რამაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი გამოიწვია. სასჯელი—თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე.

დაბოლოს, მესამე ნაწილში მოცემულია განსახილველი დანაშაულის განსაკუთრებით საშიში სახე, სახელდობრ, ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, თუ მასთან ახლდა ძალადობა ან იარაღის გამოყენება, ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხმყოფელი მოქმედება.

ძალადობა ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური (ცემა, სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა და ა. შ.), ასევე ფსიქიკურიც (მუქარა, დაშინება და ა. შ.). იარაღის გამოყენება შეიძლება გამოიხატოს დაზარალებულის სხეულის დაზიანებაში ან მის მოკვლაში, ანდა კიდევ ასეთი ზიანის მიყენების მუქარაში. უკეთუ დამნაშავემ ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასთან დაკავშირებით ჩაიდინა მკვლელობა ან სხეულის მძიმე დაზიანება, ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით—სს კოდექსის 167-ე მუხლის მესამე ნაწილით და მკვლელობის ან სხეულის მძიმე დაზიანების შესახებ შესაბამისი მუხლით. დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხმყოფელ მოქმედებად ჩაითვლება დაზარალებულისადმი ისეთი მოპყრობა, რაც ამცირებს მის ღირსებასა და პატივს. საკითხს, შეიცავს თუ არა დამნაშავის მოქმედება პიროვნების ღირსების შეურაცხმყოფელ ნიშნებს, გადაწყვეტს სასამართ-

---

[1] ზოგიერთი ავტორის აზრით, ბრალი თვით მოქმედების მიმართ შეიძლება იყოს მხოლოდ განზრახი, ხოლო შედეგის მიმართ—როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი (იხ. „Советское уголовное право, часть Особенная", М., 1965, გვ. 904).

ლო სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების გათვალისწინებით.

ძალადობა ან იარაღის გამოყენება ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხმყოფელი მოქმედება ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების დამამძიმებელ მაკვალიფიცირებელ გარემოებად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაკავშირებულია თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. ამიტომ, უკეთუ თანამდებობის პირი, მაგალითად, მეზობლებთან დავისა და ჩხუბის დროს გამოიყენებს იარაღს, იგი პასუხს აგებს არა 187-ე მუხლის მესამე ნაწილით, არამედ პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის საერთადო მუხლით.

ამას გარდა, საჭიროა დადგენა იმისა, რომ დამნაშავე თანამდებობის პირსა და დაზარალებულს შორის არსებობს დამნაშავის სამსახურებრივი მდგომარეობით გაპირობებული დამოკიდებულება. ამის გარეშე ჩადენილი ქმედობა დაკვალიფიცირდება როგორც დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (სხეულის დაზიანება, ცემა, შეურაცხყოფა და ა. შ.). ვინმე ს. მსჯავრდებულ იქნა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის იმის გამო, რომ, მუშაობდა რა წისქვილის გამგის თანამდებობაზე, სცემა ხორბლის დასაფქვავად წისქვილში მისულ ზ-ს და სხვა პირებს, რომლებმაც წესრიგი დაარღვიეს წისქვილში. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა არ ჩათვალა სწორად ს.-ს ქმედობის აღნიშნული კვალიფიკაცია და განმარტა, რომ „არც ზ. და არც სხვა დაზარალებულები ს.-ზე დაქვემდებარებულნი არ იყვნენ. ბრალდებული ს. არ იყო აღჭურვილი აგრეთვე დაზარალებულთა მიმართ რაიმე სამსახურებრივი უფლებამოსილებით. ამასთან დაკავშირებით ს.-ს არ შეეძლო ჩაედინა დაზარალებულების მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების აქტი".[1]

სასჯელი 187-ე მუხლის მესამე ნაწილით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან რვა წლამდე.

§ 4. დაუდევრობა

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაუდევრობისათვის გათვალისწინებულია სს კოდექსის 188-ე მუხლში.

დაუდევრობა არის თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად. შეს-

---

[1] იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР", 1959, № 5, გვ. 10.

რულება მისდამი დაუდეგარი დამოკიდებულების შედეგად, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

ობიექტური მხრივ დანაშაული შეიძლება გამოიხატოს როგორც უმოქმედობაში (შეუსრულებლობა), ასევე მოქმედებაში (არაჯეროვნად შესრულება). უმოქმედობა ნიშნავს შეუსრულებლობას ისეთი სამსახურებრივი მოვალეობისა, რომლის შესრულებაც ევალებოდა თანამდებობის პირს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით. მაგალითად, მორიგე ექიმი საავადმყოფოში სასწრაფო დახმარებისათვის მიყვანილ ავადმყოფს არ შეამოწმებს, არ ალმოუჩენს სათანადო დახმარებას, რის შედეგადაც ავადმყოფი გარდაიცვლება. მოქმედება კი გულისხმობს სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებას, ე. ი. თანამდებობის პირის იმგვარ ქცევას, რაც არ უზრუნველყოფს სამსახურით მისთვის მინდობილი საქმის მართებულად მოგვარებას. მაგალითად, დაწესებულების ხელმძღვანელი მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე დანიშნავს შეუმოწმებელ, წარსულში ანგარებითი დანაშაულისათვის ნასამართლობის მქონე პირს, რომელიც გაიტაცებს სოციალისტურ ქონებას დიდი ოდენობით და მიიმალება, ან კიდევ საწყობის გამგე მინდობილი საქმისადმი უყურადღებობის გამო ზედმეტად მისცემს მიმღებს დიდი საფასურის საქონელს და სხვ.

ყოველ საქმეზე დაუდეგრობის შესახებ უნდა არსებობდეს კონკრეტული გარემოება, დამადასტურებელი ბრალდებულის დანაშაულებრივი დამოკიდებულებისა თავისი მოვალეობისადმი. „სასამართლო, ცნობს რა თანამდებობის პირს დამნაშავედ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი დაუდეგრობაში, ვალდებულია განაჩენში მიუთითოს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა დაუდეგრობა“.[1]

დანაშაულის შედგენილობისათვის აუცილებელია, რომ თანამდებობის პირის დაუდეგრობამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს. უკეთუ დაუდეგრობას ასეთი შედეგი არ მოჰყოლია, იგი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დისციპლინური გადაცდომა.

დაუდეგრობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ გამოიწვევს, თუ კანონში გათვალისწინებული მძიმე

---

[1] იხ. „Социалистическая законность“, 1980, № 7, გვ. 89.

შედეგი უშუალოდ მისგან იყო გამოწვეული, იმყოფებოდა მიზეზობრივ კავშირში დამნაშავის მოქმედებასთან ან უმოქმედობასთან (მაგალითად, მთავარი ბუღალტრის მხრივ ჯეროვანი კონტროლის გაუწევლობამ გაუადვილა საქვეანგარიშო პირს გაეტაცებინა დიდი ოდენობის თანხა).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დაუდევრობა ხასიათდება გაუფრთხილებელი ბრალით, რადგან თვით კანონშია (სსკ 188-ე მუხლი) აღნიშნული, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება ჩადენილი უნდა იქნეს „მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების შედეგად". გაუფრთხილებელი ბრალი აღ შემთხვევაში შეიძლება გამოიხატოს როგორც დაუდევრობის,[1] ასევე თვითიმედოვნების[2] სახით.

დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი. უკეთუ დანაშაულებრივ-დაუდევარი დამოკიდებულება თავისი მოვალეობისადმი დაშვებული იქნება არათანამდებობის პირის მიერ, რომელსაც მინდობილი აქვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაცვა ან გადაზიდვა, თუ მას მოჰყვა ამ ქონების დიდი ოდენობით გატაცება, დაზიანება, გაფუჭება ან დაღუპვა, იგი პასუხს აგებს სს კოდექსის 102-ე მუხლის საფუძველზე.

დაუდევრობა (188-ე მუხლი) განსხვავდება ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისაგან (186-ე მუხლი) ძირითადად სუბიექტური მხრივ. სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისას დამნაშავე მოქმედებს (ან უმოქმედობას იჩენს) განზრახ, მაშინ როდესაც დაუდევრობისათვის დამახასიათებელია მხოლოდ გაუფრთხილებლობა (სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება). სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს არაერთხელ განუმარტავს, რომ თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მის ქმედობაში განზრახვის

---

[1] მაგალითად, საწარმოს სახანძრო დაცვის უფროსი არ ახორციელებს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს, რის გამოც ხანძარმა გაანადგურა ძვირფასი ნედლეული (ამ შემთხვევაში დამნაშავეს არა აქვს შეგნება იმისა, რომ იჩენს დაუდევრობას და არც ითვალისწინებს მძიმე შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ მოვალე იყო და შეეძლო კიდევაც მისი გათვალისწინება).

[2] მაგალითად, ბუღალტერ-რევიზორი არ ჩაუტარებს რეგულარულად რევიზიას მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს, რომლებმაც გაფლანგეს დიდი ოდენობის თანხა, მოუფიქრებლად ვარაუდობს რა, რომ მათ ყველაფერი რიგზე აქვთ (ამ შემთხვევაში დამნაშავე თუმცა ითვალისწინებს, რომ არღვევს სამსახურით დადგენილ წესს, მაგრამ ქარაფშუტულად იმედოვნებს ზიანის თავიდან აცილებას).

დაუდგენლობის შემთხვევაში ჩაითვლება დაუდევრობად, ხოლო თანამდებობის პირის განზრახი უკანონო მოქმედება (ან უმოქმედობა) სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ—სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად.

სს კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დაუდევრობა დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან თანამდებობიდან დათხოვნით.

იმავე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია დაუდევრობის კვალიფიციური სახე, სახელდობრ, იგივე ქმედობა, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა.[1] სასჯელი—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე.

§ 5. მექრთამეობა

მექრთამეობა ერთ-ერთი ყველაზე უფრო საშიში დანაშაულია, განსაკუთრებით მოუთმენელი კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პირობებში.

ძველი სამყაროს ამ უსაძაგლეს გადმონაშთთან სასტიკი ბრძოლა მუდამ წარმოადგენდა და წარმოადგენს ამჟამად საბჭოთა ხელისუფლების საზრუნავ საგანს. მექრთამეობასთან ბრძოლის წარმატებით წარმოება იმავდროულად უზრუნველყოფს ცალკეულ ადამიანთა შორის წვრილბურჟუაზიული აღვირახსნილობის, მომხვეჭელობისა და უსინდისობის აღმოფხვრას.

მექრთამეობის ფაქტები ყოველთვის მძაფრად აღელვებდა ვ. ი. ლენინს. ჯერ კიდევ 1918 წლის დასაწყისში ვ. ი. ლენინი მოითხოვდა გამოცემულიყო კანონი, რომელიც მექრთამეობისათვის დააწესებდა სასჯელის უმკაცრეს ზომებს.

რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისრის დ. ი. კურსკისადმი გაგზავნილ ბარათში ვ. ი. ლენინი წერდა: „საჭიროა ა ხ ლ ა ვ ე, დემონსტრაციული სისწრაფით შეიტანოთ კანონპროექტი, რომ სასჯელი ქრთამისათვის (მექრთამეობა, მოსყიდვა შუამავლობა ქრთამის აღებაში და სხვ. და ა. შ.) უნდა იყოს ს უ ლ მ ც ი რ ე ათი წლის საპყრობილე და, გარდა ამისა, ათი წლის იძულებითი მუშაობა“.[2]

1918 წლის 8 მაისს ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გამოცემულ

---

[1] ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სს. კოდექსები დაუდევრობის მხოლოდ ერთ სახეს ითვალისწინებენ. მათთვის უცნობია დანაშაულის კვალიფიციური სახე.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 35, გვ. 352.

იქნა სახკომსაბჭოს პირველი დეკრეტი „მექრთამეობის შესახებ“, რომელიც ქრთამის აღებისათვის აწესებდა თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ხუთი წლისა იმავე ვადის იძულებითი მუშაობით.

ვ. ი. ლენინს ყოველად მოუთმენლად მიაჩნდა მექრთამეობისადმი შემწყნარებელი დამოკიდებულება, მათდამი ლმობიერი სასჯელების შეფარდება; იგი მოითხოვდა პარტიიდან ისეთი კომუნისტების განდევნას, „რომელთაც არათუ არ ძალუძთ ბრძოლა საქმის გაჭიანურებასთან და მექრთამეობასთან, არამედ ხელსაც უშლიან მათთან ბრძოლას“.[1]

არაერთხელ ყოფილა საბჭოთა პრესაში აღნიშნული, რომ ყველა მშრომელი ადამიანის აღშფოთებას იწვევს მექრთამეობის — წარსულის ამ სამარცხვინო მემკვიდრეობის ფაქტები. ამ დანაშაულის დიდი საზოგადოებრივი საშიშროება ის არის, რომ მექრთამეობა სახელს უტეხს საბჭოთა სახელმწიფო აპარატის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ავტორიტეტს მოქალაქეთა თვალში.

მართალია, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სს კოდექსები თავიდანვე ითვალისწინებდნენ მექრთამეობის ცალკეული სახეების (ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა და ა. შ.) დასჯადობას, აწესებდნენ მასში ბრალეულ პირთათვის სასჯელის გარკვეულ ზომებს, მაგრამ სასჯელის ეს ზომები ვერ ასახავდნენ საბჭოთა საზოგადოებრიობის მკვეთრად შეურიგებელ დამოკიდებულებას ამ სახის დანაშაულისადმი, ვერ ახდენდნენ ჯეროვან გამაფრთხილებელ ზეგავლენას დაბალი ზნეობის მქონე, მერყეე ადამიანებზე, ვერ უზრუნველყოფდნენ ეფექტურ ბრძოლას პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სს კანონმდებლობაში არ იყო ერთგვაროობა მექრთამეობის დასჯადობის საკითხში და ეს გარემოებაც აბრკოლებდა საერთო საკავშირო მასშტაბით ამ მძიმე დანაშაულის ყოველი ფორმის სავსებით აღმოფხვრის ამოცანის მართებულად გადაწყვეტას.

კანონმდებლობის ამ ნაკლოვანებათა აღკვეთის მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 20 თებერვალს გამოსცა ბრძანებულება „მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“, რომლის ზუსტი შესაბამისობით ამჟამად ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სს კოდექსებში ჩამოყალიბებულია მუხლები მექრთამეობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

მექრთამეობა გულისხმობს როგორც ქრთამის აღებას, ასევე

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 69.

მექრთამეობაში შუამავლობას და ქრთამის მიცემას. დანაშაულის ეს სამი სახე მჭიდროდ არის ერთიმეორესთან დაკავშირებული და ამიტომაც მოქმედი კოდექსი მათ ითვალისწინებს ერთსა და იმავე თავში, სახელდობრ, თავში „თანამდებობრივი დანაშაული“.

1. ქრთამის აღება. ქრთამის აღება, გათვალისწინებული სს კოდექსის 189-ე მუხლში, ნიშნავს თანამდებობის პირის მიერ პირადად ან შუამავლის მეშვეობით ყოველი სახის მატერიალური ფასეულობის თუ მატერიალური გამორჩენის მიღებას მიმცემის ინტერესებისათვის ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც თანამდებობის პირს უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

ქრთამის საგანი შეიძლება იყოს ყოველივე, რასაც კი მატერიალური ღირებულება აქვს, სახელდობრ: ფული, ნივთები, პროდუქტები, შინაური პირუტყვი, საამშენებლო მასალა, ფასიანი ქაღალდები და ა. შ., აგრეთვე მატერიალური ხასიათის სამსახურის გაწევა ქრთამის მიმცემის მიერ (ბინის, სანატორიუმის საგზურის მიცემა, ბინის შეკეთება, ე. წ. „მაყარიჩი“, ე. ი. გამასპინძლება და სხვ.). უკეთუ ქრთამის საგანს შეადგენდა ქრთამის ამღებისა და მიმცემის წინასწარ შეცნობით სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის კუთვნილი ფასეულობა, ორივე მხარე პასუხს აგებს როგორც მექრთამეობისათვის, ასევე სოციალისტური ქონების გატაცებისათვის.

ისეთი საგანი და სამსახურის გაწევა, რასაც მატერიალური ღირებულება არა აქვს (მაგალითად, ფოტოსურათი, პრესაში დადებითი დახასიათების გამოქვეყნება, საერთო კრებაზე გაკრიტიკებისაგან თავის დაჭერა და ა. შ.) ვერ ჩაითვლება როგორც ქრთამი. ასევე ქრთამის აღებად არ ჩაითვლება სქესობრივი კავშირის დაჭერა. უკანასკნელი შემთხვევა გარკვეული პირობის არსებობისას შეიძლება დაკვალიფიცირდეს სსკ 118-ე მუხლით (ქალის იძულება სქესობრივი კავშირის დაჭერისთვის) ან 186-ე მუხლით (სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება).

ქრთამი შეიძლება აღებულ იქნეს როგორც უშუალოდ, პირადად, ასევე შუამავლის მეშვეობით, ფოსტით, შემნახველ სალაროში ქრთამის ამღების პირად ანგარიშზე თანხის შეტანით და ა. შ. ქრთამის აღება ზოგჯერ შენიღბულად წარმოებს, მაგალითად, სესხის სახით, ჩუქებით, ბანქოს თამაშში წაგებით და სხვა ხერხით. ქრთამის შენიღბული აღების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს თანამდებობის პირისათვის უკანონო შეთავსების საფუძველზე სხვა,

დაქვემდებარებულ დაწესებულება-ორგანიზაციიდან „ხელფასის“, ასევე პრემიების გაცემა. მაგალითად, ბუღალტერ-რევიზორისათვის ქვემდგომ დაწესებულებაში შეთავსებით მუშაობა და ხელფასის მიღება, სატრანსპორტო დაწესებულების მომუშავის პრემირება კლიენტი დაწესებულების მიერ კარგი მომსახურებისათვის[1] და ა. შ. ასეთ შემთხვევებში ფაქტიურად ადგილი აქვს თანამდებობის პირის მიერ მატერიალური გამორჩენის მიღებას უკანონოდ ისეთი საქმიანობისათვის, რაც ისედაც შეადგენს მის სამსახურებრივ მოვალეობას.

ქრთამის აღების შედგენილობა მხოლოდ მაშინ არის, როდესაც ქრთამი ამა თუ იმ სახით აღებულია თანამდებობის პირის მიერ ქრთამის მიმცემის ინტერესების შესაბამისად რაიმე მოქმედების შესრულებისა ან შეუსრულებლობისათვის, რაც დაკავშირებულია თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებასთან. „ქრთამის მიმცემის ინტერესებს“ წარმოადგენს არა მარტო უშუალოდ ქრთამის მიმცემის, არამედ აგრეთვე მისი ნათესავების, ნაცნობების ინტერესები (მაგალითად, ქრთამი შეიძლება აღებულ იქნეს თვით ქრთამის მიმცემის თუ მისი მეუღლის, შვილის და სხვ. სასწავლებელში ჩასარიცხად) და იმ დაწესებულება-ორგანიზაციის ინტერესები, სადაც ქრთამის მიმცემი მუშაობს (მაგალითად, საწარმოსათვის ფონდირებული მასალის გამოსაყოფად).

ქრთამი შეიძლება აღებულ იქნეს როგორც რაიმე მოქმედების შესრულებისათვის (მაგალითად, გამომძიებლის მიერ სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტა), ასევე შეუსრულებლობისათვის (მაგალითად, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისაგან თავის დაჭერა). ქრთამით გაპირობებული მოქმედება ან უმოქმედობა თანამდებობის პირისა შეიძლება იყოს როგორც კანონიერი, მართლზომიერი (საქმის წარმოების შეწყვეტა იმ პირის მიმართ, რომელიც უსაფუძვლოდ იყო მიცემული პასუხისგებაში), ასევე უკანონო, მართლსაწინააღმდეგო (საქმის წარმოების შეწყვეტა ისეთი პირის მიმართ, რომელიც წინასწარი შეცნობით ბრალეულია). ამასთან დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა

---

[1] ერთ-ერთი რკინიგზის სადგურის მწონავი დ. შეთავსებით მუშაობდა საკონსერვო ქარხანაში მზა პროდუქციის საწყობის გამგის თანამდებობაზე. სარგებლობდა რა რკინიგზის მწონავის თანამდებობით, თვითონვე ტვირთავდა ვაგონებში საკონსერვო ქარხნის პროდუქციას და აგზავნიდა დანიშნულებისამებრ. სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ განმარტა, რომ ტრანსპორტის მომუშავეთა მიერ ხელფასის მიღება საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებში ისევე როგორც მეკრთამეობა.

არა აქეს ქრთამი აღებულია დაპირებული მოქმედების (თუ უმოქმედობის) შესრულების წინ თუ შემდეგ.

უკეთუ ქრთამის აღების შედეგად თანამდებობის პირის მიერ ჩადენილია მოქმედება ან უმოქმედობა დაკავშირებული კანონის სხვაგვარ დარღვევასთან, იგი პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობის წესით—ქრთამის აღებისათვის და ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის.

სს კოდექსის 189-ე მუხლის ძალით ქრთამი აღებულ უნდა იქნეს ისეთი მოქმედების შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც თანამდებობის პირს უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. კანონის ეს მოთხოვნა გაგებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ თანამდებობის პირმა მატერიალური გამორჩენა (ქრთამი) შეეძლება მიიღოს არა მარტო ისეთი მოქმედებისათვის, რის შესრულება ან შეუსრულებლობა მის უშუალო სამსახურებრივ უფლებამოსილებას შეადგენდა, არამედ ისეთისთვისაც, რომლის განხორციელებაც მას შეეძლო სხვა თანამდებობის პირებზე თავისი გავლენის მოხდენით[1]. რაიმე სახის მატერიალური გამორჩენის მიღება თანამდებობის პირის მიერ ისეთი მოქმედებისათვის, რაც არ იყო დაკავშირებული თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებასთან, ქრთამის აღებად არ ჩაითვლება (მაგალითად, საამშენებლო-საგარაჟო კოოპერატივის კომენდანტი ღებულობს აგარაკების მფლობელთაგან ჯილდოს მათთვის დამქირაველელი მოაგარაკეების მოყვანისათვის).

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ქრთამის აღების მომენტიდან, იმისდა მიუხედავად, თანამდებობის პირმა განახორციელა თუ არა დაპირებული მოქმედება ან საერთოდ სურდა თუ არა მას ქრთამის აღებით შეესრულებინა რაიმე ქრთამის მიმცემისათვის.

უკეთუ დადგენილია, რომ თანამდებობის პირი მოითხოვდა ქრთამს, აწარმოებდა მოლაპარაკებას აბა თუ იმ მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობისათვის მატერიალური გამორჩენის ოდენობის და სხვ. პირობების შესახებ, ქმედობა განიხილება ქრთამის აღების მცდელობად და დაკვალიფიცირდება სსკ მე-17 და 189-ე მუხლებით.

---

[1] ქრთამის აღებად დაკვალიფიცირდა მილიციის ქალაქის სამმართველოს მოხუცების მიერ გარკვეული ფულადი თანხის მიღება ერთ-ერთი პირის საბინაო დავთარში გაწერის ნებართვის მიღებისათვის, რასაც მან მიაღწია მილიციის რაიონული განყოფილების სპასპორტო მაგიდის გამგეზე თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ზეგავლენით.

I. ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲘ ქრთამის აღებისა შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის № 9 დადგენილების („მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ") თანახმად ისეთი მომუშავე, არათანამდებობის პირი, როგორიც არის რკინიგზის გამცილებელი, ატელიეს გამომჭრელი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშა და სხვ., რომლებიც მოქალაქეებისაგან ღებულობენ გასამრჯელოს მათთვის გაწეული სამსახურისათვის, მიეცემიან ადმინისტრაციულ ან დისციპლინურ პასუხისგებაში, ან მათ მიმართ გამოყენებულ იქნება საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი, უკეთუ ასეთი მოქმედება არ შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს (მაგალითად, კერძო მეწარმეობით საქმიანობას, კომერციულ შუამავლობას, აკრძალული რეწვის წარმოებას, თაღლითობას და ა. შ.).

იმ შემთხვევაში, როდესაც არათანამდებობის პირი მიიღებს ამა თუ იმ სახის საზღაურს მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით და მიაყენებს ზიანს სანელმწიფოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მისი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს სს კოდექსის 98-ე მუხლით (მაგალითად, ვაგონის გამცილებლის მიერ მგზავრებისაგან ფულის აღება უბილეთო მგზავრობისათვის).

უკეთუ საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელი მიანდობს სხვა პირებს, მათ შორის სამსახურით მასზე დაქვემდებარებულთ, ქრთამის მიცემით მიაღწიონ სასურველ მოქმედებას ან უმოქმედობას, მან პასუხი უნდა აგოს, როგორც ქრთამის მიცემის ორგანიზატორმა, ხოლო პირი, რომელიც ასეთი მინდობილობის საფუძველზე შეუთანხმდება თანამდებობის პირს ქრთამის საშუალებით ამა თუ იმ მოქმედების შესრულების შესახებ და გადასცემს ქრთამს, პასუხს აგებს როგორც ქრთამის მიმცემი. თუ ასეთი პირის მოქმედება ამოიწურება მარტოოდენ ქრთამის მიცემით საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მითითებით, მან პასუხი უნდა აგოს მექრთამეობაში შუამავლობისათვის, ხოლო საწარმოს და დაწესებულების ხელმძღვანელმა — ქრთამის მიცემისათვის[1].

ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲛᲮᲠᲘᲕ ქრთამის აღება შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს აქვს იმის შეგნება, რომ იგი უკანონოდ ღებულობს სხვა პირისაგან მატერიალურ საზღაურს მის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობისათვის თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და სურს ეს.

---

[1] იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1962, № 6, გვ. 72—76.

თანამდებობის პირის განზრახვა უნდა შეიცავდეს იმის შეგნებასაც, რომ მატერიალური გამორჩენის უკანონოდ მიღება შეგნებული აქვს აგრეთვე ქრთამის მიმცემს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქრთამის აღების შედგენილობა არ იქნება; მაგალითად, ისეთი ქმედობა, როგორიც არის სახლის მმართველის მიერ მობინადრისაგან ბინების შეკეთებისათვის საფასურის გადახდევინება, მაშინ როდესაც ეს სამუშაო წარმოებდა სახლმმართველობის ხარჯზე, ჩაითვლება არა ქრთამის აღებად, არამედ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად (სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწ.).

სს კოდექსის 189-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია ქრთამის აღების შარტიები სახე, დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე, და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით.

იმავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ქრთამის აღების კვალიფიციურ სახეს. დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებად ითვლება ქრთამის აღება თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც პასუხსაგები მდგომარეობა აქვს, ან ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის, ან ისეთი პირის მიერ, რომელსაც არაერთჯერ აუღია ქრთამი, ან რასაც თან სდევდა ქრთამის გამოძალვა.

საკითხი იმის შესახებ, თანამდებობის პირს პასუხსაგები მდგომარეობა აქვს თუ—არა, გადაწყდება ყოველი საქმის კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით, რადგან სპეციალური ჩამოთვლა პასუხსაგებ თანამდებობის პირებისა არ არსებობს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოთ მოხსენიებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ საკითხი იმ თანამდებობის პირის პასუხსაგები მდგომარეობის შესახებ, რომელსაც ბრალი ედება ქრთამის აღებაში, გადაწყდება სასამართლოს მიერ საქმის კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით დაკავებული თანამდებობის და მის მიერ განსახორციელებელი ფუნქციების მნიშვნელობის გათვალისწინებით (ხელისუფლების წარმომადგენლები, საწარმოების, დაწესებულებისა და უწყებების ხელმძღვანელი მომუშავეები, საკონტროლო და სარევიზიო ორგანოების ოპერატიული მომუშავეები და სხვ.).

მექრთამეობისათვის სამართალში ადრე ნამყოფად ჩაითვლება პირი, რომელიც წარსულში უკვე იყო მსჯავრდებული სასამართლოს მიერ ქრთამის აღებისათვის ან ქრთამის მიცემისათვის ანდა კიდევ მექრთამეობაში შუამავლობისათვის, უკეთუ ამასთან ნასამართლობა აღნიშნული დანაშაულისათვის არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი კანონით დადგენილი წესით.

ქრთამის არაერთჯერ აღება ნიშნავს ქრთამის აღებას ორჯერ მაინც, თუ არ არის გაშვებული კანონით გათვალისწინებული ვადები სისხლის სამართლის დევნის ხანდაზმულობისა. ერთდროულად რამდენიმე პირისაგან ქრთამის აღება განხილულ უნდა იქნეს, როგორც არაერთჯერ ჩადენილი დანაშაული.

განსხვავებით ქრთამის აღების ისეთი დამამძიმებელი გარემოებისაგან, როგორიც არის მექრთამეობისათვის ადრე სამართალში ყოფნა, ქრთამის აღება არაერთჯერ გულისხმობს იმას, რომ თანამდებობის პირი ქრთამის აღებისათვის წინათ მსჯავრდებული არ ყოფილა.

ქრთამის აღება არაერთჯერ არ იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც ქრთამი აღებულია ნაწილ-ნაწილ ერთი და იმავე პირისაგან მის სასარგებლოდ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით რაიმე ერთი მოქმედების შესრულებისა ან შეუსრულებლობისათვის.

დაბოლოს, ქრთამის გამოძალვა ნიშნავს თანამდებობის პირის მიერ ქრთამის მოთხოვნას იმის მუქარით, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით განხორციელდება ისეთი მოქმედება, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ქრთამის მიმცემის კანონიერ ინტერესებს, ან უკანასკნელის განზრახ ისეთ პირობებში ჩაყენება, რა დროსაც იგი იძულებულია ქრთამი მისცეს მისი სამართლით დაცული ინტერესებისათვის ზიანის მიყენების აღსაკვეთად.

გამოძალვა უნდა განხორციელდეს თვით თანამდებობის პირის მხრივ (და არა მექრთამეობაში შუამავლის მხრივ) და ამასთან მუქარა შეგნებული უნდა იყოს ქრთამის მიმცემის მიერ როგორც რეალური.

თანამდებობის პირის მიერ ქრთამის მოთხოვნა მუქარით, რომ შესრულებული იქნება ამა თუ იმ პირის საზიანო ისეთი მოქმედება, რაც არ არის დაკავშირებული მის სამსახურებრივ მდგომარეობასთან, თანამდებობრივ დანაშაულს არ წარმოადგენს და დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 154-ე მუხლით (გამოძალვა).

ქრთამის აღების ერთ-ერთი აღნიშნული დამამძიმებელი გარემოების არსებობა მეტყველებს დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირის განსაკუთრებულ საშიშროებაზე.

სასჯელი სს კოდექსის 189-ე მუხლის მეორე ნაწილით—თავისუფლების აღკვეთა ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე,

ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში—სიკვდილით დასჯა ქონების კონფისკაციით.

სასჯელის ზომის განსაზღვრის დროს,—აღნიშნულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 იულისის დადგენილებაში „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ",—სასამართლოები არ უნდა უშვებდნენ ხელაღებით მიდგომას. კონკრეტული საქმის განხილვისას საჭიროა ჩადენილი დანაშაულის ყველა გარემოებისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინება, ბოროტი მექრთამეების განსხვავება დანაშაულის მეორეხარისხოვანი მონაწილეებისა და იმ პირებისაგან, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს შემთხვევით გარემოებათა ძალით.

2. მექრთამეობაში შუამავლობა. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მექრთამეობაში შუამავლობისათვის გათვალისწინებულია სს კოდექსის 189[1]-ე მუხლში.

მექრთამეობაში შუამავალი არის ის, რომელიც, მოქმედებს რა ქრთამის მიმცემის ან ქრთამის ამღების თხოვნით თუ დავალებით, ხელს უწყობს ქრთამის მიცემა-აღების მიღწევას თუ განხორციელებას.

შუამავლობა მექრთამეობაში შეიძლება გამოიხატოს ქრთამის მიმცემისა და ამღების ურთიერთდაკავშირების ორგანიზაციაში იმ მიზნით, რომ ისინი შეთანხმდნენ ქრთამის საკითხზე, მატერიალურ უსასეულობათა უშუალოდ გადაცემაში ქრთამის ამღებისათვის და ა. შ.

შუამავალი შეიძლება მოქმედებდეს როგორც ქრთამის მიმცემის, ასევე ქრთამის ამღების ინტერესებიდან გამომდინარე. მეტწილად შუამავალი მატერიალურ გამორჩენას ღებულობს ასეთი საქმიანობისათვის ქრთამის მიმცემისგან ან ქრთამის ამღებისგან (ფულადი თანხით, გამასპინძლებით და ა. შ.), ზოგჯერ ორივე მხრისგან, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ იგი მოქმედებდეს ანგარების გარეშეც პირადად ვერ პოულობდეს რაიმე გამორჩენას. მაგალითად, პირი მექრთამეობაში შუამავლობისას ხელმძღვანელობს ნათესაური ან მეგობრული დამოკიდებულებით ქრთამის მიმცემთან თუ ამღებთან.

უკეთუ ქრთამის საგანს წარმოადგენდა სახელმწიფოს ან საზოგადრებრივი ორგანიზაციის კუთვნილი ფული ან სხვა სახის ფასეულობა, რომლის ნაწილიც შუამავალს გადაეცა ჯილდოდ და ეს გარემოება მისთვის ცნობილი იყო, უკანასკნელმა პასუხი უნდა აგოს როგორც მექრთამეობაში შუამავლობისათვის, ასევე სათანა-

დო შემთხვევაში წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ სოციალისტური ქონების გატაცებისათვის.

ზოგჯერ პირი, წააქეზებს რა ქრთამის მიმცემს, მიიღებს მისგან ფულს ან სხვა ფასეულობას, ვითომდა თანამდებობის პირისათვის გადასაცემად ქრთამის სახით, მაგრამ სინამდვილეში ამ დაპირებას კი არ ასრულებს, არამედ მიითვისებს ქრთამის საგანს. ასეთ შემთხვევაში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის მოხსენიებული დადგენილების ძალით, პირი, რომელიც ქრთამის მიმცემს აქეზებდა, პასუხისგებაში მიეცემა ქრთამის მიცემის წამქეზებლობისათვის (სს კოდექსის მე-19 და 190-ე მუხლებით).[1] ამასთან გასათვალისწინებელია ის, რომ იმ პირის მოქმედება, რომელმაც წაქეზების შედეგად მიიღო ქრთამის მიმცემისაგან რაიმე ფასეულობა ვითომდა თანამდებობის პირისათვის ქრთამის სახით გადაცემის მიზნით, მაგრამ ფაქტიურად თვითონ მიითვისა, მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება სსკ მე-19 და 190-ე მუხლებით (ქრთამის მიცემის წამქეზებლობა), თუ დადგენილია, რომ იგი მართლაც წამქეზებლობას ეწეოდა ე. ი. იყოლიებდა სხვა პირს ქრთამის მიცემაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელდობრ, მისი მხრივ წამქეზებლობის ნიშნების დაუდგენლობისას, ასევე მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით, მაგრამ არა თანამდებობის პირისათვის გადაცემის მიზნით, ფასეულობის მიღებისას ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც თაღლითობა (სს კოდექსის 153-ე მუხლი).

მართალია, მექრთამეობაში შუამავლობა ფაქტიურად წარმოადგენს ქრთამის მიცემა-აღებაში დახმარების ერთ-ერთ ფორმას, მაგრამ ასეთი დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეობის სხვა მსგავსი ფორმებისაგან (წამქეზებლობა, დახმარება) იგი ძირითადად განსხვავდება იმით, რომ შუამავალი წარმოადგენს ქრთამის მიმცემისა და ამღების ურთიერთდამაკავშირებელ რგოლს, მაშინ როდესაც დამხმარე ხელს უწყობს რჩევა-დარიგებით, მითითებით და ა. შ. მარტოოდენ ერთ მხარეს — ქრთამის მიმცემს ან ამღებს ისე, რომ მათ ურთიერთთან არ აკავშირებს. მექრთამეობაში შუამავლობა ყოველთვის გულისხმობს შუამავლის კავშირს ერთდროულად ქრთამის მიმცემთან და ამღებთან.

ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კანონის მიერ მექრთამეობაში შუამავლობის გამოყოფა დანაშაულის დამოუკიდებელ

---

[1] ხოლო ქრთამის მიმცემის მოქმედება განიხილება ქრთამის მიცემის მცდელობად (სსკ მე-17, 190-ე მ. მ.).

შედეგენილობად როდი ნიშნავს ქრთამის მიცემასა ან მიღებაში თანამონაწილეობისათვის შუამავლის პასუხისგებაში მიცემის შეუძლებლობას. ზოგჯერ შუამავალი ქრთამის მიცემის ან აღების ორგანიზატორად თუ წამქეზებლად გვევლინება ხოლმე. ამის დამადასტურებელია საქმე ყ.-სა და ბ.-ს ბრალდების შესახებ. ყ., რომელიც ადრე გასამართლებული იყო სახელმწიფო ქონების გატაცებისათვის, არსად არ მუშაობდა და პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდა, დაუკავშირდა სოხუმის ქალაქის საბჭოს საბინაო სამმართველოს უფროსს ბ.-ს და შეუთანხმდა მას აეღოთ ქრთამი იმ პირებისაგან, რომლებიც საბინაო პირობების გაუმჯობესებას საჭიროებდნენ. ყ. და ბ. დააწესეს ქრთამის განსაზღვრული „განაკვეთი" როგორც ბინის მიმღებთა სიაში რიგის შეცვლისათვის, ასევე ბინის მიცემისათვის. დანაშაულის ორგანიზატორმა ყ.-მ პირადად და სხვა შუამავალთა მეშვეობით 33 პირისაგან მიიღო 30.000 მანეთზე მეტი, საიდანაც 12.000 მან. ბ.-ს გადასცა, ხოლო დანარჩენი დაიტოვა თავისი პირადი და სხვა შუამავალთა მოხმარებისათვის.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ ყ.-ს ქმედობა დაკვალიფიცირდა როგორც მექრთამეობაში შუამავლობა, მაშინ როდესაც ყ. ქრთამის აღების ორგანიზატორი იყო და, მაშასადამე, თანამონაწილე ქრთამის აღებაში (აღნიშნული სასამართლოს შეცდომა გამოსწორებულ იქნა ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ).

მექრთამეობაში შუამავლობა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც უკვე განხორციელდა ქრთამის მიცემა-აღებისათვის ხელის შემწყობი მოქმედება, ამასთან მნიშვნელობა არა აქვს სინამდვილეში მოხდა თუ არა ქრთამის აღება.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი მექრთამეობაში შუამავლობისა შეიძლება იყოს 16 წლის ასაკს მიღწეული ყოველი შერაცხადი პირი, იქნება იგი კერძო თუ თანამდებობის პირი.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული განზრახია. განზრახვის შინაარსი შეიცავს დამნაშავის შეგნებას, რომ ხელს უწყობს ქრთამის მიცემას ან აღებას და ასეთი ხელის შეწყობის სურვილს. თუ რა ხასიათის არის მოტივი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მას შეუძლია მხოლოდ გავლენა მოახდინოს სასჯელის ზომის განსაზღვრაზე.

მექრთამეობაში შუამავლობის მარტივი სახე 189¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან რვა წლამდე.

იმავე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია დანაშაულის კვალიფიციური სახე. დამამძიმებელ გარემოებებად კანონი თვლის მექრ-

თამეობაში შუამავლობას ჩადენილს არაერთჯერ ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის, ან ჩადენილს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

მექრთამეობაში შუამავლობა არაერთჯერ ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს ასეთი შუამავლობა ჩადენილი აქვს ორჯერ და მეტჯერ (ერთსა და იმავე პირებს შორის, მაგრამ არა ერთი რომელიმე მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობისათვის თუ სხვადასხვა პირებს შორის), ხოლო მექრთამეობისათვის ადრე სამართალში ყოფნა — სასამართლოს მიერ წინათ მსჯავრდების ფაქტს, როგორც მექრთამეობაში შუამავლობისათვის, ასევე ქრთამის მიცემისა ან აღებისათვის, უკეთუ ნასამართლობა არ არის დაფარული ან მოხსნილი კანონით დადგენილი წესისამებრ.

სასჯელი სს კოდექსის 189 [1]-ე მუხლის მეორე ნაწილით—თავისუფლების აღკვეთა ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ გადასახლებით, ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.

3) ქრთამის მიცემა. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ქრთამის მიცემისათვის გათვალისწინებულია სს კოდექსის 190-ე მუხლში.

განსახილველი დანაშაული გამოიხატება თანამდებობის პირისათვის პირადად ან შუამავლის მეშვეობით ფულის თუ სხვა სახის ფასეულობის გადაცემაში ან ქონებრივი ხასიათის სამსახურის გაწევაში ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის ამა თუ იმ მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობისათვის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

ქრთამის მიცემა დამთავრებულად ითვლება თანამდებობის პირის მიერ ქრთამის მიღების მომენტიდან. ამიტომ, უკეთუ ქრთამის მიმცემი შეცდომით ფიქრობდა, რომ ქრთამს თანამდებობის პირს აძლევდა, მაშინ როდესაც მიმღები სინამდვილეში თანამდებობის პირი არ იყო, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც ქრთამის მიცემის მცდელობა (სსკ მე-17 და 190-ე მუხლები), რადგან ამ შემთხვევაში ქრთამი თანამდებობის პირს არ აუღია და, მაშასადამე, დანაშაული დამთავრებული არ არის.

ქრთამის მიცემის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს როგორც კერძო პირი, ასევე თანამდებობის პირიც, უკანასკნელი იმ შემთხვევაში, როდესაც ქრთამს აძლევს იმ მიზნით, რომ ქრთამის ამღებმა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება ამ დაწესებულება-საწარმოს ინტერესებისათვის (მაგალითად, დეფიციტური ნედლეულის ფონდების გამოყო-

ფისათვის, ტვირთის რიგგარეშე გაგზავნისათვის და ა. შ.). ისეთ შემთხვევაში, როდესაც ქრთამი გადაცემულია დაწესებულების თუ საწარმოს სახსრებიდან, ქრთამის მიმცემის პასუხისმგებლობა განისაზღვრება როგორც 190-ე, ასევე შესაბამისი მუხლით სოციალისტური ქონების გატაცების შესახებ, რადგანაც ადგილი აქვს არა მარტო ქრთამის მიცემას, არამედ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახსრების უკანონოდ გახარჯვას (რაც ხშირად ფიქტიური საბუთების შედგენით ინიღბება).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი შ ხ რ ი ვ ქრთამის მიცემა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. განზრახვის შინაარსი შეიცავს დამნაშავის შეგნებას, რომ ფულს ან სხვა ქონებრივი ხასიათის საზღაურს აძლევს თანამდებობის პირს (რომელსაც ამის მიღების უფლება არა აქვს). სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მის სასარგებლოდ რამე მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობისათვის და სურვილს — მოიქცეს ასე.

სასჯელი 190-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან რვა წლამდე:

იმავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ამ დანაშაულის კვალიფიციურ სახეს. დამამძიმებელ გარემოებებად კანონი თვლის: ქრთამის მიცემას არაერთჯერ ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის.

არაერთჯერ ქრთამის მიცემა ნიშნავს ქრთამის მიცემის ორი და მეტი ფაქტის დადგენას, ხოლო იმ პირად, რომელიც ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის, ჩაითვლება მექრთამეობისათვის (სულერთია, ქრთამის მიცემის, აღების თუ მექრთამეობაში შუამავლობისათვის) სასამართლოს მიერ მსჯავრდებული, უკეთუ ცხადია, ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი.

სასჯელი 190-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.

აღნიშნული მუხლის მესამე ნაწილის ძალით, ქრთამის მიმცემი პირი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ქრთამის გამოძალვას ან, თუ ეს პირმა ქრთამის მიცემის შემდეგ ნებაყოფლობით განაცხადა ამის შესახებ.

გამოძალვის დროს ქრთამის მიმცემის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება აიხსნება იმ გარემოებით, რომ ქრთამის მიმცემი ასეთ შემთხვევაში არა თავის ნებით და სურ-

ვილით, არამედ თვით თანამდებობის პირის მხრივ მუქარის ზეგავლენით იყო იძულებული მიეცა ქრთამი.

პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ქრთამის მიცემის შესახებ ნებაყოფლობითი განცხადების საფუძველზე გამართლებულია მით, რომ ქრთამის მიმცემმა შეიგნო თავისი ქმედობის უმართებულობა, მექრთამეების გამოაშკარავების საჭიროება და სურს დახმარება გაუწიოს მართლმსაჯულების ორგანოებს ამ საშიშ დამნაშაეობასთან ბრძოლაში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის დადგენილების შესაბამისად, ნებაყოფლობითი განცხადება ქრთამის მიცემის შესახებ გულისხმობს ასეთი განცხადებით (სიტყვიერი იქნება ის თუ წერილობითი) მიმართვას მილიციაში, პროკურატურაში, სასამართლოში, აგრეთვე სხვა საბჭოთა ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში (მაგალითად, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, ქრთამის მიმღები პირის სამუშაო ადგილის ხელმძღვანელთან და ა. შ.).

ასეთი განცხადების მოტივს (მაგ., დაშვებული შეცდომის შეგნება, შიში მოსალოდნელი პასუხისმგებლობისა თუ სხვ.) მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ სავალდებულოა განცხადება არა იმასთან დაკავშირებით, რომ ქრთამის მიმცემის მიერ ჩადენილი დანაშაული უკვე ცნობილია ხელისუფლების ორგანოებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ აზრი ასეთი განცხადებისა ქრთამის მიმცემს შეექმნა უშუალოდ, ნებაყოფლობით და არ ყოფილა მასზე მოხვეული იძულებით[1].

განცხადება არ ჩაითვლება ნებაყოფლობითად (მაშასადამე, პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად) ისეთ შემთხვევაში, როდესაც ქრთამის მიმცემი, გაიგებს რა, რომ საქმე ამ დანაშაულის შესახებ უკვე აღძრულია სათანადო ორგანოში, მიმართავს მას განცხადებით გულწრფელი მონანიების შთაბეჭდილების შესაქმნელად.

პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების აღნიშნული გარემოებები კანონით დაწესებულია მხოლოდ ქრთამის მიმცემისათვის და არ გავრცელდება ქრთამის ამღებსა და მექრთამეობაში შუამავალზე.

---

[1] სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის დადგენილებაში ნათქვამია: „ქრთამის მიმცემის განთავისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ქრთამის გამოძალვის ან მომხდარი შემთხვევის გამო ნებაყოფლობითი განცხადების მოტივით როდი ნიშნავს ამ პირის მოქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობას. ამიტომ ქრთამის მიმცემი არ შეიძლება ცნობილ იქნეს დაზარალებულად და მას უფლება არა აქვს მოითხოვოს ქრთამის სახით გადაცემული ფასეულობის დაბრუნება“ (იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1962, № 6, გვ. 76).

§ 6. სამსახურებრივი სიყალბე

სამსახურებრივი .სიყალბე გათვალისწინებულია სს კოდექსის 191-ე მუხლში.

სამსახურებრივი სიყალბე ობიექტური მხრივ შეიძლება გამოიხატოს ნამდვილ, ოფიციალურ ან კერძო დოკუმენტის შინაარსის შეცვლაში მასში ყალბი ჩანაწერების შეტანით, ამოშლაში ან სხვა რიცხვით მის დათარიღებაში (მაგალითად, დოკუმენტში თანხის გადასწორება, დოკუმენტის გაცემის თარიღის შეცვლა, გასავლის ორდერზე არსებული ხელმოწერის გაყალბება და ა. შ.)[1], ან ყალბი დოკუმენტის, ე. ი. ისეთი დოკუმენტის შედგენასა და გაცემაში, რომლის შინაარსიც თავიდანვე, მისი შედგენის მომენტშივე არ შეესაბამებოდა სინამდვილეს (მაგალითად, შრომის სტაჟის, კმაყოფაზე მყოფ პირთა რაოდენობის და სხვ. შესახებ ყალბი ცნობის შედგენა ან გაცემა, ნოტარიუსის მიერ ყალბი ანდერძის გაკეთება და ა. შ.)[2]. ან ბოლოს, ოფიციალურ დავთრებში (ასეთია, მაგალითად, სამოქალაქო მდგომარეობის ჩანაწერების წიგნი, მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღმნუსხველი და სხვ. სახის დავთრები) ყალბი ცნობების ან ყალბი ჩანაწერების შეტანაში.

ოფიციალურ დოკუმენტს წარმოადგენს ყოველგვარი წერილობითი აქტი, გაცემული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციადაწესებულებიდან თუ საწარმოდან, დამადასტურებელი იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ფაქტისა (მაგალითად, დაბადების მოწმობა, დიპლომი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ და ა. შ.), ხოლო კერძო დოკუმენტს — წერილობითი აქტი, გაცემული ცალკეული პირის მიერ, რომელიც იმყოფება თანამდებობის პირთან მისი სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით (მაგალითად, კერძო პირის ხელწერილი შესრულებული სამუშაოსათვის ფულის მიღების შესახებ, ანგარიში და სხვ. წარდგენილი დაწესებულების ბუღალტრისათვის).

სამსახურებრივი სიყალბისათვის შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს მხოლოდ ის თანამდებობის პირი, რომელიც მოქმედებდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ამიტომ თუ თანამდებობის პირი ჩაიდენს სიყალბეს თავისი სამსახურებრივი უფლებისა და შესაძლებლობის გამოყენების გარეშე, ქმედობა სამსახურებრივ სიყალბედ არ ჩაითვლება და უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც

---

[1] ე. წ. მატერიალური სიყალბე.

[2] ე. წ. ინტელექტუალური სიყალბე.

კერძო პირის მიერ ჩადენილი სიყალბე (სს კოდექსის 213-ე მუხლით). მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც სახალხო სასამართლოს მდივანი შეადგენს და გასცემს ყალბი განაჩენის თუ გადაწყვეტილების ასლს, რა ქმედობაც მის მიერ ჩადენილია თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, იგი პასუხისგებაში მიეცემა სამსახურებრივი სიყალბისათვის (191-ე მუხლით), ხოლო თუ მან შეადგინა და თავის უფროსს წარუდგინა მის მიერ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების ფიქტიური დიპლომი, ქმედობა არ წარმოადგენს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილ სიყალბეს და ამიტომ დამნაშავეს შეეფარდება სს კოდექსის 213-ე და არა 191-ე მუხლი.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ განსახილველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. სს კოდექსის 191-ე მუხლში მითითებულია სიყალბის ჩადენაზე შეგნებულად. თანამდებობის პირს ასეთი დანაშაულის ჩადენისას შეგნებული აქვს, რომ აყალბებს დოკუმენტების გაყალბებას ზემოთ განხილული ერთ-ერთი სახით და სურს მოიქცეს ამგვარად.

ასეთი შეგნების გარეშე უსწორო დოკუმენტის შედგენა და გაცემა განიხილება დისციპლინურ გადაცდომად ან სათანადო პირობების არსებობისას — დაუდევრობად (188-ე მუხლი).

სამსახურებრივი სიყალბის შედგენილობისათვის აუცილებელია, რომ იგი ჩადენილი იყოს ანგარებით ან სხვა პირადი მიზნით.

სამსახურებრივი სიყალბე ჩადენილი ანგარების ან სხვა პირადი მიზნის გარეშე სისხლის სამართლის წესით არ იდევნება (იგი ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად).

სამსახურებრივი სიყალბე ხშირად დაკავშირებულია სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენასთან. დოკუმენტების გაყალბებას დამნაშავე იყენებს ხოლმე საშუალებად სოციალისტური ქონების გატაცებისათვის, ასეთი დოკუმენტის შედგენითა და გაცემით ღებულობს ქრთამს და ა. შ. ასეთ შემთხვევაში თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა განისაზღვრება დანაშაულთა ერთობლიობით, ე. ი. როგორც სამსახურებრივი სიყალბის, ასევე სოციალისტური ქონების გატაცებისათვის ან ქრთამის აღებისათვის და ა. შ.

სასჯელი სს კოდექსის 191-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან თანამდებობიდან დათხოვნა.

თავი VIII

დანაშაული მართლმსაჯულების წინააღმდეგ

§ 1. მართლმსაჯულების წინააღმდეგ დანაშაულის ზოგადი ცნება და სახეები

სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური ხდება სოციალისტური კანონიერების დაცვის საკითხი. სოციალისტური კანონიერების დაცვა, მისი განმტკიცება მუდამ წარმოადგენდა და წარმოადგენს ამჟამად საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დასმული ისტორიული მნიშვნელობის ამოცანების, კერძოდ დამნაშავეობასთან ბრძოლის ამოცანის, წარმატებით გადაწყვეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამხმარე საშუალებას.

ამიტომ არის, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას უთმობენ სოციალისტური კანონიერების ზუსტად და განუხრელად შესრულებას.

სოციალისტური კანონიერებისათვის ბრძოლა წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს უკლებლივ ყველა ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა მოვალეობას, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საბჭოთა სასამართლოს, პროკურატურისა და გამოკვლევის ორგანოებს.

„მართლმსაჯულება სსრ კავშირში ხორციელდება კანონის სრული შესაბამისობით, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში,— იგი ეშყარება ნამდვილად დემოკრატიულ საფუძვლებს: მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობასა და ანგარიშგებას, მათი ვადამდე გაწვევის უფლებას, სასამართლო საქმეთა განხილვის საჯაროობას, სასამართლოში საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და დამცველების მონაწილეობას ისე, რომ სასამართლო, გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოები უაღრესი სიზუსტით იცავდნენ კანონიერებას, ყველა პროცესუალურ ნორმას. მართლმსაჯულების დემოკრატიული საფუძვლები კვლავაც განვითარდება და გაუმჯობესდება"[1].

---

[1] სკ კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961, გვ. 117—118.

.სსრ კავშირის კონსტიტუცია და სხვა კანონები, ანიჭებენ რა საბჭოთა მოქალაქეებს უდიდეს უფლებებს, მათ შორის სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის ფართო უფლებებს, ამავე დროს აკისრებენ მათ ვალდებულებას ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საბჭოთა სახელმწიფო აპარატის განმტკიცებას, საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოს მიერ მუშაობის სწორად წარმართვას.

საბჭოთა სახელმწიფოს იუსტიციის ორგანოების მუშაობა სოციალისტური მართლმსაჯულების უმწიკვლოდ განხორციელების დარგში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსახლეობის ფართო მასების აქტიურობასა და მხარდაჭერაზე, იმაზე, თუ რა საზომით ეხმარებიან ისინი ამ ორგანოებს უდიდესი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ფუნქციის აღსრულებაში.

საბჭოთა ადამიანები, როგორც წესი, პირნათლად ასრულებენ ამ თავის მოქალაქეობრივ და სახელმწიფოებრივ მოვალეობას, დიდად უწყობენ ხელს გამომკვლევ და სასამართლო ორგანოებს მათი ფუნქციის აღსრულებისას, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც დასახელებული ორგანოებისათვის დახმარების გაწევას უგულებელყოფენ, სხვათაშორისად უცქერენ მას. მათი დევიზია „ეს მე არ შემეხება“, „ჯობს განზე ვიდგე“ და ა. შ. ასეთი ადამიანები გამოკვლევისა და სასამართლო ორგანოების დაბარებით არ ცხადდებიან დანიშნულებისამებრ, თუმცა კარგად იციან, რომ მათი გამოუცხადებლობა და თავიანთი (როგორც მოწმის თუ სხვა სახით) მოვალეობის შეუსრულებლობა აფერხებს მართლმსაჯულების საქმეს, დამნაშავეობასთან ბრძოლას.

კიდევ უფრო საშიში, მოუთმენელია თვით მართლმსაჯულების ორგანოების თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ჩადენილი ქმედობა სოციალისტური მართლმსაჯულების ინტერესების საწინააღმდეგოდ (მაგ., უკანონო დაპატიმრება, უკანონო განაჩენის გამოტანა და ა. შ.).

ამიტომ არის, რომ მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა მხრივ ყოველგვარი წინააღმდეგობა საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოების მუშაობისადმი სრულიად სამართლიანად განიხილება არა მარტო კომუნისტური მორალის თვალსაზრისით დასაგმობ ქცევად, არამედ ზოგჯერ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში,—სისხლის სამართლის წესით სადევნ დანაშაულად.

საქართველოს სსრ ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი (აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები) მართლმსაჯულების წინააღმდეგ დანაშაულს არ გამოყოფდა ცალკე თავში; მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობა-

ზე ხელყოფის ცალკეული სახეები გათვალისწინებული იყო კოდექსის სხვადასხვა თავებში, მეტწილად „თანამდებობრივი დანაშაულის“ და „მმართველობის წესის წინააღმდეგ სხვა დანაშაულის“ თავებში.

საქართველოს ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი (1960 წ. რედ.), ისევე, როგორც ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსები, სხვადასხვა სახის დანაშაულს მართლმსაჯულების წინააღმდეგ ითვალისწინებს ცალკე, სპეციალურ თავში (VIII თავში), რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მტკიცედ დაცვას.

/ მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ უკლებლივ ყველა დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს კანონიერების ზუსტად დაცვაზე დაფუძნებული სასამართლოს, პროკურატურისა და გამოკვლევის (მოკვლევის, წინასწარი გამოძიების), აგრეთვე შრომა-გასწორების ორგანოების ნორმალური, სწორი საქმიანობა. ამ დარგის ცალკეული სახის დანაშაულის (მაგალითად, ცრუ დასმენა, წინასწარი შეცნობით უკანონო განაჩენის გამოტანა და სხვ.) უშუალო ობიექტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს აგრეთვე მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ობიექტური მხრივ დანაშაული მართლმსაჯულების წინააღმდეგ უმეტეს შემთხვევაში მოქმედებაში გამოიხატება (მაგ., უკანონო განაჩენის გამოტანა, უკანონო დაპატიმრება ან დაკავება და სხვ.), მაგრამ ამ დარგის ზოგიერთი დანაშაული შეიძლება უმოქმედობითაც ხასიათდებოდეს (მაგალითად, დანაშაულის განუცხადებლობა, მოწმის ან ექსპერტის მიერ გამოცხადებისათვის თავის არიდება და სხვ.).

მართლმსაჯულების წინააღმდეგ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც თანამდებობის პირი, ასევე კერძო მოქალაქე.

მართლმსაჯულების წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენა თანამდებობის პირის მიერ, რომელიც სასამართლო, პროკურატურის თუ გამოკვლევის ორგანოში მუშაობს, მომეტებული სოციალური საშიშროების შემცველია კერძო პირის მიერ ჩადენილ დანაშაულთან შედარებით, რადგან დანაშაულს სწორედ ის პირი იდენს, რომლის მოვალეობასაც წარმოადგენს სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვის უზრუნველყოფა. ასეთი პირის დანაშაული ანა მარტო აფერ-

ხებს, ამახინჯებს მართლმსაჯულების ორგანოების ნორმალურ საქმიანობას, არამედ სახელს უტეხს აგრეთვე ამ ორგანოების ავტორიტეტს მშრომელთა თვალში.

მართლმსაჯულების წინააღმდეგ დანაშაულად, რომლის სუბიექტიც შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი, ჩაითვლება: 1. უდანაშაულო პირის შეგნებულად მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში (სს კოდექსის 192-ე მუხლი); 2. უკანონო განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გამოტანა (193-ე მუხლი); 3. უკანონო დაპატიმრება ან დაკავება (194-ე მუხლი); 4. ჩვენების მიცემის იძულება (195-ე მუხლი).

მართლმსაჯულების წინააღმდეგ სხვა დანარჩენი დანაშაულის სუბიექტად შეიძლება იყვნენ კერძო პირები, რომლებიც არ ასრულებენ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ თანამდებობრივ ფუნქციებს (მათ შორის მსჯავრდებული და პატიმრობაში მყოფი პირი). ასეთი დანაშაულია:

1. შეგნებულად ცრუ დასმენა (სსკ 196-ე მუხლი); 2. შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა (197-ე მუხლი); 3. მოწმის ან ექსპერტის მიერ გამოცხადებისაგან თავის არიდება ან მათ მიერ თავიანთ მოვალეობათა შესრულებაზე უარის თქმა (198-ე მუხლი); 4. მოწმის ან ექსპერტის იძულება ცრუ ჩვენების ან არასწორი დასკვნის მიცემისათვის (199-ე მუხლი); 5. მოწმის, ექსპერტის ან თარჯიმნის მოსყიდვა (შე-200 მუხლი); 6. მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურება (201-ე მუხლი); 7. აწერილი ან ყადაღადადებული ქონების გაფლანგვა, გასხვისება ან დამალვა (სსკ 202-ე მუხლი); 8. პატიმრობიდან გაქცევა (203-ე მუხლი); 9. გადასახლებულის გაქცევა და გასახლებულის თვითნებურად დაბრუნება (204-ე მუხლი); 10. დანაშაულის დაფარვა (205-ე მუხლი); 11. დანაშაულის განუცხადებლობა (206-ე მუხლი)[1].

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული მართლმსაჯულების წინააღმდეგ შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ. პირის მიერ ერთ-ერთი ჩამოთვლილი დანაშაულის ჩადენა კეთილსინდისიერი

---

[1] ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სს კოდექსის ანალოგიურ თავში შეტანილია სხვა სახის დანაშაულიც. მაგალითად, უაზახეთის და ლიტვის სს კოდექსებში—სასამართლო განაჩენისა და გადაწყვეტილების აღსრულებისაგან თავის არიდება (იხ. შესაბამისად 192-ე და 196-ე მუხლები), სომხეთის სს კოდექსში—ადვოკატის მიერ თავისი მოვალეობის ბოროტად გამოყენება (194-ე მუხლი) და პირადი თავდების მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა (შე-200 მუხლი), ესტონეთის სს კოდექსში—გამასწორებელი სამუშაოების მოხდისაგან ბოროტად თავის არიდება (178-ე მუხლი).

შეცდომის შედეგად გამორიცხავს მისი სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემის შესაძლებლობას.

მოხსენიებულის საფუძველზე ცნება დანაშაულისა მართლმსაჯულების წინააღმდეგ შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს: დანაშაული მართლმსაჯულების წინააღმდეგ არის მომკვლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, აგრეთვე სხვა, კერძო მოქალაქეების ისეთი განზრახი ქმედობა, რაც გამოკვლევის, სასამართლო წარმოებისა და სასჯელის აღსრულების მომწესრიგებელი კანონების დარღვევის გზით ზიანს აყენებს მართლმსაჯულებისა და ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესებს და აფერხებს სასამართლოს მიერ სოციალისტური მართლმსაჯულების განხორციელების ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას.

§ 2. მართლმსაჯულების წინააღმდეგ დანაშაულის ისეთი სახეები, რომელთა ჩადენაც შეუძლია მხოლოდ მართლმსაჯულების ორგანოების თანამდებობის პირებს

ა. უდანაშაულო პირის შეგნებულად მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. უდანაშაულო პირის შეგნებულად მიცემა სისხლისსამართლის პასუხისგებაში, გათვალისწინებული სს კოდექსის 192-ე მუხლში, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და საშიში დანაშაულია განსახილველი კატეგორიის დანაშაულთა შორის.

საქ. სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის ძალით სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი და მოკვლევის ორგანო მოვალენი არიან აღძრან სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, მიიღონ ზომები დანაშაულის შემთხვევის, დანაშაულის ჩადენაში დამნაშავე პირთა დასადგენად და მათ დასასჯელად. ხოლო იმავე კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას და, უკეთუ აღძრულია, საქმე უნდა შეწყდეს ქმედობაში დანაშაულის შედგენილობის არ არსებობის გამო.

სს პროცესის ამ ძირითადი პრინციპის დარღვევა, თუნდაც სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევრობით, თუნდაც შეცდომის დაშვების შედეგად ყოველთვის წარმოადგენს მართლმსაჯულების მიზნების უხეშ და მოუთმენელ დამახინჯებას, ხოლო უდანაშაულო პირის შეგნებულად მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში სოციალისტური კანონიერების უმძიმესი ხასიათის დარღვევაა და ამიტომ დანაშაულად ითვლება.

სს კოდექსის 192-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის

ობიექტია ერთდროულად საბჭოთა იუსტიციის ორგანოების სწორი, კანონიერებასთან შესაბამებული საქმიანობა და პიროვნების ინტერესები.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში; სახელდობრ, ისეთი პირისათვის ბრალდების წაყენებაში და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემაში, რომელიც პროკურორის, გამომძიებლის ან მომკვლევი პირის შეგნებით უდანაშაულოა, მას სინამდვილეში დანაშაული ჩადენილი არა აქვს[1]. ამის გაკეთება შეიძლება საპროცესო აქტების შედგენა-გაფორმებით, რომლებიც შეიცავენ მათი შემდგენი თანამდებობის პირისათვის წინასწარი შეცნობით აშკარა ყალბ, დამახინჯებულ გარემოებებს ამა თუ იმ პირის მიერ ვითომდა დანაშაულის ჩადენის შესახებ.

სასამართლოს მიერ აღნიშნული მუხლით მსჯავრდებულ იქნა მილიციის რაიონული განყოფილების ყოფილი უფროსი ი. იმისათვის, რომ, ცნობილი იყო რა მისთვის მოქ. უ. უდანაშაულობა ერთ-ერთი პირის მკვლელობის საქმეში, უკანონოდ აწარმოებდა მოკვლევას, ამახინჯებდა ფაქტებს, მიაღწია აღკვეთის ღონისძიებად მისთვის პატიმრობის შერჩევას და ხელს უწყობდა წინასწარი შეცნობით უდანაშაულო ადამიანის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ საპროცესო აქტების შედგენას[2].

დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც უდანაშაულო ადამიანს წარედგინა წინასწარი შეცნობით დაუსაბუთებელი ბრალდება. ამრიგად, დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს შემდეგში მსჯავრი დაედო სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეგნებულად მიცემულ უდანაშაულო პირს თუ გამართლებულ იქნა.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ პროკურორი, გამომძიებელი ან პირი, რომელიც მოკვლევას აწარმოებს.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რაც დასტურდება კანონის (სსკ 192-ე მუხლის) მითითებით უდანაშაულო პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეგნებულად მიცემის შესახებ.

მოტივი დანაშაულისა შეიძლება იყოს შურისძიება, ეჭვიანობა,

---

[1] ან ჩადენილი აქვს უფრო მსუბუქი დანაშაული (მაგალითად, მსუბუქი დაზიანების ჩამდენი პირის პასუხისგებაში მიცემა განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის).

[2] იხ. Я. М. Кульберг. Преступления против правосудия, М., 1962

კარიერიზმი, ნამდვილი დამნაშავის დაფარვის სურვილი, ქრთამის მიღება და სხვა პირადი ხასიათის დაინტერესება. ამ დანაშაულის ჩადენის შედეგად ქრთამის აღების შემთხვევა დაკვალიფიცირდება როგორც სსკ 192-ე მუხლით, ასევე 189-ე მუხლით.

უკეთუ შეცდომის, საქმისადმი არაკეთილსინდისიერი, დაუდევარი დამოკიდებულების თუ საპროცესო კანონმდებლობის უგულებელყოფის მიზეზით იქნა უდანაშაულო კაცი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და, მაშასადამე, ამ მხრივ შეგნებულ დამოკიდებულებას, ე. ი. პირდაპირ განზრახვას თანამდებობის პირის ქმედობაში ადგილი არ ჰქონია, უკანასკნელის პასუხისმგებლობა შეიძლება განისაზღვროს დისციპლინური წესით ან კიდევ სისხლის სამართლის კოდექსის თანამდებობრივი დანაშაულის თავიდან შესაბამისი მუხლით (მაგ., 188-ე მუხლით).

სს კოდექსის 192-ე მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია განსახილველი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე, ე. წ. მარტივი სახე, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულის კვალიფიციურ სახეს, დანაშაულს ჩადენილს დამამძიმებელ გარემოებებში. ასეთ გარემოებებად კანონი თვლის: ა) უდანაშაულო პირის შეგნებულად მიცემას სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუ მას თან ერთვის ბრალდება განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულში (ე. ი. ერთ-ერთ იმ დანაშაულში, რასაც ითვალისწინებს სსკ 65—74-ე მუხლები) ან სხვაგვარ დანაშაულში, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით; ბ) ბრალდების დამამტკიცებელი საბუთების ხელოვნურად შექმნა (აქ მხედველობაშია ისეთი შემთხვევა, როდესაც უდანაშაულო პირის შეგნებულად მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში წარმოებს სპეციალურად შექმნილი და შეთხზული დამამტკიცებელი საბუთების მიხედვით, მაგალითად, ყალბი დოკუმენტებით ან ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთებით, მოწმეთა ცრუ ჩვენებებით და ა. შ.[1]); გ) თუ იგი ჩადენილია ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით.

ერთ-ერთი ჩამოთვლილი გარემოების დადგენისას განსახილველი

---

[1] უკეთუ აღწერილი ქმედობა მიმართულია სახელმწიფო ორგანოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ძირის გამოთხრისაკენ საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზნით, იგი დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 70-ე მუხლით, როგორც განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული—მოღალატეობა.

დანაშაულის ჩამდენი 192-ე მუხლის მეორე ნაწილის ძალით დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან ათ წლამდე.

საქ. სსრ სს კოდექსის 192-ე მუხლის დისპოზიცია ნაწილობრივ განსხვავდება ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსების ანალოგიური ნორმების დისპოზიციისაგან. მაგალითად, რსფსრ სს კოდექსის 176-ე მუხლის მეორე ნაწილი დანაშაულის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად თვლის მის ჩადენას, თუ მას თან ერთვის ბრალდება განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულში ან სხვაგვარ მძიმე დანაშაულში. საქ. სსრ სს კოდექსის 192-ე მუხლი კი „სხვაგვარი მძიმე დანაშაულის" ნაცვლად ითვალისწინებს „სხვაგვარ დანაშაულს, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით". ვფიქრობთ, საქ. სსრ სს კოდექსის კონსტრუქცია ამ ნაწილში მეტი გარკვეულობისა და სიზუსტის შემცველია.

შემდეგ, დანაშაულის დამამძიმებელ ერთ-ერთ გარემოებად საქ. სსრ სს კოდექსის 192-ე მუხლის მეორე ნაწილი თვლის მის ჩადენას ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით. რსფსრ სს კოდექსის ანალოგიური ნორმა (176-ე მუხლის მეორე ნაწილი) ასეთ გარემოებას არ ითვალისწინებს[1].

ბ. უკანონო განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გამოტანა. სს კოდექსის 193-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოსამართლეთა მიერ წინასწარი შეცნობით უკანონო განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გამოტანისათვის.

---

[1] ჩვენი აზრით, საქ. სსრ სს კოდექსის 192-ე მუხლი ამ ნაწილში მოითხოვს სრულყოფას და ეს რატომ: უდანაშაულო პირის შეგნებულად მიცემას სისხლის სამართლის პასუხისგებაში ყოველთვის ახლავს შესაბამისი თანამდებობის პირის ანგარება ან სხვა პირადი მოტივი. ამის გარეშე განსახილველი დანაშაული (თუნდაც მისი მარტივი სახე) არ შეიძლება ჩადენილ იქნეს. საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით კი ზემოდასახელებული გარემოება დანაშაულის დამამძიმებელ, მაკვალიფიცირებელ გარემოებად არის მხოლოდ მიჩნეული, რის გამოც ერთგვარად გაუგებარი, აუხსნელი რჩება იმაეე დანაშაულის მარტივი სახის ბუნება.

სრულიად მართებულად, მთელი რიგი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძალით, თანამდებობის პირი უდანაშაულო პირის შეგნებულად მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეიძლება დაისაჯოს (სისხლის სამართლის წესით) მარტოოდენ მაშინ, თუ ქმედება მის მიერ ჩადენილია ანგარებით ან სხვა პირადი მოსაზრებით (იხ. უკრაინის სს კოდექსის 174-ე მუხლი, უზბეკეთის სსკ 156-ე მუხლი, ლატვიის სსკ 168-ე მუხლი, ყირგიზეთის სსკ 183-ე მუხლი, სომხეთის სსკ 190-ე მუხლი და ა. შ.).

ნამდვილად დემოკრატიული საწყისების დაცვით არჩეული საბჭოთა მოსამართლეები, როგორც წესი, პირნათლად, კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ ფრიად საპატიო და პასუხსაგებ მოვალეობას, განაჩენი თუ გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება გამოაქვთ თავიანთი შინაგანი რწმენის საფუძველზე კანონის ზუსტად დაცვით, საქმეში უტყუარად დადგენილ ფაქტიურ გარემოებათა შესაბამისად, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ცალკეული მოსამართლე, უღალატებს რა ხალხის ნდობას, დაადგება ბოროტმოქმედების გზას და ჩაიდენს განსახილველ დანაშაულს.

დანაშაულის ობიექტია კანონიერების ზუსტად დაცვაზე დაფუძნებული სასამართლო ორგანოების სწორი საქმიანობა, ხოლო ამა თუ იმ მოქალაქის უფლებისა და კანონიერი ინტერესების შელახვისას (რასაც შეიძლება ადგილი ექნეს განსახილველი დანაშაულის ჩადენისას) — აგრეთვე მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება მოსამართლეთა მიერ წინასწარი შეცნობით უკანონო განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გამოტანაში[1]. უკანონო, უსამართლოა განაჩენი და სხვა ზემოაღნიშნული სასამართლო აქტები იმ შემთხვევებში, რაც გათვალისწინებულია საქ. სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 352—357-ე მუხლებში. კერძოდ, მაშინ როდესაც მსჯავრდებულია უდანაშაულო პირი ან გამართლებული ნამდვილად ბრალეული, შეფარდებული აქვს დამნაშავეს ზედმეტად ლმობიერი ან, პირიქით, ზედმეტად მკაცრი სასჯელის ზომა და ა. შ. მოსამართლეთა უკანონობა შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე სამოქალაქო საქმეებზე უსწორო გადაწყვეტილების გამოტანაში (როდესაც კმაყოფილდება მოსარჩლის დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო მოთხოვნა ან, პირიქით, უარს ყოფენ მის სამართლიან მოთხოვნას) როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე უსამართლო განჩინებისა და დადგენილების გამოტანაში.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ მოსამართლე (სახალხო მოსამართლე, ყველა ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე, მოადგილე, წევრი, აგრეთვე სახალხო მსაჯული). ამ დანაშაულისათვის სს კოდექსის 193-ე მუხლით ვერ მიეცემა პასუხისგებაში ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები. უკანასკნელთა მიერ წინასწარი შეცნობით უკანონო გადა-

---

[1] ამ სასამართლო დოკუმენტების ცნების განმარტება მოცემულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლში.

წყვეტილების გამოტანისათვის პასუხისმგებლობა შეიძლება განისაზღვროს საზოგადოებრივი ზემოქმედების წესით[1].

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული გულისხმობს პირდაპირ განზრახვას, რადგან კანონში (სსკ 193-ე მუხლში) მითითებულია მის ჩადენაზე „წინასწარი შეცნობით". ეს იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი სასამართლო აქტის გამოტანისას მოსამართლეს შეგნებული აქვს მისი უკანონობა, დაუსაბუთებლობა და სურს კიდევაც ასეთი აქტის დადგენა. ამასთან მოტივს, რომელიც ამოქმედებდა მოსამართლეს, დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. როგორც წესი, ამ დანაშაულის მოტივს წარმოადგენს ანგარება ან სხვა პირადი ხასიათის მოსაზრება (მაგ., მეგობრული დამოკიდებულება, მტრობა, შურისძიება და სხვა მისთ.).

პასუხისმგებლობა განსახილველი დანაშაულისათვის დაეკისრება არა ყველა მოსამართლეს (თუ სახალხო მსაჯულს), რომლებიც მონაწილეობდნენ უკანონო განაჩენის თუ სხვა აქტების გამოტანაში, არამედ სასამართლოს მხოლოდ იმ წევრს, რომელიც მოქმედებდა განზრახ, წინასწარი შეცნობით და რომელმაც შეცდომაში შეიყვანა სასამართლოს შემადგენლობის დანარჩენი მონაწილენი. ასევე არ დაეკისრება პასუხისმგებლობა აღნიშნულ 193-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს იმ წევრს, რომელიც დარჩა განსაკუთრებულ, კერძო აზრზე დანარჩენ წევრთა მიერ წინასწარი შეცნობით უკანონო განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გამოტანისას.

უკეთუ აღნიშნული სასამართლო აქტები უკანონო აღმოჩნდება მოსამართლეთა მხრივ დაუდევრობის, უპასუხისმგებლობის გამოჩენის გამო, შეცდომის დაშვების მიზეზით და სხვ. და, მაშასადამე, არ იქნება დადგენილი მათ ქმედობაში წინასწარი შეცნობა, ე. ი. პირდაპირი განზრახვით მოქმედება, მაშინ მათი პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს დისციპლინური წესით ან შესაბამისი პირობების არსებობისას სს კოდექსის 188-ე მუხლით (დაუდევრობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი).

---

[1] იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ 193-ე მუხლით ვერ მიეცემა პასუხისგებაში აგრეთვე სახალხო მოსამართლე ერთპიროვნულად უკანონო დადგენილების გამოტანისათვის წერილმანი ხულიგნობისა და წერილმანი სპეკულაციის საქმეებზე, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში მოსამართლე მართლმსაჯულებას კი არ ახორციელებს, არამედ მოქმედებს ადმინისტრაციული იურისდიქციის წესით. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი პირობების არსებობისას მოსამართლეს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა სსკ 186-ე მუხლით (იხ. «Советское уголовное право», часть Особенная, М., 1965, გვ. 325).

ზოგჯერ უკანონო განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების თუ დადგენილების გამოტანა დაკავშირებულია ქრთამის აღებასთან მოსამართლის მიერ. ასეთ შემთხვევაში საქმე გვექნება დანაშაულთა ერთობლიობასთან. ბრალეული პირის ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს სს კოდექსის როგორც 193-ე მუხლით, ასევე 189-ე მუხლის მეორე ნაწილით.

სს კოდექსის 193-ე მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია განსახილველი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე, ხოლო მეორე ნაწილში — დამამძიმებელ გარემოებათა არსებობისას (ე. წ. კვალიფიციური სახე).

დამამძიმებელ გარემოებად კანონი თვლის: ა) თუ ქმედობა ჩადენილია ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, ან ბ) თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა.

რადგან ანგარების, აგრეთვე სხვა პირადი მოტივის, ცნება საკმაოდ გარკვეულია, მოკლედ განვმარტავთ, თუ რას ნიშნავს ამ შემთხვევაში კანონის მოთხოვნა: უკეთუ ქმედობას „მძიმე შედეგი მოჰყვა". მძიმე შედეგად გაგებულ უნდა იქნეს, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობისათვის სერიოზული ვნების მიყენება (მაგ., ისეთი პირობების შექმნა, რომ შეუძლებელი გახდა დანაშაულის გახსნა და მის ჩამდენ პირთა დასჯა), ხოლო, მეორე მხრივ, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების არსებითი ხასიათის დარღვევა (მაგ., სამართალში მიცემულის უკანონო დასჯა მძიმე ხასიათის დანაშაულისათვის, სასჯელის მკაცრი ზომის შეფარდება, მოქალაქისათვის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანის მიყენება და ა. შ.).

საერთოდ საკითხი იმის შესახებ, მოჰყვა თუ არა მოსამართლის აღწერილ ქმედობას მძიმე შედეგი, გადაწყდება კონკრეტული საქმის ერთობლივად აღებულ გარემოებათა მიხედვით.

სს კოდექსის 193-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე დამნაშავეს შეეფარდება თავისუფლების აღკვეთა სამიდან ათ წლამდე[1].

---

[1] საქ. სსრ სს კოდექსის 193-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითება ისეთ დამამძიმებელ გარემოებაზე, როგორიც არის დანაშაულის ჩადენა „ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით", ეფიქრობთ, არ არის სწორი. გამოდის, რომ იმავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედგენილობა (დანაშაულის მარტივი სახე) არ გვექნება, უკეთუ დამნაშავის ქმედობაში დადგენილ იქნა ანგარება ან სხვა პირადი მოტივი. ისმება კითხვა, კიდევ სხვა რა მოტივი უნდა არსებობდეს, რომ ქმედობა 193-ე მუხლის I ნაწილით დაკვალიფიცირდეს?

სავსებით მართებულად რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი

ბ. უკანონო დაპატიმრება ან დაკავება. სს კოდექსის 194-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას **უკანონო დაპატიმრებისა ან დაკავებისათვის,**

სსრ კავშირის კონსტიტუციის 127-უ მუხლის (და საქ. სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის) შესაბამისად, პიროვნება სსრ კავშირში ხელშეუხებელია და არავინ არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს, თუ არა სასამართლოს დადგენილებით ან პროკურორის სანქციით.

ამ ძირითადი კონსტიტუციური პრინციპის უგულებელყოფა, ე. ი. კანონის მოთხოვნის დარღვევით პირის დაპატიმრება თუ დაკავება კანონიერების უხეშ დარღვევას წარმოადგენს და როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს.

ამ დანაშაულს ორი **ობიექტი** აქვს, სახელდობრ: ა) მართლმსაჯულების ორგანოების სწორი, კანონიერებასთან ზუსტად შესაბამებული მუშაობა და ბ) კონსტიტუციით გარანტირებული მოქალაქეთა პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება უკანონო დაპატიმრებაში ან უკანონო დაკავებაში. დაპატიმრება უკანონო იქნება ყოველთვის, როდესაც არ არის დაცული საქ. სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე და 88-ე მუხლების მოთხოვნა, ხოლო დაკავება უკანონოა ყოველთვის, როდესაც დარღვეული იქნება საპროცესო კოდექსის 121-ე და 132-ე მუხლებით დადგენილი წესი დაკავების შესახებ.

იმ დანაშაულის **სუბიექტი,** რასაც 194-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს, შეიძლება იყოს მხოლოდ წინასწარი გამოძიების ან მოკვლევის ორგანოს თანამდებობის პირი, ხოლო იმავე მუხლის მეორე და მესამე ნაწილში მოცემულისა — პროკურორი

სრრმა (177-ე მუხლი) დამაძიმებელ გარემოებათა შორის ანგარებას ან სხვა პირად მოტივს არ ითვალისწინებს, რადგან იგულისხმება, რომ ამ მოტივის გარეშე საერთოდ წარმოუდგენელია განსახილველი დანაშაულის (თუნდაც მისი მარტივი სახის) ჩადენა. აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში (იხ. უკრაინის სსკ 176-ე მუხლი, უზბეკეთის სსკ 157-ე მუხლი, ყაზახეთის სსკ 191-ე მუხლი, აზერბაიჯანის სსკ 175-ე მუხლი, ლიტვის სსკ 184-ე მუხლი, ლატვიის სსკ 169-ე მუხლი, ესტონეთის სსკ 169-ე მუხლი, ყირგიზეთის სსკ 184-ე მუხლი და ა. შ.) პირდაპირ არის მითითებული, რომ უკანონო განაჩენის და სხვა დასახელებული სასამართლო აქტების გამოტანისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დამნაშაულს დაეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ ქმედობა ჩადენილია ანგარებით ან სხვა პირადი მოსაზრებით.

და მოსამართლეც, რომელთაც კანონი ანიჭებს აღკვეთის ღონისძიების შერჩევის უფლებას.

მოსამართლე წინასწარი შეცნობით პირის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრის წესით პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლის საფუძველზე. ხოლო კერძო პირი უკანონოდ ვისიმე თავისუფლების აღკვეთისათვის — 133-ე მუხლის საფუძველზე.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. დამნაშავეს აქვს შეგნება იმისა, რომ მისი მოქმედება უკანონოა და, მიუხედავად ამისა, სურს მისი განხორციელება.

სს კოდექსის 194-ე მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის ძალით დაპატიმრება, რომელიც მოახდინა გამოძიების ან მოკვლევის ორგანოს თანამდებობის პირმა სასამართლოს დადგენილების ან პროკურორის სანქციის გარეშე, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე, თანამდებობიდან დათხოვნით. მეორე ნაწილი ითვალისწინებს უკანონო დაპატიმრებას ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთიდან ხუთ წლამდე. ბოლოს, იმავე მუხლის მესამე ნაწილის ძალით, უკანონო დაკავება, რომელიც მოახდინა თანამდებობის პირმა ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, თანამდებობიდან დათხოვნით[1].

---

[1] საქ. სსრ სს კოდექსის 194-ე მუხლის დისპოზიცია მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი ნორმების დისპოზიციისაგან. სახელდობრ:

ა) საქ. სსრ სს კოდექსში სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებისაგან განსხვავებით (იხ. რსფსრ სსკ 178-ე მუხლი, უკრაინის სსკ 173-ე მუხლი, ბელორუსიის სსკ 174-ე მუხლი, უზბეკეთის სსკ 158-ე მუხლი და სხვ.) ზუსტად არის განსაზღვრული დანაშაულის სუბიექტი—გამოძიების ან მოკვლევის ორგანოს თანამდებობის პირი. ისმება კითხვა: თუ უკანონო დაპატიმრება პროკურორმა ან მოსამართლემ განახორციელა, როგორ უნდა აგონ მათ პასუხი? საქ. სსრ სს ტექსტის სიტყვა-სიტყვითი გაგებით, პროკურორი ან მოსამართლე ამ მუხლით პასუხისგებაში ვერ მიეცემა. ეს არ არის სწორი. მართებული იქნებოდა ჩვენი რესპუბლიკის კოდექსში სუბიექტის განსაზღვრისას დასახელებულიყო პროკურორიც და მოსამართლეც ან საერთოდ არ ყოფილიყო ჩამოთვლა სუბიექტებისა, როგორც ეს გააკეთა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობამ.

ბ) საქ. სსრ სს კოდექსის 194-ე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია უკანონო დაპატიმრების დამამძიმებელი გარემოება—მისი ჩადენა ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით.

გაუგებრობის აცილებლად უმჯობესია რსფსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლ-

დ. ჩვენების მიცემის იძულება. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ჩ ვ ე ნ ებ ი ს მ ი ც ე მ ი ს ი ძ უ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს გათვალისწინებულია სს კოდექსის 195-ე მუხლში. მისი შინაარსი ასეთია: „მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მწარმოებელი პირის მიერ მუქარით ან სხვა უკანონო მოქმედებით პირის იძულება ჩვენების მიცემისათვის, ექსპერტისა — დასკვნის მიცემისათვის, თარჯიმნისა — არასწორი თარგმნისათვის, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

იგივე ქმედობა, რომელსაც თან ერთვის ძალადობა ან დაზარალებულის პიროვნების აბუჩად აგდება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე".

ამ დანაშაულის ო ბ ი ე ქ ტ ი ა წინასწარი გამოძიების, მოკვლევის და სასამართლო ორგანოების სწორი, კანონიერების ზუსტად დაცვაზე დაფუძნებული მუშაობა, აგრეთვე დასაკითხავი პირის (მოწმის, დაზარალებულის, ბრალდებულის, ეჭვმიტანილის), ექსპერტისა და თარჯიმნის ჯანმრთელობა და პირადი ღირსება.

ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული გამოიხატება ჩვენების მიცემისათვის იძულებაში, აგრეთვე ექსპერტისა და თარჯიმნის იძულებაში დასკვნის მიცემისა და არასწორი თარგმნისათვის.

საქ. სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის ძალით „აკრძალულია ბრალდებულისაგან ჩვენების გამოძალვა მუქარის, ძალადობისა და სხვა უკანონო ღონისძიებათა გამოყენების გზით". ეს წესი, ბუნებრივია, ვრცელდება აგრეთვე სხვა პირებზეც, რომლებიც შეიძლება დაიკითხონ წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის დროს, ე. ი. მოწმეზე, დაზარალებულზე და ეჭვმიტანილზე.

კანონი (სს კოდექსის 195-ე მუხლის I ნაწილი) იძულებას გულისხმობს მუქარის ან სხვა უკანონო მოქმედების გამოყენებით.

მუქარა ნიშნავს ყოველგვარი სახის ფსიქიური ზეგავლენის მოხდენას დასაკითხავ პირზე (ან მის მახლობელზე), სახელდობრ: მუქარას, რომ გამოყენებული იქნება ფიზიკური ძალადობა, გახმაუ-

---

კების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას „წინასწარი შეცნობით უკანონო დაპატიმრებისათვის". კანონის ასეთი შინაარსი მოიცავს დანაშაულის ყველა შესაძლებელ სახეს, მათ შორის ანგარებით და სხვა პირადი მოტივით ჩადენილსაც.

ბ) საქ. სსრ სსკ 194-ე მუხლის მესამე ნაწილი დანაშაულად მიიჩნევს უკანონო დაკავებას მხოლოდ მაშინ, თუ იგი ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით არის ჩადენილი.

ამ შემთხვევაშიც უფრო სწორია სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსები, სადაც ლაპარაკია საერთოდ „წინასწარი შეცნობით უკანონო დაკავებაზე" მოტივების აღუნიშნავად.

რებული გამაწბილებელი ცნობები (ე. წ. შანტაჟი), განადგურებული მისი ქონება და ა. შ.

სხვა უკანონო მოქმედებად უნდა ჩაითვალოს ზეგავლენის მოხდენის ყოველი სახის უკანონო ღონისძიება (მუქარის გარდა), რომლის მიზანსაც შეადგენს დასაკითხავი პირისაგან მოკვლევის ან გამოძიების მწარმოებელი პირისათვის სასურველი ჩვენების თუ დასკვნის და თარგმანის მიღება. ეს შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, მოტყუებაში, შელავათების დაპირებაში, მოსყიდვაში და ა. შ.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენების (აგრეთვე დასკვნის, თარგმანის) მიცემის იძულებას თან ერთვის ძალადობა ან დაზარალებულის პიროვნების აბუჩად აგდება, ქმედობა დაკვალიფიცირდება იმავე 195-ე მუხლის მეორე ნაწილით.

ძალადობად უნდა ჩაითვალოს დაზარალებულის მიმართ ისეთი ფიზიკური ზემოქმედების გამოყენება, როგორიც არის: ცემა და სხეულის დაზიანება. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ, უკეთუ ასეთ ძალადობას შედეგად მოჰყვა დაზარალებულის სხეულის მძიმე დაზიანება ან სიკვდილი, დამნაშავე პირის ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობის წესით, სს კოდექსის 195-ე მუხლის მეორე ნაწილით და შესაბამისი მუხლით პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავიდან.

ჩვენების (დასკვნის, თარგმანის) მიცემის იძულებისას დაზარალებულის პიროვნების აბუჩად აგდება ნიშნავს ამა თუ იმ სახით მისი ღირსებისა და პატივის დამცირებას, ფეხქვეშ გათელვას (უცენზურო სიტყვებით გინებას, ლანძღვას, დამცირებას, ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას და ა. შ.), ყოველივე იმას, რაც დაზარალებულს მიაყენებს მორალურ და ფიზიკურ ტანჯვას (ხანგრძლივად ფეხზე დგომა, კვების მიუცემლობა და სხვ.).

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი, როგორც ეს თვით კანონშია ნათქვამი, შეიძლება იყოს მხოლოდ მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მაწარმოებელი პირი (ე. ი. გამომძიებელი, მომკვლევი, პროკურორი). უკეთუ ასეთ ქმედობას მოსამართლე ჩაიდენს, მისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება სსკ 186-ე მუხლით (სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. სუბიექტს აქვს იმის შეგნება, რომ იყენებს უკანონო ხერხებს მისთვის სასურველი ჩვენების (დასკვნის თუ თარგმა-

ნის) მიღების მიზნით, ითვალისწინებს ქმედობის მავნე შედეგს და სურს კიდევაც მისი დადგომა[1].

§ 3. მართლმსაჯულების ეროვნული ფიმართული დანაშაულის ისეთი სახეები, რომლებიც შეიძლება ჩადენილ იქნეს სხვა, არამართლმსაჯულების ორგანოების თანადგომის პირთა მიერ

ა. შეგნებულად ცრუ დასმენა. საქ. სსრ სს კოდექსის 196-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ ც რ უ დ ა ს მ ე ნ ი ს ა თ ვ ი ს დ ა ნ ა შ ა უ ლ ი ს ჩ ა დ ე ნ ი ს შ ე ს ა ხ ებ.

ყოველ საბჭოთა მოქალაქეს მოეთხოვება სახელმწიფო ორგანოებისადმი, საერთოდ, და მართლმსაჯულების ორგანოებისადმი, კერძოდ, მიმართვისას იყოს მართალი და პატიოსანი. სიცრუესა და სიყალბეს, განსაკუთრებით კი შეგნებულად ვინმეს ცრუდ დასმენას, ვითომც მას დანაშაული ჩაედინოს, შესაძლოა ძალზე მავნე შედეგი მოჰყვეს აღნიშნული ორგანოების მიერ სახელმწიფოებრივი ფუნქციის შესრულების საქმისათვის. სახელდობრ, მიწოდებული ცრუ ცნობების შესამოწმებლად ეს ორგანოები იძულებული ხდებიან ფუჭად დაკარგონ ბევრი დრო, ამასთან მოცდნენ სხვა არსებითი მნიშვნელობის საკითხების განხილვა-გადაწყვეტას. გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, რომ ცრუ დასმენის შედეგად აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, უდანაშაულო პირის მიმართ მიღებულ იქნეს იძულების სხვადასხვა ღონისძიებანი და, რაც მთავარია, შეიქმნეს პირობები უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის დასადგენად. ასეთი ვითარების შექმნას შეუძლია სახელი გაუტეხოს მართლმსაჯულების ორგანოებს მშრომელთა თვალში, ამასთან დიდი ვნება და ზიანი მიაყენოს იმ პირს, რომელიც დაზარალებულია

---

[1] საქ. სსრ სს კოდექსის 195-ე მუხლის დისპოზიციასა და ზოგიერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალოგიურ ნორმების დისპოზიციას შორის არსებობს სხვაობა, რაც შემდეგში მდგომარეობს: თუ საქ. სსრ სს კოდექსის მოხსენიებული მუხლი ითვალისწინებს უკანონო მოქმედებით იძულებას როგორც ჩვენების მიცემისათვის, ასევე ექსპერტისა — დასკვნის მიცემისათვის და თარჯიმნისა—არასწორი თარგმანისათვის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა კმაყოფილდება იძულებითი მოქმედებით მარტოოდენ ჩვენების მიცემისათვის; მასში არაფერია ნათქვამი ექსპერტისა და თარჯიმნის შესახებ (იხ. მაგ., რსფსრ სსკ 179-ე მუხლი, უკრაინის სსკ 175-ე მუხლი, ბელორუსიის სსკ 175-ე მუხლი, უზბეკეთის სსკ 159-ე მუხლი, აზერბაიჯანის სსკ 177-ე მუხლი, სომხეთის სსკ 193-ე მუხლი და ა. შ.).

პრაქტიკაში ყოველგვარი გაუგებრობის ასაცილებლად, ვფიქრობთ, უფრო სწორი და მართებულია საქ. სსრ სს კოდექსის 195-ე მუხლის კონსტრუქცია

მის მიმართ სისხლის სამართლის დევნის უსაფუძვლოდ აღძვრის გამო.

ამიტომ ამ დანაშაულის ობიექტად უნდა მივიჩნიოთ როგორც მართლმსაჯულების ორგანოების სწორი, კანონიერების ზუსტად დაცვის საფუძველზე აგებული საქმიანობა, ასევე მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება შეგნებულად ცრუ ცნობების წარდგენაში ისეთ ორგანოში ან თანამდებობის პირთან, ვისაც სისხლის სამართლის დევნის აღძვრის უფლება აქვს, აგრეთვე ხელისუფლების სხვა ორგანოებში, შესახებ იმისა, თითქოს ვისმეს დანაშაული ჩაედინოს. საქ. სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის ძალით, ისეთ ორგანოებს (თანამდებობის პირებს), რომელთაც სისხლის სამართლის დევნის უფლება აქვთ, წარმოადგენენ პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევი პირი, მოსამართლე. სხვა ორგანოებად ჩითვლება პარტიული ორგანოები, ჟურნალ-გაზეთების რედაქციები და ა. შ[1].

დანაშაულის შედგენილობისათვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა ხერხით არის ჩადენილი დანაშაული, სახელდობრ, ცრუ დასმენას შეიძლება ადგილი ექნეს წერილობითი განცხადების შეტანით (სულერთია, ხელმოწერილია ავტორის მიერ იგი თუ უსახელოა, ანონიმური), სათანადო თანამდებობის პირთან უშუალოდ გამოცხადებით და მისთვის სიტყვიერად ცნობების გადაცემით და ა. შ.

დანაშაულის შედგენილობისათვის არ არის სავალდებულო, რომ ცრუ დასმენის შესახებ გაკეთებულ განცხადებაში ზუსტად იყოს აღწერილი ვითომდა ჩადენილი დანაშაულის ყველა დეტალი. ასევე არ არის სავალდებულო, რომ ბრალი ედებოდეს დანაშაულის ჩადენაში ზუსტად მითითებულ, კონკრეტულ პირს (რაც პრაქტიკაში უფრო ხშირად გვხვდება); საკმარისია მითითება ვითომდა დანაშაულის ჩადენის შესახებ, იმის აღუნიშნავად, თუ, სახელდობრ, ვინ არის მასში ბრალეული. ერთი სიტყვით, საკმარისია განსახილველი დანაშაულის შედგენილობისათვის იმის დადგენა, რომ განცხადება შეიცავდა ისეთ ცრუ ცნობებს, რომელთაც შეეძლოთ გამოეწვიათ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

იმისათვის, რომ ამ დანაშაულის შედგენილობა დამთავრებულად

---

[1] უკრაინისა და მოლდავეთის სს კოდექსების ძალით დანაშაულად ითვლება ცრუ დასმენა მხოლოდ ისეთ ორგანოში ან თანამდებობის პირთან, რომელსაც სისხლის სამართლის დევნის უფლება აქვს (იხ. 177-ე და 195-ე მუხლები).

ჩაითვალოს, არ არის აუცილებელი ცრუ დასმენით მოწოდებული მასალის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. იგი დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ხელისუფლების სათანადო ორგანოებს წარედგინა ცრუ ცნობების შემცველი შეტყობინება.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს ყოველი კერძო პირი (16 წლის ასაკს მიღწეული).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ ცრუ დასმენა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით (რაზეც მიუთითებს სს კოდექსის 196-ე მუხლში აღნიშნული სიტყვა „შეგნებულად") და, უნდა ვიგულისხმოთ, გარკვეული მიზნით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სათანადო ორგანოებისათვის ცრუ ცნობების შეტყობინებით დამნაშავეს, როგორც წესი, სურს მიაღწიოს წინასწარი შეცნობით უდანაშაულო პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემასა და მსჯავრდებას[1], ამასთან ერთად მას შეიძლება სურდეს შეაფერხოს იუსტიციის ორგანოების სწორი, ნორმალური მუშაობა. მოტივი დამნაშავის ქმედობისა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მეტწილად, საგამომძიებლო-სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მოტივს წარმოადგენს ანგარება (უდანაშაულო პირის პასუხისგებაში მიცემის თუ მსჯავრდების შედეგად რაიმე მატერიალური ხასიათის გამორჩენის მიღების სურვილი), შურისძიება ან სხვა პირადი დაინტერესება.

ცრუ შინაარსის მქონე განცხადების გამკეთებლის კეთილსინდისიერი შეცდომა, ე. ი. ისეთი შემთხვევა, როდესაც პირმა, სუბიექტურად დარწმუნებული იყო რა დანაშაულის ნამდვილად ჩადენაში, თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად მიიჩნია შეეტყობინებინა ამის შესახებ სათანადო ორგანოსათვის, მაგრამ შემდეგში გამოირკვა მისი შეცდომა, განსახილველი დანაშაულის შედგენილობას ვერ მოგვცემს, რადგან მის მოქმედებაში არ არსებობს განზრახი ბრალი (და სპეციალური მიზანი). გაუფრთხილებლობა, რაც გამოიხატება მასში, რომ პირმა წინასწარ ჯეროვნად არ შეამოწმა იუსტიციის ორგანოებისათვის შეტყობინებული ცნობის სისწორე, არ დარწმუნ-

---

[1] ლატვიის სსრ სს კოდექსის 173-ე მუხლის ძალით, ცრუ დასმენის შედგენილობისათვის აუცილებელია გარკვეული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, ხოლო ყირგიზეთის სსკ 187-ე მუხლით—საერთოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის სპეციალური მიზნის არსებობა. გარკვეული მიზნის არსებობაზე მიუთითებენ აგრეთვე უზბეკეთის, ლიტვისა და მოლდავეთის სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობები. დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების სს კოდექსებში ასეთი მითითება არ არის.

და მის უტყუარობაში, არ არის საკმარისი ასეთი პირის სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მისაცემად ცრუ დასმენისათვის.

196-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია შეგნებულად ცრუ დასმენა დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულის კვალიფიციურ სახეს. დამამძიმებელ გარემოებებად კანონი თვლის: ა) თუ ქმედობას თან ერთვის ბრალდება განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულში ან სხვაგვარ დანაშაულში, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით; ბ) თუ ბრალდების დამამტკიცებელი საბუთები ხელოვნურად არის შექმნილი, ან გ) თუ იგი ჩადენილია ანგარების მიზნით.

დასახელებული დამამძიმებელი გარემოებები განმარტებული იყო უკვე ზემოთ (სს კოდექსის 192-ე მუხლის ანალიზისას).

სს კოდექსის 196-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ბრალეულ პირს შეეფარდება თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან შვიდ წლამდე.

განსახილველი დანაშაული — ცრუ დასმენა ერთგვარად ემსგავსება სსკ 137-ე მუხლით გათვალისწინებულ ცილისწამებას, მაგრამ მათ შორის არსებითი ხასიათის განსხვავებაა, რაც შემდეგში მდგომარეობს: ა) პირი ცილისწამებისას მიზნად ისახავს დაზარალებულის ღირსების დამცირებას გარემო საზოგადოებაში, მისთვის ჩირქის მოცხებას, სახელის გატეხას, ხოლო ცრუ დასმენისას — დაზარალებულის მიმართ სისხლის სამართლის დევნის აღძვრას და მართლმსაჯულების ორგანოების სწორი მუშაობის შეფერხებას; ბ) ცილისწამებისას დამნაშავე სხვა პირის სახელის გამტეხ შეგნებულად მონაჭორს აცნობებს კერძო პირებს, ცრუ დასმენა კი გულისხმობს შეგნებულად ცრუ ცნობების შიწოდებას ხელისუფლების მეტწილად ისეთი ორგანოებისათვის, რომელთა ფუნქციაში შედის დამნაშავე პირთა მიმართ სისხლის სამართლის დევნის აღძვრა და ბოლოს, გ) თუ ცილისწამებისას დამნაშავე ავრცელებს დაზარალებულის სახელის გამტეხ ყოველგვარ ცნობას (მათ შორის დანაშაულის ჩადენის შესახებაც), მაგალითად, ისეთს, რომელიც შეიძლება შეეხებოდეს ადამიანის მორალურ, გონებრივ ჯანმრთელობის და სხვ. დარგს, მის ყოფაქცევას საერთოდ, ცრუ დასმენის დროს წინასწარი შეცნობით შეთხზული ცნობები შეეხება დაზარალებულის მიერ მარტოოდენ დანაშაულის ჩადენას, შეიცავს მასა-

ლას მისი ბრალდებისათვის განსაზღვრული, კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში.

ბ. **შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა.** სს კოდექსის 197-ე მუხლი აწესებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მ ო წ მ ი ს ან დ ა ზ ა რ ა ლ ე ბ უ ლ ი ს მ ი ე რ შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ ც რ უ ჩ ვ ე ნ ე ბ ი ს მ ი ც ე მ ი ს ა, ან ე ქ ს პ ე რ ტ ი ს მ ი ე რ შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ ყ ა ლ ბ ი დ ა ს კ ვ ნ ი ს მ ი ც ე მ ი ს ა, ან თ ა რ ჯ ი მ ნ ი ს მ ი ე რ შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ ა რ ა ს წ ო რ ი თ ა რ გ მ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს გ ა მ ო ძ ი ე ბ ი ს დ რ ო ს ან ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო შ ი.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით მოწმის, დაზარალებულის ჩვენება, ექსპერტის დასკვნა დამამტკიცებელი საბუთების წყაროების ცალკეული სახეებია.

მოწმე და დაზარალებული კონკრეტულ საქმეზე ვალდებული არიან მთელი სიზუსტით და სიმართლით გადასცენ მათ დამკითხავ ორგანოს (მოკვლევის თუ წინასწარი გამოძიების ორგანოს, სასამართლოს) ყოველივე, რაც იციან, რაც თვალით დაუნახავთ, მოუსმენიათ; ექსპერტი მოვალეა მისცეს ობიექტური დასკვნა მეცნიერების, ხელოვნების, ხელოსნობის მონაცემთა და თავისი პრაქტიკული გამოცდილების შესაბამისად; ასევე, თარჯიმანს ეკისრება ზუსტად, მთელი სისწორით გადათარგმნოს ესა თუ ის წერილობითი დოკუმენტები, მოწმის, დაზარალებულის, ბრალდებულის ჩვენებები და ა. შ.

დასახელებულ პირთა მიერ თავიანთი მოვალეობის პატიოსნად შესრულებაზეა მეტწილად დამოკიდებული საქმის სწორად, სამართლიანად გადაწყვეტა, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა და, პირიქით, მოწმისა და დაზარალებულის ცრუ ჩვენებას, ექსპერტის ყალბ დასკვნას, თარჯიმნის არასწორ თარგმანს შესაძლოა მოჰყვეს საქმის ნამდვილი ვითარების დამახინჯება, უკანონო განაჩენისა და გადაწყვეტილების გამოტანა.

განსახილველი დანაშაულის ო ბ ი ე ქ ტ ს წარმოადგენს გამოკვლევისა (მოკვლევის, წინასწარი გამოძიების) და სასამართლო ორგანოების სწორი მუშაობა, მათი ავტორიტეტი, აგრეთვე ზოგჯერ მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დ ა ნ ა შ ა უ ლ ი, იმისდა მიხედვით თუ რა როლს ასრულებს პროცესში დამნაშავე, შეიძლება გამოიხატოს ერთ-ერთ შემდეგ მოქმედებაში:

ა) მოწმისა და დაზარალებულის მიერ შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემაში მოკვლევის, გამოძიების ორგანოში ან სასამართლოში საქმის წარმოების დროს. ჩვენების სიცრუე შეიძლება მდგომა-

რეობდეს როგორც საქმისათვის უშუალო და არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამახინჯებაში, ასევე მათ შესახებ არაფრის თქმაში, დამალვაში. დამახინჯებული ფაქტები შეიძლება შეეხებოდეს როგორც დანაშაულის შედგენილობის ნიშნებს სისხლის სამართლის საქმეზე და განსახილველი სარჩელის ცალკეულ გარემოებებს სამოქალაქო საქმეზე, ასევე ბრალდებულის, მოსარჩლის, მოპასუხის, დაზარალებულისა და პროცესის სხვა მონაწილეთა პიროვნებას;

ბ) ექსპერტის მიერ შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემაში მოკვლევის, გამოძიების ორგანოში ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

ხიყალბე ექსპერტის დასკვნისა შეიძლება გამოიხატოს, ერთი მხრივ, ექსპერტის მიერ დადგენილი ფაქტების უსწოროდ გაშუქება-გადმოცემაში, მათ ყალბად შეფასებაში ანდა მათ შესახებ არაფრის თქმაში, დამალვაში, მეორე მხრივ კი—ექსპერტიზის მიერ დადგენილი ფაქტებიდან უსწორო დასკვნების გაკეთებაში.

გ) თარჯიმნის მიერ შეგნებულად დოკუმენტის ან პროცესის მონაწილეთა სიტყვიერი ჩვენების, განცხადების, შუამდგომლობის, შეკითხვების, მათზე პასუხების და ა. შ. შეგნებულად არასწორ თარგმანში მოკვლეეის, გამოძიების ორგანოში ან სასამართლოში საქმის წარმოების დროს.

არასწორად ჩაითვლება თარგმანი მაშინ, როდესაც თარჯიმანი ამახინჯებს დასახელებული დოკუმენტის, ჩვენებებისა და სხვ. ნამდვილ შინაარსს.

განსახილველი დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მოწმისა და დაზარალებულის მიერ მიცემული იყო ცრუ ჩვენება, ექსპერტის მიერ—ყალბი დასკვნა, ხოლო თარჯიმანმა არასწორად გადათარგმნა ესა თუ ის დოკუმენტი ან ჩვენება.

მოჰყვა თუ არა აღნიშნულ ქმედობას რაიმე მძიმე შედეგი (საქმის უკანონოდ გადაწყვეტა, გაჭიანურება და ა. შ.), ამას დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის მიცემის ან თარჯიმნის არასწორი გადათარგმნის გამო მძიმე შედეგის დადგომამ შეიძლება მხოლოდ გავლენა მოახდინოს დამნაშავედ ცნობილი პირისათვის შესაფარდებელ სასჯელის ზომაზე.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი, როგორც ეს თვით კანონშია აღნიშნული, შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი (16 წლის ასაკიდან) გამოწვეული მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის

ან თარჯიმნის სახით მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ან სასამართლო ორგანოს მიერ.

ბრალდებული და ექვემიტანილი სისხლის სამართლის საქმეზე, აგრეთვე მოსარჩლე და მოპასუხე სამოქალაქო საქმეზე ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიიცემიან.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაულის შედგენილობისათვის აუცილებელია პირდაპირი განზრახვის არსებობა, რადგან კანონი (სს კოდექსის 197-ე მუხლი) მოითხოვს ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის მიცემას, არასწორ თარგმნას შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ.

მოტივი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, სახელდობრ, შური, ვინმესათვის დახმარების გაწევა ან, პირიქით—მდგომარეობის გაუარესება და ა. შ. მხოლოდ ანგარება არ უნდა ახასიათებდეს 197-ე მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ დანაშაულს, რადგან ეს მოტივი ითვლება დანაშაულის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად (მას ითვალისწინებს იმავე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ამ დანაშაულის კვალიფიციური სახის ნიშნებს).

არაგანზრახი ბრალი ამ დანაშაულის შედგენილობას ვერ მოგვცემს. კეთილსინდისიერი შეცდომა, დაშვებული მოწმის ან დაზარალებულის მიერ დაკითხვისას, ექსპერტის მიერ დასკვნის მიცემისას ან თარჯიმნისა—გადათარგმნის დროს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს.

ასეთი კატეგორიის საქმის განხილვისას სასამართლოს მართებს განსაკუთრებული გულისხმიერებითა და სიზუსტით გამოარკვიოს საკითხი იმის შესახებ, პირი ცრუ ჩვენების ან ყალბი დასკვნის მიცემისას, აგრეთვე არასწორი თარგმნისას, შეგნებულად მოქმედებდა თუ კეთილსინდისიერად ცდებოდა.

განსახილველი დანაშაულის მარტივი სახე, 197-ე მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

იმავე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია დანაშაული დამამძიმებელ გარემოებათა არსებობისას. სახელდობრ: ა) თუ აღნიშნულ მოქმედებას თან ერთვის ბრალდება განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულში ან სხვაგვარ დანაშაულში, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით; ბ) თუ იგი ჩადენილია ანგარების მიზნით ან გ) ბრალდების დამამტკიცებელი საბუთების ხელოვნურად შექმნით.

მართებული იქნება შევჩერდეთ დანაშაულის ისეთ დამამძიმე-

ბელ გარემოებაზე, როგორიც არის მისი ჩადენა ანგარების მიზნით (დანარჩენი დამამძიმებელი გარემოებანი უკვე იყო ზემოთ განმარტებული).

განსახილველი დანაშაულის ჩადენა ანგარების მიზნით გულისხმობს მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის, თარჯიმნის მისწრაფებას მიიღოს ქონებრივი გამორჩენა (მაგალითად, ძვირფასი ნივთები, ბინა და ა. შ.) და ამ მიზანს აღწევს ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის მიცემით თუ არასწორი თარგმნით, რითაც შეცდომაში შეჰყავს მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანოები და სასამართლო.

დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განსახილველი დანაშაული 197-ე მუხლის მეორე ნაწილის ძალით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.

გ. მოწმის ან ექსპერტის მიერ გამოცხადებისაგან თავის არიდება ან მათ მიერ თავიანთ მოვალეობათა შეხრულებაზე უარის თქმა. სს კოდექსის 198-ე მუხლი აწესებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოცხადებისაგან თავის არიდების გამო იმ პირის მიერ, რომელიც მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანომ ან სასამართლომ მოწმედ ან ექსპერტად გამოიძახა, აგრეთვე ამ პირის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის გამო.

სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა დიდი, უმრავლესი ნაწილის გამოკვლევა-გადაწყვეტისას აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მთელი რიგი პირების მონაწილეობა, დახმარება. მათ გარეშე მართლმსაჯულება ვერ განხორციელდება. ეს პირებია: მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი, თანამოწმე.

ჩამოთვლილი პირები ვალდებული არიან საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების დაბარებისთანავე გამოცხადდნენ მათთან და მისცენ სწორი ჩვენება თუ დასკვნა, სწორად გადათარგმნონ დოკუმენტები, ჩვენებები და ა. შ.

რადგან ასეთი ვალდებულების დარღვევა დასახელებულ პირთა მიერ მნიშვნელოვნად აფერხებს სოციალისტური მართლმსაჯულების განხორციელების საქმეს, იგი მიჩნეულია საზოგადოებრივად საშიშ ქმედობად, დანაშაულად.

საქ. სსრ სს კოდექსის 198-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოების სწორი მუშაობა.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება მოწმის ან ექსპერტის მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს დაბარებით გამოცხადებისაგან თავის არიდებაში ან უარის თქმაში თავიანთი მოვალეობის შესრულებაზე. ასეთი ქმედობა შესაძლოა გამოიხატოს როგორც წერილობით, ასევე სიტყვიერად და საერთოდ სუბიექტის ყოველი სახის საქციელში, რაც მოწმობს იმ გარემოებას, რომ მოწმეს ან ექსპერტს არ სურს შეასრულოს თავისი მოვალეობა, დახმარება გაუწიოს საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოებს ცალკეულ საქმეთა გამოკვლევა-გადაწყვეტის დარგში. ყოველივე ეს სუბიექტის მიერ ჩადენილი უნდა იყოს საპატიო მიზეზის გარეშე; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ გვექნება დანაშაულის შედგენილობა. გამოუცხადებლობა და საერთოდ მოვალეობის შესრულებისაგან თავის არიდება, საპატიო იყო თუ არა ეს, ფაქტის საკითხია და უნდა დადგინდეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტული საქმის გარემოებათა მიხედვით. საერთოდ კი მიღებულია საპატიო მიზეზად მიჩნეულ იქნეს მოწმის თუ ექსპერტის ავადმყოფობა, უწყების დროულად მიუღებლობა, სტიქიური უბედურება, რამაც ხელი შეუშალა გამოცხადებას და ა. შ.[1].

დანაშაულის სუბიექტი, როგორც თვით კანონშია ნათქვამი, შეიძლება იყოს მხოლოდ მოწმე ან ექსპერტი (მოწმეს ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ 16 წლის ასაკს მიღწევის შემდეგ)[2].

---

[1] აღსანიშნავია, რომ უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მიხედვით, პასუხისმგებლობა მოწმეს, ექსპერტს, აგრეთვე თარჯიმანს ეკისრება მხოლოდ ბოროტული თავის არიდებისათვის, არასაპატიო მიზეზით მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმისათვის.

[2] აღრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი (იხ. 93-ე მუხლი) განსახილველი დანაშაულის სუბიექტად თელიდა აგრეთვე თარჯიმანსა და თანამოწმეს. ახალი კოდექსი იმ თვალსაზრისს დაადგა, რომ უფრო მართებული იქნება თარჯიმნისა და თანამოწმის პასუხისმგებლობა თავიანთი მოვალეობის შესრულებაზე თავის არიდებისათვის გადატანილ იქნეს მორალურ სფეროში.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთგვარი შეუსაბამობა საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს შორის, რაც შემდეგში მდგომარეობს: საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის ძალით, თუ თარჯიმანი და ის პირი, რომელმაც შუნჯის ან ყრუს სალაპარაკო ნიშნები იცის, თავს აარიდებენ გამოცხადებას ან თავიანთი მოვალეობის შესრულებას, აგრეთვე წინასწარი შეცნობით არასწორად თარგმნიან, პასუხს აგებენ ისევე, როგორც მოწმე ანალოგიური ქმედობისათვის.

სისხლის სამართლის კოდექსი პასუხისმგებლობას აღნიშნული ქმედობისა-

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ განსახილველი დანაშაული გულისხმობს განზრახ ბრალს, ამასთან განზრახვა უნდა იყოს პირდაპირი.

სასჯელი სს კოდექსის 198-ე მუხლით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ექვს თვემდე ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე, ან საზოგადოებრივი გაკიცხვა.

დ. მოწმის ან ექსპერტის იძულება. სს კოდექსის 199-ე მუხლი ითვალისწინებს მ ო წ მ ი ს, დ ა ზ ა რ ა ლ ე ბ უ ლ ი ს ა ნ ე ქ ს პ ე რ ტ ი ს ი ძ უ ლ ე ბ ა ს ც რ უ ჩ ვ ე ნ ე ბ ი ს ა ნ ა რ ა ს წ ო რ ი დ ა ს კ ვ ნ ი ს მ ი ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს, ა გ რ ე თ ვ ე ა მ პ ი რ ე ბ ი ს ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო დ ა ს ა გ ა მ ო მ ძ ი ებ ლ ო ო რ გ ა ნ ო ებ შ ი გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ხ ე ლ ი ს შ ე შ ლ ა ს.

რადგან ასეთი მოქმედება მიმართულია მართლმსაჯულების ორგანოების შეცდომაში შეყვანისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეშლისაკენ, განსახილველი დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს დასახელებული ორგანოების სწორი, კანონიერების ზუსტად დაცვაზე დაფუძნებული საქმიანობა, აგრეთვე მოქალაქეთა უფლება და კანონიერი ინტერესები.

ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში, სახელდობრ, მუქარის გამოყენებით მოწმის, დაზარალებულის ან ექსპერტის იძულებაში მისცენ ცრუ ჩვენება ან არასწორი დასკვნა, ან არ გამოცხადდნენ სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებში. მუქარა არის ფსიქიკური ძალადობა, რომელიც კანონის (სსკ 199-ე მუხლი) ძალით უნდა იყოს შოკვლის ან ძალადობის გამოყენების, ან მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის მიყენების შინაარსისა.

საქ. სსრ სს კოდექსის 199-ე მუხლის მიხედვით, მუქარა მიმართული უნდა იყოს უშუალოდ მოწმის, დაზარალებულის ან ექსპერტის მიმართ[1]. ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი ნორმების ძალით კი—მათი ახლობელი პირების მიმართაც (იხ., მაგალითად, რსფსრ სსკ 183-ე მუხლი, ბელორუსიის სსკ 179-ე მუხლი).

განსახილველი დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენ-

იის აწესებს მხოლოდ მოწმისა და ექსპერტის მიმართ, თარჯიმანს (და პირს, ხომელმაც მუნჯის ან ყრუს სალაპარაკო ნიშნები იცის) კი პასუხისმგებლობა არ ეკისრება:

ყოველგვარი გაუგებრობის აღკვეთის მიზნით ეს შეუსაბამობა უნდა გამოწორდეს.

[1] აზერბაიჯანის, მოლდაველთის, თურქმენეთის, ესტონეთის სსრ სს კოდექსების მიხედვით—თარჯიმნის მიმართაც.

ტიდან, როდესაც მუქარა წარმოითქვა მოწმის, დაზარალებულის ან ექსპერტის მიმართ, იმისდა მიუხედავად, სუბიექტმა მიაღწია თუ არა თავისი მუქარით მიზანს— ცრუ ჩვენების ან არასწორი დასკვნის მიცემას, ან დასანელებულ პირთა გამოუცხადებლობას სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებში. უკეთუ მუქარა შემდეგში განხორციელდა (ე. ი. ჩადენილია მკვლელობა, სხეულის დაზიანება და ა. შ.), ბრალეული პირის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს დანაშაულთა ერთობლიობის წესით, სს კოდექსის 199-ე მუხლით და იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ფაქტიურად მიყენებული ზიანისათვის (მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ქონების განადგურება).

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი პირი 16 წ. ასაკს მიღწეული. მართლმსაჯულების ორგანოს თანამდებობის პირს ანალოგიური ქმედობის ჩადენისას შეეფარდება სს კოდექსის 195-ე მუხლი (ჩვენების მიცემის იძულება).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ განსახილველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ამასთან გარკვეული მიზნით—იძულებულ იქნენ მოწმე, დაზარალებული ან ექსპერტი, მისცენ ცრუ ჩვენება, არასწორი დასკვნა ან არ გამოცხადდნენ სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოში.

სასჯელი 199-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე.

ე. მოწმის, ექსპერტის ან თარჯიმნის მოხსენიდვა. საქ. სსრ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე ითვალისწინებს მე-200 მუხლში ისეთ დანაშაულს, როგორიც არის მ ო წ მ ი ს, ე ქ ს პ ე რ ტ ი ს ან თ ა რ ჯ ი მ ნ ი ს მ ო ს ყ ი დ ვ ა ცრუ ჩ ვ ე ნ ე ბ ი ს ან ცრუ დ ა ს კ ვ ნ ი ს მ ი ც ე მ ა ზ ე ან ა რ ა ს წ ო რ თ ა რ გ მ ნ ა ზ ე, ა ნ დ ა ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო თ უ ს ა გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ლ ო ო რ გ ა ნ ო ე ბ შ ი გ ა მ ო უ ც ხ ა დ ე ბ ლ ო ბ ა ზ ე მ ა თ ი დ ა ყ ო ლ ი ე ბ ი ს მ ი ზ ნ ი თ.

ეს დანაშაული განსხვავდება ზემოგანხილული დანაშაულისგან (რასაც სსკ 199-ე მუხლი ითვალისწინებს) მხოლოდ ობიექტური მხრივ. ამ შემთხვევაში დანაშაული (სს კოდექსის მე-200 მუხლში მოცემული) ობიექტური მხრივ ხასიათდება მოწმის, ექსპერტის ან თარჯიმნის დაყოლიებაში მისცენ ცრუ ჩვენება, ცრუ დასკვნა, არასწორად გადათარგმნონ ანდა არ გამოცხადდნენ სასამართლო თუ საგამომძიებლო ორგანოში არა მუქარის გამოყენების იძულებით (რაც დამახასიათებელია სსკ 199-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის), არამედ მოსყიდვით.

მოსყიდვა ნიშნავს მოწმის, ექსპერტის ან -- თარჯიმნისათვის მატერიალური ფასეულობის (ფულის, პროდუქტების და ა. შ.) ან სხვა ქონებრივი ხასიათის გამორჩენის (მაგ., ბინის, რესტორანში გამასპინძლების და ა. შ.) გადაცემას ან გადაცემის დაპირებას იმ შემთხვევაში, თუ დასახელებული პირები მისცემენ ცრუ ჩვენებას, ცრუ დასკვნას ან არასწორად თარგმნიან, ან არ გამოცხადდებიან სასამართლო თუ საგამომძიებლო ორგანოებში.

დანაშაულის შედგენილობის დანარჩენი ელემენტები (ობიექტი, სუბიექტი, სუბიექტური მხარე) ანალოგიურია 199-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ელემენტებისა, რაც ზემოთ იქნა განხილული..

სასჯელი სს კოდექსის მე-200 მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე.

სასამართლო-საგამომძიებლო პრაქტიკაში ყოველგვარი გაუგებრობის აღკვეთის მიზნით მართებული იქნებოდა საქ. სსრ სს კოდექსის მე-200 მუხლს მოწმის, ექსპერტის და თარჯიმნის გარდა გათვალისწინებინა დაზარალებულიც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების მსგავსად (იხ., მაგალითად, რსფსრ სს კოდექსის 183-ე მუხლი, უკრაინის სსრ სს კოდექსის 180-ე მუხლი, ბელორუსიის სს კოდ. 179-ე მუხლი, ყაზახეთის სს კოდექსის 187[1]-ე მუხლი და ა. შ.)[1].

ვ. მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურება. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მ ო კ ვ ლ ე ვ ი ს ან წ ი ნ ა ს წ ა რ ი გ ა მ ო ძ ი ე ბ ი ს მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ი ს ს ა თ ა ნ ა დ ო ნ ე ბ ა რ თ ვ ი ს გ ა რ ე შ ე გ ა ხ მ ა უ რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს გათვალისწინებულია სს კოდექსის 201-ე მუხლში.

---

[1] 1963 წ. აგვისტოში კურ. ბორჯომში მანქანის მძღოლმა მ., გაიტაცა რა მანქანით ტყეში უცნობი ქალი ნ., გააუპატიურა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი დატოვა იგი ღამით დანაშაულის ადგილზე. დაზარალებულმა ამოიცნო მოძალადე, უკანასკნელი კი უარყოფდა დანაშაულის ჩადენას შემდგომ დაკითხვებზე დაზარალებულმაც უარყო თავისი პირველი ჩვენება და განაცხადა, რომ მძღოლი მ. არ არის მოძალადე, არამედ იგი ვიღაც სხვა პირმა გააუპატიურა.

გამოძიებით დადგენილ იქნა დაზარალებულის პირველი, სწორი ჩვენების გადათქმის მიზეზი. ეს იყო მისი მოსყიდვა მძღოლის ახლობლების მიერ (გადასცეს 1.000 მანეთი, რომ გაებათილებინა მძღოლი მ.-ს მამხილებელი სწორი ჩვენება).

ბორჯომის პროკურატურამ, მხოლოდ იმის გამო, რომ საქ. სსრ სს კოდექსის მე-200 მუხლი არ ითვალისწინებს მოწმეს, ექსპერტსა და თარჯიმანს შორის დაზარალებულსაც (დაზარალებულის მოსყიდვას), არ ცნო შესაძლებლად დაზარალებულის მოსყიდვაში დამნაშავე პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა აღნიშნული მუხლით.

მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურებამ. მომკვლევი პირის, გამომძიებლის თუ პროკურორის ნებართვის გარეშე, შესაძლოა დიდად ავნოს საქმის ყოველმხრივი, ობიექტური გამოკვლევის ინტერესებს და დაარღვიოს გამოკვლევის (მოკვლევის, წინასწარი გამოძიების) ორგანოების ნორმალური მუშაობა.

ამიტომ არის, რომ საქ. სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 139-ე მუხლი ადგენს, რომ საჭირო შემთხვევაში გამომძიებელი აფრთხილებს მოწმეს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩლეს, სამოქალაქო მოპასუხეს ან მათ წარმომადგენლებს, დამცველს, ექსპერტს, თარჯიმანს და თანამოწმეს, რომ არ დაიშვება მისი ნებართვის გარეშე წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურება, რის შესახებაც შეიძლება ამ პირებს ჩამოერთვათ სათანადო ხელწერილი.

ამ ხელწერილის დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სს კოდექსის 201-ე მუხლით.

განსახილველი დანაშაულის ო ბ ი ე ქ ტ ს წარმოადგენს გამოკვლევის ორგანოების (მოკვლევის, წინასწარი გამოძიების) სწორი მუშაობა.

ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მხრივ დანაშაული გამოიხატება მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურებაში, სხვა პირებისათვის (თუნდაც ერთი პირისათვის) შეტყობინებაში. გახმაურება შეიძლება განხორციელდეს სიტყვიერად (საჯაროდ იქნება თუ კერძო საუბარში), წერილობით (სხვა პირისათვის გაგზავნილ წერილში ან ბეჭდვით ნაწარმოებში), ასევე სხვა გზით (მაგალითად. ჩატარებული ჩხრეკის შესახებ შედგენილი ოქმის გადაცემა სხვა პირისათვის და ა. შ.).

დანაშაულის შედგენილობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ სუბიექტი მოქმედებდა მომკვლევი პირის, გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვის გარეშე.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურების მომენტიდან იმის მიუხედავად, თუ რა შედეგი მოჰყვა ამ ქმედობას.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი განსახილველი დანაშაულისა შეიძლება იყოს პროცესის შემდეგი მონაწილენი: მოწმე, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩლე, სამოქალაქო მოპასუხე ან მათი წარმომადგენლები, დამცველი, ექსპერტი, თარჯიმანი და თანამოწმე[1].

---

[1] ე. ი. ის პირები, რომელთაც გამომძიებლის მიერ ჩამორთმეული ჰქონდათ ხელწერილი წინასწარი გამოძიების მონაცემების არგახმაურების შესახებ.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემები გახმაურებულია თვით გამოკვლევის ორგანოების იმ თანამდებობის პირების მიერ, რომელთაც ეს მონაცემები ხელთ აქონდათ თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, ისინი პასუხს აგებენ თანამდებობრივი დანაშაულისათვის (სს კოდექსის 186-ე ან 188-ე მუხლით). უკეთუ ეს მონაცემები სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი იყო, პასუხისმგებლობა განისაზღვრება სს კოდექსის 76-ე მუხლით.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული განზრახია. დამნაშავეს აქვს იმის შეგნება, რომ სათანადო თანამდებობის პირთა ნებართვის გარეშე ახმაურებს მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემებს და სურს ეს ან შეგნებულად უშვებს მათ გახმაურებას. გახმაურების მოტივს ქმედობის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

სასჯელი სს კოდექსის 201-ე მუხლით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე.

ზ. აწერილი ან ყადაღადადებული ქონების გაფლანგვა, გახსვისება ან დამალვა. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ა წ ე რ ი ლ ან ყ ა დ ა ღ ა დ ა დ ე ბ უ ლ ი ქ ო ნ ე ბ ი ს გ ა ფ ლ ა ნ გ ვ ი ს ა, გ ა ს ხ ვ ი ს ე ბ ი ს ა ან დ ა მ ა ლ ვ ი ს ა თ ვ ი ს ი მ პ ი რ ი ს მ ი ე რ, ვ ი ს ა ც ეს ქ ო ნ ე ბ ა ჩ ა ბ ა რ ე ბ უ ლ ი ჰ ქ ო ნ დ ა, კათვალისწინებულია სს კოდექსის 202-ე მუხლში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის ძალით, სამოქალაქო სარჩელის ან ქონების შესაძლებელი კონფისკაციის უზრუნველყოფის მიზნით, გამომძიებელი ვალდებულია ყადაღა დაადოს ბრალდებულის, ეჭვმიტანილის ან კანონის მიხედვით მათი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირების ქონებას ან სხვა ისეთი პირების ქონებას, რომლებთანაც იმყოფება დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონება. ქონება, რომელსაც ყადაღა დაედო, შესანახად გადაეცემა აღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილ ერთ-ერთ პირს ან დაწესებულება-ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელსაც უნდა განემარტოს მისი პასუხისმგებლობა ამ ქონების შენახვისათვის.[1].

ამ დანაშაულის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ იგი უსპობს სასამართლოს იმის შესაძლებლობას, რომ აუნაზღაუ-

---

[1] ქონების აწერა და დაყადაღება შეიძლება განხორციელდეს სამოქალაქო საქმეზეც (მაგ., აღძრული სარჩელის უზრუნველსაყოფად და სხვ.).

როს დაზარალებულს დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანი ან მოიყვანოს სისრულეში განაჩენის ის ნაწილი, რომელიც მსჯავრდებულის ქონების კონფისკაციას შეეხება.

აქედან გამომდინარე, დანაშაულის ობიექტია როგორც მართლმსაჯულების ორგანოების სწორი მუშაობა და სახელმწიფოს ინტერესები, ასევე ცალკეულ მოქალაქეთა უფლება და კანონიერი ინტერესი.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება ისეთ მოქმედებაში, როგორიც არის აწერილი ან ყადაღადადებული ქონების გაფლანგვა, გასხვისება ან დამალვა.

გაფლანგვა ნიშნავს გახარჯვას, ქონების იმგვარ განკარგვას, რომ ის აღარ არსებობს, გახარჯულია. მაგალითად, ფული დახარჯულია, შაქარი—მოხმარებული და ა. შ. გასხვისება ნიშნავს აწერილი ან ყადაღადადებული ქონების ამა თუ იმ ხერხითა და საშუალებით, სასყიდლით თუ უსასყიდლოდ სხვა პირისათვის გადაცემას (გაყიდვას, ჩუქებას), დაბოლოს, დამალვა ნიშნავს აღნიშნული ქონების სხვა ადგილზე გადანაცვლებას, გადამალვას, რაც სათანადო ორგანოებს საშუალებას ართმევს ამოიღონ და რეალიზაცია უყონ ამ ქონებას.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ 16 წ. ასაკს მიღწეული ის პირი, ვისაც ჩაბარებული ჰქონდა აწერილი ან ყადაღადადებული ქონება და დაკისრებული პასუხისმგებლობა მისი დაცვა-შენახვისათვის.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაულისათვის დამახასიათებელია პირდაპირი განზრახვა. დამნაშავეს აქვს იმის შეგნება, რომ ფლანგავს, ასხვისებს ან მალავს მისთვის მინდობილ აწერილ ან ყადაღადადებულ ქონებას და სურს ეს მას. მოტივი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, სახელდობრ, ანგარებითი დაინტერესება, ქონების მესაკუთრისათვის დახმარების სურვილი და ა. შ.

სასჯელი 202-ე მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით[1].

თ. პატიმრობიდან გაქცევა. სს კოდექსის 203-ე მუხლი განსაზღვ-

---

[1] ზემოგანხილული დანაშაულის შედგენილობას ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებდა, ხოლო სასამართლო პრაქტიკა ანალოგიურ ქმედობას განიხილავდა როგორც ქონებრივ დანაშაულს. კანონმდებლობის ხარვეზი გამოსწორდა ახალი სისხლის სამართლის კოდექსით, რამაც სიზუსტე და გარკვეულობა შეიტანა ამ საკითხში.

რაეს პასუხისმგებლობას პირის პატიმრობიდან ან სასჯელის მოხდის ადგილიდან გაქცევისათვის[1].

სოციალისტური მართლმსაჯულების განხორციელება გულისხმობს არა მარტო საქმის სწორად გადაწყვეტას, კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენას, არამედ განაჩენის დროულად აღსრულებასაც. განაჩენის სისრულეში მოუყვანლობა ამცირებს მის ავტორიტეტსა და მნიშვნელობას. ამას გარდა მას შეიძლება ისიც მოჰყვეს, რომ პირი მსჯავრდებული განსაზღვრული ვადის თავისუფლების აღკვეთით ჩაიდენს ახალ დანაშაულს, თუ განაჩენი არ იქნება დროულად აღსრულებული.

ასევე მნიშვნელოვანი და აუცილებელია სასწრაფო წესით სისრულეში მოყვანა საგამოკვლევო ორგანოების მიერ საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით გამოტანილი დადგენილებისა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების არჩევის შესახებ. ასეთი დადგენილების დროულად შეუსრულებლობას შეიძლება შედეგად მოჰყვეს, ერთი მხრივ, დასაპატიმრებელი პირის გამოკვლევასა და სასამართლოში გამოცხადებისაგან თავის არიდება და საქმის გადაწყვეტის დაბრკოლება, ხოლო, მეორე მხრივ, თავისუფლად დატოვებული საზოგადოებრივად საშიში პირის მიერ სხვა, ახალი დანაშაულის ჩადენა.

სს კოდექსის 203-ე მუხლში აღნიშნული პატიმრობიდან გაქცევა ნიშნავს პირის წინასწარი პატიმრობის ყოველი სახის ადგილიდან (საგამომძიებლო სატუსაღო, მილიციასთან არსებული წინასწარი პატიმრობის საკანი), აგრეთვე სასამართლო დარბაზიდან, გამომძიებლის ოთახიდან, გზიდან ბადრაგის მიერ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანის დროს (ფეხით, ავტომანქანით, მატარებლით) და ა. შ. გაქცევას, ე. ი. სათანადო ნებართვის გარეშე საპატიმრო ადგილის დატოვებას ან დარაჯთა ხელიდან გასხლტომას.

სასჯელის მოხდის ადგილიდან გაქცევა კი ნიშნავს უკვე მსჯავრდებული პირის გაქცევას თავისუფლების აღკვეთის იმ ადგილიდან, სადაც იგი იხდიდა განაჩენით დადგენილ სასჯელს. ასეთი ადგილი შეიძლება იყოს შრომა-გასწორების კოლონია, ციხე, საავადმყოფო თავისუფლებააღკვეთილთათვის, არასრულწლოვანთა შრომითი კოლონია და სხვ.

---

[1] 203-ე მუხლის შინაარსი მოცემულია საქ. სსრ უმაღლესი სობჭოს პრეზიდიუმის 1966 წ. 18 თებერვლის ბრძანებულების „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ" შესაბამისად.

განსახილველი დანაშაული დესადია, დამთავრებულად ითვლება პატიმრობიდან გაქცევის მომენტიდან, ხოლო შეწყდება დამნაშავის დაკავების თუ ნებაყოფლობით დაბრუნებისას.

დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება 16 წლის ასაკს მიღწეულ პირს, ვისაც პატიმრობა შერჩეული ჰქონდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების წესით ანდა სასამართლოს განაჩენის საფუძველზე იხდიდა სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს აქვს იმის შეგნება, რომ სათანადო ნებართვის გარეშე ტოვებს პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის ადგილს და სურს ეს, ისახავს რა მიზნად—მთლიანად ან დროებით დააღწიოს თავი სასჯელის მოხდას ან დაიმალოს, გაიქცეს წინასწარი პატიმრობის ადგილიდან.

203-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს განსახილველი დანაშაულის ისეთ სახეს, რომელსაც არ ახლავს დამამძიმებელი გარემოებები და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

იმავე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია დანაშაულის კვალიფიციური სახე. დამამძიმებელ გარემოებებად მიჩნეულია: ა) თუ გაქცევა განმეორებით არის ჩადენილი, ან ბ) ჯგუფის მიერ წინასწარი მოლაპარაკებით, ან გ) გუშაგთა ძალადატანებით.

გაქცევა განმეორებითად ჩაითვლება როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ადრე უკვე იყო მსჯავრდებული გაქცევისათვის და შემდეგ ისევ ჩაიდინა ეს ქმედობა, ასევე მაშინაც, როდესაც საქმის გამოკვლევის პროცესში დადგინდება, რომ იგი წინათაც გაქცეულა პატიმრობის ან სასჯელის მოხდის ადგილიდან, მაგრამ ამისთვის მსჯავრდებული არ ყოფილა.

გაქცევა ჯგუფის მიერ წინასწარი მოლაპარაკებით ნიშნავს ორი და მეტი პირის მიერ ამ დანაშაულის ერთობლივად განხორციელებას წინასწარი შეთანხმებით.

დანაშაულის მესამე დამამძიმებელი გარემოება—თუ გაქცევას თან ერთვის ძალადობა გუშაგთა მიმართ, გაგებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ დამნაშავე მიმართავს გუშაგის მიმართ ფიზიკურ ძალადობას (ცემას, სხეულის დაზიანებას, გათოკვას, უკანონო თავისუფლების აღკვეთას და ა. შ.).

უკეთუ ძალადობას გუშაგის მიმართ შედეგად მოჰყვა უკანასკნელის სიკვდილი ან სხეულის მძიმე თუ ნაკლებად მძიმე დაზიანება, პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს დანაშაულთა ერთობლიობის წესით; დამნაშავეს ასეთ შემთხვევაში შეეფარდება რო-

გორც სს კოდექსის 203-ე მუხლის მეორე ნაწილი, ასევე შესაბამისი მუხლი პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავიდან. სხვა სახის ძალადობის გამოყენებას მოიცავს მთლიანად 203-ე მუხლი. უკეთუ ძალადობა გუშაგის მიმართ გაქცევის დროს ჩადენილია განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ან მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობის წესით, სს კოდექსის 203-ე მუხლის მეორე ნაწილით და 78[1]-ე მუხლით[1].

პატიმრობიდან ან სასჯელის მოხდის ადგილიდან გაქცევა დამამძიმებელ გარემოებათა არსებობისას სს კოდექსის 203-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

ი. გადასახლებულის გაქცევა და გასახლებულის თვითნებურად დაბრუნება. პასუხისმგებლობა გ ა დ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ი ს გ ა ქ ც ე ვ ა ს ა და გ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ი ს თ ვ ი თ ნ ე ბ უ რ ა დ დ ა ბ რ უ ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს გათვალისწინებულია სს კოდექსის 204-ე მუხლში.

გადასახლება, წარმოადგენს რა სასჯელის ერთ-ერთ სახეს (რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მარტო როგორც ძირითადი, არამედ აგრეთვე როგორც დამატებითი სასჯელი), ნიშნავს სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულის გაძევებას თავისი საცხოვრებელი ადგილიდან განსაზღვრულ ადგილზე სავალდებულო დასახლებით (იხ. სკკ 23-ე და 26-ე მუხლები)[2], ხოლო სასჯელის ისეთი სახე, როგორიც არის გასახლება, მდგომარეობს მსჯავრდებულის გაძევებაში თავისი საცხოვრებელი ადგილიდან განსაზღვრულ ადგილებში ცხოვრების აკრძალვით (იხ. სსკ 23-ე და 27-ე მუხლები).

გადასახლებულის გაქცევისა და გასახლებულის თვითნებურად დაბრუნების საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს,

---

[1] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 3 დეკემბრის დადგენილება № 16 „სასამართლო პრაქტიკის შესახებ იმ საქმეებზე, რომლებიც ითვალისწინებენ სასჯლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქმედებისათვის, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომაგასწორების დაწესებულებათა მუშაობაში“ (ტურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1963, № 3, გვ. 76—79).

[2] საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულებით „იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას“ სასამართლოს უფლება აქვს თავისი დადგენილებითაც ადმინისტრაციული ღონისძიების სახით გადასახლება დაუნიშნოს პირს, რომელიც ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა.

რომ მსჯავრდებულის მიერ სასამართლოს განაჩენის აღსრულებისაგან თავის არიდებით მიუღწეველი რჩება სასჯელის მიზნები, განუხორციელებელი—მართლმსაჯულების ორგანოების ამოცანა.

გადასახლებულის გაქცევა ნიშნავს მსჯავრდებულის მიერ გადასახლების ადგილის ვადამდე ადრე თვითნებურად დატოვებას, აგრეთვე აღნიშნულ ადგილზე გაგზავნისას გზიდან გაქცევას, დამალვას; გასახლებულის დაბრუნება კი ნიშნავს მსჯავრდებულის განაჩენით დადგენილ ვადამდე ადრე თვითნებურად იმ ადგილებში დაბრუნებას, სადაც მას ცხოვრება აკრძალული აქვს.

როგორც გადასახლებულის გაქცევა, ასევე გასახლებულის თვითნებურად დაბრუნება დენადი დანაშაულია. დანაშაულებრივ მდგომარეობაში ყოფნა შეწყდება დამნაშავის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტში.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი ა პირი, რომელსაც სასამართლოს მიერ შეფარდებული აქვს სასჯელის სახით გადასახლება ან გასახლება.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მხრივ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ამასთან დამნაშავე მიზნად ისახავს მუდმივად ან დროებით თავი დააღწიოს მისთვის შეფარდებული სასჯელის აღსრულებას.

204-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით, გადასახლებულის გაქცევა სავალდებულო დასახლების ადგილიდან ან გზიდან ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ხოლო იმავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად გასახლებულის თვითნებურად დაბრუნება საცხოვრებლად აკრძალულ ადგილზე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს თვემდე ან გადასახლებით ვადით სამ წლამდე.

კ. დანაშაულის დაფარვა. დ ა ნ ა შ ა უ ლ ი ს დ ა ფ ა რ ვ ი ს დასჯადობა დადგენილია სს კოდექსის 205-ე მუხლით.

საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსი (ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სს კოდექსები) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ადგენს, რომ წინასწარი დაპირებით დანაშაულის დაფარვა (ე. ი. დამნაშავის, დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების, დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი საგნების დამალვა) წარმოადგენს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეობის ერთ-ერთ სახეს, ხოლო დანაშაულის დაფარვა, რაც წინასწარ არ ყოფილა შეპირებული, დამოუკიდებელ დანაშაულს წარმოადგენს და იწვევს პასუხისმგებლობას მხოლოდ

ამ შემთხვევებში, რომლებიც სპეციალურადაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონით (იხ. საქ. სსრ სს კოდექსის მე-19—მე-20 მუხლები).

კანონით დადგენილი ეს წესი იმ დებულებას ეფუძნება, რომ თუ წინასწარ შეპირებული დაფარვა დანაშაულისა მიზეზობრივ კავშირშია უკანასკნელთან (რადგან დაფარვის შეპირებას წინასწარ რომ არ ჰქონოდა ადგილი, შესაძლოა დანაშაული არც ყოფილიყო ჩადენილი), წინასწარი შეპირების გარეშე დაფარვა (რაც გულისხმობს დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავის, დანაშაულის კვალის, იარაღის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაფარვას), პირიქით, არ იმყოფება მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირში ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულთან და, მაშასადამე, ვერ განიხილება როგორც თანამონაწილეობა.

წინასწარი შეპირების გარეშე დაფარვა საშიშროებას წარმოადგენს პირველ ყოვლისა მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობისათვის, რამდენადაც ასეთი დაფარვა აძნელებს დანაშაულის გახსნას და დამნაშავე პირის დასჯას, ასევე აფერხებს დანაშაულით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას.

სახელმწიფო დანაშაულის დაფარვა წინასწარი შეპირების გარეშე განიხილება როგორც სახელმწიფო დანაშაული და პასუხისმგებლობა მისი ჩადენისათვის გათვალისწინებულია სს კოდექსის 90'-ე მუხლში, ხოლო სხვა დანაშაულთა ასეთივე სახის დაფარვისათვის — სს კოდექსის 205-ე მუხლში.

დანაშაულის წინასწარი შეპირების გარეშე დაფარვის (რაც გათვალისწინებულია სს კოდექსის 205-ე მუხლში) ობიექტს წარმოადგენს სოციალისტური მართლმსაჯულების ინტერესი.

როგორც აღნიშნული იყო, დანაშაულის დაფარვა წინასწარი შეპირების გარეშე ყოველთვის კი არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ მისი დასჯადობა სპეციალურად არის დადგენილი სისხლის სამართლის კანონით.

სს კოდექსის 205-ე მუხლი (დამატებით 90'-ე მუხლისა) ზუსტად განსაზღვრავს, თუ სახელდობრ როდის, რა სახის დანაშაულის წინასწარი შეპირების გარეშე დაფარვის დასჯადობაა დაშვებული.

სახელდობრ, აღნიშნული მუხლის ძალით ისჯება დანაშაულის დაფარვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაფარული დანაშაულისათვის კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით, მაშასადამე, ისეთი დანაშაულის დაფარვა, რომლისთვისაც კანონი სასჯელის უფრო რბილ ზომას აწესებს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ იწვევს.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული აქტიური მოქმედებით ხასიათდება და შეიძლება გამოიხატოს ან დამნაშავის დაფარვაში ანდა კიდევ — დანაშაულის დაფარვაში. დამნაშავის დაფარვა ნიშნავს ისეთი დანაშაულის ჩამდენი პირის დამალვას, რომლისთვისაც კანონით დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით. დამნაშავის დაფარვა შეიძლება, მაგალითად, გამოიხატოს მისთვის თავშესაფრის მიცემით, დასამალავად სხვა ადგილზე წაყვანით და ა. შ.

დანაშაულის დაფარვა კი მდგომარეობს დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების ან დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების დაფარვაში. ასეთი სახის დაფარვას წარმოადგენს, მაგალითად, დანის, ცეცხლსასროლი იარაღის (რომლითაც იყო ჩადენილი დანაშაული) გადამალვა, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების (მაგ., სისხლით შეღებილი პერანგის) განადგურება, ყოველივე იმის დამალვა თუ მოსპობა, რაც შეიძლება გამომდგარიყო დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასადგენად (მაგალითად, ქურდობის თუ ყაჩაღობის გზით მოპოვებული ფულის თუ სხვა ფასეულობის და ა. შ.).

დაფარვა დამთავრებულად ჩაითვლება ერთ-ერთი ზემოთ აღნიშნული მოქმედების შესრულების მომენტიდან, იმის მიუხედავად, მოხერხდა თუ არა დამნაშავის მიმალვა ან დანაშაულის კვალის მოსპობა და ამით დანაშაულის გახსნის შეფერხება.

ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს 16 წ. ასაკს მიღწეული ყოველი პირი, მათ შორის დაფარული დანაშაულის ჩამდენის ახლო ნათესავებიც.

განსახილველი დანაშაული სუბიექტური მხრივ ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. მოტივს, რომლითაც ხელმძღვანელობდა დამფარავი, დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მეტ შემთხვევაში მოტივს წარმოადგენს სიბრალული დამნაშავისადმი, შიში დანაშაულის გამომჟღავნების გამო, ანგარება და სხვ.

სსკ 205-ე მუხლით პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია იმის დადგენა, რომ დამფარავმა ნამდვილად იცოდა დაფარული დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედობის შინაარსი, მისი ხასიათი და მაკვალიფიცირებელი გარემოებანი. ასე, მაგალითად, უკეთუ პირი ფარავს ქურდს (პირადი ქონების ფარულად გამტაცებელს), მისთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ ქურდობა ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში (რაც სსკ 150-ე მუხლის მეორე ან მესამე ნაწილებშია გათვალისწინებული). წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელდობრ, თუ

...ი ფიქრობდა, რომ ფარავს მარტივი სახის ქურდობის ჩამდენს, რომლის დაფარვაც დასჯადი არ არის, იგი, ცხადია, 205-ე მუხლით პასუხისგებაში ვერ მიეცემა.

205-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით, დამნაშავის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების ან დანაშაულის კვალის, ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების წინასწარი შეპირების გარეშე დაფარვა იმ შემთხვევებში, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით—ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე. ხოლო იმავე მუხლის მეორე ნაწილის ძალით, იმ დანაშაულის დაფარვა, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ათი წლით და მეტი ვადით—ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე[1].

ლ. **დანაშაულის განუცხადებლობა.** პასუხისმგებლობა **დ ა ნ ა შ ა უ ლ ი ს გ ა ნ უ ც ხ ა დ ე ბ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს** გათვალისწინებულია სს კოდექსის 206-ე მუხლში.

ყოველი საბჭოთა ადამიანის მორალური მოვალეობაა აცნობოს ხელისუფლების სათანადო ორგანოებს, რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაული და მით ხელი შეუწყოს დამნაშავეობასთან ბრძოლის საერთო სახალხო ამოცანის წარმატებით გადაჭრას. საზოგადოებრიობის მონაწილეობა დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში, ცხადია, გულისხმობს იმასაც, რომ მოქალაქე არ აუვლის გვერდს უმსგავსობას და დროულად აცნობებს ხელისუფლების ორგანოებს

---

[1] მეტი წილი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის ნორმებში, განსხვავებით საქ. სსრ სს კოდექსისაგან, ჩამოთვლილია იმ დანაშაულთა სახეები, რომელთა დაფარვაც გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ამგვარად, თუ საქ. სსრ სს კოდექსი აგენს ყველა ისეთი დანაშაულის დაფარვის დასჯადობას, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე ზევით, მთელი რიგი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში პირდაპირ არის ჩამოთვლილი დანაშაულთა სახეები (მკვლელობა, ყაჩაღობა და ა. შ.), რომელთა დაფარვასაც მოჰყვება სასჯელის შეფარდება (იხ. მაგალითად, რსფსრ სს კოდექსის 169-ე მუხლი, უკრაინის სს კოდექსის 186-ე მუხლი, ბელორუსიის სსკ 185-ე მუხლი, უზბეკეთის სსკ 169-ე მუხლი და ა. შ.). ამ საკითხში საქართველოს სსრ სს კოდექსის მსგავსად არის აგებული მხოლოდ უზბეთისა და ლატვიის სს კოდექსები, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ისინი აწესებენ მარტოოდენ ისეთი დანაშაულის დაფარვის დასჯადობას, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთი წლიდან (იხ. უზბეთის სს კოდექსის 195-ე მუხლი) ან ხუთ წელზე ზევით (იხ. ლატვიის სს კოდ. 182-ე მუხლი).

დანაშაულის ჩადენის ან ჩასადენად მზადების მისთვის ცნობილ ფაქტებს.

ამ მოქალაქეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობა დიდად დასაგმობია მორალური თვალსაზრისით, მაგრამ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ყოველთვის როდი იწვევს. სს კოდექსის 21-ე მუხლის ძალით განუცხადებლობა დანაშაულისა იმ პირის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაული, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, რომლებიც სპეციალურადაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონით.

დანაშაულის განუცხადებლობის დასჯადობის შესახებ სპეციალურ მითითებას ჩვენ ვპოულობთ სს კოდექსის 90-ე და 206-ე მუხლებში. 90-ე მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფო დანაშაულთა განუცხადებლობას, ხოლო 206-ე მუხლი—ზოგიერთ მძიმე, საერთო სისხლის სამართლებრივი ხასიათის დანაშაულთა განუცხადებლობას. ამჯერად ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს 206-ე მუხლის შინაარსი.

დაფარვისაგან განსხვავებით, კანონი არ ასხვავებს ერთიმეორისაგან დანაშაულის განუცხადებლობას წინასწარ შეპირებულს წინასწარი შეუპირებლისაგან და ერთგვარად დასჯადად თვლის განუცხადებლობას ორივე შემთხვევაში.

დანაშაულის განუცხადებლობა (ისევე როგორც დაფარვა) აფერხებს მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობას, მიმართულს საშიშ დანაშაულთა დროულად გახსნისა და მასში ბრალეულ პირთა დასჯისაკენ. ამრიგად, დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს მართლმსაჯულების ორგანოების სწორი მუშაობა, ხოლო დანაშაულის მზადების განუცხადებლობისას — საზოგადოებრივი უშიშროებაც.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება უმოქმედობაში, პასიურობაში (ამით განსხვავდება იგი ძირითადად დაფარვისაგან, რომელიც გულისხმობს აქტიურ მოქმედებას). უმოქმედობა დანაშაულის განუცხადებლობისას იმაში მდგომარეობს, რომ პირი, რომლისთვისაც ნამდვილად ცნობილია სხვა პირის (თუ პირთა) მიერ დანაშაულის მზადების ან უკვე ჩადენის ფაქტი, უგულებელყოფს თავის მოვალეობას—შეატყობინოს ამის შესახებ ხელისუფლების ორგანოებს თუ შესაბამის თანამდებობის პირთ და, მაშასადამე, პასიურობს, არ მოქმედებს.

პირს პასუხისმგებლობა განუცხადებლობისათვის ეკისრება მხოლოდ სხვა პირთა მიერ დანაშაულის მზადების ან ჩადენის გამო და

არა იმ დანაშაულის განუცხადებლობისათვის, რაც თვითონ ჩაიდინა.

კანონი არ აწესებს ვადას განცხადებისათვის, მაგრამ ეს უნდა მოხდეს რეალურად შესაძლებელ მინიმალურ ვადაში. დაყოვნების გამართლება შეიძლება მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობისას (ასეთ მიზეზად ჩაითვლება ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება და სხვ., რამაც წაართვა პირს დროულად განცხადების საშუალება).

მართალია, კანონში (სს კოდექსის 206-ე მუხლში) არ არის ნათქვამი, თუ, სახელდობრ, ვისთან, რომელ ორგანოში ან თანამდებობის პირთან უნდა იყოს წარდგენილი განცხადება, მაგრამ იგულისხმება, რომ ეს უნდა გაკეთდეს ისეთ ორგანოში, რომელსაც შეუძლია აღკვეთოს დანაშაულებრივი საქმიანობა და ამხილოს დამნაშავე. ასეთ ორგანოდ პირველ რიგში ჩაითვლება მოკვლევისა და გამოძიების ორგანოები, პროკურატურა, სასამართლო, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის დაწესებულებანი. ამასთან ერთად შესაძლებელია განცხადება გაკეთდეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოში, დაწესებულება-ორგანიზაციის ხელმძღვანელთან, კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან, პარტიულ ორგანოში, გაზეთის რედაქციაში, სახალხო რაზმის შტაბში და ა. შ.

განუცხადებლობისათვის პირი მხოლოდ მაშინ მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, უკეთუ დადგენილია, რომ მან ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ იცოდა დანაშაულის მზადების ან ჩადენის შესახებ. ნამდვილად ცნობილად ჩაითვლება ისეთი გარემოება, რაც სუბიექტმა აღიქვა პირადი დაკვირვებით (დაინახა, მოისმინა და ა. შ.) ან გაიგო ისეთი წყაროდან, რომლის სინამდვილეც მასში ეჭვს არ იწვევს და დარწმუნდა, რომ ნამდვილად მზადდება ან უკვე ჩადენილია სს კოდექსის 206-ე მუხლში ჩამოთვლილი ერთ-ერთი სახის მძიმე დანაშაული.

განუცხადებლობა ისეთი ცნობებისა, რომელთა სინამდვილეშიც პირი არ იყო დარწმუნებული, პასუხისმგებლობას ვერ გამოიწვევს.

რადგან კანონი აწესებს პასუხისმგებლობას მხოლოდ ნამდვილად ცნობილი დანაშაულის განუცხადებლობისათვის, უნდა დავასკვნათ, რომ ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ განუცხადებლობა განზრახი დანაშაულია. ამასთან განზრახვა შეიძლება იყოს მხოლოდ პირდაპირი. თუ რა მოტივი ამოქმედებდა დამნაშავეს, ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულის განუცხადებლობისა შეიძლება იყოს ყოველი კერძო პირი 16 წლის ასაკიდან.

ზოგიერთი თანამდებობის პირი (მაგალითად, მილიციის მუშაკი, დაწესებულება-ორგანიზაციის ბუღალტერი და ა. შ.) ყველა შემთხვევაში თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო მოვალეა აცნობოს სათანადო ორგანოებს სხვა პირთა მიერ დანაშაულის მზადების თუ ჩადენის შესახებ მისთვის ცნობილი გარემოებანი. უკეთუ თანამდებობის პირი ასეთ შემთხვევაში გამოიჩენს უმოქმედობას, კერძოდ, არ განაცხადებს მისდამი დაქვემდებარებულ პირთა მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, პასუხს აგებს არა სს კოდექსის 206-ე მუხლით, არამედ კონკრეტული საქმის გარემოებათა მიხედვით 186-ე მუხლით (თანამდებობის ბოროტად გამოყენება) ან 187-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) ან კიდევ და 188-ე მუხლით (დაუდევრობა).

206-ე მუხლის თანახმად, განუცხადებლობა იმისა, რომ ნამდვილად მზადდება ან ჩადენილია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ (მუხ. 91-ე, ნაწილი მესამე, მუხლი 92-ე, ნაწილი მესამე, მუხლი 93-ე, ნაწილი მესამე, მუხლი 94-ე, ნაწილი მესამე, მუხლი 96¹-ე), განზრახ მკვლელობა (მუხლები 104-ე, 105-ე, 258-ე, პუნქტი „გ"), „ყაჩაღობა (მუხლები 96-ე, 152-ე), — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან საზოგადოებრივი გაკიცხვით.

სხვა დანარჩენი სახის დანაშაულის განუცხადებლობა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედობად არ ითვლება (გარდა სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობისა, რისთვისაც პასუხისმგებლობა განისაზღვრება სს კოდექსის 90-ე მუხლით).

მართალია, კანონი (სს კოდექსის 206-ე მუხლი) სასჯელის თანაბარ ზომას აწესებს როგორც დანაშაულის მზადების, ასევე უკვე ჩადენილის განუცხადებლობისათვის, მაგრამ იმის გამო, რომ დანაშაულის ჩასადენად მზადების განუცხადებლობა მეტი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია, ვინემ უკვე ჩადენილი დანაშაულის განუცხადებლობა (რადგან პირველ შემთხვევაში დანაშაულის

მზადების დროულად შეტყობინებას სათანადო ორგანოსათვის შეეძლო თავიდან აცილება დანაშაულის ჩადენისა, მისი დამთავრებისა), მართებული იქნება მასში ბრალეულ პირს სასამართლომ, როგორც წესი, უფრო მკაცრი სასჯელის ზომა დაუნიშნოს (ცხადია, კანონით დადგენილი სანქციის ფარგლებში).[1]

---

[1] მთელ რიგ სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სს კოდექსების ძალით, სრულიად მართებულად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს განუცხადებლობა არა მარტო იმ დანაშაულისა, რაც ჩამოთვლილია საქ. სსრ სს კოდექსის 206-ე მუხლში, არამედ, დამატებით იმისა, კიდევ განუცხადებლობა გაუპატიურებისა (დამამძიმებელ გარემოებებში), გაძარცვისა (დამამძიმებელ გარემოებებში), ქრთამის აღების, შექრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის მიცემის (დამამძიმებელ გარემოებებში), მილიციის მომუშავის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლეზე ხელყოფისა, სხეულის მძიმე დაზიანებისა და სხვ. (იხ. რსფსრ სს კოდექსის 190-ე მუხლი, უკრაინის სს კოდექსის 187-ე მუხლი, ბელორუსიის სს კოდ. 186-ე მუხლი და ა. შ.). ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სს კოდექსი კი, პირიქით, მნიშვნელოვნად კეცავს იმ დანაშაულთა წრეს, რომლის განუცხადებლობაც გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. მაგალითად, უზბეკეთის სს კოდექსის 170-ე მუხლის ძალით, დასჯადია განუცხადებლობა მხოლოდ განზრახი მკვლელობისა, უაჩაღობის და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისა.

თავი IX

დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ

საბჭოთა კანონები, ანიჭებენ რა მოსახლეობის მასებს სახელმწიფოს მართვაში ფართო მონაწილეობის უფლებას, ამავე დროს ავალდებულებენ სსრ კავშირის თითოეულ მოქალაქეს ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საბჭოთა სახელმწიფო აპარატის განმტკიცებას, ხელისუფლების ორგანოების სწორ საქმიანობას. სსრ კავშირის კონსტიტუციის 130-ე მუხლის ძალით „სსრ კავშირის თითოეული მოქალაქე ვალდებულია დაიცვას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია, შეასრულოს კანონები, დაიცვას შრომის დისციპლინა, პატიოსნად მოეკიდოს საზოგადოებრივ მოვალეობას, პატივისცემით მოეპყროს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს".

ის, ვინც ხელყოფს საბჭოთა სახელმწიფო აპარატის საქმიანობას, ძირს უთხრის ხელისუფლების ორგანოების ძალასა და ავტორიტეტს, ჩადის საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას—დანაშაულს. ამ დარგის სხვადასხვა სახის დანაშაული გათვალისწინებულია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სს კოდექსების სპეციალურ თავში „დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ".

დანაშაულად მმართველობის წესის წინააღმდეგ ჩაითვლება ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც იწვევს მმართველობის, სახალხო მეურნეობის ორგანოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების სწორი საქმიანობის დარღვევას, რასაც შესაძლოა, თან ერთოდეს ხელისუფლების თუ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მათი კანონიერი საქმიანობისათვის დაუმორჩილებლობა ან ხელის შეშლა, ხელისუფლების ძალისა და ავტორიტეტის შესუსტება თუ საერთაშორისო კონვენციების დარღვევა.

დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ განსხვავდება სხვა სახელმწიფო დანაშაულისაგან მით, რომ უკანასკნელი მიმართულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობისა და სამეურნეო ძლიერების საფუძვლების წინააღ-

მდეგ, მაშინ როდესაც დანაშაული მმართველობის წესის წინააღმ-დეგ მიმართულია მმართველობის ორგანოების, სამეურნეო და საზოგადოებრივი დაწესებულება-ორგანიზაციების მხოლოდ სწორი საქმიანობის დარღვევისაკენ.

ერთგვარი მსგავსება არსებობს მმართველობის წესის წინააღმ-დეგ დანაშაულსა და თანამდებობრივ დანაშაულს შორის იმ მხრივ, რომ ერთსაც და მეორესაც შეუძლია დაარღვიოს მმართველობის ორგანოების სწორი და ნორმალური საქმიანობა. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მარტოოდენ თანამდებობის პირი, ხოლო მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულისა, როგორც წესი, — კერძო პირი ან თანამდებობის პირი, მაგრამ არა თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.[1]

ყველა დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ, გათვალისწინებული საქ. სსრ სს კოდექსის მეცხრე თავში, შეიძლება დაიყოს შემდეგ სამ ჯგუფად:

1. ხელყოფა ხელისუფლების ორგანოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების სწორ საქმიანობაზე, აგრეთვე ხელისუფლების წარმომადგენლის, თანამდებობის პირის ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე, ღირსებაზე: საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ხელისუფლების წარმომადგენლისათვის ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის წინააღმდეგობის გაწევა (207-ე მუხლი); საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკისათვის ან სახალხო რაზმელისათვის წინააღმდეგობის გაწევა (207[1]-ე მუხლი); ხელისუფლების წარმომადგენლის ან საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლის შეურაცხყოფა (208-ე მუხლი); საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის შეურაცხყოფა (208[1]-ე მუხლი); საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა (209[1]-ე მუხლი); ხელისუფლების ან თანამდებობის პირის წოდების თვითნებურად მითვისება (210-ე მუხლი).

2. ხელყოფა სახელმწიფო აპარატისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის სწორ საქმიანობაზე; მუქარა ან ძალადობა თანამდებობის პირის ან იმ მოქალაქის მიმართ, რომელიც საზოგადოებრივ მოვალეობას ასრულებს (209-ე მუხლი); დოკუმენტების გატაცება ან

---

1 გამონაკლისს შეადგენს 224-ე—227-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის სუბიექტიც შეიძლება იყოს აგრეთვე თანამდებობის პირი.

დაზიანება (211-ე მუხლი); მოქალაქეთა კუთვნილი დოკუმენტის გატაცება ან დაზიანება (212-ე მუხლი); ყალბი დოკუმენტის გაკეთება (213-ე მუხლი); ყალბი დოკუმენტის შეძენა ან გამოყენება (214-ე მუხლი); ყალბი ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება (215-ე მუხლი); სასაზღვრო ზოლში ან სასაზღვრო ზონაში შესვლის ან ცხოვრების წესების დარღვევა (216-ე მუხლი); სსრ კავშირის ტერიტორიაზე მიმოსვლის წესების დარღვევისათვის უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პასუხისმგებლობა (216[1]-ე მუხლი); საპასპორტო წესების დარღვევა (217-ე მუხლი); სამხედრო ვალდებულის მიერ სასწავლო შეკრებისაგან თავის არიდება (218-ე მუხლი); სამხედრო ვალდებულის მიერ სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევა (219-ე მუხლი); ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების ბოროტი დარღვევა (219[1]-ე მუხლი); თვითნებობა (220-ე მუხლი); თვითნებური მშენებლობა (221-ე მუხლი); საშენი მასალების უკანონო შეძენა (222-ე მუხლი); მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩაწერის კანონების დარღვევა (223-ე მუხლი).

3. მმართველობის წესის წინააღმდეგ დანაშაულის სპეციალური სახეები (რომლებიც სს კოდექსში შეტანილია საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად): უკანონო სარგებლობა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ნიშნებით (224-ე მუხლი); სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ალმის უკანონო აღმართვა სავაჭრო გემზე (225-ე მუხლი); დახმარების გაუწევლობა გემების დაჯახების დროს ან გემის სახელწოდების შეუტყობინებლობა (226-ე მუხლი); ტელეგრაფის საზღვაო კაბელის დაზიანება (227-ე მუხლი).[1]

განსახილველი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მოქმედებით (მაგალითად, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ხელისუფლების წარმომადგენლისათვის ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის წინააღმდეგობის გაწევა, ყალბი დოკუმენტის გაკეთება და სხვ.), ასევე უმოქმედობით (მაგალითად, დახმარების გაუწევლობა გემების დაჯახების დროს ან გემის სახელწოდების შეუტყობინებლობა).

---

[1] ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სს კოდექსებისათვის, გარდა ამ დანაშაულისა, ცნობილია სხვა სახის შედგენილობანიც. ასე, მაგალითად, უკრაინის, აზერბაიჯანის, ლიტვის სსრ სს კოდექსები ითვალისწინებენ გემებზე რადიო მოწყობილობის სარგებლობის წესების დარღვევას, უზბეთის სსრ სს კოდექსი— ორდენებისა და მედლების უკანონო შეძენას, გასხვისებას და ა. შ.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ ამ დარგის დანაშაული მეტწილად ხასიათდება მარტოოდენ განზრახი ბრალით (მაგალითად, ყალბი დოკუმენტის შეძენა ან გამოყენება, თვითნებობა და სხვ.), ხოლო გამონაკლისი სახით—გაუფრთხილებელი ბრალით (მაგალითად, ტელეგრაფის საზღვაო კაბელის დაზიანება).

§ 1. ხელყოფა ხელისუფლების ორგანოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე

ა. საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ხელისუფლების წარმომადგენლისათვის ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის წინააღმდეგობის გაწევა. განსახილველი დანაშაული, გათვალისწინებული სს კოდექსის 207-ე მუხლში, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ხელყოფას ხელისუფლების ორგანოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე.

მისი ო ბ ი ე ქ ტ ი ა ხელისუფლების ორგანოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნორმალური საქმიანობა და, ამასთან ერთად, ამ ორგანოების წარმომადგენლის პიროვნება (მაშინ, როდესაც იგი ასრულებს კანონით დაკისრებულ ან საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად გამიზნულ მოვალეობას).

ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ ეს დანაშაული, როგორც წესი, აქტიურ მოქმედებაში გამოიხატება. წინააღმდეგობის გაწევას ხელისუფლების ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას ან იძულებას აშკარა უკანონო მოქმედების შესასრულებლად (207-ე მუხლის II ნაწ.) შეიძლება თან ერთოდეს ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება, სახელდობრ: გარტყმა, ცემა, სხეულის მსუბუქი დაზიანება და ა. შ. უკეთუ ასეთი ქმედობა დაკავშირებული იქნება დაზარალებულის სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებასთან, პასუხისმგებლობა განისაზღვრება დანაშაულთა ერთობლიობის წესით, ე. ი. როგორც 207-ე მუხლით, ასევე შესაბამისი მუხლით პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულთა თავიდან (110-ე ან 111-ე მუხლები). დასახელებული პირის მკვლელობა სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით დაკვალიფიცირდება მარტოოდენ 104-ე მუხლის „ე" პუნქტით.

ფსიქიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს მუქარაში, რაც. შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 3 ივლისის დადგენილებისა, ნიშნავს დამნაშავის მოქმე-

დებას ან გამოთქმას, რომელიც გამოხატავს 207-ე მუხლში დასახელებულ პირთა მიმართ ძალადობის გამოყენების რეალურ განზრახვას.[1]

ქმედობა, გამოხატული ხელისუფლების ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის წინააღმდეგობის გაწევაში ან მის იძულებაში თუნდაც მაშინ, როდესაც იგი დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებდა ან მოქმედებდა ამ მოვალეობისათვის გვერდის ახვევით (მოქმედებდა კანონის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ ან აჭარბებდა თავის უფლებამოსილებას), 207-ე მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება. ასე, მაგალითად, უკეთუ სასამართლოს აღმასრულებელი ვინმეს ასახლებს ბინიდან სასამართლოს გადაწყვეტილების (ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში პროკურორის დადგენილების) გარეშე, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ამ დროს განსახილველი დანაშაულის შედგენილობას ვერ მოგვცემს. ასევე არ ჩაითვლება ამ დანაშაულად ხელისუფლების ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლის იძულება ისეთი მოქმედების შესასრულებლად, რაც არ არის აშკარად უკანონო. ასეთი მოქმედება, შესაბამისი ნიშნების არსებობისას, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც თვითნებობა ან პიროვნების წინააღმდეგ დანაშაული.

207-ე მუხლის გამოყენება დაიშვება მარტოოდენ ხელისუფლების ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის და არა საერთოდ თანამდებობის პირისათვის წინააღმდეგობის გაწევის ან მისი იძულების შემთხვევაში, ამასთან, უკეთუ ეს ქმედობა ჩადენილია საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის მიმართ, იგი დაკვალიფიცირდება 207[1]-ე მუხლით.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი განსახილველი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი კერძო პირი 16 წლის ასაკიდან[2]. უკეთუ თანამდებობის პირი აიძულებს თავის ხელქვეითს აშკარა უკანონო მოქმედების შესრულებისათვის, მას შეეფარდება 186-ე ან 187-ე მუხლი, ხოლო პირთა ჯგუფის მიერ ხელისუფლების წარმომადგენლისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა მე-80 მუხლით დაკვალიფიცირდება.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება განზრახი ბრალით. დამნაშავეს სურს წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლების ან საზოგადოებრიობის წარმომადგენელს მათზე დაკისრებულ

---

[1] იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1963, № 5.

[2] 14-დან 16 წლამდე ასაკის პირი სხეულის მსუბუქი დაზიანებისათვის, რამაც ჯანმრთელობის შერყევა გამოიწვია, პასუხს აგებს 112-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ზოვალეობათა ასრულებისას ან შეგნებულად უშვებს, რომ პირი, რომელსაც იგი წინააღმდეგობას უწევს, არის ხელისუფლების ან საზოგადოებრიობის წარმომადგენელი. ასეთსავე მდგომარეობას აქვს ადგილი დასახელებული პირის იძულებისას აშკარად უკანონო მოქმედების ჩასადენად.

სს კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით, წინააღმდეგობის გაწევა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ხელისუფლების წარმომადგენლისათვის ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის მათზე დაკისრებულ მოვალეობათა ასრულებისას ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს თვემდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ორმოცდაათ მანეთამდე, ხოლო 207-ე მუხლის მეორე ნაწილით, იგივე ქმედობა, რომელსაც თან ერთვის ძალადობა, აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ხელისუფლების წარმომადგენლის ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლის იძულება აშკარად უკანონო მოქმედების ჩასადენად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

ბ. საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკისათვის ან სახალხო რაზმელისათვის წინააღმდეგობის გაწევა. სს კოდექსის 207[1]-ე მუხლი ითვალისწინებს წინააღმდეგობის გაწევას მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელისათვის ამ პირთა მიერ მათზე დაკისრებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულებისას (I ნაწ.). იგივე ქმედობას, რასაც თან სდევს ძალადობა ან მუქარა ძალადობის გამოყენებაზე, აგრეთვე ამ პირთა იძულებას ძალადობით ან ძალადობის გამოყენების მუქარით შეასრულონ აშკარად უკანონო მოქმედება (II ნაწ.).

ეს დანაშაული მნიშვნელოვნად ემსგავსება ზემოგანხილულ დანაშაულს (207-ე მუხლში გათვალისწინებულს), მაგრამ მათ შორის სხვაობაც არსებობს. ამ ორი დანაშაულის ერთიმეორისაგან განსხვავება შემდეგი ნიშნებით უნდა დადგინდეს:

207[1]-ე მუხლის გამოყენება დაიშვება მარტოოდენ მაშინ, როდესაც წინააღმდეგობის გაწევას თუ იძულებას აშკარად უკანონო მოქმედებაზე ადგილი აქვს მარტოოდენ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის მიმართ და, მაშასადამე, ასეთივე ქმედობას, ჩადენილს სხვა პირთა მიმართ, 207[1]-ე მუხლი ვერ შეეფარდება.

შემდეგ, აღწერილი ქმედობა დაკვალიფიცირდება 207[1]-ე მუხლით მხოლოდ მაშინ, თუ მილიციის მუშაკი ან სახალხო რაზმელი, რომელთა წინააღმდეგაც იყო მიმართული ქმედობა, ასრულებ-

დნენ მათზე დაკისრებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას. ამიტომ წინააღმდეგობის გაწევა აღნიშნული პირებისათვის ან მათი იძულება აშკარად უკანონო მოქმედებაზე, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელნი არ ასრულებდნენ უშუალოდ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, არამედ იმყოფებოდნენ სხვა პირობებში, 207[1]-ე მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება.

სასჯელი სს კოდექსის 207[1]-ე მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული ქმედობისათვის—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან ჯარიმა ას მანეთამდე, ხოლო იმავე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებული ქმედობისათვის—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.

გ. ხელისუფლების წარმომადგენლის ან საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლის შეურაცხყოფა. სს კოდექსის 208-ე მუხლი აწესებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ხელისუფლების წარმომადგენლის ან საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლის შეურაცხყოფისათვის მათ მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით.

ეს დანაშაული ხელყოფს როგორც ხელისუფლების ან საზოგადოებრიობის ავტორიტეტს, ასევე მათი წარმომადგენლის ღირსებასა და პატივს.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება ხელისუფლების წარმომადგენლის ან საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლის შეურაცხყოფაში მათ მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით. შეურაცხყოფა ნიშნავს ამ პირთა ღირსების დამცირებას უცენზურო სიტყვებითა და გამოთქმებით, შეურაცხმყოფელი მოქმედებით (მაგალითად, სახეში მიფურთხებით, ყურის აწევით და ა. შ.).[1] თუ შეურაცხყოფას თან სდევდა სხვა სახის ძალადობაც, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს 207-ე მუხლით.

ზემოდასახელებული პირების შეურაცხყოფას შეეფარდება 208-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედობა ჩადენილია მათ მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით. ამიტომ შეურაცხყოფა ამ პირებისა სხვა ვითარებაში (მაგალითად, პირადი ურთიერთობის ნიადაგზე შეურაცხყოფის მიყენება)

---

[1] იხ. სს კოდექსის 138-ე მუხლის განმარტება წინამდებარე ნაშრომის 212—214 გვერდებზე.

განიხილება პიროვნების საერთო სახის შეურაცხყოფად, რასაც სს კოდექსის 138-ე მუხლი ითვალისწინებს. ამავე მუხლით დაკვალიფიცირდება არახელისუფლების თანამდებობის პირის შეურაცხყოფა, თუნდაც სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებული (მაგალითად, ქარხნის საამქროს უფროსის შეურაცხყოფა მისი განკარგულების შესრულებასთან დაკავშირებით).

მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის შეურაცხყოფა მათზე დაკისრებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით დაკვალიფიცირდება 208[1]-ე მუხლით.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული განიხილება. დამნაშავეს აქვს სურვილი შეურაცხყოს ხელისუფლების წარმომადგენელი ან საზოგადოებრიობის წარმომადგენელი მათ მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით (პირდაპირი განზრახვა).

სს კოდექსის 208-ე მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია შეურაცხყოფა ჩადენილი არასაჯაროდ და ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ექვს თვემდე. მეორე ნაწილის ძალით, იგივე ქმედება, ჩადენილი საჯაროდ (ე. ი. სხვა პირთა დასწრებით), ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

აღსანიშნავია, რომ შეურაცხყოფის ორი სახე—მარტივი და კვალიფიციური, საქ. სსრ სს კოდექსის გარდა, ცნობილია მხოლოდ მოლდავეთის სსრ სს კოდექსისათვის (იხ. 205-ე მუხლი); ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სს კანონმდებლობის შესაბამისი ნორმებით დასჯადია ხელისუფლების ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლის შეურაცხყოფა მარტოოდენ საჯაროდ ჩადენილი და, მაშასადამე, ამ პირთა არასაჯარო შეურაცხყოფა დაკვალიფიცირდება საერთო წესით, როგორც პიროვნების შეურაცხყოფა (პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის სათანადო მუხლით).

დ. საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის შეურაცხყოფა. სს კოდექსის 208[1]-ე მუხლის ძალით შეურაცხყოფა მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელისა ამ პირთა მიერ მათზე დაკისრებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს თვემდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ას მანეთამდე.

ეს დანაშაული განსხვავდება 208-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაულისაგან მხოლოდ იმით, რომ შეურაცხყოფა მიყენებულია

მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელისათვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით. ასეთივე პირობებში ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა (მაგალითად, საზოგადოებრივი აუტოინსპექტორის, სამხედრო პატრულის და ა. შ.) შეურაცხყოფა დაკვალიფიცირდება 208-ე მუხლით.

208[1]-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს შეურაცხყოფა ჩადენილია საჯაროდ თუ არა. ამ გარემოებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მხოლოდ სასჯელის ზომის განსაზღვრისას.

ე. საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა. სს კოდექსის 209[1]-ე მუხლის ძალით მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ხოლო დამამძიმებელ გარემოებებში — სიკვდილით.

ეს მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის მარტოოდენ მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას; ამიტომ, თუ ეს ქმედობა ჩადენილია დასახელებულ პირთა მიმართ სხვა ვითარებაში (მაგალითად, მილიციის მუშაკის მიერ რომელიმე საქმეზე მოკვლევის წარმოებასთან დაკავშირებით), იგი დაკვალიფიცირდება 104-ე მუხლის მესამე პუნქტით (განზრახ მკვლელობა დაზარალებულის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით).

209[1]-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის შედგენილობა, განსხვავებით 104-ე მუხლის მესამე პუნქტში გათვალისწინებულისა, გულისხმობს არა მარტო დამთავრებულ მკვლელობას, არამედ მკვლელობის მცდელობასაც.[1]

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახია (პირდაპირი ან არაპირდაპირი სახით).

სუბიექტი ამ დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ 16 წლის ასაკს მიღწეული პირი.[2]

---

[1] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლის პლენუმის 1963 წლის 3 ივლისის № 7 დადგენილება (ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1963, № 5, გვ. 72).

[2] 14-დან 16 წლამდე ასაკის პირი ასეთი ქმედობის ჩადენისას პასუხისგებაში მიეცემა პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის შესაბამისი მუხლით.

განსახილველი დანაშაულის ჩადენისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, როგორც აღნიშნული იყო, შესაძლებელია სიკვდილის დასჯის შეფარდებაც. ასეთ გარემოებებად მიჩნეული უნდა იქნეს ის დამამძიმებელი გარემოებანი, რომლებიც ჩამოთვლილია 39-ე და 104-ე მუხლებში.

3. ხელისუფლების ან თანამდებობის პირის წოდების თვითნებურად მითვისება. სს კოდექსის 210-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ხელისუფლების ან თანამდებობის პირის წოდების თვითნებურად მითვისებისათვის, რასაც თან ახლდა რაიმე საზოგადოებრივად საშიში მოქმედება.

ამ დანაშაულის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ პირი, თვითნებურად ითვისებს რა აღნიშნულ წოდებას, ახორციელებს ისეთ მოქმედებას, რაც არღვევს სახელმწიფო დაწესებულების თუ საწარმოს ნორმალურ საქმიანობას, სახელს უტეხს ხელისუფლების ან მმართველობის იმ ორგანოს, რომლის წარმომადგენლადაც იგი თვლის თავს.

დანაშაული ობიექტური მხრივ გამოიხატება ხელისუფლების ან თანამდებობის პირის წოდების თვითნებურად მითვისებაში და ამის საფუძველზე რაიმე საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ჩადენაში.

საზოგადოებრივად საშიშია ისეთი მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინტერესებს, მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. უკეთუ ასეთი მოქმედება დამოუკიდებელ დანაშაულად ითვლება (თაღლითობა, გატაცება, გამოძალვა და სხვ.), ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობის წესით; მაგალითად, თუ პირი თვითნებურად მიითვისებს გამომძიებლის წოდებას და ამის საფუძველზე მოახდენს ბინის გაჩხრეკას და ფასეულობის ამოღებას, იგი პასუხისგებაში უნდა მიეცეს 210-ე და 153-ე მუხლებით.

იმ პირის მიმართ, რომელიც მიითვისებს არა ხელისუფლების წარმომადგენლის ან თანამდებობის პირის წოდებას, არამედ ექიმის, მსახიობისა და სხვა სახის სპეციალისტის წოდებას, 210-ე მუხლი ვერ გამოიყენება, თუნდაც ამის საფუძველზე მან ჩაიდინოს რაიმე საზოგადოებრივად საშიში მოქმედება. ასეთი პირი საერთო წესით აგებს პასუხს სს კოდექსში გათვალისწინებული ერთ-ერთი სახის დანაშაულის ჩადენისათვის. ასე, მაგალითად, უკეთუ პირი ჩაიდენს რაიმე მოსატყუებელ მოქმედებას მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით, პასუხისგებაში მიეცემა თაღლითობისათვის (153-ე მუხლი), უკანონო ექიმობისას—250-ე მუხლით და ა. შ.

210-ე მუხლი ვერ შეეფარდება აგრეთვე იმ თანამდებობის პირს, რომელიც სამსახურებრივ მდგომარეობას გამოიყენებს ისეთი ხელისუფლების მითვისებისათვის, რაც მას არ ეკუთვნის. ასეთ შემთხვევაში დამნაშავე, სათანადო პირობების არსებობისას პასუხს აგებს ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის (187-ე მუხლით).

ხელისუფლების ან თანამდებობის პირის წოდების მითვისების საფუძველზე რაიმე საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედების განხორციელება (მაგალითად, პირმა მიითვისა მილიციის მუშაკის წოდება დამნაშავის დაკავების მიზნით) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ განსახილველი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

სასჯელი—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით.[1]

§ 2. ხელყოფა სახელმწიფო აპარატის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სწორ საქმიანობაზე

ა. მუქარა ან ძალადობა თანამდებობის პირის ან იმ მოქალაქის მიმართ, რომელიც საზოგადოებრივ მოვალეობას ასრულებს. სს კოდექსის 209-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას თანამდებობის პირის ან საზოგადოებრივი მუშაკის მიმართ მოკვლის, სხეულის მძიმე დაზიანების ან ქონების საყოველთაოდ საშიში საშუალებით განადგურების მუქარისათვის, რაც გამოყენებულია მათი სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი საქმიანობის შეწყვეტის ან მისი შეცვლის მიზნით, დამმუქრებლის ინტერესების სასარგებლოდ, აგრეთვე ასეთივე მუქარას მოქალაქის მიმართ, რაც დაკავშირებულია მის მიერ დანაშაულის ან ანტისაზოგადოებრივი მოქმედების აცილებასა და აღკვეთაში მონაწილეობასთან[2].

---

[1] ანალოგიურ შედგენილობას ითვალისწინებს ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სს კოდექსები, გარდა ესტონეთის სსრ. აზერბაიჯანის და ყაზახეთის სსრ სს კოდექსების მიხედვით, განსახილველი დანაშაულის შედგენილობა არსებობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელისუფლების ან თანამდებობის პირის წოდების მითვისება დაკავშირებულია ხელისუფლების ორგანოების დისკრედიტირებასთან (იხ. შესაბამისად 192-ე და 174-ე მუხლები).

[2] 209-ე მუხლის შინაარსი გადმოცემულია საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად.

ობიექტური მხრივ ეს დანაშაული აქტიურ მოქმედებაში გამოიხატება, რაც ნიშნავს ფსიქიკურ ძალადობას ყოველი სახის თანამდებობის პირისა და საზოგადოებრივი მუშაკის, აგრეთვე მოქალაქის მიმართ მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. მუქარა შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერად (როგორც უშუალოდ დამმუქრებლის მიერ, ასევე მესამე პირის მეშვეობით), წერილობით და ა. შ. მუქარა, როგორც კანონშია აღნიშნული, უნდა იყოს მარტოოდენ მოკვლის, სხეულის მძიმე დაზიანების ან ქონების საყოველთაოდ საშიში საშუალებით განადგურების დამუქრების შინაარსისა. სხვა სახის მუქარა (მაგალითად, მუქარა, რომ გახმაურებული იქნება გამაწბილებელი ცნობები ან გასაჩივრებული თანამდებობის პირის თუ საზოგადოებრივი მუშაკის მოქმედება, უკეთუ მათ შეასრულეს რაიმე მოქმედება და სხვ.) სისხლის სამართლის წესით დასჯადი არ არის.

რადგან 209-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით, მუქარა დაკავშირებული უნდა იყოს თანამდებობის პირის ან საზოგადოებრივი მუშაკის სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან, უნდა დავასკვნათ, რომ მუქარა თუნდაც აღნიშნულ მუხლში მოხსენიებული შინაარსისა დასახელებულ პირთა მიმართ, გამოყენებული არა სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, არამედ პირადი ურთიერთობის ნიადაგზე, განსახილველი დანაშაულის შედგენილობას ვერ მოგვცემს. ასეთი სახის მუქარა სხვა შესაბამისი პირობების არსებობისას შეიძლება დაკვალიფიცირდეს 136-ე მუხლით.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დაზარალებულის დამუქრებით, დამნაშავეს სურს შეაწუხეტინოს მას ან შეაცელევინოს სამსახურებრივი საქმიანობა დამმუქრებლის ინტერესების სასარგებლოდ.

209-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს სხეულის მსუბუქ დაზიანებას, ცემას ან სხვა ძალადობას თანამდებობის პირის ან საზოგადოებრივი მუშაკის მიმართ მის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, ასევე მოქალაქის მიმართ, რაც დაკავშირებულია მის მიერ დანაშაულის ან ანტისაზოგადოებრივი მოქმედების აცილებასა და აღკვეთაში მონაწილეობასთან.

ამ სახის დანაშაულის ობიექტს, გარდა საერთო ობიექტისა, რაც ახასიათებს მოცემულ დანაშაულთა ჯგუფს (სახელმწიფო აპარატის და საზოგადოებრივი ორგანიზაციის სწორი საქმიანობა),

წარმოადგენს აგრეთვე 209-ე მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილ პირთა ჯანმრთელობა და სხეულის ხელშეუხებლობა.

სხეულის მსუბუქი დაზიანების, ცემის ან სხვა ძალადობის ცნებები განმარტებულია ზემოთ (პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის თავში).

უკეთუ კანონში დასახელებულ პირთათვის მიყენებულია უფრო მძიმე ზიანი (სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება და სხვ.), ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, ე. ი. როგორც 209-ე მუხლის მეორე ნაწილით, ასევე სხვა შესაბამისი მუხლით (110-ე ან 111-ე მუხლებით და ა. შ.).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ 209-ე მუხლის მეორე ნაწილში მოცემული დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება.

სასჯელი 209-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით ან საზოგადოებრივი გაკიცხვა, ხოლო მეორე ნაწილის ძალით—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე.

ბ. დოკუმენტების გატაცება ან დაზიანება. პასუხისმგებლობა განსახილავი დანაშაულისათვის გათვალისწინებულია სს კოდექსის 211-ე მუხლში.

ხელყოფის საგანს წარმოადგენს დოკუმენტი, ბეჭედი, შტამპი ან განსაკუთრებული ანგარიშგების ბლანკი. დოკუმენტი ამ შემთხვევაში ნიშნავს წერილობით აქტს (სულერთია, ეს აქტი დაწესებულება-ორგანიზაციიდან არის გაცემული, თუ კერძო პირისაგან; საკალდებულოა მხოლოდ ის, რომ წერილობითი აქტი იმყოფებოდეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ან საწარმოში), რომლითაც დასტურდება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ესა თუ ის ფაქტი (მოწმობა, ოქმი, ცნობა, აქტი, განცხადება, წერილი და ა. შ.). ბეჭედი არის საგანი, დამზადებული ლითონისაგან ან სხვა მასალისაგან დაწესებულება-ორგანიზაციის სახელწოდებით თუ სხვა ნიშნით (მაგალითად, სახელმწიფო გერბით), რომლის ანაბეჭდიც ლუქის ან საღებავის გამოყენებით გადაიტანება მოწმობებზე, ფულად ან სხვა დოკუმენტებზე. ბეჭედს უსვამენ თანამდებობის პირის ხელმოწერის გვერდით დასადასტურებლად იმისა, რომ დოკუმენტი გაცემულია სწორედ იმ დაწესებულება-ორგანიზაციის მიერ, რომელსაც ბეჭედი ეკუთვნის; შტამპი წარმოადგენს ბეჭედს დაწესებულების სახელწოდებით, რომელიც დაისმის ხოლმე ოფიციალური დოკუმენტის ზედა მარცხენა კუთხეში; ბლანკი არის ქაღალდის სუფთა ფურცელი, რომელზეც სტამბური წესით აღბეჭ-

ლილია დაწესებულება-ორგანიზაციის სახელწოდება და დასმული აქვს დაწესებულება-ორგანიზაციის შტამპი. ბლანკი შეივსება ხელზე ხელით ან საბეჭდი მანქანით იმისათვის, რომ ამის შემდეგ გახდეს დოკუმენტი.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება აღნიშნული დოკუმენტის, ბეჭდის და ა. შ. (რომლებიც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან საწარმოში იმყოფებიან)[1] გატაცებაში, მოსპობაში, დაზიანებაში ან დამალვაში.

მოსპობა დოკუმენტის თუ სხვა ჩამოთვლილი საგნებისა ნიშნავს მათ მთლიანად განადგურებას ან ისეთ მდგომარეობაში მოქცევას, რომ შეუძლებელი გახდება მათი გამოყენება, ხოლო დაზიანება—მათი ცალკეული ნაწილების ან ადგილების გაცუდებას, მაგრამ ისე, რომ მათი გამოყენების შესაძლებლობა არ არის მთლიანად აღკვეთილი. დაბოლოს, აღნიშნული დოკუმენტისა და საგნების დამალვა ნიშნავს მათ გადამალვას იმ თანამდებობის პირისაგან, რომლის გამგებლობაშიც უნდა იმყოფებოდეს.

უკეთუ გატაცებას თან ერთოდა ძალადობის გამოყენება, ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, ეს-ი. 211-ე და 209-ე მუხლებით (ან შესაბამისი მუხლით პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავიდან). იმ შემთხვევაში, თუ 211-ე მუხლით აღწერილი ქმედობა გამოყენებული იყო საშუალებად სოციალისტური ქონების გატაცებისათვის (ან გატაცების დაფარვისათვის), დამნაშავეს შეეფარდება როგორც 211-ე მუხლი, ასევე შესაბამისი მუხლი თავიდან „დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ“.

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ კერძო პირი, მიღწეული 16 წლის ასაკს. თანამდებობის პირი ანალოგიური ქმედობისათვის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით პასუხს აგებს 186-ე მუხლით.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ამასთან დამნაშავეს, როგორც 211-ე მუხლშია აღნიშნული, უნდა ამოქმედებდეს ანგარებითი ან სხვა პირადი მოტივი, აგრეთვე ჩადენილი უნდა იყოს დაწესებულების, ორგანიზაციის ან საწარმოს ნორმალური მუშაობისათვის ხელის შეშლის მიზნით.

---

[1] შესაძლებელია დოკუმენტი, ბეჭედი და ა. შ. იმყოფებოდეს დაწესებულება-ორგანიზაციის სათანადო თანამდებობის პირთან (მაგალითად, მის პორტფელში).

სასჯელი 211-ე მუხლის საფუძველზე—თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე.[1]

, ბ. მოქალაქის კუთვნილი დოკუმენტის გატაცება ან დაზიანება. პასუხისმგებლობა მოქალაქის პასპორტის, სამხედრო ბილეთის ან სხვა პირადი არაქონებრივი ხასიათის დოკუმენტის გატაცების ან განზრახ დაზიანებისათვის გათვალისწინებულია სს კოდექსის 212-ე მუხლში.

ეს დანაშაული ხელყოფს როგორც მმართველობის წესებს, ასევე ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესებს.

ხელყოფის საგანს წარმოადგენს პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან სხვა პირადი არაქონებრივი ხასიათის დოკუმენტი. ასეთად ჩაითვლება პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ბილეთი, შრომის წიგნაკი, ატესტატი, დიპლომი და სხვა დოკუმენტი, რაც ადასტურებს რაიმე მნიშვნელოვან ფაქტს თუ გარემოებას.

ობიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება აქტიური მოქმედებით, რაც შეიძლება გამოიხატოს 212-ე მუხლში ჩამოთვლილი დოკუმენტების ფარულ ან აშკარა გატაცებაში ან დაზიანებაში.[2] უკეთუ ამ ქმედობას თან ახლდა ძალადობა დაზარალებულის წინააღმდეგ, პასუხისმგებლობა განისაზღვრება დანაშაულთა ერთობლიობის წესით (212-ე მუხლი და შესაბამისი მუხლით პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულთა თავიდან).

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იტაცებს ან აზიანებს სხვა პირის კუთვნილ პირად არაქონებრივი ხასიათის დოკუმენტს და სურს კიდევაც ეს. დამნაშავის მიზანს მნიშვნელობა არა აქვს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის.

სასჯელი 212-ე მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით ან საზოგადოებრივი გაკიცხვა.

დ. ყალბი დოკუმენტის გაკეთება. ყალბი დოკუმენტის გაკეთება

---

[1] რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთისა და თურქმენეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსებისათვის ცნობილია ამ დანაშაულის კვალიფიციური სახეც, დამძიმებელ გარემოებად, როგორც წესი, მიჩნეულია ამ ქმედობის ჩადენა განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტის,— ბეჭდის, შტამპის და ბლანკის მიმართ, ან უკეთუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა (იხ. შესაბამისად 195-ე, 193-ე, 191-ე, 196-ე, 193-ე, 205-ე, 201-ე, 208-ე, 211-ე, 222-ე მუხლები).

[2] ლატვიის სსრ სს კოდექსის 189-ე მუხლში მოხსენიებულია დოკუმენტების მხოლოდ ქურდობა, ე. ი. ფარული გატაცება.

მისი გამოყენების მიზნით, აგრეთვე ყალბი დოკუმენტის გასაღება გათვალისწინებულია 213-ე მუხლში.

ეს დანაშაული არღვევს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებისა და გარემოებათა დადასტურების დადგენილ წესს და ამიტომ ზიანს აყენებს დაწესებულება-ორგანიზაციათა და საწარმოთა ნორმალურ საქმიანობას. სს კოდექსის 213-ე მუხლის მიხედვით დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს ყოველი სახის დოკუმენტი, გაცემული როგორც დაწესებულება-ორგანიზაციათა მიერ, ასევე კერძო მოქალაქეთა მიერაც (მაგალითად, ხელწერილი და ა. შ.). ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები პასუხისმგებლობას აწესებენ მარტოოდენ ისეთი დოკუმენტის ყალბად შედგენისათვის, რასაც გასცემს სახელმწიფო დაწესებულება, საწარმო ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია და რაც ანიჭებს პირს რაიმე უფლებას ან ათავისუფლებს ვალდებულებისაგან (იხ. რსფსრ სს კოდექსის 196-ე მუხლი, უკრაინის — 194-ე მუხლი, ბელორუსიის — 192-ე მუხლი, უზბეკეთის—197-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სსკ შესაბამისი მუხლები). ამრიგად, ამ რესპუბლიკების სს კანონმდებლობის ძალით ისეთი დოკუმენტის სიყალბე, რაც კერძო პირთაგან გამომდინარეობს, განსახილველი დანაშაულის შედგენილობას ვერ მოგვცემს. ასეთი ქმედობა იმისდა მიხედვით, თუ რა მიზანს ისახავდა დამნაშავე, განიხილება თაღლითობის, ცილისწამების ან სხვა სახის დანაშაულის შემადგენელ ნაწილად.

ყალბი დოკუმენტის გაკეთება ნიშნავს დოკუმენტის სინამდვილის დარღვევას მასში ცნობების შეტანით ისეთი ფაქტების შესახებ, რასაც ადგილი არ ჰქონია ან რაც ამახინჯებს ფაქტებს და ა. შ. ყალბი დოკუმენტის გაკეთება შეიძლება განხორციელდეს როგორც ნამდვილი დოკუმენტის ცალკეული რეკვიზიტების (მაგალითად, თარიღის, ნომრის, ხელმოწერის და სხვ.) გაყალბებით (გადასწორების, ჩამატების, ამოშლის გზით), ასევე ყალბი დოკუმენტის მთლიანად დამზადებით, ისეთი დოკუმენტის შედგენით, რომელიც თავისი ფორმით ნამდვილს ემსგავსება.

ყალბი დოკუმენტის გაკეთება 213-ე მუხლით მხოლოდ მაშინ არის დასჯადი, თუ ის დანიშნული იყო გამოსაყენებლად თვით გამკეთებლის ან სხვა პირის მიერ. ყალბი დოკუმენტის გაკეთების თანაბრად დასჯადია ყალბი დოკუმენტის გასაღებაც, ე. ი. სხვა პირისათვის გადაცემა სასყიდლით თუ სხვა წესით.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს 16 წლის ასაკს მიღწეული კერძო პირი. თანამდებობის პირი ყალბი დო-

კუმენტის გაკეთებისათვის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით პასუხს აგებს 191-ე მუხლის საფუძველზე.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ამასთან სპეციალური გამოყენების მიზნით (დამნაშავის თუ სხვა პირის მიერ).

ყალბი დოკუმენტის გაკეთება მისი გამოყენების მიზნით, აგრეთვე ყალბი დოკუმენტის გასაღება 213-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით.

213-ე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებულია იგივე ქმედობა, ჩადენილი პასპორტის, სამხედრო ბილეთის ან სხვა ამგვარი დოკუმენტის მიმართ. იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ხოლო მესამე ნაწილში გათვალისწინებულია ყალბი დოკუმენტების გაკეთება ან გასაღება ხელობის სახით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.[1]

ე. ყალბი დოკუმენტის შეძენა ან გამოყენება. სს კოდექსის 214-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას წინასწარი შეცნობით ყალბი ან სხვისი დოკუმენტის შეძენისათვის გამოყენების მიზნით აგრეთვე ასეთი დოკუმენტის გამოყენებისათვის.

ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ ეს დანაშაული შეიძლება გამოიხატოს როგორც ყალბი ან სხვისი დოკუმენტის შეძენაში გამოყენების მიზნით (ე. ი. შესყიდვაში ან სხვა წესით მოპოვებაში), ასევე ასეთი დოკუმენტის გამოყენებაში.

გამოყენება ნიშნავს ყალბი დოკუმენტის წარდგენას სახელმწიფო დაწესებულება-საწარმოსა ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაში რაიმე უფლების მოპოვების ან ვალდებულებისაგან განთავისუფლების მიზნით. ამასთან შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მარტო ყალბი დოკუმენტი, არამედ სხვა პირის კუთვნილი ნამდვილი დოკუმენტიც (მაგალითად, პასპორტი და სხვ.).

განსახილველი დანაშაული დამთავრებულად ითვლება ყალბი ან სხვისი დოკუმენტის გამოყენების მიზნით შეძენის მომენტიდან ან ასეთი დოკუმენტის სათანადო დაწესებულება-ორგანიზაციაში წარდგენის მომენტიდან. უკეთუ ასეთი დოკუმენტის წარდგენის შე-

---

[1] რსფსრ და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სს კოდექსების შესაბამის მუხლებში არ არის გათვალისწინებული საქ. სსრ სს კოდექსის 213-ე მუხლის მეორე ნაწილში მოცემული დამამძიმებელი გარემოება, ხოლო მესამე ნაწილში მოხსენიებული ტერმინის „ხელობის სახით" ნაცვლად აღნიშნულ კოდექსებში ნახმარია ტერმინი „სისტემატურად" (იხ. რსფსრ სს კოდექსის 196-ე მუხლი).

დეგად დამნაშავემ ჩაიდინა უფრო მძიმე სახის დანაშაული (მაგალითად, სოციალისტური ქონების გატაცება თაღლითობით), მან პასუხი უნდა აგოს დანაშაულთა ერთობლიობის წესით.

214-ე მუხლით პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ ყალბი დოკუმენტის შემძენს, ე. ი. არა მის გამკეთებელს. ყალბი დოკუმენტის გამოყენებისათვის მისი უშუალოდ გამკეთებელი პასუხს აგებს 213-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ განსახილველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იძენს ყალბ ან სხვის დოკუმენტს გამოყენების მიზნით ან იყენებს ასეთ დოკუმენტს და სურს კიდევაც ეს.

სასჯელი 214-ე მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი საპუშაოები იმავე ვადით, ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე.

3. ყალბი ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 21 ივლისის დადგენილების ძალით, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულების, ორგანიზაციის ან საწარმოს ბეჭდის და შტამპის დამზადების უფლება აქვს მხოლოდ სპეციალურ საიქაო (საგრავიურო) სახელოსნოებს. სხვა ორგანიზაციებს ბეჭდისა და შტამპის დამზადება აკრძალული აქვთ.

სს კოდექსის 215-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულების, ორგანიზაციის ან საწარმოს ყალბი შტამპის ან ბეჭდის დამზადებისა ან გასაღებისათვის, ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულების ორგანიზაციის ან საწარმოს ბლანკის დამზადებისა ან გასაღებისათვის ყალბი დოკუმენტის შედგენის მიზნით.

აღნიშნული საგნების დამზადება ნიშნავს როგორც ახალი ყალბი შტამპის, ბეჭდის თუ ბლანკის დამზადებას, ასევე ნამდვილი შტამპის, ბეჭდის ან ბლანკის შინაარსის შეცვლას, მაგალითად, ნამდვილ ბეჭედში სიტყვების ან გამოსახულების შეცვლა-გადაკეთებას და ა. შ.

215-ე მუხლით დაკვალიფიცირდება აგრეთვე ოფიციალური ქაღალდების გასაფორმებლად გამოსაყენებელი ყალბი ფაქსიმილეს (ცლიშე—თანამდებობის პირის ხელმოწერის აღმნუსხველი) დამზადება.

კერძო პირთა კუთვნილი ყალბი ბეჭდის, შტამპის, ბლანკის თუ ფაქსიმილეს დამზადება 215-ე მუხლით პასუხისმგებლობას ჯერ გამოიწვევს. პირადი ქონების ან ქონებრივი უფლების მიღების მიზ-

ნით ასეთი საგნების დამზადების შემთხვევაში ქმედობა დაკვალიფიცირდება როგორც თაღლითობისათვის მზადება (მე-17 და 153-ე მუხლები).

215-ე მუხლის გამოყენება შეიძლება ყოველთვის, როდესაც ადგილი აქვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულების, ორგანიზაციის ან საწარმოს ყალბი ბეჭდის ან შტამპის დამზადებას თუ გასაღებას, ხოლო იმავე დაწესებულება-ორგანიზაციათა ბლანკის დამზადების ან გასაღებისას—მარტოოდენ მაშინ, თუ ასეთი ქმედობა ჩადენილია ყალბი დოკუმენტის შედგენის მიზნით.

ყალბი ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის გასაღებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება ისეთ პირსაც, რომელსაც ეს საგნები თვითონ არ დაუმზადებია.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული განზრახია.

215-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე ჩადენილი ეს დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით.

იმავე მუხლის მეორე ნაწილი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად თვლის მის ჩადენას ხელობის სახით. სასჯელი—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე.

ზ. სასაზღვრო ზოლში ან სასაზღვრო ზონაში შესვლის ან ცხოვრების წესების დარღვევა. სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის ხელუხლებლობის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილია სპეციალური საპასპორტო რეჟიმი, რომლითაც ხორციელდება კონტროლი სასაზღვრო ზოლში ან ზონაში მოქალაქეთა შესვლასა და ცხოვრებაზე.

სასაზღვრო ზონა, როგორც წესი, განისაზღვრება სახელმწიფო საზღვართან მდებარე რაიონის, ქალაქის, სასოფლო ან სადაბო საბჭოს ტერიტორიით; მასში შედის სსრ კავშირის ტერიტორიული და შიდა საზღვაო წყლები და სასაზღვრო მდინარეებისა და ტბების საბჭოთა ნაწილი.

სასაზღვრო ზოლის სიგანე წესდება ცალკე საზღვრის ყოველი უბნისათვის (ხმელეთზე ან სასაზღვრო მდინარის, ტბის ნაპირიდან).

შესაბამისად დებულებისა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საზღვრების დაცვის შესახებ" (დამტკიც. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წ. 5 აგვისტოს), სასაზღვრო ზონაში შესვლა (და სასაზღვრო ზოლის) ან სასაზღვრო ზონის ტერიტორიაზე ცხოვრება იმ მოქალაქეებისა, რომლებიც ამ ადგილის მუდმივი მცხოვრები არ არიან,

შეიძლება მხოლოდ მილიციის ორგანოების სპეციალური ნებართვით. სასაზღვრო ზოლში შესვლა და ცხოვრება შესაძლებელია მხოლოდ სასაზღვრო ჯარების ნებართვის საფუძველზე.

სს კოდექსის 216-ე მუხლი აწესებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სასაზღვრო ზოლში ან სასაზღვრო ზონაში შესვლის, ცხოვრების ან გაწერის წესების დარღვევისათვის.

ობიექტური მხრივ ეს დანაშაული შეიძლება გამოიხატოს სასაზღვრო ზოლში ან ზონაში შესვლასა, ცხოვრებასა ან გაწერაში სპეციალური ნებართვის ან საშვის გარეშე, სხვა პირებისათვის საშვის გადაცემაში ან სხვა პირის კუთვნილი საშვის გამოყენებაში, გაწერისაგან თავის არიდებაში და ზემოაღნიშნული დებულების სხვა მოთხოვნის დარღვევაში.

სასაზღვრო ზოლში ან ზონაში უნებართვოდ შემოსვლა საზღვარგარეთიდან დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 84-ე მუხლით.

პასუხისმგებლობა აღნიშნული ქმედობისათვის 216-ე მუხლით მხოლოდ მაშინ განისაზღვრება, თუ სასაზღვრო ზოლში ან ზონაში შესვლის, ცხოვრების ან გაწერის წესების დარღვევა ჩადენილია ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ.

ამრიგად, აღნიშნული წესების პირველად დარღვევა ისჯება ადმინისტრაციული წესით.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს 16 წ. ასაკს მიღწეული ყოველი პირი როგორც სსრ კავშირის მოქალაქე, ასევე უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი.

სუბიექტური მხრივ დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება.

სასჯელი 216-ე მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე.

თ. სსრ კავშირის ტერიტორიაზე მიმოსვლის წესების დარღვევისათვის უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 23 ივლისის ბრძანებულებისა „სსრ კავშირის ტერიტორიაზე მიმოსვლის წესების ბოროტი დარღვევისათვის უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე

---

[1] ანალოგიურ ნორმას არ ითვალისწინებს მარტოოდენ ესტონეთის სსრ სს კოდექსი. ამ კოდექსის მიხედვით აღნიშნული ქმედობა დაკვალიფიცირდება როგორც საპასპორტო დებულების დარღვევა (189-ე მუხლით).

პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ", საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1966 წლის 29 აგვისტოს მიღებულ იქნა ბრძანებულება, რომლის ძალით საქართველოს სსრ სს კოდექსს დაემატა 216[1] მუხლი შემდეგი რედაქციით:

უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ სსრ კავშირის ტერიტორიაზე მიმოსვლის წესების ბოროტი-დარღვევა, ე. ი. საცხოვრებელი ადგილიდან დროებით წასვლის წესების თვითნებური დარღვევა ან სპეციალური ნებართვის გარეშე იმ პუნქტების მონახულება, რომლებიც არ არის მითითებული სსრ კავშირში შემოსასვლელ ვიზებში, სამგზავრო საბუთებში. აღნიშნული მარშრუტიდან გადახვევა, თუ ამ პირის მიმართ აღნიშნული წესების დარღვევისათვის ორჯერ იყო გამოყენებული ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება,—ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ორმოცდაათ მანეთამდე.

ობიექტური მხარე ამ დანაშაულისა საკმაო სისრულით არის აღწერილი თვით კანონის (216[1] მუხლის) დისპოზიციაში.

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახია, რამდენადაც საქმე გვაქვს წესების ბოროტ-დარღვევასთან იმ პირის მიერ, რომელსაც ადრე ასეთივე დარღვევისათვის ორჯერ ჰქონდა შეფარდებული ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება და კვლავ (მესამეჯერ) დაარღვია ეს წესები.

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს მართოოდენ უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირი, მიღწეული 16 წლის ასაკს.

ი. საპასპორტო წესების დარღვევა. სსრ კავშირის (სახალხო კომისარიატ)ი საბჭოს მიერ 1953 წლის 21 ოქტომბერს დამტკიცებული საპასპორტო დებულებით დადგენილია, რომ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში აკრძალული სასაზღვრო ზონისა და სასაზღვრო ზოლის ყველა საცხოვრებელ პუნქტში მოქალაქეებს 16 წლის ასაკიდან და ზევით უნდა ჰქონდეთ სათანადო პასპორტი. ამ საერთო წესიდან გამონაკლისია დაშვებული სამხედრო მოსამსახურეებისათვის (რომლებიც ცხოვრობენ სამხედრო ნაწილის უფროსის მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე), უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის (რომელთაც უნდა ჰქონდეთ პირადობის მოწმობა განსაკუთრებული წესის მიხედვით გაცემული) და ა. შ.

იმ ადგილებში უპასპორტოდ ან გაუწერლად ცხოვრება, სადაც შემოღებულია ცხოვრებისა და გაწერის სპეციალური წესი, არ-

ვევს მმართველობის წესს, იმის საშიშროებას ქმნის, რომ ამ ადგილებში დამნაშავე ელემენტებმა იცხოვრონ, უადვილებს მათ თავი გარიდონ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

ამიტომ არის, რომ საპასპორტო წესების დარღვევა დანაშაულად არის მიჩნეული და გითვალისწინებულია სს კოდექსის 217-ე მუხლში.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება: ა) იმ პირის უპასპორტოდ ცხოვრებაში, რომელიც კანონით ვალდებულია ჰქონდეს პასპორტი (217-ე მუხლის პირველი ნაწილი) და ბ) უპასპორტო პირის, აგრეთვე პასპორტის მქონე პირის გაუწერლად ცხოვრებაში ისეთ ადგილას, სადაც შემოღებულია საპასპორტო რეჟიმი (217-ე მუხლის მეორე ნაწილი).

217-ე მუხლის გამოყენება შეიძლება საპასპორტო რეჟიმის მხოლოდ ბოროტული დარღვევის შემთხვევაში. სახელდობრ, უკეთუ პირი, ვალდებული ჰქონდეს პასპორტი, განაგრძობდა უპასპორტო ცხოვრებას მას შემდეგ, რაც ასეთივე დარღვევისათვის ერთი წლის განმავლობაში დადებული ჰქონდა ადმინისტრაციული სასჯელი (217-ე მუხლის პირველი ნაწ.) ან უპასპორტო პირი, აგრეთვე პასპორტის მქონე, გაუწერლად ცხოვრობდა ისეთ ადგილას, სადაც შემოღებულია საპასპორტო რეჟიმი, მას შემდეგ, რაც მილიციის დაწესებულებამ განმეორებით წერილობით გააფრთხილა ოგი გასვლის შესახებ.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. სასჯელი 217-ე მუხლის პირველი ნაწილით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე, ხოლო მეორე ნაწილით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე.

კ. სამხედრო ვალდებულის მიერ სასწავლო შეკრებისაგან თავის არიდება. საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონის ძალით თადარიგში მყოფი სამხედრო ვალდებულნი მოვალე არიან გაიარონ სამხედრო შეკრება დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში.

პასუხისმგებლობას ამ წესის დარღვევისათვის ითვალისწინებს სს კოდექსის 218-ე მუხლი.

218-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია დანაშაულის მარტივი სახე, რაც გამოიხატება სამხედრო ვალდებულის მიერ სასწავლო შეკრებისაგან თავის არიდებაში, ე. ი. სამხედრო კომისარიატის გამოწვევით ვადაზე გამოუცხადებლობაში შეკრების ადგილას არასაპატიო მიზეზით. ეს ქმედობა 218-ე მუხლის პირველი

ნაწილით დაკვალიფიცირდება მხოლოდ მაშინ, თუ ჩადენილია განმეორებით.

218-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს განსახილველი დანაშაულის კვალიფიციურ სახეს, სახელდობრ, იგივე ქმედობას, ჩადენილს თუმცა პირველად, მაგრამ თავისი თავისათვის რაიმე ზიანის მიყენებით, საბუთების სიყალბით ან სხვაგვარი მოტყუებით,[1] აგრეთვე სასწავლო შეკრების გავლაზე უარის თქმით.

უარის თქმა სასწავლო შეკრების გავლაზე, განსხვავებით სასწავლო შეკრებაზე თავის არიდებისაგან, ნიშნავს პირის კატეგორიულ განცხადებას (სიტყვიერად თუ წერილობით) იმის შესახებ, რომ მას არ სურს მონაწილეობდეს სასწავლო შეკრებაში და არც გაიცლის მას.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების თადარიგში მყოფი (როგორც მამაკაცი, ასევე ქალი) რიგითი, სერჟანტთა და ოფიცერთა შემადგენლობის პირი.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული, გათვალისწინებული 218-ე მუხლის პირველ ნაწილში, შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით, ხოლო მეორე ნაწილში გათვალისწინებული—მარტოოდენ პირდაპირი განზრახვით, ამ შემთხვევაში დამნაშავეს ახასიათებს მიზანი—არ მიიღოს საპატიო მიზეზის გარეშე მონაწილეობა სასწავლო შეკრებაზე.

სახჯელი 218-ე მუხლის პირველი ნაწილით—გამასწორებელი სამუშაოები ვადით ექვს თვემდე ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე; მეორე ნაწილით—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე.

ლ. სამხედრო ვალდებულთა მიერ სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევა. საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონის ძალით სამხედრო ვალდებულნი და ახალწვეულნი მოვალენი არიან დადგენილ ვადაში და წესით განვლონ სამხედრო აღრიცხვა, რადგან დასახელებულ პირთა სწორი აღრიცხვა მნიშვნელოვანი პირობაა შეიარაღებული ძალების დაკომპლექტებისათვის, განსაკუთრებით ომიანობის დროს. კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ აწესებს, რომ ისინი აღრიცხვის წესების დარღვევისათვის დაჯარიმდებიან ადმინისტრაციული წესით ან მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

სამხედრო ვალდებულის მიერ სამხედრო აღრიცხვის წესებს

---

[1] ეს დამამძიმებელი გარემოებები ვრცლად განხილულია სს კოდექსის 81-ე მუხლის განმარტებისას (იხ. წინამდებარე ნაშრომის 77—79 გვ.).

დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სს კოდექსის 219-ე მუხლში. ამ მუხლის პირველი ნაწილის ძალით სამხედრო ვალდებულის ან ახალწვეულის მიერ სამხედრო აღრიცხვის წესების განმეორებით დარღვევა ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით სამ თვემდე ან ჯარიმით ორმოცდაათ მანეთამდე (ამრიგად, აღნიშნული ქმედება, ჩადენილი პირველად, დაისჯება ადმინისტრაციული წესით). მეორე ნაწილის ძალით იგივე ქმედება, ჩადენილი ომიანობის დროს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.[1]

8. ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების ბოროტი დარღვევა. საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით საქ. სსრ სს კოდექსს დაემატა 219[1] მუხლი შემდეგი რედაქციით: ბოროტი დარღვევა იმ წესებისა, რაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გათავისუფლებული პირის მიმართ მილიციის ორგანოების ადმინისტრაციული ზედამხედველობის დებულებით, ზედამხედველობაზე თავის არიდების მიზნით, თუ იგი ჩადენილია იმ პირის მიერ, რომლის მიმართ ასეთი დარღვევისათვის წლის განმავლობაში ორჯერ იყო გამოყენებული ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე.

დებულება თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გათავისუფლებული პირის მიმართ მილიციის ორგანოების ადმინისტრაციული ზედამხედველობის შესახებ დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წ. 26 ივლისის ბრძანებულებით.

ამ დებულების ძალით ადმინისტრაციული ზედამხედველობა წესდება იმ მიზნით, რომ განხორციელდეს მეთვალყურეობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებული პირების ყოფაქცევაზე, თავიდან იქნეს აცილებული ამათ მიერ დანაშაულის ჩადენა და გაეწიოს მათ საჭირო აღმზრდელობითი ზემოქმედება.

ადმინისტრაციული ზედამხედველობა წარმოადგენს იძულებით ღონისძიებას და გამოიყენება იმ სრულწლოვან პირთა მიმართ, რომლებიც:

---

[1] ასევეა უზბეკეთის, აზერბაიჯანის, ლიტვისა და სომხეთის სსრ სს კოდექსების მიხედვით (იხ. შესაბამისად 199[2]-ე, 196-ე, 210-ე, 215-ე მუხლები). დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამ დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას (მის ჩადენას ომიანობის დროს) არ ითვალისწინებს.

ა) ცნობილი არიან სასამართლოს მიერ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად;

ბ) მსჯავრდებული არიან თავისუფლების აღკვეთით მძიმე დანაშაულისათვის, თუ ისინი სასჯელის მოხდის ან პირობით ვადამდე გათავისუფლების შემდეგ სისტემატურად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს და, მიუხედავად მილიციის ორგანოების გაფრთხილებისა, განაგრძობენ ანტისაზოგადოებრივი ხასიათის ცხოვრებას.

იმ პირებს, რომელთა მიმართ დაწესებულია ადმინისტრაციული ზედამხედველობა, შეიძლება შეეფარდოს შემდეგი სახის შეზღუდვანი:

ა) აკრძალვა სახლიდან წასვლისა განსაზღვრულ დროს;

ბ) რაიონის (ქალაქის) გარკვეულ პუნქტებში ყოფნის აკრძალვა;

გ) რაიონის (ქალაქის) ფარგლებიდან პირად საქმეებზე გასვლის აკრძალვა ან წასვლის დროის შეზღუდვა;

დ) რეგისტრაციისათვის მილიციაში გამოცხადება თვეში ერთიდან ოთხჯერ.

ჩამოთვლილი შეზღუდვანი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სრული მოცულობით, ასევე ცალ-ცალკე, იმის მიხედვით, თუ როგორია ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირის ყოფა-ცხოვრება, ოჯახური მდგომარეობა, მუშაობის ადგილი და მისი პიროვნების დამახასიათებელი სხვა გარემოებები.

ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელება მილიციის ორგანოებს აქვს დავალებული.

ზემოთ დასახელებული პირი შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს 219[1] მუხლით მხოლოდ მაშინ, თუ ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დარღვევისათვის მის მიმართ ერთი წლის განმავლობაში ორჯერ იყო გამოყენებული ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება და, მაშასადამე, აღნიშნული ვადის განმავლობაში მესამეჯერ დაარღვია ეს წესები. ამასთან ეს პირი უნდა იყოს სრულწლოვანი, ე. ი. 18 წლის ასაკს მიღწეული.

ნ. **თვითნებობა.** თვითნებობა, რასაც სს კოდექსის 220-ე მუხლი ითვალისწინებს, არის დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულებული უფლების თვითნებურად განხორციელება.

დადგენილი წესის თანახმად, ყოველ მოქალაქეს თავისი უფლების განხორციელება შეუძლია მხოლოდ მმართველობის შესაბამისი ორგანოს მეშვეობით. თვითნებობის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ იგი, არღვევს რა მოქალაქეთა მიერ

თავიანთი უფლების განხორციელების კანონით დადგენილ წესის მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ორგანიზაციის თუ საწარმოს ან მოქალაქეთა ინტერესებს.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება დანაშავის აქტიურ მოქმედებაში, მის მიერ ნამდვილად თავისად დაგულებული უფლების თვითნებურად განხორციელებაში. თვითნებურად განხორციელება ნიშნავს უფლების განხორციელებას კანონით დადგენილი წესის დარღვევით. ნამდვილად თავისი უფლებაა კანონის ან სხვა სამართლებრივი აქტის საფუძველზე პირისათვის კუთვნილი უფლება, ხოლო თავისად დაგულებული — ისეთი უფლება, რომელიც მხოლოდ პირის მოსაზრებით, შეუბედულებით ეკუთვნის მას, სინამდვილეში კი ასე არ არის; ასე, მაგალითად, უკეთუ პირი მიღებული ორდერის საფუძველზე თვითნებურად გამოასახლებს, ხელისუფლების სათანადო ორგანოს გარეშე, ბინაში მცხოვრებ პირს, საქმე გვექნება ნამდვილად თავისი უფლების თვითნებურად განხორციელებასთან, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც პირი თვითნებურად წამოიღებს სხვისი მფლობელობიდან სადავო ქონებას — თავისად დაგულებული უფლების თვითნებურად განხორციელებასთან. ამასთან უფლების თავისად დაგულება კეთილსინდისიერი უნდა იყოს, ე. ი. პირი, რაიმე გარკვეული საფუძვლის მიხედვით, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ესა თუ ის უფლება მას ეკუთვნის; უკიდურეს შემთხვევაში, სახელდობრ, უკეთუ პირს შეგნებული აქვს, რომ ასეთი უფლება მას არ ეკუთვნის და, მიუხედავად ამისა, თვითნებურად ახორციელებს მას, ადგილი ექნება არა 220-ე მუხლით გათვალისწინებულ თვითნებობას, არამედ შესაბამის დანაშაულს სოციალისტური თუ პირადი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის თავიდან.

ზოგჯერ თვითნებობის განხორციელებას თან სდევს ძალადობა პიროვნების წინააღმდეგ, ქონების დაზიანება და ა. შ. ასეთი გარეგნების არსებობისას ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობის წესით, 220-ე მუხლით და სს კოდექსის იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ძალადობის ან ქონებრივი დანაშაულისათვის.

220-ე მუხლი თვითნებობის ჩადენისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს მარტოოდენ მაშინ, როდესაც თვითნებობამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების თუ მოქალაქეთა ინტერესებს. მნიშვნელოვანია თუ არა ზიანი, ეს

გადაწყდება როგორც დარღვეული უფლების ხასიათის, ასევე მიყენებული ზიანის ოდენობის გათვალისწინებით.

თვითნებობის **სუბიექტი** შეიძლება იყოს ყოველი კერძო პირი, მიღწეული 16 წ. ასაკს. თანამდებობის პირი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი თვითნებური მოქმედებისათვის პასუხს აგებს 187-ე მუხლით (ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახია. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ახორციელებს ნამდვილად თავის ან თავისად დაგულებულ უფლებას მისი განხორციელებისათვის დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ და მით მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მოქალაქეთა ინტერესებს და კიდევაც სურს ეს.

სასჯელი 220-ე მუხლით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ექვს თვემდე ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე, ან საზოგადოებრივი გაკიცხვა, ანდა საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენება.

ო. თვითნებური მშენებლობა. სს კოდექსის 221-ე მუხლი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების თვითნებურად, სათანადო ნებართვის გარეშე აშენებისათვის, აგრეთვე თვითნებურად მიშენებისათვის.

მოქმედი წესის მიხედვით საცხოვრებელი სახლი შეიძლება აშენდეს მხოლოდ დამტკიცებული პროექტის შესაბამისად და მშენებლობის შესახებ მიღებული ნებართვის საფუძველზე, მიშენებაც მხოლოდ ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ნებართვით დაიშვება და ისიც იმ პირობით, თუ საცხოვრებელი სახლი მთლიანად ერთ პირს ეკუთვნის.

221-ე მუხლში გათვალისწინებული თვითნებური მშენებლობა შეიძლება გამოიხატოს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების აშენებასა ან გადაკეთებაში, აგრეთვე ასეთი სახლებისათვის მიშენებაში შესაბამისი ნებართვის გარეშე ან დამტკიცებული პროექტისათვის ისეთი გვერდის ახვევით, როგორიცაა საცხოვრებელი ფართობის ზღვრულ ნორმაზე გადამეტება, ოთახების რაოდენობის ან სართულიანობის ნორმების დარღვევა და ა. შ. თვითნებურ მშენებლობად ჩაითვლება აგრეთვე არასაცხოვრებელი ნაგებობის საცხოვრებლად გადაკეთება.

ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლად ჩაითვლება როგორც ჰუდმივი, ასევე დროებითი ცხოვრებისათვის განკუთვნილი ნაგებობა (სახლი, აგარაკი), გარაჟის, ფარდულისა და სხვ. თვითნებური მშე-

ნებლობა ვერ დაკვალიფიცირდება 221-ე მუხლით, რადგან ისინი საცხოვრებელ სახლს არ წარმოადგენენ.

მიშენება ნიშნავს სახლისთვის დამატებითი ოთახის, აივნის და ა. შ. მიშენებას და ამრიგად საცხოვრებელი სახლის ფართობის უნებართვოდ გაზრდას.

დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს ინდივიდუალური მშენებელი.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება მხოლოდ განზრახი ბრალით.

სასჯელი 221-ე მუხლის საფუძველზე — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, უკანონოდ აგებული შენობის კონფისკაციით.

პ. საშენი მასალის უკანონო შეძენა. ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის საშენი მასალების შეძენისათვის დადგენილი წესების დარღვევა დანაშაულად ითვლება და მას სს კოდექსის 222-ე მუხლი ითვალისწინებს.

აღნიშნული წესების დარღვევის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ფონდირებული საშენი მასალა შეიძლება განიავდეს და მით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესები დაზიანდეს.

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ მშენებელს შესაბამისი საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან გამოეყოფა ხოლმე საჭირო საშენი მასალა. ის ვინც დაარღვევს ამ დარგში დადგენილ წესს და საშენ მასალას შეიძენს ამ წესისაგან გვერდის ახვევით, პასუხს აგებს 222-ე მუხლის საფუძველზე.

დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს ინდივიდუალური საბინაო მშენებელი 16 წლის ასაკს მიღწეული.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ განსახილველი დანაშაული განზრახი ბრალით ხასიათდება.

სასჯელი 222-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები, ვადით ერთ წლამდე საშენი მასალების ან იმ შენობის კონფისკაციით, რომელზედაც ეს მასალები იყო გამოყენებული.

ჟ. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის კანონების დარღვევა. სს კოდექსის 223-ე მუხლში გათვალისწინებულია ქორწინების დამბრკოლებელი გარემოებების დამალვა ან ტყუილი ცნობების მიცემა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოებისათვის.

ეს დანაშაული ხელყოფს მმართველობის ორგანოების სწორ მუშაობას, არღვევს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების (დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების და ა. შ.) რეგისტრაციის დადგენილ წესს.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული შეიძლება გამოიხატოს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების დამალვაში ან ტყუილი ცნობების მიცემაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოებისათვის.

ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების დამალვა ნიშნავს საქორწინო პირის მიერ იმ გარემოებების შეუტყობინებლობას ადგილობრივი საბჭოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილებისათვის, რომლებიც, საქორწინო და საოჯახო კანონთა კოდექსის ძალით, შეუძლებელს ხდიან ქორწინების რეგისტრაციას. ასეთ გარემოებად ჩაითვლება სხვა პირთან ქორწინებაში ყოფნა, ზოგიერთი სახის დაავადება და სხვ.

ტყუილი ცნობების მიცემა იმას ნიშნავს, რომ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რომელიმე აქტის რეგისტრაციის მსურველი პირი ზემოთ დასახელებულ განყოფილებას აწვდის სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობას (მაგალითად, დაბადების, გარდაცვალების თარიღის შესახებ და ა. შ.).

უკეთუ აღნიშნული ქმედობა ჩადენილია ყალბი დოკუმენტების (პასპორტის, ცნობის და ა. შ.). გამოყენებით, დამნაშავე პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობით, სახელდობრ, 223-ე და 214-ე მუხლებით.

სუბიექტური მხრივ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. სუბიექტი — 16 წ. ასაკს მიღწეული კერძო პირი.

სასჯელი 223-ე მუხლით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ექვს თვემდე ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე, ან საზოგადოებრივი გაკიცხვა.

§ ბ. მმართველობის წესის წინააღმდეგ დანაშაულის სპეციალური სახეები

ა. უკანონო ხარგებლობა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ნიშნებით. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1941 წლის 22 თებერვლის დადგენილებით დამტკიცებულია სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების წესდება. ამ საზოგადოების (რომელიც მშრომელთა ნებაყოფ-

ლოშით ეაერთიანებას წარმოადგენს) ამოცანაა მიიზიდოს მშრომელთა ფართო მასები სსრ კავშირის სანიტარული თავდაცვის საქმეში, დახმარება გაუწიოს დაზარალებულთ სტიქიური უბედურებისაგან, საომარი მოქმედებისაგან და ა. შ.

წითელი ჯვრის ორგანიზაციებს მიკუთვნებული აქვთ განმასხვავებელი ნიშნები (წითელი ჯვარი, წითელი ნახევარმთვარე თეთრ ფონზე), რაც ასხვავებს მათ სხვა ორგანიზაციებისაგან და ამასთან ანიჭებს გარკვეულ უფლებებს (მაგალითად, დაცვასა და მფარველობას ამ ორგანიზაციის ჰოსპიტლებს, სანიტარულ რაზმებს, ტრანსპორტს, მედიცინის პერსონალს და ა. შ.). ამ ნიშნებით სარგებლობის უფლება აქვთ მხოლოდ წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის ორგანიზაციებს და ამ ორგანიზაციების წევრებს.

ჟენევის კონვენციის (1949 წ.) ძალით, წითელი ჯვრის განმასხვავებელი ნიშნებით ან სახელწოდებით სარგებლობა სხვა ორგანიზაციებისა და პირების მიერ, რა მიზნითაც არ უნდა იყოს ჩადენილი, აკრძალულია.

აღნიშნული კონვენციის მოთხოვნის დარღვევა დანაშაულად ითვლება და გათვალისწინებულია სს კოდექსის 224-ე მუხლში.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი ამ დანაშაულისა შეიძლება იყოს 16 წ. ასაკს მიღწეული როგორც კერძო, ასევე თანამდებობის პირი.

სამხედრო მოსამსახურის მიერ საომარი მოქმედების რაიონში წითელი ჯვრის ან წითელი ნახევარმთვარის ნიშნების უკანონო გამოყენება სამხედრო დანაშაულია და 287-ე მუხლით დაკვალიფიცირდება.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ.

სასჯელი 224-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან საზოგადოებრივი გაკიცხვა.

ბ. სსრ კავშირის სახელმწიფო ალმის უკანონო აღმართვა სავაჭრო გემზე. სს კოდექსის 225-ე მუხლში გათვალისწინებულია სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ალმის აღმართვა სავაჭრო გემზე ამ ალამზე უფლების გარეშე.

გემზე აღმართული სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი განსაზღვრავს ამ გემის კუთვნილებას სსრ კავშირისადმი. აღნიშნული ალამით ცურვის უფლება ენიჭება მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს და კოოპერატიული ორგანიზაციების გემებს საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტების (მოწმობა, პატენ-

ტი) საფუძველზე. სახელმწიფო ალმის აღმართვისა და დაშვების წესი დეტალურად რეგლამენტირებულია სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის და თევზის მრეწველობის ფლოტის გემებზე სამსახურის წესდებებში.

სახელმწიფო ალმის უკანონო აღმართვა ნიშნავს საბჭოთა ალმის აღმართვას ისეთ გემზე, რომელიც საბჭოთა ფლოტს არ მიეკუთვნება, აგრეთვე საბჭოთა გემზე, მაგრამ სათანადო ნებართვის მიღებამდე (რაც არღვევს აგრეთვე 1910 წლის საერთაშორისო კონვენციით დადგენილ წესს).

ამ დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს როგორც საბჭოთა, ასევე მოქალაქეობის არმქონე და უცხო სახელმწიფოს მოქალაქე.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახ.

სასჯელი 225-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე გემის კონფისკაციით ან ჯარიმა ათას მანეთამდე.

გ. დახმარების გაუწევლობა გემების დაჯახების დროს ან გემის სახელწოდების შეუტყობინებლობა. ეს დანაშაული გათვალისწინებულია სს კოდექსის 226-ე მუხლში იმასთან შესაბამისად, რომ სსრ კავშირი 1926 წლის 2 თებერვალს შეუერთდა ბრიუსელის საერთაშორისო კონვენციას (1910 წ.) ზღვაზე დახმარების გაწევისა და გადარჩენის შესახებ. აღნიშნული და შემდგომი კონვენციების (კერძოდ, 1948 წ. კონვენციის, რომელსაც სსრ კავშირი შეუერთდა 1954 წლის 19 აპრილს) ძალით, იმ გემის კაპიტანს, რომელიც ზღვაში მეორე გემს დაეჯახა, ევალება საჭირო ზომების მიღება დახმარების გასაწევად ამ გემისათვის. ასეთი ვალდებულებაა გათვალისწინებული აგრეთვე სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის გემებზე სამსახურის წესდებით; მისი შეუსრულებლობა დანაშაულად არის მიჩნეული ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსებით.

საქ. სსრ სს კოდექსის 226-ე მუხლის პირველი ნაწილი აწესებს პასუხისმგებლობას იმ გემის კაპიტნისათვის, რომელიც ზღვაში მეორე გემს დაეჯახა, ამ გემისათვის დახმარების გასაწევად საჭირო ზომების მიუღებლობის გამო, თუ ასეთი ზომების მიღება შესაძლებელი იყო თავისი, მგზავრების, ეკიპაჟისა და გემის სერიოზულ საფრთხეში ჩაუყენებლად, დამოუკიდებლად იმ პასუხისმგებლობისაგან, რაც მას დაეკისრება განსაცდელში ჩავარდნილი გემის ეკიპაჟისა და მგზავრებისათვის დახმარების გაუწევლობისათვის (132-ე მუხლი).

საკითხი იმის შესახებ, მიღებული იყო კაპიტნის მიერ საჭირო ზომები დახმარების გასაწევად თუ არა, გადაწყდება ცალკეული საქ-

მის გარემოებათა მიხედვით ზღვაოსნობის მოქმედი წესების საფუძველზე; ამასთან გასათვალისწინებელია — ამ ზომების მიღება სერიოზულ საფრთხეს ხომ არ უქმნიდა თავის გემს, მგზავრებს, ეკიპაჟს. ასეთი საფრთხის (მაგალითად, ადამიანთა დაღუპვის, გემის დაზიანების შესაძლებლობის) არსებობისას ერთგვარად უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა იქმნება, ერთმანეთს უპირისპირდება გემის კაპიტნის ვალდებულება, ერთი მხრივ, უზრუნველყოს თავისი გემის, ეკიპაჟის, მგზავრების უსაფრთხოება და მისივე ვალდებულება, მეორე მხრივ, საჭირო ზომები მიიღოს სხვა გემის გადასარჩენად. ასეთ ვითარებაში უპირატესობა მიენიჭება კაპიტნის მიერ პირველი ვალდებულების შესრულებას.

უკეთუ გემზე, რომელიც იღუპებოდა, ადამიანები იმყოფებოდნენ, ამ გემისა და ადამიანთათვის დახმარების გასაწევად საჭირო ზომების მიუღებლობისათვის კაპიტანი პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობით, სახელდობრ, 226-ე და 132-ე მუხლებით. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანთა სიცოცხლე ზღვაზე საფრთხეში იყო, მაგრამ ისინი არ იმყოფებოდნენ იმ გემზე, რომელიც იღუპებოდა ან თუნდაც ასეთ გემზე იმყოფებოდნენ, მაგრამ იგი ასეთ მდგომარეობაში დამნაშავე კაპიტნის გემთან დაჯახების შედეგად კი არ ჩავარდნილა, არამედ სხვა მიზეზთა გამო, ანდა ბოლოს, თუნდაც ამ მიზეზით, მაგრამ მდინარეზე და არა ზღვაზე — დამნაშავეს შეეფარდება მარტოოდენ 132-ე მუხლი.

226-ე მუხლის მეორე ნაწილი აწესებს პასუხისმგებლობას გემის კაპიტნის მიერ ზღვაში მასთან დაჯახებული მეორე გემისათვის თავისი გემის სახელწოდებისა და მიწერის ნავსადგურის, აგრეთვე გამოსვლის და დანიშნულების ადგილის შეუტყობინებლობისათვის. კაპიტანს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ აღნიშნული ცნობების შეტყობინება შეუძლებელი იყო. ასეთი მდგომარეობა შეიძლება შედეგი იყოს იმისა, რომ გემი, რომელსაც აღნიშნული ცნობები უნდა შეტყობინებოდა, დაიღუპა ან გემის კაპიტანი დაკავებული იყო თავისი გემის, ეკიპაჟის, მგზავრების გადარჩენით, ან გემზე მოიშალა სიგნალიზაციის საშუალებანი და ა. შ.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს მარტოოდენ გემის კაპიტანი (ან მისი მოვალეობის ამსრულებელი). ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ ბრალი შეიძლება იყოს განზრახი.

სასჯელი 226-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით ან ჯარიმა სამას მანეთამდე, ხოლო მეორე ნაწილით — გა-

მასწორებელი სამუშაოები ვადით სამ თვემდე ან ჯარიმა ას მანეთამდე.

დ. ტელეგრაფის საზღვაო კაბელის დაზიანება. სს კოდექსის 227-ე მუხლის საფუძველზე ტელეგრაფის საზღვაო კაბელის დაზიანება გაუფრთხილებლობით, თუ მან გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია სატელეგრაფო კავშირის შეწყვეტა, ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით სამ თვემდე ან ჯარიმით ას მანეთამდე.

ეს მუხლი სს კოდექსში შეტანილია პარიზის 1884 წლის საერთაშორისო კონვენციის („წყალქვეშა ტელეგრაფის კაბელის დაცვის შესახებ") საფუძველზე, რომელსაც შეუერთდა სსრ კავშირი 1926 წ.

აღნიშნული ქმედობა მხოლოდ მაშინ იწვევს 227-ე მუხლით პასუხისმგებლობას, თუ მან გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია სატელეგრაფო კავშირის შეწყვეტა და ამასთან ჩადენილია გაუფრთხილებლობით.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი პირი მიღწეული 16 წლის ასაკს (იქნება ის სსრ კავშირის მოქალაქე თუ უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება მხოლოდ გაუფრთხილებელი ბრალით. უკეთუ განზრახ არის დაზიანებული ტელეგრაფის საზღვაო კაბელი, რომელიც სოციალისტურ საკუთრებას შეადგენს, ქმედობა დაკვალიფიცირდება სს კოდექსის მე-100 მუხლით, ხოლო თუ იგი არ არის სოციალისტური საკუთრება — 157-ე მუხლით.

თავი X.

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ

§ 1. საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ დანაშაულის ცნება და სისტემა

სს კოდექსის მეათე თავში გათვალისწინებულია ყველა დანაშაული, რაც ხელყოფს საზოგადოებრივ უშიშროებასა და საზოგადოებრივ წესრიგს. დანაშაული როგორც საზოგადოებრივი უშიშროების, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ ფაქტიურად წარმოადგენს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების უხეშ დარღვევას, წესებისა, რომელთა პატივისცემით მოპყრობა, სსრ კავშირის კონსტიტუციის 130-ე მუხლის მოთხოვნის საფუძველზე, სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის ვალდებულებაა.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა თავის მხრივ უზრუნველყოფს საზოგადოებრივ უშიშროებას, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, მათი ჯანმრთელობის დაცვას. მაშასადამე, საზოგადოებრივი წესრიგი და საზოგადოებრივი უშიშროება ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგაპირობებული ცნებებია.

კოდექსის ერთ სპეციალურ თავში ამ დარგის დანაშაული თავმოყრილია იმ მიზნით, რომ ყურადღება გამახვილდეს მის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საჭიროებაზე ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობასთან ერთად სისხლის სამართლის წესითაც.

ყველა დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს, სახელდობრ:

ა) დანაშაული საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ: ხულიგნობა (228-ე მუხლი), დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება (229-ე მუხლი), გარყვნილების ბუდის მოწყობა ან მაჭანკლობა (230-ე მუხლი), ორცოლიანობა ან მრავალცოლიანობა (231-ე მუხლი), პორნოგრაფიული საგნების დამზადება ან გასაღება (232-ე მუხლი), მოქალაქეთა პიროვნებისა და უფლებების

ხელყოფა რელიგიური წესების შესრულების სახით (233-ე მუხლი), მაწანწალობა ან მათხოვრობა (234-ე მუხლი), აზარტული თამაში (235-ე მუხლი), არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში (236-ე მუხლი), საფლავის შებილწვა (237-ე მუხლი), კულტურის ძეგლების ან დაცული ბუნების ობიექტების განადგურება, დაზიანება ან დაზიანება (254-ე მუხლი);

ბ) დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ: იარაღის ან ფეთქებად ნივთიერებათა უკანონო ტარება, შენახვა, დამზადება ან გასაღება (238-ე მუხლი), ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა (239-ე მუხლი), იარაღის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცება (240-ე მუხლი), ელექტროტრანსპორტისა და ავტომოტოტრანსპორტის მოძრაობის უშიშროებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევა (241-ე მუხლი), ტრანსპორტზე მოქმედი წესების დარღვევა (242-ე მუხლი), მატარებლის თვითნებურად გაჩერება, როცა ეს საჭირო არ არის (242[1]-ე მუხლი), ავტო-მოტოტრანსპორტის საშუალებათა გატაცება (243-ე მუხლი), სამშენებლო სამუშაოთა წარმოების წესების დარღვევა (244-ე მუხლი), სამთო სამუშაოთა უშიშროების წესების დარღვევა (245-ე მუხლი), სახანძრო დაცვის წესების დარღვევა (246-ე მუხლი), აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოებსა და საამქროებში უშიშროების წესების დარღვევა (247-ე მუხლი), ფეთქებად ან რადიოაქტიურ ნივთიერებათა შენახვის, გამოყენების, აღრიცხვის ან გადაზიდვის წესების დარღვევა (248-ე მუხლი), ადვილაალებადი ან მწვავე ნივთიერებების უკანონო გადაგზავნა (249-ე მუხლი);

გ) დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობის წინააღმდეგ: უკანონო ექიმობა (250-ე მუხლი), ეპიდემიასთან ბრძოლის დადგენილი წესების დარღვევა (251-ე მუხლი), შხამიანი ან ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო დამზადება ან გასაღება (252-ე მუხლი), ხაშხაშის ან ინდური კანაფის უნებართვოდ დათესვა (253-ე მუხლი).

§ 2. დანაშაული საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ

ხულიგნობა. ხულიგნობა, გათვალისწინებული სს კოდექსის 228-ე მუხლში, არის საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დამრღვევი და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობის გამომხატველი განზრახი მოქმედება[1].

---

[1] სს კოდექსის 228-ე მუხლის შინაარსი გადმოცემულია შესაბამისად სუ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატება-

ხულიგნობა წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ხელყოფას. მასში მეღავნდება საზოგადოებრივი ინტერესების აბუჩად აგდება, ადამიანთა უპატივცემლობა, თავაწყვეტილი შლეგობა და წარსულის გადმონაშთის სხვა მახინჯი გამოვლინებანი.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა სასტიკ ბრძოლას ხულიგნების წინააღმდეგ, რადგან საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში კლასობრივი მტრები ხულიგნებს, ამ ძველი საზოგადოების გახრწნილ ელემენტებს, იყენებდნენ ახლად შექმნილი სოციალისტური სახელმწიფოს შესასუსტებლად, საბჭოთა მართლწესრიგისათვის ძირის გამოსათხრელად. ვ. ი. ლენინი, ათანაბრებდა რა ხულიგნებს ექსპლოატატორებთან, გაიძვერებთან და მუქთახორებთან, მოუწოდებდა მშრომელებს მათ წინააღმდეგ რკინის ხელით დაუზოგავი ომის წარმოებისაკენ.

საბჭოთა ხელისუფლებას ხულიგნობასთან, როგორც ერთ-ერთ ყველაზე საშიშ დანაშაულთან, გადამჭრელი ბრძოლის წარმოება მოუხდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველ დღეებიდანვე.

განსაკუთრებით მოუთმენელია ხულიგნობის ცალკეული შემთხვევები ამჟამად, ჩვენს ქვეყანაში გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პირობებში. „გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პირობებში, — ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წ. 26 ივლისის ბრძანებულებაში ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, — სულ უფრო შეუწყნარებელი ხდება ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებანი, განსაკუთრებით ხულიგნობის ფაქტები, რომლებიც დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებას, შეურაცხყოფს საბჭოთა მოქალაქეების პატივსა და ღირსებას. ხულიგნობის ნიადაგზე ხდება სხვა მძიმე დანაშაულობანი".

ხულიგნური გამოვლინება აღაშფოთებს საბჭოთა მშრომელ ადამიანებს, იწვევს მათში ზიზღსა და სიძულვილს მისი ჩამდენი პირებისადმი. ამიტომ არის, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელნი სამართლიანად მოითხოვენ, რომ ხულიგნებსა და დებოშირებს მკაცრად აგებინონ პასუხი თავიანთი მოქმედებისათვის. საჭიროა შეიქმნას ისეთი ვითარება, რომ ხულიგნობის თითოეული შემთხვევა გადაჭრით აღკვეთოს სახელმწიფო ორგანოებმა და საბჭოთა საზოგადოებრიობამ.

ᲗᲔ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ", ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ 1966 Წ. 26 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ „ᲮᲣᲚᲘᲒᲜᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ" ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ.

მართალია, ხულიგნობისა და მისი გამომწვევი მიზეზების (პირველ რიგში ლოთობის) აღმოსაფხვრელად აქტიურად იბრძვიან ამხანაგური სასამართლოები, სახალხო რაზმელები და მშრომელთა თვითმოქმედი სხვა ორგანიზაციები, მაგრამ ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა სისხლის სამართლის კანონის ძალის უფრო მტკიცედ, ქმედითად გამოყენება[1].

ხულიგნობის ობიექტს წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგი, რომლის ცნებაც მოიცავს სოციალისტურ საზოგადოებაში ყოფაქცევის წესების დაცვას, პიროვნების ხელუხლებლობას, სოციალისტური საკუთრების დაცვას და ა. შ. ხულიგნობას არც თუ ისე იშვიათად თან სდევს მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და საკუთრებისათვის ზიანის მიყენება, დაწესებულება-ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება და სხვ.

ობიექტური მხრივ ხულიგნობა გამოიხატება საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევაში, საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობის გამომხატველ განზრახ მოქმედებაში.

უხეშია დარღვევა თავისი შინაარსითა და გამოვლინებით მნიშვნელოვანი, უხამსი, მაგალითად, უშმაწური სიტყვების საჯაროდ ხმარება; ჩხუბის, დებოშის ატეხვა; ფანჯრებში, სანათურებში მინების ჩამტვრევა; პარკებში მწვანე ნარგავების დაზიანება; უცნობი მოქალაქეების ადევნება-ჩაციება და ა. შ.

საზოგადოების აშკარა უპატივცემლობა ნიშნავს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების აბუჩად აგდებას, პირადი არასაპატიო ინტერესების საზოგადოების ინტერესებისადმი დაპირისპირებას, სოციალისტური ზნეობის ფეხქვეშ გათელვას.

მართალია, ხულიგნური მოქმედება, როგორც წესი, ხასიათდება აღვირახსნილი ქცევის ჩადენით საზოგადოების თავმოყრის ისეთ ადგილებში, როგორიც არის კინო, თეატრი, კლუბი, რესტორანი, ქუჩა და ა. შ., მაგრამ არ არის გამორიცხული მისი ჩადენა კომუნალურ ბინაზე, ტყეში (მაგალითად, მასობრივი ექსკურსიის დროს) და

---

[1] „ხულიგნობა,—როგორც ეს აღნიშნულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 22 დეკემბრის დადგენილებაში „ხულიგნობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ",—მოიკუთვნება საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა მუდროებაზე ხელმყოფ საშიშ სამართალდარღვევას, რაც არაიშვიათად იწვევს სხვა უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას. ამიტომ ხულიგნობასთან ბრძოლა წარმოადგენს სასამართლო ორგანოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას" (იხ. Бюллетень Верховного Суда СССР, 1965, № 1, გვ. 8).

სხვა ისეთ ადგილებში, სადაც დამნაშავის გარდა სხვებიც იმყოფებიან.

იმის გათვალისწინებით, რომ პასუხისმგებლობა ხულიგნობისათვის მოქმედი კანონის საფუძველზე დადგება მისი ჩადენის ფორმისაგან დამოუკიდებლად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1963 წ. 3 ივლისის № 12 დადგენილებაში განმარტა, რომ განზრახი მოქმედება, რომელიც გამოიხატა რადიოთი გადაცემების წარმოებაში, დაკავშირებული საზოგადოების აშკარა უპატივცემლობის გამოვლინებასთან, ანცობით, რაც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან ხელს უშლის რადიოგადაცემებს და სამსახურებრივ რადიოკავშირს, უნდა დაკვალიფიცირდეს მისი ხასიათის მიხედვით 228-ე მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით[1].

ს უ ბ ი ე ქ ტ ი ხულიგნობისა შეიძლება იყოს 16 წ. ასაკს მიღწეული პირი. 14 წლის ასაკიდან პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს პირს მხოლოდ ბოროტი ხულიგნობისათვის (228-ე მუხლის II და III ნაწ.). ამასთან სასამართლოები ვალდებული არიან განსაკუთრებული ყურადღებით მიუდგნენ საკითხს ხულიგნობისათვის ორასრულწლოვანთა პასუხისგებაში მიცემისა და მათთვის სისხლის სამართლის სასჯელის შეფარდების შესახებ. ასეთი საქმეების განხილვისას სასამართლოებმა ზედმიწევნითა და ყოველ მხრივ უნდა გამოიკვლიონ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ყველა გარემოება, გამოარკვიონ მისი ჩადენის პირობები და არ დაუშვან არასრულწლოვანთა მსჯავრდება ისეთი მოქმედებისათვის, რაც ბავშვური ანცობისა და სიცელქის ხასიათისაა[2].

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ ხულიგნობა, როგორც ეს თვით კანონშია (სს კოდექსის 228-ე მუხლში) აღნიშნული, განზრახი დანაშაულია. დამნაშავეს სურს ჩაიდინოს მოქმედება, რაც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და საზოგადოების აშკარა უპატივცემლობას გამოხატავს ან შეგნებულად უშვებს, რომ მისი მოქმედება სწორედ ასეთი ხასიათისაა.

ხულიგნობა უნდა განვასხვაოთ სხვა დანაშაულისაგან დანაშაულის განზრახვის, მოტივის, მიზნების, აგრეთვე ჩადენილი ქმედობის გარემოებათა შინაარსითა და მიმართებით. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წ. 22 დეკემბრის № 17 დადგენილების („ხულიგნობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ") სა-

---

[1] იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1963, № 6, გვ. 67—68.

[2] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წ. 22 დეკემბრის დადგენილება (Бюллетень Верховного Суда СССР, 1965, № 1, გვ. 7).

ფუძველზე, მოქალაქეთა შეურაცხყოფა, ცემა, მათთვის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენება და სხვა მსგავსი მოქმედება, ჩადენილი პირადი ხასიათის მოტივებით, შეიძლება ხულიგნობად ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, თუ ასეთს თან ერთოდა საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა და გამოხატავდა საზოგადოების აშკარა უპატივცემლობას. ამასთან ხულიგნური მოქმედება, დაკავშირებული პიროვნების აღნიშნულ ხელყოფასთან, მთლიანად მოიცავს ხულიგნობის შედგენილობას და დამატებით პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის შესახებ სს კოდექსის სათანადო მუხლის შეფარდება საჭირო არ არის.

შეურაცხყოფა, ცემა, სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჩადენილი აღნიშნული ნიშნების (ე. ი. საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევისა და საზოგადოების აშკარა უპატივცემლობის) გარეშე, დაკვალიფიცირდება სს კოდექსის მარტოოდენ იმ მუხლით, სადაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულისათვის[1].

ხულიგნობასთან შედარებით უფრო მძიმე დანაშაული (განზრახ მკვლელობა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება და სხვ.), ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით, უნდა დაკვალიფიცირდეს მარტოოდენ კოდექსის იმ მუხლით, რომელიც ასეთ დანაშაულს ითვალისწინებს (104-ე ან 110-ე და ა. შ. მუხლებით). აღნიშნული ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს ხულიგნობასთან ერთობლიობით მხოლოდ მაშინ, როდესაც ხულიგნობა და სხვა უფრო მძიმე დანაშაული, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ დანაშაულს წარმოადგენენ (ე. ი. არსებობს რეალური ერთობლიობა).

ხულიგნობას, დაკავშირებულს წინააღმდეგობის გაწევასთან ხელისუფლების წარმომადგენლისათვის ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის, რომელიც ასრულებს მოვალეობას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დარგში ან ხულიგნური მოქმედების აღმკვეთი სხვა მოქალაქეებისათვის, მთლიანად მოიცავს 228-ე მუხლის მეორე ნაწილის (ბოროტი ხულიგნობა) დისპოზიცია და კოდექსის სხვა მუხლის დამატებით გამოყენება საჭირო არ არის.

228-ე მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ითვა-

---

[1] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წ. 22 დეკემბრის ზემოთ დასახელებული დადგენილება, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წლის 29 სექტემბრის № 8 დადგენილება „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წ. 22 დეკემბრის დადგენილების „ხულიგნობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ შესრულების მიმდინარეობაზე" (ტ. „საბჭოთა სამართალი", 1965, № 6, გვ. 56—58).

ლისწინებს მარტივი სახის ხულიგნობას (ე. ი. ისეთს, რაც არ არის დამძიმებული მეორე და მესამე ნაწილების დამახასიათებელი ნიშნებით), ასევე იმ პირის მიერ ჩადენილ წვრილმან ხულიგნობას, რომლის წინააღმდეგ წლის განმავლობაში გამოყენებული იყო ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება წვრილმანი ხულიგნობისათვის.

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წ. 26 ივლისის ბრძანებულებისა „ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ", წვრილმანი ხულიგნობა ნიშნავს: უცენზურო ლანძღვა-გინებას საზოგადოებრივ ადგილებში, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელ გადაკიდებას და სხვა ამგვარ მოქმედებას, რაც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს. თუ ეს მოქმედება თავისი ხასიათით არ იწვევს სისხლის სამართლებრივი სასჯელის ღონისძიებათა გამოყენებას. ამრიგად, წვრილმანი ხულიგნობა წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის ნაკლებად საშიშ დარღვევას, საზოგადოების უპატივცემლობის არამნიშვნელოვანი ზომით გამოვლინებას და სხვა არაბორტი სახის ქცევას.

ამ ბრძანებულების საფუძველზე წვრილმანი ხულიგნობა ისჯება პატიმრობით ათიდან თხუთმეტ დღემდე ვადით ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთიდან ორ თვემდე ხელფასის ოცი პროცენტის დაკავებით, ან ჯარიმით ათიდან ოცდაათ მანეთამდე. წვრილმანი ხულიგნობის მასალებს ერთი დღე-ღამის განმავლობაში განიხილავს მილიციის ორგანოს უფროსი, რომელიც ან დააჯარიმებს დამრღვევს აღნიშნული ოდენობით, ან გაუგზავნის მასალებს სახალხო სასამართლოს, სადაც ამავე დროს მიიყვანს დაკავებულს. სახალხო მოსამართლე წვრილმანი ხულიგნობის მასალებს ერთპიროვნულად განიხილავს დღე-ღამის განმავლობაში ამ მასალების სასამართლოში მიღების შემდეგ გადაცდომის ჩამდენი პირის ფანდასწრებით და საქმეთა შემთხვევაში გამოიძახებს მოწმეებს. წვრილმანი ხულიგნობის ჩადენის ფაქტის დადგენის შემდეგ სახალხო მოსამართლე დამრღვევს შეუფარდებს ზემოქმედების ერთ-ერთ ზემოჩამოთვლილ ღონისძიებას.

სახალხო მოსამართლის ან მილიციის ორგანოს უფროსის დადგენილება ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შესახებ საბოლოოა, გასაჩივრებას არ ექვემდებარება და დაუყოვნებლივ სრულდება.

თუ დაპატიმრებულმა თავი აარიდა პატიმრობის მოხდას ან ბოროტად დაარღვია დაწესებული რეჟიმი, სახალხო მოსამართლეს (პატიმრობის ადგილის ადმინისტრაციის ან მილიციის ორგანოს უფროსის წარდგინებით) შეუძლია დამრღვევს გაუგრძელოს პატიმრობის ვადა. ამასთან წვრილმანი ხულიგნობისათვის პატიმრობის საერთო

ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ დღეს; ხოლო თუ დამრღვევმა თავი აარიდა გამასწორებელ სამუშაოთა მოხდას, სახალხო მოსამართლის დადგენილებით გამასწორებელ სამუშაოთა მოუხდელი ვადა შეიძლება შეიცვალოს თავისუფლების აღკვეთით იმ ანგარიშით, რომ თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე უტოლდებოდეს გამასწორებელ სამუშაოთა სამ დღეს.

წვრილმანი ხულიგნობისათვის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში შეიძლება მიცემულ იქნას ის პირები, რომლებსაც გადაცდომის ჩადენამდე შეუსრულდათ 16 წელი[1].

წვრილმანი ხულიგნობის ჩამდენი პირი შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში და გასამართლდეს სს კოდექსის 228-ე მუხლის პირველი ნაწილით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წვრილმანი ხულიგნობა ჩადენილია ისეთი პირის მიერ, რომლის წინააღმდეგ წლის განმავლობაში გამოიყენეს ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება წვრილმანი ხულიგნობისათვის, ე. ი. ადგილი აქვს წვრილმანი ხულიგნობის განმეორებას (ერთი წლის განმავლობაში) მას შემდეგ, რაც ადრე პირს შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული ღონისძიება ასეთივე სახის ხულიგნობისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 26 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად წვრილმანი ხულიგნობისათვის პირის მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენება ამხანაგური სასამართლოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მშრომელთა კოლექტივის მიერ არ შეიძლება საფუძველი გახდეს ასეთი პირის მიერ განმეორებით წვრილმანი ხულიგნობის ჩადენისას მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში შისაცემად სს კოდექსის 228-ე მუხლის I ნაწილით.

სასჯელი 228-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის — თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვიდან ერთ წლამდე ვადით ან ამავე ვადით გამასწორებელი სამუშაოები, ან ჯარიმა ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე.

---

[1] „ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წ. 26 ივლისის ბრძანებულებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წ. 7 იანვრის ბრძანებულება „წვრილმანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" იმ ცვლილებათა დამატებით, რაც შეტანილია 1961 წლის 18 აგვისტოს და 1964 წლის 26 დეკემბრის ბრძანებულებებით (იხ. საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წ. 29 აგვისტოს ბრძანებულება).

228-ე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებულია ხულიგნობის კვალიფიციური სახე, სახელდობრ, ბოროტი ხულიგნობა, ე. ი. იგივე მოქმედება, რომელიც თავისი შინაარსით გამოირჩევა უაღრესად დიდი ცინიზმით ან განსაკუთრებული თავხედობით, ან დაკავშირებულია წინააღმდეგობის გაწევასთან ხელისუფლების წარმომადგენლისათვის ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის, რომელიც ასრულებს მოვალეობას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დარგში, ან ხულიგნური მოქმედების აღმკვეთი სხვა მოქალაქეებისათვის, ასევე ისეთი პირის მიერ ჩადენილი ბოროტი ხულიგნობა, რომელიც წინათ ნასამართლევი იყო ხულიგნობისათვის.

ხულიგნობის ზემოჩამოთვლილი გარემოებები უკვე იყო განხილული წინამდებარე ნაშრომის შესაბამის თავებში. საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს, რომ ხულიგნობა, რომელიც თავისი შინაარსით გამოირჩევა უაღრესად დიდი ცინიზმით, ნიშნავს ხულიგნურ მოქმედებას დაკავშირებულს დაზარალებულისადმი უხეშ დაცინვასთან, აბუჩად აგდებასთან და საზოგადოების აღმაშფოთებელ სხვა უნამუსო ქცევასთან (მაგალითად, გარყვნილი მოქმედების საჯაროდ შესრულება), ხოლო ხულიგნობა განსაკუთრებული თავხედობით — ისეთ ხულიგნურ მოქმედებას, რაც ახირებით ან იქნა შეწყვეტილი, მიუხედავად საზოგადოებრივი წესრიგის მცველი ორგანოს გაფრთხილებისა ან ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ, ან შრავალ ადამიანთა თვალწინ (მაგ., საყოველთაო სახალხო დღესასწაულის დროს), ან რასაც თან მოჰყვა ქონების განადგურება და ა. შ.

სასჯელი 228-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ერთი წლიდან ხუთ წლამდე ვადით.

დაბოლოს, 228-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს ხულიგნობის განსაკუთრებით საშიშ სახეს, სახელდობრ, ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ მოქმედებას, თუ იგი ჩადენილია ისე, რომ იხმარეს ან სცადეს ეხმარათ ცეცხლსასროლი იარაღი, დანა, კასტეტი ან სხვა ცივი იარაღი, ასევე სხეულის დასაზიანებლად სპეციალურად მომარჯვებული სხვა საგანი.

228-ე მუხლის მესამე ნაწილის დისპოზიცია საკმაოდ ნათლად არის გადმოცემული. საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს შემდეგი: შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლის პლენუმის 1966 წ. 26 აგვისტოს დადგენილებისა („დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების თაობაზე სასამართლოების მუშაობის შესახებ“) დანა ამ შემთხვევაში ნიშნავს ყოველი სახის მჭრელ დანას (ჯიბის დანის ჩათვ-

ლით) და არა მხოლოდ ფინურ ან სხვა სპეციალური დანიშნულების დანას. სხეულის დასაზიანებლად სპეციალურად მომარჯვებულ სხვა საგანს მიეკუთვნება არა მარტო ისეთი საგანი, რომელიც სათანადოდ არის გადაკეთებული ან დამზადებული ადამიანის სხეულზე მისი ზემოქმედების გაძლიერების მიზნით, არამედ ისეთიც, რომელიც წინასწარ არ ყოფილა გადაკეთებული, მაგრამ დამნაშავე ადრევე მომარაგდა ამ საგნით და თან ჰქონდა იმ მიზნით, რომ გამოეყენებინა იგი ხულიგნური მოქმედების ჩადენისას (მაგალითად, ძალაყინი, უბრალო რკინის ნამსხვრევი, ჯოხი მაგარი ჯიშის ხისა და ა. შ.)

სასჯელი 228-ე მუხლით გათვალისწინებული ხულიგნობისათვის — თავისუფლების აღკვეთა სამიდან შვიდ წლამდე ვადით.

ბ. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება. პასუხისმგებლობა წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენისა ან გასაღებისათვის გათვალისწინებულია სს კოდექსის 229-ე მუხლში.

ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება ის არის, რომ იგი უადვილებს ბოროტმოქმედს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების გასაღებას, ეხმარება პარაზიტულ ელემენტებს საარსებო წყაროს მოპოვებაში და საბოლოო ჯამში ხელყოფს საბჭოთა საზოგადოებრივ წესრიგს.

ქონება, რაც მითითებულია აღნიშნულ მუხლში, მოპოვებული უნდა იყოს დანაშაულებრივი გზით. ამასთან არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა სახის დანაშაულის ჩადენით არის ქონება მოპოვებული (ქურდობით, გაძარცვით, ყაჩაღობით, თაღლითობით, ბანდიტური თავდასხმით თუ სხვა სახის დანაშაულებრივი მოქმედებით).

შეძენა ნიშნავს ქონების მიღებას სხვადასხვა გზითა და საშუალებით, სახელდობრ, შესყიდვით, ჩუქებით, სხვა ქონებაზე გადაცვლით, სესხის გადახდით და ა. შ., ხოლო გასაღება — ქონების გაყიდვას, სესხის დაფარვას, საკომისიო მაღაზიაში ჩაბარებას და სხვა მისთანა მოქმედებას.

დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა წინასწარ იყო შეპირებული თუ არა. მართალია, სს კოდექსის 229-ე მუხლში ნათქვამია საერთოდ ასეთი ქონების წინასწარი შეცნობით შეძენაზე იმისდა მიუხედავად, ეს ადრევე იყო შეპირებული თუ არა, მაგრამ განსახილველი დანაშაულის ნამდვილი არსის ძალით შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონს მხედველობაში აქვს სწორედ წინასწარ არ-

შეპირებული შეძენა[1]. უკეთუ აღნიშნული ქმედობა წინასწარ იყო შეპირებული და, მაშასადამე, მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირში იმყოფებოდა იმ დანაშაულთან, რომლითაც მოპოვებული ქონება იქნა შემდეგში შეძენილი, საქმე გვექნება ასეთ დანაშაულში თანამონაწილეობასთან და არა 229-ე მუხლში გათვალისწინებულ დამოუკიდებელ დანაშაულთან[2].

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 მარტის № 5 დადგენილებაში „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ" ნათქვამია, რომ „იმ შემთხვევაში, როდესაც წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა დაკავშირებული იყო გატაცების წაქეზებასთან, დამნაშავეთა მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც თანამონაწილეობა ამ დანაშაულში. ასევე, როგორც გატაცებაში თანამონაწილეობა უნდა დაკვალიფიცირდეს წინასწარ შეპირებული შეძენა წინასწარი შეცნობით გატაცებული ქონებისა და წინასწარ შეპირებული რეალიზაცია ასეთი ქონებისა"[3].

229-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შედგენილობა სუბიექტური მხრივ გულისხმობს პირდაპირ განზრახვას. დამნაშავისთვის ცნობილია, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული და სურს შეიძინოს ის. ის გარემოება, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, შეიძლება ცნობილი გახდეს შემძენისათვის თვით ამ ქონების გამსაღებლისაგან ან დადგენილი ქონების შეძენის სხვა პირობებით (მაგალითად, იმ ფაქტით, რომ ქონება შესყიდულ იქნა მის ნამდვილ ღირებულებაზე ზედმიწევნით დაბალ ფასში და ა. შ.). ამასთან არ არის საკალდებულო იმის ცოდნა, თუ სახელდობრ რა ხერხით, საშუალებით არის ქონება მოპოვებული (ქურდობის, ყაჩაღობის, გაძარცვის, თაღლითობის თუ სხვა მისთანა გზით), არამედ საკმარისია საერთოდ იმის ცოდნა, რომ ქონება დანაშაულებრივი, არამართლზომიერი გზითაა მოპოვებული.

---

[1] რსფსრ და მთელ რიგ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სს კოდექსებში, სრულიად მართებულად, ლაპარაკია სწორედ წინასწარ შეუპირებელ შეძენასა და გასაღებაზე (იხ. რსფსრ სს კოდექსის 208-ე მუხლი და სხვ. მოკავშირე რესპუბლიკების სს კოდექსების შესაბამისი მუხლები).

[2] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 მაისის № 11 დადგენილება „დანაშაულთა წინასწარ შეპირებული დაფარვის, გატაცებულად შეცნობილი ქონების შეძენისა და გასაღების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ" (ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1962, № 6, გვ. 81).

[3] იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1962, № 4, გვ. 64.

229-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია დანაშაულის მარტივი სახე, ხოლო მეორე ნაწილში — კვალიფიციური. დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია იგივე ქმედობის ჩადენა ბელობის სახით ან დიდი ოდენობით.

სასჯელი 229-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან ჯარიმა ას მანეთამდე, მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. ან გადასახლება ვადით ხუთ წლამდე.

გ. გარყვნილების ბუდის მოწყობა და მაჭანკლობა. სს კოდექსის 230-ე მუხლში გათვალისწინებულია გარყვნილების ბუდის მოწყობა, მაჭანკლობა ანგარების მიზნით, ქალების მიზიდვა გარყვნილებისათვის, აგრეთვე ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის მოწყობა.

ეს დანაშაული, ხელყოფს რა სოციალისტურ ზნეობას (ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის მოწყობა—ადამიანთა ჯანმრთელობასაც), არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, საფრთხეს ქმნის საზოგადოებრივი უშიშროებისათვის.

გარყვნილების ბუდის მოწყობა ნიშნავს დამნაშავის მიერ თავისი სადგომის სისტემატურად დათმობას სხვა პირებისათვის სქესობრივი კავშირის დასაჭერად ან სხვაგვარი გარყვნილების აქტის შესასრულებლად, აგრეთვე ასეთი ბუდის ორგანიზაცია-ხელმძღვანელობას, დაფინანსებას და სხვაგვარ ქმედობას, რაც უზრუნველყოფს ბუდის ფუნქციონირებას.

მაჭანკლობა ანგარების მიზნით არის დაინტერესებული პირებისათვის ხელის შეწყობა სქესობრივი აქტის დაჭერასა ან სხვა სახის გარყვნილი მოქმედების განხორციელებაში (ასეთი პირების ურთიერთდაკავშირება, შეხვედრის მოწყობა და ა. შ.), ან მათ წაქეზებაში ასეთი ქცევისადმი (ჩაგონება, დარწმუნება), ამისათვის სასყიდლის გადახდევინების მიზნით.

არასრულწლოვანთა დაყოლიება პროსტიტუციაზე დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 236-ე მუხლით.

ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის მოწყობა გამოიხატება დაინტერესებული პირებისათვის სისტემატურად, ხანგრძლივი დროის მანძილზე სადგომის (ოთახის თუ სხვა სახის შენობის) დათმობაში ნარკოტიკების (ოპიუმის, მორფიუმის, კოკაინის და სხვ.) მოხმარებისათვის.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ამასთან მაჭანკლობისათვის სავალდებულოა ანგარებითი მიზნის არსებობა (სასყიდლის ან სხვა სახის მატერიალური გა-

ვორჩენის მიღება). დანაშაულის _ ს უ ბ ი ე ქ ტ ი _ შეიძლება იყოს 16 წლის ასაკს მიღწეული ყოველი პირი.

სასჯელი 230-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე, გასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ, ან გადასახლება ვადით ხუთ წლამდე.

დ. ორცოლიანობა ან მრავალცოლიანობა. ორცოლიანობა ან მრავალცოლიანობა, ე. ი. ერთად ორ ან რამდენიმე ქალთან ცხოვრება საერთო მეურნეობის წარმოებით, გათვალისწინებულია სს კოდექსის 231-ე მუხლში.

ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ იგი, წარმოადგენს რა წარსულის გადმონაშთს, ხელყოფს სოციალისტურ საზოგადოებრივ წყობას საოჯახო ურთიერთობის დარგში, უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვების აღზრდაზე.

განსახილველი დანაშაულის შედგენილობისათვის სავალდებულოა ერთდროულად ორი პირობის არსებობა, სახელდობრ: ა). მამაკაცის ცხოვრება ერთად ორ ან რამდენიმე ქალთან, ამასთან არა აქვს მნიშვნელობა ქორწინება რეგისტრირებულია რომელიმე მათგანთან თუ არა[1]. უკეთუ ქორწინება ორ ან მეტ ქალთან რეგისტრაციაშია გატარებული და, მაშასადამე, ადგილი აქვს ქორწინების დამბრკოლებელ გარემოებათა დამალვით უკვე რეგისტრირებულის მეორეჯერ დაქორწინებას, ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით 231-ე და 223-ე მუხლებით;

ბ). მამაკაცის მიერ ქალებთან საერთო მეურნეობის წარმოება. ეს იმას ნიშნავს, რომ ორ ან რამდენიმე ცოლთან ცხოვრებისას მამაკაცი მათთან ერთად ეწევა საერთო მეურნეობას, ე. ი. ერთად შრომობენ და სარგებლობენ საერთო მეურნეობის შრომითი შემოსავლით, ან კიდევ მამაკაცი საერთო მეურნეობას ეწევა ცალ-ცალკე მცხოვრებ თითოეულ ქალთან.

დანაშაულის შედგენილობას არ შეიცავს ქორწინებაში მყოფი მამაკაცის სხვა ქალთან (ან ქალებთან) სქესობრივი კავშირი მისთვის მატერიალური დახმარების გაწევით, უკეთუ არა აქვს ადგილი საერთო მეურნეობის წარმოებას.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს მარტოოდენ მამაკაცი.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით.

---

[1] ეს გარემოება პირდაპირ არის აღნიშნული აზერბაიჯანის და სომხეთის სს კოდექსებში (იხ. შესაბამისად 130-ე და 123-ე მუხლები).

სასჯელი 231-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით.

ე. **პორნოგრაფიული საგნების დამზადება ან გახალება.** სს კოდექსის 232-ე მუხლში გათვალისწინებულია პორნოგრაფიული ნაწარმოებების, ნახატების, გამოცემების, გამოსახულებების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვაგვარი საგნების დამზადება ან გავრცელება, ან რეკლამირება, აგრეთვე ამით ვაჭრობა ან მათი შენახვა გაყიდვის ან გავრცელების მიზნით.

ეს დანაშაული ხელყოფს სოციალისტურ ზნეობას, საზოგადოებრივ წესრიგს და ძალზე უარყოფით, გამბრწყინელ ზეგავლენას ახდენს განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე.

ჟენევის 1923 წ. 12 ოქტომბრის კონვენციის (რომელსაც სსრ კავშირი 1935 წ. შეუერთდა) ძალით აიკრძალა პორნოგრაფიულ გამოცემათა დამზადება და ვაჭრობა.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება პორნოგრაფიული ნაწარმოებების (ნახატების, გამოცემების, გამოსახულებების) ან ასეთივე ხასიათის სხვაგვარი საგნების დამზადებასა, გავრცელებასა ან რეკლამირებაში, აგრეთვე ამით ვაჭრობასა ან მათ შენახვაში გაყიდვის ან გავრცელების მიზნით.

პორნოგრაფიულია ნაწარმოები, გამოსახულება თუ სხვა საგანი, რომელიც შეიცავს უხეში ნატურალისტური, უხამსი და ცინიკური სახით სქესობრივი ურთიერთობის აღწერას იმ მიზნით, რომ გამოიწვიოს არაჯანსაღი სქესობრივი ვნება (პორნოგრაფიულ ნაწარმოებს, კერძოდ, მიეკუთვნება ნახატები, გამოცემა, სურათი, გრავიურა, ფილმი და ა. შ.).

პორნოგრაფიული საგნების დამზადება ნიშნავს რაიმე თხზულების, ლექსის, ფოტოსურათების და სხვა მისთანა საგნების ყოველი სახით გამოცემას, დახეტდვას, ხოლო გავრცელება და რეკლამირება—მათ გადაცემას და გაცნობას სხვა პირებისათვის გაყიდვით, ჩუქებით, ჩვენებით და სხვა საშუალებით. დანაშაულს წარმოადგენს აგრეთვე პორნოგრაფიული გამოცემებისა და სხვაგვარი საგნების შენახვაც იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავის მიზანს შეადგენდა მათი შემდეგში გაყიდვა ან გავრცელება. ამ მიზნის გარეშე პორნოგრაფიული საგნების შენახვა თუმცა ამორალურია, მაგრამ დანაშაულს არ წარმოადგენს.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ამასთან მიზანს (ანგარებით არის ჩადენილი თუ სხვების „გასართობად" და ა. შ.) მნიშვნელობა არა აქვს;

მარტოოდენ აღწერილი საგნების შენახვისას საჭიროა დადგენილ იქნეს მათი გაყიდვის ან გავრცელების მიზანი[1].

სასჯელი 232-ე მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმა ას მანეთამდე პორნოგრაფიული საგნებისა და მის დამამზადებელ საშუალებათა კონფისკაციით.

3. მოქალაქეთა პიროვნებისა და უფლებების ხელყოფა რელიგიური წესების შესრულების სახით. სსრ კავშირის კონსტიტუციის 124-ე მუხლის ძალით რელიგიური კულტების შესრულების თავისუფლება და ანტირელიგიური პროპაგანდის თავისუფლება აღიარებულია ყველა მოქალაქისათვის. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკეული ანტისაზოგადოებრივი ელემენტები ქმნიან ან ხელმძღვანელობენ ჯგუფებს, რომელთა საქმიანობა წარიმართება რელიგიური სარწმუნოების ქადაგებისა და რელიგიური წესების შესრულების სახით და დაკავშირებულია მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასთან ან მოქალაქეთა პიროვნების ან უფლების სხვაგვარად ხელყოფასთან, აგრეთვე მოქალაქეთა წაქეზებასთან, რათა მათ უარი თქვან საზოგადოებრივ საქმიანობაზე ან მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაზე, ქმედობა განიხილება დანაშაულად და იგი გათვალისწინებულია სს კოდექსის 233-ე მუხლში.

აღწერილი ქმედობა საზოგადოებრივად საშიშია იმიტომ, რომ ხელყოფს მოქალაქეთა ჯანმრთელობას, სოციალისტურ ზნეობას და ერასრულწლოვანთა მართებულ აღზრდას, უხეშად არღვევს მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებებს, მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების წესს.

აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი სექტები რელიგიური სარწმუნოების ქადაგების ნიღბის ქვეშ ძალზე საშიშ იატაკქვეშა საქმიანობას ეწევიან, ფიზიკურ და ფსიქიკურ ძალადობას ახორციელებენ თავიანთი მსხვერპლის მიმართ, ზოგჯერ უმსგავს გარყვნილ ქცევასაც კი ნერგავენ მათ შორის. ასეთი სექტების ხელმძღვანელები, — მეტწილად წარსულში ბოროტი დამნაშავენი, — მორწმუნეთა ხარჯზე პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან.

233-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს მასში აღწერილი ჯგუფის ორგანიზაციას ან ხელმძღვანელობას. ორგანიზაცია შეიძლება გამოიხატოს ყოველი სახის ორგანიზაციულ საქმიანობაში ასე-

---

[1] აღსანიშნავია, რომ ლიტვის და ესტონეთის სს კოდექსების ძალით პორნოგრაფიული საგნების დამზადებაც კი მხოლოდ მაშინ არის დასჯადი სისხლის სამართლის წესით, თუ ჩადენილია მათი გავრცელების მიზნით (იხ. შესაბამისად 242-ე და მე-200 მუხლები).

თი ჯგუფის შესაქმნელად, სახელდობრ, შესაფერისი სადგომის დაძებნაში ან დათმობაში ჯგუფის წევრების კრების მოსაწყობად, წევრების მიზიდვაში, მათთვის შეტყობინებაში კრებაზე გამოცხადების შესახებ, ფულადი სახსრების შეგროვებაში ჯგუფის მიზნების მისაღწევად და ა. შ., ხოლო ხელმძღვანელობა — აქტიურ საქმიანობაში იმ პირებისა, რომლებიც მოექცნენ სათავეში ასეთ ჯგუფს, რაც გამოიხატება ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვაში, რელიგიური წესების შესრულებაში, რაც ზიანს აყენებს მოქალაქეთა ჯანმრთელობას, ლახავს მათ უფლებას და ა. შ., ჯგუფის საქმიანობის გეგმების შედგენაში და სხვ.

ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება შეიძლება გამოიხატოს ერთი ან რამდენიმე მოქალაქის როგორც ფიზიკური (გვემა, წამება, დასახიჩრება), ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის დაზიანებაში (ფსიქიკის ტრავმირება), ხოლო მოქალაქეთა პიროვნების სხვაგვარად ხელყოფა—თავისუფლების აღკვეთაში, გარყვნაში, სქესობრივი კავშირისათვის იძულებაში, ადამიანური ღირსების დამცირებაში, დახმარების გასაწევად ექიმისათვის მიმართვის ან სასწავლებელში შესვლის აკრძალვაში და ა. შ.

მოქალაქეთა წაქეზება, რათა მათ უარი თქვან საზოგადოებრივ საქმიანობაზე ან მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაზე, შეიძლება გამოიხატოს იმის იძულებაში, რომ მოქალაქეებმა უარი თქვან სკკპ, კომკავშირის რიგებში წევრად შესვლაზე, საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში სამსახურზე და ა. შ.

233-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პირველ ნაწილში აღნიშნული ჯგუფის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას, აგრეთვე სისტემატურ პროპაგანდას, მიმართულს ზემოაღწერილი მოქმედების ჩასადენად.

აქტიური მონაწილეობა ნიშნავს ჯგუფის რიგითი მონაწილის მიერ რელიგიური წესის შესასრულებლად თავისი ბინის დათმობას, ჯგუფის ორგანიზატორის ან ხელმძღვანელის ისეთ დავალებათა შესრულებას, რაც მიმართულია მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებისა, მათი დაშინებისა, ჯგუფში მიზიდვისაკენ დ ა. შ., ხოლო სისტემატური პროპაგანდა შეიძლება გამოიხატოს დარწმუნებით, დაშინებით და სხვ. მისთ. საშუალებით მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების, საზოგადოებრივ საქმიანობაზე უარის თქმის ან 233-ე მუხლში გათვალისწინებულ სხვა მოქმედებათა განხორციელების ქადაგებაში.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული მხოლოდ განზრახია
ს უ ბ ი ე ქ ტ ი 233-ე მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულისა შეიძლება იყოს ჯგუფის ორგანიზატორი ან ხელმძღვანელი, ხოლო მეორე ნაწილში გათვალისწინებულისა — ჯგუფის საქმიანობაში აქტიური მონაწილე ან სისტემატური პროპაგანდისტი 233-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული მოქმედების ჩასადენად. სასჯელი 233-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე ან გადასახლება იმავე ვადით ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ხოლო მეორე ნაწილით—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე ან გადასახლება იმავე ვადით ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე.

233-ე მუხლის მესამე ნაწილის ძალით, თუ იმ პირთა მოქმედება, რომლებიც მოხსენიებულია ამავე მუხლის მეორე ნაწილში, და თვით ამ დანაშაულის ჩამდენი პირები არ წარმოადგენენ დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, მათ მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი.

ზ. მაწანწალობა ან მათხოვრობა. პასუხისმგებლობა შრომისუნარიანი პირის მიერ ბოროტად თავის არიდების გამო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისაგან, რასაც თან ახლავს მაწანწალობა და მათხოვრობა, გათვალისწინებულია სს კოდექსის 234-ე მუხლში.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-12 მუხლის ძალით შრომა სსრ კავშირში არის შრომისუნარიანი თითოეული მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმე შემდეგი პრინციპის მიხედვით: „ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს“, ხოლო სკკპ პროგრამაში ხაზგასმულია, რომ „საზოგადოების საკეთილდღეოდ შრომა თითოეული ადამიანის წმინდა მოვალეობაა... ადამიანი, რომელიც საზოგადოებისაგან იღებს რაიმე სიკეთეს ისე, რომ შრომაში არ მონაწილეობს, მუქთახორაა და სხვის ხარჯზე ცხოვრობს“[2].

234-ე მუხლში აღწერილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება ის არის, რომ მისი ჩამდენი, გაურბის რა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ეწევა პარაზიტულ ცხოვრებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს სხვა სახის დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას.

---

[1] დამდგარი მძიმე შედეგის მიმართ ბრალი შეიძლება იყოს მხოლოდ გაუფრთხილებელი ან განზრახი არაპირდაპირი სახის. უკეთუ სუბიექტმა ასეთი შედეგის დადგომის მიზნით განზრახ გამოიყენა რელიგიური შესრულების დანაშაულებრივი წესი, მან პასუხი უნდა აგოს დანაშაულთა ერთობლიობით (233-ე მუხლით და შესაბამისი მუხლით პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის თავიდან).

[2] სკკპ პროგრამა, 1961, გვ. 131.

დანაშაულის შედგენილობისათვის საჭიროა, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისაგან თავის ამრიდებელი ეწეოდეს მაწანწალობასა და მათხოვრობას.

მაწანწალობა ნიშნავს შრომისუნარიანი პირის მიერ თავის არიდებას საზოგადოების საკეთილდღეო შრომისაგან და არაშრომითი შემოსავლით არსებობას (მაგ., მკითხაობით, პროსტიტუციით, აზარტული თამაშით და ა. შ.), ერთი საცხოვრებელი ადგილიდან მეორე ადგილზე გადანაცვლებას გარკვეული დროის განმავლობაში, ხოლო მათხოვრობა (რაც ხშირად მაწანწალობასთან არის დაკავშირებული) — შრომისუნარიანი პირის მიმართვას მოქალაქეებისა და დაწესებულება-ორგანიზაციებისადმი თხოვნით მისცენ მას ფული, ტანსაცმელი, პროდუქტები თუ სხვა საგნები; ამასთან არა აქვს მნიშვნელობა—მათხოვრობა დამნაშავისათვის წარმოადგენს არსებობის ერთადერთ თუ დამატებით წყაროს. პრაქტიკიდან ცნობილია, რომ პენსიონერი ან შვილების კმაყოფაზე მყოფი პირი ზოგჯერ მათხოვრობს ლოთობის ან სახსრების დაგროვების და სხვ. ამგვარი მიზნით.

234-ე მუხლით, პირის პასუხისგებაში მიცემა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისაგან თავის არიდებისათვის, რასაც თან ახლდა მაწანწალობა ან მათხოვრობა, დაიშვება მხოლოდ მას შემდეგ, თუ მას ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განმეორებითი გაფრთხილების შემდეგ, ე. ი. ბოროტული სახის ქმედობისათვის. მაწანწალობისა და მათხოვრობის სხვა შემთხვევები იდევნება ადმინისტრაციული წესით. საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წ. 14 ივნისის ბრძანებულების („იმ პირებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას") შესაბამისად.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს მხოლოდ 18 წლის ასაკს მიღწეული შრომისუნარიანი პირი.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული განზრახია.

სასჯელი 234-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გადასახლება ვადით ხუთ წლამდე.

თ. აზარტული თამაში. პასუხისმგებლობა აზარტული თამაშისათვის გათვალისწინებულია სს კოდექსის 235-ე მუხლში.

ამ დანაშაულის საშიშროება ის არის, რომ იგი უქმნის ხელსაყრელ ნიადაგს ანტისაზოგადოებრივ ელემენტებს საერთოდ დანაშაულებრივი საქმიანობის წარმოებისათვის, მუქთახორული ცხოვრებისათვის.

235-ე მუხლის პირველი ნაწილი აწესებს აზარტული თამაშისათვის (ბანქოს, ზარისა და სხვა ამგვარის) ბუნაგის მოწყობის დასჯადობას.

აზარტული თამაშის ბუნაგის მოწყობა ნიშნავს სადგომის (ბინის და სხვ.) სისტემატურად სასყიდლის გადახდევინებით (თუ უსასყიდლოდ) დათმობას დაინტერესებულ პირთათვის აზარტული თამაშის საწარმოებლად. აზარტულ თამაშად ჩაითვლება ფულზე თუ სხვა სახის მატერიალურ ფასეულობაზე ბანქოს, ზარის, „რულეტკის" და სხვ. თამაში.

235-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას აზარტულ თამაშში მონაწილეობისათვის, რომელიც ეწყობა ბუნაგში, სარდაფში, სადარბაზო შესასვლელში, ქუჩაში და სხვ. მისთ. თუ მას ადგილი ჰქონდა ერთი წლის განმავლობაში ასეთივე ქმედობისათვის საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების დღიდან. ამრიგად, 235-ე მუხლის მეორე ნაწილში აღწერილი ქმედობა, ჩადენილი პირველად, ყოველთვის გამოიწვევს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შეფარდებას და მხოლოდ მისი განმეორებისას ერთი წლის განმავლობაში მიეცემა დამნაშავე პასუხისგებაში აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილით.

სასჯელი 235-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან გადასახლება ვადით ხუთ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან ჯარიმა სამას მანეთამდე, ხოლო მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვს თვემდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე.

ი. არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში. სს კოდექსის 236-ე მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვანის წაქეზებას რაიმე დანაშაულის ჩასადენად ან მის ჩაბმას დანაშაულის ჩადენაში, თუ ამ მოქმედებისათვის კანონი უფრო მძიმე სასჯელს არ ითვალისწინებს, აგრეთვე არასრულწლოვანის დაყოლიებას პროსტიტუციაზე, მათხოვრობაზე, ლოთობაზე, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ჩადენაზე[1].

ეს დანაშაული, ხელყოფს რა საზოგადოებრივ უშიშროებას, დიდ ზიანს აყენებს არასრულწლოვანთა ნორმალურ განვითარებასა და აღზრდას.

---

[1] 236-ე მუხლის შინაარსი გადმოცემულია საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 18 თებერვლის ბრძანებულების შესაბამისად (იხ. „საბ. კომუნისტი", 1966 წ., 25/II).

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული შეიძლება გამოიხატოს ერთ-ერთი შემდეგი მოქმედების ჩადენაში: 1. არასრულწლოვანის, ე. ი. 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირის წაქეზებაში ან მის ჩაბმაში დანაშაულის ჩასადენად; 2. არასრულწლოვანის დაყოლიებაში პროსტიტუციაზე, მათხოვრობაზე, ლოთობაზე, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ჩადენაზე. წაქეზება დანაშაულის ჩასადენად ნიშნავს ყოველი სახის მოქმედებას, მიმართულს იქით, რომ არასრულწლოვანი დაადგეს დანაშაულებრივ გზას, ჩაიდინოს მან სს კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე სახის საზოგადოებრივად საშიში ქმედება. ამ მიზნის მისაღწევად დამნაშავემ შეიძლება გამოიყენოს ისეთი საშუალებანი, როგორიცაა მუქარა, დაშინება, მოსყიდვა, იძულება (ფიზიკური ან ფსიქიკური), შურისძიების გრძნობის გაღვივება და ა. შ. წაქეზება დანაშაულის ჩასადენად დამთავრებულად ითვლება იმისდა მიუხედავად, არასრულწლოვანმა ფაქტიურად ჩაიდინა ის დანაშაული, რომლისთვისაც აქეზებდნენ მას თუ — არა.

დანაშაულის ჩადენაში ჩაბმა უნდა გავიგოთ როგორც არასრულწლოვანის მონაწილეობა იმ დანაშაულში, რომელიც განხორციელდა თვით სრულწლოვანის მიერ, ე. ი. როგორც დანაშაულის ჩადენა ამ უკანასკნელთან ერთად. ასეთ შემთხვევაში სრულწლოვანი პირი პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობით, სახელდობრ, 236-ე მუხლით და იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვანის მონაწილეობით ჩადენილ დანაშაულს.

უკეთუ არასრულწლოვანის წაქეზებას ადგილი ჰქონდა ისეთი დანაშაულის ჩასადენად, რომლისთვისაც კანონი უფრო მძიმე სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე ეს დადგენილია 236-ე მუხლში (ე. ი. თავისუფლების აღკვეთას ხუთ წელზე მეტი ვადით), დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს არა მხოლოდ 236-ე მუხლით, არამედ აგრეთვე კოდექსის სხვა შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის წაქეზებისთვისაც (მაგალითად, უკეთუ არასრულწლოვანი წააქეზეს დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის, დამნაშავე პასუხს აგებს როგორც 236-ე მუხლით, ასევე 104-ე მუხლის საფუძველზე).

არასრულწლოვანის დაყოლიება პროსტიტუციაზე, მათხოვრობაზე, ლოთობაზე, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ჩადენაზე უნდა გავიგოთ არასრულწლოვანის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებად, როდესაც იგი იძულებულია დაიწყოს (უშუალოდ ან დამყოლიებელთან ერთად) პროსტიტუცია, მათხოვრობა, ლოთობა, აზარტული თამაში და სხვ. მისთ.

ანტისაზოგადოებრივი მოქმედება (მაგალითად, პარაზიტული ცხოვრება)[1].

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ სრულწლოვანი, ე. ი. პირი 18 წლის ასაკს მიღწეული და ზევით.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. სასჯელი 236-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე ან გადასახლება იმავე ვადით.

კ. ხაფლავის შებილწვა. საფლავის შებილწვა, გათვალისწინებული სს კოდექსის 237-ე მუხლში, წარმოადგენს გარდაცვლილის ხსოვნის და მისი ნათესავებისა და მეგობრების გრძნობის უხეშ შეურაცხყოფას.

237-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია საფლავის ძეგლის ან მისი სხვაგვარი მიწისზედა მორთულობის დანგრევა, აგრეთვე საფლავის წამბილწავი მოქმედების ჩადენა. ეს ნიშნავს საფლავზე არსებული ძეგლის ან დაფის დანგრევას, დაზიანებას, შეურაცხმყოფი წარწერის გაკეთებას, საფლავიდან მიცვალებულის ნეშტის ამოგდებას და სხვა ისეთ მოქმედებას, რაც ამძღავნებს დამნაშავის თავხედურ დამოკიდებულებას გარდაცვლილის ხსოვნისა და მის ახლობელთა გრძნობისადმი.

იმავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს განსახილველი დანაშაულის უფრო დამამძიმებელ სახეს, სახელდობრ, საფლავში ჩატანებული ან საფლავზე არსებული საგნების გატაცებას. დანაშაული შეიძლება გამოიხატოს ძეგლის, დაფის, ფალავნის და საფლავზე არსებული სხვა საგნების გატაცებაში, ასევე ტანსაცმლისა და საფლავში ჩატანებული სხვა ფასეულობის (საათი, ბეჭედი, ოქროს კბილები და ა. შ.) გატაცებაში, იქნება ეს განხორციელებული ფარულად თუ საჯაროდ. უკეთუ გატაცებისას გამოყენებულია ძალადობა საფლავზე მყოფ ან საფლავის მცველ პირთა. მიმართ, ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით (როგორც 237-ე მუხლით, ასევე შესაბამისი მუხლით პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულთა თავიდან).

საფლავის შებილწვის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს 16 წ. ასაკს მიღწეული პირი.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული განზრახია. მამოძრა-

---

[1] რსფსრ (და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის) სს კოდექსში პირდაპირ არის დასახელებული აზარტული თამაში და არასრულწლოვანის გამოყენება პარაზიტული ცხოვრების მიზნებისათვის (იხ. რსფსრ სს კოდექსის 210-ე მუხლი).

ვებელი მოტივი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს (შურისძიება, ხულიგნობა, ანგარება და ა. შ.).

უკეთუ ქმედობა (საფლავის შებილწვა) ჩადენილია ხულიგნური ქვენა გრძნობით, და ერთდროულად გამოხატავს საზოგადოების მიმართ აშკარა უპატივცემულობას (მაგალითად, განხორციელებულია საჯაროდ), დამნაშავე პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობით, 237-ე და 228-ე მუხლებით.

სასჯელი 237-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე, ხოლო მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე.

ლ. კულტურის ძეგლების ან დაცული ბუნების ობიექტების განადგურება, დანგრევა ან დაზიანება. სს კოდექსის 254-ე მუხლი ითვალისწინებს კულტურის ძეგლების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განზრახ განადგურებას, დანგრევას ან დაზიანებას.

ასეთი შინაარსის მუხლის შეტანა სს კოდექსში იმის მაჩვენებელია, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მასში აღნიშნული ობიექტების, ხალხის სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მეტად მნიშვნელოვანი ობიექტების საიმედოდ დაცვას.

კულტურის ძეგლებად ჩაითვლება არქიტექტურული და ხელოვნების სხვა სახის ნაწარმოებები, არქეოლოგიური, ისტორიული ძეგლები, რომელთაც საერთო-სახალხო მნიშვნელობა აქვთ[1], ხოლო სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტებად — სპეციალურ სახელმწიფო ორგანოების ზრუნვა-დაცვის ქვეშ მყოფი ბუნების ისეთი ობიექტები, როგორიცაა ბუნებრივი გამოქვაბულები, წყალვარდნილები, მინერალური წყაროები, იშვიათი მწვანე ნარგავები, მცენარეთა, ცხოველთა სამყაროს ნაკრძალები და ბუნების სხვა ღირსშესანიშნავი ობიექტები.

აღნიშნული ძეგლებისა და ობიექტების განადგურება ნიშნავს მათ მთლიან და საბოლოო მოსპობას, დანგრევა — მნიშვნელოვნად გაფუჭებას (როდესაც მისი აღდგენა დიდ სირთულეს წარმოადგენს), ხოლო დაზიანება — ნაწილობრივი ზიანის მიყენებას. როგორც განადგურება, ასევე დანგრევა და დაზიანება შეიძლება განხორციელდეს მრავალგვარი საშუალებით (დაწვით, დანგრევით, წყლის მოშვებით და ა. შ.).

---

[1] ლატვიის სს კოდექსში (206-ე მუხლი) განმარტებულია კულტურის ძეგლის ცნება, სახელდობრ: ისტორიული, არქეოლოგიური, მხატვრული, არქიტექტურული ძეგლები.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი განსახილველი დანაშაულისა შეიძლება იყოს 16 წ. ასაკს მიღწეული ყოველ კერძო პირი. უკეთუ მას თანამდებობის პირი ჩაიდენს თავის სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, იგი პასუხს აგებს შესაბამისი მუხლით თანამდებობრივი დანაშაულის თავიდან.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, მოტივს დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს (ასეთს შეიძლება წარმოადგენდეს შურისძიება, ანგარება და სხვა პირადი ხასიათის მოსაზრებანი)[1]. უკეთუ ქმედობა ხულიგნური ქვენა გრძნობით არის ჩადენილი, დამნაშავე პასუხს აგებს 228-ე მუხლით (ბოროტი ხულიგნობა).

სასჯელი 254-ე მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმა ორას მანეთამდე.

§ 3. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ

ა. იარაღის ან ფეთქებად ნივთიერებათა უკანონო ტარება, შენახვა, დამზადება ან გასაღება. განსახილველი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება ის არის, რომ უადვილებს ცალკეულ პირებს იარაღის ან ფეთქებად ნივთიერებათა შეძენას და დანაშაულებრივი მიზნებისათვის მათ გამოყენებას.

სს კოდექსის 238-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანისა), საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა უკანონო ტარებისა, შენახვისა, დამზადებისა ან გასაღებისათვის, ხოლო მეორე ნაწილი — ხანჯლის, ფინური დანის ან სხვაგვარი ცივი იარაღის უკანონო ტარებისა, დამზადებისა ან გასაღებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მოქმედება დაკავშირებულია ხელობასთან, სამსახურის ან ყოფაცხოვრების პირობებთან, აგრეთვე—როდესაც ეს იარაღი ეროვნული ტანსაცმლის სამკაულს წარმოადგენს.

ცეცხლსასროლ იარაღს წარმოადგენს ყოველი სახის (ქარხანაში დამზადებული თუ თვითნაკეთი) საბრძოლო იარაღი, სახელდობრ: შაშხანა, რევოლვერი, პისტოლეტი, წვრილყალიბიანი შაშხანა, რომელთა შეძენისა და შენახვისათვის საჭიროა სათანადო ორგანოსაგან ნებართვის აღება. გლუვლულიანი სანადირო თოფის შენახვისათვის ასეთი ნებართვის მიღება საჭირო არ არის და ამიტომ

[1] ესტონეთის სს კოდექსის ძალით ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით (იხ. 198-ე მუხლი).

იგი ვერ იქნება განხილული 238-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგნად.

საბრძოლო მასალა ნიშნავს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლისათვის, აგრეთვე ნაგებობათა დანგრევისათვის გამიზნულ საგნებს (ვაზნას, ყუმბარას, ხელყუმბარას და ა. შ.), ხოლო ფეთქებადი ნივთიერება — ისეთ შენაერთს, ნარევს, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს აფეთქება (თოფის წამალი, ამონიტი, პიროქსილინი, ნიტროგლიცერინი და სხვ.).

ცივი იარაღი ნიშნავს საგნებს, რომელთა ერთადერთი დანიშნულებაა ცოცხალი მიზნის განგმირვა, დაძლევა მასზე უშუალო ზეგავლენის მოხდენით ფიზიკური ძალის გამოყენების შედეგად (ხანჯალი, ხმალი, ხიშტი, ფინური დანა, ტყვიის ხელთათმანი, კასტეტი და ა. შ.).

ყველა ჩამოთვლილი საგანი გამოსაყენებლად ვარგისი უნდა იყოს (ან შეიძლებოდეს მათი ვარგის მდგომარეობაში მოყვანა). წინააღმდეგ შემთხვევაში დანაშაულის შედგენილობა გამორიცხულია.

ფარიკაობისათვის დანიშნული ისეთი სპორტული იარაღი, როგორიც არის ესპადრონი (დაშნა), რაპირა 238-ე მუხლით გათვალისწინებულ ცივ იარაღად არ ჩაითვლება.

უკეთუ ცივი იარაღი დაკავშირებულია ხელობასთან, სამსახურის (მაგალითად მეტყევის) ან ყოფაცხოვრების (მაგ., მეცხვარეობის, ნადირობის) პირობებთან, აგრეთვე — როდესაც იარაღი ეროვნული ტანსაცმლის (მაგ., ჩოხის) სამკაულს წარმოადგენს, პირი პასუხისგებაში 238-ე მუხლის საფუძველზე ვერ მიეცემა.

აღნიშნულ მუხლში გათვალისწინებული იარაღისა და სხვა საგნების უკანონო ტარება ნიშნავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოების ნებართვის გარეშე მათ როგორც თან ტარებას (მაგალითად, იარაღისა ჯიბეში, ბუდით ქამარზე), ასევე სახლში ქონებას, ხოლო შენახვა — იარაღისა და სხვა საგნების ფაქტიურ მფლობელობას მისი ადგილსამყოფელის დამოუკიდებლად. დამზადება ნიშნავს როგორც მათ მთლიანად ახლად გაკეთებას, ასევე შეკეთებას, გადაკეთებას ცოცხალი მიზნის განგმირვისათვის გამოსაყენებლად. გასალება კი ნიშნავს გაყიდვას და სხვა სახით გასხვისებას სათანადო ნებართვის გარეშე[1]. ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს 16 წლის ასაკს მიღწეული პირი.

---

[1] სს კოდექსის 238-ე მუხლის გამოყენებისას საჭიროა გათვალისწინება საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წ. 17 დეკემბრის ბრძანებულებისა «ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევის წინა-

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ განსახილველი დანაშაული განზრახია, ამასთან არ არის სავალდებულო რაიმე სხვა სპეციალური მიზნის არსებობა. იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ატარებს ან ამზადებს იარაღს სხვა დანაშაულის, მაგალითად, მკვლელობის ჩადენის მიზნით, იგი პასუხისგებაში მიეცემა დანაშაულთა ერთობლიობის წესით, როგორც იარაღის უკანონო ტარებისა თუ დამზადებისათვის, ასევე მკვლელობის მომზადებისათვის.

სასჯელი 238-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმა ას მანეთამდე, ხოლო მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე.

ბ. ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა. სს კოდექსის 239-ე მუხლში გათვალისწინებულია ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა, რითაც შექმნილი იყო პირობა ამ იარაღის სხვა პირის მიერ გამოყენებისათვის, თუ ამას მძიმე შედეგი მოჰყვა.

ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იმაშია, რომ მან შეიძლება გამოიწვიოს იარაღის ისეთი პირების ხელთ მოხვედრა, რომელთაც არ შეუძლიათ დაიცვან მისი გამოყენების წესი (ბავშვები და სხვ.) ან დამნაშავე ელემენტებს წარმოადგენენ.

ცეცხლსასროლი იარაღი ამ შემთხვევაში ნიშნავს არა მარტო ისეთ იარაღს, რომლის შენახვაზეც სავალდებულოა ნებართვის მიღება, არამედ საერთოდ ყოველი სახის ცეცხლსასროლ იარაღს, მათ შორის გლუვლულიან სანადირო თოფსაც. რადგან ამ უკანასკნელის დაუდევრად შენახვასაც შეუძლია მძიმე შედეგის გამოწვევა.

იარაღის დაუდევრად შენახვა შეიძლება გამოიხატოს დადგენილი წესის თუ საყოფაცხოვრებო წინდახედულობის საწინააღმდეგოდ მასთან მოპყრობა-შენახვაში (მაგალითად, იარაღის შენახვაში მაგიდის ღია უჯრაში ან სხვა ისეთ ადგილებში, სადაც ყველას შეეძლო ადვილად მიეღწია, დამუხტული იარაღის ბავშვებისათვის გადაცემაში, ბანაობის დროს იარაღის (ტანსაცმელთან ერთად წყლის ნაპირზე დატოვებაში და ა. შ.).

239-ე მუხლით დასჯადია ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა არა ყველა შემთხვევაში, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა. მძიმე შედეგად ჩაითვლება იარაღის გამომყე-

---

ღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ", რომლითაც დადგენილია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ამ დარგში ჩადენილი ზოგიერთი ქმედობისათვის (იხ. გაზ. „კომუნისტი", 1965 წ., 18/XII).

-ნებელი პირის მიერ თავისთვის ან სხვა პირებისათვის სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენება, თვითმკვლელობა ან სხვა პირის სიკვდილი, იარაღის ბოროტ დამნაშავეთა ხელთ ჩავარდნა და ა. შ.

ასეთი შედეგის გარეშე იარაღის დაუდევრად შენახვამ შეიძლება გამოიწვიოს ადმინისტრაციული ხასიათის ღონისძიების შეფარდება[1]:

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს მარტოოდენ ის პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება ცეცხლსასროლი იარაღის ტარებისა და შენახვის. აღწერილი ქმედობის ჩადენისას იმ პირის მიერ, რომელიც იარაღს უკანონოდ ფლობდა, გამოყენებული უნდა იქნეს სს კოდექსის 238-ე მუხლიც.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული, როგორც იარაღის დაუდევრად შენახვის ფაქტის, ასევე დამდგარი მძიმე შედეგის მიმართ, ხასიათდება გაუფრთხილებელი ბრალით (დაუდევრობით ან თვითიმედოვნებით).

სასჯელი 239-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით.

გ. იარაღის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცება. სს კოდექსი თავში „დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ" სპეციალურად გამოყოფს ისეთი სახის დანაშაულს, როგორიც არის ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანისა), სასროლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებას, თუ იგი კანონით უფრო მძიმე სასჯელს არ ითვალისწინებს. ეს დანაშაული გათვალისწინებულია 240-ე მუხლში[2].

იარაღის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცება 240-ე მუხლით დაკვალიფიცირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არის იგი ჩადენილი ისეთ დამამძიმებელ გარემოებათა არსებობისას, რისთვისაც სს კოდექსის შესაბამისი მუხლი აწესებს სასჯელის უფრო მკაცრ ზომას, ვიდრე 240-ე მუხლი.

განსახილველი დანაშაულის შედგენილობის ელემენტები მთლი-

---

[1] შესაბამისად საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წ. 17 დეკემბრის ბრძანებულებისა „ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ".

[2] აღსანიშნავია, რომ ამ სახის დანაშაულს ცალკე გამოყოფს აგრეთვე უკრაინის, უზბეკეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის სს კოდექსები (იხ. შესაბამისად 223-ე, 203-ე, 219-ე, 230-ე, 233-ე, 250-ე მუხლები). დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვით ამ სახის დანაშაული განიხილება საერთო სახის გატაცებად და დაკვალიფიცირდება ქონების გატაცების შესახებ შესაბამისი მუხლით.

ანად ემთხვევა ქონების გატაცების შედგენილობის ელემენტებს იმ განსხვავებით, რომ მისი ხელყოფის საგანს შეადგენს მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღი (გარდა გლუვლულიანისა, ე. ი. სანადირო თოფისა), სასროლი მასალა ან ფეთქებადი ნივთიერება.

სასჯელი 240-ე მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე.

დ. ელექტროტრანსპორტისა და ავტო-მოტოტრანსპორტის მოძრაობის უშიშროებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევა. ჩვენს ქვეყანაში ყოველი სახის ტრანსპორტის დიდი ტემპით გაზრდა, ავტო-მოტოტრანსპორტით მგზავრებისა და ტვირთის გადაზიდვის დღითი-დღე აღმავლობა დაბეჯითებით მოითხოვს ელექტროტრანსპორტისა და ავტო-მოტოტრანსპორტის ზუსტ, უსაფრთხო ექსპლოატაციას, ამ სახის ტრანსპორტზე მოძრაობის უშიშროების უზრუნველყოფას.

ამ ამოცანის მართებულად გადაწყვეტის საქმეში გარკვეულ დამხმარე როლს ასრულებს სისხლის სამართლის კანონმდებლობა. სს კოდექსის 241-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას ელექტროტრანსპორტისა და ავტო-მოტოტრანსპორტის მოძრაობის უშიშროებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის.

ელექტროტრანსპორტს წარმოადგენს ტრამვაი, მეტრო და ტროლეიბუსი.

ავტო-მოტოტრანსპორტი ნიშნავს მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის ყოველი სახის მექანიკურ საშუალებას. ასეთია: ავტობუსი, სატვირთო და სამგზავრო მსუბუქი ავტომანქანები, მოტოციკლი, მოტოროლერი, ტრაქტორი, ხიზარი, სამშენებლო და სხვა თვითმსვლელი მანქანები არ ითვლება სატრანსპორტო საშუალებად და ამიტომ მათი ექსპლოატაციის დროს დაშვებული დარღვევა, თუ შან გამოიწვია მავნე შედეგი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, უნდა დაკვალიფიცირდეს სს კოდექსის მესამე თავის შესაბამისი მუხლით.

ავტო-მოტოტრანსპორტად ვერ ჩაითვლება აგრეთვე ველოსიპედი, თვითმოძრავი ოთხთვალა, გამიზნული რომელიმე საწარმოს ტერიტორიაზე მასალისა და საქონლის გადასაზიდად[1].

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება ელექტროტრანსპორტისა და ავტო-მოტოტრანსპორტის მოძ-

---

[1] ასეთ საშუალებათა მართვის დროს გამოწვეული მძიმე შედეგისათვის (სიკვდილი, სხეულის დაზიანება და ა. შ.) დამნაშავე პირი პასუხს აგებს შესაბამისი მუხლით პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავიდან.

რაობის უშიშროებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევაში. ამ წესებს პირველ რიგში მიეკუთვნება საბჭოთა კავშირისათვის ერთიანი (საქ. სსრ ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღებული 1965 წ. 1 იანვრიდან საქ. სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის 1964 წლის № 405 ბრძანებით) წესები სსრ კავშირის ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის შესახებ, რომელთა დანიშნულებაა ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის უზრუნველყოფა; შემდეგ, წესები ტექნიკური ექსპლოატაციისა, უსაფრთხოების ტექნიკისა, საავტომობილო გზებისა და საგზაო ნაგებობათა დაცვისა, ტრანსპორტის ტექნიკურ მდგომარეობაში მზადყოფნისა და ა. შ. წესებს ქალაქის ელექტრო-ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის შესახებ გამოსცემენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები.

დარღვევა შეიძლება გამოიხატოს მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადამეტებაში, მგზავრების გადაყვანაში საამისოდ მოუწყობელი სატვირთო ავტომანქანით, გამაფრთხილებელი ნიშნების დაუცველობაში, ტექნიკურად მოუწესრიგებელი (უვარგისი მუხრუჭის ან სხვა მნიშვნელოვანი დეფექტების მქონე) მანქანის გამოყვანაში რეისზე და ა. შ.[1].

პასუხისმგებლობა 241-ე მუხლის საფუძველზე უნდა დადგეს იმისდა მიუხედავად, თუ სად ჰქონდა ადგილი შემთხვევას, სახელდობრ: გზაზე, სახლის ეზოში, მინდორში, საწარმოოს ტერიტორიაზე და ა. შ., მაგრამ იმ პირობით, რომ აღნიშნულ მუხლში გათვალისწინებული წესების დარღვევა დაკავშირებული იყოს ავტოტრანსპორტის მართვასთან ან ექსპლოატაციასთან.

241-ე მუხლის პირველი ნაწილის შედგენილობისათვის არ არის საკალდებულო ზემოაღნიშნული დარღვევის—გამო მძიმე შედეგის

---

[1] ავტო-მოტოტრანსპორტისა და ქალაქის ელექტროტრანსპორტის მძღოლს ნასვამ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა რაოდენობით მიიღო მან ალკოჰოლი, შეეფარდება ადმინისტრაციული სასჯელი. შესაბამისად საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულებისა „ნასვამ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისათვის და მოძრაობის უსაშიშროების და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების სხვა დარღვევისათვის ავტო-მოტოტრანსპორტის და ქალაქის ელექტროტრანსპორტის მძღოლთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1964 წ., 2/XII).

ამ საკითხის თაობაზე იხ. აგრეთვე საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წ. 29 სექტემბრის დადგენილება № 7 (ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1965, № 6, გვ. 55—56).

დადგომა, საკმარისია, თუ ეს დარღვევა დამნაშავისათვის წინასწარ შეცნობით ქმნიდა ადამიანთა უბედური შემთხვევის სერიოზულ საფრთხეს და თუ ეს ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც დამნაშავეს ასეთივე ქმედობისათვის ადმინისტრაციული სასჯელი დაედო. ამრიგად, ასეთი ქმედობა, ჩადენილი პირველად, გამოიწვევს მხოლოდ ადმინისტრაციული-სასჯელის შეფარდებას, ხოლო მისი განმეორება ერთი წლის განმავლობაში ასეთი სასჯელის დადების დღიდან — სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას 241-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე[1].

241-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს იგივე ქმედობას, რომელსაც მოჰყვა სხეულის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, ან მნიშვნელოვანი ქონებრივი ზარალი, დაბოლოს, მესამე ნაწილი — იგივე ქმედობას, რასაც სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება მოჰყვა.

დარღვევის ყველა შემთხვევაში სავალდებულოა იმის დადგენა, თუ, სახელდობრ, რა წესებია დარღვეული დამნაშავის მიერ და რა ხასიათის შედეგი მოჰყვა მას. ბუნებრივია, დამდგარი მძიმე შედეგი მიზეზობრივ კავშირში უნდა იმყოფებოდეს დამნაშავის მოქმედებასთან ან უმოქმედობასთან.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს როგორც ქალაქის ელექტროტრანსპორტის ან ავტო-მოტოტრანსპორტის მუშაკი, ასევე პირი, რომელიც არ არის აღნიშნული ტრანსპორტის მუშაკი (მაგ., სპორტსმენი, ავტომანქანის მფლობელი, ავტომოყვარული და სხვა)[2]. დანაშაულის შედგენილობისათვის არა აქვს მნიშვნელობა მოძრაობის უშიშროებისა და ექსპლოატაციის წესების დამრღვევს გააჩნდა მანქანის სათანადო ნებართვა თუ — არა.

ასევე აგებს პასუხს მძღოლი, რომელიც ტრანსპორტის მართვას მიანდობს საამისოდ ნებართვის არმქონე (ან არაფხიზელ მდგომარეო-

---

[1] ასეევა უკრაინის, უზბეკეთის, ლიტვის სს კოდექსებშიც (იხ. შესაბამისად 215-ე, 203-ე, 246-ე მუხლები). სხვა დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების სს კოდექსების მიხედვით ანალოგიური დანაშაულის შედგენილობისათვის საჭიროა რაიმე მძიმე შედეგის დადგომა და ამრიგად, ამ რესპუბლიკების კოდექსების ძალით, საქ. სსრ სს კოდექსის 241-ე მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული დანაშაული ყოველთვის იწვევს პასუხისმგებლობას მხოლოდ ადმინისტრაციული წესით ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შეფარდებას.

[2] ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის (ლიტვის, ყაზახეთის, მოლდავეთის, ლატვიის და ესტონეთის სსრ გამოკლებით) სს კოდექსები ცალ-ცალკე მუხლებში ითვალისწინებენ ამ დანაშაულს იმისდა მიხედვით, ჩადენილია იგი ტრანსპორტის მომუშავის თუ სხვა პირის მიერ.

შაში მყოფ) პირს უკანასკნელის მიერ კანონში გათვალისწინებული წესის დარღვევისას.

პასუხისმგებლობა არ ეხსნება მძღოლს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ზემდგომი თანამდებობის პირის წინადადებით გადასცემს მას მანქანის მართვას, მაგრამ ეს გარემოება მიიღება მხედველობაში იმ საკითხის გადაწყვეტისას, აუცილებელია თუ არა მძღოლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და დადებით შემთხვევაში მისთვის სასჯელის ზომის შეფარდებისას[1].

სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობა საბრძოლო, სპეციალური ან სატრანსპორტო მანქანის ტარების ან ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის, რასაც მოჰყვა უბედური შემთხვევა ადამიანების მიმართ, ან სხვა მძიმე შედეგი, განისაზღვრება სს კოდექსის 270-ე მუხლით.

Სუბიექტური მხრივ დამნაშავის ბრალი შეიძლება იყოს როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი. ამასთან მხედველობაშია მისაღები, რომ თუ თვით მოქმედება (წესების დარღვევა) შეიძლება ჩადენილ იქნეს ბრალის ორივე ფორმით (განზრახ ან გაუფრთხილებლობით), ამ მოქმედების მძიმე შედეგის მიმართ დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება გამოიხატება მხოლოდ გაუფრთხილებლობაში.

უკეთუ სუბიექტს განზრახვა ჰქონდა დაზარალებულის სიკვდილის ან მისთვის სხეულის დაზიანების მიყენებისა და ამისათვის ტრანსპორტი გამოიყენა საშუალებად, მან პასუხი უნდა აგოს შესაბამისი მუხლით პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის თავიდან (ასეთ შემთხვევაში დამატებით 241-ე მუხლის გამოყენება საჭირო არ არის).

სასჯელი 241-ე მუხლის პირველი ნაწილით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმა ეს მანეთამდე, ან ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევა ვადით ორ წლამდე; მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე, ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ, ხოლო

---

[1] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წლის 9 აპრილის № 2 დადგენილება „სასამართლო პრაქტიკის შესახებ საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებულია ავტო-მოტოტრანსპორტის ან საქალაქო ელექტროტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევასთან" («Бюллетень Верховного Суда СССР», 1965, № 3, გვ. 10—12), აგრეთვე საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წ. 29 სექტემბრის დადგენილება (ტ. „საბჭ. სამართალი", 1965, № 6, გვ. 58—59).

სასჯელი მესამე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან ათ წლამდე ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე.

10. ტრანსპორტზე მოქმედი წესების დარღვევა. სს კოდექსის 242-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას წესრიგის დაცვისა და მოძრაობის უშიშროების ტრანსპორტზე მოქმედი წესების დარღვევისათვის, რასაც ადამიანთა უბედური შემთხვევა ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა.

ყოველი სახის ტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სათანადო კომპეტენტური ორგანოების მიერ გამოცემულია სპეციალური წესები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა ყველასთვის (და არა მხოლოდ ტრანსპორტის მომუშავეებისათვის).

ამ წესების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, რკინიგზის ლიანდაგის შეუსაბამო ადგილზე გადაკვეთაში, რკინიგზის გასხვისებულ ზოლში საქონლის მიშვებაში, გემზე, მატარებელში, თვითმფრინავზე ცეცხლთან გაუფრთხილებელ მოპყრობაში (მაგ., თამბაქოს მოწევაში თვითმფრინავის აფრენის ან დაშვების დროს), თამაშისა და სხვა გართობის მოწყობაში ქუჩის სამგზავრო ნაწილზე, ქუჩაზე ფეხით (ან ველოსიპედით) მოსიარულის მიერ მოძრაობის უშიშროების წესების უხეშ, ბოროტ დარღვევაში და ა. შ.

იმისათვის, რომ აღნიშნული წესების დამრღვევი პასუხისგებაში მიეცეს სს კოდექსის 242-ე მუხლით, სავალდებულოა, რომ დარღვევას შედეგად მოჰყვეს ადამიანთა უბედური შემთხვევა ან სხვა მძიმე შედეგი, სახელდობრ: ადამიანის სიკვდილი, სხეულის დაზიანება, მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, გადაზიდვათა გეგმის ჩაშლა, მოძრაობის დეზორგანიზაცია და ა. შ.

ტრანსპორტზე მოძრაობის წესების დარღვევა ასეთი შედეგის გარეშე გამოიწვევს ადმინისტრაციული სასჯელის შეფარდებას.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს ყოველი მოქალაქე (ტრანსპორტის მომუშავის ჩათვლით, თუ იგი არ იმყოფებოდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ფეით დარღვევის ფაქტის მიმართ შეიძლება ხასიათდებოდეს როგორც განზრახი, აგრეთვე გაუფრთხილებელი ბრალით, ხოლო დამდგარი მძიმე შედეგის მიმართ—მარტოოდენ გაუფრთხილებლობით.

უკეთუ განზრახ არის დანგრეული ან დაზიანებული უშუალოდ მიმოსვლის გზები და სატრანსპორტო საშუალებანი, რასაც მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა მატარებლის მარცხი, ხომალდის ავა-

ზრია ან ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის ნორმალური მუშაობის დარღვევა, დამნაშავეს შეეფარდება 87-ე მუხლი.

სასჯელი 242-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე.

3. მატარებლის თვითნებურად გაჩერება, როცა ეს საჭირო არ არის. რკინიგზის ტრანსპორტის ზუსტი, უსაფრთხო მუშაობის უზრუნველსაყოფად ყოველად მოუთმენელია მატარებლის თვითნებური გაჩერება, როცა ეს საჭირო არ არის. პასუხისმგებლობას ასეთი ქმედობისათვის ითვალისწინებს სს კოდექსის 242[1]-ე მუხლი[1].

ამ დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მატარებლის თვითნებურ გაჩერებაში, როცა ეს საჭირო არ არის, საჩერი ონკანით, საჰაერო სამუხრუჭო მაგისტრალის გათიშვის გზით ან სხვა საშუალებით (მატარებლის გაჩერება აუცილებელ შემთხვევაში, მაგალითად, ადამიანის დაღუპვისაგან გადარჩენის მიზნით დანაშაულად არ ჩაითვლება). აღნიშნული ქმედობა მხოლოდ მაშინ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, თუ მან მატარებლის ნორმალური მოძრაობის დარღვევა გამოიწვია (241[1]-ე მუხლის პირველი ნაწილი), მაგალითად, მოძრაობის გრაფიკის დარღვევა, დამსხვერევის ან ავარიის საფრთხის შექმნა და სხვ.

სუბიექტი ამ დანაშაულისა შეიძლება იყოს 16 წლის ასაკს მიღწეული პირი, მაგრამ არა ტრანსპორტის მომუშავე. უკანასკნელი ამდაგვარი დანაშაულისათვის პასუხს აგებს 86-ე მუხლით.

სუბიექტური მხრივ დანაშაული გულისხმობს განზრახ ბრალს, მაგრამ მძიმე შედეგის მიმართ მარტოოდენ გაუფრთხილებელ ბრალს. მარცხის ან ავარიის, აგრეთვე დაზარალებულის სიკვდილის განზრახ გამოწვევისას დამნაშავე პასუხს აგებს 87-ე ან 104-ე მუხლით.

სასჯელი 242[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი მუშაობა ვადით ერთ წლამდე. იმავე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია განსახილველი დანაშაულის კვალიფიციური სახე, სახელდობრ, იგივე ქმედობა, თუ მან გამოიწვია ადამიანებისათვის უბედური შემთხვევა, მატარებლის მარცხი, მოძრავი შემადგენლობის დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი. სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა ვადით რვა წლამდე.

---

[1] ეს მუხლი დაერთო სს კოდექსს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 29 ნოემბრის ბრძანებულების საფუძველზე (ეს ბრძანებულება, თავის მხრივ, გამოიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებულების შესაბამისად).

ზ. ავტო-მოტოტრანსპორტის საშუალებათა გატაცება. სს კოდექსის 243-ე მუხლი ითვალისწინებს ავტომობილის, მოტოციკლის ან სხვა სახის ავტო-მოტოტრანსპორტის გატაცებას დროებითი გამოყენების მიზნით[1].

აღნიშნული დანაშაული ხელყოფს საზოგადოებრივ უშიშროებას. რამდენადაც სხვისი ავტომობილის ან სხვა სახეობის ავტო-მოტოტრანსპორტის გატაცება საშიშროებას უქმნის მრავალ ადამიანს მით, რომ მას ჩაიდენს მეტწილად მანქანის მართვის არმცოდნე პირი არაფხიზელ მდგომარეობაში და შედეგად მოჰყვება ხოლმე ავარია, ადამიანთა უბედური შემთხვევა და ა. შ. ამავე დროს ილახება, ცხადია, მანქანის მფლობელის, მძღოლის ინტერესები.

დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს გატაცებულია სახელმწიფო დაწესებულების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის თუ მოქალაქეთა პირადი კუთვნილების ავტომობილი, მოტოციკლი ან ავტო-მოტოტრანსპორტის სხვა სახეობა. გადამწყვეტია ის, რომ გატაცება მანქანის დროებითი გამოყენების მიზნით იყო ჩადენილი.

სუბიექტურ მხრივ დანაშაული განზრახია. ამასთან დამნაშავის მიზანს შეადგენს ავტო-მოტოტრანსპორტის მხოლოდ დროებითი გამოყენება.

იმ შემთხვევაში, თუ პირის მიზანს შეადგენდა საერთოდ მანქანის გატაცება მისი როგორც საკუთარის განკარგვისათვის, მაგრამ ამ მიზანს მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ მიაღწია (მაგალითად, გატაცების შემდეგ უმალვე იყო დაკავებული), დამნაშავეს პასუხს აგებს არა 243-ე მუხლით, არამედ შესაბამისი მუხლით ქონებრივი დანაშაულის თავიდან.

სასჯელი 243-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმა ას მანეთამდე.

243-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს იგივე ქმედობას ჩადენილს განმეორებით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

თ. სამშენებლო სამუშაოთა წარმოების წესების დარღვევა. სს კოდექსის 244-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამ-

---

[1] 243-ე მუხლის შინაარსი გადმოცემულია საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წ. 18 თებერვლის ბრძანებულების „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ" შესაბამისად (იხ. გაზ. „კომუნისტი", 1966 წ., 25 თებერვალი).

შენებლო სამუშაოთა წარმოების დროს მშენებლობის, ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული წესების, აგრეთვე სამშენებლო მექანიზმების ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის.

ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება ის არის, რომ მას შეიძლება მოჰყვეს ადამიანთა სიკვდილი, სხეულის დაზიანება თუ სხვა მძიმე შედეგი.

დასახელებული წესების დარღვევის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ზუსტად უნდა დადგინდეს, თუ, სახელდობრ, რა წესები იქნა დარღვეული, რაში გამოიხატა დარღვევა და რა სახის მძიმე შედეგი გამოიწვია. ამრიგად, 244-ე მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია და კონკრეტული საქმის გამოკვლევა-გადაწყვეტისას საჭიროებულია იმ წესებით ხელმძღვანელობა, რომლითაც დადგენილია სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს მშენებლობის, ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული, აგრეთვე სამშენებლო მექანიზმების ექსპლოატაციის პირობების დაცვა.

დარღვევა, რაზეც მითითებულია 244-ე მუხლში, შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, სამშენებლო მასალის (ან ნაგვის) გადმოყრაში ერთ მეტრზე მეტი სიმაღლიდან სპეციალური მოწყობილობის გარეშე, ზემოცავის (დიდ სიმაღლეზე მომუშავის) ძლიერი ქარის დროს ღია ცის ქვეშ მუშაობის შეუწყვეტობაში, ადვილაალებადი მასალის უმართებლო ადგილას მოთავსებაში და ა. შ.

იმ საკითხების გასარკვევად, იყო თუ არა სამშენებლო სამუშაოთა წესები დარღვეული, სახელდობრ, ვის მიერ და, თუ არსებობს მიზეზობრივი კავშირი დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის, საჭიროა ყოველთვის ტექნიკური ინსპექტორის დახმარება, ხოლო განსაკუთრებულ რთულ შემთხვევაში — ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნა.

დამნაშავე პირი სამშენებლო წესების დარღვევაში შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს 244-ე მუხლის საფუძველზე მხოლოდ მაშინ, თუ მის ქმედობას (მოქმედებას ან უმოქმედობას) მოჰყვა მძიმე შედეგი (244-ე მუხლის I ნაწ.) ან სიკვდილი, ან სხეულის მძიმე დაზიანება (244-ე მუხლის II ნაწ.). დარღვევის დანარჩენ შემთხვევებში დამნაშავე პასუხს აგებს დისციპლინური წესით.

მძიმე შედეგი, რაზეც მითითებულია 244-ე მუხლის პირველ ნაწილში, ნიშნავს ადამიანის სხეულის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქ დაზიანებას, სამშენებლო მუშაობის შეფერხებას, მატერიალური ზარალის გამოწვევას და ა. შ.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს მშენებლობის ამა თუ იმ უბნის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი

(მშენებლობის უფროსი, სამუშაოს მწარმოებელი, ხელოსანი და სხვ.), აგრეთვე რიგითი მუშა და ყველა სხვა პირი, რომელთა მოვალეობასაც შეადგენდა სათანადო წესების შესრულების უზრუნველყოფა.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დამნაშავის დამოკიდებულება თვით დარღვევის ფაქტისადმი შეიძლება გამოიხატოს როგორც განზრახვაში, ასევე გაუფრთხილებლობაში, ხოლო დამდგარი მძიმე შედეგის მიმართ, როგორც წესი, იგულისხმება დამნაშავის გაუფრთხილებლობა (დაუდევრობა თუ თვითიმედოვნება).

უკეთუ დამნაშავეს ჰქონდა განზრახვა დაზარალებულის მოკვლის ან სხეულის დაზიანებისა, მისი ქმედობა დაკვალიფიცირდება როგორც 244-ე მუხლით, ასევე შესაბამისი მუხლით პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულთა თავიდან..

სასჯელი 244-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე, ხოლო მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.

ი. სამთო სამუშაოთა უშიშროების წესების დარღვევა. სამთო-სამუშაოთა წარმოება მოითხოვს იქ მომუშავე პირთა შრომის გაძლიერებულ დაცვას და ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო შრომის ნორმალურად და უსაფრთხოდ წარმოების უზრუნველსაყოფად მთელი რიგი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებების ჩატარებასთან ერთად აწესებს აგრეთვე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ამ დარგში მოქმედი წესების დარღვევისათვის.

სამთო სამუშაოთა უშიშროების დადგენილი წესების დარღვევა, თუ მას მძიმე შედეგები მოჰყვა, გათვალისწინებულია სს კოდექსის 245-ე მუხლში.

ამ მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია და ყოველ ცალკე შემთხვევაში საჭიროა იმის დადგენა, თუ, სახელდობრ, რა წესებია დარღვეული, რა შედეგი მოჰყვა მას და დასჯადია თუ არა სისხლის სამართლის წესით. სამთო სამუშაოთა უშიშროების წესებს ადგენს შესაბამისი სამინისტრო და პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტი ან პროფესიონალურ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭო.

განსახილველი დანაშაული ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ გამოიხატება ისეთ ქმედობაში (მოქმედებაში ან უმოქმედობაში), რაც სამთო სამუშაოთა უშიშროების წესების საწინააღმდეგოა და მოჰყვა მას 245-ე მუხლში აღნიშნული მძიმე შედეგი. მაგალითად, ის შეძლება გამოიხატოს ძველი შურფების ან ჩასაკარდნი ადგილების შე-

ზორაგვის გარეშე დატოვებაში, სამთამადნო ზედამხედველობის ნებართვის გარეშე გამაფრთხილებელი ნიშნებისა და მოწყობილობის აღებასა ან შეცვლაში, მიწის ქვეშ მომუშავეთა თვითმშველელი საშუალებებით მოუმარაგებლობაში, სამაგრ ბიგებად ისეთი მასალის გამოყენებაში, რაც არ უპასუხებს თავის დანიშნულებას და ა. შ.

245-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით, დანაშაულის შედგენილობისათვის აუცილებელია, რომ სამთო სამუშაოთა უშიშროების დადგენილი წესების დარღვევას მოჰყვეს მძიმე შედეგი. ამის გარეშე დამნაშავე პირის პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება დისციპლინური ან ადმინისტრაციული წესით. მძიმე შედეგი ამ შემთხვევაში ნიშნავს ჩამონგრევას, აფეთქებას, მატერიალური ზიანის გაჭოწვევას, ადამიანის სხეულის მსუბუქ ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას და ა. შ. იმავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს დანაშაულის კვალიფიციურ სახეს, სახელდობრ, თუ ქმედობას სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება მოჰყვა.

დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს როგორც თანამდებობის პირი (მაგალითად, შახტის უფროსი, მთავარი ინჟინერი, ცვლის ოსტატი და სხვ.), ასევე რიგითი მომუშავე და საერთოდ ყოველი ისეთი პირი, რომელსაც დავალებული ჰქონდა სამთო სამუშაოთა უშიშროების დადგენილი წესების დაცვის უზრუნველყოფა.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ ამ დანაშაულის შედგენილობისათვის უნდა განვასხვაოთ ერთიმეორისაგან დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება თვით დარღვევის ფაქტთან და ამ დარღვევით გამოწვეულ მძიმე შედეგთან. დამნაშავის დამოკიდებულება თვით დარღვევის ფაქტთან შეიძლება გამოიხატოს — განზრახვაში ან გაუფრთხილებლობაში, ხოლო დამღგარი მძიმე შედეგის მიმართ, როგორც წესი, — გაუფრთხილებლობაში.

უკეთუ სამთო სამუშაოთა უშიშროების წესები დარღვეულია ადამიანის დაღუპვის ან მისთვის სხეულის დაზიანების მიზნით, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის შესაბამისი მუხლის ერთობლიობით ან განზრახვის ანტისაბჭოთა ხასიათის არსებობისას — 69-ე მუხლით (დივერსია).

სასჯელი 245-ე მუხლის პირველი ნაწილით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე, ხოლო მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.

კ. სახანძრო დაცვის წესების დარღვევა. სს კოდექსის 246-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას სახელმწიფო სახანძრო მეთვალ-

ყურეობის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევისათვის.

აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის ძალით, განსახილველი დანაშაულის შედგენილობისათვის საკმარისია ფაქტი სახელმწიფო სახანძრო მეთვალყურეობის მოთხოვნათა შეუსრულებლობისა ან ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევისა, მაგრამ იმ პირობით, თუ იგი ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში დღიდან ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადებისა.

246-ე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია დანაშაულის კვალიფიციური სახე. დამამძიმებელ გარემოებად ითვლება იგივე ქმედობა, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგი. მძიმე შედეგად ჩაითვლება ადამიანთა დაღუპვა, მათი სხეულის დაზიანება, მატერიალური ზიანი და ა. შ.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული თვით დარღვევის ფაქტის მიმართ შეიძლება ხასიათდებოდეს როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი ბრალით, ხოლო დამდგარი მძიმე შედეგის მიმართ — გაუფრთხილებლობით.

სასჯელი 246-ე მუხლის პირველი ნაწილით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ექვს თვემდე ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე, ხოლო მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.

ლ. აფეთქებინ მხრივ საშიშ საწარმოებსა და საამქროებში უშიშროების წესების დარღვევა. აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოში, თუნდაც მის ერთ ცალკე სამუშაო უბანზე, საწარმოო-ტექნიკური და საერთოდ შრომის დისციპლინის მკირეოდენ დარღვევასაც კი ძალზე მძიმე შედეგის გამოწვევა შეუძლია.

სს კოდექსის 247-ე მუხლი ითვალისწინებს დარღვევას საწარმოო-ტექნიკური დისციპლინისა ან წესებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების უშიშროებას აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოებსა და საამქროებში.

აღნიშნული მუხლის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც საწარმოო-ტექნიკური დისციპლინის ან წესების დარღვევას ადგილი ჰქონდა სწორედ აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოსა ან საამქროში. ამიტომ ამ კატეგორიის საქმეთა გამოკვლევა-განხილვისას აუცილებელია დადგენა იმისა, მოცემული საწარმო ან საამქრო აფეთქების მხრივ საშიშს წარმოადგენდა თუ — არა. გარდა ამისა, უნდა დადგინდეს, რომ დანაშაულებრივ დარღვევას თავისი ხასიათით შეუძლია გამოიწვიოს (ან გამოიწვია) აფეთქება და ამის შედეგად ადამიანთა დაღუპვა, მატერიალურ ფასეუ-

ლობათა განადგურება თუ დაზიანება და სხვ. მისთ. ასეთ საშიშროებასთან დაუკავშირებელ დარღვევისას ქმედობა შესაბამის გარემოებათა გათვალისწინებით დაკვალიფიცირდება 244-ე, 245-ე, 146-ე ან 188-ე მუხლებით.

საწარმოო-ტექნიკური დისციპლინის ან წესების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს სამუშაოს თუ მოწყობილობის ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევაში, ზემდგომი თანამდებობის პირის (მაგალითად, ინჟინრის) განკარგულების შეუსრულებლობასა ან არაზუსტად შესრულებაში, თამბაქოს მოწევაში, მთვრალი სახით მისვლასა ან ძილში სამუშაოზე იმ პირისა, რომელიც პასუხისმგებელია ტექნოლოგიურ პროცესზე და ა. შ. ყოველ ცალკე შემთხვევაში საჭიროა იმის დადგენა, თუ, სახელდობრ, რა წესი არის დამნაშავის მიერ დარღვეული.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს როგორც აფეთქების მხრივ საშიში საწარმოს ან საამქროს თანამდებობის პირი და რიგითი მომუშავე, ასევე გარეშე პირიც, რომლისთვისაც ცნობილი იყო აღნიშნულ საწარმოსა ან საამქროში დადგენილი წესი (მაგ., თამბაქოს მოწევა ასეთ საწარმოში სასტიკად აკრძალულია, რის შესახებაც კედლებზე გაკეთებულია გამაფრთხილებელი წარწერები).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ ეს დანაშაული ხასიათდება იმავე ნიშნებით, რომლებითაც — სს კოდექსის 246-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაული.

სს კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს საწარმოო-ტექნიკური დისციპლინის ან წესების ისეთ დარღვევას, რასაც რაიმე მძიმე შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ჩადენილია განმეორებით ასეთივე დარღვევისათვის დისციპლინური სასჯელის დადების შემდეგ, ხოლო მეორე ნაწილი — იგივე ქმედობას, თუ მას აფეთქება, ხანძარი ან სხვა მძიმე შედეგი (მაგალითად, ადამიანის თუ ადამიანთა დაღუპვა, სხეულის დაზიანება და ა. შ.) მოჰყვა.

სასჯელი 247-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან თანამდებობიდან დათხოვნა, ხოლო მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე.

მ. ფეთქებად ან რადიოაქტიურ ნივთიერებათა შენახვის, გამოყენების, აღრიცხვის ან გადაზიდვის წესების დარღვევა. ამ დანაშაულის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ იგი საფრთხეში აყენებს მრავალი ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მატერიალურ ფასეულობათა და ქონების დაცვის საქმეს. ფეთქებად ან რა-

დიოაქტიურ ნივთიერებათა შენახვის, გამოყენების აღრიცხვის ან გადაზიდვისათვის არსებობს სათანადო ორგანოების მიერ დამტკიცებული სპეციალური წესები.

სს კოდექსის 248-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ფეთქებად (თოფის წამალი, პიროკსილინი, დინამიტი და სხვ.) ან რადიოაქტიურ ნივთიერებათა (რადიუმი, მეზოტორიუმი, კობალტი-60 და სხვ.) შენახვის, გამოყენების, აღრიცხვის ან გადაზიდვის დადგენილი წესების დარღვევისათვის, აგრეთვე ამ ნივთიერებათა უკანონო გადაგზავნისათვის ფოსტით ან ბაგაჟით. ეს დანაშაული შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, მასში, რომ საწარმოს ხელმძღვანელი თუ ტექნიკური დარგის მომუშავე ფეთქებად ან რადიოაქტიურ ნივთიერებას ინახავს შეუსაბამო ადგილას ან პირობებში საამისოდ დადგენილი წესის დარღვევით, ან უკანონოდ, ე. ი. ტრანსპორტის ან კავშირგაბმულობის ორგანოს ნებართვის გარეშე გადაზიდავს მათ ნებისმიერი ტრანსპორტით.

რადგან 248-ე მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია, ყოველ ცალკე შემთხვევაში სავალდებულოა დადგენა იმისა, თუ რა წესებია დარღვეული და რაში გამოიხატა იგი.

248-ე მუხლის პირველი ნაწილი გამოიყენება მაშინ, როდესაც აღნიშნული წესების დარღვევას რაიმე მძიმე შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ხოლო მეორე ნაწილი — მაშინ, თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა. ასეთ შედეგად ჩაითვლება აფეთქება, ავარია საწარმოში, ადამიანთა უბედური შემთხვევა, მატერიალური ზიანის გამოწვევა და ა. შ.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი განსახილველი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობასაც შეადგენს სათანადო წესების დაცვის უზრუნველყოფა. ფეთქებად ნივთიერებათა ფოსტით ან ბაგაჟით გადაგზავნისას დანაშაულის სუბიექტი შეიძლება არათანამდებობის პირიც იყოს[1].

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ისეთივე ხასიათისაა, როგორიც 247-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაული.

სასჯელი 248-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ხოლო მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით შვიდ წლამდე.

---

1 ასეთი პირი ფეთქებად ნივთიერებათა უკანონო შენახვისათვის პასუხს აგებს 238-ე მუხლითაც.

ნ. ადვილაალებადი ან მწვავე ნივთიერების უკანონო გადაგზავნა. პასუხისმგებლობა ადვილაალებადი ან მწვავე ნივთიერების უკანონო გადაგზავნისათვის ფოსტით ან ბაგაჟით, თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა, გათვალისწინებულია სს კოდექსის 249-ე მუხლში.

ადვილაალებად ნივთიერებად ჩაითვლება ნავთი, ბენზინი, სპირტი, ასანთი და ა. შ., ხოლო მწვავე ნივთიერებად — ნიშადურის სპირტი, გოგირდმჟავა, ფორმალინი, გამოუწვავი კირი და სხვ.

ასეთ ნივთიერებათა ფოსტით ან ბაგაჟით გადაზიდვისათვის არსებობს სპეციალურად დადგენილი წესი. უკანონოა მათი გადაზიდვა შესაბამისი ტრანსპორტის ან კავშირგაბმულობის ორგანოს ნებადაურთავად ან აღნიშნული წესის დარღვევით (მაგალითად, შეფუთვის წესის დაუცველობით და სხვ.).

უკეთუ აღნიშნულ ქმედობას მძიმე შედეგი არ მოჰყოლია (აფეთქება, მატერიალური ზიანი, ადამიანთა დაშავება და ა. შ.), დამნაშავეს შეიძლება შეეფარდოს ადმინისტრაციული სასჯელი ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება. დანაშაულის შედგენილობის სხვა ნიშნები (ობიექტი, სუბიექტი, სუბიექტური მხარე) მსგავსია ზემოგანხილული (248-ე მუხლში გათვალისწინებული) დანაშაულის შესაბამისი ნიშნებისა.

სასჯელი 249-ე მუხლის მიხედვით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე.

§ 4. დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ა. უკანონო ექიმობა. ექიმობა, რასაც პროფესიის სახით ეწევა პირი, რომელსაც არა აქვს სათანადო სამედიცინო განათლება, გათვალისწინებულია სს კოდექსის 250-ე მუხლში.

ადამიანთა მკურნალობა, ექიმობა ფრიად პასუხსაგები საქმიანობაა და მისი წარმოება შეუძლია მარტოოდენ ისეთ პირს, რომელმაც სპეციალური განათლების მიღებით მოიპოვა ამის უფლება. სათანადო სამედიცინო განათლების არმქონე პირი, ეწევა რა უკანონო ექიმობას, საშიშროებას უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

დანაშაულის შედგენილობისათვის საჭიროა იმის დადგენა, რომ სათანადო სამედიცინო განათლების არმქონე პირი ექიმობას ეწევა პროფესიის სახით. ე. ი. უკანონო ექიმობა წარმოადგენს მის ძირითად ან დამატებით საარსებო წყაროს. უკანონო ექიმობის ცალკეული შემთხვევა სისხლის სამართლის წესით დასჯადი არ არის, თუ მას არ ახლავს თაღლითობის ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობისას ქმედობა დაკვალიფიცირდება 153-ე მუხლით (თაღლითობა).

. 250-ე მუხლის პირველი ნაწილით დასჯადია თვით ფაქტი უკანონო ექიმობისა და ამის გამო მძიმე შედეგის დადგომა საჭირო არ არის, ხოლო მეორე ნაწილი ითვალისწინებს იგივე ქმედობას, თუ მას სიკვდილი ან სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება მოჰყვა.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც არა აქვს შესაბამისი სამედიცინო წოდება. ასეთია ექიმბაში, „მკითხავი", აგრეთვე ბეითალი, კბილის ექიმი (უკანასკნელს უფლება აქვს მხოლოდ კბილის მკურნალობის), სანიტარი და ა. შ., რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ რაიმე სახით სამედიცინო განათლება, მაგრამ არა იმ დარგის სპეციალობისა, რომელშიაც „მოღვაწეობენ".

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა უკიდურესი აუცილებლობის პირობებში პირის მიერ, რომელსაც არა აქვს სათანადო სამედიცინო განათლება, დანაშაულის შედგენილობის ნიშნებს არ შეიცავს.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული განზრახია. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ეწევა ექიმობას პროფესიის სახით და სურს ასე მოიქცეს.

უკეთუ უკანონო ექიმობის დროს პირისათვის ცნობილია, რომ იგი ავადმყოფს ვერ მოუტანს რაიმე სარგებლობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სარგებლობს რა უკანასკნელის უკულტურობით ან რელიგიური ცრურწმენით, იღებს მისგან მატერიალურ გამოსაღებს, დამნაშავე პასუხს აგებს თაღლითობისათვის (153-ე მუხლით).

სასჯელი 250-ე მუხლის პირველი ნაწილით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმა ას მანეთამდე, ხოლო მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.

ბ. ეპიდემიასთან ბრძოლის დადგენილი წესების დარღვევა. ეპიდემიურ და სხვა გადამდებ დაავადებათა თავიდან აცილების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით დადგენილი სავალდებულო წესების დარღვევა, თუ მას მოჰყვა ან წინასწარ შეცნობით შეიძლებოდა მოჰყოლოდა გადამდებ დაავადებათა გავრცელება, გათვალისწინებულია სს კოდექსის 251-ე მუხლში[1].

ამ მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია და ყოველ ცალკე შემ-

---

[1] 251-ე მუხლის შინაარსი მოცემულია საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წ. 18 თებერვლის ბრძანებულების „საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ" შესაბამისად.

თხვევაში სავალდებულოა დადგენა იმისა, თუ რა წესებია დარღვეული. ეპიდემიურ და სხვა გადამდებ დაავადებასთან ბრძოლის წესებს, ბრძანებებს, ინსტრუქციებს გამოსცემს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე განისაზღვრება დარღვეული წესების (ბრძანებების, ინსტრუქციების) შინაარსით.

ეპიდემიურია ინფექციური დაავადებები: ყვავილი, შავი ჭირი, პოლიომიელიტი, ტიფი, დიფტერიტი და ა. შ., ხოლო სხვა გადამდები დაავადებები — ჭლექი, ბრუცელოზა და ა. შ

251-ე მუხლით პირი პასუხისგებაში მიეცემა არა მხოლოდ სათანადო წესების დარღვევის გამო გადამდებ დაავადებათა გავრცელების (ე. ი. მისი თუნდაც ერთი პირისათვის გადადების) შემთხვევაში, არამედ მაშინაც, თუ წინასწარი შეცნობით აღნიშნულ დარღვევას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ასეთი მძიმე შედეგი.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი განსახილველი დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ კერძო პირი. უკეთუ ეპიდემიასთან ბრძოლის დადგენილი წესები დარღვეულია თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მან პასუხი უნდა აგოს შესაბამისი მუხლით თანამდებობრივი დანაშაულის თავიდან.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დამნაშავის ბრალი თვით დარღვევის ფაქტისადმი შეიძლება იყოს განზრახი ან გაუფრთხილებელი, ხოლო დამდგარი მძიმე შედეგისადმი (ე. ი. გადამდები დაავადების გავრცელებისადმი) — მარტოოდენ გაუფრთხილებელი.

უკეთუ ეპიდემია გავრცელებულია განზრახ საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზნით, ქმედობა დაკვალიფიცირდება 69-ე მუხლით (დივერსია).

სასჯელი 251-ე მუხლის მიხედვით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმა ას მანეთამდე.

გ. შხამიანი ან ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო დამზადება ან გასაღება. სს კოდექსის 252-ე მუხლში გათვალისწინებულია ძლიერმოქმედი, შხამიანი ან ნარკოტიკული ნივთიერებების დამზადება, გასაღება ან გასაღების მიზნით მათი შენახვა ან შეძენა სპეციალური ნებართვის გარეშე, აგრეთვე აღნიშნული ნივთიერებების წარმოების, შენახვის, გაცემის, აღრიცხვის, გადაზიდვის ან გადაგზავნისათვის დადგენილი წესების დარღვევა.

ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება ის არის, რომ იგი ზიანს აყენებს (ან შეუძლია მიაყენოს) მოქალაქეთა ჯანმრთელობას. აქედან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს ზემო-

დასახელებული ნივთიერებების დამზადებასა და მოხმარებაზე მკაცრი კონტროლის დაწესება.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადებისა და გამოყენების შესახებ არსებობს მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმება. ჟენევის 1925 წლის კონვენცია (რომელსაც საბჭოთა კავშირი 1936 წ. 29 იანვარს შეუერთდა) ნარკოტიკულ ნივთიერებებს მიაკუთვნებს ოპიუმს, მორფიუმს, კოკაინს და სხვ.

ძლიერმოქმედ ნივთიერებად ჩაითვლება ისეთი, რომლის დიდი დოზით მიღებას შეუძლია ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება (ასეთია, მაგალითად, ძილისმომგვრელი, ტკივილის გამაყუჩებელი და სხვ. საშუალებები), ხოლო შხამიან ნივთიერებად — ისეთი, რომელსაც ამდაგვარი ზიანი მოჰყვება მცირე დოზით მიღების შემთხვევაშიც (დარიშხანი, კალიუმციანიდი და სხვ.).

სპეციალური ნებართვა თუ წესები, რაზეც მითითებულია 252-ე მუხლში, ნიშნავს მთავრობის ან ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აქტებს, რომლებიც აწესრიგებენ ძლიერმოქმედი, შხამიანი ან ნარკოტიკული ნივთიერებების დამზადებას, შენახვას, გასაღებას, შეძენას, გადაზიდვას და ა. შ.[1]

განსახილველი დანაშაულის შედგენილობის დასადგენად ყოველ ცალკე შემთხვევაში საჭიროა ამ აქტების გაცნობა. კერძოდ ეს აქტები კატეგორიულად კრძალავენ 252-ე მუხლში დასახელებული ნივთიერებების გადაზიდვას ტრამვაით, ავტობუსით, ტროლეიბუსით, მეტროთი, სავგზავრო თვითმფრინავით, აგრეთვე ფოსტით. შემდეგ, აფთიაქიდან მოსახლეობისათვის ისეთი წამლების გაცემა, რომლებიც შხამიან ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს შეიცავენ, დაიშვება მხოლოდ სპეციალურ ბლანკზე დაწერილი რეცეპტების საფუძველზე და ა. შ.

გაზრდილ ფასებში გასაღება ძლიერმოქმედი ან ნარკოტიკული ნივთიერებებისა, რომლებიც სახელმწიფო ფასებში იყო შეძენილი, სპეკულაციის ნიშნებსაც შეიცავს და დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით (252-ე და 165-ე მუხლებით).

იმ პირთა მოქმედება, რომლებიც ასაღებენ ნარკოტიკულ თუ ძლიერმოქმედი ნივთიერების სახით ისეთს, რომელიც სინამდვილეში არც ნარკოტიკულია და არც ძლიერმოქმედი იმ მიზნით, რომ დაეუფლონ მოქალაქეთა ფულად სახსრებს ან სხვა სახის პირად

---

[1] ასე, მაგალითად, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მიერ 1954 წ. 1 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებულია „წესები აფთიაქებში შხამიანი და ძლიერმოქმედ ნივთიერებათა შენახვის, აღრიცხვისა და გაცემის შესახებ".

ქონებას, უნდა დაკვალიფიცირდეს 153-ე მუხლით (თაღლითობა), ხოლო ასეთი გზით მოპოვებული ფული ან ქონება, როგორც უკანონოდ შეძენილი, უნდა გადაირიცხოს სახელმწიფოს შემოსავალში. ასეთ ნივთიერებათა შემძენი პირნი პასუხს აგებენ 252-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობისათვის, რამდენადაც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი მათგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა გასაღება არასრულწლოვანთათვის, აგრეთვე მათი დაყოლიება ნარკოტიკების მოხმარებაზე უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, როგორც 236-ე მუხლით, ასევე 252-ე მუხლით.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს როგორც თანამდებობის, ასევე კერძო პირი.

ნარკოტიკული ან ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებების წარმოების, შენახვის, გაცემის, აღრიცხვის, გადაზიდვის ან გადაგზავნისათვის დადგენილი წესების დარღვევ თანამდებობის პირის მოქმედებაში თანამდებობრივი დანაშაულის (ბოროტად გამოყენება, დაუდევრობა, მექრთამეობა და ა. შ.) შედგენილობის ნიშნების არსებობისას, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს თანამდებობრივი დანაშაულის შესაბამისი მუხლით, ხოლო დასახელებული ნივთიერებების უკანონო გასაღებისა, შეძენისა ან გასაღების მიზნით შენახვისას სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით—თანამდებობრივი დანაშაულის სათანადო მუხლით და 252-ე მუხლით[1].

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული, როგორც წესი, განზრახია. დანაშაულის ისეთი სახე, რომელიც გამოიხატება ძლიერმოქმედი, შხამიანი ან ნარკოტიკული ნივთიერებების წარმოების, შენახვის, გაცემის, აღრიცხვის, გადაზიდვის ან გადაგზავნის წესების დარღვევაში, შეიძლება გაუფრთხილებელი ბრალითაც ხასიათდებოდეს.

სასჯელი 252-ე მუხლის პირველი ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან ჯარიმა ას მანეთამდე. აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილი ითვა-

---

[1] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წ. 25 თებერვლის დადგენილება № 1 „სასამართლო პრაქტიკის თობაზე ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ ნივთიერებათა უკანონოდ დამზადებისა და გავრცელების შესახებ საქმეების გამო" („Бюллетень Верховного Суда СССР," 1966, № 2, გვ. 11—13).

ლისწინებს იგივე ქმედობას, ჩადენილს სისტემატურად. სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე.

დ. ხაშხაშის ან ინდური კანაფის უნებართვოდ დათესვა. იმის გამო, რომ ხაშხაში და ინდური კანაფი ნარკოტიკული ნივთიერებებია და მათი არასამედიცინო მიზნებისათვის გამოყენებას ზიანი მოაქვს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1934 წლის 27 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე აიკრძალა ამ მცენარეების დათესვა, გარდა იმ ნათესებისა, რომლის მოსავალიც დანიშნულია სამკურნალო და სამეცნიერო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ნებართვას ასეთი სახის დათესვის წარმოებისათვის გასცემს შესაბამისი ორგანო (სოფლის მეურნეობის, საგარეო ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები).

სს კოდექსის 253-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას ხაშხაშის და ინდური კანაფის სათანადო ნებართვის გარეშე დათესვისათვის.

ამრიგად, სისხლის სამართლის წესით დასჯადია მარტოოდენ ფაქტი აღნიშნული მცენარეების დათესვისა ნებართვის გარეშე. უკეთუ დამნაშავემ მოწეული მოსავლიდან დაამზადა, გაასაღა ან შეინახა გასაღების მიზნით ნარკოტიკული ნივთიერება, იგი პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობით 252-ე და 253-ე მუხლებით[1].

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს მხოლოდ კერძო პირი. თანამდებობის პირი ხაშხაშის ან ინდური კანაფის დათესვისათვის სათანადო ნებართვის გარეშე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მეურნეობის ფართობზე პასუხს აგებს თანამდებობრივი დანაშაულისათვის.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ თესავს ხაშხაშს ან ინდურ კანაფს სათანადო ნებართვის გარეშე და სურს ასე მოიქცეს. ქმედობის მიზანს დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

სასჯელი 253-ე მუხლით — გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე ნათესების კონფისკაციით.

---

1 იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლის პლენუმის 1966 წ. 25 თებერვლის დადგენილება № 1 „სასამართლო პრაქტიკის თაობაზე ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ ნივთიერებათა უკანონოდ დამზადებისა და გავრცელების შესახებ საქმეების გამო“ („Бюллетень Верховного Суда СССР,“ 1966, № 2, გვ. 11—13).

თავი XI

სამხედრო დანაშაული

§ 1. სამხედრო დანაშაულის ზოგადი ცნება

საბჭოთა სახელმწიფო სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპზე დაყრდნობით მუდამ ახორციელებდა და ახორციელებს ამჟამად მშვიდობიან პოლიტიკას, გამანადგურებელი მსოფლიო ომისაგან კაცობრიობის დახსნის პოლიტიკას. მაგრამ, რადგან ჯერ კიდევ არსებობს იმპერიალისტური ბანაკი და, მაშასადამე, აგრესიული ომების საშიშროებაც, საბჭოთა ხალხისა და სოციალისტური სახელმწიფოს განუხრელ მოვალეობას შეადგენს სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, საბჭოთა შეიარაღებული ძალების კიდევ მეტად გაძლიერება.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების აგებისა და საქმიანობის უმთავრესი პრინციპია ერთმმართველობა, მეთაურის სრული პასუხისმგებლობა ხელქვეითთა ცხოვრებისა და საქმიანობის უკლებლივ ყველა დარგზე, მისი ბრძანების შესრულების სავალდებულო ძალა და შეგნებული მტკიცე დისციპლინა, რომლის საფუძველსაც შეადგენს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სამხედრო მოსამსახურეთა მიერ თავიანთი პატრიოტული მოვალეობისა და მთელი ხალხის ინტერნაციონალური ამოცანების ღრმად შეგნება, უანგარო თავდადება სოციალისტური სამშობლოსა და მშობლიური კომუნისტური პარტიის საქმისადმი.

შეიარაღებულ ძალებში მტკიცე დისციპლინის დაცვის მთავარ და ძირითად საშუალებას წარმოადგენს პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა, რასაც ახორციელებენ მეთაურები და პარტიულ-პოლიტიკური ორგანოები დარწმუნებისა და განმარტების მეთოდებით.

დარწმუნების ღონისძიებათა გარდა დისციპლინის დამრღვევ სამხედრო მოსამსახურეს ზოგჯერ შეიძლება შეეფარდოს ძალების ღონისძიებანიც, რომლებიც, მართალია, მნიშვნელოვან, მაგრამ

ძაინც დამხმარე როლს ასრულებენ. ასეთი ღონისძიებანი დისციპ-ლინის დამრღვევ სამხედრო მოსამსახურეს შეეფარდება როგორც მეთაურის, უფროსის ძალაუფლებით სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დისციპლინური და შინაგანი სამსახურის წესდებათა შესაბამისად, ასევე სისხლის სამართლის კანონის საფუძველზე სამხედრო ტრიბუნალის მიერ.

პასუხისმგებლობა სამხედრო დანაშაულისათვის დადგენილია საერთო საკავშირო სისხლის სამართლის კანონმდებლობით, სახელდობრ, სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე 1958 წლის 25 დეკემბერს მიღებული კანონით სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. ეს კანონი უცვლელად შეტანილია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში. საქ. სსრ სს კოდექსი მას ითვალისწინებს მეთერთმეტე თავში (255-ე — 287-ე მუხლები).

სს კოდექსის 255-ე მუხლში განმარტებულია სამხედრო დანაშაულის ცნება. სამხედრო დანაშაულად ჩაითვლება ამ კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული სამხედრო სამსახურის შესრულების დადგენილი წესის წინააღმდეგ, ჩადენილი სამხედრო მოსამსახურის მიერ, აგრეთვე სამხედრო ვალდებულის მიერ სასწავლო შეკრების გავლის დროს.

ამრიგად, ყოველი სახის სამხედრო დანაშაულის ობიექტად ჩაითვლება სამხედრო სამსახურის შესრულების დადგენილი წესი. ეს წესი დადგენილია სსრ კავშირის კონსტიტუციით, საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონით, სამხედრო წესდებებით, თავდაცვის მინისტრისა და სხვა სამხედრო უფროსების ინსტრუქციებით, ბრძანებებით. უკეთუ სამხედრო მოსამსახურის მიერ ჩადენილი ქმედობა არ არის მიმართული სამხედრო სამსახურის შესრულების დადგენილი წესის წინააღმდეგ (მაგალითად, სპეკულაცია, გაუპატიურება და ა. შ.), იგი სამხედრო დანაშაულად არ ჩაითვლება, ხოლო მასში ბრალეული პირი გასამართლდება საერთო წესის მიხედვით სს კოდექსის შესაბამისი მუხლის საფუძველზე.

სხვადასხვა სახის სამხედრო დანაშაულის უშუალო ობიექტს წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის ცალკეული ვალდებულებანი, რომლებიც შეადგენენ სამხედრო სამსახურის შესრულების საერთო წესის ელემენტებს, გამომდინარეობენ ამ საერთო წესიდან. ასე, მაგალითად, სს კოდექსის 256-ე—262-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის უშუალო ობიექტია ხელქვეითობისა და სამხედრო პატივის დაცვის წესი, 263-ე—267-ე მუხლებში გათვალისწინებული დანაშაულისა — სამხედრო სამსახურის გავლის წე-

სი, 277-ე მუხლში მოცემული დანაშაულისა — სამხედრო საიდუმლოების დაცვის წესი და ა. შ.

სამხედრო დანაშაულის სპეციფიკურობა ისიც არის, რომ ამ დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს მარტოოდენ სამხედრო მოსამსახურე, აგრეთვე სამხედრო ვალდებული სასწავლო შეკრების გავლის დროს.

სამხედრო მოსამსახურე ნიშნავს იმ პირს, რომელიც იმყოფება ნამდვილ სამხედრო სამსახურში, ასეთი სამსახური იწყება წვევამდელისათვის სამხედრო კომისარიატში გამოცხადების მომენტიდან სამხედრო ნაწილში გასაგზავნად (და შეწყდება თადარიგში ჩარიცხვის შესახებ საბუთის მიღების მომენტში), ხოლო ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურისა და ოფიცრისათვის — შეიარაღებულ ძალებში ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემის დღიდან (და შეწყდება სამსახურიდან დათხოვნის შესახებ სათანადო ნაწილში თუ დაწესებულებაში ბრძანების ხელმოწერის დღეს).

სამხედრო ვალდებული შეიძლება იყოს სამხედრო დანაშაულის სუბიექტი მხოლოდ იმ პერიოდში, როდესაც იგი სამუშაოდან მოწყვეტით სასწავლო შეკრებაზე იმყოფება. სასწავლო შეკრებაზე ყოფნის დრო გრძელდება სამხედრო ვალდებულის ნაწილში გაგზავნის მომენტიდან შეკრების დამთავრების შესახებ დოკუმენტის მიღების მომენტამდე.

კანონით საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ ნებადართულია არმიაში ისეთი ქალების გაწვევა, რომელთაც სამედიცინო და ტექნიკური მომზადება აქვთ. ამიტომ ამ კატეგორიის ქალი.. ცხადია, შეიძლება იყოს სამხედრო დანაშაულის სუბიექტი.

255-ე მუხლის ძალით, სამხედრო დანაშაულის შესაბამისი მუხლებით პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის პირებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთა მიმართ არის სპეციალური მითითება სსრ კავშირის კანონმდებლობაში. ასეთ პირებად, ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ჩაითვლებიან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს შინაგანი სამსახურისა და საბადრაგო ჯარების ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის პირნი, აგრეთვე სამხედრო სამშენებლო რაზმების მუშები, რომლებიც სამსახურში იმყოფებიან მორიგი გაწვევით.

ჩამოთვლილ პირთა გარდა, სამხედრო დანაშაულის სუბიექტი ჟენევის 1949 წლის კონვენციის შესაბამისად, შეიძლება იყოს სამხედრო ტყვეც (რომელიც ვალდებულია დაემორჩილოს იმ სახელ-

მწიფოს შეიარაღებული ძალებისათვის მოქმედ კანონებსა და წესებს, სადაც ის დატყვევებულია).

სამხედრო დანაშაულის სუბიექტი ვერ იქნება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, შრომა-გასწორების დაწესებულებების უფროსთა შემადგენლობა, მილიციის უფროსთა და ოპერატიულ-სამწყობრო თუ ადმინისტრაციულ-სამეურნეო აპარატის მომუშავენი, აგრეთვე სუვოროვისა და ნახიმოვის სასწავლებელთა აღსაზრდელები და სამხედრო ნაწილებისა და დაწესებულებათა დაქირავებული მუშები და მოსამსახურეები.

პირნი, რომლებიც სამხედრო დანაშაულის სუბიექტად არ ითვლებიან, ე. ი. კერძო პირები, სამხედრო დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობისათვის (წამქეზებლის, დამხმარეს და ა. შ. სახით) პასუხს აგებენ მხოლოდ თანამონაწილეობისათვის, რაზეც მითითებულია 255-ე მუხლის მესამე ნაწილში. ამრიგად, სამხედრო დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს მარტოოდენ სამხედრო მოსამსახურე.

სამხედრო დანაშაულის ობიექტური მხარე, აღწერილი შესაბამისი მუხლის დისპოზიციაში, ზოგჯერ მიუთითებს დანაშაულის ჩადენის დროზე, ადგილზე, ვითარებაზე. ეს გარემოებები ზოგიერთი მუხლების ძალით, გავლენას ახდენენ ქმედობისა და დამნაშავის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე; ასე, მაგალითად, უფრო ხშირია ცალკეულ მუხლებში მითითება დანაშაულის ჩადენაზე ომიანობის დროს, საბრძოლო ვითარებაში, ბრძოლის დროს, სამხედრო მოქმედების რაიონში, ბრძოლის ველზე, რა გარემოებებიც მნიშვნელოვნად აძლიერებს სასჯელის ზომებს.

ომიანობის დრო ნიშნავს იმ დროს, რომლის განმავლობაშიც სსრ კავშირი იმყოფება ომის მდგომარეობაში უცხო სახელმწიფოსთან. ამის დასაწყისია ომის გამოცხადების ან საომარ მოქმედებათა ფაქტიური დაწყების მომენტი, ხოლო დასასრული — ომის დამთავრების შესახებ გამოცხადების მომენტი.

საბრძოლო ვითარება არის მაშინ, როდესაც სამხედრო ნაწილი მოქმედებს მტრის თავდასხმის მოსაგერიებლად ან საბრძოლო ბრძანების შესასრულებლად. ასეთ ვითარებას შეიძლება ადგილი ექნეს როგორც ფრონტზე, ასევე ზურგშიც (მაგალითად, მტრის საჰაერო დესანტის განადგურებისას), როგორც ომიანობის დროს, ასევე მშვიდობიანი ცხოვრების პირობებშიც (მაგალითად, სამხედრო ნაწილი მიიღებს საბრძოლო ბრძანებას დახმარება გაუწიოს საზღვრო რაზმს კონტრაბანდისტთა ან დივერსანტთა ბანდის თავდასხმის აღსაკვეთად).

ბრძოლის დრო ნიშნავს მტერთან უშუალო შეიარაღებული შეჯახების დროს, სამხედრო მოქმედების რაიონი — ადგილს (იქნება ეს ხმელეთი თუ წყლის ან საჰაერო სივრცე), სადაც ბრძოლა წარმოებს ან ხორციელდება შეიარაღებული ძალების გადანაცვლება ბრძოლის დროს, აგრეთვე ადგილს, სადაც განლაგებულია მოქმედი ნაწილების დაწესებულებანი (ფრონტის ზურგის ჩათვლით), ხოლო ბრძოლის ველი — ტერიტორიას, სადაც წარმოებს (ან ახლახან წარმოებდა) მტერთან ბრძოლა.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მხრივ სამხედრო დანაშაული (ისევე, როგორც ყველა სხვა საერთო სისხლის სამართლის დანაშაული) შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით. ასე, მაგალითად, ისეთი დანაშაული, როგორიცაა ურჩობა (256-ე მუხლი), დეზერტირობა (265-ე მუხლი), სუბიექტური მხრივ ხასიათდება მხოლოდ განზრახი ბრალით, ხოლო ბრძანების შეუსრულებლობა (257-ე მუხლი) — გაუფრთხილებელი ბრალით და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ სამხედრო სამსახურის შესრულების დადგენილი წესის დარღვევა ყოველთვის როდი განიხილება სამხედრო დანაშაულად. ხშირად ასეთი ქმედობა დისციპლინურ გადაცდომად ითვლება და იწვევს მხოლოდ დისციპლინური სასჯელის შეფარდებას. ამის გამო საჭირო იქნება დავადგინოთ განმასხვავებელი ნიშნები სამხედრო დანაშაულსა და დისციპლინურ გადაცდომას შორის: ძირითადი განსხვავება მათ შორის მდგომარეობს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხში და დამდგარი შედეგის სიმძიმის ზომაში. დისციპლინური გადაცდომა სამხედრო დანაშაულთან შედარებით საზოგადოებრივად ნაკლებ საშიშია, შედეგიც — არც თუ ისე მძიმე. სს კოდექსის თავში სამხედრო დანაშაულის შესახებ ზოგიერთი მუხლი ერთი და იმავე ქმედობისათვის აწესებს პახუხისმგებლობას სისხლის სამართლის ან დისციპლინური წესით: ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტა იმისა, სამხედრო მოსამსახურის მიერ დანაშაულია ჩადენილი თუ გადაცდომა, ეკისრება ნაწილის მეთაურს, რომელიც ამ დროს მხედველობაში მიიღებს მთელ რიგ გარემოებებს, კერძოდ: რამდენად მნიშვნელოვანია ქმედობა და მისი შედეგი, რას წარმოადგენს ქმედობის ჩამდენი სამხედრო მოსამსახურე (დადებითად ხასიათდება თუ არა, სამსახური ახლად დაწყებული ხომ არა აქვს, ქმედობა ჩადენილია ფიცის მიღებამდე, თუ მის შემდეგ, როგორია მისი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება), ქმედობა უფროსის უსწორო მოქმედებით ხომ არ ყოფილა გამოწვეული და სხვ.

თეორიაში მიღებულია სამხედრო დანაშაულის დაყოფა (მათ

სპეციფიკურ თავისებურებათა და უშუალო ობიექტის გათვალისწინებით) ცხრა ჯგუფად: ასეთი დაყოფის საფუძველს წარმოადგენს სპეციალური ობიექტი, რომელიც დამახასიათებელია თითოეული ჯგუფისათვის. სახელდობრ:

1. დანაშაული ხელქვეითობისა და სამხედრო პატივის წინააღმდეგ (256-ე — 262-ე მუხლები);

2. დანაშაული სამხედრო სამსახურის გაელის წესის წინააღმდეგ (263-ე — 267-ე მუხლები);

3. დანაშაული სამხედრო ქონებასთან მოპყრობის წესის წინააღმდეგ (268-ე — 269-ე მუხლები);

4. დანაშაული სამხედრო სამსახურის სპეციალურ მოვალეობათა შესრულების წესის წინააღმდეგ (270-ე — 276-ე, 280-ე მუხლები);

5. დანაშაული სამხედრო საიდუმლოების დაცვის წესის წინააღმდეგ (277-ე მუხლი);

6. დანაშაული უფროსის ან თანამდებობის პირის მიერ სამხედრო მმართველობის დარგში სპეციალური ფუნქციის შესრულების წესის წინააღმდეგ (278-ე მუხლი);

7. დანაშაული ბრძოლის ველზე და საბრძოლო ვითარებაში სამხედრო სამსახურის შესრულების წესის წინააღმდეგ (279-ე, 281-ე — 282-ე, 284-ე — 285-ე მუხლები);

8. დანაშაული ომის კანონებისა და ადათების წინააღმდეგ (286-ე — 287-ე მუხლები);

9. ტყვეობაში მყოფი სამხედრო მოსამსახურის დანაშაულებრივი მოქმედება (283-ე მუხლი).

§ 2. დანაშაული ხელქვეითობისა და სამხედრო პატივის წინააღმდეგ

ა. **ურჩობა.** საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდება მოითხოვს ყოველი სამხედრო მოსამსახურისაგან მეთაურისა და უფროსის ბრძანების უყოყმანოდ, ზუსტად და ვადაზე შესრულებას. უფროსის ბრძანება კანონია ხელქვეითისათვის. ამ განუხრელი წესის მკცრეოდენ დარღვევასაც კი შეუძლია ზიანი მიაყენოს სამხედრო დისციპლინას, ნაწილის ბრძოლისუნარიანობას.

ამ დარგში ჩადენილი დანაშაულის ერთ-ერთ მძიმე სახეს წარმოადგენს ურჩობა, ე. ი. აშკარა უარი უფროსის ბრძანების შესრულებაზე, აგრეთვე ბრძანების სხვაგვარი განზრახ შეუსრულებლობა, გათვალისწინებული სს კოდექსის 256-ე მუხლში.

ამ დანაშაულის უშუალო ობიექტს წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის ვალდებულება უყოყმანოდ დაემორჩილოს უფროსის ბრძანებას.

უფროსი არის პირი, რომელსაც მუდმივად ან დროებით ემორჩილებიან სხვა სამხედრო მოსამსახურეები მის მიერ დაკავებული თანამდებობის ან მინიჭებული სამხედრო წოდების ძალით. ყოველ ცალკე შემთხვევაში იმ საკითხის წამოჭრისას, არსებობდა თუ არა სამხედრო მოსამსახურეთა შორის დაქვემდებარების ურთიერთდამოკიდებულება, უნდა მიემართოთ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შინასამსახურის წესდებას (მე-10 — მე-14 მუხლები) და სადისციპლინო წესდებას (მე-6 — მე-7, 69-ე — 71-ე მუხლები).

ბრძანება ამ შემთხვევაში ნიშნავს უფროსის მიმართვას ქვემდგომისადმი წინადადებით—შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება ან თავი შეიკავოს მისი შესრულებისაგან. ბრძანება შეიძლება გაიცეს წერილობით ან სიტყვიერად, ტელეფონით ან რადიოთი და ა. შ. ბრძანების ფორმას არა აქვს მნიშვნელობა დანაშაულის კვალიფიკაციისათვის.

ხელქვეითი სამხედრო მოსამსახურე, რომელიც ზუსტად და ვადაზე შეასრულებს უფროსის ბრძანებას, არ არის პასუხისმგებელი ასეთი ბრძანების შესრულების შედეგისათვის. პასუხისმგებლობა შედეგისათვის მთლიანად მის გამცემ უფროსს ეკისრება. ამ საერთო წესიდან დაშვებულია შემდეგი გამონაკლისი: ხელქვეითი პასუხს აგებს უფროსთან ერთად ისეთი ბრძანების შესრულებაზე, რომელიც თვით ხელქვეითის წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივია. ასეთ შემთხვევაში დანაშაულებრივი ბრძანების შემსრულებელი არსებითად წარმოადგენს თანამონაწილეს დანაშაულის ჩადენაში.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება აშკარა უარში უფროსის ბრძანების შესრულებაზე, აგრეთვე ბრძანების სხვაგვარ განზრახ შეუსრულებლობაში. აშკარა უარი ბრძანების შესრულებაზე მდგომარეობს მაშინ, რომ ხელქვეითი ცხადად, საგანგებოდ გამოამჟღავნებს თავის სურვილს არ შეასრულოს მისთვის ნაბრძანები მოქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული მოქმედების შესრულებისაგან. ბრძანების სხვაგვარი განზრახ შეუსრულებლობა არის მაშინ, როდესაც ხელქვეითი, მიიღებს რა უფროსის ბრძანებას, ისე მოიქცევა, თითქოს სურს მისი შესრულება, მაგრამ სინამდვილეში შეგნებულად არ ასრულებს მას და ამით შეცდომაში შეჰყავს უფროსი.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი სახის სამხედრო მოსამსახურე (რიგითი ან სერჟანტთა შემადგენლობისა თუ ოფიცერი), მაგრამ აუცილებლად უფროსისადმი დაქვემდებარებულ, ხელქვეით პირობებში მყოფი.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული (რო-

გორც ურჩობა, ასევე ბრძანების სხვაგვარი განზრახ შეუსრულებლობა) ხასიათდება მხოლოდ განზრახი ბრალით (როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი სახის).

სს კოდექსის 256-ე მუხლის „ა" პუნქტში მოცემულია დანაშაულის მარტივი სახე, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე. „ბ" პუნქტი ითვალისწინებს იმავე ქმედობას, თუ იგი ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ ან თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა. ჯგუფი ამ შემთხვევაში ნიშნავს ორ ან მეტ სამხედრო მოსამსახურეს, რომლებმაც ერთობლივად და ერთდროულად გასწიეს ურჩობა ან სხვაგვარად განზრახ არ შეასრულეს ბრძანება, თუნდაც მათ შორის არც ყოფილიყო წინასწარი შეთანხმება. მძიმე შედეგი ყოველ ცალკე შემთხვევაში დადგენილი უნდა იქნეს საგამომძიებლო-სასამართლო ორგანოების მიერ. შეიძლება სანიმუშოდ აღინიშნოს, რომ მძიმე შედეგად განიხილება სამხედრო ტექნიკისა და სხვა სახის ქონების განადგურება, სამხედრო ნაწილის ბრძოლისუნარიანობის შესუსტება, მნიშვნელოვანი დავალების შესრულების ჩაშლა და ა. შ. სასჯელი 256-ე მუხლის „ბ" პუნქტით— თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ათ წლამდე.

დაბოლოს, იმავე მუხლის „გ" პუნქტის ძალით, ურჩობა, რომელიც ჩადენილია ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, ისჯება სიკვდილით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

ბ. ბრძანების შეუსრულებლობა. სს კოდექსის 257-ე მუხლი ითვალისწინებს უფროსის ბრძანების შეუსრულებლობას, უკეთუ არ არის ამ კოდექსის 256-ე მუხლის „ა" პუნქტით მითითებული ნიშნები. ამრიგად, განსახილველი დანაშაული არ გულისხმობს არც ურჩობას (ე. ი. აშკარა უარს უფროსის ბრძანების შესრულებაზე) და არც ბრძანების სხვაგვარ განზრახ შეუსრულებლობას. მაშასადამე, 257-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას ბრძანების შეუსრულებლობისათვის მხოლოდ გაუფრთხილებლობით. იქნება ეს დაუდევრობის თუ თვითიმედოვნების სახით.

ობიექტი და სუბიექტი განსახილველი დანაშაულისა იგივეა, რაც 256-ე მუხლში მოცემული დანაშაულისა. განსხვავება ამ ორ დანაშაულს შორის, როგორც აღნიშნული იყო, მდგომარეობს ძირითადად სუბიექტურ მხარეში.

ბრძანების შეუსრულებლობის მარტივი სახე 257-ე მუხლის „ა" პუნქტის ძალით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამი თვიდან სამ წლამდე, ხოლო იგივე ქმედობა, ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებაში, „ბ" პუნქტის თანახმად, იწვევს სსრ კავშირის

შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების წესების გამოყენებას. 257-ე მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, შესაბამისად ამ მუხლის „გ“ პუნქტისა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

გ. წინააღმდეგობის გაწევა უფროსისათვის ან მისი იძულება დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა. სს კოდექსის 258-ე მუხლი ითვალისწინებს წინააღმდეგობის გაწევას უფროსისათვის, აგრეთვე სხვა პირისათვის, რომელიც ასრულებს სამხედრო სამსახურით მასზე დაკისრებულ მოვალეობას ან მის იძულებას დაარღვიოს ეს მოვალეობა.

განსახილველი დანაშაულის საშიშროება ის არის, რომ უფროსისათვის (აგრეთვე სხვა პირისათვის, რომელიც ასრულებს სამხედრო სამსახურით მასზე დაკისრებულ მოვალეობას) წინააღმდეგობის გაწევით ან მისი იძულებით — დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა — დამნაშავე, უგულებელყოფს რა სამხედრო წესდებებს და დადებულ ფიცს, არღვევს ნაწილის, გაერთიანების თუ დაწესებულების ნორმალურ საქმიანობას.

აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ამ დანაშაულის ობიექტია უფროსთა და 258-ე მუხლში მითითებულ სხვა პირთა მიერ სამხედრო სამსახურით დაკისრებული მოვალეობის დაუბრკოლებელი შესრულება, აგრეთვე მათი პიროვნებაც.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში, რომლის მიზანია ხელი შეუშალოს უფროსს ან სხვა სამხედრო მოსამსახურეს შეასრულოს სამსახურით დაკისრებული მოვალეობა ანდა აიძულოს იგი დაარღვიოს ეს მოვალეობა, შეასრულოს რაიმე უკანონო მოქმედება დამნაშავის ან სხვა პირის ინტერესისათვის.

წინააღმდეგობის გაწევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დაზარალებულის მიერ სამსახურით დაკისრებული რაიმე მოვალეობის შესრულების პროცესში, იძულებას კი — რომ მან დაარღვიოს ეს მოვალეობა — შეიძლება ადგილი ექნეს როგორც იმ პირის მიმართ, რომელმაც უკვე შეასრულა სამხედრო სამსახურით დაკისრებული რაიმე მოვალეობა, ასევე იმ პირის მიმართ, რომელმაც ასეთი მოვალეობა მომავალში უნდა შეასრულოს. იძულება შეიძლება იყოს ფიზიკურიც და ფსიქიკურიც, თან ერთოდეს ძალადობის გამოყენება გარტყმის, ცემის, სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანების სახით (258-ე მუხლის „ა“ პუნქტით დასაკვალიფიცი-

რებლად) ან კიდევ — სხეულის მძიმე დაზიანების სახით (იმავე მუხლის „ბ“ პუნქტით დასაკვალიფიცირებლად).

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს ყოველი სამხედრო მოსამსახურე.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული მხოლოდ პირდაპირი განზრახი ბრალით ხასიათდება.

დანაშაულის მარტივი სახე, 258-ე მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე. „ბ“ პუნქტი ითვალისწინებს დანაშაულის კვალიფიციურ სახეს. დამამძიმებელ გარემოებად კანონი თვლის იგივე ქმედობას, თუ იგი ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ ან იარაღის გამოყენებით, ან — თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა. ჯგუფის ცნება არაერთხელ იყო ზემოთ განმარტებული. იარაღის გამოყენება ნიშნავს იარაღით სარგებლობას იმ პირზე ზეგავლენის მოსახდენად, რომელიც სამხედრო სამსახურით დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა. ამასთან შესაძლოა იარაღით დაზარალებულისათვის მიყენებულია სხეულის დაზიანება; უკეთუ ასეთმა დაზიანებამ დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია და ასეთი შედეგის მიმართ დამნაშავის სუბიექტური დამოკიდებულება გაუფრთხილებელი ბრალით ხასიათდება, მან პასუხი უნდა აგოს დანაშაულთა ერთობლიობის წესით სს კოდექსის 258-ე მუხლის „ბ“ პუნქტით და 110-ე მუხლის მეორე ნაწილით. აღსანიშნავია, რომ იარაღად ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ არა მარტო ის იარაღი, რომლითაც სამხედრო ნაწილია შეიარაღებული (შაშხანა, ავტომატი, პისტოლეტი, ხელყუმბარა და ა. შ.), არამედ აგრეთვე ყველა სხვა სახის ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი (სანადირო თოფი, ფინური დანა, ხანჯალი და სხვ.).

სასჯელი 258-ე მუხლის „ბ“ პუნქტით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ათ წლამდე.

დაბოლოს, 258-ე მუხლის „გ“ პუნქტის ძალით, ამავე მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა, თუ იგი დაკავშირებულია უფროსის ან იმ პირის განზრახ მკვლელობასთან, რომელიც სამხედრო სამსახურის მოვალეობას ასრულებს, ან ჩადენილი იყო ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, ისჯება სიკვდილით ან თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე.

დ. მუქარა უფროსის მიმართ. სს კოდექსის 259-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას მოკვლის, სხეულის დაზიანების ან ცემის მუქარისათვის უფროსის მიმართ მის მიერ სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით.

ამ დანაშაულის ო ბ ი ე ქ ტ ი ა სამხედრო დისციპლინა, სამხედ-

რო მოსამსახურის მოვალეობა დაემორჩილოს უფროსს, აგრეთვე უფროსის პიროვნება.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში, სახელდობრ, მოკვლის, სხეულის დაზიანების ან ცემის მუქარაში უფროსის მიმართ. სხვა შინაარსის მუქარა (მაგ., გამაწბილებელი ცნობების გახმაურების, ქონების განადგურების და ა. შ.) განსახილველი დანაშაულის შედგენილობას ვერ მოგვცემს. ასევე ამ დანაშაულის შედგენილობა არ ითვალისწინებს მუქარას სხვა, ე. ი. დამნაშავის არა უფროსი სამხედრო მოსამსახურის მიმართ; მუქარა მიმართული უნდა იყოს მხოლოდ უფროსის მიმართ და ისიც უკანასკნელის მიერ სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით.

მუქარა შეიძლება გამოხატულ იქნეს სხვადასხვა ფორმაში (სიტყვიერი, წერილობითი და ა. შ.), ამასთან იგი უნდა იყოს რეალური.

განსახილველი დანაშაული დამთავრებულად ითვლება მუქარის გამოთქმის მომენტიდან (პირადად უფროსისათვის თუ მის დაუსწრებლად სხვა პირთა წინაშე), იმისდა მიუხედავად, მუქარის შედეგად დამნაშავემ მიაღწია თუ არა თავის მიზანს (მაგალითად, იმას, რომ უფროსი მუქარის შედეგად იძულებული გახდა შეესრულებინა სამხედრო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგო რაიმე მოქმედება).

მუქარის განხორციელების შემთხვევაში დამნაშავე პასუხს აგებს 258-ე ან 260-ე მუხლის ძალით (იმისდა მიხედვით, ჩადენილია მკვლელობა, სხეულის დაზიანება თუ ცემა).

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი სამხედრო მოსამსახურე, მაგრამ აუცილებლად ხელქვეითი იმ პირისა, რომელსაც ემუქრება.

სუბიექტურ მხრივ დანაშაული მხოლოდ განზრახი ბრალით ხასიათდება. მოტივს, როგორც წესი, წარმოადგენს უკმაყოფილება უფროსის საერთო სამსახურებრივი საქმიანობით და არა კერძო, პირადი ურთიერთობა.

დანაშაულის მარტივი სახე 259-ე მუხლის „ა" პუნქტის ძალით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამი თვიდან სამ წლამდე. იგივე ქმედობა, ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებებში, „ბ" პ. საფუძველზე იწვევს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების გამოყენებას. „ა" პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითა-

რებაში, „გ“ პუნქტის თანახმად ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

ე. ძალმომრეობითი მოქმედება უფროსის მიმართ. სს კოდექსის 260-ე მუხლი ითვალისწინებს სხეულის დაზიანებას ან ცემას უფროსისა მის მიერ სამხედრო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით.

ამ დანაშაულის უშუალო ობიექტს წარმოადგენს სამხედრო დისციპლინა, უფროსის ჯანმრთელობა და სხეულის ხელშეუხებლობა.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება უფროსის სხეულის დაზიანებაში ან ცემაში მის მიერ სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით. სხეულის დაზიანება შეიძლება იყოს როგორც მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე, ასევე მძიმეც. უკეთუ ეს ქმედობა ჩადენილია უფროსის მიმართ არა მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, არამედ პირადი ურთიერთობის საფუძველზე (მაგ., ეჭვიანობის და ა. შ.), გამოყენებულ უნდა იქნეს შესაბამისი მუხლი პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის თავიდან.

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი სამხედრო მოსამსახურე (რიგითი თუ ოფიცერთა შემადგენლობის), მაგრამ აუცილებლად დაზარალებულის ხელქვეითი.

სუბიექტური მხრივ დანაშაული მხოლოდ განზრახი ბრალით ხასიათდება.

უკეთუ ძალმომრეობითი მოქმედების შედეგად უფროსი გარდაიცვალა, ქმედობა დაკვალიფიცირდება 260-ე მუხლის „ბ“ პუნქტით და 110-ე მუხლის მეორე ნაწილით. ასეთი კვალიფიკაცია დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც დამნაშავე, ახორციელებდა რა უფროსის მიმართ ძალმომრეობით მოქმედებას (სხეულის დაზიანებას, ცემას) განზრახ, მძიმე შედეგისადმი (ამ შემთხვევაში უფროსის სიკვდილი) მისი ბრალი გაუფრთხილებელი იყო. ხოლო უკეთუ სამხედრო მოსამსახურის მიერ ჩადენილია განზრახი მკვლელობა, დაკავშირებული უფროსისათვის წინააღმდეგობის გაწევასთან ან მის იძულებასთან დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა, დამნაშავე პასუხს აგებს 258-ე მუხლის „გ“ პუნქტით. ამ ნიშნების გარეშე უფროსის განზრახ მკვლელობა მის სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებით დაკვალიფიცირდება 104-ე მუხლის მე-3 პუნქტით.

უფროსის მიმართ ძალმომრეობით მოქმედების მარტივი სახე 260-ე მუხლის „ა“ პუნქტით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ათ წლამდე. იმავე მუხლის „ბ“ პუნქტი ითვალისწი-

ნებს ამ დანაშაულის კვალიფიციურ სახეს. დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია ქმედობის ჩადენა ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, თუ მას მოჰყვა მძიმე შედეგი. ამრიგად, დანაშაულის 260-ე მუხლის „ბ“ პუნქტით დაკვალიფიცირებისათვის ერთდროულად უნდა არსებობდეს ორი პირობა: ა) ქმედობა ჩადენილი უნდა იყოს ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში და ბ) მას უნდა მოჰყვეს მძიმე შედეგი. მძიმე შედეგად ჩაითვლება უფროსის სიკვდილი (გაუფრთხილებლობით), ქვეგანაყოფის დეზორგანიზაცია, დავალების შესრულების ჩაშლა და ა. შ.

სასჯელი 260-ე მუხლის „ბ“ პუნქტით — სიკვდილით დასჯა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე.

3. ხელქვეითის მიერ უფროსისა და უფროსის მიერ ხელქვეითის შეურაცხყოფა. შეიარაღებული ძალების შინაგანი სამსახურისა და სადისციპლინო წესდებები მოითხოვენ, რომ სამხედრო მოსამსახურეები ურთიერთდამოკიდებულებისას იჩენდნენ ზრდილობასა და თავდაჭერილობას, ესალმებოდნენ ერთმანეთს სამხედრო წესით, რაც სამხედრო დისციპლინის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, ერთი სამხედრო მოსამსახურის მიერ მეორისათვის შეურაცხყოფის მიყენება ხელყოფს არა მარტო ადამიანის პატივსა და ღირსებას, არამედ გარკვეულ პირობებში სამხედრო სამსახურის შესრულების წესსაც, სამხედრო დისციპლინას და განიხილება სამხედრო დანაშაულად.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს თანაბარი დაცვა როგორც უფროსის, ასევე ხელქვეითის ადამიანური ღირსებისა.

სს კოდექსის 261-ე მუხლი ითვალისწინებს ხელქვეითის მიერ უფროსის ან უმცროსის მიერ უფროსის, აგრეთვე უფროსის მიერ ხელქვეითის ან უფროსის მიერ უმცროსის შეურაცხყოფას, როცა ერთ-ერთი მათგანი მაინც ასრულებს სამხედრო სამსახურის მოვალეობას.

უკეთუ არც დაზარალებული და არც დამნაშავე არ იმყოფებოდნენ სამსახურის მოვალეობის შესრულების პირობებში, პასუხისმგებლობა შეურაცხყოფისათვის განისაზღვრება საერთო წესით, 138-ე მუხლის საფუძველზე. ასევე დაკვალიფიცირდება სამხედრო მოსამსახურის მიერ კერძო პირის და კერძო პირის მიერ სამხედრო მოსამსახურის შეურაცხყოფა.

შეურაცხყოფა, გათვალისწინებული 261-ე მუხლში, უნდა გავიგოთ ისევე, როგორც 138-ე მუხლშია განმარტებული (პიროვნების

პატიოსნისა და ღირსების განზრახ დამცირება, გამოხატული უწესო ფორმით).

ამ დანაშაულის ობიექტია ყოველი სამხედრო მოსამსახურის მოვალეობა — დაიცვას სამხედრო პატივისა და ზრდილობის წესები, მეორე სამხედრო მოსამსახურის ადამიანური ღირსება.

ობიექტური მხრივ დანაშაული, გათვალისწინებული 261 მუხლის „ა" პუნქტში, გამოიხატება შეურაცხყოფაში სიტყვით ან არაძალმომრეობითი მოქმედებით. სიტყვით შეურაცხყოფა შეიძლება მოხდეს როგორც სიტყვიერად, ასევე წერილობით, ხოლო არაძალმომრეობითი მოქმედებით შეურაცხყოფად უნდა გავიგოთ უწესო სხეულმოძრაობა და ნიშნები, შეურაცხმყოფელი გამოსახულების დამზადება, შეფურთხება და სხვ. იმავე მუხლის „გ" პუნქტი ითვალისწინებს შეურაცხყოფას ძალმომრეობითი მოქმედებით, რაც ნიშნავს გარტყმას, თავიდან ქუდის გადაგდებას და ა. შ.

სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც უფროსი, ასევე ხელქვეითი და უმცროსი სამხედრო მოსამსახურე, უკეთუ შეურაცხმყოფელი ან დაზარალებული (ერთ-ერთი მაინც) ასრულებდა სამხედრო სამსახურის მოვალეობას.

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახია, ამასთან მოტივის შინაარსს დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

უკეთუ ძალმომრეობითი მოქმედებით შეურაცხყოფისას დამნაშავის მიზანი იყო დაზარალებულისათვის ფიზიკური ტკივილისა და ტანჯვის მიყენება, ქმედობა დაკვალიფიცირდება 260-ე მუხლით.

სასჯელი 261-ე მუხლის „ა" პუნქტით (შეურაცხყოფა სიტყვით ან არაძალმომრეობით) — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამი თვიდან ექვს თვემდე, ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილი, „ბ" პუნქტის საფუძველზე, იწვევს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების წესების გამოყენებას.

შეურაცხყოფა ძალმომრეობითი მოქმედებით იმავე მუხლის „გ" პუნქტის ძალით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსი თვიდან ხუთ წლამდე.

ზ. ერთი სამხედრო მოსამსახურის მიერ მეორის შეურაცხყოფა ძალმომრეობითი მოქმედებით, როცა მათ შორის არ არის ხელქვეითობისა ან უმცროს-უფროსობის დამოკიდებულება. ეს დანაშაული, მოცემული 262-ე მუხლში, ითვალისწინებს მხოლოდ ძალმომრეობითი მოქმედებით შეურაცხყოფას, ამასთან, განსხვავებით 261-ე მუხლში მოცემული დანაშაულისაგან, აწესებს პასუხისმგებლობას ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც არც დაზარალებული

და არც დამნაშავე არ იმყოფებიან ხელქვეითობისა თუ უმცროს-უფროსობის დამოკიდებულებაში (სუბიექტს დაზარალებულის თანაბარი სამსახურებრივი მდგომარეობა და სამხედრო წოდება აქვს). რადგან, როგორც აღნიშნული იყო, 262-ე მუხლით დაკვალიფიცირდება მხოლოდ ძალმომრეობითი მოქმედებით შეურაცხყოფა, უნდა დავასკვნათ, რომ უკეთუ დასახელებულ პირთა შორის ადგილი ჰქონდა სიტყვით ან არაძალმომრეობითი მოქმედებით შეურაცხყოფას, დამნაშავე პასუხს აგებს საერთო წესით 138-ე მუხლის საფუძველზე.

სასჯელი ერთი სამხედრო მოსამსახურის მიერ მეორის შეურაცხყოფისათვის ძალმომრეობითი მოქმედებით, როცა მათ შორის არ არის ხელქვეითობისა თუ უმცროს-უფროსობის დამოკიდებულება — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამი თვიდან ერთ წლამდე (262-ე მუხლის „ა" პ.). იგივე ქმედობა, ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებებში, იწვევს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საღისციპლინო წესდების წესების გამოყენებას.

§ 3. დანაშაული სამხედრო სამსახურის გავლის წესის წინააღმდეგ

მოქმედი სს კოდექსი ითვალისწინებს სხვადასხვა სახის დანაშაულს, მიმართულს სამხედრო სამსახურისაგან თავის არიდებისაკენ. სახელდობრ: 1) დეზერტირობას (265-ე მუხლი), 2) ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვებას (264-ე მუხლი), 3) თვითნებურად წასვლას (263-ე მუხლი), 4) სამხედრო სამსახურისაგან თავის არიდებას ასოთდაზიანების გზით ან სხვა საშუალებით (267-ე მუხლი), 5) ნაწილის თვითნებურად დატოვებას საბრძოლო ვითარებაში (266-ე მუხლი).

ყველა ამ დანაშაულს საერთო აქვს სპეციალური ობიექტი— სამხედრო მოსამსახურის კონსტიტუციური მოვალეობა—იმსახუროს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში და სსრ კავშირის თავდაცვის ინტერესები.

ა. **დეზერტირობა.** პასუხისმგებლობა დეზერტირობისათვის გათვალისწინებულია სს კოდექსის 265-ე მუხლში. დეზერტირობა ნიშნავს ჯარის ნაწილის ან სამსახურის ადგილის დატოვებას იმ მიზნით, რომ თავი აარიდოს სამხედრო სამსახურს, აგრეთვე — ამავე მიზნით სამსახურში გამოუცხადებლობას დანიშვნის, გადაყვანის დროს, მივლინებიდან, შვებულებიდან ან სამკურნალო დაწესებულებიდან.

დეზერტირობის უშუალო ობიექტია სამხედრო მოსამსახუ-

რის მოვალეობა—იმსახურეს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში და სამხედრო დისციპლინა.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება: 1) სამხედრო ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად, სათანადო ნებართვის გარეშე დატოვებაში იმ მიზნით, რომ თავი აარიდოს სამხედრო სამსახურს; 2) ამავე მიზნით სამსახურში გამოუცხადებლობაში მას შემდეგ, რაც სამხედრო მოსამსახურემ მიიღო ბრძანება დანიშვნის ან გადაყვანის შესახებ, აგრეთვე მივლინების, შვებულების ვადის გასვლის ან სამკურნალო დაწესებულებიდან გამოწერის შემდეგ.

დეზერტირობა დენადი დანაშაულია. იგი იწყება იმ მომენტიდან, როდესაც სამხედრო მოსამსახურემ დატოვა ნაწილი ან სამსახურის ადგილი (ან არ გამოცხადდა დანიშვნის, გადაყვანის დროს, მივლინებიდან და ა. შ.) იმ მიზნით, რომ თავი აარიდოს სამხედრო სამსახურს, ხოლო დამთავრდება დამნაშავის დაკავების ან ნებაყოფლობით დაბრუნების მომენტში. თუ რა დრო დაჰყო დამნაშავემ ნაწილის ან სამსახურის ადგილის გარეთ, ამას დეზერტირობის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

სუბიექტი დეზერტირობისა შეიძლება იყოს ყოველი სამხედრო მოსამსახურე (როგორც რიგითი, სერჟანტთა, ასევე ოფიცერთა შემადგენლობის).

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით და მიზნით—სამუდამოდ ან ხანგრძლივად აარიდოს თავი სამხედრო სამსახურის შესრულების მოვალეობას.

უკეთუ დამნაშავე ამ მიზანს არ ისახავდა, მისი ნაწილში (ან სამსახურის ადგილზე) არყოფნის ხანგრძლიობასთან დაკავშირებით, მისი ქმედობა ჩაითვლება თვითნებურად წასვლად (263-ე მუხლი) ან ნაწილის თუ სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვებად (264-ე მუხლი).

აღნიშნული მიზნის არსებობა ასხვავებს დეზერტირობას თვითნებურად წასვლისაგან (263-ე მუხლი) და ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვებისაგან (264-ე მუხლი).

სსკ კოდექსის 265-ე მუხლის „ა“ პუნქტი ითვალისწინებს დეზერტირობას, რომელიც ჩაიდინა ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურემ და სჯის თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე, ხოლო იგივე ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს, „ბ“ პუნქტის ძალით ისჯება სიკვდილით ან თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან ათ წლამდე.

იმავე მუხლის „გ“ პუნქტი ითვალისწინებს დეზერტირობას, ჩადენილს ოფიცერთა შემადგენლობის პირის ან ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურის მიერ და სჯის თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან შვიდ წლამდე, ხოლო იგივე მოქმედებას, ჩადენილს ომიანობის დროს, „დ“ პუნქტი სჯის სიკვდილით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

ბ. ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვება. განსახილველი დანაშაული გათვალისწინებულია სსს კოდექსის 264-ე მუხლში. მისი ობიექტი და სუბიექტი ისეთივეა, როგორიც ზემოგანხილული დეზერტირობის შედგენილობისა.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვებაში ან ვადაზე გამოუცხადებლობაში სამსახურში საპატიო მიზეზის გარეშე ნაწილიდან დათხოვნის, დანიშვნის, გადაყვანის დროს მივლინებიდან, შვებულებიდან ან სამკურნალო დაწესებულებიდან სამ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლიობით ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურის მიერ და ათ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლიობით (ხოლო ომიანობის დროს—ერთ დღე-ღამეზე მეტი ხნით) ოფიცერთა შემადგენლობის პირის ან ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურის მიერ.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წესდებათა ძალით, ჯარისკაცი, მატროსი და სერჟანტი მუდმივად უნდა იმყოფებოდნენ თავიანთ ყაზარმებსა და გემებზე. ამ კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეებს შეუძლიათ დატოვონ თავიანთი სამსახურის ადგილმდებარეობა მხოლოდ სამხედრო სამსახურის დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებით ან კიდევ უფროსის შესაბამისი ნებართვის საფუძველზე.

ოფიცერთა შემადგენლობის პირისათვის და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურისათვის არ არის სავალდებულო ყაზარმებსა და გემებზე ცხოვრება, იქ მუდმივი ყოფნა. მათ უფლება აქვთ სამსახურის შესრულებისაგან თავისუფალი დრო განკარგონ თავისი სურვილისამებრ. დასახელებულ პირთ არ შეუძლიათ მხოლოდ საათანადო ნებართვის გარეშე დატოვონ დასახლებული პუნქტი თუ ადგილი, სადაც განლაგებულია მათი ნაწილი. ამით აიხსნება, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ოფიცერთა და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისათვის ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვების შემთხვევაში მხოლოდ მაშინ დადგება, თუ იგი გაგრძელდა ათ დღე-ღამეზე მეტი ხნით (ომიანობის დროს ერთ დღე-ღამეზე მეტი ხნით), მაშინ როდესაც

ვადიანი სამხედრო მოსამსახურისათვის ეს ვადა განისაზღვრება სამ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლიობით.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ ნაწილის თვითნებურად დატოვება ხდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ უფროსის ნებართვის გარეშე ტოვებს ნაწილს ან სამსახურის ადგილს და სურს ასე მოიქცეს; ვადაზე გამოუცხადებლობა სამსახურში დანიშვნის, გადაყვანის დროს მივლინებიდან, შვებულებიდან ან სამკურნალო დაწესებულებიდან შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით.

264-ე მუხლში მოცემული დანაშაული განსხვავდება დეზერტირობისაგან (265-ე მუხლი) მით, რომ სუბიექტი სამხედრო სამსახურისათვის სავსებით (ან ხანგრძლივად) თავის არიდებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ მხოლოდ განსაზღვრული ვადით.

სს კოდექსის 264-ე მუხლის „ა" პუნქტი ითვალისწინებს ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურის მიერ ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვებას, აგრეთვე მის ვადაზე გამოუცხადებლობას სამსახურში საპატიო მიზეზების გარეშე სამ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლიობით. სასჯელი—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან ხუთ წლამდე. იგივე მოქმედება, ჩადენილი ომიანობის დროს, „ბ" პუნქტის ძალით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

იმავე მუხლის „გ" პუნქტის თანახმად ოფიცერთა შემადგენლობის პირი ან ზეადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურე ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვებისათვის, აგრეთვე სამსახურში მისი ვადაზე გამოუცხადებლობისათვის საპატიო მიზეზების გარეშე ათ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლიობით დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე, ხოლო აღწერილი ქმედობისათვის, ჩადენილი ომიანობის დროს, თუ თვითნებურად არყოფნა გრძელდებოდა ერთ დღე-ღამეზე მეტ ხანს, „დ" პუნქტის საფუძველზე — თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

გ) თვითნებურად წასვლა. სს კოდექსის 263-ე მუხლი ითვალისწინებს ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურის თვითნებურად წასვლას ნაწილიდან ან სამსახურის ადგილიდან, აგრეთვე მის ვადაზე გამოუცხადებლობას სამსახურში საპატიო მიზეზის გარეშე (დათხოვნის, დანიშვნის, გადაყვანის დროს, მივლინებიდან და ა. შ.) ერთ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლიობით, მაგრამ არა უმეტეს სამი დღე-ღამისა, ან თუნდაც ერთ დღე-ღამეზე ნაკლები ხანგრძლიობით, მაგრამ ჩადენილს განმეორებით სამი თვის განმავლობაში.

ობიექტი ამ დანაშაულისა იგივეა, რაც 264-ე მუხლში გათვალისწინებული ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვებისა. საესებით ემთხვევა აგრეთვე ერთიმეორეს ამ ორი დანაშაულის შედგენილობის ობიექტური მხარე. განსხვავება ამ მხრივ მხოლოდ ნაწილის ან სამსახურის ადგილის გარეშე ყოფნის ვადაშია. განსაზღვეული დანაშაულის შედგენილობისათვის საკმარისია ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურის თვითნებური წასვლა ნაწილიდან ან სამსახურის ადგილიდან, აგრეთვე მისი ვადაზე გამოუცხადებლობა სამსახურში საპატიო მიზეზების გარეშე ერთ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლიობით, მაგრამ არა უმეტეს სამი დღე-ღამისა, ან თუნდაც ერთ დღე-ღამეზე ნაკლები ხანგრძლიობით, მაგრამ ჩადენილი განმეორებით სამი თვის განმავლობაში. თუ ნაწილიდან თვითნებური წასვლა ან სამსახურში გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზის გარეშე სამ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლიობით იყო ჩადენილი, პასუხისმგებლობა განისაზღვრება 264-ე მუხლით.

თვითნებურად წასვლა განმეორებით ნიშნავს ორჯერ და მეტჯერ თვითნებურ წასვლას (ან სამსახურში ვადაზე გამოუცხადებლობას) სამი თვის გასვლამდე პირველად ჩადენილი თვითნებური წასვლის მომენტიდან. ამასთან აღსანიშნავია, რომ უკეთუ ასეთი ქმედობა ჩადენილია ორჯერ (და მეტჯერ) ერთი დღე-ღამის განმავლობაში, იგი ჩაითვლება მხოლოდ დისციპლინურ გადაცდომად, რადგან, 263-ე მუხლის ძალით, თვითნებური წასვლა ერთი დღე-ღამის ფარგლებში დანაშაულად არ განიხილება.

თვითნებური წასვლის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურე (როგორც რიგითი, ასევე სერჟანტთა შემადგენლობისა). ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურე და ოფიცერი თვითნებური წასვლისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცემა.

სუბიექტური მხრივ თვითნებური წასვლა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ვადაზე გამოუცხადებლობას კი შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით.

სასჯელი თვითნებური წასვლისათვის 263-ე მუხლის „ა“-პუნქტით—სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა ვადით სამი თვიდან ორ წლამდე; „ბ“ პუნქტით, ომიანობის დროს ჩადენილი იგივე ქმედობისათვის—თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან ათ წლამდე. იმავე მუხლის „გ“ პუნქტი ითვალისწინებს თვითნებურ წასვლას, ჩადენილს სამხედრო მოსამსახურის მიერ, რომელიც სასჯელს იხდის სადისციპლინო ბატალიონში. სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან სამ წლამდე. დაბოლოს, „დ“ პუნქტის ძალით, ქმე-

დობა, რომელიც გათვალისწინებულია 263-ე მუხლის „ა" პუნქტში, ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებებში, იწვევს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების წესების გამოყენებას[1].

დ. სამხედრო სამსახურისაგან თავის არიდება ასოთდაზიანების გზით ან სხვა საშუალებით. სს კოდექსის 267-ე მუხლი ითვალისწინებს სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებისაგან სამხედრო მოსამსახურის მიერ თავის არიდებას თავისთვის რაიმე ზიანის მიყენებით (ასოთდაზიანება) ან ავადმყოფობის სიმულაციით, ყალბი დოკუმენტის გაკეთებით ან სხვაგვარად მოტყუებით, აგრეთვე უარს სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებაზე.

განსახილველი დანაშაულისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ, ჯერ ერთი, სამხედრო მოსამსახურე კი არ ტოვებს ნაწილს, სამსახურის ადგილს, არამედ სამსახურში ყოფნის პირობებში ცდილობს თავი აარიდოს სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებას და, მეორეც, ის, რომ დამნაშავე შეიძლება მიზნად ისახავდეს როგორც სამხედრო სამსახურისაგან საერთოდ და მთლიანად თავის არიდებას, ასევე ამ სამსახურის ცალკეული მოვალეობის (მაგალითად, საყარაულო სამსახურის მოვალეობის) შესრულებისაგან თავის არიდებას ან ხანმოკლე შვებულების მიღებას.

როგორც 267-ე მუხლის დისპოზიციაშია მითითებული, დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი საშუალებით:

1. ასოთდაზიანებით. ასოთდაზიანება მდგომარეობს თავისი სხეულის რომელიმე ორგანოს ან ქსოვილის შეგნებულად დაზიანებაში, რაც გამოიწვევს მათი ანატომიური მთლიანობის ან ფუნქციის მოშლას. ასოთდაზიანება შეიძლება განხორციელდეს მექანიკური (მაგალითად, ხელის თითების გადაჭრა), ქიმიური (რაიმე შხამით თავის მოწამვლა), თერმიული (სიდამწვრე რომელიმე ორგანოსი ან მთელი სხეულისა) და სხვ. საშუალებით.

2. ავადმყოფობის სიმულაციით. ავადმყოფობის სიმულაცია ნიშნავს დამნაშავის ჩივილს არარსებულ დაავადებაზე ან ისეთ ფიზიკურ ნაკლზე, რაც მას სინამდვილეში არა აქვს. სიმულაციას უთანაბრდება აგრავაციაც, ე. ი. სათანადო დაავადების ნიშნების გაზვიადება.

3. ყალბი დოკუმენტების გაკეთებით. ამ საშუალებით სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებისაგან თავის არიდება შეიძ-

---

[1] პუნქტი „დ" 263-ე მუხლს დაემატა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 აპრილის ბრძანებულების საფუძველზე.

ლება გამოიხატოს უფროსისათვის ისეთი ყალბი დოკუმენტის (სულ-ერთია, იგი გაკეთებულია დამნაშავის თუ სხვა პირის მიერ) წარდგენით, რომლის შინაარსიც შეიძლება საფუძველი გახდეს სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებისაგან მუდმივად ან დროებით განთავისუფლებისათვის (მაგალითად, წლოვანების შესახებ ყალბი მოწმობისა სამხედრო სამსახურიდან ვადამდე გასათავისუფლებლად, ახლო ნათესავის ვითომდა გარდაცვალების შესახებ გამოგზავნილ ცრუ დეპეშისა შვებულების მიღების მიზნით და ა. შ.).

4. სხვაგვარად მოტყუებით. ასეთად განიხილება დამნაშავის ყოველგვარი მოტყუებითი მოქმედება, გარდა ავადმყოფობის სიმულაციისა და ყალბი დოკუმენტის გაკეთებისა (მაგალითად, სამედიცინო შემოწმებაზე თავის მაგიერ სხვა პირის გაგზავნა).

5. დაბოლოს, განსახილველი დანაშაული ობიექტური მხრივ შეიძლება გამოიხატოს უარში სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებაზე. ასეთი უარი მდგომარეობს დამნაშავის მიერ საშკარაოდ, ნათლად და გარკვევით თავისი სურვილის (სამხედრო სამსახურის მოვალეობის შეუსრულებლობის შესახებ) გამოცხადებაში. ამასთან არა აქვს მნიშვნელობა დამნაშავემ თავისი ასეთი სურვილი დაასაბუთა რაიმეთი (მაგალითად, რელიგიური რწმენით) თუ—არა.

უკეთუ უარი შეეხება უფროსის რომელიმე კონკრეტული დავალების შესრულებას (მაგალითად, მივლინებაში გამგზავრებას, ყარაულში განწესებას და ა. შ.), დამნაშავეს შეეფარდება 256-ე მუხლი. რადგან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა საერთოდ სამხედრო მოვალეობის შესრულებაზე უართან, არამედ ბრძანების ფორმით გამოსახულ უფროსის მოთხოვნის შესრულებაზე აშკარა უართან, ე. ი. ურჩობასთან.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი სამხედრო მოსამსახურე (რიგითი, სერჟანტთა, ოფიცერთა შემადგენლობისა), ხოლო ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ იგი ხასიათდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით და მიზნით—მუდმივად ან დროებით, მთლიანად ან ნაწილობრივ თავი აარიდოს სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებას. ამიტომ სამხედრო მოსამსახურის მიერ თავისი სხეულის დაზიანება გაუფრთხილებლობით (თუნდაც მან გამოიწვიოს ამ პირის სამსახურიდან დათხოვნა) დანაშაულის შედგენილობას ვერ მოგვცემს.

სასჯელი 267-ე მუხლის „ა" პუნქტით—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან შვიდ წლამდე. იგივე ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, იმავე მუხლის „ბ" პუნქტის

ძალით ისჯება სიკვდილით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

ე. ნაწილის თვითნებურად დატოვება საბრძოლო ვითარებაში. სამხედრო დანაშაულთა ამ ჯგუფის ყველაზე საშიშ დანაშაულს წარმოადგენს ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვება საბრძოლო ვითარებაში, ხანგრძლიობის მიუხედავად, გათვალისწინებული სს კოდექსის 266-ე მუხლში.

განსახილველი დანაშაული გამოიხატება სამხედრო მოვალეობის შესრულებისაგან თავის არიდებაში ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვებით საბრძოლო ვითარებაში, ამასთან, როგორც თვით კანონშია აღნიშნული, ნაწილის გარე ყოფნის ხანგრძლიობას დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს. 266-ე მუხლი ვერ იქნება გამოყენებული ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვებისას, თუ არ არსებობს საბრძოლო ვითარება (რის შეგნებაც უნდა ჰქონდეს დამნაშავეს).

რადგან კანონში მითითებულია მხოლოდ ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვებაზე, იგულისხმება, რომ ნაწილში ან სამსახურის ადგილზე ვადის გადაცილებით დაბრუნების შემთხვევაში (მივლინებიდან, სამკურნალო დაწესებულებიდან და ა. შ.) დამნაშავეს შეეფარდება არა 266-ე მუხლი, არამედ შესაბამისად 263-ე, 264-ე ან 265-ე მუხლები.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი განსახილველი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი სამხედრო მოსამსახურე (რიგითი, სერჟანტთა ან ოფიცერთა შემადგენლობისა).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ამასთან მოტივის შინაარსს მნიშვნელობა არა აქვს.

უკეთუ დანაშაული დაკავშირებულია მტრის მხარეზე გადასვლასთან, ქმედობა დაკვალიფიცირდება 65-ე მუხლით (სამშობლოს ღალატი).

დანაშაული 266-ე მუხლის ძალით ისჯება სიკვდილით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

§ 4. დანაშაული სამხედრო ქონებასთან მოპყრობის წესის წინააღმდეგ

სამხედრო ქონების, როგორც სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების მატერიალური საფუძვლის, სოციალისტური საკუთრების ერთ-ერთი ნაწილის დაცვა და ჯეროვანი მოვლა-პატრონობა ყოველი სამხედრო მოსამსახურის გარდუვალი მოვალეობაა. დანაშაულებრივი ხელყოფა სამხედრო ქონებასთან მოპყრობის წესზე, რაც დადგენილია წესდებებით, ინსტრუქციებით,

ბრძანებებით, სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოიხატოს: სს კოდექსის თავი „სამხედრო დანაშაული" ითვალისწინებს ამ დარგის მხოლოდ ორი სახის დანაშაულს, სახელდობრ: 1) სამხედრო ქონების გაფლანგვას ან დაკარგვას (268-ე მუხლი) და 2) სამხედრო ქონების განზრახ განადგურებას ან დაზიანებას (269-ე მუხლი). სამხედრო ქონებაზე ხელყოფის ისეთი ფორმები, როგორიცაა მისი გატაცება სხვადასხვა საშუალებით (ქურდობით, გაძარცვით და ა. შ.) განიხილება საერთო სახის სისხლის სამართლის დანაშაულად და გათვალისწინებულია სს კოდექსის მეორე თავში (დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ).

ა. სამხედრო ქონების გაფლანგვა ან დაკარგვა. სს კოდექსის 268-ე მუხლის „ა" პუნქტი აწესებს პასუხისმგებლობას ვადიანი სამხედრო მოსამსახურის მიერ მისთვის პირად სარგებლობაში მიცემული ტანსაცმლის ან საჭურვლის საგნების გაფლანგვისათვის (промотание), აგრეთვე ამ საგნების დაკარგვისა ან გაფუჭებისათვის მათი შენახვის წესების დარღვევის შედეგად.

გაფლანგვა, კანონის (268-ე მუხლი) მიხედვით, ნიშნავს აღნიშნული ქონების გაყიდვას, დაგირავებას ანდა სხვა პირის სარგებლობაში გადაცემას. ამ დანაშაულის შედგენილობისათვის აუცილებელია, რომ ტანსაცმელი ან საჭურვლის საგნები იმყოფებოდეს ვადიანი სამხედრო მოსამსახურის პირად სარგებლობაში ან სამხედრო სამსახურის საჭიროებისათვის მოსახმარებლად. ამიტომ უკეთუ აღწერილი ქმედობა ჩადენილია ისეთი სამხედრო მოსამსახურის მიერ, რომელსაც ტანსაცმელი გადაცემული ჰქონდა პირად საკუთრებაში და არა მხოლოდ პირად სარგებლობაში (მაგალითად, ამ სახის ქონება ოფიცერს ეძლევა სასყიდლით და გადადის მის საკუთრებაში), დანაშაულის შედგენილობა არ იქნება.

როგორც აღნიშნული იყო, 268-ე მუხლში მითითებულია ისეთი ქონების გაფლანგვაზე, რომელიც იმყოფებოდა დამნაშავის პირად დროებით ან მუდმივ სარგებლობაში. ასეთია, მაგალითად, შემთხვევა, როდესაც ჯარისკაცი გაყიდის მისთვის მოსახმარად მიცემულ ფეხსაცმელს. მაგრამ, თუ სამხედრო მოსამსახურე, რომელიც განაგებდა ფეხსაცმელების საწყობს, მიითვისებს და გაყიდის მასში არსებული მარაგიდან ფეხსაცმელს, საქმე გვექნება სამხედრო ქონების გატაცებასთან მითვისებით, რაც დაკვალიფიცირდება 94-ე მუხლით.

268-ე მუხლით გათვალისწინებული გაფლანგვა დამთავრებულად ჩაითვლება მხოლოდ სამხედრო ქონების სხვა პირთა მფლობელობაში ფაქტიურად გადასვლის მომენტიდან.

აღნიშნული მუხლის „ა“ პუნქტი ითვალისწინებს აგრეთვე მასში ჩამოთვლილი საგნების (ტანსაცმელი, საჭურვლის საგნები) დაკარგვას ან გაფუჭებას მათი შენახვის წესების დარღვევით. დაკარგვა ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ ისე, რომ სამხედრო ქონების მოვლა-პატრონობის წესების დარღვევის შედეგად ეს ქონება (მიცემული პირადი ან სამსახურებრივი მოხმარებისათვის) გამოდის სამხედრო მოსამსახურის მფლობელობიდან მისი ნება-სურვილის წინააღმდეგ (მაგალითად, გაიტაცა ბოროტმოქმედმა, დაიკარგა მისი შენახვის წესების დარღვევის შედეგად და ა. შ.), ხოლო გაფუჭება ნიშნავს იმას, რომ სამხედრო ქონება მისი შენახვის წესების დარღვევის შედეგად მთლიანად გაფუჭდა ან იმგვარად დაზიანდა, რომ შეუძლებელია მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ სამხედრო ქონების გაფლანგვა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ხოლო მისი დაკარგვა ან გაფუჭება—მხოლოდ გაუფრთხილებლობით. იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო ქონების შენახვის წესი დარღვეულია იმ მიზნით, რომ ეს ქონება გაფუჭებულიყო, ქმედობა დაკვალიფიცირდება 269-ე მუხლით (ან 69-ე მუხლით, თუ დამნაშავის მიზანს შეადგენდა საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტება).

ს უ ბ ი ე ქ ტ ი 268-ე მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურე.

სასჯელი აღნიშნული „ა“ პუნქტით — სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა ვადით სამი თვიდან ერთ წლამდე. იგივე ქმედობა, ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებაში, გამოიწვევს, იმავე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების წესების გამოყენებას, ხოლო ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში—ისჯება „გ“ პუნქტის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.

268-ე მუხლის „დ“ პუნქტი ითვალისწინებს სამსახურებრივი სარგებლობისათვის მიცემული იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, ტექნიკური მომარაგების საგნების თუ სხვა სამხედრო ქონების დაკარგვას ან გაფუჭებას მათი შენახვის წესების დარღვევის შედეგად.

ამ პუნქტში მოცემულია აღნიშნული იარაღისა და საგნების მარტოოდენ დაკარგვა ან გაფუჭება მათი შენახვის წესების დარღვევის შედეგად. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ სამხედრო მოსამსახურის მიერ იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალე-

ბების და სხვ. დასახელებული საგნების (რაც სამსახურებრივი სარგებლობისათვის იყო გაცემული) გაყიდვა ქონების გატაცების ერთ-ერთ სახედ ჩაითვლება და 94-ე მუხლით დაკვალიფიცირდება.

„დ" პუნქტში გათვალისწინებული დანაშაული ხასიათდება მხოლოდ გაუფრთხილებელი ბრალით, ხოლო მისი სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ვადიანი, ასევე ზევადიანი სამსახურისა და ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურე.

სასჯელი „დ" პუნქტით— თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან სამ წლამდე, ხოლო იგივე ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, ისჯება „ე" პუნქტის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან შვიდ წლამდე.

ბ. სამხედრო ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება. ეს დანაშაული, გათვალისწინებული 269-ე მუხლში, გამოიხატება იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის ან სხვა სამხედრო ქონების (ე. ი. ყოველი სახის სამხედრო ქონების) განზრახ განადგურებასა ან დაზიანებაში. განსხვავებით 268-ე მუხლისაგან 269-ე მუხლი გულისხმობს არა მარტო იმ ქონებას, რომელიც დამნაშავე სამხედრო მოსამსახურის პირად სარგებლობაში იმყოფებოდა, არამედ ისეთსაც, რომელიც სხვა სამხედრო მოსამსახურის სარგებლობაში იმყოფებოდა ან შენახული იყო საწყობში და ა. შ.

განადგურება ნიშნავს სამხედრო ქონების ისეთ მდგომარეობაში მოქცევას, როცა შეუძლებელი აღმოჩნდება მისი აღდგენა და დანიშნულებისამებრ გამოყენება, ხოლო დაზიანების დროს ქონება მხოლოდ ნაწილობრივ კარგავს თავის ღირებულებას და შეკეთების შემდეგ შესაძლებელი გახდება დანიშნულებისამებრ გამოყენება.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს ყოველი სამხედრო მოსამსახურე (რიგითი, სერჟანტთა, ოფიცერთა შემადგენლობისა).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული განზრახია, მაგრამ, როგორც 269-ე მუხლშია ნათქვამი, დამნაშავეს არ უნდა ახასიათებდეს საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზანი. უკანასკნელ შემთხვევაში ქმედობა ჩაითვლება დივერსიად და დაკვალიფიცირდება 69-ე მუხლით, ან, თუ ჩადენილია უცხოეთის დაზვერვის დავალებით, — 65-ე და 69-ე მუხლებით.

დანაშაულის მარტივი სახე, 269-ე მუხლის „ა" პუნქტის თანახმად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე; უკეთუ მას მძიმე შედეგები მოჰყვა, დამნაშავე „ბ" პუნქტის ძალით დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ-

წლამდე, ხოლო „ბ" პუნქტში გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, ისჯება („გ" პუნქტის საფუძველზე) თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე, ან ისჯება სიკვდილით.

§ 6. დანაშაული სამხედრო სამსახურის სპეციალურ მოვალეობათა შესრულების წესის წინააღმდეგ

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წესდებების, თავდაცვის მინისტრის ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მათ შესაბამისად გამოცემული ცალკეული ნაწილების მეთაურთა ბრძანებების საფუძველზე სამხედრო მოსამსახურეებს შეიძლება დაეკისროთ სპეციალური მოვალეობანი, გარდა სამხედრო სამსახურის საერთო მოვალეობისა.

ასეთ სპეციალურ მოვალეობათა შესრულების წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჯგუფში მოექცევა შემდეგი სახის სამხედრო დანაშაული:

1) მანქანების ტარების ან ექსპლოატაციის წესების დარღვევა (სს კოდექსის 270-ე მუხლი);

2) ფრენის ან ფრენისთვის მზადების წესების დარღვევა (271-ე მუხლი);

3) ხომალდის მართვის წესების დარღვევა (272-ე მუხლი);

4) საყარაულო სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა (273-ე მუხლი);

5) სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესების დარღვევა (274-ე მუხლი);

6) საბრძოლო მორიგეობის შესრულების წესების დარღვევა (275-ე მუხლი).

7) შინაგანი სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა (276-ე მუხლი);

8) იმ სამხედრო ხომალდის დატოვება, რომელიც იღუპება (280-ე მუხლი).

ა. მანქანების ტარების ან ექსპლოატაციის წესების დარღვევა. განსახილველი დანაშაული, გათვალისწინებული სს კოდექსის 270-ე მუხლში, აწესებს პასუხისმგებლობას საბრძოლო, სპეციალური ან სატრანსპორტო მანქანების ტარების ან ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის, რასაც მოჰყვა უბედური შემთხვევა ადამიანთა მიმართ ან სხვა მძიმე შედეგი.

დანაშაულის უშუალო ობიექტს წარმოადგენს სამხედრო

მოსამსახურის მოვალეობა საბრძოლო, სპეციალურ ან სატრანსპორტო მანქანების ტარების ან ექსპლოატაციის წესების დაცვის დარგში. კანონში აღნიშნულ მანქანებს მიეკუთვნება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ყოველი სახის ავტოჯავშანსატანკო საშუალებანი, სახელდობრ: ტანკები, თვითმავალი ქვემეხები, ჯავშანტრანსპორტერები, ავტომანქანები, მოტოციკლები და ა. შ.

270-ე მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია და ამიტომ იმ საკითხის გადასაწყვეტად, დარღვეულია თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში მანქანების ტარების ან ექსპლოატაციის წესი და რა ხასიათისაა ეს დარღვევა, საჭიროა გაცნობა იმ სპეციალური ინსტრუქციებისა და დებულებებისა, რომლებიც აწესრიგებენ აღნიშნული მანქანების ტარებისა და ექსპლოატაციის წესს. კერძოდ, ამ წესების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს მანქანის მართვის მინდობაში სხვა, ამ საქმისათვის უცხო პირისათვის, დადგენილი სიჩქარის გადამეტებაში, მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვაში, ტექნიკურად უვარგის მდგომარეობაში მყოფი მანქანის ექსპლოატაციაში და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ 270-ე მუხლით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა აღნიშნული წესების დარღვევისათვის შეიძლება დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მოჰყვა უბედური შემთხვევა ადამიანების მიმართ ან სხვა მძიმე შედეგი და ამასთან, თუ არსებობს მიზეზობრივი კავშირი ჩადენილ ქმედობასა (მოქმედებასა ან უმოქმედობას) და მძიმე შედეგს შორის. ასეთი კავშირის დაუდგენლობა, ისევე, როგორც ადამიანთა მიმართ უბედური შემთხვევის ან სხვა მძიმე შედეგის არარსებობა, გამორიცხავს პასუხისმგებლობას 270-ე მუხლით.

ადამიანთა მიმართ უბედური შემთხვევა ნიშნავს დაზარალებულის სიკვდილს ან მისთვის სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენებას, ხოლო სხვა მძიმე შედეგად უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, მანქანის დამსხვრევა, საბრძოლო დავალების შეუსრულებლობა და სხვ.

დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს მარტოოდენ ის სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც წესდებით ან უფროსის ბრძანებით დაკისრებული აქვს სპეციალური მოვალეობა. საბრძოლო, სპეციალური ან სატრანსპორტო მანქანის მუდმივად ან დროებით ტარების ან ექსპლოატაციისა და, ცხადია, აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება ამ დავალების შესასრულებლად. სამხედრო მანქანის

მძღოლი, რომელიც სამხედრო მოსამსახურე არ არის, პასუხს აგებს საერთო სისხლის სამართლის კანონით (241-ე მუხლი)[1].

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათადება განზრახი ან გაუფრთხილებელი ბრალით მანქანის ტარების ან ექსპლოატაციის წესების დარღვევის მიმართ და მხოლოდ გაუფრთხილებელი ბრალით დამდგარი მძიმე შედეგის მიმართ.

სასჯელი 270-ე მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან ათ წლამდე.

ბ. ფრენის ან ფრენისათვის მზადების წესების დარღვევა. სსკ კოდექსის 271-ე მუხლი ითვალისწინებს ფრენის ან ფრენისათვის მზადების წესების დარღვევას, რასაც კატასტროფა ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა.

ამ მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია და ყოველ ცალკე შემთხვევაში სავალდებულოა ხელმძღვანელობა ფრენისა და ფრენისათვის მზადების წესებით, დადგენილი სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში მოქმედი ბრძანებებითა და ინსტრუქციებით.

პირის 271-ე მუხლით პასუხისგებაში მისაცემად საჭიროა იმის დადგენა, რომ დარღვეულია აღნიშნული წესები და დამდგარია მასში გათვალისწინებული მძიმე შედეგი, ამასთან წესების დარღვევასა და დამდგარ მძიმე შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

კატასტროფა ნიშნავს ისეთ შემთხვევას, როდესაც ფრენის ან ფრენისათვის მზადების წესების დარღვევა გამოიწვევს, მაგალითად, საერში თვითმფრინავების დაჯახებას, თვითმფრინავის მიწაზე დაცემას და ამის შედეგად ადამიანთა დაღუპვას, ხოლო სხვა მძიმე შედეგი—თვითმფრინავის იძულებით დაშვებას და მის მნიშვნელოვან დაზიანებას (ე. ი. ავარიას), სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის დიდი ზარალის მიყენებას და ა. შ.

ფრენის ან ფრენისათვის მზადების წესების დარღვევა შეიძლება დაშვებულ იქნეს ყოველი სახის საფრენი აპარატის მიმართ, მიუხედავად მისი კონკრეტული დანიშნულებისა.

საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევისას დამნაშავეს შეეფარდება 85-ე მუხლი.

---

[1] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 30 ნოემბრის დადგენილება «Об ответственности за нарушение правил вождения или эксплуатации боевых, специальных или транспортных машин, совершенное старшим машины и другими военнослужащими» (Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924—1963, М., 1964, стр. 293).

დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს მხოლოდ ის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც ხელმძღვანელობდა ფრენას ან მონაწილეობდა ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ან უშუალოდ აწარმოებდა საფრენი აპარატის მართვას.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება თვით წესების დარღვევის მიმართ როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი ბრალით, ხოლო დამდგარი მძიმე შედეგის მიმართ—მხოლოდ გაუფრთხილებელი ბრალით.

სასჯელი 271-ე მუხლით — თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ათ წლამდე.

გ. ხომალდის მართვის წესების დარღვევა. სს კოდექსის 272-ე მუხლში გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ხომალდის მართვის წესების დარღვევისათვის, რასაც მოჰყვა ხომალდის დაღუპვა ან სერიოზული დაზიანება, ადამიანთა მსხვერპლი ან სხვა მძიმე შედეგი.

ამ მუხლის დისპოზიცია ისევე, როგორც ზემოგანხილული დანაშაულისა, ბლანკეტურია. ხომალდის მართვის წესების დარღვევის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საჭიროა ხელმძღვანელობა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების სახომალდო წესებით და სპეციალური ბრძანებებითა და ინსტრუქციებით.

დანაშაულის შედგენილობისათვის არ არის საკმარისი აღნიშნული წესების მარტოოდენ დარღვევა, არამედ დარღვევას უნდა მოჰყვეს კანონში (272-ე მუხლი) გათვალისწინებული ერთ-ერთი მძიმე შედეგი.

272-ე მუხლი გულისხმობს ხომალდის მართვის წესების დარღვევას მარტოოდენ სამხედრო ხომალდების მიმართ, ე. ი. ისეთი ხომალდებისა, რომლებიც სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ალმით ეწევიან ნაოსნობას იმისდა მიუხედავად, შეიარაღებულნი არიან თუ—არა.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ ის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც უშუალოდ მართავს ხომალდს (კაპიტანი, შტურმანი, მესაჭე და ა. შ.).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება იმავე ნიშნებით, როგორც 271-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე.

სასჯელი 272-ე მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ათ წლამდე.

დ. საყარაულო სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა. სს კოდექსის 273-ე მუხლში მოცემულია საყარაულო (სავახტო) ან

საბადრაგო სამსახურის საწესდებო წესებისა და ამ წესების განსაკუთარებლად გამოცემულ ბრძანებათა და განკარგულებათა დარღვევა.

საყარაულო სამსახურის დანიშნულებაა სამხედრო ქონების, საბრძოლო ტექნიკისა და სხვა სამხედრო ობიექტების დაცვა და მოგერიება ყოველგვარი ხელყოფისაგან, აგრეთვე გაუპტვახტში მოთავსებულ პირთა დაცვა; საავახტო სამსახური ნიშნავს სპეციალურ მორიგეობას ხომალდებზე იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ხომალდების შეუფერხებელი მომსახურება, დაცვა და მათი საბრძოლო მზადყოფნა, ხოლო საბადრაგო სამსახური ახორციელებს დამნაშავეთა დანიშნულებისამებრ გადაყვანას და მათ დაცვას.

საყარაულო (საავახტო) სამსახური სამხედრო მოსამსახურეთა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების მნიშვნელოვანი ელემენტია. მშვიდობიან დროს იგი განიხილება როგორც საბრძოლო ამოცანის შესრულება. საყარაულო (საავახტო) და საბადრაგო სამსახური წესრიგდება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საყარაულო და საგარნიზონო სამსახურის წესდებებით, სამხედრო-საზღვაო ძალებისა—სახომალდო წესდებით და მათ განსაკუთარებლად გამოცემული ბრძანებებითა და განკარგულებებით.

განსახილველი დანაშაულის ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ ა რ ი ს გარკვევისათვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა აღნიშნული წესდებებისა და სხვა აქტების გაცნობა. კერძოდ, დარღვევად ჩაითვლება საგუშაგოს თვითნებურად დატოვება, საგუშაგოზე გუშაგის დაძინება, საყარაულო სადგომში მაგარი სასმელის მიღება, გუშაგის მიერ იარაღის არასაჭირო შემთხვევაში გამოყენება და ა. შ.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ ყარაულის (ვახტის) და ბადრაგთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურე (ყარაულის უფროსი, გუშაგი და სხვ.).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი ბრალით.

273-ე მუხლის „ა" პუნქტი ითვალისწინებს საყარაულო (საავახტო) სამსახურის საწესდებო წესებისა და ამ წესების გასაკუთარებლად გამოცემულ ბრძანებათა და განკარგულებათა დარღვევას, ჩადენილს საბრძოლო მასალების, იარაღის, საბრძოლო ტექნიკის საწყობების დაცვის დროს ან სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების ყარაულში და საგუშაგოებზე ყოფნის დროს. სასჯელი—თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვსი თვიდან სამ წლამდე. იგივე ქმედობა, ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებებში, „ბ" პუნქტის ძალით იწვევს

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების წესების გამოყენებას.

273-ე „გ“ პუნქტში გათვალისწინებულია სადარაჯო და საპატრულო სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა მავნე შედეგები, რომელთა თავიდან ასაცილებლად დანიშნულია ეს სადარაჯო ყარაული (საგუშაგო) ან პატრული. სასჯელი ასეთ შემთხვევაში—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთი წლიდან ხუთ წლამდე ან დისციპლინურ ბატალიონში გაგზავნა ვადით სამი თვიდან ორ წლამდე. 273-ე მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი ომის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, „დ“ პუნქტის ძალით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან შვიდ წლამდე. „ე“ პუნქტში მოცემულია საყარაულო (სავახტო) ან საბადრაგო სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა, რასაც თან ახლდა მავნე შედეგი, რომელთა ასაცდენად არის დაწესებული ეს ყარაული ან ბადრაგი[1]. სასჯელი— თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან ათ წლამდე. დაბოლოს, „ვ“ პუნქტის ძალით აღნიშნული ქმედობა (ე. ი. გათვალისწინებული „ე“ პუნქტში), ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე ან ისჯება სიკვდილით[2].

ე. სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესების დარღვევა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესების მტკიცედ დაცვას; მან უნდა აღკვეთოს სსრ კავშირის საჰაერო და საზღვაო სივრცის დარღვევა, საბჭოთა ტერიტორიაზე იმპერიალისტურ დაზვერვათა აგენტების, დივერსანტების, კონტრაბანდისტებისა და სხვა დამნაშავე ელემენტების შემოჭრა, სასაზღვრო კონფლიქტების წარმოშობა.

სს კოდექსის 274-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესების დარღვევისათვის იმ პირის მიერ, რომელიც შედის სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის განწესის შემადგენლობაში.

სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესები დადგენილია სსრ

---

[1] მაგალითად, გაიქცა პატიმარი, რომელსაც დამნაშავე ბადრაგობდა ან გატაცებულ იქნა ქონება საწყობიდან, დატოვებული მის მიერ უმეთვალყურეოდ და ა. შ.

[2] 273-ე მუხლის „ა“, „გ“ და „დ“ პუნქტების შინაარსი გადმოცემულია საქ. სსრ უმაღლესი სხჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად.

კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წ. 5 აგვისტოს ბრძანებულებით დამტკიცებული „დებულებით სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების დაცვის შესახებ“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების მეთაურთა მიერ აღნიშნული დებულების გასავითარებლად გამოცემული ინსტრუქციებითა და ბრძანებებით.

აღნიშნული აქტების მოთხოვნის დარღვევა ან მთლიანად თუ ნაწილობრივ შეუსრულებლობა მოგვცემს განსახილველი დანაშაულის შედგენილობას. კერძოდ, საგუშაგოზე ძილი ან მისი თვითნებურად დატოვება, უფროსისათვის სახელმწიფო საზღვრის დარღვევის შემთხვევის შეუტყობინებლობა, საზღვრის დამრღვევის დასაკავებლად ზომების მიუღებლობა და ა. შ. განიხილება სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესის დარღვევად.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს მხოლოდ ის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც შედის სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის განწესის შემადგენლობაში. განწესი (наряд) ამ შემთხვევაში ნიშნავს ერთ ან რამდენიმე შეიარაღებულ სამხედრო მოსამსახურეს, რომლებიც იცავენ სახელმწიფო საზღვრის ხელუხლებლობას.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ .განსახილველი დანაშაული შეიძლება ხასიათდებოდეს როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი ბრალით.

მარტივი სახე დანაშაულისა, გათვალისწინებული 274-ე მუხლის „ა“ პუნქტში, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე. იგივე ქმედობა, ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებებში, „ბ“ პუნქტის თანახმად, იწვევს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების წესების გამოყენებას.

აღნიშნული მუხლის „გ“ პუნქტში მოცემულია „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, რომელსაც მძიმე შედეგები მოჰყვა. მძიმე შედეგად ჩაითვლება, მაგალითად, სსრ კავშირის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს დაზვერვის აგენტების შემოჭრა, ადამიანთა მსხვერპლი და ა. შ..

სასჯელი 274-ე მუხლის „გ“ პუნქტით—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ათ წლამდე.

3. საბრძოლო მორიგეობის შესრულების წესების დარღვევა. სსრ კავშირის სახმელეთო, საჰაერო ან საზღვაო სივრცის დარღვევის აღკვეთისათვის არის დანიშნული რადიო-ტექნიკური საგუშა-

ფოები და სხვა სახის მორიგე ქვეგანაყოფები, რომლებიც იქმნება სათანადო უფროსების მიერ.

სს კოდექსის 275-ე მუხლი ითვალისწინებს სსრ კავშირის სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო სივრცის ხელშეუხებლობის დასაცავად ან საბჭოთა კავშირზე უეცარი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად საბრძოლო მორიგეობის შესრულების წესების დარღვევას, ჩადენილს იმ პირის მიერ, რომელიც შედის საბრძოლო ჯგუფეულის სამორიგეო ცვლაში, ეკიპაჟში, საგუშაგოში ან სხვა სამორიგეო ქვეგანაყოფში[1].

აღნიშნული წესების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს, კერძოდ, საგუშაგოს თვითნებურად დატოვებაში, რადიოლოკატორის ეკრანისადმი უყურადღებო დამოკიდებულებაში, მოწინააღმდეგის ავიაციის მოახლოების დროულად შეუტყობინებლობაში და ა. შ.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს მარტოოდენ ის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც შედის საბრძოლო ჯგუფეულის სამორიგეო ცვლაში, ეკიპაჟში, საგუშაგოში ან სხვა სამორიგეო ქვეგანაყოფში.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება განზრახი ან გაუფრთხილებელი ბრალით სამსახურის შესრულების წესების დარღვევის მიმართ, ხოლო მძიმე შედეგის დადგომის შემთხვევაში— გაუფრთხილებელი ბრალით ასეთი შედეგის მიმართ.

275-ე მუხლის „ა" პუნქტი ითვალისწინებს დანაშაულის მარტივ სახეს (ე. ი. ისეთს, რომელიც ჩადენილია მშვიდობიან დროს და მძიმე შედეგი არ გამოუწვევია) და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე, ხოლო იგივე ქმედობა, ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებებში, „ბ" პუნქტის ძალით იწვევს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების წესების გამოყენებას. იმავე მუხლის „გ" პუნქტის საფუძველზე „ა" პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა, რომელსაც მძიმე შედეგები მოჰყვება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე. მძიმე შედეგებად ამ შემთხვევაში გაგებულ უნდა იქნეს უცხოეთის მზვერავი თვითმფრინავის შემოჭრა სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში, ადამიანთა მსხვერპლი, მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი და ა. შ.

---

[1] 275-ე მუხლის სახელწოდება და ამავე მუხლის „ა" პუნქტის შინაარსი გადმოცემულია საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წ. 28 აპრილის ხრძანებულების შესაბამისად.

დაბოლოს, 275-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, ამავე მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს, ისჯება სიკვდილით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე.

ზ. შინაგანი სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა. შეიარაღებული ძალების ნაწილებში, ქვეგანაყოფებსა და დაწესებულებებში დადგენილი შინაგანი წესრიგის უზრუნველსაყოფად სერიოზული მნიშვნელობა აქვს სადღეღამისო განწესის ნორმალურ ფუნქციონირებას. სადღეღამისო განწესი ინიშნება ნაწილებსა და დაწესებულებებში შინაგანი წესრიგის, შენობებისა და სამხედრო ქონების, ყაზარმებში სისუფთავის დასაცავად და შინაგანი სამსახურის სხვა მოვალეობათა შესასრულებლად.

შინაგანი სამსახურის წესები დადგენილია სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შინაგანი სამსახურის წესდებით და სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების სახომალდო წესდებით.

სს კოდექსის 276-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას ნაწილის სადღეღამისო განწესში (ყარაულისა და ვახტის გარდა) შემავალი პირის მიერ შინაგანი სამსახურის საწესდებო წესების დარღვევისათვის.

აღნიშნული მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია და იმ საკითხის გადასაწყვეტად, დარღვეულია თუ არა შინაგანი სამსახურის წესები, რა ხასიათისაა დარღვევა და ა. შ., ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა მივმართოთ ზემოდასახელებულ წესდებებს და სხვა სპეციალურ აქტებს.

განსახილველი დანაშაულის **სუბიექტი**, როგორც 276-ე მუხლშია აღნიშნული, შეიძლება იყოს მარტოოდენ ნაწილის სადღეღამისო განწესში (ყარაულისა და ვახტის გარდა) შემავალი პირი. ასეთია, მაგალითად, ასეულის მორიგე, მედღეური (дневальный) და სხვ.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი ბრალით.

მარტივი სახე დანაშაულისა (ე. ი. თუ იგი ჩადენილია მშვიდობიანობის დროს და მძიმე შედეგი არ მოჰყოლია), 276-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს თვემდე. იგივე ქმედობა, ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებებში, „ბ“ პუნქტის საფუძველზე იწვევს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების წესების გამოყენებას. „გ“ პუნქტში მოცემულია ამავე მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა, თუ მას მოჰყვა მავნე შედეგი, რომლის

აცდენა დამნაშავე პირის მოვალეობას შეადგენდა (მაგალითად, საგომიდან, სადაც დამნაშავე მორიგეობდა, დაიკარგა ან გაიტაცეს სამხედრო ქონება). სასჯელი ასეთი ქმედობისათვის—თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე. დაბოლოს, 276-ე მუხლის „დ" პუნქტის თანახმად, ამავე მუხლის „გ" პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.

თ. იმ სამხედრო ხომალდის დატოვება, რომელიც იღუპება. პასუხისმგებლობა მეთაურის მიერ, სამხედრო ხომალდის დატოვებისათვის, რომელიც იღუპება, როცა მას ბოლომდე არ შეუსრულებია თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, აგრეთვე ხომალდის ეკიპაჟის რომელიმე პირის მიერ მეთაურის სათანადო განკარგულების მიუღებლად, გათვალისწინებულია სს კოდექსის 280-ე მუხლში.

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახომალდო წესდების ძალით ხომალდის მეთაური მოვალეა ყველა ზომა მიიღოს ხომალდის დაღუპვისაგან გადასარჩენად, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, მან უნდა უზრუნველყოს ხომალდზე მყოფი ადამიანების, ტვირთის, დოკუმენტების გადარჩენა. იმ შემთხვევაში, როდესაც ტვირთისა და დოკუმენტების გადარჩენა არ ხერხდება, ასეთი უნდა განადგურდეს. ამის შემდეგ მეთაური გასცემს განკარგულებას ეკიპაჟის მიერ გემის დატოვების შესახებ მტკიცე თანამიმდევრობით. ყველაზე ბოლოს გემს დატოვებს მეთაური.

ამ დადგენილი წესის დარღვევაში გამოიხატება განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე.

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს როგორც სამხედრო ხომალდის მეთაური, ასევე ხომალდის ეკიპაჟის შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურე.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხომალდის მეთაურის მიერ შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით (იგი შეცდომით ვარაუდობდა, რომ შეასრულა ყოველივე, რაც ევალებოდა, მაგრამ ფაქტიურად საჭირო ღონისძიებანი არ განუხორციელებია), ხოლო ეკიპაჟის შემადგენლობის პირების მიერ—მარტოოდენ განზრახ.

სასჯელი 280-ე მუხლის „ა" პუნქტით თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან ათ წლამდე. იმავე მუხლის „ბ" პუნქტი ითვალისწინებს აღნიშნულ ქმედობას, ჩადენილს ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში და ისჯება სიკვდილით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე.

§ 6. დანაშაული სამხედრო საიდუმლოების დაცვის წესის წინააღმდეგ. სამხედრო საიდუმლოების გახმაურება ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა

სსრ კავშირის კონსტიტუცია, დადებული ფიცი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წესდებები სამხედრო მოსამსახურეს აკისრებენ მკაცრად დაიცვას სამხედრო და სახელმწიფო საიდუმლოება, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას ამ საიდუმლოების გახმაურება, მუდამ ახსოვდეს, რომ სამხედრო ხასიათის ცნობების გახმაურება ან ასეთივე ცნობების შემცველი დაკარგული დოკუმენტი შეიძლება გამოიყენოს მტერმა საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი შეიარაღებული ძალების საზიანოდ.

სს კოდექსის 277-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას სამხედრო საიდუმლოების გახმაურებისა ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვისათვის. აღნიშნული მუხლის „ა" პუნქტი ითვალისწინებს სამხედრო ცნობების გახმაურებას, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენენ, თუ არ არის სამშობლოს ღალატის ნიშნები, ხოლო „ბ" პუნქტი—დაკარგვას სამხედრო ხასიათის ცნობების შემცველი დოკუმენტებისა, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენენ, ან საგნებისა, რომელთა შესახებ ცნობები სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენენ, იმ პირის მიერ, ვისაც ეს დოკუმენტები ან საგნები ჰქონდა მინდობილი, თუ დაკარგვა მოხდა აღნიშნულ დოკუმენტებთან, ან საგნებთან მოპყრობის დადგენილი წესების დარღვევის შედეგად.

იმავე მუხლის „გ" პუნქტში მოცემულია „ა" და „ბ" პუნქტებით გათვალისწინებული ქმედობა, თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა.

პასუხისმგებლობა 277-ე მუხლის აღნიშნული პუნქტით დაწესებულია მხოლოდ ისეთი სამხედრო ცნობების გახმაურებისათვის, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეიცავენ და ასეთივე ცნობების შემცველი დოკუმენტების (ან საგნების) დაკარგვისათვის. იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურის მიერ გახმაურებულია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობები ან დაკარგულია ასეთივე ხასიათის დოკუმენტი თუ საგანი, მაგრამ არა სამხედრო შინაარსისა, მისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება საერთო წესით სს კოდექსის 76-ე ან 77-ე მუხლით.

277-ე მუხლის „დ" პუნქტში მოცემულია ისეთი ცნობების გახმაურება, რომელთა გამოქვეყნება აკრძალულია, მაგრამ რომელნიც სახელმწიფო საიდუმლოებას არ შეიცავენ. ასეთი აკრძალვა დაწესებულია ხოლმე შესაბამისი სამხედრო მმართველობის ორგა-

ნოს განკარგულების საფუძველზე. დაბოლოს, „ე" პუნქტში დადგენილია პასუხისმგებლობა „დ" პუნქტით გათვალისწინებული ქმედობისათვის, ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებებში.

განსახილველი დანაშაულის შედგენილობის ობიექტური და სუბიექტური მხარე მთლიანად ემთხვევა 76-ე და 77-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის შედგენილობის შესაბამის ელემენტებს.[1]

სუბიექტი დანაშაულისა შეიძლება იყოს სამხედრო მოსამსახურე. რომლისთვისაც ამა თუ იმ გზით ცნობილი იყო სამხედრო ცნობები, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეიცავენ ან მინდობილი ჰქონდა სამხედრო ხასიათის ცნობების შემცველი დოკუმენტი ან საგნები, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენენ.[2]

სასჯელი 277-ე მუხლის „ა" პუნქტით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან ხუთ წლამდე; „ბ" პუნქტით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან სამ წლამდე; „გ" პუნქტით — თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან ათ წლამდე, „დ" პუნქტით—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამი თვიდან ერთ წლამდე. ხოლო „ე" პუნქტში გათვალისწინებული ქმედობა იწვევს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების წესების გამოყენებას.

§ 7. დანაშაული უფროსის ან თანამდებობის პირის მიერ სამხედრო მმართველობის დარგში სპეციალური ფუნქციის შესრულების წესის წინააღმდეგ

სამხედრო მმართველობის აპარატის ზუსტი, შეუფერხებელი, კანონიერებაზე დაფუძნებული საქმიანობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად. უფროსის ან თანამდებობის პირის მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას, ხელისუფლების გადამეტებას თუ სამსახურისადმი დაუდევარ დამოკიდებულებას შეუძლია დაარღვიოს სამხედრო მმართველობის აპარატის ნორმალური მუშაობა და ზით დააქვეითოს ცალკეული სამ-

---

[1] იხ. წინამდებარე ნაშრომის გვ. 74, 77.

[2] სსკ 76-ე მუხლისაგან განსხვავებით, 277-ე მუხლი არ მოითხოვს, რომ გახმაურებული ცნობები სამხედრო მოსამსახურისათვის ცნობილი იყოს მარტოოდენ მისი სამსახურის თუ მუშაობის გამო. ამიტომ ისეთი შემთხვევაც, როგორიც არის სამხედრო მოსამსახურის მიერ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გახმაურება, მისთვის ცნობილი არა სამსახურის გამო, არამედ სხვა გზით (მაგალითად, ამხანაგის გადმოცემით), დაკვალიფიცირდება 277-ე მუხლით.

ხედრო ნაწილების საბრძოლო უნარიანობა, შელახოს სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო პირების უფლებები, მატერიალური ზიანი მიაყენოს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს.

სს კოდექსის 278-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას უფროსის ან თანამდებობის პირის მიერ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა, უმოქმედობისა ან ხელისუფლების გადამეტებისათვის, აგრეთვე სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულებისათვის, თუ ეს მოქმედება ჩადენილია სისტემატურად ან ანგარებით, ან სხვა პირადი დაინტერესებით, აგრეთვე—თუ მან არსებითი ზიანი გამოიწვია.

ამრიგად, აღნიშნული მუხლი აერთიანებს თანამდებობრივი დანაშაულის რამდენიმე სახეს, მაგრამ მათ დეტალურ აღწერას იგი არ იძლევა. ამიტომ მათი შინაარსის გასარკვევად (კერძოდ ობიექტური და სუბიექტური მხარეების დასადგენად) უნდა მივმართოთ ანალოგიური დანაშაულის შედგენილობას, გათვალისწინებულს სს კოდექსის 186-ე—188-ე მუხლებში.[1] ამასთან მხედველობაშია მისაღები, რომ, როგორც უკვე მოხსენიებული იყო, ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, უმოქმედობის, ხელისუფლების გადამეტებისა და სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულების შედგენილობისათვის აუცილებელია ერთერთი შემდეგი პირობის არსებობა: ა) მოქმედების სისტემატურად ჩადენა; ბ) ანგარება ან სხვა პირადი დაინტერესება; გ) მოქმედების მიერ არსებითი ზიანის გამოწვევა (ასეთ ზიანად ჩაითვლება, მაგალითად, ნაწილში სამხედრო დისციპლინის დაქვეითება, სამხედრო დაწესებულების ნორმალური საქმიანობის შეფერხება, მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების დარღვევა და ა. შ.). უკეთუ ასეთი პირობები არ არის, დადგენილი ქმედობა განიხილება დისციპლინურ გადაცდომად; მაგრამ აღნიშნული პირობების არსებობის შემთხვევაშიც, თუკი ქმედობა შემამსუბუქებელ გარემოებებშია ჩადენილი, დამნაშავის მიმართ გამოიყენება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების წესები.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს მხოლოდ უფროსი ან თანამდებობის პირი. აღსანიშნავია, რომ თანამდებობის პირად შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო ოფიცერთა შემადგენლობის პირი, არამედ აგრეთვე რიგითი და სერჟანტთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეც, თუ იგი გარკვეულ თანამდებობას ასრულებს (მაგალითად, ასეულის მწერალი, სანიტარული

[1] იხ. წინამდებარე ნაშრომის 319, 326 გვ. გვ.

ინსტრუქტორი და ა. შ.). სამხედრო თანამდებობის პირების სანიმუშო ჩამოთვლა მოცემულია სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შინაგანი სამსახურის წესდებაში და სამხედრო მმართველობის ბრძანებებსა და სხვა აქტებში.

უკეთუ უფროსის ან თანამდებობის პირის მიერ ჩადენილია ისეთი თანამდებობრივი დანაშაული, როგორიც არის ქრთამის აღება ან სამსახურებრივი სიყალბე, დამნაშავე პასუხს აგებს საერთო წესით, სს კოდექსის მეშვიდე თავის („თანამდებობრივი დანაშაული") შესაბამისი მუხლით.

განსახილველი დანაშაულის ვარტიეი სახე 278-ე მუხლის „ა" პუნქტის ძალით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსი თვიდან ათ წლამდე, ხოლო იგივე ქმედობა, ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებებში, იწვევს („ბ" პუნქტის საფუძველზე) სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების წესების გამოყენებას. „გ" პუნქტი ითვალისწინებს აღნიშნულ ქმედობას (ე. ი. აღწერილს „ა" პუნქტში), ჩადენილს ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე ან ისჯება სიკვდილით.

§ 8. დანაშაული ბრძოლის ველზე და საბრძოლო ვითარებაში სამხედრო სამსახურის შესრულების წესის წინააღმდეგ

ა. მოწინააღმდეგისათვის ომის წარმოების საშუალებათა ჩაბარება ან დატოვება. სს კოდექსის 279-ე მუხლი ითვალისწინებს უფროსის მიერ მისთვის მინდობილი სამხედრო ძალების ჩაბარებას მოწინააღმდეგისათვის, აგრეთვე სიმაგრეების, საბრძოლო ტექნიკისა და ომის წარმოების სხვა საშუალებათა დატოვებას მოწინააღმდეგისათვის, რაც გამოწვეული არ იყო საბრძოლო ვითარებით, თუ აღნიშნული მოქმედება მტრისათვის ხელისშეწყობის მიზნით არ არის ჩადენილი.

სამხედრო უფროსი მოვალეა ყოველი ღონისძიება გამოიყენოს მისთვის მინდობილი სამხედრო ძალების (ე. ი. სამხედრო ნაწილებში გაერთიანებული სამხედრო მოსამსახურეების), სიმაგრეების, სამხედრო ტექნიკის (ტანკების, თვითმფრინავების, ქვემეხების და ა. შ.) მუდმივი საბრძოლო მზადყოფნისათვის. სამხედრო ძალების ჩაბარება მოწინააღმდეგისათვის, სიმაგრეების, საბრძოლო ტექნიკის და ომის წარმოების სხვა საშუალებათა დატოვება მოწინააღმდეგისათვის ფაქტიურად იმას ნიშნავს, რომ უფროსი წყვეტს სამხედრო მოქმედებას და საშუალებას აძლევს მოწინააღმდეგეს დაეუფლოს ამ ძალებსა და საბრძოლო ტექნიკას.

უფროსის ასეთი მოქმედება უმძიმესი დანაშაულია მხოლოდ მაშინ, თუ იგი გამოწვეული არ იყო საბრძოლო ვითარებით. ისეთ შემთხვევაში, როდესაც შექმნილი საბრძოლო ვითარების გამო უფროსს არ ჰქონდა შესაძლებლობა გადაერჩინა სამხედრო ტექნიკა და ომის წარმოების სხვა საშუალებანი, იგი პასუხისგებაში ვერ მიეცემა. უკეთუ მან ყოველივე გააკეთა იმისათვის, რომ ეს ტექნიკა მოწინააღმდეგეს არ ჩაეგდო ხელთ (მაგალითად, როდესაც უშუალო საშიშროებაა იმისა, რომ სამხედრო ტექნიკას შეიძლება მტერი დაეუფლოს, უფროსმა, თუ ვერ შეძლო მისი ბრძოლის ხაზიდან გამოტანა, უნდა ააფეთქოს, მწყობრიდან გამოიყვანოს ის და საერთოდ უვარგისი გახადოს ბრძოლის წარმოებისათვის). განსახილველი დანაშაულის შედგენილობისათვის საჭიროა იმის დადგენა, რომ უფროსმა მისი ჩადენისას დაარღვია სამხედრო წესდებებისა და ბრძანებების მოთხოვნა, ვერ გამოიჩინა მისთვის სავალდებულო ინიციატივა და სიმტკიცე.

დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს მარტოოდენ უფროსი, რომელსაც მინდობილი აქვს სამხედრო ძალები, საბრძოლო ტექნიკა ან ომის წარმოების სხვა საშუალებანი. მოცემულ შემთხვევაში უფროსი როდი ნიშნავს მხოლოდ გენერალს ან ოფიცერს. ომის პირობებში შესაძლებელია აღნიშნულ ფუნქციას ასრულებდეს რიგითი ან სერჟანტთა შემადგენლობის პირიც (ეს მაშინ, როდესაც ყველა სხვა უფროსი მეთაური გამოყვანილია წყობიდან). ამიტომ ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა დანაშაულის სუბიექტად ასეთი პირიც ჩაითვალოს.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც გაუფრთხილებლობით (მაგ., ორიენტირების დაკარგვა), ასევე განზრახ (სულმოკლეობა, ლაჩრობა), მაგრამ დამნაშავეს არ უნდა ამოქმედებდეს მტრისათვის ხელისშეწყობის მიზანი. ასეთ შემთხვევაში ქმედობა სამშობლოს ღალატს წარმოადგენს და დაკვალიფიცირდება 65-ე მუხლით.

სასჯელი 279-ე მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ათ წლამდე ან სიკვდილით დასჯა.

ბ. ბრძოლის ველის თვითნებურად დატოვება ან იარაღით მოქმედებაზე უარის თქმა. ეს დანაშაული გათვალისწინებული სს კოდექსის 281-ე მუხლში, წარმოადგენს სსრ კავშირის კონსტიტუციის, სამხედრო ფიცის და სამხედრო წესდებათა მოთხოვნის ყველაზე ბოროტულ დარღვევას, სამხედრო მოსამსახურის მოვალეობის უხეშ უგულებელყოფას.

დანაშაული გამოიხატება ბრძოლის ველის თვითნებურად დატოვებაში ბრძოლის დროს ან იარაღით მოქმედებაზე უარის თქმაში ბრძოლის დროს.

თვითნებურად დატოვება ნიშნავს სამხედრო მოსამსახურის მიერ უფროსის განკარგულების თუ ნებართვის გარეშე ბრძოლის ველის დატოვებას. ბრძოლის ველად ამ შემთხვევაში ჩაითვლება სანგარი, თავშესაფარი, ტანკი, საჰაერო სივრცე, სადაც დამნაშავის თვითმფრინავი უნდა იმყოფებოდეს და ა. შ. ამასთან ქმედობას ადგილი უნდა ჰქონდეს ბრძოლის დროს, ე. ი. მაშინ, როდესაც სამხედრო ნაწილი ფაქტიურად აწარმოებს ბრძოლას მოწინააღმდეგესთან ან ემზადება ბრძოლის დაწყებისა და მტერთან უშუალოდ, უმალვე შესახვედრად. დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს ბრძოლის ველის თვითნებურად დატოვების ხანგრძლიობას.

იარაღით მოქმედებაზე უარის თქმა ბრძოლის დროს შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, სახელდობრ, იარაღის გამოყენებაზე აშკარა და პირდაპირი უარის თქმით ანდა კიდევ—შენიღბულად; მაგალითად, იარაღის დაზიანებით ან გადამალვით, დაჭრილობის ან სიკვდილის სიმულაციით და ა. შ.

დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს ყოველი სამხედრო მოსამსახურე (რიგითი, სერჟანტთა თუ ოფიცერთა შემადგენლობისა), ხოლო ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება განზრახი ბრალით. დამნაშავე მიზნად ისახავს თავი აარიდოს კონკრეტულ ბრძოლაში მონაწილეობას ან საერთოდ სამხედრო სამსახურს. ქმედობა, ჩადენილი მტრისთვის ხელის შეწყობის მიზნით, განიხილება როგორც სამშობლოს ღალატი და დაკვალიფიცირდება 65-ე მუხლით.

281-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ისჯება სიკვდილით ან თავისუფლების აღკვეთით თხუთმეტი წლის ვადით.

გ. ნებაყოფლობით ტყვედ დანებება. სს კოდექსის 282-ე მუხლი ითვალისწინებს ნებაყოფლობით ტყვედ დანებებას სიმხდალის ან სულმოკლეობის გამო.

ეს დანაშაული წარმოადგენს სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სამხედრო ფიცის დარღვევის განსაკუთრებით საშიშ ფორმას და თავისი ობიექტური თვისებებით სამშობლოს ღალატს უთანაბრდება.

განსახილველი დანაშაული გამოიხატება მასში, რომ სამხედრო მოსამსახურე დაყრის იარაღს, შეწყვეტს მტრისადმი წინააღმდეგობას და გადავა მოწინააღმდეგის განლაგებაში ანდა კიდევ არ ასრულებს უფროსის განკარგულებას ნაწილთან ერთად უკანდახევის შე-

სახებ. რათა შესაძლებლობა მიეცეს შემდეგში ტყვედ დანებებისა:

ტყვედ დანებება მხოლოდ მაშინ ითვლება დანაშაულად, თუ იგი ჩადენილია ნებაყოფლობით. ამიტომ იმ შემთხვევაში, როდესაც სამხედრო მოსამსახურე ავადმყოფობის ან მიღებული ჭრილობის გამო მოკლებული იყო მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას და ამიტომ ჩაიგდო ტყვედ მტერმა, იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცემა.

ნებაყოფლობით ტყვედ დანებება შეიძლება განხორციელდეს როგორც უშუალოდ ბრძოლის დროს, ასევე სხვა პირობებშიც. უკეთუ სამხედრო მოსამსახურემ გააკეთა ყოველივე ნებაყოფლობით ტყვედ დანებებისათვის, მაგრამ მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო მტერმა ვერ დაატყვევა, იგი პასუხს აგებს განსახილველი დანაშაულის მცდელობისათვის.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი სამხედრო მოსამსახურე. ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული მხოლოდ განზრახია, ჩადენილი სიმხდალის ან სულმოკლეობის გამო. უკეთუ ქმედობა ჩადენილია მოღალატური განზრახვით, დამნაშავე პასუხს აგებს 65-ე მუხლის საფუძველზე.

დანაშაული, გათვალისწინებული 282-ე მუხლით, ისჯება სიკვდილით ან თავისუფლების აღკვეთით თხუთმეტი წლის ვადით.

დ. მაროდერობა. მაროდერობა ნიშნავს მოკლულთა და დაჭრილთა ნივთების გატაცებას ბრძოლის ველზე. იგი გათვალისწინებულია სს კოდექსის 284-ე მუხლში.

მაროდერობას შეუძლია შეასუსტოს სამხედრო დისციპლინა, სახელი გაუტეხოს საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, დააქვეითოს ცალკეული სამხედრო ნაწილების ბრძოლისუნარიანობა.

ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული გამოიხატება ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა ნივთების გატაცებაში. გატაცება შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც ფარულად, ასევე სააშკარაოდ, როგორც ძალადობის გარეშე, ასევე ძალადობის გამოყენებით. დანაშაულის შედგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს გატაცებული ნივთები (ფული, ტანსაცმელი, ძვირფასი ნივთები და ა. შ.) მოკლულ და დაჭრილ მტერს ეკუთვნოდა თუ საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეს ან ბრძოლის ველზე მყოფ მოკლულ და დაჭრილ სამოქალაქო პირებს. გატაცება ჩადენილ უნდა იქნეს ბრძოლის ველზე, რაც ამ შემთხვევაში ნიშნავს სივრცეს, სადაც წარმოებს ან ახლახან წარმოებდა ბრძოლა. მაროდერობად ჩაითვლება აგრეთვე დაჭრილთა ნივთების გატაცება ბრძოლის ველიდან მათი პირველი დახმარების პუნქტში გადაყვანის დროს. ჰოსპიტალში მყოფი ან პირველი

დახმარების პუნქტიდან ჰოსპიტალში გადაყვანისას (მატარებლით თუ სხვა სატრანსპორტო საშუალებით) დაჭრილთა ნივთების გატაცება განიხილება საერთო სახის სისხლის სამართლის დანაშაულად და დაკვალიფიცირდება სს კოდექსის მეხუთე თავის (დანაშაული მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ) შესაბამისი მუხლით.

განსახილველი დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს ყოველი სამხედრო მოსამსახურე (სამოქალაქო პირი ასეთი ქმედობის ჩადენისას პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა შესაბამისი მუხლებით).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული ხასიათდება მხოლოდ განზრახი ბრალით, ამასთან განზრახვა ყოველთვის პირდაპირია (მოტივი—ანგარება).

მაროდერობა 284-ე მუხლის საფუძველზე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე ან ისჯება სიკვდილით.

ე. ძალადობა მოსახლეობის მიმართ საომარი მოქმედების რაიონში. სს კოდექსის 285-ე მუხლში გათვალისწინებულია ყაჩაღობა, ქონების კანონსაწინააღმდეგო განადგურება, ძალადობა, აგრეთვე სამხედრო აუცილებლობის საბაბით ქონების კანონსაწინააღმდეგო ჩამორთმევა, ჩადენილი მოსახლეობის მიმართ საომარი მოქმედების რაიონში.

ეს დანაშაული ხელყოფს საომარი მოქმედების რაიონში როგორც სამხედრო სამსახურის წესს, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის ქონებრივ ინტერესებს, რომლის დაცვაც ყველა სახელმწიფოს ჯარების მიერ სავალდებულოა ჟენევის 1949 წლის კონვენციით ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ. მისი საშიშროება ის არის, რომ სუსტდება სამხედრო დისციპლინა ცალკეულ ნაწილებში, სახელი უტყდება არმიის ავტორიტეტს მოსახლეობაში.

მართალია, ზოგჯერ საბრძოლო ოპერაციების პირობებში შესაძლებელია შეილახოს ადგილობრივი მოსახლეობის ქონებრივი ინტერესები (მაგალითად, დაინგრეს რომელიმე პირის კუთვნილი შენობა, რომელიც ხელს უშლის მტრისათვის ცეცხლის დაშენას), მაგრამ ეს უნდა იყოს გამოწვეული სამხედრო აუცილებლობით და დაშვებული მარტოოდენ მეთაურების მიერ ომიანობის დროინდელი კანონების სრული შესაბამისობით.

ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ განსახილველი დანაშაული შეიძლება გამოიხატოს ყაჩაღობაში, ქონების კანონსაწინააღმდეგო განადგურებაში, ძალადობაში ან სამხედრო აუცილებლობის საბაბით ქონე-

ბის კანონსაწინააღმდეგო ჩამორთმევაში, ჩადენილი მოსახლეობის მიმართ საომარი მოქმედების რაიონში.

ყაჩაღობა, ქონების განადგურება, ძალადობა გაგებულ უნდა იქნეს ისევე, როგორც ასეთივე სახის საერთო სისხლის სამართლის დანაშაული, განმარტებული ზემოთ წინამდებარე ნაშრომის შესაბამის ნაწილებში. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის არის, რომ მოცემულ შემთხვევაში დანაშაული ჩადენილია სამხედრო მოსამსახურის მიერ მოსახლეობის მიმართ საომარი მოქმედების რაიონში და ამასთან წარმოადგენს უფრო მძიმე დანაშაულის (სამხედრო სამსახურის წესის წინააღმდეგ) ჩადენის საშუალებას.

ქონების კანონსაწინააღმდეგო ჩამორთმევა ნიშნავს მოსახლეობისათვის ქონების ჩამორთმევას სამხედრო აუცილებლობის საბაბით, ვითომდა სამხედრო ვითარებით გამოწვეული პირობების საფუძველზე მაშინ, როდესაც ასეთის აუცილებლობა სინამდვილეში არ არსებობდა.

285-ე მუხლში აღწერილი ერთ-ერთი სახის ქმედობის ჩადენა არასაომარი მოქმედების რაიონში ან ქურდობა, ჩადენილი თუნდაც საომარი მოქმედების რაიონში, საერთო სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება და დაკვალიფიცირდება სს კოდექსის სხვა შესაბამისი მუხლებით (რომლებიც ასეთი სახის დანაშაულს ითვალისწინებენ).

ს უ ბ ი ე ქ ტ ი განსახილველი დანაშაულისა შეიძლება იყოს ყოველი სამხედრო მოსამსახურე (როგორც რიგითი და სერჟანტთა, ასევე ოფიცერთა შემადგენლობისა). ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მხრივ დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება.

სასჯელი 285-ე მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ათ წლამდე ან სიკვდილით დასჯა.

§ 9. დანაშაული ომის კანონებისა და ადათების წინააღმდეგ

ა. **ცუდი მოპყრობა სამხედრო ტყვეებისადმი.** საბჭოთა სახელმწიფოს პრინციპები, გამოხატული კანონებსა და სამხედრო წესდებებში, ავალდებულებენ ყოველ სამხედრო მოსამსახურეს ჰუმანური დამოკიდებულება გამოიჩინონ სამხედრო ტყვეების მიმართ, ხოლო სამედიცინო დარგის მომუშავეებმა მკურნალობა გაუწიონ დაჭრილთა და ავადმყოფთ, სათანადო ზრუნვა გამოიჩინონ მათდამი.

სამხედრო ტყვეებისადმი ცუდი მოპყრობა, აკრძალული ჟენევის 1949 წლის კონვენციის მიერ, სათანადო პირობების არსებობისას დანაშაულად ითვლება და გათვალისწინებულია სს კოდექსის 286-ე მუხლში.

ამ მუხლში მოცემულია ორი სხვადასხვაგვარი დანაშაული, სახელდობრ: ა) ცუდი მოპყრობა სამხედრო ტყვეებისადმი და ბ) ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეების მიმართ მოვალეობის დაუდევარი შესრულება.

სამხედრო ტყვეებისადმი ცუდი მოპყრობა იდევნება სისხლის სამართლის წესით მხოლოდ მაშინ, თუ მას არაერთხელ ჰქონდა ადგილი ან რომელიც დაკავშირებულია განსაკუთრებულ სისასტიკესთან, ან მიმართულია ავადმყოფთა და დაჭრილთა წინააღმდეგ. უკეთუ დამნაშავის ქმედობაში არის უფრო მძიმე დანაშაულის ნიშნები (მაგალითად, მკვლელობის, სხეულის მძიმე დაზიანების და ა. შ.), იგი პასუხს აგებს შესაბამისი მუხლით პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის თავიდან და, პირიქით, ცუდი მოპყრობა, სამხედრო ტყვეების მიმართ ჩადენილი ზემოჩამოთვლილ დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე, ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად.

ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების მიმართ მოვალეობის დაუდევარი შესრულება დასჯადია სისხლის სამართლის წესით მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ჩადენილია იმ პირთა მიერ, რომელთაც აკისრიათ მათი მკურნალობა და მათზე ზრუნვა (ე. ი. სამედიცინო დარგის სამხედრო მომსახურეთა მიერ).

სამხედრო ტყვეებისადმი ცუდი მოპყრობის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს ყოველი სამხედრო მოსამსახურე, ხოლო ავადმყოფთა და დაჭრილთა მიმართ მოვალეობის დაუდევრად შესრულების სუბიექტი—მარტოოდენ ექიმი, ექთანი, სანიტარი და სამედიცინო დარგის სხვა მუშაკი.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ ცუდი მოპყრობა სამხედრო ტყვეებისადმი ხასიათდება განზრახი ბრალით (პირდაპირი ან არაპირდაპირი სახით), ხოლო ავადმყოფთა და დაჭრილთა მიმართ მოვალეობის დაუდევრად შესრულება—მარტოოდენ გაუფრთხილებლობით.

სასჯელი 286-ე მუხლის „ა" პუნქტით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან სამ წლამდე, ხოლო ცუდი მოპყრობა სამხედრო ტყვეების მიმართ, ჩადენილი ამ პუნქტში აღნიშნულ დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე, „ბ" პუნქტის საფუძველზე იწვევს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების წესების გამოყენებას.

ბ. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ნიშნების უკანონო ტარება და ამ ნიშნების ბოროტად გამოყენება. საომარი მოქმედების რაიონში სამხედრო მოვალეობის დარღვევის სპეციალურ სახეს წარმოადგენს წითელი ჯვრის ან წითელი ნახევარმთვარის ნიშნების ტარება იმ პირთა მიერ, რომელთაც ამის უფლება არა აქვთ, აგრეთვე

ომიანობის დროს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ალმების ან ნიშნების, აგრეთვე სანიტარული ევაკუაციის სატრანსპორტო საშუალებებისათვის მიკუთვნებული შეფერადების ბოროტად გამოყენება, გათვალისწინებული სს კოდექსის 287-ე მუხლში.

საომარი მოქმედების რაიონში წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის შესაბამისი ნიშნების უკანონო ტარება და გამოყენება, აგრეთვე სანიტარული სატრანსპორტო საშუალებებისათვის (მატარებელი, გემი, თვითმფრინავი, ავტომანქანა და სხვ.) მიკუთვნებული შეფერადების უკანონო გამოყენება (მაგალითად, არასანიტარული დანიშნულების ტრანსპორტის შეფერადება სანიტარულის მსგავსად) წარმოადგენს ჟენევის 1949 წლის კონვენციით სანიტარული დაწესებულებებისათვის დადგენილი მფარველობის ბოროტად გამოყენებას.

დანაშაულის ს უ ბ ი ე ქ ტ ი შეიძლება იყოს ყოველი სამხედრო მოსამსახურე. ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული განზრახია.

სასჯელი 287-ე მუხლით—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამი თვიდან ერთ წლამდე.

§ 10. ტყვეობაში მყოფი სამხედრო მოსამსახურის დანაშაულებრივი მოქმედება

სამხედრო ფიცი და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შინაგანი სამსახურის წესდება ავალდებულებს მიღებული მძიმე ჭრილობის გამო ტყვეობაში მყოფ სამხედრო მოსამსახურეს მაღლა ეჭიროს საბჭოთა მებრძოლის ღირსება და პატივი, მკაცრად დაიცვას სამხედრო და სახელმწიფო საიდუმლოება, გამოიჩინოს სიმტკიცე, სხვა სამხედრო ტყვეებისადმი მეგობრული და ურთიერთდახმარების გრძნობა, ზიზღითა და აღშფოთებით უარყოს მტრის ყოველი ცდა გამოიყენოს ის სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა და საბჭოთა სამშობლოსათვის რაიმე ზიანის მიყენების მიზნებისათვის.

ტყვეობაში მყოფი სამხედრო მოსამსახურის ნებაყოფლობითი მონაწილეობა სამუშაოებში ან სხვა ღონისძიებებში, რომელთაც წინასწარი შეცნობით შეუძლიათ ზიანი მიაყენონ საბჭოთა კავშირს, მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით მიჩნეულია სამხედრო ფიცისა და სამხედრო მოვალეობის სერიოზულ დარღვევად.

სს კოდექსის 283-ე მუხლი ითვალისწინებს აღნიშნული დარგის დანაშაულის სამ სხვადასხვა სახეს: ა) ტყვეობაში მყოფი სამხედრო მოსამსახურის ნებაყოფლობით მონაწილეობას სამუშაოებში, რომელთაც სამხედრო მნიშვნელობა აქვთ, ან სხვა ღონისძიებებში, რომელთაც წინასწარი შეცნობით შეუძლიათ ზიანი მიაყენონ საბჭოთა

კავშირს ან მის მოკავშირე სახელმწიფოებს („ა“ პუნქტი); ბ) ძალმომრეობას სხვა სამხედრო ტყვეების მიმართ ან სასტიკ მოპყრობას მათდამი უფროსის მდგომარეობაში მყოფი სამხედრო ტყვის მხრივ („ბ“ პუნქტი); გ) ტყვედ მყოფი სამხედრო მოსამსახურის მიერ ისეთი მოქმედების ჩადენას, რომელსაც ზიანი მოაქვს სხვა სამხედრო ტყვეებისათვის, ანგარების მოტივით ან მოწინააღმდეგის მხრივ თავისადმი ლმობიერი მოპყრობის უზრუნველყოფის მიზნით („გ“ პუნქტი).

სამივე სახის დანაშაულს საერთო აქვს უშუალო ობიექტი (სამხედრო მოსამსახურის მოვალეობა—ყველგან და ყოველთვის ზუსტად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება) და სუბიექტი (მხოლოდ ტყვეობაში მყოფი სამხედრო მოსამსახურე).

ობიექტური მხრივ დანაშაული, გათვალისწინებული 283-ე მუხლის „ა“ პუნქტში, შეიძლება გამოიხატოს ტყვეობაში მყოფი სამხედრო მოსამსახურის ნებაყოფლობით მონაწილეობაში ისეთ სამუშაოებში, რომელთაც სამხედრო მნიშვნელობა აქვთ, ან სხვა ღონისძიებებში, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ საბჭოთა კავშირს ან მის მოკავშირე სახელმწიფოებს. ასეთ სამუშაოებად ჩაითვლება მეტალურგიული, ქიმიური და სამხედრო მნიშვნელობის მქონე სხვა საწარმოები, ტრანსპორტი და სხვ. როგორც კანონშია აღნიშნული, ასეთ სამუშაოებში მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, ე. ი. თავისი სურვილით, ძალდატანების გარეშე. უკეთუ დასახელებულ სამუშაოებში მონაწილეობა ძალდატანების შედეგი იყო, ტყვეობაში მყოფი სამხედრო მოსამსახურე სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცემა.[1]

სუბიექტურ მხრივ აღნიშნული სახის დანაშაული ხასიათდება მხოლოდ განზრახი ბრალით, რაზეც მიუთითებს თვით კანონის (283-ე მუხლის „ა“ პ.) სიტყვები: „ნებაყოფლობითი“ და „წინასწარი შეცნობით“. უკეთუ დამნაშავეს ამოქმედებდა მოღალატური მიზნები, იგი პასუხს აგებს 65-ე მუხლით (სამშობლოს ღალატი).

სასჯელი 283-ე მუხლის „ა“ პუნქტით—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ათ წლამდე.

იმავე მუხლის „ბ“ პუნქტში გათვალისწინებული დანაშაული ობიექტური მხრივ გამოიხატება ძალმომრეობაში სხვა სამხედ-

---

[1] სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ ჟენევის 1949 წლის კონვენცია კრძალავს სამხედრო ტყვეების ძალდატანებით ისეთ სამუშაოებზე გამოყენებას, რომელთაც სამხედრო ხასიათი ან სამხედრო მნიშვნელობა აქვთ.

რო ტყვეების მიმართ ან სასტიკ მოპყრობაში მათდამი უფროსის მდგომარეობაში მყოფი სამხედრო ტყვის მხრივ.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ ეს დანაშაულიც განზრახია, მაგრამ, უკეთუ დამნაშავეს აქვს იმის შეგნება, რომ თავისი ქმედობით იგი ხელს უშლის სხვა სამხედრო ტყვეებს შეასრულონ თავისი პატრიოტული მოვალეობა (მაგალითად, ტყვეობიდან განთავისუფლება და ა. შ.), პასუხისმგებლობა განისაზღვრება სამშობლოს ღალატისათვის.

სასჯელი 283-ე მუხლის „ბ" პუნქტით—თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ათ წლამდე.

დაბოლოს, იმავე მუხლის „გ" პუნქტში გათვალისწინებული დანაშაულის ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ ა რ ე გამოიხატება სხვადასხვა მოქმედებაში, რომელიც მიმართულია სხვა სამხედრო ტყვეებისათვის ზიანის მიყენებისაკენ, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვისაკენ (მაგალითად, მტრის ადმინისტრაციისათვის იმ სამხედრო ტყვეების შესახებ ცნობის მიცემა, რომლებიც არ იცავენ ბანაკის რეჟიმს და სხვ.).

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ხ რ ი ვ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. როგორც თვით კანონშია ნათქვამი, მოტივს წარმოადგენს ანგარება, ხოლო მიზანს—მოწინააღმდეგის მხრივ თავისადმი ლმობიერი მოპყრობის უზრუნველყოფა.

საიდუმლო თანამშრომლობა მოწინააღმდეგესთან, მისი ინფორმირება სამხედრო ტყვეების მხრივ ბანაკიდან გაქცევის მზადების შესახებ, ფარულად, იატაკქვეშ მომუშავე სამხედრო ტყვეების გაცემა და ა. შ. ჩაითვლება სამშობლოს ღალატად და დაკვალიფიცირდება 65-ე მუხლით.

სასჯელი 283-ე მუხლის „გ" პუნქტით—თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან სამ წლამდე.

სპეციალური ლიტერატურა

I. ყველა თავისთვის

1. Советское уголовное право, часть Особенная, М., 1962.
2. Советское уголовное право, часть Особенная, изд. Московского университета, 1964.
3. Советское уголовное право, часть Особенная, изд. «Юридическая литература», М., 1965.
4. Комментарий к УК РСФСР 1960 г., изд. Ленинградского университета, 1962.
5. Научно-практический комментарий УК РСФСР, под ред. профессора Никифорова Б. С., М., 1963.
6. Вопросы Особенной части Советского уголовного права в УК РСФСР 1960 г., изд. ВЮЗИ, М., 1962.

II. პირველი თავისთვის

1. Анашкин Г. З., Об ответственности за преступное посягательство против представителя иностранного государства, «Сов. гос. и право», 1962, № 4.
2. Ахметшин Х. М., Закон об уголовной ответственности за государственные преступления, М., 1959.
3. Богатиков Д. И. и др., Особо опасные государственные преступления, М., 1963.
4. Бушуев И. А., Ответственность за укрывательство преступлений и недоносительство, М., 1965.
5. Бакшеев С., Закон об уголовной ответственности за государственные преступления, «Советская юстиция», 1959, № 2.
6. Викторов Б. А., Лискин А. А., Советский закон на страже мира, М., 1960.
7. Владимиров В. А., Хан-Магомедов Д. О., Советское уголовное право, Особенная часть. Иные государственные преступления. Учебно-практическое пособие, М., 1963.
8. Гришаев П. И., Здравомысов Б. В., Особо опасные государственные преступления, М., 1959.
9. Загородников Н. И., Угол. ответственность за государственные преступления, М., 1959.
10. Курляндский В. И., Вопросы ответственности за особо опасные госуд. преступления, «Правоведение», 1959, № 3.

1. Куринов Б. А., Квалификация транспортных преступлений, М., 1965.
2. Меньшагин В. Д., Куринов Б. А., Научно-практический комментарий к Закону об уголовной ответственности за государственные преступления, М., 1961 (2-ое переработанное издание).
3. Михайлов М. П., Уголовная ответственность за нарушение правил о валютных операциях и спекуляцию валютными ценностями по Советскому уголовному праву, М., 1964.
4. Смирнов Л. Н., Об уголовной ответственности за государственные преступления, «Сов. госуд. и право», 1959, № 2.
5. Солопанов Ю. В., Ответственность за фальшивомонетничество. Учебное пособие, М., 1963.
6. Турецкий М. В., Особо опасные государственные преступления, М., 1965.
7. Федосеев А. А., Понятие контрабанды по Советскому таможенному и уголовному праву, «Правоведение», 1962, № 1.
8. Государственные преступления, учебное пособие для высших юридических учебных заведений, М, 1961.
9. Государственные преступления, под ред. В. А. Владимирова и М. И. Якубовича, М., 1961 г.

III. მეორე თავისათვის

1. Арзуманян Т., Ответственность за хищение социалистической собственности, «Социалистическая законность», 1960, № 4.
2. Волков Б. С., Ответственность за уничтожение и повреждение имущества по Советскому уголовному праву, Изд-во Казанского государственного университета, 1961.
3. Вышинская З., Ковальчук Е., Решительно бороться с расхитителями колхозного и совхозного имущества, «Советская юстиция», 1961, № 20.
4. Герцензон А. А., Уголовная ответственность за преступления против социалистической собственности, «Советская юстиция», 1960, № 18.
5. Кригер Г., Некоторые вопросы квалификации хищений социалистического имущества, «Советская юстиция», 1964, № 7.
6. Кригер Г. А., Борьба с хищениями соц. имущества, М., 1965.
7. Сергеева Т., За сохранность сельскохозяйственной техники, «Сов. юстиция», 1963, № 14.
8. Тарарухин С. А., Социалистическая собственность неприкосновенна. Ответственность за хищение социалистического имущества путем присвоения, растраты и злоупотребления служебным положением, Киев, 1963.
9. Хан-Магомедов Д. О., Преступления против социалистической собственности, М., 1963.
10. Якубович М. И., Преступления против социалистической собственности, М., 1962.

11. მ ა ი ს უ რ ა ძ ე ე., სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით, „საბჭოთა სამართალი", 1962, № 6.

IV. მეხამე თავისათვის

1. А н н я н ц М. К., Ответственность за преступления против жизни, М., 1964.
2. Б о р о д и н С. В., Квалификация убийств по Советскому уголовному праву, М., 1963.
3. Б о р о д и н С. В., Квалификация убийства по действующему законодательству, М., 1966.
4. Г о р е л и к И. И., Ответственность за оставление в опасности по Советскому уголовному праву, М., 1960.
5. Д у б о в е ц П. А., Ответственность за телесные повреждения по Советскому уголовному праву, М., 1964.
6. З а г о р о д н и к о в Н. И., Преступления против жизни по Советскому уголовному праву, М., 1961.
7. З а г о р о д н и к о в Н. И., И г н а т о в А. Н., Преступления против личности, учебное пособие, М., 1962.
8. Н и к и ф о р о в А. С., Ответственность за телесные повреждения, Госюриздат, 1959.
9. С у г а ч е в Л. Н., Ответственность за оскорбление, М., 1966.
10. ფ უ რ ცხ ვ ა ნ ი ძ ე ბ., დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, თბ., 1960.
11. ფ უ რ ცხ ვ ა ნ ი ძ ე ბ., დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ საქ. სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მიხედვით. „საბჭოთა სამართალი", 1961, № 5
12. ფ უ რ ცხ ვ ა ნ ი ძ ე ბ., დანაშაულებრივი აბორტი და მასთან ბრძოლა, თბ., 1952.
13. ფ უ რ ცხ ვ ა ნ ი ძ ე ბ., ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1949.

V. მეოთხე თავისათვის

1. Б у л а т о в С. Я., Ответственность за преступления против политических, трудовых и других прав граждан по уголовному кодексу Казахской ССР, Алма-Ата, 1962.
2. К е л и н а С. Г., Об уголовно-правовой охране политических и трудовых прав граждан. «Советское государство и право», 1963, № 8.
3. И в а н о в В., Уголовная ответственность за преступления против политических и трудовых прав граждан, «Социалистическая законность», 1960, № 8.
4. С а х а р о в А. Б., Уголовно-правовая охрана безопасности условий труда в СССР, М., 1958.
5. Щ е д р и н а А., Ответственность за нарушение правил охраны труда, «Советская юстиция», 1963, № 13.

6. ფურცხვანიძე ბ., დანაშაული შრომითი ურთიერთობის სფეროში, თბ., 1958.

VI. მეხუთე თავისათვის

1. Владимиров В. А., Преступления против личной собственности граждан, М., 1962.
2. Владимиров В. А., Советское уголовное право, Особенная часть, Преступления против личной собственности граждан. Учебно-практическое пособие, М., 1963.
3. Гельфер М., Меры борьбы с преступлениями против личной собственности граждан (по новому УК РСФСР), «Сов. юстиция», 1961, № 1.
4. Ефанов Е., Разграничение разбоя и кражи личной собственности граждан, «Соц. законность», 1960, № 3.
5. Михайленко П. П., Тевлин Р. И., Преступления против личной собственности граждан, Киев, 1962.
6. Степичев С., Ответственность за хищение личного имущества граждан, «Социалистическая законность», 1961, № 5.
7. შეხლობი ა., შლიკოვი ს., პირადი ქონების გატაცებისა და ყაჩაღობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, „საბჭოთა სამართალი", 1959, № 2.

VII. მეექვსე თავისათვის

1. Архипов В. Д., Хорев П. С., Ответственность за потравы посевов и повреждения насаждений, М., 1961.
2. Вяттенберг Г. Б., Ответственность за спекуляцию, М., 1962.
3. Вольфман Г. И., Маландин И. Г., Уголовно-правовая борьба с обманом покупателей, Изд.-во Саратовского государственного университета, 1963.
4. Ефимов М., Фролов Е., Шведова З., Ответственность за частно-предпринимательскую деятельность и коммерческое посредничество, «Советская юстиция», 1961, № 9.
5. Ефимов М., Уголовная ответственность за выпуск недоброкачественной, нестандартной или некомплектной продукции, «Советская юстиция», 1963, № 17.
6. Копыловская М. А., Ответственность за обмеривание и обвешивание покупателей, М., 1964.
7. Леонтьев Б. М., Ответственность за хозяйственные преступления, М., 1963.
8. Ляпунов Ю. И., Ответственность за хозяйственные преступления, М., 1964.
9. Митричев С., Борьба со спекуляцией, «Соц. законность», 1961, № 8.
10. Михайленко П. П., Гельфанд И. А., Уголовно-правовая охрана социалистического сельского хозяйства, М., 1963.

11. Некипелов Н. Т., Понятие и система хозяйственных преступлений, Ростов, 1963.
12. Сергеева Т. Л., Задачи уголовно-правовой охраны советского хозяйства на современном этапе строительства коммунизма, «Советское государство и право», 1963, № 5.
13 Юрбургский Ю., Борьба с очковтирательством и обманом государства, «Социалистическая законность», 1963, № 12.
14. ლომსაძე ნ., ბუნების დაცვის სამართლებრივი რეგულირება საქართველოს სსრ-ში, თბ., 1964.

VIII. მეშვიდე თავისათვის

1. Владимиров В. А., Кириченко В. Ф., Должностные преступления, М., 1965.
2. Кириченко В. Ф., Виды должностных преступлений по Советскому уголовному праву, М., 1959.
3. Кириченко В. Ф., Ответственность за должностные преступления, «Советская юстиция», 1961, № 6.
4. Карпушин М. П., Дмитриев П. С., Взяточничество — позорный пережиток прошлого, М., 1964.
5. Максимов В., Ответственность за злоупотребление властью или служебным положением, «Советская юстиция», 1963, № 15.
6. Соловьев В. И., Борьба с должностными злоупотреблениями, обманом государства и приписками, М., 1963.
7. მაყაშვილი ვ., ტყეშელიაძე გ., პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის, თბ., 1964.

IX. მერვე თავისათვის

1. Бушуев И. А., Ответственность за укрывательство преступлений и недоносительство, М., 1965.
2. Кульберг Я. М., Преступления против правосудия, М., 1962.
3. Рашковская Ш. С., Преступления против социалистического правосудия, М., 1959.
4. Черных И., Ответственность за заведомо ложное показание, «Советская юстиция», 1963, № 5.
5. Хан-Магомедов Д. О., Ответственность за заведомо ложный донос, «Советская юстиция», 1964, № 4.
6. ფურცხვანიძე ბ., პასუხისმგებლობა დანაშაულის განუცხადებლობისათვის საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 1956.

X. მეცხრე თავისათვის

1. Балезин В. П., Самовольное строительство и меры борьбы с ним, Вестник Московского университета, серия X, «Право», 1964, № 2.
2. Гришанин П. Ф., Журавлев М. П., Преступления против порядка управления. Лекция, М., 1963.

3. Кузнецов А. В., Ответственность за подлог документов по Советскому уголовному праву, М., 1959.
4. Левицкий Г., Ответственность за посягательство на жизнь работника милиции или народного дружинника. «Советская юстиция», 1963, № 4.
5. Поленов Г. Ф., Ответственность за преступления против порядка управления, М., 1966.
6. Стручков Н., Ответственность за сопротивление представителю власти или представителю общественности, «Советская юстиция», 1961, № 11.
7. Трофимов Н., Ответственность за сопротивление работнику милиции и народному дружиннику, «Советская юстиция», 1963, № 1.

XI. მ
თ თავებისთვის

1. Гришанин П. Ф., Владимиров В. А., Преступления против общественной безопасности, общественного порядка и здоровья населения (Учебное пособие), М., 1962.
2. Дурманов Н. Д., Угол. ответственность за преступления против общественной безопасности, общественного порядка и здоровья населения, М., 1962.
3. Кузнецов А. В., Хулиганство и борьба с ним, М., 1962.
4. Матышевский П. С., Ответственность за преступления против общественной безопасности, общественного порядка и здоровья населения, М., 1964.
5. Ответственность за хулиганство. Комментарий к новым кодексам, «Советская юстиция», 1961, № 3.
6. Охрана природы, Сборник законодательных актов, М., 1961.
7. Охрана труда и техника безопасности, Сборник важнейших постановлений и правил, М., 1961.
8. ლომსაძე ნ., ბუნების დაცვის სამართლებრივი რეგულირება საქართველოს სსრ-ში თბ., 1964.
9. ფურცხვანიძე ბ., დანაშაული შრომითი ურთიერთობის სფეროში, თბ., 1958.

XII. მეთრამეტე თავებისთვის

1. Ахметшин Х. М., Закон об угол. ответственности за воинские преступления, «Правоведение», 1959, № 2.
2. Васильев Н. В., Кудрявцев В. Н., О законе об уголовной ответственности за воинские преступления, «Советское государство и право», 1959, № 2.
3. Горный А., Закон об уголовной ответственности за воинские преступления, «Советская юстиция», 1959, № 2.
4. Научно-практический комментарий к Закону об уголовной ответственности за воинские преступления, М., 1961.

შინაარსი

ავტორისაგან 3

შესავალი 5

1. საბჭოთა სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ცნება და პოლიტიკური მნიშვნელობა 5

2. საბჭოთა სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სისტემა 11

თავი I

სახელმწიფო დანაშაული 17

I. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული . . . 17

§ 1. საბჭოთა კანონმდებლობა განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულთან ბრძოლის შესახებ (მოკლე ისტორიული მიმოხილვა) . 17

§ 2. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ზოგადი ცნება 30

§ 3. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ცალკეული სახეები. 33

ა. საშობლოს ღალატი 33

ბ. ჯაშუშობა 39

გ. ტერორისტული აქტი 42

დ. ტერორისტული აქტი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ . 45

ე. დივერსია 46

ვ. მავნებლობა 48

ზ. ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა 51

თ. ომის პროპაგანდა 55

ი. ორგანიზაციული საქმიანობა, მიმართული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისაკენ, აგრეთვე ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილეობა . . 57

კ. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, ჩადენილი მშრომელთა სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ 60

II. სხვა სახელმწიფო დანაშაული 60

§ 1. სხვა სახელმწიფო დანაშაულის ზოგადი ცნება და სისტემა . . . 60

§ 2. სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივ უშიშროებაზე ხელყოფის ზოგადი სახეები . 63

§ 3. ხელყოფა სსრ კავშირის თავდაცვაზე 74

§ 4. ხელყოფა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების ხელუხლებლობისა და საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაზე 82

§ 5. ხელყოფა ფულად და საკრედიტო სისტემაზე 87
§ 6. ხელყოფა ტრანსპორტზე 91
§ 7. დანაშაული, რომელიც არღვევს სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოკითხვასა და პასუხისგებაში მისაცემად მართლმსაჯულების ორგანოების მიერ წარმოებულ ნორმალურ მუშაობას 97

თავი II

დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ . 101
§ 1. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების ცალკეული სახეები 105
§ 2. სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ანგარების მიზნით გატაცების ნიშნების გარეშე . 130
§ 3. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება ან დაზიანება. 137
§ 4. დანაშაულებრივ-დაუდევარი დამოკიდებულება სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი . . . 142
§ 5. დანაშაული სხვა სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ 144

თავი III

დანაშაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ 145
§ 1. პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის ზოგადი ცნება და სახეები . 145
§ 2. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ . 147
§ 3. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ 170
§ 4. დანაშაული სქესობრივ დარგში . 185
§ 5. დანაშაული, რომელიც საფრთხეში აგდებს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას . . 193
§ 6. დანაშაული პირადი თავისუფლების წინააღმდეგ . . 203
§ 7. დანაშაული ადამიანის პატივისა და ღირსების წინააღმდეგ 209

თავი IV

დანაშაული მოქალაქეთა პოლიტიკური და შრომითი უფლებების წინააღმდეგ . 215
§ 1. დანაშაული მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების წინააღმდეგ 216
§ 2. დანაშაული მოქალაქეთა შრომითი უფლებების წინააღმდეგ 220
§ 3. დანაშაული მოქალაქეთა სხვა ძირითადი უფლებების წინააღმდეგ 226

თავი V

დანაშაული მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ . 234
§ 1. დანაშაული, მიმართული მოქალაქეთა პირადი ქონების დანაშაულებრივი დაუფლებისაკენ 235
§ 2. დანაშაული, რომელიც მდგომარეობს მოქალაქეთა პირადი ქონების განადგურებასა და დაზიანებაში 255
§ 3. დანაშაული ისეთ დაწესებულებათა და გაერთიანებათა საკუთრების წინააღმდეგ, რომლებიც სოციალისტურ ორგანიზაციებს არ წარმოადგენენ 259

თავი VI

სამეურნეო დანაშაული 260

§ 1. საერთო სახის სამეურნეო დანაშაული 262

§ 2. დანაშაული მრეწველობის დარგში 268

§ 3. დანაშაული სოფლის მეურნეობის დარგში 274

§ 4. დანაშაული ვაჭრობის დარგში 282

§ 5. დანაშაული ფინანსების დარგში 294

§ 6. დანაშაული რეწვის წარმოებასა და ბუნების სიმდიდრით სარგებლობის დარგში 296

§ 7. სხვა სახის სამეურნეო დანაშაული 311

თავი VII

თანამდებობრივი დანაშაული 314

§ 1. თანამდებობრივი დანაშაულის ცნება და სახეები 314

§ 2. ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება 319

§ 3. ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება 323

§ 4. დაუდეგრობა 326

§ 5. მექრთამეობა 329

§ 6. სამსახურებრივი სიყალბე 343

თავი VIII

დანაშაული მართლმსაჯულების წინააღმდეგ 345

§ 1. მართლმსაჯულების წინააღმდეგ დანაშაულის ზოგადი ცნება და სახეები 345

§ 2. მართლმსაჯულების წინააღმდეგ დანაშაულის ისეთი სახეები, რომელთა ჩადენაც შეუძლია მხოლოდ მართლმსაჯულების ორგანოების თანამდებობის პირებს 349

§ 3. მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული ისეთი სახეები, რომლებიც შეიძლება ჩადენილ იქნეს სხვა, არამართლმსაჯულების ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ 360

თავი IX

დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ 386

§ 1. ხელყოფა ხელისუფლების ორგანოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე 389

§ 2. ხელყოფა სახელმწიფო აპარატის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სწორ საქმიანობაზე 396

§3. მმართველობის წესის წინააღმდეგ დანაშაულის სპეციალური სახეები 414

თავი X

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ 419

§ 1. საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ დანაშაულის ცნება და სისტემა 419

§ 2. დანაშაული საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ 420
§ 3. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ 441
§ 4. დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობის წინააღმდეგ 458

თავი XI

სამხედრო დანაშაული . . 464
§ 1. სამხედრო დანაშაულის ზოგადი ცნება 464
§ 2. დანაშაული ხელქვეითობისა და სამხედრო პატივის წინააღმდეგ 469
§ 3. დანაშაული სამხედრო სამსახურის გაელის წესის წინააღმდეგ 478
§ 4. დანაშაული სამხედრო ქონებასთან მოპყრობის წესის წინააღმდეგ 485
§ 5. დანაშაული სამხედრო სამსახურის სპეციალურ მოვალეობათა შესრულების წესის წინააღმდეგ . 489
§ 6. დანაშაული სამხედრო საიდუმლოების დაცვის წესის წინააღმდეგ. სამხედრო საიდუმლოების გახმაურება ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა . . . 499
§ 7. დანაშაული უფროსის ან თანამდებობის პირის მიერ სამხედრო მმართველობის დარგში სპეციალური ფუნქციის შესრულების წესის წინააღმდეგ . 500
§ 8. დანაშაული ბრძოლის ველზე და საბრძოლო ვითარებაში სამხედრო სამსახურის შესრულების წესის წინააღმდეგ 502
§ 9. დანაშაული ომის კანონებისა და ადათების წინააღმდეგ 507
§ 10. ტყვეობაში მყოფი სამხედრო მოსამსახურის დანაშაულებრივი მოქმედება 509
სპეციალური ლიტერატურა 512

რედაქტორი ვ. ლომაძე
მხატვარი ტ. შეყილაძე
ტექნიკური რედაქტორი ი. ჩიგელიშვილი
კორექტორები: ე. მუშკუდიანი
ქ. თაგვაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XI-66. ქაღ.
ფორმ. 60×90/16. ნაბეჭდი თაბ. 32,75.
სააღრ.-საგამომც. თაბ. 29,5. ტირაჟი 4000.
უე 11991. სტ. შეკვ. № 1695.

ფასი 1 მან. 28 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ., 1.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, просп. И. Чавчавадзе, 1.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.